
მანუელ გალვანი

ენციკლიკა



გამომცემლობა „მერანი"
თბილისი. 1981

Мануэль Гальван

Энрикильо

(Роман на грузинском языке)
Издательство «Мерани», Руставели, 42
Тбилиси, 1981

რედაქტორი ნ. მაძალუა
მხატვარი ნ. ჭურღულია
მხატვ. რედაქტორი ხ. ცინცაძე
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორები: ნ. ლომაძე, მ. ხანდირაძე, ნ. ლოლაძე
გამომშვები გ. მინდიაური

ИБ — 843

ჩაბარდა წარმოებას 10/VII-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VI-81 წ. ფორმატი 60 × 90¹/₁₆. ქაღალდი საბეჭდი № 3. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 25,5. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 23,73. ტირაჟი 60.000 ეგზ. შეკვეთა № 813.

ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მერანი". რუსთაველის 42
თბილისი. 1981

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

И (Латин.)
84—31
Г 170

ჰაიტელი მწერლის მანუელ დე ხესუს გალვანის ისტორიული რომანი „ენრიკილიო“ ლათინური ამერიკის პროგრესული ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა. ამ რომანს საფუძვლად უდევს ფაქტებისა და ამბების მრავალფეროვანი სარჩული. იგი აღწერს XV საუკუნის ინდიელთა ბრძოლას რასიზმის წინააღმდეგ.

თარგმანი ელენე კოტეშანის

I — გამოცდა

70304 — 48
Г———————98—81
М 604(08) — 81

© გამომცემლობა „მერანი“, 1981

პირველი ნაწილი

I

ყოყმანი

ხარაგუა... ამ ქალაქის ბრწყინვალება ამერიკის ისტორიას აცისკროვნებს ისეთივე ნათელით, როგორც ბრწყინავს უძველეს მითოლოგიურ გადმოცემებში უმწიკვლო არკადია, ჰესპერიდების ოქროს ბაღები, ტემპეის მშვენიერი ველი და დედამიწის სხვა მომხიბლავი კუთხეები, რომლებიც თვით ბუნებას გაუჩენია ადამიანის წარმოდგენათა გამოსაფხიზლებლად და დამატყვევებლად. სწორედ ასეთ ბედნიერ და ზღაპრულად მდიდარ მხარედ წარმოუდგათ თანამედროვე არგონავტ-დამპყრობლებს ინდიელთა სამეფო ხარაგუა. ამ ღვთით კურთხეული ქვეყნის მცხოვრებნი, რომელსაც მართავდა მშვენიერი და კეთილი ქალი, გამოირჩეოდნენ თვინიერებით, ზნეობრივი სისპეტაკით, ნათელი გონებითა და მიმზიდველი გარეგნობით. მოსულები გააოცა მათი ჩაცმულობის კეთილშობილურმა სისადავემ, სადღესასწაულო რიტუალის დიდებულებამ და არაჩვეულებრივად გულთბილმა, გულითადმა სტუმართმოყვარეობამ. აქ გამეფებული პირველყოფილი ცხოვრება მკვეთრი კონტრასტი იყო იმ ცივილიზაციისა, შუბის წვერით რომ მოჰქონდა რკინაში ჩამჯდარ, ბეწვაშლილი ძაღლების ხროვით გარშემოხვეულ ესპანელ მხედრებს, რომლებიც ცხენთა ფლოქვებით თელავდნენ მიწას.

საშვილიშვილოდ დაიმკვიდრეს სამარცხვინო ხსოვნა დამპყრობლებმა, ცეცხლსა და სისხლში ჩაახრჩვეს ეს მშვენიერი მხარე და ხანძართა მეწამული ანარეკლით აგიზგიზებული აებედი შარავანდით შემოსეს იგი. გაშალეთ სისხლიან დანაშაულთა გრაგნილი და გაიგებთ, როგორ დაიღუპა ბედნიერი, მშვიდობიანი პატრიარქალური წყობის ქვეყანა, ნამდვილად ამქვეყნიური სამოთხე, წმინდა და უწყინარი, და მისი ბრძენი მმართველი ქალი, განთქმული ყოველგვარი სათნოებით, რომელმაც შეძლო დაემსახურებინა ქვეშეკრდომთა სიყვარული. ოთხმოცზე მეტი კასიკი, კეთილშობილი ინდიელი ბელადები, რომლებიც ანაკაონას — ხარაგუას მმართველ ქალს — ზეიმის დროს შემოეკრიბა ტახტის გარშემო, ერთად დაიღუპნენ დაუვიწყარ საბედისწერო დღეს, ერთნი — დაუნდობელი რკინით განგმირულნი, სხვები კი — ულმობელა ხე-

ლით კოცონში გადაყრილნი. მათთან ერთად საშინელ ხვედრს ვერ გადაურჩა უწყინარი პრინცესა, უკანონო სასამართლომ სამარცხვინო სიკვდილი — ჩამოხრჩობა მიუსაჯა. ასე ტრაგიკულად დაასრულა თავისი საქმიანობა სახელმწიფოებრივ აუცილებლობას ამოფარებულმა ფანატიზმმა.

ამბავს, რომელსაც ეძღვნება ჩვენი მონათხრობის ფურცლები, ღრმად აქვს ფესვი გადგმული იმ შავბნელ დრამაში, რაც მოხდა ჩარაგუაში. აი, რატომ მოგვიხდება, ნებით თუ უნებლიეთ, ყურადღების გამახვილება მკაცრ კომანდორ ნიკოლას დე ოვანდოს შეუხედავ გარეგნობაზე. რომლის მიზეზითაც მოხდა ეს შემაძრწუნებელი უბედურებანი. კუნძულ ესპანიოლის გუბერნატორად დანიშნული და კათოლიკე მეფეების მიერ განუსაზღვრელი უფლებებით მოსილი ყოველისშემძლე მმართველი ოვანდო უმოწყალო სიმკაცრით მოქმედებდა კოლუმბის ნაყოფიერი გენიით აღმოჩენილ ქვეყანაში; მიუხედავად ამისა, ახალი სამყაროს ცივილიზაციის ჩასახვა არანაკლებადაა დაკავშირებული მის სახელთან, და ამერიკაში დაარსებული პირველი ევროპული კოლონია სანტო-დომინგო, მისი მმართველობით, ერთხანს იძენს მეტროპოლიის ხასიათს. ამ მხარეებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც ესპანელებმა დაიპყრეს მოგვიანებით.

ახლა მიეუბრუნდეთ ამ ტრაგიკომიკურ ამბავს, რომელმაც დახოცა ქვეყნის უიარაღო და მიმნდობი კასიკები. გავიდა ოცი დღე გაუგონარი ანგარიშსწორებიდან, სისხლისმსმელი კომანდორი კი, თითქოს საშინელი დანაშაულის ჩადენისას დახარჯული ძალის აღდგენას ესწრაფისო, ისევ უმოქმედოდ გახლდათ, რაც უცხო იყო მისი მოქმედი, სასტიკი ხასიათისთვის; გეგონებოდათ, ფარულად ქენჯნიდა სინდისი და ყოყმანობდა, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. თუმცა იგი ცდილობდა სხვაგვარად აეხსნა ეს მისთვის უჩვეულო უმოქმედობა. კომანდორის სიტყვებით, პირქუში დუმილი ხანგრძლივად რომ ეუფლებოდა, და უძილობა, რომელიც ღამღამობით ციებცხელებიანივით გამოაგდებდა ხოლმე საწოლი ოთახიდან ოკეანის ნაპირზე, გამოწვეული იყო მხოლოდ იმაზე ფიქრით, თუ ამ მშვენიერ სანაპიროზე სად ჩაეყარათ საფუძველი ქალაქისათვის, რომელსაც წილად ხვდა საუკუნოდ დაემკვიდრებინა სახელი მმართველისა, პირველ ესპანურ კოლონიაში შთამომავლობას დაეუწყარი სამსახური რომ გაუწია. გარდა ამისა, კომანდორი დიდად წუხდა ანაკაონას ქალიშვილის, ახალგაზრდა და მშვენიერი იგემოტას ბედიღბალზე. იმ დროისათვის ცნობილი რომ გახლდათ ქრისტიანული სახელით დონია ანათი. იგემოტა მამაცი, მაგრამ უიღბლო ერნანდო დე გევარას მეუღლე იყო და მისი დაღუპვის შემდეგ დარჩა მცირეწლოვანი ქალიშვილით ხელში. კომანდორი ხარაგუაში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე დახვეწილი თავაზიანობით ექცეოდა მშვენიერ ინდიელ ქალს,

გაათკეცებულ უურადღებას არ აკლებდა მას შემდეგ, რაც სანტო-დომინგოში გაისტუმრა მისი დედა, რომელსაც თან აახლა დანაშაულებათა მოკლე ნუსხა. უბედურ ქალს სახრჩობელაზე რომ არ ააცდენდა.

ჰეშმარიტმა სიბრალულმა ახალგაზრდა იგემოტას მიმართ, რომელმაც ასე ადრე განიცადა სიმწარე, თუ მისი განსვენებული ქმრის ნათესავების პატივისცემამ, განსაკუთრებულ მოწიწებას რომ აკლენდნენ ქვრივისა და მისი მშვენიერი ბავშვის. მენსიას „ბედნიერებისადმი. — შეიძლება. ამით პატივმოყვარულ ზრახვებს ელოლიავებოდნენ. — აიძულა ოვანდო, რომელმაც ყოველად გაუმართლებელი სიმკაცრე გამოიჩინა ანაკონასთან, მის ქალიშვილს მეტისმეტი უურადღებით მოქცეოდა. კომანდორის ადგილზე სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა ეჭვი მიეტანათ ანასთან სასიყვარულო დამოკიდებულება აქვსო. მაგრამ ოვანდო ერთგულად იცავდა ზნეობის უმწიკვლო სიმკაცრეს, არასდროს არ არღვევდა თავის თავისთვის მიცემულ აღთქმას. მაგრამ ცრუ პირობითობის საამებლად კეთილშობილური და წმინდა აღტყინების უმოწყალოდ ჩახშობისათვის ბუნება ხშირად სჯის ადამიანს და ამახინჯებს მის სულს.

და მართლაც, სწორედ ამ მორალურ სიმახინჯეში იმალებოდა კომანდორის უსაზღვრო სიმკაცრე.

ამრიგად, იგემოტა, ანუ დონია ანა დე გევარა, როგორც ჩვენ შემდგომ მოვიხსენიებთ, არამცთუ არ შეიპყრეს, არამედ, როგორც ინდიელთა პრინცესამ და ქრისტიანმა — დამპყრობლებს შორის ჰპოვა თავის უფლებათა მხარდაჭერა. დონია ანას რეზიდენცია იყო მისი მშობლების ყოფილ სასახლესთან ახლოს, სადაც ესპანელები დაბანაკდნენ იმ დღის მოლოდინში, როცა ოვანდო ბოლოს და ბოლოს მოუთითებდა ახალი ქალაქის ასაშენებელ ადგილს.

ახალგაზრდა ქვრივს მისივე შერჩევით დაქირავებული ინდიელების მთელი შტატი კაცები და ქალები — ემსახურებოდა. იგემოტა მაშინ სრულუფლებიანი ქალბატონი იყო, მაგრამ გამოუცდელობის გამო, ვერ სარგებლობდა ამ მდგომარეობით და მხოლოდ დევნილი ღარიბების მფარველი გახლდათ. მისი განსვენებული ქმრის ერთმა ნათესავმა გამოითხოვა გუბერნატორის მწყალობლური ნებართვა. ქვრივის მამულების მმართველი გახდა და თავთ იდო მის ქონებაზე ზრუნვა. აქედან მოყოლებული, მისი ენერგიისა და სიყოჩაღის წყალობით მიწები გამიჯნულ იქნა და მუშაედებოდა ინდიელების მიერ. დონია ანა დე გევარას სახელით; ამ გარემოებით დიდად სარგებლობდა მისი განსვენებული ქმრის ნათესაობა. იმეორებდა რა ამ ქვეყნად ყოველ დროში ცნობილ, არაიშვიათ მაგალითს.

მწარე ხვედრით შეძრწუნებული საწყალი ქალი მცირე შვებას ხედავდა პატივისცემაში, თავაზიანი ესპანელები რომ მიაგებდნენ. ამ

პატივისცემაზე იგი უარს არ ამბობდა, რადგან იდუმალი ხმა კარნახობდა, რომ მისი დედობრივი მოვალეობა იყო მთელი სიცოცხლე შეეწირა ხანმოკლე და უბედური ცოლქმრული კავშირის ნაყოფისათვის— მენსიასთვის. სამი წლის ბავშვი ცოცხალი სურათი გახლდათ ულამაზესი მამის. მამაცი ახალგაზრდა ესპანელისა, რომელიც გაფურჩქვნის წლებში მდაბალი, შურიანი მოქიშპის ვერაგი დე როლდანის მსხვერპლი შეიქნა. ამ სამწუხარო მოგონებებს მალე დაერთო მძიმე შეშფოთება: საბრალო იგემოტას ფვალწინ დაიღუპა თითქმის მთელი მისი ნათესაობა, რომლებიც კასტილიელმა მეომრებმა დახოცეს, და, ბოლოს, იგი განაშორეს დედას, თავისი ნაზი სიყვარულით ახალგაზრდა ქალს დაავადებულ, დატანჯულ გულს რომ უთბობდა. ყოველ გაუბედავ შეკითხვაზე, თუ რა ბედი ელოდა სანტო-დომინგოში მყოფ წარჩინებულ ტყვე ქალს, იგემოტა გუბერნატორისაგან ისმენდა ორჭოფულ პასუხს, და თუმცა მას აზრად არ მოსდიოდა, თუ დედამისს სიკვდილი ემუქრებოდა. მტანჯველი შიში წუთითაც კი მოსვენებას არ აძლევდა.

დონია ანას სახლში ცხოვრობდა მისი ძმისშვილი, შვიდი წლის ბავშვი, ბიჭს ძველებურად ინდური სახელი გუაროკუია ერქვა. იგი ჯერ არ იყო მონათლული, რადგან მამამისი მაგიკატექსი. ბაორუკოელი კასიკი, ანაკაონას ძმისშვილად რომ ეკუთვნოდა, მთიდან ბარად არ ჩამოდიოდა მას შემდეგ, რაც კუნძული უცხოელებმა დაიპყრეს: მხოლოდ ანაკაონას დაჟინებული თხოვნით, რომელსაც უნდოდა ყველა მის ნათესავს ერთგულების საზეიმო ფიცი მიეცა კომანდორ ოვანდოსთვის, ამაყი კასიკი მცირეწლოვან შვილთან ერთად გამოცხადდა ხარაგუაში, სადაც მოკლული იქნა თავიანთი მმართველი ქალის ერთგულ სხვა ინდიელ ბელადებთან ერთად. ბავშვი გადაარჩინა ვიღაც კეთილისმყოფელმა უცნობმა ესპანელმა. მან ბიჭი და შეძრწუნებული იგემოტა მოაშორა სისხლიანი ანგარიშსწორების ადგილს; დაღუპული კასიკის შვილი იმ დღიდან დარჩა მამიდის ხელში და ინაწილებდა იმ პატივისცემას, რაც იგემოტას ხვდებოდა წილად. ახალგაზრდა ქალი სახლიდან მარტო, უბავშვებოდ არ გამოდიოდა. განსაკუთრებით მწუხრისას, როცა ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ირგვლივ ყველაფერს იდუმალი მწუხარებით მოსავდა. ამ დროს დონია ანა თავის პატარა გოგონას ხელს ჩაკიდებდა, ჩვეულებრივ, მახლობელი ჭალისაკენ მიდიოდა, თავისი სახლიდან სამიოდე ნაბიჯით დაშორებულ ფერდობამდე მივიდოდა და ჩამოჯდებოდა ტოტებგაშლილი წითელი ხის ქვეშ: მწვანე ხალიჩასავით გადაშლილ მინდორზე მოთამაშე ბავშვებს თვალს ადევნებდა და თავის უბედურებას ივიწყებდა. ეს იყო ნაკრძალი: პირქუში გუბერნატორის ბრძანებით ამ ადგილას მოსვლა ეკრძალებოდა ყველა გარეშე პირს, ინდიელი იქნებოდა ის თუ ესპანელი.

თვითონ გუბერნატორი მხოლოდ ორჯერ ესტუმრა დონია ანას:

პირველად სისხლისღერის მეორე დილას, რომ დაობლებული ქალწ მწუხარება შეემსუბუქებინა, შეეთაყვანებინა თავისი მფარველობა და უზრუნველეყო ცხოვრებისათვის აუცილებელი ყოველი სიკეთით; მეორედ და უკანასკნელად იგი მასთან გამოცხადდა. როცა იგემოტას დატყვევებული დედა სანტო-დომინგოში გაამგზავრა. ამ შეხვედრისას დონია ანამ ცრემლების ფრქვევით შეშფოთებული შეკითხვები მიაყარა თავისი უბედური დედის ბედ-იღბალზე: დარცხვენილმა და დაბნეულმა კომანდორმა, რომელმაც არ იცოდა, რა ეპასუხა და რით დაემშვიდებინა ავი წინათგრძნობით აღელვებული ქალი, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვა მასთან სტუმრობაზე. მხოლოდ სანდო მსახურებს უბრძანა ძალ-ღონის დაუზოგავად, ბეჯითად ეზრუნათ ახალგაზრდა ქალზე, არ მოეკლოთ მისთვის ყურადღება და მზრუნველობა.

გადიოდა დღეები. არავითარი არსებითი ცვლილებები არ ხდებოდა არც ოვანდოსთვის, რომელიც ძველებურად აშკარად ყოყმანობდა. და არც დონია ანასა და ორი პატარისათვის. მის ცხოვრებას რომ ამშვენებდნენ. მაგრამ ერთხელ. შებინდებისას, ხარაგუაში მომხდარი ტრაგედიიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. როცა ბავშვები. ჩვეულებისამებრ, ცელქობდნენ ტყის ფერდობზე შეფენილ მინდორზე. დამწუხრებული და ხიდან მოტეხილ ტოტივით უმწეო ახალგაზრდა ქალი კი თვალცრემლიანი უყურებდა და სიმშვიდეს პოულობდა ბავშვების ამ გულუბრყვილო, ამაღელვებელ თამაშში, რაც სრულიად შეუსაბამო იყო მისი დაბნეული გრძნობებისათვის, იქვე, ბარდნარის სიღრმიდან, მოულოდნელად გაისმა ჩუმი, მშვიდი ხმა:

— იგემოტა, არ შეგეშინდეს და მომისმინე.

ახალგაზრდა ქალი სასწრაფოდ წამოდგა, მიბრუნდა იქით, საიდანაც ხმა მოისმა და მტკიცედ ჰკითხა:

— ვინ მელაპარაკება? სად ხარ? რა გინდა?

— ეს მე ვარ, შენი ძმა გუაროა, — გაისმა პასუხად. — შენ სახსნელად მოვედი.

იმ წუთში დაკორძებული სეიბის ფუღუროდან გამოჩნდა. ინდიელი და ადგილზე გაქვავდა, თან სიფრთხილის გამო ისევ ხეებს ეფარებოდა. შესახედავად ოცდახუთიოდე წლის, მაღალი. ძლიერი კაცი ჩანდა. თვინიერი დიდი თვალები ჰქონდა, შუბლს ახალი ნაჭრილობევი უმშვენებდა, ღია ფერის უხეში ქსოვილის ლაბადა მუხლებამდე წვდებოდა და ზედ ტყავის სარტყელი ეკეთა; მეორე. მუქი ფერის ლაბადა, უფრო სწორედ. საბანი, რომელსაც თავის ამოსაყოფად ჭრილი ჰქონდა გაკეთებული. ტანს უფარავდა, ხელ-ფეხი კი უჩანდა: ფეხზე იგუანის ტყავისგან შეკერილი მოკასინები ეცვა: მთელი მისი იარაღი გახლდათ ტყავის ქარქაშიანი სანადირო დანა და აკანის ხის მაგარი კეტი. რომე-

ლიც სიმაგრით რკინას არ ჩამოუვარდებოდა. დონია ანას წინაშე ინდიელმა მონიწებით მოიხადა ჩალის გახუნებული ქუდი და გაბრუნდა ხშირი, შავი, მხრებზე ჩამოშვებული სწორი თმა.

II

განშორება

ყმაწვილის დანახვაზე იგემოტას საშინელი ყვირილი აღმოხდა. ცრუმორწმუნეობა უმტკივნეულოდ შესისხლხორცებოდა ქალის რელიგიურ გრძნობას და გულუბრყვილოდ სწამდა, თითქოს მიცვალებულთა სულებს შეუძლიათ მიიღონ ადრინდელი გარეგნობა ცოცხლების წინაშე გამოსაცხადებლად. თავისი ბიძაშვილი გუაროა სხვა კასიკებთან ერთად დაღუპული ეგონა იმ დღეს, როცა შეიპყრეს აპაკაობა. და იგი საიქიოდან დაბრუნებულ მოჩვენებად ჩათვალა; ამიტომ იყო, რომ პირველად გასაქცევად მოემზადა.

ათრთოლებული იგემოტა სახლისკენ უნდა გაქცეულიყო, მაგრამ დედობრივმა გრძნობამ შიშს სძლია; შვილის მოსაძებნად მობრუნებულმა იგემოტამ დაინახა, რომ პატარას ყურადღება მიეპყრო ლაპლაპაფრთიან პეპელას, რომელიც მისთვის დაეჭირა გუაროკუიას. ბიჭი კი ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა კეთილ უცნობს. ტყიდან ფერდობზე რომ ჩამოდიოდა ბავშვების შესახვედრად. ამან დაამშვიდა შემკრთალი ქალი; როცა მოსულს დააკვირდა და პირველი შიშის გრძნობა დაიმორჩილა, გაიფიქრა, რომ მის წინ ნამდვილად ცოცხალი ადამიანი იდგა; ბიძაშვილთან ადრინდელმა სიახლოვემ გააბედვინა მიახლოებოდა და ნდობით გაეწოდა ხელი:

— გუაროა. მე ხომ დაღუპული მეგონე და დაგტიროდი.

— არა იგემოტა, — უპასუხა ინდიელმა, — მხოლოდ დამჭრეს თავში: უგრძნობლად დაეცი შეტაკების დაწყებისთანავე. როცა გონს მოვედი, ირგვლივ მხოლოდ მიცვალებულები დავინახე; მათ შორის შევიცანი მამა და ძმა მაგიკატექსი; ძმის თავი ჩემ მუხლებზე იდო.

უკვე ბნელოდა, ირგვლივ არავინ იყო, გველივით გაცურდი მთაში; იქ ნათესავის ქოხში ვიმალებოდი, ვიდრე ჭრილობა შემეხორცებოდა. ჩემი პირველი საზრუნავი იყო მეგობრები გამეგზავნა და გამეგო, თუ რა ბედი გეწვიათ შენ, ანაკაონას და სხვა ჩვენ ახლობლებს. ტამაიომ მალე მოახერხა გამოქცევა, მომძებნა მთაში და ყველაფერი მიამბო. თუ ცუდად გრძნობ თავს, თუ ურიგოდ გექცევიან, ან საფრთხე გელის. წამოდი ჩემთან მთაში, საიმედო ადგილას გადაგმალავ. ნაპოვნი მაქვს საიმედო თავშესაფარი ყველა ჩვენი მოძმისთვის. გადაწყვიტე მალე. აქედან ცოტა მოშორებით ორი მეგობარი მიცდის.

— გმადლობთ, გუაროა, ჩემო ძმაო, — თქვა იგემოტამ. — მადლობელი ვარ შენი მზრუნველობისთვის; ეუმადლი ზეცას. რომ ცოცხალი და უვნებელი ხარ. ეს არის ჩემი ნუგეში ამ უბედურებაში ყოფნის ჟამს; ჩემი უბედურება უდიდესია, უსაზღვროა. ძვირფასო ძმაო, მაგრამ მთაში გაქცევა ვერ შემომსუბუქებს მას. მხოლოდ გულის ტკივილი მაწუხებს: დანარჩენზე, მართლა, ვერაფერზე დავიჩივლებ. როგორც გევარას ქვრივს, საკადრის პატივს მცემენ, ეს წოდება მავალებს, ვიცოცხლო ჩემი გოგონა მენსიასთვის. იგი მამის გვარს ატარებს, გარს ესპანელი ნათესავები ახვევია, ყველას ძალიან უყვარს. არა მგონია, რომ დევნა დაგიწყონ, მაგრამ მაინც ჯობია ჯერჯერობით ისევ მიიმალო, სანამ არ შეგატყობინებ, რომ საშიშროებამ ჩაიარა.

იგემოტას ესპანასკნელი სიტყვების გაგონებაზე გუაროა მოიღუშა.

— ხომ არ გგონია, რომ ამ ავაზაკებთან მოწყალების წან პატიების სათხოვნელად მოვედი? — უთხრა მან იგემოტას. — არა, არასოდეს! დარჩი მათთან: შენ ინდიელი აღარა ხარ მას შემდეგ, რაც მოინათლე და ხელი გაუწოდე დონ ერნანდოს; გევარას გარდა, მხოლოდ ორ კეთილ ესპანელს ვიცნობდი: დონ დიეგოს და დონ ბარტოლომეს, ისინი ყოველთვის კარგად ეპყრობოდნენ ინდიელებს. დანარჩენები ყველანი ნამდვილად ავაზაკები არიან. ძალით უნდათ ჩვენი გაქრისტიანება. და მხოლოდ იმ ორს უნდოდათ, რომ ჩვენთვის ჯერ დაწერლობა და ქრისტიანული რწმენა ესწავლებინათ. როცა ჩვენ ყველანი მზად ვიყავით მიგეღო ქრისტიანული რწმენა და გვეგონა, რომ დღესასწაულები დამთავრდებოდა ნათლობით, კურდღლებივით დაგვიწყეს ხოცვა: ზოგი შუბებით და შანთებით დახოცეს, სხვები ცოცხლად დაწვეს. ჩვენი ღმერთების რწმენა დაეკარგე — მათ ხომ ძალა არ ეყოთ ჩვენ დასაცავად, მაგრამ ასევე არ მჯერა ესპანელებისაც...

— ნუღარ გააგრძელებ ლაპარაკს, გუაროა. — შეაწყვეტინა ახალგაზრდა ქალმა. მეტისმეტად მტკივა გული. შენ მართალი ხარ, გაიქეცი მთაში, მე კი ნება მომეცი შევასრულო ჩემი ვალი. და დაე, აღსრულდეს ჩემი ბედი. ასე მირჩია ერთმა კეთილმა ესპანელმა, იმასაც დონ ბარტოლომე ჰქვია. მე ქრისტიანი კარ და ვერ ვბედავ მეჯავრებოდეს ისინი, ვინც ბოროტად გვექცევიან.

— მე ქრისტიანი არა ვარ, იგემოტა, თუმცა ამაში არ მიმიძღვის დანაშაული, — მწარედ თქვა გუაროამ, — მაგრამ არც მე შემიძლია სიძულვილი; და არ მესმის, ადამიანებს, რომლებიც თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებენ, როგორ შეუძლიათ ჩვენ, ინდიელებს, მკაცრად მოგვეჭცნენ, როცა მათი ღმერთი უწყინარი და კეთილია. მე მთაში გავურბივარ სიკვდილს, უფრო სწორედ მონობას, — იგი სიკვდილზე საშინელია. მშვიდობით დარჩენას გისურვებთ, მაგრამ გამოუშვი მთა-

ში ჩემი ძმისშვილი გუაროკუია, დაე იგი გაიზარდოს თავისუფალი და ბედნიერი. გამოუშვი, ჯერ ხომ მონათლული არ არის, ის ობოლია, თეთრებს შორის არ ჰყავს არც ნათესავი, არც მფარველი და იქნებ, ხვალ ისეთი ავი ბედი ეწიოს, რომ დღესვე სჯობდეს მისი სიკვდილი. შენ რას იტყვი ამაზე?

იგემოტამ, რომელიც თავდახრილი უსმენდა ახალგაზრდა ინდიელს, სასოწარკვეთილებით სავსე თვალები მიაპყრო მას; იგემოტას სახე ცრემლებით ჰქონდა დანამული.

— გაგატანო გუაროკუია! — შესძახა ნაღვლიანად.—არასოდეს! იგი ჩემი გოგონას ამხანაგია. ერთად თამაშობენ, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არსებაა დედაჩემისა და მენსიას შემდეგ. რა გეშველებოდა, მას რომ ჩვენს სახლში არ ეცხოვრა?

— მაშ ბიჭმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი, — ზარზეიმით წარმოთქვა გუაროამ. — არც შენ და არც მე არა გვაქვს უფლება მის მაგივრად მივიღოთ გადაწყვეტილება. მამაზეციერი გაგვცემს პასუხს ამ ბავშვის პირით.

ბიჭს ხელი მოჰკიდა გუაროამ, თავისა და აქვითინებულ დონია ანას შორის ჩააყენა და ჰკითხა:

— თქვი. გუაროკუია, გინდა აქ დარჩე, თუ თანახმა ხარ ჩემთან ერთად მთაში წამოხვიდე?

ბიჭმა შეხედა გუაროას, დონია ანას, შერე მზერა მიაპყრო მენსიას, რომელიც იქვე ახლოს განაგრძობდა თამაშს მინდვრის ყვავილებთან და მტკიცედ თქვა:

— არ მინდა აქედან წასვლა!

გუაროამ ვერ დაფარა წყენა, მაშინ. როცა აცრემლებულმა იგემოტამ გაიღიმა, — ხანდახან წვიმის დროს ასე გამოანათებს ხოლმე ცაზე ცისარტყელა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა; გულნატკენმა ინდიელმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს ვინმეს მხარდაჭერას ელოდა, მერე უცებ მიბრუნდა ბიჭისაკენ, ხელი წინ, ველისაკენ გაიწოდა და უჩვენა ნახევრადშიშველი ჩამოკონკილი ადამიანი, რომელიც შეშის მძიმე კონის ქვეშ მოხრილიყო.

— თქვი, გუაროკუია, — დაუყვირა გაცოფებულმა გუაროამ,—გინდა მთაში თავისუფლად იცხოვრო და იყო ინდიელთა ტომის ბელადი, თუ თანახმა ხარ, როცა გაიზრდები, ზურგით ათრიო შეშა და წყალი, ამ საცოდავი მონის მსგავსად, ველზე რომ ხედავ?

თითქოს შავმა ღრუბელმა გადაურბინა ბავშვს სახეზე; ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეხედა მენსიას, იგემოტას და მტკიცედ უპასუხა:

— მინდა თავისუფალი ვიყო!

— შენში ჩემი სისხლია, — ამაყად თქვა ინდიელმა ბელადმა.—ახლა რაღას იტყვი იგემოტა?

დონია ანა დუმდა, თითქოს ღრმა ფიქრებში იყო წასული, თვალს ადევნებდა შეშის კონის ქვეშ მოხრილ ინდიელს, რომელიც დროზე გამოჩნდა, რომ ახალგაზრდა ინდიელს დახმარებოდა გამარჯვებაში. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, ათრთოლებულმა ორივე ხელი მოჰკიდა თავზე გუაროკუიას, დიდხანს ნაზად ჰკოცნიდა შუბლზე და სახეგაბრწყინებულმა უბიძგა ბავშვს გუაროასკენ.

— შენ მართალი ხარ, ასე ჯობია, — თქვა მან.

ბიჭი გუაროას ხელიდან გაუსხლტა, სწრაფად მიირბინა მენსიასთან, გოგონას თავისი პაწაწინა ხელები მოხვია და სახე დაუკოცნა, მერე ცრემლიანი თვალები მოიწმინდა, მტკიცე ნაბიჯით დაბრუნდა გუაროასთან და იგემოტას სიტყვები გაიმეორა:

— ასე ჯობია.

გუაროამ ერთგულად და პატივისცემით ჩაიკრა გულში იგემოტას ხელი და გამოემშვიდობა. გულმავიწყობის თუ რაღაც სხვა მიზეზის გამო ინდიელს არც ერთი საალერსო სიტყვა არ უთქვამს მენსიასთვის; ბიჭს ხელი ჩაჰკიდა და ტყისკენ იბრუნა პირი. მალე თვალს მიეფარა უშველებელი ასწლოვანი ხეების მიღმა, სადაც მას ორი მეგობარი ელოდა, ისეთივე ახალგაზრდანი და ძლიერები, როგორიც თვითონ იყო.

III

მგელი და კრავი

დონია ანას მმართველს, ანდა მაჟორდომს, ორმოცი წლის მამაკაცს პედრო დე მოხიკა ერქვა; იგი მართლაც ნათესავად ერგებოდა განსვენებულ გევარას, მაშასადამე, მის ქალიშვილ მენსიასაც.

ბუნებას სიძუნწე გამოეჩინა მის მიმართ: მახინჯი გარეგნობის გარდა, იგი მდაბალი, ბილწი სულის პატრონი იყო. მის სახეს ამახინჯებდა დამცინავი მანჭვა. ამ მანჭვით საყოველთაო სიცილს წვევდა. ცდილობდა შეემსუბუქებინა ხშირი, ჯაგარივით წარბებით. მტაცებელი ფრინველივით მოკაუჭებული ცხვირითა და უზარმაზარი, ყურიდან ყურამდე გაჭრილი პირით მოხდენილი საზიზღარი შთაბეჭდილება. სწორედ შესაფერისი ჰქონდა ტანადობაც. იგი კოხტად იცვამდა, მაგრამ ხავერდის კამზოლი, მოკლე, ატლასის შარვალი, დიდებული ფრთები ფარფლიან ქუდზე და პრიალა იარაღი ვერაფრით ვერ ეხამებოდა მსუქან, კუზიან ზურგს და მრუდე ფეხებს. უცვლელი დამცინავი ჩაცინება, რომლითაც მაჟორდომი ამაოდ ცდილობდა სასიამოვნო ყოფილიყო, აგვირგვინებდა ამ ადამიანის პორტრეტს და მას სასაცილოს

ხდიდა ყველას თვალში, ვინც შესძლებდა პატივცემული იდალგოს მახინჯი სახის დანახვით გამოწვეული ზიზღის დაძლევას.

დონ პედრო დე მოხიკა საზრიანი იყო და საქმეებს გონივრულად მართავდა; ამ გაუმაძღარი ჩარჩის გონება მას ყოველთვის გამარჯვებისა და წარმატების გზაზე აყენებდა. სანამ მისი მეგობრები და თანამემამულენი კოლონიაში უმდიდრესი ოქროს ქვიშრობების ზღაპრით ძილმოგვრილნი, აღგზნებული წარმოდგენით შექმნილ დამაბრმავებელ, მაგრამ ცრუ აჩრდილს ადევნებულნი, კარგავდნენ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ჩვენი გმირი წინ მიიწევდა უფრო მშვიდობიანი და საიმედო ბილიკით: თვალის ერთი გადაელებით შეაფასა ის სარგებლობა, რომელიც შეიძლებოდა მიეღო ნაყოფიერი მიწიდან და დამონებული ინდიელებისაგან, იგი ჭორივით, მიზანში რომ ამოიღო მსხვერპლი, მაგრად ჩააფრინდა ქვრივს — დონია ანა დე გევარას, რომლის წოდება და განსაკუთრებული მდგომარეობა მას შეუზღუდავ შესაძლებლობას აძლევდა ანგარებიანი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. იგი ხომ, როგორც ნათესავი, თვით ბედისაგან იყო დანიშნული პატარა მენსიას მფარველად.

ამრიგად, დონ პედრომ განიზრახა გამხდარიყო მეურვე გამოუცდელი დონია ანასი, რომელსაც მისი სიტყვებით, არ შეეძლო ეზრუნა თავისი ინტერესებისათვის; თუმცა მოხერხებულმა იდალგომ შეძლო სასიამოვნო ქცევითა და ლაპარაკით მოეპოვებინა ოვანდოს კეთილგანწყობა, მან მაინც უარი უთხრა თხოვნაზე, რადგან ეშინოდა, მეურვის წოდების მიღების შემდეგ დონ პედრო არ გადაქცეულიყო სრულუფლებიან დესპოტად, რაც უფრო დაამძიმებდა კომანდორის ისედაც შელახულ სინდისს.

ოვანდომ, რომელსაც ვერ წარმოედგინა, რომ ქედმაღალი იდალგო დაეთანხმებოდა მაჟორდომობაზე, უპასუხა, რომ დონია ანას, როგორც ყოველ კასტილიელ ბანოვანს, უფლება აქვს თავის თავსა და თავის ოჯახს მოექცეს საკუთარი შეხედულების მიხედვით, ამიტომ მას მხოლოდ კარგი მმართველი სჭირდებაო, და უსაზღვროდ გაოცებული დარჩა, როცა დონ პედრომ, თავისი პატარა ნათესავის ინტერესები მოიმიზეზა და სურვილი განაცხადა, ეს თავმდაბლური მოვალეობა თვითონ შეესრულებინა.

გუბერნატორი სიამოვნებით შეხვდა ასეთ პატიოსან და თვინიერ მეძიებლობას, მალე დონ პედრო გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და მთელი ძალით გამოავლინა მმართველობის არაჩვეულებრივი ნიჭი.

დონ პედროს ყველაზე უფრო სწყუროდა დონია ანას გულის მონადირება: ამ მიზნით მან აამოქმედა სასიყვარულო გრძნეულება, გამოავლინა უდიდესი ხელოვნება და სიმამაცე, იმაზე მეტს რომ იმსახურებდა, რისთვისაც აქამდე მიეღწია: უიღბლო მოარშიყის თავაზიან ჩა-

ციებას აჰალგაზრდა ქალმა ისეთი ულმობელი გულცივობითა და ზიზღით უპასუხა, რომ დონ პედრო მალე დარწმუნდა თავისი უაზრო ცდის უნაყოფობაში.

მაშინ გადაწყვიტა თავის მფარველ ოვანდოსთვის ეთხოვა ახალგაზრდა ქერივის ცოლად შერთვა; მაგრამ, გაახსენდა. გუბერნატორი ყოველთვის მოკრძალებული პატივისცემით იხსენიებდა დონია ანას და ხელი აიღო თავის განზრახვაზე, იმის შიშით, რომ სრული მარცხი არ განეცადა იმ შემთხვევაში, თუ ოვანდო მიხვდებოდა მისი პატივმოყვარული ჩანაფიქრისა და ეშმაკური მოქმედების ფარულ მიზეზს.

ამრიგად. მობიკა შეურიგდა მმართველის როლს და უნდა ითქვას, ამ მოვალეობას თავს ართმევდა იშვიათი მოხერხებულობით. თავგამოდებით იცავდა დონია ანას, როგორც ინდიელი პრინცესას და ქრისტიანი სენიორის უფლებებსა და პრივილეგიებს; უხვად აფრქვევდა ქებასა და ალერსს „თავის საღმერთებელ ძმისშვილს“ მენსიას, პირობა დადო, რომ მას მისცემდა საუკეთესო განათლებას, გაზრდიდა მის მემკვიდრეობას. ხოლო როცა დრო დადგებოდა, წაიყვანდა კასტილიაში, მიათხოვებდა რომელიმე დიდებულ სენიორს. ერთი სიტყვით, დონ პედრო ისე სდებდა თავს ერთგულებაზე, რომ ბოლოს და ბოლოს, მადლიერმა დონია ანამ დაიჯერა, ეს ნათესავი ღვთით იყო მოვლენილი და, ასე გულწრფელად კერავინ იზრუნებდა მისი ქალიშვილის ბედზე; ამ რწმენით გამსჭვალულმა მშვენიერმა იგემოტამ დავიწყებას მისცა პირველი სამი-ოთხი დღის განმავლობაში მაჟორდომის მომაბეზრებელი სატრფიალო ჩაცივება; მით უმეტეს. ამ ამბავში არაფერი იყო მისთვის ახალი, რადგან დონია ანა მიჩვეული გახლდათ თავისი სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებულ თაყვანისცემას.

მაგრამ, სენიორ მოხიკას ასეთი კეთილი გრძნობები როდი ამოქმედებდა, რომლის ჩვენებასაც იგი ცდილობდა. დონია ანას უარმა თავმოყვარეობა სასტიკად შეულახა; და თუ ახალგაზრდა ქალის მომხიბვლელობამ წუთიერად მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება და მის გულში სიყვარულის ნაპერწკალი აანთო, დამარცხებით განცდილმა წყენამ ეს ნაპერწკალი სიძულვილის ალად აქცია, და არაფერს არ შეეძლო იგი ისე გაეხარებინა, როგორც გაახარებდა ამ უმწეო არსების დალუპვის შესაძლებლობა. რომელზეც გარემოების ძალით და მდაბალი ანგარიშის გამო მამობრივი გრძნობით ზრუნავდა, როგორც საბადოზე. დიდძალ მოგებას რომ უქადდა.

ამიტომაც, ჯერჯერობით იგი ზრუნავდა მინდვრების გამოჯვნაზე, დონია ანას დამონებულ თანამემამულეთა სიას ადგენდა, აქა-იქ აგებდა ქოხებსა და ბეღლებს, მის გულში მწიფდებოდა უბოროტესი გეგმა, წარმოდგენა გამალებით მუშაობდა, გონება მხოლოდ ერთს ფიქრობდა, როგორ დაეღუპა დონია ანა და სრულად დაუფლებოდა იმ ქონებას, რომელსაც ამჟამად დროებით მმართველობდა.

IV

დაკითხვა

მთიდან ჩამოსულ ღამის გამჭვირვალე ბინდში თითქმის მთლიანად გაეხვია მთელი დაბლობი, როცა იგემოტამ ხელი ჩაჰკიდა თავის გოგონას და სახლისაკენ გაემართა. დამწუხრებული და ჩაფიქრებული იგემოტა გრძნობდა, როგორ სწრაფად ჰკარგავდა სიმამაცეს, რომელმაც მცირე ხნით იფეთქა მის გულში პატარა ძმისშვილთან გამოთხოვებისას.

სახლის ზღურბლთან სწრაფად მომავალი დონ პედრო შემოხვდა. ჩვეულებრივი მაამებლობით წარმოთქვა:„საღამო მშვიდობისა,. ბიძაშვილო“: თავაზიანად გაიღრიჭა და საალერსო სიტყვების ფრქვევით, ძლიერი ხელებით მაღლა აიტაცა პატარა მენსია. მერე, გამომცდელი მზერა მოავლო გარემოს და მოულოდნელად, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, წაიჩურჩულა:

— საკვირველია! სად წავიდა ეს ბიჭი,. გუაროკუია?

ძმისშვილის სახელის გაგონებაზე დონია ანა შეკრთა და გამოერკვა ღრმა ფიქრებიდან, აქამდე თავი რომ ვერ დააღწევინა მმართველის პირიდან გადმოფრქვეულმა მაამებლურმა და გადაჭარბებულმა ქებამ.

სიცრუე უცხო იყო ალალ-მართალი იგემოტასთვის: სწორედ ამიტომ არ ცდილა დაეფარა უხერხულობა, რომელიც გამოიწვია მოხიკას შეკითხვამ. მხოლოდ ახლა მიხვდა იგი მომხდარი ამბის საშიშროებას. ვინაიდან წინდახედულობა აკლდა, ამიტომ ბიჭთან გამომშვიდობებისას არ უფიქრია იმაზე, რომ მისი გაუჩინარება შესამჩნევი გახდებოდა ესპანელთა მთავრობისთვის, რაც გაელენას მოახდენდა იგემოტას მდგომარეობაზე. იგი მიჩვეული იყო და თავისუფლად უფროსობდა თავის სახლში ყველას, ვინც მას გარს ეხვია: მის ცხოვრებაში მოხიკას ჩარევა, რომელიც თავაზიან და თავდაჭერილ ფორმებში ვლინდებოდა. ძლივს იგრძნობოდა და ახალგაზრდა ქალს აზრად არ მოსვლია, რომ ვიღაცას უფლება აქვს, მოქმედების ანგარიში მოსთხოვოს.

მიუხედავად ამისა, თანდაყოლილმა საზრიანობამ უკარნახა, რომ ბიჭზე შეკითხვა უბრალოდ არ იყო დასმული და ბავშვის გაუჩინარება არასასურველი მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდებოდა. ცოტა ხანს შეყოვნდა, მოხიკას შემდეგ მექანიკურად გაიმეორა ძმისშვილის სახელი და ბოლოს სრულიად თამამად წარმოთქვა:

— იგი ერთმა კაცმა წაიყვანა.

— წაიყვანა? კი მაგრამ, სად? — ჰკითხა გაოცებულმა დონ პედრომ.

— მთაში, ნათესავების სანახავად,— მშვიდად უპასუხა დონია ანამ.

— ნათესავებთან?... ვინაა ის კაცი? — დაჟინებით განაგრძობდა და-

კითხვას მოხიკა, რომელმაც ამ მოულოდნელ ამბავში განგაშის ასატეხად სერიოზული მიზეზი იყოსა.

იგემოტამ რამდენიმე გაურკვეველი სიტყვა ჩაილაპარაკა, მერე დაკარგა მოჩვენებითი თუ ბუნებრივი სიმშვიდე, რომლის შენარჩუნება აქამდე შეძლო და აშკარად ნაწყენი გაჩუმდა.

დონ პედროც გაჩუმდა და ვახშმობისას, რომელიც მალე მოართვეს. გაფხორილი იჯდა. ნავახშმევს დაარღვია მაგიდასთან გამეფებული აუტანელი სიჩუმე, ბრაზს ძლივს მალავდა და ისევ დონია ანას მიმართა:

— ძვირფასო ბიძაშვილო, აუცილებელია, რომ სრულიად გულახდილად მაცნობოთ, ვისთან და სად წავიდა გუაროკუია.

— მე ხომ უკვე გითხარით, იგი მთაში წაიყვანა ერთმა კაცმა, — მტკიცედ უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, — და მგონია, ეს სრულიად საკმარისია, რადგან ვალდებული არა ვარ ჩემ მოქმედებაზე ანგარიში ჩაგაბაროთ.

— ეს მართალია, — ჩაილაპარაკა დონ პედრომ. რომელიც თავს ძლივს იკავებდა, — მაგრამ ჩემი მოვალეობის ღირსეულად შესრულებისათვის უნდა ვიცოდე ყოველივე თქვენი ნაცნობობა.

— გამოდის, თქვენი ტყვე ვარ. თქვენ კი ჩემი მცველი. ასე არ არის, სენიორ? პასუხი გამეცით ყოველგვარი მოკიბ-მოკიბვის გარეშე.

— არა, სენიორა, მაგრამ მე ყველაფერი უნდა მოვახსენო გუბერნატორს, ეს შემთხვევა კი იმდენად სერიოზულია, რომ აუცილებელია ყოველი წვრილმანი მოვახსენო.

დონია ანა ჩაფიქრდა: მოხიკას სიტყვებმა რაღაც ახალი გააგებინა მას; მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და მოჩვენებითი სრული თავისუფლების მიუხედავად, მთავრობა უთვალთვალებდა მის მოქმედებებს. და როცა გაიხსენა თავისი უბედური დედის მაგალითი, იგი მიხვდა, რომ არაფერია იმაზე ადვილი, მის მოქმედებაში დაინახო ბოროტი განზრახვა, რომელიც კოლონიაში წესრიგსა და სიმშვიდეს არღვევს. მაგრამ გუაროა ჯერ ვერ მოასწრებდა შორს წასვლას. იგი ხომ მხოლოდ ორი საათის წინ გამოემშვიდობა მას: ოთხი კაცი კარგი ცხენებით, ფიქრობდა დონია ანა, თავისუფლად დაეწეოდა მას და ტყვედ ჩაიგდებდნენ, ან არადა მოკლავდნენ კიდეც, რაც სრულიად შესაძლებელი იყო.

ყველა ამ მოსაზრებამ უკარნახა დონია ანას პასუხი დონ პედროსთვის, რომელიც მოღუშულ მზერას არ აშორებდა ახალგაზრდა ქალს, და გეგონებოდათ, თითქოს სწვდებოდა მის ყველაზე ფარულ აზრებს.

— სენიორ ბიძაშვილო, — დაიწყო დონია ანამ, — მართალია, აქ ისეთს ვერაფერს ვხედავ, რაც ეწყინებოდა გუბერნატორს, ანდა სხვა

ვინმეს. ხვალ გეტყვით, ვინ წაიყვანა ბიჭი და სად შეგიძლიათ მისი ნახვა.

დონ პედროს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ დათანხმებოდა ამ ვადის გადაწევას, რაც მისთვისაც ხელსაყრელი იყო: ვიდრე რაღაცა ნაბიჯს გადადგამდა, აუცილებლად ყველაფერი კარგად უნდა აეწონ-დაეწონა და ღამის განმავლობაში მოქმედების გეგმა შეედგინა. საზიზღარმა მანჭვამ დაამახინჯა მოხიკას სახე, ამაოდ რომ ცდილობდა თავაზიანი გამომეტყველება მიეცა. იგი გამოემშვიდობა დონია ანას და უთხრა:

— ძალიან კარგად. ღამე მშვიდობისა, ხვალ დილით ყველაფერს მიამბობთ.

V

ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲒᲐ

ჩვენ მიერ აღწერილი ამბისა და საუბრის მეორე დილას, როგორც კი მზის პირველმა სხივმა ოდნავ გაანათა ქვეყანა, დონ პედრო დე მოხიკას ეშმაკური გეგმა მზად ჰქონდა.

შურისმაძიებელმა მაჟორდომმა გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აუხსნიდა მომხდარ ამბავს დონია ანა, არ გაეშვა შემთხვევა ახალგაზრდა ქალის დასაღუპავად გუბერნატორის თვალში, და ამავე დროს მოეთხოვა, როგორც უახლოესი ნათესავი, დაენიშნათ პატარა მენსიას მეურვედ, რაც შესაძლებლობას მისცემდა, თავისუფლად მოეხმარა მასზე მინდობილი ქონება; მაშინ კი ძნელი არ იქნება უბრალოდ გზიდან ჩამოიშოროს სასურველი მიზნის შემაფერხებელი ეს სუსტი დაბრკოლება, ხოლო თუ რამე მიზეზის გამო ვერ მიაღწევს საწადელს, ისარგებლებს მენსიას ბავშვური გულუბრყვილობით, რომელიც სამოწყალოდ ჩაუვარდა ხელთ. როგორც მიმინოს. ტოროლა.

სწრაფად ჩაიცვა მოხიკამ და დონია ანას ოთახებისაკენ გაემართა. მწარე ფიქრებით შეპყრობილ დონია ანას ჩვეულებად ჰქონდა ადრე გასულიყო საწოლი დარბაზიდან და მოხუც ინდიელ ქალთან ერთად მინდორზე დამაშვიდებელ განთიადს შეხვედროდა.

დონია ანას არ გაკვირვებია მოხიკას მოსვლა, რომელიც მის დაბრუნებას ელოდა, და დაუყოვნებლად შეუდგა საუბარს, თითქოს მალე უნდოდა დაემთავრებინა უსიამოვნო საქმე.

— არასოდეს არ მინახიხართ ასე უთენია, ძვირფასო ბიძაშვილო, თქვენ ნამდვილად გუაროკუიას ამბის გასაგებად მოხვედით?

— როგორც შევთანხმდით, ძვირფასო ბიძაშვილო, გელით, როდის მომიყვებით ყველაფერს.

— ყველაფერი სრულიად უბრალოდ მოხდა, — თქვა იგემოტამ.— გუშინ ნაშუადღევს სეირნობისას ჩემთან მოვიდა ჩემი ბიძაშვილი, გუაროა, მან შემომთავაზა, ბიპს წავიყვან მთაშიო. ამ ამბავში ვერაფერი ვნახე გასაკიცხი. სულ ეს იყო.

— როგორ, სენიორა, — შეედავა გაკვირვებული მოხიკა, — განა თქვენი ბიძაშვილი გუაროა არ დაიღუპა სხვა კასიკებთან ერთად?

— მეც ასე ვფიქრობდი, — უპასუხა იგემოტამ, — და მისმა დანახვამ შემაშინა: მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ცოცხალი ყოფილა, რაც ძალიან მახარებს.

საუბარი ისევ ძველებურად მიმდინარეობდა: დონ პედრო ლაპარაკობდა მოჩვენებითი გულითადობით, იგემოტა ძალდაუტანებელი გულწრფელობით. იგემოტას, როგორც უკვე აღინიშნეთ, ტყუილი არ ეხერხებოდა და რაკი ეგონა, რომ გუაროას საშიში არაფერი ჰქონდა. საჭიროდაც არ მიაჩნდა სიმართლის დამალვა.

მოხიკამ. გამოჰკითხა ყველაფერი, რაც მისთვის საჭირო იყო, ცივად გამოეთხოვა და სწრაფად გაემართა გუბერნატორის სახლისაკენ.

VI

გაქცევა

გუაროამ. ორ ერთგულ ამხანაგთან ერთად. რომლებსაც რიგრიგობით მიჰყავდათ ხელჩაკიდებული ბავშვი. ციცაბო აღმართებზე კი მხრებზე შეისვამდნენ ხოლმე, გეზი მაშინვე მცალი მთაგრეხილისკენ აიღო. ასვლა დაიწყო სწორედ იმ მხრიდან, სადაც ფერდობი უფრო ციცაბო ჩანდა.

უღრანი ტყის სიბნელეში ინდიელები ისე თამამად და მსუბუქად მიაბიჯებდნენ, თითქოს მზით გაჩახჩახებულ ველზე მიდიანო. ის, ვინც დაინახავდა, უხმო აჩრდილებივით როგორ მისრიალებდნენ გზიდან მოშორებით, დასცინებდა დონია ანას. რომელსაც ეშინოდა მდევარი არ დასწეოდა ამ მკვირცხლ ლტოლვილებს.

შუაღამისას ინდიელებს დამხმარედ მთვარე მოევლინათ. ტყის სურნელებით დამთვრალ. პატარა გუაროკუიას მშვიდად ჩაეძინა თავისი გამყოლის ძლიერ მხრებზე. ის კი სულგანაბული მიდიოდა. რომ ბავშვს არ გაღვიძებოდა. მთელი ღამე მიდიოდნენ ინდიელები სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, და ახალი დღის დილამ ოდნავ ინათა. როცა მათ მიაღწიეს ორ ციცაბო მთის ძირში შეფენილ სოფელს. მთის წვერიდან ჭვევით ხევში ჩარეკა ღამის სიბნელე მეწამულმა განთიადმა: აისის ბინდში გახვეულ ქოხებთან არავინ ჩანდა, თითქოს ყველაფერი ღრმა ძილ-

ში იყო წასული. სინამდვილეში კი ინდიელები უკვე კარგახნის გაღე-ძებულები იყვნენ, და განაბულნი, გაფაციცებით ელოდნენ დათქმულ ნიშანს.

როგორც კი გაიგეს გამაყრუებელი სტვენა, რაც ბელადის დაბრუნებას იუწყებოდა, ჯგუფ-ჯგუფად გამოცვივდნენ თავიანთი სოროებიდან. გუაროამ ნაჩქარევად უამბო ყველაფერი თავისტომთ და ბიჭზე მიუთითა, რომელსაც მგზავრების გარშემო ამტყდარ ხმაურზე გამოეღვიძა. დიდად გაიხარეს ინდიელებმა ბელადის ვაჟის დანახვაზე; ყველა მას მისცვივდა, რიგრიგობით ესალმებოდნენ, როგორც თავიანთი დაღუპული კასიკის მემკვიდრეს და მოწიწებული სიყვარულით გადასცემდნენ მას ერთმანეთს ხელიდან ხელში. გუაროა შესამჩნევი კმაყოფილებით ადევნებდა თვალს ამ სურათს.

თანამგზავრებმა აქ გაატარეს მთელი დილა, დაისვენეს და დანაყრდნენ მთიელების უხვი, მაგრამ უბრალო საჭმლით. საჭმელს შეადგენდა ბატატები, ბოსტნეული, სიმინდი, მანიოკის პური, ბანანები, ჩიტის კვერცხები, რომელსაც ჩვეულებრივ, ჭამდნენ უმარილოდ მოხარშულს, ხანდახან უმადაც, და აგუტის ხორცი.

ცოტა რომ გამოიძინა, გუაროამ უხუცესები მოიწვია, რომლებმაც იგი ბელადად სცნეს. მან თქვა, რომ მათი ძმების მდგომარეობა „სისხლიანი დღის" — სწორედ ასე უწოდეს ინდიელებმა ხარაგუაში მომხდარ უბედურების დღეს — შემდეგ უფრო საშინელი გახდა; უცხოელებისაგან შეწყალების მოლოდინი არავის აქვს; ამიტომ, დაღუპვასა და მონობას თავი რომ დააღწიონ — მონობა კი სიკვდილზე მწარეა, — საჭიროა გაქცევა, იმ შემთხვევაში თუ დამპყრობლები დაეწევიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა იბრძოლონ. თავად იქნება მათი მეთაური, სანამ გუაროკუია არ დავაკაცდება: მაგრამ ახლაც, ბავშვს პატივისცემით უნდა მოეკიდონ, როგორც ნამდვილ კასიკს; თავისი სიტყვა რომ მაგალითით განემტკიცებინა, გუაროამ ბიჭი დასვა უშველებელი ხშირტოტა მუხის ძირას, ფლამინგოს ჭრელი ფრთებით მორთული თავსამკაული დაახურა და მოწიწებით ემთხვია ფეხებზე; ასეთივე რიტუალი, საზეიმო გულდასმით, შეასრულა ყველა იქ მყოფმა რიგრიგობით.

როცა დაასრულა უმაღლესი ხელისუფლების თავისებური გამოცხადება, გუაროამ მეგობრებთან ერთად მოხაზა მომავალი მოქმედების გეგმა და ბრძნული წინდახედულობით განიხილა ყველა ღონისძიება, რითაც შეიძლებოდა თავისუფლებამოყვარე ინდიელებს გაეძლიერებინათ სიფხიზლე და აეცილებინათ მტრის თავდასხმა. შემუშავდა მტრის დაზვერვის მთელი სისტემა, იმისთვის, რომ ესპანელების ყოველი დაძვრა ადგილიდან, დაუყოვნებლივ შეეტყობინებინათ ყველა მიმართულებით, მთიანი ადგილის შორეული კუთხეებისათვისაც

კი. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ტბა ლაგო-დულისე, განაცხადა გუაროამ, დავთქვათ საერთო თავმოყრის ადგილად იმ შემთხვევაში, თუ მტერი მთაში შემოიჭრება; თვითონ კი ბიძაშვილთან ერთად ტბის მეორე მხარეს გავმაგრდები. ამის შემდეგ გუაროას აღარ დაუყოვნებია, გამყოლად შეარჩია საიმედო ინდიელები და მათ დაავალა გუაროკუია მოქნილი ტირიფის წნელისაგან დაწნული საკაცით ეტარებინათ, რომელშიც რბილი ხვართქლა ჩაეფინეს.

ბიჭი ჩუმად ადევნებდა თვალს სამზადისს და უველაფერში ემორჩილებოდა უფროსებს. შვიდი წლის ბავშვს უკვე ესმოდა სიცოცხლისათვის გამძვინვარებული ბრძოლის მთელი სიმძიმე და მზად იყო თანამოძმეებთან ერთად გაეზიარებინა უოველგვარი ფათერაკი. საშინელების ტალღამ ძლიერად შემოჰკრა მის ბავშვურ გულს იმ სამახსოვრო ღამს, როცა კომანდორ ოვანდოს უაჩალურმა ბრბომ დასაჯა ისინი, ვინც კასიკის დაბადების პირველი დღიდან მის აკვანთან ტრიალებდა; იგი უოველთვის კრთებოდა, როცა გაიგებდა ინდიელ გუშაგთა მძაფრ უვირილს ან მონადირე ძაღლთა უეფას, საფრთხის მაუწყებელი საბრძოლო ბუკის საგანგაშო ხმა რომ ფარავდა. რასაც წინააღმდეგობისათვის ან სასიკვდილოდ მზადმყოფი მებრძოლები ავის მომასწავებელი ძახილით ხვდებოდნენ.

როგორი მძიმე განცდები ხვდა წილად ბავშვს, მისი ცხოვრების გარიჟრაჟზე! ამ ამბავმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვილ კეთილშობილ გულში, სიყვარულისა და უოველგვარი სუფთა. ამაღლებული გულისწადილისათვის რომ უნდა გაფურჩქნულიყო, მაგრამ რომელსაც ძალიან ადრე უნდა ხვდომოდა წილად ბრძოლები და მწარე განსაცდელები.

VII

დასმენა

მარდი დონ პედრო დე მოხიკა თვალის დახამხამების უმალ გაჩნდა გუბერნატორის სახლში. გუბერნატორი ტანთ იცვამდა, წინ გეგმები ედო და ათვალიერებდა. მისი მთავარი და აუცილებელი საზრუნავი გახლდათ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, „თავისი ქალაქის" დაარსება. კომანდორისთვის რომ ესიამოვნებინათ, მოხელეები და მის ამალასთან დაახლოებული პირნი უოველ ცისმარე დღეს ახალ-ახალ ჩანახატებს აკეთებდნენ ზღვის ნაპირის მიდამოებისთვის, რასაც თან უერთავდნენ დაწვრილებით განმარტებებს და აღწერებს. კომანდორი, რომელსაც უნდოდა წარმატებით დაემთავრებინა ასეთი მნიშვნელოვანი საქმიანობა, დაუცხრომელი უურადღებით ეცნობოდა ნახაზებს.

ამრიგად, ოვანდო თავისი საყვარელი საქმით იყო გართული, როცა დონ პედროს მოსვლა მოახსენეს.

გუბერნატორის მეგობრული ნდობით სარგებლობდა დონ პედრო და ჩვეულებად ჰქონდა მის კაბინეტში გაუფრთხილებლად შესულიყო. მაგრამ ამჯერად განზრახ უარი თქვა ადრინდელ პრივილეგიაზე, რადგან უნდოდა მისი მოსვლისთვის განსაკუთრებული საზეიმო მნიშვნელობა მიეცა. კამერდინერისგან დონ პედროს მოსვლა რომ შეიტყო, კომანდორმა თავი აწყრია, მაგრამ მერე ისევ დახარა გეგმებისკენ და კვლავ შეუდგა მათ გულმოდგინე შესწავლას.

ხუთი წუთის შემდეგ კამერდინერი ისევ შევიდა და შემდეგი მოახსენა.

— დონ პედრო მოხიკა თქვენს მოწყალებას ელოდება, ასურს მეტისმეტად მნიშვნელოვანი ამბავი გაცნობოთ.

— მაშ შემოვიდეს, დალახვროს ეშმაკმა! — უპასუხა კომანდორმა. — რას ნიშნავს ეს ცერემონიები?

დონ პედრომ ჩათვალა, რომ აუცილებელი ცერემონიალი დაცული იყო, როგორც იქნა შევიდა და თავაზიანად მიესალმა კომანდორს.

— რატომ ჩამოგტირით ცხვირ-პირი, იდალგო? — ღვარძლიანად ჰკითხა გუბერნატორმა. — თქვენი მშვენიერი ბიძაშვილის უფლებების ახალი შებღალვა ხომ არ შენიშნეთ და მისი აღდგენის მოსათხოვად ხომ არ მოხვედით?

— სრულიადაც არა, სენიორ, — უპასუხა მოხიკამ, — მოვედი, რომ ყოველად არასასიამოვნო ახალი ამბავი გაცნობოთ. ეს დონია ანა, რომელსაც თქვენ ასე დიდად აფასებთ, თქვენი მფარველობის ღირსი არ არის: თავისი ვერაგი დედის კვალს მიჰყვება, ჩვენი პატივისცემის საგანგიეროს ღალატით გვიხდის და მთებს შეფარებულ ამბოხებულებთან აქვს კავშირი.

მერე, პედრო გუშინდელ ამბავს მოუყვა, დონია ანას პასუხებს შეგნებულად ამახინჯებდა, და საშინელ სურათს ხატავდა იმ მიზნით, რომ კომანდორის გულში უნდობლობა და შიში ჩაენერგა.

ოვანდო გულისყურით უსმენდა მეჯორეს; შუბლი შეიჭმუხნა, მისი დალრეჯილი სახე კარგს არაფერს მოასწავებდა დონია ანასთვის, და ღვარძლიანი მაჟორდომი წინასწარ ზეიმობდა თავისი მდაბალი ზრახვის სრულ გამარჯვებას.

მოხიკას ბოლომდე მოუსმინა გუბერნატორმა და მკაცრად ჰკითხა:

— მეტი არაფერი გაქვთ დასამატებელი?

— საბოლოოდ ის შემიძლია ვთქვა, სენიორ, რომ დონია ანა დამნაშავეა, ამიტომ დასასჯელია ღალატისთვის გათვალისწინებული სასჯელით; მოღალატის ქონება გადაეცემა ხოლმე ხაზინას, მაგრამ რადგანაც

მას ესპანელ კაბალიეროსთან ქორწინების საფუძველზე ჰყავს ქალიშვილი, რომელსაც ბრალი არ მიუძღვის დედის დანაშაულში. და სისხლით ნათესავის მოკვლეობა მაიძულებს ფხიზლად დავიცვა ბავშვის ინტერესები, თქვენ მოწყალებას ვთხოვ დედის დასჯის შემდეგ მისი ქონება გადასცეთ ქალიშვილს. მე კი დამნიშნოთ მის უფლებამოსილ მეურვედ. როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს.

— თქვენი სურვილი შესრულდება, — უპასუხა ოვანდომ და ადგა, — თუ თქვენი მონათხრობი დადასტურდება: წინააღმდეგ შემთხვევაში, — ამ დროს კომანდორმა ხმას აუწია და მასში მუქარა გაისმა,—მოემზადეთ მოტყუების გამო სასჯელისათვის და ყველაფრის. თვით სიცოცხლის დაკარგვისათვის.

ამ სიტყვების შემდეგ. კომანდორმა თავის მოხელეებს დაუძახა, მათ მოკლე და ზუსტი მითითება მისცა. უპირველეს ყოვლისა. უბრძანა დონ პედრო დე მოხიკას დამწყვდევა ციხეში: ნირწამხდარი მექორე, რომელმაც აღარ იცოდა. რითი აეხსნა ასეთი მოულოდნელი ხიფათი, სიტყვაშეუბრუნებლად გაჰყვა მათ პატიმრობის ადგილზე. შემდეგ კომანდორმა განკარგულება გასცა დონია ანას მოსაყვანად გაეგზავნათ შაქრიკი. რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალს ზრდილობიანად და თავაზიანად მოპყრობოდა. და ბოლოს. ციხედარაჯმთავარმა დონ დიეგო ველასკესმა, რომელიც გუბერნატორის ნდობით სარგებლობდა. მიუცა ბრძანება მოემზადებინა ყველაფერი, რომ იქ დღესვე. დაუყოვნებლივ წაეყვანა მთების დასალაშქრად ორმოცი ფეხოსანი და ათი ცხენოსანი მეომარი.

ნახევარი საათიც არ იყო გასული. რომ გუბერნატორის სახლში მოვიდა უწყინარი იგემოტა, მას თან ახლდნენ შაქრიკი და ინდიელი ბოხუცი ქალი, რომელსაც პატარა მენსიასთვის ჩაეკიდა ხელი. ოვანდომ დიდი მოწყალებით მიიღო დედა. გოგონას კი პატივი დასდო და ნათელ, წმინდა შუბლზე ეამბორა. პასუხად ბავშვმა ჰხიარულად და უშფოთველად გაუღიმა. ასეთი კეთილგანწყობილი მიღების შემდეგ დედის შეშფოთება დაცხრა და, როცა გუბერნატორმა სტუმარს შეკითხვით მიმართა, იგემოტას ისევ დაუბრუნდა ჩვეული სიმშვიდე.

— მითხარით, დონია ანა დე გევარა, — დაიწყო ოვანდომ ოდნავ ზვიადად, მაგრამ ძალიან თავაზიანად, — გუშინ ვეამბოხე გუაროასთან საიდუმლო მოლაპარაკება რომ გქონდათ, რა მიზნით მიანდეთ თქვენი ძმისშვილი მას?

— სენიორ, — უპასუხა იგემოტამ, — გუაროა სრულიად მოულოდნელად გამომეცხადა; არც ვიცოდი, რომ ცოცხალი იყო, და არც შემეძლო მეამბოხედ ჩამეთვალა, გუაროა ხომ იმისთვის გაიქცა. რომ სიკვდილს გადარჩენოდა; ჩემი საყვარელი ძმისშვილი გუაროკუია გავატანე იმის შიშით, რომ როცა ის გაიზრდება, მას მონობა ელის.

— მჯერა თქვენი გულწრფელობის, დონია ანა, მაგრამ მე მაინც მიკვირს, რატომ გაშინებთ თქვენი ძმისშვილის ბედი, — უპასუხა კომანდორმა.—რაკი თქვენ სახლში იზრდება, ისეთივე პატივისცემაშია, როგორშიც თქვენ ხართ სამართლიანად.

— მე კეთილი ზრახვები მჭონდა, სენიორ, — უპასუხა მომხიბლავი უშუალობით ახალგაზრდა ქალმა. — შეიძლება, უცოდინრობით შეცდომა ჩავიდინე. მაგრამ ამით თქვენი მცირე წყენაც არ მჭონდა განზრახული: რაკი იცისრეთ ჩემი მფარველობა და მოითხოვეთ, რომ პატივისცემით ვომექცნენ, დარწმუნებული ვარ თქვენს მოწყალებას ჩემდამი დააგვირგვინებთ და ჩემს სათაყვანებელ დედას დაუბრუნებთ თავისუფლებას, მე კი სიმშვიდეს და სიხარულს.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე კომანდორმა რაღაც გაუგებარი ჩაილაპარაკა, მერე, მღელვარება დაიოკა და ათრთოლებული ხმით წარმოთქვა:

— ჯერ არ ღირს ამაზე ლაპარაკი... თავს მოვალედ ვთვლი, დონია ანა, გაგაფრთხილოთ, რომ ამიერიდან არავითარი ურთიერთობა არ იქონიოთ ამბოხებულებთან. რადგან არ მინდა გაწყენინოთ შემოწმებითა და შემაწუხებელი შეზღუდვით, გადავწყვიტე თქვენი რეზიდენცია გადამეტანა სანტო-დომინგოში, სადაც ცხოვრება ყოველმხრივ უფრო სასიამოვნოა, ვიდრე აქ, ამრიგად, შეგიძლიათ წაბრძანდეთ და შეუდგეთ გამგზავრებისთვის აუცილებელ სამზადისს. თქვენზე და თქვენ ქალიშვილზე ზრუნვას მე ვკისრულობ.

ამ სიტყვებით კომანდორი თავაზიანად დაემშვიდობა დონია ანას და წავიდა იმავე მოხელის თანხლებით. იგემოტამ არ იცოდა გახარებოდა თუ სწყენოდა მისი მდგომარეობის მომავალი ცვლილება. კოლონიის დედაქალაქში დედასთან შეხვედრის იმედმა სძლია სხვა ფიქრებს, და ამ წუთიდან მოთმინება ელეოდა, სანამ გავიდოდა ზოზინა დრო და გამოეთხოვებოდა მშვენიერ სანაპიროს, მოწმეს მისი ქალწულებრივი პირველი ოცნებების, სიყვარულის და ხანმოკლე ბედნიერებისა, რაც შეიცვალა ქვრივობის ღრმა მწუხარებით და დაგვირგვინდა უმძიმესი განსაცდელით, იმ ბედუკუღმართ ჟამს, როცა აურაცხელი უბედურება დაატყდა თავს ყველა ნათესავსა და ახლობელს, რომლებიც ჯერ კიდევ ახლახან უვავილით ამკობდნენ მის აკვანს და სიხარულით ავსებდნენ მისი ბავშვობის დღეებს. განა შეეძლო ახალგაზრდა ქალს წარმოედგინა, რომ მოქანცულ თავს ველარასოდეს მიაყრდნობდა დედის მკერდს, რომ ამის ნაცვლად მას ეწერა გადაეტანა ყველაზე მძიმე და მწარე ელდა, რაც კი შეიძლებოდა შემთხვევოდა მოსიყვარულე ქალიშვილს, — ლახვარი, შემზადებული უმოწყალო განგების მიერ.

VIII

გამოძიება

დონ პედრო დე მოხიკა იმ დღესვე გაანთავისუფლეს პატიმრობიდან: მოჩვენებითად დაუბრუნდა კომანდორის მოწყალება, რომელმაც ფიცით ჩამოართვა პირობა, რომ დონია ანა დე გევარას ქონებას მოუვლიდა უმწიკვლო პატიოსნებით. ეშმაკმა თაღლითმა გულმოდგინედ დაიწყო ერთგულების მტკიცება და ძაღლივით ჩორთით გაიქცა, რომელსაც ბედმა გაუღიმა და თავი დააღწია მახეს, შემთხვევით რომ გაება. გონება დაებნა. უნაყოფო იყო მისი ცდა ლოგიკურად აეხსნა ამბების მსვლელობა და ჰგავდა უკომპასო მესაჭეს, რომელიც ამაოდ ცდილობს მართოს აბობოქრებულ სტიქიის კლანჭებში ჩავარდნილი ხომალდი. მართალია, პატიმრობიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ დონია ანაც თავისუფალი დარჩა; იგი ისევ განაგებს ბიძაშვილის ქონებას, მაგრამ ბიძაშვილი ადრინდელივით თავისუფალი და პატივცემულია; განრისხებული გუბერნატორი კი დაჰპირდა, რომ ჩამოახრჩობდა ორში ერთერთს — ან დონია ანას, თუ დონ პედროს მიერ წაყენებული დანაშაული დაუმტკიცდებოდა, ან დონ პედროს, თუ დონია ანა უდანაშაულო აღმოჩნდებოდა.

„გაიმარჯვე თუ დავმარცხდი? — ეკითხებოდა თავის თავს შეძრწუნებული ბოროტი მახინჯი. — თუ ყველაფერი ძველებურად დარჩა, მაშ გუბერნატორმა რატომ ბრძანა ჩემი დაპატიმრება? ან რატომ გამათავისუფლეს? რატომაა დონია ანა ასე უშფოთველად? რატომ ვარ ისევ მისი ქონების მმართველი? რატომ?... დალახვროს ეშმაკმა! რაკი დონია ანა გაბრაზებული არ არის ჩემზე, ეკითხოთ თვითონ მას, რა მოხდა, და ამოცანის ამოსახსნელ გასაღებს მივიღებთ“.

ითქვა და გაკეთდა. თავისთავთან საუბარში გართული მოხიკა, სულს ძლივს ითქვამდა, იგემოტას წინაშე რომ წარსდგა, ანგარიშგაუწევლად დაჯდა, დაკვირვებით დააცქერდა და მშვიდი, დათფლული ხმით ჰკითხა:

— როგორ მიგიღოთ გუბერნატორმა, სენიორა ბიძაშვილო?

— მამობრივი სიკეთით, — უბრალოდ უპასუხა იგემოტამ.

— რა უამბეთ გუბერნატორს?

— ყველაფერი.

— მერე რა გიპასუხათ?

— არაფერი.

დონ პედრო სახტად დარჩა.

უდაოდ. დონია ანა მიხვდა მოხიკას ვერაგობას და ახლა შურს იძიებს დაცინვით. ასეთმა აზრმა გაუელვა მმართველს; მაგრამ იგი ცდე-

ბოდა: გულმართალ და მიამიტ ახალგაზრდა ქალს ეგონა, მოხიკას შეკითხვები გამოხატავდნენ წუხილს იმაზე, რომ გუბერნატორმა დონია ანასთან შეხვედრის დროს სიმკაცრე ხომ არ გამოიჩინაო: ამის მიხედვით პასუხობდა დონია ანა თავის მზრუნველ მმართველს, დარწმუნებული იყო, რომ მოხიკამ უკვე იცოდა მისი რეზიდენციის სანტო-დომინგოში გადატანის ბრძანების შესახებ: ამავე დროს, დონია ანას არაფერი სმენია მოხიკას დაპატიმრებასა და მის მიმართ გუბერნატორის შემდგომ გულგრილ დამოკიდებულებაზე.

დონია ანა მიეჩვია იმ ამბავს, რომ დონ პედრო მის ყოველ საქმეში ერეოდა, და ეგონა, მხოლოდ კომანდორთან საუბარი დარჩა დონ პედროსთვის უცნობიო.

ადალგო მთლად დააბნია საქმის მოულოდნელმა შებრუნებამ. ეჭვებით შეპყრობილი, ის იყო უნდა გამომშვიდობებოდა, რომ ფიქრებში წასულმა იგემოტამ მას თვალები მიაპყრო და დასძინა:

— ვფიქრობ, თქვენ გამოგყვებით, ალბათ, სანტო-დომინგოში.

სანტო-დომინგოში? — შეჰყვირა მოხიკამ, რომელიც მოულოდნელობისგან შეკრთა.

— განა თქვენ არაფერი იცით?

— არა, სენიორა, უფრო სწორად... მე, ვეჭვობდი... ზოგიერთი რამ ვიცი... — გამოსცრა კბილებში მოხიკამ, იმის შიშით, რომ, ერთი მხრივ, გუბერნატორის უკმაყოფილება არ დაემსახურებინა, და, მეორე მხრივ, დონია ანას თვალში პრესტიჟი არ დაეკარგა ამ საქმის უცოდინრობით.

მოხიკა წუთით დაფიქრდა, გონებაში ჯოჯოხეთური აზრი ჩაესახა, და ყველაფერი უცებ გახდა ნათელი. მის მზაკვრობას ამაოდ არ ჩაუვლია, დონია ანა სანტო-დომინგოში მიემგზავრება როგორც ტყვე. ისე რომ ამას ვერც ხვდება, თვითონ მოხიკა კი, როგორც მენსიას მეურვე რჩება მთელი ქონების განმგებლად, — ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

— დიახ, სენიორა, — უთხრა მოხიკამ ამჯერად უკვე დაჯერებული ტონით. — თქვენ სანტო-დომინგოში მიდიხართ. — მაგრამ მე ვერ გამოგყვებით, ვინაიდან თქვენ ქალიშვილზე ზრუნვა მაკისრია...

— ჩემს ქალიშვილზე?.. რას ლაპარაკობთ! — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა დონია ანამ. — ჩემი ქალიშვილი ჩემთან იქნება, უომისოდ ნაბიჯს არ გადავდგამ.

მოხიკა გაჩუმდა: მისი ყოველი სიტყვა შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო, იგი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც დაადგა უფსკრულისკენ დაჭანებულ სწორ, მოლიპულ ფერდობს.

დაწყნარებული მოხიკა გამოემშვიდობა იგემოტას: მალე გუბერნატორთან გამოიძახეს. მოხიკა სწრაფად გამოცხადდა და მას ცივად უბრძანეს:

— იზრუნეთ, რომ ხვალ საღამოსთვის დონია ანას გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყოს.

— როგორც ტყვე ისე მიემგზავრება?

— მიემგზავრება, როგორც თავისუფალი!—იქუხა გუბერნატორმა.— გაისარჯეთ, რომ მას და მის ქალიშვილს არაფერი დააკლდეთ; თან გააყოლეთ მრავალი მსახური, ყველა, ვისაც თვითონ აირჩევს; დონია ანა ისეთ პატივში უნდა იყოს, როგორც იქნებოდა ჩემი ქალიშვილი რომ ყოფილიყო, გასაგებია?

დონ პედრომ თავი დახარა და გუბერნატორის ბრძანების შესასრულებლად გაემართა.

ამასობაში დიეგო ველასკესი სათავეში ჩაუდგა თავის მცირე რაზმს, იმავე დღეს, საღამოთი გაემართა სალაშქროდ, ის ღამე გაატარა ლა სილიის გიგანტური განშტოების ძირას და მეორე დილით შეეიდა მთის ვიწრო და ხრამიან ხეობაში. ამბოხებულებად ითვლებოდნენ გუაროა და მისი თვისტომნი, რომლებიც უნდა დაემორჩილებინათ და ძალით დაემონებინათ ცივილიზაციისთვის.

IX

დევნა

ესპანელების კვალის მისაგნებად ინდიელებს არ სჭირდებოდათ არც განსაკუთრებული ბრძანება და არც გულმოდგინედ მოფიქრებული გეგმა. ისინი მოქმედებდნენ თავიანთი სურვილით. ემორჩილებოდნენ სრულიად გასაგებ გულისწადილს: ზოგიერთები ამტკიცებდნენ, თითქოს კვალის მიგნების განსაკუთრებული მიდრეკილება თანდაყოლილი აქვსო ინდიელთა რასას. მაგრამ ეს არის მრავალთაგან ერთ-ერთი ცილისმწამებლური მონაგონი, რომელიც არსებობდა და დღესაც არსებობს უსამართლობის გასამართლებლად.

უხსოვარი დროიდან ტირანები თავიანთი უკანონობის შედეგებში ხედავდნენ ახალ მიზეზს, მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფ მხარეში ჩაგვრის გასაძლიერებლად.

კუნძულ ჰაიტზე მცხოვრები ბუნებით გულმართალი და მიმნდობი ინდიელები. ევროპელებთან გაცნობის შემდეგ ეშვიანები და გულჩათხრობილნი გახდნენ. მეტისმეტად დაუნდობლად ექცეოდნენ მათ დამპყრობლები. ისინი სასტიკად სჯიდნენ დამარცხებულებს მათთვის საძულველი ტირანული ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილ მცირე დანაშაულისათვისაც კი.

აუტანელი შრომით ქანცგაწყვეტილი ინდიელები, რომლებიც ევ-

როპელებისთვის მდინარის ფსკერიდან ოქროს იღებდნენ, თავგამოდებით იცავდნენ მათთვის ცნობილ სხვა ოქროს ქვიშრობების საიდუმლოებას და საოცარ საზრიანობას იჩენდნენ იმის შიშით, რომ გაუმაძღარ ჯალაბებს არ მიეგნოთ ოქროს ახალი საბადოებისთვის; მშიერები, ყოველგვარ სრიკებს ხმარობდნენ, რომ პურის ნატეხი მოეპარათ და თავი აერიდებინათ შოლტისთვის, რაც დაუზოგავად ხვდებოდა თავხედი ღორმუცელას ზურგს. მალე უბედური ხალხი, რომელთა შესახებ კოლუმბი წერდა, „ქვეყნად არ არსებობს უკეთესი ხალხიო“, გაიხრწნა, ორპირობა, სიცრუე და ვერაგობა კანონად გაიხადა. როცა დაღლილობისა და სასტიკი მოქცევის მძიმე ტვირთი სხეულს ამარცხებს, სული მდაბალი მანკიერების მსხვერპლი ხდება. აი, სადამდე მიიყვანა საქმე დამპყრობლების უმოწყალო, უსაზღვრო სიხარბემ.

ამბავმა, რომელიც ცოტა ხნის წინ ხარაგუაში მოხდა და გუაროა აიძულა გაქცეულიყო მთებში, ინდიელებს უფრო გაუძლიერა ეკვიანობისადმი მიდრეკილება. ესპანელების არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი ამბავი. რაგინდ უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო, არ გამოეპარებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ფხიზელ თვალს. მთის ამ მიყრუებული კუთხიდან, სადაც ძმისწულიანად იმალებოდა გაქცეული კასიკი, ოკეანის სანაპირომდე. სადაც დამპყრობლები თავიანთ ფორტებსა და სიმაგრეებს აშენებდნენ, მზვერავების მჭიდრო ქსელი გაშლილიყო: ინდიელი მონიდან, უაზროდ რომ დასჩერებოდა იატაკს და ესპანელი ბატონის სახლს ალაგებდა, შეუჩერებლივ გადადიოდა ამბავი კაციდან კაცზე—მეთუ-ლუხჩიდან შეშისმჭრელამდე, შეშისმჭრელიდან მოხუც ხეიბარ ინდიელამდე, რომელიც მთისძირში, ერთ უბადრუკ მიწის ნაკვეთზე იჩიჩქნებოდა, ხოლო მოხუცი ინდიელიდან ოლქის ყველა მხარეში.

აი, რატომ აღმოჩნდა კომანდორის მიერ დიეგო ველასკესისათვის მიცემული ამოცანა ნამდვილად მნიშვნელოვნად უფრო რთული, ვიდრე შეიძლებოდა ადამიანს ერთი შეხედვით მოსჩვენებოდა. ესპანელმა მხედართმთავარმა მიიღო ბრძანება, შეეპყრო გუაროა ცოცხალი ან მკვდარი; რაზმს თვალის ახამხვევად უნდა გაეჩხრიკა მთელი მთები, თითქოს აუცილებელი იყო მოეგვარებინათ ხარკის გადახდა. რომლის აკრეფა არ მოხერხდა ინდიელთა ბელადების დაღუპვის გამო. როგორც კი ესპანელებმა პირველი შესვენება მოაწყვეს ლა სილიის ხეობის მახლობლად, მათი გამოჩენის ამბავი ელვის უსწრაფესად მოედო მთებს და უკვე მეორე დილით ფრთხილ და წინდახედულ გუაროას სმენას მისწვდა. ინდიელთა ბელადი მთავარი გზიდან მოშორებით, ტბის ნაპირას იმყოფებოდა, იგი დაუყოვნებლივ შეემზადა მიეღო და მახლობლად გაენაწილებინა ლტოლვილები, რომლებსაც შეჩვეული ადგილები უნდა დაეტოვებინათ და დღის ბოლოსთვის შემოკრებილიყვნენ მის გარშემო. ამრიგად, ინდიელების გეგმა, უმთავრესად იმაში მდგომარეობდა,

რომ გაქცეოდნენ მოწინააღმდეგეებს; სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, — უიარაღო ადგილობრივი მკვიდრნი ხომ გამუდმებულ შიშში ცხოვრობდნენ, მომხდურთა უსასტიკესი სასჯელებით მომაკვდინებლად შეშინებულები. ესპანიოლის მკვიდრთ ათწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მიუხედავად თანდაყოლილი ეპიკაცობისა, არ შეიძლება უწინდელივით ბრძოლა, როცა იოტის ოდენა წარმოდგენაც არ ჰქონდათ ძლიერი მოწინააღმდეგის ძალებზე. დამპყრობთა შემოპრის პირველ წლებში ინდიელები ხმამაღალი ყვირილით უწესრიგო ნაკადად მიჰქროდნენ და უთანასწორო ბრძოლაში ებმებოდნენ ესპანელთა აბჯარასხმულ კავალერიასთან არკებუზის მომაკვდინებელ ცეცხლში. დამარცხებათა მწარე დღეების ხსოვნამ ასწავლა ინდიელთა ბელადს, ყოველნაირად ეცადა — თავი აერიდებინა ესპანელებთან შეხვედრისათვის, რისთვისაც უნდა მიემართა რთული საშუალებისთვის — გაქცევისთვის. ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლისთვის; მისი თანამოძმეები უნდა გადაქცეულ ყოფილიყვნენ მაწანწალა, მომთაბარე ტომად და მოთმინებით დალოდებოდნენ, ბოლოს და ბოლოს, როდის დაიღლებოდა მოწინააღმდეგე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გუაროას გეგმაში სულ არ შედიოდა ბრძოლა; პირიქით, იგი მზად იყო ებრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, და მის გადაწყვეტილებას იზიარებდა ყველა, ანდა თითქმის ყველა ინდიელი; მაგრამ ისინი ხელჩართულ ბრძოლას მიმართავენ მხოლოდ უკიდურეს წუთში, როცა სხვა გამოსავალი არ იქნება, ანდა მაშინ, როცა დაღლილი ესპანელების წინდაუხედაობა მისცემს საშუალებას მოულოდნელად დაესხან მათ თავს. ერთი სიტყვით, ინდიელებმა, მოწინააღმდეგის უდიდეს ძალას რომ შეხვდნენ, დახელოვნებული სტრატეგიით გადაწყვიტეს, მოწინააღმდეგისგან შორს დაეჭირათ თავი, სანამ არ დადგებოდა სასურველი შემთხვევა, რომ ძალა ეცადათ. უკიდურესობანი ერთმანეთს ემთხვევა და ადვილი შესაძლებელია, რომ საომარი მეცნიერება, როცა მიაღწევს უმაღლეს საფეხურს, დაუბრუნდეს თვითდაცვის პირველყოფილ ინსტინქტს.

გუაროას ვარაუდი გამართლდა: ველასკესის რაზმმა ფეხი შეაბიჯა თუ არა მთის ხეობაში, თავიანთი შამამთაერების ხელმძღვანელობით, ტბა ლაგო-დულისესკენ დაიძრა უფრო მეტად ამტანი მთიელები, რომლებსაც შეეძლოთ გაეძლოთ მოხეტიალე ცხოვრების ყოველგვარი უკუღმართობისთვის, რაც მათ ელოდათ: ბევრი მათგანი მოდიოდა ცოლშვილიანად. გუაროამ მათ აჩვენა პალმის დიდი ჭალა ტბის მახლობლად, სადაც ლტოლვილებმა სულ ადვილად აიგეს ფართო საცხოვრებლები, ტანკენარ სვეტებად ამართულ პალმის ხეებს შორის, რომლებსაც წარმატებით იყენებდნენ არიბულ არქიტექტურაში. როგორ არ უნდა აღფრთოვანდეთ ბელადის წინდახედულობით, რომელმაც ეს ად-

გილი ამოარჩია თვისტომთა თავშესაყრელად? მშვენიერი ცისფერი ტბის ნაპირები საესე იყო მრავალგვარი და უხვი საკვებით, წყალი, რომელიც სხვათა შორის არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული გამჭვირვალებითა და გემოთი, საოცრად მდიდარი გახლდათ თევზით: მოწყურებულ მგზავრს მრავალი წყარო სთავაზობდა ცივ წყალს, უხვად რომ ჩქეფდა აყვავებული ტყის ხვიარებს შორის. ეს ხვიარები სიყვარულით ეხვეოდა გაფურჩქნულ ბუჩქებს და თვალს ასარებდა ცოცხალი ფერების ათასნაირი ელფერითა და ბზინვით; აქაური ჭარი გაჟენთილი იყო სურნელოვანი ბალახების სუნთქვით.

მთაში ფეხი შედგა თუ არა, დიეგო ველასკესმა გაოცებით შენიშნა, ირგვლივ ყველაფერი რაღაც უცნაურად დაცარიელებულიყო: მხოლოდ ხანდახან შეხვდებოდა ხოლმე მთის ტომის წარმომადგენლები, უძლური მოხუცი მამაკაცები და საბრალო მოხუცი ქალები. ესპანელი მხედართმთავარი პირველად როდი გახლდათ მთაში — მას წინათაც უხდებოდა ხოლმე აქ ყოფნა მნიშვნელოვანი დავალებებით: ხან ბარკს კრეფდნენ, ხან კი ინდიელები უნდა დაერწმუნებინათ ხელი აეღოთ ველურ ცხოვრებაზე და დასახლებები მოეწყოთ. აქ მიაღწია ველასკესმა კარგ შედეგს, რაც პატივს სდებდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან მის ურთიერთობას. ზოგჯერ ველასკესს ინდიელების გულიც კი მოუგია და მათთან მეგობრული დამოკიდებულება დაუმყარებია. ამჯერად იგი ამაოდ ცდილობდა რამე დაეტყუებინა თავისი სეხნიებისთვის, როგორც იგი ხანდახან ხუმრობით უწოდებდა ინდიელებს, ვინც მისი სიყვარულით, ამ ადგილების ჩვეულებისდა მიხედვით, ირქმევდა მის სახელს. ხალხი იმალებოდა, თავს არიდებდა ესპანელთან შეხვედრას; ხდებოდა ხოლმე, ვიდრე ესპანელი უნაყოფო დაკითხვებით ქანცს უწყვეტდა მოხუცს, რომელიც თავის ქოხის წინ უშფოთველად ეწეოდა თამბაქოს, ამ დროს, იქვე ახლოს, ხეებს ამოფარებული ინდიელი, რომელზედაც ლაპარაკობდნენ, უყურებდა ესპანელ მხედართმთავარს.

ასე უნაყოფო მეთვალყურეობაში გავიდა მთელი თვე; მცხოვრებნი, რომლებიც იშვიათად ხვდებოდნენ ველასკესს, შეთქმულებივით მოისულელებდნენ თავს, რაღაცას უაზროს ბუტბუტებდნენ, შეკითხვებზე აბდაუბდას პასუხობდნენ. თუ ხანდახან, როგორც გამონაკლისი, გზაზე შეხვდებოდათ მეტად თუ ნაკლებად უფრო მოლაპარაკე და გონიერი ინდიელი, მისი პასუხი საბოლოოდ გზას უბნევდა ხოლმე ესპანელებს: ხალხი, ეუბნებოდა იგი, „მუშაობს“ შორს, აქედან ძალიან შორს, თუმცა მალე დაბრუნდება, საღამოს აუცილებლად აქ იქნება; როცა შეღამდებოდა და მცხოვრებთაგან არავინ დაბრუნდებოდა, ინდიელი გულწრფელ გაოცებას გამოხატავდა, ესპანელებს ეუბნებოდა, რომ წაიყვანდა მათ „სამუშაო“ ადგილზე, მაგრამ, როგორც კი მივიდოდნენ პირველ ხევამდე ან ტყის პირამდე, ინდიელი მოულოდნელად გაქრე-

ბოდა ხოლმე, ჰაერში დნებოდა, როგორც უსხეულო სული, და გზააბნეულ ესპანელებს ისღა რჩებოდათ, სიბნელეში ეძებნათ სიმინდის ტაროები ანდა საშმელი ქერქები მიყრუებულ ადგილას, მიტოვებულ კორდზე.

ისიც ხდებოდა, რომ დაჭერილ და გათოკილ ინდიელს ემუქრებოდნენ ცემით და სიკვდილითაც კი, თუ იგი ეცდებოდა მათ მოტყუებას და გაპარვას; და მაინც, როცა რაზმი დიდი გაჭირვებით მიაღწევდა ხოლმე რომელიმე მიყრუებულ კუთხეს, ისეთივე უდაბურს როგორიც დანარჩენი ადგილები იყო, გამყოლი გაჩერდებოდა და ამას ამბობდა: „აი, აქ დაეტოვე ისინი და, მეგონა, ისევ აქ იქნებოდნენ.“ ანდა რაღაც ამის მაგვარს ლაპარაკობდა. განუწყვეტლივ ურტყამდნენ ზურგზე გამყოლს და ხშირად ძლიერი ინდიელი, რომელსაც სიმწრისგან კბილი კბილზე დაეჭირა, დაუკვნესებლად, ჩუმად კვდებოდა ჯოხით ცემისაგან.

ველასკესი სახოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი ექსპედიციის წარუმატებლობით: მოიელების უცნაურ მოქმედებას იგი მხოლოდ იმით ხსნიდა, ხარაგუაში მომხდარმა სისხლის ღვრამ დააშინაო ისინი. სრულიად ნათელია, მომაკვდინებლად შეშინებული ხალხი გარბის და იმალება, ტოვებს შეჩვეულ ადგილს ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოსო.

გულმოწყალებისა თუ რაღაც სხვა მოსაზრებით, დიეგო ველასკესმა სცადა მიემართა უფრო ჰუმანური და ადამიანური ტაქტიკისათვის. გზად შეხვედრილ ყველა ინდიელს ეჩქეოდა ტაბლად, ცდილობდა მოფერებით ჩაენერგა მათთვის ესპანელების ნდობა: ვინც დაეთანხმებოდა გამყოლობაზე, სრულიად თავისუფალი გახლდათ და არავინ არ უწყრებოდა, როცა არ უნდა გაქცეულიყო — არავინ აშინებდა და მისდევდა — ლტოლვილს. და ბოლოს, ველასკესს ჰქონდა კიდევ ერთი საშუალება — ანდალუზიური ღვინის პატარა კასრები, რასაც საბრალო მოხუცების გასამასპინძლებლადაც არ იშურებდა: დამთრობელ სასმელის მაგიური ზემოქმედებით მოხუცები ისეთი უსაზღვრო მადლობის გრძნობით განიმსჭვალნენ ესპანელისადმი, რომ იგი მალე დაეუფლა ლტოლვილთა ყოველ საიდუმლოებას.

ერთ-ერთი მთიელი, რომელიც ადრე თავს ნამდვილ იდეოტად აჩვენებდა ესპანელებს, იმდენად დაეწაფა ღვინოს, რომ ერთხელ სრულიად მოლბა; ჩვეულებრივ მდუმარე ის კაცი ალაპარაკდა. ველასკესმა შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან და შეზარხოშებულ მოლაყბეს დასტუდა მისთვის საჭირო ცნობები. როცა გალეშილ მოხუცს დაეძინა, ველასკესმა უკვე იცოდა, სად იმალებოდა გუაროა თავის ტომთან ერთად. იმავე ღამეს გაემართა რაზმი სალაშქროდ.

მაგრამ საღამოზე მოხუცი გამოეხიზნლდა. გაიხსენა მოღალატური ნალაყბევი, მაშინვე მოიხმო თავისი პატარა ვაჟი, რომელიც ყოველთვის

მზად იყო ყოველგვარი დავალების შესასრულებლად, და უბრძანა ესარგებლა ღამის სიბნელით, მოკლეზე. ტყე-ტყე ევლო და შეეტყობინებინა გუაროასთვის, რომ ესპანელები ემზადებიან მასზე თავდასხმისათვის.

ლტოლვილებმა სასწრაფოდ დატოვეს ლაგო-დულისეს სტუმართმოყვარე, ძალიან დამრეცი სანაპიროები, სრულიად ადვილი მისადგომი კავალერიისათვის, რომელიც თავზარს სცემდა ინდიელებს. ახალ სადგომად გუაროამ აირჩია მაღალი, თითქმის ციცაბო, მწვერვალით ღრუბლებში შეჭრილი მთა. ეს ბუნებრივი ციხე-სიმაგრე, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან იყო მისადგომი. იგი ღრმა ხეობით უერთდებოდა მეზობელი, ასეთივე ხრამიანი, კლდოვანი მწვერვალის ფერდობს, რომელიც მეორე ბივუაკის მოვალეობას გაუწევდა ლტოლვილებს.

ლაგო-დულისემდე რომ მიაღწიეს, ველასკესმა ინდიელების ახლახან აქ ყოფნის მხოლოდ კვალი ნახა, მეტისმეტად გააკვირვა სანაპიროს მშვენიერებამ და მიდამოს ხელსაყრელმა მდებარეობამ, სადაც თავი შეეფარებინათ გუაროასა და მის ტომს. ძალაუნებურად დაემორჩილა კეთილ გულისთქმას და დაენანა კიდეც, რომ იძულებული იყო დაერღვია მათი მშვიდობიანი განმარტოება. უბედურ ლტოლვილებს, როგორც ჩანდა, გულში არ ჰქონდათ არავითარი ცბიერი გეგმები, და ეს ფიქრები ადუნებდა ესპანელთა გულში მთკლემარე მათი განადგურების წყურვილს და ულმობელი ძალით იღვიძებდა მცირე ეჭვებზეც კი, რომ ინდიელებს მათ წინააღმდეგ ცუდი ზრახვები აქვთ. ამჯერად ესპანელები გუაროას ფეხდაფეხ მისდევდნენ სამსახურებრივი მოვალეობის, თუ ყოყოჩობის გამო, რომელიც გამოწვეული იყო უფრო თავგადასავლის ჟინით, ვიდრე ინდიელების სისხლის დაღვრის მიზნით, მათ მხოლოდ ხუმრობით თუ შეიძლებოდა ამბოხებულები წოდებოდათ. ამრიგად, როცა ტბის ნაპირზე მდებარე პალმების ჭალაში მივიდნენ და მოხერხებულად მოეწყვნენ, ველასკესმა გადაწყვიტა, ამ მშვენიერ ადგილას ხალხი რამდენიმე დღით დაესვენებინა და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ახლომახლო მთების დაზვერვით.

მწვერვალი, სადაც გუაროა თავის ტომთან ერთად გაიქცა, საუკეთესო სამხედრო რედუტი იყო, და სხვა არაფერი; ამ მიუდგომელ კლდეს ბუნებამ მხოლოდ ეს უპირატესობა უწყალობა. გრანიტის ზეგანის ნაპრალებში წყალსატევები იშვიათად გეხვდებოდა და მცირე სინოტივეს ინახავდა. აქ არ იყო არც ნათესი და არც არავითარი საკვები მცენარეულობა; ორ-სამ დღეში ლტოლვილებს დაუმთავრდა მცირე მარაგი, რომელიც ლაგო-დულისეს სანაპიროდან წამოიღეს და შეჭამეს ყველა ველური ნაყოფი, რაც იპოვეს ამ არასტუმართმოყვარე მთაზე. მერე შიმშილობა დაიწყო. ქალები და ბავშვები, გუაროკუიას გარდა,

დააბრუნეს სახლებში: საკვების საძებნელად გამოუვეს რამდენიმე კაცი, მათ სამხრეთისკენ გასწიეს, მტრის ბანაკის საპირისპირო მხარეს და მალე მიაღწიეს მდინარე პედერნალესის ველს. ლტოლვილებამდე ჯერ არ მიეღწია ამბავს, რომ მდინარის შესართავთან დაბანაკდა ესპანელთა რაზმი, გამოგზავნილი ადგილის დასათვალიერებლად და დასაცავად. უსაქმოდ მყოფი ჯარისკაცები ახლომახლო მიდამოებში ნადირობდნენ. და აი, როცა გუაროას რვა წარგზავნილმა მიაღწია სიმინდის მინდორს და ოქროსფერი ტაროების მოგროვებას შეუდგნენ, მათ მოულოდნელად ალყა შემოარტყეს ესპანელმა ჯარისკაცებმა: მხოლოდ სამი ინდიელი ჩაიგდეს ხელთ ტყვედ, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. რაზმის მეთაური, მოხუცი ესპანელი მოეფერა ტყვეებს. მათი ნდობა მოიპოვა და მოხერხებულად დასტყუა. სად იყო გუაროას ახალი ბანაკი და როგორი წესები ჰქონდათ იქ. როცა გაიგო, ლტოლვილნი ბევრნი იყვნენ, ესპანელი ოფიცერი აფორიაქდა, ტყვეები გამყოლად წაიყვანა და რაზმის ნაწილთან ერთად გასწია დიეგო ველასკესთან სათათბიროდ.

ველასკესმა მიზნად დაისახა დაემორჩილებინა ამბოხებულნი. სამ რაზმად დაყოფილი ესპანელები სამი მხრიდან შევიდნენ მთის სილრმეში და ეკვეთნენ ციცაბო კლდის მისადგომს, რომელმაც შეიფარა ლტოლვილნი. მაგრამ ინდიელთა ბელადს როდი ეძინა და საოცარი სიმკვირცხლით თვალის დახამხამებაში მოაწყო ბანაკის დაცვა. როგორც კი ესპანელმა ჯარისკაცებმა დაიწყეს კლდიან მწვერვალზე აცოცება, მათ თავს დაატყდათ უშველებელი ქვების მომაკვდინებელი სეტყვა. სამჯერ შეუტიეს გაბედულებმა. მაგრამ უშველებელმა ლოდებმა სამჯერვე დააგორა ისინი ძირს ამ თითქმის ფრიალო ფერდობიდან.

პირველად თავდაცვა ხდებოდა სრულ სიჩუმეში — ასე ბრძანა ბელადმა: მაგრამ ამბავმა, რომ მტერი უცებ მეორე მხრიდან გამოჩნდა, გამოიწვია დაბნეულობა და საწყალობელი კივილი გარემოცულთა შორის.

მხდალების საშველად გუაროა გაიქცა, იგი ყველგან ასწრებდა მისულას, ამხნევებდა, ამშვიდებდა, იმედს უნერგავდა. უთითებდა უკიდურეს შემთხვევაში უკანდასახევი გზისკენ. ასე მოახერხა ბელადმა თავისი სულიერად დაცემული მეომრების გამხნევება და ისევ ბრძოლაში ჩაბმა, რომ უკუეგდო ესპანელების შემოტევა, რომლებიც კლდეებზე მოცოცავდნენ ყოველი მხრიდან.

ღამის სიბნელემ შეწყვიტა თავგამოდებული ხელჩართული ბრძოლა; სიბნელით ისარგებლეს და ინდიელებმა უკანდახევა იწყეს, ჩაიპარნენ ხეობის ძირში და აქედან გადაეიდნენ გვერდით მთაზე. მეორე დღეს დილით დიეგო ველასკესმა ბრძანა ისევ გადასულიყვნენ შეტევაზე: ამჯერად რაზმს არავითარი დაბრკოლება არ შეხვდა, ციცაბო

კლდის ბუნებრივი დაბრკოლების გარდა; როცა მწვერვალზე აცოცდნენ, ესპანელები გაშრნენ, გაოცებულები დარჩნენ, მთის პლატო უკაცრიელი იყო.

X

კონტრასტები

ბევრი ვაი-ვაგლახი დასჭირდათ, ვიდრე ინდიელების ახალ ადგილსამყოფელს აღმოაჩენდნენ; კიდევ სამ შეტევას გაუძლო გუაროამ უცველელი წარმატებით; მერე, როგორც პირველი შემთხვევის დროს, ძოახერხა თავის ხალხთან ერთად დაძვრენოდა მოწინააღმდეგეს.

მაგრამ არც ისე იოლია თავი დააღწიო შიმშილს, რომელიც სულ უფრო მეტად აწუხებდა მათ. ხშირ ბარდებში ძნელია საკვების შოვნა: მამიას, გუანაბანოს, ხაგუასა და კაჩეოს ველური ნაყოფი თანდათან ილეოდა. მღრღნელები და იგუანები საკმაო არ იყო ტომის გამოსაკვებად, — საჭირო შეიქნა ახალი, უფრო სტუმართმოყვარე ადგილის პოვნა, თუ არადა სიკვდილი ელოდათ.

ბელადი არ ყოყმანობდა: ხუთმა ინდიელმა, რომლებმაც ახლახან დააღწიეს თავი მდინარე პედერნალესის მახლობლად წამოსწრებულ ესპანელებს, მიიღო ბრძანება დაეზვერათ მიდამო, გამოერკვიათ ესპანელების რაოდენობა და მათი განლაგება მდინარის სანაპიროზე.

მზვერავებმა ზუსტად შეასრულეს ფრთხილი ბელადის ყველა დავალება, მესამე დღის ბოლოს მშვიდობით დაბრუნდნენ და მოიტანეს ამბავი, ესპანელების რაზმი მდინარის შესართავთან შესდგება ორი ათეული ჯარისკაცისაგანო; ყოველდღიურად რვა ქაცისაგან შემდგარი ბადრაგი დილიდანვე ამოწმებდა მთელ მიდამოს და საღამოთი ბრუნდებოდა, რომ ღამე სხვებთან ერთად უბაზრობაში გაეტარებინათ.

იმავე დღეს ლტოლვილების მთელი ბანაკი გზას გაუდგა სიმინდის მოსატანად და შუაღამისას მიაღწიეს ადგილს. თვალის დახამხამებაში აიღეს მოსავალი, ისე რომ ყანაში ერთი ტაროც არ დაუტოვებიათ; რამდენიმე დღისთვის საკმაო საჭმელით დატვირთულმა ინდიელებმა მდინარე პედერნალესიდან აღმოსაელეთისკენ გადაუხვიეს, თუმცა წინა ღამის ექსპედიციის დროს მათი ბანაკი მნიშვნელოვნად უფრო ახლოს იყო ნათესებთან.

ესპანელთა ბადრაგმა შეამჩნია მინდვრის დაცარიელება. იმ მიდამოებში მცხოვრებმა მშვიდობიანმა ინდიელებმა თვითონ არ იცოდნენ, როგორ გაქრა სიმინდი, მაგრამ შეშინებულებმა, თავიდან რომ აეცილებინათ ეჭვები ისე გულმოდგინედ დაუწყეს მოხმარება ჯარისკაცებს ძებნაში, რომ ღამის მომხვდურთა კვალს მალე მიაკვლიეს.

ოფიცერმა, რომლის მეთაურობით იდგა საგუშაგო პედერნალესთან, მაშინვე აფრინა მაცნე დიეგო ველასკესთან მომხდარი ამბის საცნობებლად; მაგრამ, მაცნე, ადგილობრივი მცხოვრები, არ ჩქარობდა და გავიდა რამდენიმე დღე, ვიდრე მან მთები გადალახა და მიაღწია ლაგო-დულისემდე. სადაც ესპანელები იყვნენ დაბანაკებული. დიეგო ველასკესმა გადაწყვიტა ნაყოფიერ. დამუშავებულ ადგილზე დაბრუნებულიყო, რადგან მისმა რაზმმა პატარა დანაკლისი როდი განიცადა, დაიმშა და დაიღალა პირქუშ მთაში ერთი ადგილიდან მეორეზე მომქანცველი გადასვლით. მდგომარეობა მოახსენა ხარაგუაში კომანდორ ოვანდოს, რომელმაც იმ დროისთვის, როგორც იქნა, მოძებნა მოხერხებული ადგილი და დასახა გეგმა ქალაქის, ვერა-პასის დასაარსებლად, ლასილიის ფერდობზე, რიო-გრანდეს მახლობლად. ღვთისმოსავმა კომანდორმა ღვთისაგან წყალობის მისაღებად და ხარაგუაში მომხდარი ბოროტმოქმედების მძიმე უღლის თავიდან ასაშორებლად ქალაქის მუნიციპალიტეტის პირველ ქვასთან ერთად—ეკლესიისა და ფრანცისკანული მონასტრის საძირკვლებს ჩაუყარა საფუძველი, ფრიალო კლდეზე კი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს აღმართულიყო, ბრძანა ციხე-სიმაგრე აეშენებინათ. ამ საზრუნავით გართულს მოუსწრო დიეგო ველასკესისგან შემოთვლილმა ამბავმა; ინდიელების თავხედობამ გააოფთრა კომანდორი. მან ბრძანა დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ესპანელთა რაზმისთვის დამხმარე ორმოცდაათი კაცი, ოცდახუთი კაცი კი ჩაესვათ ხომალდში და ზღვით გაეგზავნათ პედერნალესის შესართავთან, რომ იქ მყოფთ შეერთებოდნენ, ჩაეტარებინათ ახალი კამპანია ველასკესის მეთაურობით და მთების სილრმეში ჩრდილოეთიდან შეჭრილიყვნენ. კარგად შეიარაღებული ესპანელები უზრუნველყოფილი იყვნენ სურსათით; მისი ნაწილი განკუთვნილი იყო სამხრეთ სანაპიროსთვის და კარაველას ტრუმით მოდიოდა; დანარჩენი სანოვაგე ზურგით მიჰქონდათ ინდიელებს, რომლებიც საბმელეთო რაზმს მიჰყვებოდნენ.

როცა ყველაფერი მზად იყო და კარაველაში გადაზიდეს ტვირთი, ოვანდოსთან გამოცხადდა ესპანელი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავი დიდებულად და ღირსეულად ეჭირა. მისი დანახვისას გუბერნატორმა სასიამოვნო გაოცება გამოხატა, კეთილგანწყობილად და ალერსიანად შეჰყვირა:

— მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, დიდი ხნის მერე ისევ გხედავთ, ლიცენციატო. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენ მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას ბოლო მოეღო.

კაცმა, რომელსაც ასეთი ალერსიანი საყვედურით შეხვდნენ, უპასუხა:

— სენიორ, სჯობს ჩემს მწუხარებას თავი დავანებოთ: ამ უბედურე-

ბისგან მე მხოლოდ იმის რწმენა მიხსნის, რომ შემიძლია ჩემს ახლობლებს დავეხმარო. ჯდა რაკი თქვენ, მადლობა ღმერთს, დამეთანხმეთ, რომ ჩვენ გვმართებს, როგორც უზენაესი ისე ჩვეულებრივი პრაქტიკული მოსაზრებით, კეთილი მოქცევითა და მოფერებით დავიყოლიოთ ხარაგუელი უბედური ინდიელები, — ისინი შიშისგან შეპყრობილნი ახლაც იმალებიან მიუვალ მთებში, — იმ დროს, როცა ჩვენ ვარღვევთ ყოველგვარ ღვთიურსა და ადამიანურ კანონებს, ვნადირობთ მათზე, როგორც ნადირზე...

— თქვენ ისევ თქვენსას ლაპარაკობთ, სენიორ ბარტოლომე,— გააწყვეტინა მას ოვანდომ. — ნუთუ არ იცით, რომ ინდიელებს ჩვენი განადგურება უნდოდათ? რომ მათი ბოროტი და ვერაგი მმართველი ქალი ცდილობდა ყალბი სტუმართმოყვარეობით მიეძინებინა ჩვენი სიფხიზლე, და ქვეშევრდომებს აქეზებდა დაეხოცათ ყველა ესპანელი? მაშ, თქვენი აზრით, თვინიერი კრავებივით უნდა შეგვეშვირა ყელი დანისთვის?

— სერიოზულად მოვილაპარაკოთ, სენიორ. ასეთი რამ ხომ მხოლოდ ხუმრობით შეიძლება ვამტკიცოთ. მაგრამ, გაიხედეთ, ხარაგუაში ისევ ხრჩოლავს კოცონები, და ეს ხუმრობა, მართლაც, უფრო სასტიკია, ვიდრე თქვენი მკრეხელური თამაში დისკოთი, თამაში, რომელიც იქ უკუღმართ დღეს გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის ნიშნის მიცემა გამოდგა.

— გეყოფათ, სენიორ ლას კასას, — გააწყვეტინა ლაპარაკი შუბლშეკრულმა გუბერნატორმა. — ძალიან ბევრ სიტყვებს ხარჯავთ. ადრეც გითხარით, რომ თქვენზე ნაკლებს არ ვწუხვარ დაღვრილი სისხლისა და სასტიკი დასჯის გახსენებაზე, რომლისთვისაც იძულებული ვიყავი მიმემართა; თქვენ რომ ჩემს ადგილზე ყოფილიყავით, ლიცენციატო, გეფიცებით, ზუსტად ასე მოიქცეოდით.

ბარტოლომე ლას კასასმა მხოლოდ ჩაიცინა ამისთანა ვარაუდზე: ეს რომ შენიშნა, გუბერნატორმა მოუთმენლად შეჰკვირა:

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ? რისთვის მოხვედით?

— მინდა გავყვე მდინარე პედერნალესზე მიმავალ ექსპედიციას: აუცილებელია მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილება და უბედურთათვის ცრემლის შემშრალება; ვიმედოვნებ, ჩემი რჩევა ხელს შეუწყობს იმ ამბავს, რომ თავი ავარიდოთ ნაგვიანევ სინანულს.

— თქვენ ჯობია ბერად აღიკვეცოთ, სენიორ ბარტოლომე.

— შემიძლია ისევ გაგიმეოროთ, სენიორ, რომ ღვთის წყალობით, ვიმედოვნებ მალე გავხდები ბერი; ამჟამად საკანონოს ვსწავლობ.

ოვანდომ შეხედა თანამოსაუბრეს და მის ღვთიური ნათელით გაბრწყინებულ სახეზე რაღაც უჩვეულო შენიშნა და თავაზიანად უთხრა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სენიორ ბარტოლომე, და არ იფიქროთ, რომ ბოროტი გული მაქვს.

შესანიშნავმა ადამიანმა, რომელსაც წილად ხვდა მომავალში გაეკვირვებინა დედამიწის მპყრობელნი ჩაგრულ ინდიელთა გმირული დაცვით, ამ თავის მართლების უმწეო ცდაზე მსუბუქი თავის დაკვრით უპასუხა და გახარებულმა წარმოთქვა:

— ღმერთმა გაგანათლოთ, და ზეგარდმოგიელინოთ თავისი მადლი!

თქვა ეს სიტყვები ლას კასასმა და სწრაფად გავიდა. ორი საათის შემდეგ კარაველას, რომლითაც ლას კასასი მიცურავდა, ზურგქარი სამხრეთ სანაპიროსაკენ მიაქროლებდა.

XI

თათბირი

როგორც კი მიუვიდა მაშველი, რომელსაც ელოდებოდა, დიეგო ველასკესმა მაშინვე დაძრა რაზმი ლაგო-დულისეს სანაპიროდან და მთების სიღრმისაკენ გაემართა. უველა თავისი მოქმედება შეუთანხმა პედერნალესის დამცველი რაზმის უფროსს და ოვანდოს მითითებით მდინარეს ფრთხილად აჰყვა ზევით, გზად მიმავალთ ამ ნაყოფიერებით განთქმული ადგილებიდან უნდა წაეღოთ მთელი სურსათი, რომლითაც, ერთი მხრივ, შეივსებდნენ თავიანთ მარაგს. მეორე მხრივ კი—ინდიელებს მოუსპობდნენ მათთვის აუცილებელ საკვებს. ველასკესი ვარაუდობდა, რომ ტბიდან სამხრეთისკენ, მდინარის სანაპირომდე, შემდეგ კი დინების მიმართულებით, დაღმა მიმავალს, ორი-სამი დღის მერე აუცილებლად შეხვდებოდა სანაპირო დაცვა; ისინი შეერთდებოდნენ უფრო დამრეც ფერდობთან, მდინარის შესართავის ახლოს, სადაც მოწინააღმდეგეს ადვილად დაამარცხებდნენ.

ამ გეგმის პირველი ნაწილი შესრულებული იყო ზუსტად ესპანელთა მხედართმთავრის გაანგარიშების თანახმად: მესამე დღეს იგი შეუერთდა რაზმს, რომელიც იდგა მდინარის მოსახვევთან, მთის ძირას, სწორედ იქ, სადაც იგი უცებ, თითქმის შეეულად ზევით მიიწევს სანაპიროდანვე, მდინარის ანკარა წყალი ჩარჩოსავით ეკვრის გარს ამწვანებულ ველს, რომელიც დასავლეთისკენ იშლება. მაგრამ არც ისე იოლი იყო მოწინააღმდეგესთან შეხვედრა; როცა ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ესპანელებმა ისევ დაიწყეს ინდიელების შეპყრობა, გამოირკვა, რომ მათ დატოვეს თავიანთი სადგომი პედერნალესის მახლობლად და ისევ გაიქცნენ მიუვალი მთების სიღრმეში.

ეს კი მოხდა შემდეგნაირად: როცა ჯარისკაცებმა დაიძინეს, ზურგზე სანოვაგე აკიდებული ინდიელები მიიმალნენ, რომ თანამოძმეებს შე-

ერთებოდნენ და მათთვის ორმაგი სამსახური გაეწიათ: მოეშარაგებინათ უხვი სურსათით და ეცნობებინათ მტრის მოახლოება.

დიეგო ველასკესის სასოწარკვეთილებამ უკიდურესობას მიაღწია, როცა მიხვდა, რომ დევნის სიძნელეების შემდეგ, ინდიელები ისევ დაუსხლტნენ ხელიდან: და მაინც დაუძლეველი სიჯიუტით, რაც დამახასიათებელია იმ რკინის ადამიანებისთვის, რომლებმაც წამოიწყეს კოლუმბის გენიის მიერ აღმოჩენილი ახალი ქვეყნის დაპყრობა, ესპანელების მხედართმთავარმა ბრძანა წასულიყვნენ წინ. რომ მიეღწიათ მიზნისთვის, რომლისთვისაც იგი თითქმის სამი თვე ამაოდ იღწოდა.

ამრიგად, ესპანელები ბანაკის აშლას აპირებდნენ, როცა ბარტოლომე ლას კასასი, რომელიც სახმელეთო რაზმთან ერთად მიდიოდა,—იგი მებრძოლებისგან გამოირჩეოდა შავი კამზოლითა და მოკლე ლაბადით, შეიარაღებული იყო მხოლოდ უბრალო კორძებიანი ხელჯოხით, რაც მას მთიან უღელტეხილების გაღალახვასა და მდინარის ფონებზე გადასვლაში ეხმარებოდა, გაბეჭდულად მიუახლოვდა ველასკესს და უთხრა:

— სენიორ დიეგო, დამერწმუნეთ, ამაოდ ირჯებით, თქვენი მოწყალების ყოველი ცდა უშედეგო იქნება, ინდიელები აწიც მშვიდობიანად დაგისხლტებიან ხელიდან; ამ კამპანიაში, რაც მოწყობილია ტეხილავის მტრის საწინააღმდეგოდ, რომელიც არამც თუ თავს გვესხმის, არამედ ყოველ ღონეს ხმარობს, თავი აარიდოს ჩვენთან შეხვედრას და შეინარჩუნოს სიცოცხლე, მხოლოდ ჩვენი იარაღის ღირსება დაზარალდება.

— რა გინდათ თქვათ, სენიორ ბარტოლომე?

— აი, რა: თუ თქვენი მოწყალება აღარ განაგრძობს ნადირობას საცოდავ და უვნებელ ადამიანებზე და ეცდება მათ დარწმუნებას, რომ არ ემუქრებათ სიკვდილი ანდა სხვა სასჯელი, ისინი დაემორჩილებიან თქვენს უდიდეს სახელს და ეს იქნება თქვენი სულის ხსნა.

დიეგო ველასკესი ბუნებით სასტიკი კაცი არ იყო: როგორც მისი რასის ადამიანი, რელიგიური და პოლიტიკური ცრუ რწმენებით გაჟღენთილი იმეორებდა ყველა იმ დამპყრობელის ბედუკუღმართ მაგალითს, რომლებსაც სწყუროდათ ცეცხლისა და მახვილისათვის მიეცათ უბედური ინდიელების სხეული და სული; მაგრამ ყოველთვის, როცა საშუალება ეძლეოდა დროულად ჩაკვირვებოდა საქმეს, ბუნებრივი დიდსულოვნება სძლევდა ხოლმე, მეომრული სიფიცხე კი ადგილს უთმობდა გონებას. ლას კასასის სიბრალულით გამსჭვალულმა სიტყვებმა ისევ გაჰფანტა ესპანელი მეომრის სისხლმოწყურებული ჩანაფიქრი, როგორც მზის სხივი გაჰფანტავს ხოლმე მთაში შემოდგომის ნისლს.

— მაგრამ ინდიელებს ვინ დაარწმუნებს, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ ხელყოფს მათ სიცოცხლეს? — ჰკითხა ველასკესმა ლას კასასს.

— მე, უპასუხა მან უბრალოდ, — წავალ ინდიელ მეგზურებთან ერთად, ვნახავ გუაროასა და სრულებით არ მეპარება ეჭვი, რომ შევძლებ მის დარწმუნებას.

ესპანელთა მხედართმთავარი გაოცა ასეთმა გადაწყვეტილებამ, რომელიც მისთვის დღემდე უცნობი შეუპოვრობის დამადასტურებელი იყო; როგორც ცნობილია, რწმენა გადამდებია, და ველასკესი თავისდა უნებურად დაემორჩილა ძალას, რომლითაც იყო შთაგონებული ლას კასასის დიდსულოვანი გული; მან ყურად იღო კეთილი რჩევა, და იმ წუთიდან ჩაესახა იმედი, რომ წარმატებით მოაწესრიგებდა მისთვის დავალებულ საქმეს.

XII

რწმენის ძალა

ვნახოთ, ამასობაში, რა ხდებოდა გუაროას ბანაკში. ესპანელთა რაზმიდან, პედერნალესის სანაპიროდან გამოქცეული ინდიელების დახმარებით, რამდენიმე დღის საკმაო სურსათით უზრუნველყოფილი გუაროას თანამოძმენი თანდათან ეჩვეოდნენ მოხეტიალე და სახიფათო ცხოვრებას. ბელადის მაგალითის მიხედვით, სელვის შვილებმა მალე შეისწავლეს ტოტებით ქოხების კეთება, რომლებიც მათ ავდრისგან იფარავდა; თითოეული ლტოლვილი დიდი ოსტატობით ისროდა არა მარტო გუაკოს ისარს მანგლეს მაგარი მშვილდით, რომელზეც პიტის ლარი იყო გაბმული, არამედ მარჯვედ ხმარობდა მძიმე კომბალს, ანდა რკინასავით მაგარი აკანის ხის ჯოხს: გულადები უკვე ლაპარაკობდნენ, რომ კმარა თავდაცვა, ხომ არ არის შეტევაზე გადასვლის, მტერზე თავდასხმის დროო.

მაგრამ ფრთხილი გუაროა არც ფიქრობდა ამაზე; მისი გეგმა, როგორც ვხედავთ, იმაში მდგომარეობდა, რომ მთელ ტომთან ერთად, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლით უნდა დამალვოდნენ მდევრებს და უკიდურეს შემთხვევამდე თავი აერიდებინათ მტერთან შებრძოლებისთვის. ცდილობდა მიუვალი მთების მიყრუებულ ტევრში ეპოვა ისეთი საიმედო თავშესაფარი, რომელიც ესპანელებს სამუდამოდ დაავიწყებდა უძლეველთა არსებობას.

ამ გეგმის მრავალი სიძნელე ახლდა, მთავარი იყო მთების მწვერვალებზე წყალსატევების სიმცირე. ყოველთვის, ვიდრე ბანაკიდან აიყრებოდნენ. წინდახედული ბელადი ბრძანებდა გაეთხარათ ღრმა ორმოები ხევებსა და ხეობებში, რომლებიც მწვერვალებს ქაოტურად დაზვინულ კლდეებად ჰყოფდა; ერთი მხრივ, ასეთი ორმოები ამაგრებდა

თავდაცვის ხაზს, მეორე მხრივ კი — მთის ხშირი წვიმები იძლეოდა წყლის უხვ მარაგს.

გუაროკუია მომთაბარე თვისტომთათვის ისევ გამუდმებული მზრუნველობის საგანი და კერპი გახლდათ; მისი ბავშვური უშუალობა, მუდამ ზომიერი და თვინიერი ხასიათი, გულუბრყვილო გართობა— ყველაფერი, აღაფრთოვანებდა უბედურ ლტოლვილებს, რომლებიც ამ ბავშვზე ამყარებდნენ ცრუმორწმუნეობრივ იმედებს. იგი საოცარი სიმკვირცხლით დარბოდა და ხტოდა; უდრტვინველად, დაუღალავად მიჰყვებოდა თავის ძლიერ ნათესავს ციცაბო ბილიკებზე, ვიდრე ძმისშვილის არაჩვეულებრივი გამძლეობით გაოცებული გუაროა რომელიმე ინდიელს არ დაავალებდა ძალით შეესვა ბავშვი მხრებზე; თვინიერი ბავშვი წინააღმდეგობას არ უწევდა, მაგრამ არც სიხარულს ამჟღავნებდა, როცა მხრებზე შესმული მიჰყავდათ.

ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლის ხარაგუანელს, რომელიც წინათ კოლუმბის წინააღმდეგ ამბოხების თავკაც როლდანს, მთავარ ალკალდს, ემსახურებოდა, სხვებზე ხშირად აჰყავდა ხელში ნორჩი კასიკი. ადრინდელმა პატრონმა ინდიელს დაანათლა ესპანური სახელი ტამაიო, რადგან სახით ამგვანებდა მოხუც მსახურს, ეს სახელი რომ ერქვა და წარმოშობით მავრი იყო, იგი თავის ბატონთან ერთად ახალ ქვეყანაში ჩამოსელის შემდეგ მალე გარდაიცვალა. როლდანის ყოფილმა მსახურმა თითქოს მემკვიდრეობით მიიღო სანტო-დომინგოს ისტორიაში ცნობილი თავისი პატრონის, პირველი მეამბოხის დაუცხრომელი სული. ტამაიო დიდებულად ხმარობდა ესპანურ იარაღს და წუთითაც არ იშორებდა ხმალ-ხანჯალს, რომლის მოტაცებაც მთაში გამოქცევის წინ მოახერხა; იგი გულდაგულ ასწავლიდა ფარიკაობის ხელოვნებას თავის ნორჩ აღსაზრდელს; ასრულებდა მის ყოველ სურვილსა და ჟინს, რითაც ბავშვის მხურვალე სიყვარული დაიმსახურა.

ნორჩი კასიკის მიერ ინდიელთა შორის გამორჩეული ტამაიო. შეიძლება სწორედ ამიტომ იყო დაუცხრომლად შეუპოვარი და მამაცი. ერთხელ პატარა გუაროკუიასთან ერთად ჩამოვიდა მწვერვალიდან და ბანაკს კარგა დიდი მანძილით მოშორებული, ალალბედზე დაეხეტებოდა საკვების — იგუანის, ჩიტის ბუდის ანდა ველური ნაყოფის საშოვნელად: უცებ, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ორი ინდიელი. გამოჩნდა; რაღაცას ანიშნებდნენ და მიუახლოვდნენ თეთრკანიან კაცთან ერთად, ეს იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც შიშის ზარს სცემდა კუნძულის მცხოვრებლებს. თუმცა, ამჯერად ესპანელის შესახედაობა არავითარ შიშს არ იწვევდა. თეთრკანიანს შავი ტანისამოსი ეცვა, იარაღის ნაცვლად ხელში კვერთხი ეჭირა, რაც მას მწყემსს ანდა პილიგრიმს ამსგავსებდა.

ტამაიომ დიდი გაკვირვებით შეხედა მგზავრებს, მაგრამ არ შეში-

ნებია, მაშინვე იშიშვლა ხმალი, შესაბრძოლებლად გაემზადა და იკითხა, რა ნებავდათ მოსულებს.

პასუხმა და უფრო მეტად ორი ინდიელის თანამგზავრი ლას კასასის ნაცნობმა და ალერსიანმა სახემ, დაამშვიდა ტამაიო. ინდიელები ტამაიოს მშობლიურ ენაზე ელაპარაკებოდნენ და აუხსნეს, რომ ესპანელი დაუმორჩილებელთა ბელადთან მოსალაპარაკებლად მოვიდა.

ლაპარაკიც არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ გუაროკუია, რომელმაც ლას კასასი იცნო, გულწრფელი სიხარულით, ხელებგაშლილი გაჭანდა მისკენ; ესპანელმა ბავშვს კეთილი ღიმილით უპასუხა, დაიხარა, ალერსიანად აკოცა ლოყაზე და უთხრა:

— მთის ჰაერი მოგბდენია, პატარავ.

ტამაიომ ქარქაშში ჩააგო დიდებული ხმალი, მოიხადა ქუდი, რომელსაც იგი ატარებდა ესპანელთა ჩვეულების მიხედვით, მიუახლოვდა ლას კასასს და ხელზე ეამბორა.

ლას კასასი დაკვირვებით დააცქერდა ტამაიოს, ცდილობდა რაღაც გაეხსენებინა.

— ვინა ხარ? მგონი, გიცნობ, — თქვა მან ბოლოს.

— როგორ არა, ბატონო, — უპასუხა ახალგაზრდა ინდიელმა, — თქვენმა მოწყალებამ ერთი წლის წინ მნახა სანტო-დომინგოში, ჩემი ბატონის სენიორ როლდანის სახლში, როცა მას ესპანეთში გზავნიდნენ. ახალი პატრონი კი ისე ცუდად მექცეოდა, რომ დაებრუნდი სამშობლოში და ანაკაონას ვემსახურებოდი, ვიდრე უბედურება დაგვატყდებოდა.

— დიახ, დიახ, მართალია, — დაუდასტურა ლას კასასმა, — წამიყვანე ბელადთან.

გზადაგზა ტამაიომ ლას კასასს აუხსნა მიზეზი, თუ რატომ სცემდა პატივს მას: ლას კასასი ხომ ყოველთვის კეთილად უღიმის უბედურ ინდიელებს და ცდილობს ანუგეშოს ისინი; ხარაგუაში კი არ შეეშინდა აშკარად გამოეხატა წუხილი და გულისწყრომა კასიკების ქლეტის დანახვისას.

ბავშვიც გულწრფელად გაახარა ესპანელის ალერსიანმა თვალებმა და უწყინარმა სახემ. სისხლიან ხოცვა-ჟლეტამდე ცოტა ხნით ადრე კომანდორთან ერთად ხარაგუაში ჩამოსული ლას კასასი კეთილად ექცეოდა ბავშვს და ხშირად ანებივრებდა მცირედი საჩუქრებით. ისე მოხდა, რომ საშინელი ტრაგედიის მომენტში იგი მოედანზე აღმოჩნდა და სწორედ მან, კეთილმა ლას კასასმა ხელში აიტაცა ბავშვი და საშინელებისგან ცოცხალმკვდარი იგემოტა ძალით წაიყვანა იქედან; ახალგაზრდა ქალი და მისი ძმისშვილი მიიყვანა საიმედო თავშესაფარში და მათზე ზრუნავდა ყოველნაირად; ვიდრე ოვანდომ, რომელსაც. შეიძლება, სინდისი ქენჯნიდა, არ აღმოუჩინა მათ დახმარება და მფარვე-

ლობა. ბავშვი შეუგნებლად ცდილობდა სიყვარულითა და ალერსით გადაეხადა ესპანელისთვის სიკეთის სამაგიერო.

ინდიელთა ბელადი ლას კასასს ღრმა პატივისცემით შეხვდა. ესპანელი დიდხანს ესაუბრებოდა გუაროას, ნათელი ფერებით უხატავდა ლტოლვილთა საცოდავ მდგომარეობას და სულ მალე, ბელადის მიზეზით, მათ უცილობელ დაღუპვას; ამ დროს კი ველასკესი დიდსულოვნად სთავაზობს ინდიელებს დაემორჩილონ ხელისუფლების კანონებს და პირდება თავის მფარველობას, აგრეთვე ოვანდოც თავის მხრივ ყველაფერს აპატიებს ბელადსა და მის ტომს. გაიგონა თუ არა გუბერნატორის საძულველი სახელი, გუაროამ თავი ვერ შეიკავა: „მ ა გ რ ა მ მ ე ა რ მ ი ნ დ ა ვ ა პ ა ტ ი ო გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ს! — შეჰყვირა მან.— ს ი კ ვ დ ი ლ ი მ ი რ ჩ ე ვ ნ ი ა მ ი ს ხ ე ლ ქ ვ ე ი თ ს ი ც ო ც ხ ლ ე ს!“ ამ შესანიშნავ სიტყვებში გამოიხატა ინდიელთა ბელადის კეთილშობილება და ურყევი სულიერი სიმტკიცე. ესპანელების მიერ დაპყრობილი კისკეის ყველა ტომი გამორჩეოდა გმირული ვაჟკაცობით. მაგრამ ამ თვისებას განსაკუთრებული ძალით ავლენდნენ გუაროას ტომის წევრები: რასაც კოლუმბთან ერთად ადასტურებდნენ დამპყრობელი ეპოქის პირველი ისტორიკოსები და რაც თავის დროზე დაამტკიცეს კაონაბომ, გუარიონექსმა, მაიობანექსმა, ატუეიმ და სხვა გმირებმა რომელთა სახელები, საუკუნოდ აღბეჭდა მკაცრმა კლიომ.

ლას კასასი იმეორებდა, რომ გუაროას თანამოძმენი დაღუპვისაკენ მიჰყავდა და თავისი ტომის ყველა უბედურებაზე პასუხს აგებდა; ეს საყვედური ღრმად ჩასწვდა გულში ბელადს. სინდისის ქენჯნით შეწუხებულმა; მოაგროვა თავისი ხალხი, აუწყა მათ ყველაფერი, რაზეც ლას კასასს ესაუბრებოდა და მოუწოდა ნდობოდნენ დამპყრობელთა სიკეთესა და გულმოწყალებას. ყველა, ან, უფრო სწორად უმრავლესობა ინდიელებისა დაემორჩილა ბელადის რწმუნებას და თავჩაქინდრულები მხოლოდ დაბლა ჩასვლის ნიშანს ელოდნენ.

— შენ როგორ გადაწყვიტე? — გაისმა უცებ ვიღაცის ხმა..

— მე მარტო დავრჩები მთაში, — უბრალოდ თქვა ბელადმა.

პასუხად ათასი ხმის ზუზუნი და ქვითინი გაისმა.

პირველად ტამაიომ დაიყვირა, ბელადს არ მივატოვებო.

მას აჰყვნენ ასობით სხვა ინდიელები და ლას კასასისა და თვით გუაროას ვერავითარმა რწმუნებამ ვერ შესძლო ამბოხებულთა უსაზღვრო ერთგულების შერყევა თავიანთი ღირსეული ბელადის მიმართ, რომელმაც ასწავლა მათ თავისუფლების სიყვარული.

მაშინ ესპანელმა მტკიცედ თქვა:

— რა გაეწყობა, თქვენი ნებაა დარჩეთ ტყეში, მხეცებივით, რომლებზედაც დღედაღამ ნადირობენ. მაგრამ თქვენ არ გაქვთ უფლება საფრთხეში ჩააგდოთ ბავშვის სიცოცხლე და მსხვერპლად შესწირონ

თქვენს ახირებას — იგი ხომ ჯერ პატარაა და არაფერი ესმის ამ საქმეების. ბავშვი მე მიმყავს, რომ ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა; დადგება დღე, რომ იგი დაიცავს და შეიფარებს თანამოძმეებს, რომლებიც გადაურჩებიან შეუპოვარ ბრძოლას, იმათ წინააღმდეგ, ვისაც თქვენთვის ნამდვილი რწმენა მოაქვს.

ამ სიტყვებმა ინდიელთა რიგებში ჩოჩქოლი გამოიწვია. ტამაიომ და შემდეგ სხვებმა დაიფიცეს, რომ არ გაუშვებდნენ პატარა კასიკს, და ლას კასასი უკვე დასტიროდა თავისი მისიის წარუმატებლობას, როცა საქმეში გუაროა ჩაერია.

— ესპანელი მართალია, — თქვა მან, — ჩვენ უფლება არ გვაქვს ბავშვი ვიმსხვერპლოთ, დაე გუაროკუია წავიდეს ესპანელთან ერთად და მათ გაჰყვნენ სხვები. ასე ვიზამ, მარტო მე თავს დამანებებენ, მაგრამ თუ ბევრი ვიქნებით, მთაში მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ მოგვცემენ.

აი, როგორი ფანდი იხმარა თავდადებულმა გუაროამ, ოღონდ თანამოძმენი დაერწმუნებინა მიეტოვებინათ იგი და შეენარჩუნებინათ სიცოცხლე. გუაროამ მიზანს მიაღწია. ლას კასასი უკან დაბრუნდა ტამაიოს თანხლებით, რომელმაც თავისი იარაღი ბელადს დაუტოვა, თვითონ კი ბავშვი აიყვანა ხელში; ტამაიოს გაჰყვა ლტოლვილთა უმრავლესობა; მხოლოდ ცოტანი დარჩნენ ბელადთან, რომლებიც ლას კასასს დაჰპირდნენ. მეორე დღეს გამოვცხადდებითო. მაგრამ დაპირება არ შეასრულეს, არ ენდვნენ ესპანელებს, თუ რაღაც სხვა, მხოლოდ მათთვის ცნობილი მიზეზის გამო.

ასობით ჩაბარებული რომ ნახა, აღფრთოვანება ვერ დაფარა ველასკესმა. ლას კასასს გადაეხვია და გამარჯვება მიულოცა, მერე გუაროკუიას აკოცა, ბიჭს ნათლობა და მფარველობა აღუთქვა; ესპანელი მებრძოლები კეთილად შეხვდნენ დამნაშავე ამბოხებულებს და სამი დღის განმავლობაში მშვიდობა და სიწყნარე სუფევდა ნაყოფიერ ველზე, რომელსაც რწყავდა მდინარე პედერნალესი თავისი ხმაურა შენაკადებით. თითქოს გულუხვი დედა-ბუნება ზეიმობდა გონებისა და ადამიანობის გამარჯვებას სისხლის წყურვილსა და ნგრევაზე, ამ მშვენიერ, ბარაქიან ტროპიკულ მხარეში.

XIII

ინვედგაცრუება

მიუხედავად იმისა, რომ ესპანელი მხედართმთავარი უდიდეს სიხარულს განიცდიდა, რომ მშვიდობისა და მიტევების მისია იკისრა და ბოროტების ნაცვლად სიკეთეს ქმნიდა, მას იდუმალი მოუსვენრობა

ღრღნიდა. კომანდორის ბრძანება, რომელმაც ესპანელები ისევ ლაგოდულისეს სანაპიროზე დააბრუნა, მკაცრად და ურყეევად ჟღერდა. შეუბრალებელ გუბერნატორს საკითხის მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა წარმოედგინა: ინდიელების დევნა, მათ ბანაკზე თავდასხმა და დაუმორჩილებელთა სამაგალითოდ დასჯა. იგი არაფრით არ მოელოდა, რომ მტერი დანებდებოდა გამარჯვებულთა მოწყალებას, მისი წარგზავნილი კი აღმოჩნდებოდა მშვიდობის დამამყარებლის როლში. ოვანდოს თვალში ველასკესის მოქმედება ნამდვილად საოცარი იყო. კუნძულის მკვიდრნი ბევრნი არიან — ესპანელები ცოტა, და თუმცა დამპყრობლები საუკეთესოდ არიან შეიარაღებულნი, ისინი მხოლოდ გაელენის ძალაზე არიან დამყარებულნი; უაზრო გულმოწყალების ყოველი აქტი ამ გაელენას შერყევით ემუქრება. ასეთი იყო დამპყრობლების ურყევი რწმენა, და დიეგო ველასკესს, რომელიც „მსნელი სიმკაცრის" იდეებზე იყო გაზრდილი. ვერ დაეღწია თავი იმ ფიქრისთვის, რომ, ინდიელებთან შეთანხმებით, გუბერნატორის თვალში მან მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა.

ლას კასასმა, რომელსაც ველასკესმა თავისი ეშვები გაანდო, დაამშვიდა იგი. მისი კეთილი გულის სიღრმიდან მომდინარე მშვერმეტყველური მოსაზრებით; ლიცენციატი იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ოვანდოს აუცილებლად გაახარებდა ამბოხებულთა ასეთი წარმატებით შემორიგება, რომ თავს იდვა თვითონ შეეტყობინებინა კომანდორისთვის ეს ამბავი, რასაც ველასკესი აყოვნებდა. ეს აზრი მხედართმთავარს ჰკუაში დაუჯდა, მან მაშინვე დაწერა მოკლე მოხსენება, ლას კასასს კი მიანდო ამბავი სიტყვიერად დაწვრილებით მოეხსენებინა. ამრიგად, ჩვენი კეთილი ლიცენციატი გზას გაუდგა, კმაყოფილი იმის შეგნებით, რომ უმოწყალო ომის საშინელებათა ნაცვლად მშვიდობასა და თანხმობას ტოვებდა.

ველასკესის ლოცვა-კურთხევით თან წამოიყვანა ტაბაიო და გუაროკუია. ველასკესმა დაუდასტურა თავისი დანაპირები, რომ ნორჩი კასიკის მფარველი იქნებოდა და სინანულს გამოთქვამდა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვერ დაესწრებოდა ბაუშვის მონათლას.

ამინდი წყნარი იყო და ზღვით მგზავრობა მალე დასრულდა. როგორც კი იაგუანის ნაპირზე გადმოვიდა. ლიცენციატი დაუყოვნებლივ გაემართა დავალების შესასრულებლად. კომანდორმა, რომელიც დიდად აფასებდა ლას კასასს. პატივით მიიღო იგი, მაგრამ მასპინძლის თავშეკავებულმა და მოღუშულმა სახემ სტუმარი მიახვედრა, რომ კარგი ღღე ვერ შეარჩია სტუმრობისათვის. ნამდვილად, ოვანდო საზიზღარ ხასიათზე იყო, რადგან ორი დღის წინ იამაიკის კუნძულიდან ხარაგუაში ჩამოვიდა ადმირალ დონ ქრისტეფორე კოლუმბის თავდადებული და ერთგული მეგობარი დიეგო მენდესი და სთხოვა, დახმარება გაეწიათ უდიდესი ზღვაოსნისათვის, რომელსაც გემი დაეღუპა და უკიდურე-

სად უბედურ მდგომარეობაში კუნძულზე იმყოფებოდა. მენდესისა და მისი ოთხი თანამგზავრის დანჯღრეული ნავით მოგზაურობა ანტილიის ერთი კუნძულიდან მეორემდე იშვიათი სიმამაცისა და ენერგიის მაგალითი იყო, რამაც საზღვაო გმირობათა ოქროს წიგნში ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა.

ოვანდომ გადაწყვიტა უარი ეთქვა მენდესის თხოვნისთვის, მაგრამ მაინც განიცდიდა უსიამოვნო გრძნობას, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს ხოლმე ცუდ საქციელსა და ბოროტ განზრახვას. მას გულს უღრღნიდა მტანჯველი შეგნება, რომ დიდი ადამიანისა და მისი თანამგზავრების უკაცრიელ კუნძულზე ღვთის ანაბარად დატოვება, ეს სულმდაბალი საქციელი შთამომავლობის ზიზღს დაიმსახურებდა. კეთილშობილური თავდადებისა და ერთგული მეგობრის ცოცხალი განსახიერების—ესოდენ გმირული საქმის ჩამდენი მენდესის არსებობა, ოვანდოს თვალში, დიდი კოლუმბის მიმართ მისი მდაბალი შურისა, მისი სამარცხვინო და უმიზეზო მტრობის უტყუარ საყვედურად გახლდათ. კოლუმბმა მისცა მიწა, რომელზედაც დადიოდა, და ძალაუფლება, რომელსაც ბოროტად იყენებდა. ასეთ ზნეობრივ ტანჯვასა და დიდ ყოყმანში მიუსწრო ოვანდოს ლას კასასმა, რომელსაც პროვინცია ბაორუკოს შემორიგების ამბავი მოჰქონდა. მშვიდობისა და სიკეთის წინააღმდეგ წინასწარ განწყობილმა ოვანდომ ლიცენციატის კეთილად ჩარევასა და დიეგო ველასკესის გულმოწყალებაში ღვარძლიანი დაცინვა და თავისი ცუდი აღტყინებების უმოწყალო გაკიცხვა დაინახა.

— აი, თურმე რისთვის წახვედით ბაორუკოში, სენიორ რიტორო!— გააფთრებით მიახალა პირში ლას კასასს ოვანდომ. — აი, როგორია თქვენი აზრი ხელისუფლებასა და მათი მეფური უდიდებულესობისადმი სამსახურზე! თქვენს წიგნებში ხომ არ ამოგიკითხავთ, რომ დამცირებულად ილოცოთ ამბოხებულების. ამ ველურების მშვიდობისთვის, რომელთაც მკაცრი მოპყრობის გარდა არაფერი ესმით? ამიერიდან ინდიელებს უფლება აქვთ იზეიმონ ესპანელების საზიზღარ სულმდაბლობაზე. კი, რას ნიშნავს სწავლულებზე იმედის გამყარება. ვნებავ დაგარწმუნოთ, რომ ასეთი შეცდომა არასოდეს გამეორდება. ველასკესს კი ვასწავლი, როგორ უნდა შეასრულოს თავის მეუფეთა ნაბრძანები.

— სენიორ გუბერნატორო, — მტკიცე ხმით წარმოთქვა ლას კასასმა. — დიეგო ველასკესი აქ არაფერ შუაშია; იგი ენდო ჩემს რჩევას და იმ რეკომენდაციას, რომელიც თქვენ მიბოძეთ. ასეა თუ ისე, მიუხედავად იმისა, რა შეხედულება აქვთ საზხედრო პირებს ჩემს განათლებაზე, დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი; და მხოლოდ ეშმაკს შეუძლია ჩაგაგონოთ ეს ღვარძლი. რომელიც გახრჩობთ იმაზე ჯავრით, რომ სისხლისღვრის თავიდან აცილება მოხერხდა.

— წადით აქედან, ლიცენციატო, — შეაწყვეტინა მას გაღიზიანებულმა გუბერნატორმა, — და მოემზადეთ ხვალვე სანტო-დომინგოში გასამგზავრებლად. თქვენ აქ საჭირო არ ხართ!

ოდნავ თავი დაუკრა ლას კასასმა და დინჯი ნაბიჯით, მშვიდად დატოვა იქაურობა.

მარტო დარჩენილი ოვანდო შეუდგა დიეგო ველასკესისთვის წერილის წერას, სადაც მრისხანედ საყვედურობდა მიღებული განკარგულების შეუსრულებლობას და უბრძანა დაუყოვნებლივ წასულიყო სალაშქროდ, რათა გაენადგურებინა ურჩი ლტოლვილნი. მთაში სასწრაფოდ გაიგზავნა შიკრიკი დავალებით, რომ წერილი წაეღო ჰედერნალესის სანაპიროზე.

ლას კასასმა იმავე დღეს წაიყვანა გუაროკუია ფრანცისკანელ ბერებთან, რომლებსაც თავშესაფარი ეპოვათ დიდ, ისლის სახურავიან, ხის ფარდულში, ვერა-პასში სასწრაფოდ რომ ააშენეს ოვანდოს ბრძანებით, მონასტრისთვის ქვის შენობის აშენების მოლოდინში. ფრანცისკანელი მამები ლას კასასს გულღიად შეხვდნენ და ბავშვზე მზრუნველობა დიდი ხალისით იკისრეს. ბავშვი სასწრაფოდ მონათლეს და სახელად დაარქვეს ლას კასასის მიერ შერჩეული ენრიკილიო. ბიჭს ეწერა სახელის მოხვეჭა და ესპანიოლის ანალებში მოხვედრა.

ტამაიოც მონასტერში დარჩა პატარა კასიკის მოსამსახურებლად, რომელიც გულწრფელად შეიყვარა.

როგორც კი მოაგვარა ეს მნიშვნელოვანი საქმე, ლას კასასი სასწრაფოდ გაემზადა და მეორე დღეს უთენია ავიდა ხომალდის გემბანზე. დაჰბერა ზურგქარმა და გემმა უკან მოიტოვა მშვენიერი ჯადოსნური მხარე, რომელსაც ქანცს უწყვეტდა კომანდორ ნიკოლას დე ოვანდოს დანაშაულებრივი და სისხლიანი ტირანია.

XIV

ბმირი

გუბერნატორის ავბედითმა ბრძანებამ დიეგო ველასკესს მოულოდნელად მოუსწრო. როცა გაიგო, რომ ოვანდოს რისხვა დაიმსახურა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა; ეცადა თავისი დანაშაული გამოესყიდა და ჯარისკაცები უთენია ფეხზე დააყენა, მთვარის ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე, ისევ გაემართა მთების სიღრმეში, დაედევნა გუაროკას და მის თვისტომთ, რომელთაც ვერ მოასწრეს გამოცხადებულიყვნენ მასთან, როგორც პატიებულნი.

ველასკესმა გამოცდილი გამყოლი—ინდიელები წაიყვანა თან, და გუ-

ლუხვად დასაჩუქრებას დაპირდა, თუ ამბოხებულთა დაჭერას მოახერხებდნენ: აუხსნა, რომ მათაც ისევე ლმობიერად მოექცეოდა, როგორც მოექცა თავიანთი ნებით დამორჩილებულ ინდიელებს.

ინდიელმა-გამყოლებმა დაიჯერეს ეს ტყუილი, — განა ისინი, საკუთარი გამოცდილებით არ დარწმუნდნენ ველასკესისა და მისი ჯარისკაცების დიდსულოვნებასა და კეთილ საქციელში? სამი საათის შემდეგ მათ ესპანელები მიიყვანეს იმ მთის ძირში, სადაც ამბოხებულები აფარებდნენ თავს.

უკვე გათენდა; ხის ტოტების ქოხიდან, რომლებსაც თავს აფარებდნენ უდარდელი ლტოლვილნი, მოცისფრო კვამლი ამოდიოდა — რაც ადასტურებდა ახლადგაღვიძებულთა ზრუნვას საჭმელზე; ხალხი უსაქმოდ დაეხეტებოდა ქოხების გარშემო და თვითნაკეთ სიგარებს ეწეოდა. შორიდანვე თვალში გეცემოდათ ბელადის წარმოსადეგი ფიგურა; იგი მაღალ კორვანოზე ჰიყრდნობილი, მწუხარე ფიქრებში ღრმად წასული იდგა. მზის პირველი სხივებით განათებულ, მოშრიალე ფოთლებს შორის ბულბული სტვენდა და მისი რაკრაკი ექო ღებოდა მთის მშვიდობიან სიჩუმეში: შტოების ნელი შრიალი ეხმაურებოდა შორეული ზღვის ხვირთცემას: შრიალებდა კერცხლისფრად აბზინებული ლაჟვარდისფერი ოკეანე და მთის დიდებულ პანორამას ჩარჩოს უქმნიდა.

სიმშვიდის ამ ჯადოსნურ სურათთან სრულ ჰარმონიაში იყო ინდიელთა ზანტი უდარდელობა; მზეერავებისგან გაიგეს, ლას კასასთან ერთად წასულ თანამოძმეებს არავითარი ვნება არ მიაყენესო, ამიტომ ისინი უკვე ფიქრობდნენ, ხომ არ მიებაძათ მათი მაგალითისათვის და ხომ არ დანებებოდნენ ესპანელთა მოწყალებას; ამითი აიხსნებოდა მათი გულუბრყვილო უზრუნველობა.

უცებ ზეგანის კიდეზე გაისმა ბუკის გამყივანი ხმა, და მისი უკანასკნელი გამოძახილი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ორი საპირისპირო მხრიდან მას გამოეპასუხა კიდევ ორი ბუკის ხმა და ინდიელებს სასტიკი გააფთრებით მისცვივდნენ ესპანელი ჯარისკაცები; ჰაერი არკებუზების გრიალმა გააყრუა, რომელსაც თან ახლდა მწევრების ყეფა და საომარი შეძახილები „სიერა ესპანია!“ თავის დროზე ამ შეძახილებმა სახელი გაუთქვეს ესპანელ მებრძოლებს გრანადაში, როცა ისინი მავრებს ებრძოდნენ: მაგრამ რა უადგილოდ და შემბღალავად ჟღერდა იგი ყოველად უდანაშაულო უიარაღო ველურების მთის მშვიდობიან თავშესაფარში.

უეცარი თავდასხმით გაოგნებულმა, შიშისაგან გაშეშებულმა უბედურმა ლტოლვილებმა საწყალობელი კივილი შეაგებეს და სცადეს გაქცევით ეშველათ თავისთვის: მაგრამ მათ ყოველი მხრიდან გადაულობა გზა მომაკვდინებელმა ესპანურმა ფოლადის ხმლებმა, და მიწა

წითლად შეღება უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლმა. აინთო ცეცხლი და სახელდახელო ქოხები მოგიზგიზე კოცონებად იქცა, არასაიმედო სახურავქვეშ თავშეფარებული, საშინელებისაგან გაქვავებული ადამიანები უმწეოდ იღუპებოდნენ ცეცხლის ალში; ზოგიერთები ნახევრად დაბრწვარნი, ცეცხლის რკალიდან გამორბოდნენ, მაგრამ გააფთრებულ ადამიანთა წვეტიანი მახვილისაგან ბოლომოღებულნი თვალის დახამხამების უმალ კვდებოდნენ. ირგვლივ სასტიკი, დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა გამეფებულიყო. მხოლოდ ერთ ინდიელ მებრძოლს ეყო ვაჟკაცობა, რომ შეეტია გამძვინვარებული მტრისათვის და მოელვარე კასტილიური ხმლით აეცილებინა დარტყმები. მან გააოცა ჯარისკაცები, რომლებიც სრულიად არ ელოდნენ ასეთი ძლიერი და მამაცი მოწინააღმდეგის შეხვედრას, იგი ჰეშმარიტად ჰგავდა დაბნეულ, დამფრთხალ კრავთა ფარაში გარეულ გააფთრებულ ლომს.

სამი მკვდარი და ხუთი დაჭრილი დასცა მედგარი ინდიელის გამანადგურებელმა დარტყმამ, როცა ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ მისთვის და შეემზადნენ, კვლავ დასხმოდნენ თავს გულადს, გაისმა მბრძანებლური შეძახება:

— შესდექით! ნუ მოკლავთ!

ეს იყო დიეგო ველასკესი, რომელიც ხმალამოწვდილი მიისწრაფოდა შეტაკების ადგილისკენ. მან შორიდან დაინახა უშიშარი მეომარი, რომელიც გმირულად იცავდა თავის სიცოცხლეს; თანდაყოლილმა კეთილშობილებამ იფეთქა ესპანელის გულში და ჩააგონა სურვილი ეხსნა გულადი ინდიელი.

— დაგვნებდი, — დაუყვირა მან ინდიელს, — შენი მეგობარი გავხდები, ვერავინ გაგიბედავს ცუდად მოქცევას.

— თქვენი სიტყვები სარწმუნო არ არის! — ზიზღით მიაძახა გუაროამ (რადგან ის იყო ეს მამაცი მეომარი). — შენ დაგვპირდი მშვიდობას, ჩვენ დაგიჯერეთ. ახლა შენ ვერაგულად დაგვესხი თავს. ყველანი მატყუარები და მკვლელები ხართ!

— დაგვნებდი! — გაიმეორა ველასკესმა, რომელიც სწრაფად გადახტა ინდიელისკენ და ხმლის წვერი დაუმიზნა გულში.

გუაროა განზე გახტა, შემდეგ სწრაფად, შემმუსვრელად მოუქნია ხმალი, რაც ესპანელმა იშვიათი ოსტატობით აიცილა. გაიმართა ორთაბრძოლა. და ველასკესმა მისთვის დამახასიათებელი რაინდობით უარი განაცხადა, რომ ჯარისკაცები დახმარებოდნენ. ინდიელის დარტყმები სეტყვასავით ხვდებოდა ველასკესს, მაგრამ იგი უცვლელი წარმატებით გულგრილად და აუშფოთებლად იგერიებდა მათ; უკვე ასჯერ შეეძლო მამაცი ინდიელის გულის განგმირვა. მაგრამ მხოლოდ ერთი რამ სურდა — მოწინააღმდეგის განიარაღება, რასაც ბოლოს და ბოლოს მაინც მიაღწია, მოხერხებული დარტყმით ხელიდან იარაღი გააგდებინა.

გუაროა დაიხარა მიწიდან ხმლის ასაღებად; ამ დროს, ერთ-ერთმა ესპანელმა, რომელმაც წინ წამოიწია, გზა გადაუღობა მას; მაშინ ინდიელმა ხანჯალი იძრო ქარქაშიდან, ჯერ უნდოდა ჯარისკაცი ჩამოეშორებინა გზიდან, მაგრამ, როცა ნახა, ესპანელები ალუას არტყამდნენ, მოულოდნელად თვითონ გაიპო მკერდი ხანჯლით.

— თავისუფალი ვკვდები! — წარმოთქვა მან, მიწაზე დაეცა და სული განუტევა.

ისე დაიღუპა, რომ უცხოელების წინაშე ამაყი ქედი არ მოიხარა კეთილშობილმა და გულადმა გუაროამ. შთამომავლობას უანდერძა დაუცხრომელი სიმამაცისა და თავისუფლების სიყვარულის მაგალითი, გმირული მაგალითი, რომელმაც მალე ჰპოვა ღირსეული მიმბაძველები. გმირის დაღუპვით დიდად აღელვებულმა ესპანელმა მხედართმთავარმა გულწრფელი ცრემლები დააფრქვია ინდიელთა ბელადის გვამს და ბრძანა პატივით დაესაფლავებინათ იგი ორთაბრძოლის ადგილზე. კეთილშობილი ლიცენციატის მიერ დიეგო ველასკესის გულში დათესილი სიკეთის თესლი არ დამშრალა, პირიქით, იგი აღმოცენდა, რადგან ახალგაზრდა მეომარი ბუნებით დიდსულოვანი იყო, თუმცა დროის მანკიერმა იდეებმა და მკაცრი სამხედრო ხელოვნების სასტიკმა ჩვეულებებმა იგი სიკეთისა და გულმოწყალების გზას აცდინა.

XV

ნუგეშისმცემელი

ხარაგუადან ლიცენციატი ლას კასასი თერთმეტი დღის შემდეგ მშვიდობიანად ჩავიდა კუნძულის დედაქალაქში. მისმა ცნობილმა მრავალმა ღირსებამ, სასიამოვნო მოქცევამ და კეთილმა ხასიათმა ახლადდაარსებული ქალაქის — ოსამის ყველა მცხოვრების გული მოინადირა; აი, რატომ იყო, რომ ნავსადგურში ჩასულს, ყველა სიხარულით შეხვდა. ლას კასასის ბინა მალე გაივსო მეგობრებით, ისინი ისწრაფოდნენ დაწვრილებით გაეგოთ გუბერნატორ ოვანდოს და ხარაგუაში მომხდარი ამბავი, რომლის მხილველიც ლიცენციატი გახდა. უბედური ინდიელები, საზოგადოებრივ სამუშაოებზე იყვნენ და სხვებზე მეტად იტანჯებოდნენ დამპყრობთა უღელქვეშ. ისინიც მიდიოდნენ ლას კასასთან, რადგან მოხიბლულნი იყვნენ ლიცენციატის გულისხმიერი და დიდსულოვანი გულით, რომელსაც ათასობით ქველმოქმედებით მოეპოვებინა უფლება, რომ მისთვის „ინდიელთა მფარველი“ ეწოდებინათ.

საუბრის დროს ლიცენციატი სრულებითაც არ მალავდა ხარაგუადან ჩამოყოლილ მძიმე შთაბეჭდილებას. მგზნებარედ ხმის ამაღლებამ ამ მხარეში მომხდარი უკანონობის წინააღმდეგ, გამოიწვია მის მიმართ სიძულვილი და მათი მტრობა, რომლებიც მიჩვეული იყვნენ, რომ ახალი ქვეყანა ჩაეთვალათ თავიანთ ნადავლად და ადგილობრივ მკვიდრებს პირუტყვზე ცუდად ექცეოდნენ. ესპანელების უმრავლესობამ, რომლებიც პირველ დღეს მოვიდნენ ლას კასასის სანახავად, მალე ზურგი აქციეს მას, ისინი გაღიზიანებული იყვნენ მისი ხმამაღალი კიცხვით, რაც ზიანს აყენებდა მათ ინტერესებსა და ეწინააღმდეგებოდა მათ სანუკვარ იდეებს. ამასობაში ლას კასასმა აშკარად განაცხადა, მგლებთან მეგობრობას არ ვცდილობო.

მისი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო იგემოტას მონახულება და ნუგეშისცემა. იგი ლას კასასის ჩამოსვლამდე ორი თვით ადრე ჩამოვიდა ხარაგუადან დედაქალაქში, ხსენების ღირსი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. როცა სანტო-დომინგოში გაიგო, რომ ანაკაონა დაიღუპა სამარცხვინო სიკვდილით, უბედური ქალიშვილი კინაღამ მოკვდა დარდისაგან. დედის პოვნისა და მასთან ერთად ყოფნის უკანასკნელი სუსტი იმედი ჩაქრა. სახელგანთქმულმა მხატვარმა, რომელმაც ვერ ჰპოვა თავის თავში ძალა გამოეხატა მამის მწუხარება, რომელიც სამსხვერპლო ცეცხლზე საყვარელი ქალიშვილის დაღუპვას უყურებდა, სურათზე მისი სახე დაფარა ფლერით. ამ მხატვარივით ჩვენც უარს ვაცხადებთ აღვწეროთ საბრალო იგემოტას მწუხარება, როცა შეიტყო, ხარაგუას უბედურმა მმართველმა ქალმა სიცოცხლე სახრჩობელაზე დაასრულაო.

ლას კასასმა ძლივს იცნო იგემოტა. — იმდენად შეცვლილიყო ოდესღაც მშვენიერი მისი ნაკვთები. ლას კასასის მისვლამ იგი ცოტათი გამოაცოცხლა, და ცრემლზე უფრო მწუხარე, უღიმღამო ღიმილმა, თითქოს გამოსამშვიდობებელი სხივიაო, წუთით გაანათა მისი ნაღვლიანი სახე.

— გამაგრდით, სენიორა, — აღელვებულად წარმოთქვა ლას კასასმა. — დადგება დღე და ღმერთი ერთი ასად მოგვიზღაუს ადამიანებისგან მიყენებული მწუხარების სანაცვლოდ.

— ქალიშვილი რომ არ მყავდეს, სიკვდილი ჩემთვის უდიდესი მადლი იქნებოდა, სენიორ ბარტოლომე, — უპასუხა საწყალმა დონია ანამ.

— მისთვის უნდა იცოცხლოთ და მოითმინოთ ყოველგვარი მწუხარება. სასოწარკვეთითა და გამძვინვარებით ნუ დაკარგავთ უმაღლეს ჯილდოს, უკეთეს სამყაროში გადასვლის იმედის უფლებას თქვენი მწუხარება გაძლევთ. მშვიდად ელოდეთ, როცა ყოვლისშემძლე მოუღებს ბოლოს თქვენს ამქვეყნიურ განსაცდელს.

ლას კასასის თანაგრძნობით გამსჭვალულმა სიტყვებმა დაამშვიდა

მარტოხელა ახალგაზრდა ქალი. მის თეალთაგან დიდი მწუხარების შემამსუბუქებელმა ცრემლებმა იწვიმა: ამ წუთიდან დაუბრუნდა სიმამაცე. ძალა მისცა განეგრძო ძალლუმადური ცხოვრება და სრულად მისცემოდა პატარა გოგონაზე ზრუნვას.

ოვანდომ იზრუნა, რომ დონია ანას ყოველდღიური საჭიროებანი არაფრით ყოფილიყო შეზღუდული; მაგრამ მისი შორიდან გაცემული ბრძანება დაუდევრად სრულდებოდა, რადგან მოხელეებს. რომლებსაც ეს ევალებოდათ. არც კი ესმოდათ სახელდობრ, რითი იყო გამოწვეული ახალგაზრდა ქალზე განსაკუთრებული ზრუნვა. და თავიანთ მოვალეობას უკიდურესად უხეიროდ ეკიდებოდნენ: მათ არ ჰქონდათ დრო ჩარეულიყვნენ ხარბი მმართველის — მოხიკას მოქმედებებში და გეგარას ქვრივის ინტერესების დასაცავად შეემოწმებინათ იგი. საბედნიეროდ. ლას კასასი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომლებიც უკანონობათა გულგრილად ჰვრეტით კმაყოფილდებიან და მთელი ძალით არ ცდილობენ მოსპონ მავნებლობა, გამოასწორონ ბოროტება. ღრმად დამწუხრებული მშვენიერი ინდიელი ქალი უდრტვინველად იტანდა ცხოვრების დამამშვენებელ კეთილმოწყობის გარეშე არსებობას, თუმცა იგი მას ეკუთვნოდა კანონიერად, მდგომარეობით და პირადი ღირსებების მიხედვით. ლიცენციატმა მისთვის ჩვეული ენერგიითა და დაჟინებით თავს იდვა უბედურ ქალზე ზრუნვა; იგი არწმუნებდა, მოითხოვდა და ძალას ატანდა მანამდე. სანამ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შერცხვა თავისი დაუდევრობისა და კომანდორის რისხვის შიშით არ გამოიჩინეს გულმოდგინება და ხელი არ მოკიდეს დონია ანას კეთილდღეობაზე ზრუნვას, ვიდრე იგი არ აავსეს ყოველგვარი სიკეთით, რაც ხელმისაწვდომი იყო სანტო-დომინგოში: ამავე დროს მათ დაავალდებულეს მოხიკა დონია ანას ქონების მმართველობის ანგარიში წარედგინა.

XVI

დახმარება

ლას კასასი იაგუანიდან ისე წამოვიდა, რომ ვერ მოასწრო დაეგო მენდესი ენახა, რომელიც უბედურებაში მყოფმა ქრისტეფორე კოლუმბმა კუნძულ იამაიკიდან დახმარების სათხოვნელად გამოგზავნა იაგუანაში. ლიცენციატი მეგობრობდა მენდესთან, მაგრამ იგი, როგორც ცნობილია, შებოჭა გაბრაზებული გუბერნატორის მკაცრმა ბრძანებამ, სასწრაფოდ დაეტოვებინა ქალაქი. ამასობაში, ადმირალის წარგზავ-

ნილი შვიდი თვის განმავლობაში სასტიკსა და შურიან ოვანდოს ამაოდ სთხოვდა ხომალდის გაგზავნას იამაიკაზე, დალუპული ხომალდის მეზღვაურების გადასარჩენად. ახალახალი საბაბის მომიზეზებით კოვანდორი აჭიანურებდა ამ წმიდათაწმიდა და გადაუდებელი მოვალეობის შესრულებას. ბოლოს, დაუცხრომელმა მენდესმა მიიღო ნებართვა წასულიყო სანტო-დომინგოში და იქ დალოდებოდა ესპანეთიდან მოსულ ხომალდებს. ხარაგუადან ოსამაში მძიმე გზა მენდესმა ფეხით გაიარა და დედაქალაქში ჩავიდა, სადაც იგი მეგობრულად და გულთბილად მიიღო ლას კასასმა.

შორს წაგვიყვანდა იმის მოყოლა, თუ რას განიცდიდნენ მამაცი მეგობრები, როცა ერთმანეთს გაუზიარეს თავსგადახდენილი უბედურებანი, დაკვირვებანი და ნაფიქრალი, ანდა აგვეწერა აღშფოთება, რომელმაც იფეთქა მათ პატიოსან გულებში, იმის გაფიქრებაზე, თუ როგორ არაადამიანურად გაანადგურეს მშვენიერი კუნძულის — ესპანიოლის უიღბლო მცხოვრებნი და რა საშინელი უმადურობა გამოიჩინეს დიდი კოლუმბის მიმართ. საკმარისია ითქვას, რომ ორივენი იყვნენ თავიანი, ენერგიული და საოცარი ჭკუის ადამიანები, ამიტომაც არ დაკმაყოფილებულან ჩამდენილ ბოროტებაზე უნაყოფო მსჯელობით, არამედ გადაწყვიტეს ებრძოლათ მის წინააღმდეგ და გამოესწორებინათ მათთვის ხელმისაწვდომი ყოველგვარი საშუალებით.

და აი, ქრისტეფორე კოლუმბის სახელი გაისმა სანტო-დომინგოს ყოველ კუთხეში, შემდეგ კი მწარე საყვედურებიც გუბერნატორ ოვანდოს მისამართით. ყოველგვარი თავშეყრის დროს—საზოგადო იქნებოდა ეს თუ კერძო, მუნიციპალიტეტში თუ ტაძრის კარიბჭეში, სამიკიტნოებსა და საზღვაო ნავმისადგომებში — დიდი და პატარა, საერო თუ საეკლესიო პირნი, მეზღვაურები და ჯარისკაცები, მამაკაცები და ქალები გებულობდნენ ლას კასასისა და მენდესისგან, რომ კოლუმბი და მისი ამხანაგები, რომლებსაც იამაიკაში მომაკვდინებელი ხიფათი ელოდათ, ოვანდოს მიზეზით ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩნენ. ორი მეგობრის დაუღალავმა მოქმედებამ დიდად ააღელვა კოლონისტები და, როცა ოვანდო ხარაგუას მხარიდან დაბრუნდა, ნახა, რომ ყველა კიცხავდა მის მოქმედებას და მხურვალედ თანაუგრძნობდა კოლუმბს. მაგრამ ამპარტავანი და გულზვიადი გუბერნატორი, რომელსაც არ სურდა მთელი კოლონიის წინაშე ქედი მოეხარა, უფრო ჯიუტად იცავდა თავის განზრახვას, ღვთის ანაბარა მიეტოვებინა მისთვის საძულველი დიდი ადამიანი.

ასეთი იყო კოლონიის დედაქალაქის მოაზროვნეთა განწყობილება, როცა ამბავი მოვიდა, იგუეის მხარეში ინდიელებმა ამბოხება მოაწყესო. ინდიელთა დაუცხრომელმა ბელადმა კოტუბანამამ ერთხელ უკვე მოაწყო აჯანყება, მაგრამ მამაცმა და ბრძენმა ხუან ესკიველმა დაიმორ-

ჩილა იგი. მეგობრობის ნიშნად დაირქვა თავისი დამამარცხებლის სახელი და მამაცი ინდიელი განუხრელად ასრულებდა შეთანხმების ყოველ პუნქტს; ახლა მან ისევ ატეხა საომარი ყიჟინა ესპანელების წინააღმდეგ, რადგან ვილიამანმა ესკიველის ნაცვალმა, მშვიდობის შეთანხმების პირობების მიუხედავად მოითხოვა, რომ ინდიელებს სანტო-დომინგოში მიეტანათ მთელი მოსავალი იმ მინდვრებიდან, რომლებსაც ისინი იძულებითი წესით ამუშავებდნენ. გარდა ამისა, ესპანელი ჯარისკაცები ძალიან უწესოდ იქცეოდნენ და ინდიელებს ცოლებს ართმევდნენ. უთვალავჯერ იჩიელეს ინდიელებმა ვილიამანის თვითნებობაზე, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ბოლოს და ბოლოს მათი მოთმინების ფიალა აივსო, ისინი შეიარაღდნენ. როგორც შეეძლოთ და თავიანთი ბელადის კოტუბანამას მეთაურობით თავს დაესხნენ ფორტს, რომელიც ესკიველმა ააშენა სანაპიროსთან ახლოს, დაწვეს იგი და ამოხოცეს გარნიზონი. გადარჩა მხოლოდ ერთი ჯარისკაცი, რომელმაც სანტო-დომინგოში დაწერილებით მოიტანა მომხდარი ტრაგედიის ამბავი.

ოვანდომ ეს შემთხვევა ფრიად შესაფერისად ჩათვალა, რომ საზოგადოებრივი აზრი მოემზადებინა კოლუმბის უბედური მდგომარეობისათვის. მაგრამ იგი მოტყუებული. იმ დროს, როცა ხუან დე ესკიველმა ხელმეორედ გაილაშქრა იგუეიელი ამბოხებულების წინააღმდეგ, ადმირალის ფხიზელი მეგობრები ლას კასასი და მენდესი ზრუნავდნენ, რომ არ ჩამქრალიყო თანაგრძნობა და ინტერესი კოლუმბის ბედისადმი.

თითქმის ორი წელი გავიდა, რაც თორმეტმა ფრანცისკანელმა ბერმა, რომლებიც ოვანდოსთან ერთად ჩამოვიდნენ ახალ ქვეყანაში, თემი ჩამოაყალიბეს ახლად დაარსებულ ქალაქ სანტო-დომინგოში. ამ ჯერ კიდევ უბრალო მონასტერში რელიგიურ აღზრდას ღებულობდა კუნძულის ბევრი კასიკი, მათი ვაჟები და ნათესავები. ასეთი იყო დედოფალ იზაბელას მიერ გუბერნატორისათვის მიცემული ბრძნული განაწესი.

ამავე რელიგიური სანაშენედან გამოვიდნენ ის ბერები, რომლებიც, როგორც უკვე ვყვებოდით, ასრულებდნენ ინდიელების აღმზრდელობით მისიას ხარაგუაში. მათ მზრუნველობას ანდო ლას კასასმა ნორჩი ენრიკე, რომელსაც მონათლამდე გუარიკუია ერქვა.

ლიცენციატმა და დიეგო მენდესმა ფრანცისკანელთა წინამძღვარს პადრე ანტონიო ესპინალს აუდიენცია გამოსთხოვეს. იგი იყო ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა იშვიათი ღვთისმოსაობით და ყველა სასულიერო წოდებაზე არანაკლებად სცემდა პატივს მის ზნეობრივ თვისებებს. მან გულთბილად მიიღო მეგობრები. ლას კასასი, რომელთან ერთად იგი ესპანეთიდან ხომალდით ჩამოვიდა, წინამძღვარს გულწრფელად უყვარდა. როცა გაიგო, რა უღირსად მოექცა ოვანდო კოლუმბს, წინა-

დადება წამოაყენა მოლაპარაკებოდა გუბერნატორს იმ იმედით, რომ მასში კეთილშობილებას გააღვიძებდა.

საუბარი იმ დღესვე შედგა. ოვანდომ პატივით მიიღო წინამძღვარი და, როცა გაიგო მისი მოსვლის მიზეზი, მეტისმეტად შეურაცხყოფილად მოაჩვენა თავი, — ნუთუ შეეძლოთ ეჭვი შეეტანათ ადმირალისადმი მტრულ განწყობაში.

— ამასობაში, როცა ბრალად მდებენ ყოველგვარ ცოდვებს, — თქვა მან, — და გულგრილობას მწყამებენ ჩემ მიერ ესოდენ პატივცემულ დონ ქრისტეფორეს ბედის მიმართ, მე უკვე შევასრულე ჩემი ვალი და გავუგზავნე ერთადერთი ხომალდი, რომელიც ხარაგუაში იყო. ადმირალის გამოგზავნილი მენდესი კი საყოველთაო მღელვარებას იწვევს თავისი უსამართლო საჩივრებით.

ასეთი ცრუ პასუხით ოვანდომ მოახერხა გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის დაღწევა; სინამდვილეში, როგორც კი მენდესი ხარაგუადან წავიდა, იამაიკისკენ პატარა ხომალდით გაგზავნა დიეგო ესკობარი, მას კოლუმბთან გაატანა მხოლოდ და მხოლოდ ერთი კასრი ღვინო და ღორის ბარკალი, — ასე დასცინა ესპანიოლის გუბერნატორმა ადამიანს, რომელმაც ახალი ქვეყანა აღმოაჩინა. დახმარების ნაცვლად ესკობარმა დაღუპული ხომალდიდან გადარჩენილებს ჩაუტანა მხოლოდ ოვანდოს ყალბი სამძიმარი. გუბერნატორი იტყობინებოდა, რომ მის განკარგულებაში ამჟამად არ იმყოფებოდა არც ერთი დიდი ტევადობის ხომალდი, რომელსაც შეეძლო ესპანელები იამაიკიდან სანტო-დომინგოში ჩამოეყვანა, ჰპირდებოდა, რომ გამოუგზავნიდა ესპანეთიდან ჩამოსულ პირველივე ხომალდს.

როგორც კი შეასრულა თითქოსდა ყოვლად შეუძლებელი დავალება, ესკობარმა, რომელიც დაღუპული ხომალდებიდან კარგა მანძილით იყო დაშორებული, კვლავ გაშალა იალქნები, უბედური ადმირალი კი თავის ხალხთან ერთად, კომანდორის ცბიერებით შეწუხებული, ისევე გაჭირვებაში დარჩნენ. ესკობარის სწორედ ეს ნაოსნობა დაიმოწმა ორპირმა ოვანდომ, როცა მამა ანტონიოს უთხრა, რომ „გაუგზავნა ხომალდი დონ ქრისტეფორეს". წინამძღვარი წავიდა, ახარებდა ახალი ამბავი, რომელმაც გაამხნევა ლას კასასი და მენდესი.

ისინი არც შეეჭვებულან, რა სასტიკი დაცინვა იფარებოდა გუბერნატორის ყალბ გულმოდგინებაში.

ლას კასასი და მენდესი ელოდნენ ხომალდის დაბრუნებას და იმედოვნებდნენ, რომ დაინახავდნენ ყველას, ვინც ხომალდის დაღუპვა განიცადა. მაგრამ როგორი იყო მათი გაოცება და აღშფოთება, როცა რამდენიმე დღის შემდეგ თავისი უბადრუკი პატარა ხომალდით დაბრუნდა ესკობარი და ერთ-ერთი მეზღვაურისაგან გაიგეს სიმართლე. მეგობრები ახალი მგზნებარებით შეუდგნენ საქმეს და მოიშველიეს

თავიანთი მრავალი ნაცნობობა. მომხდარი. ამბავი შეატყობინეს მამა ანტონიოს, რომელიც ნაკლებ როდი იყო განცვიფრებული და განრისხებული.

ვერაგი გუბერნატორის წინააღმდეგ მიმართული იყო იმ დროის ყველაზე უფრო საშიში და ძლიერი იარაღი. ესკობარის ჩამოსვლის შემდეგ პირველივე კვირა დღე ორი ტაძრის — დედაქალაქში მაშინ სხვა ეკლესია არ იყო — ამბიონებიდან გაისმა მათი მგზნებარე მხილება, ვინც დაივწყა ქრისტიანული გულმოწყალება, დათრგუნა კაცთმოყვარეობისა და მადლიერების მოვალეობა და უგულოდ მიატოვა იამაიკის სანაპიროზე აღმირალი და სხვა უბედურნი. დანაშაულებრივ უგულებელყოფაში დამნაშავეს ემუქრებოდნენ ყველაზე საშინელი სასჯელით—როგორც ძმათა უნამუსო მკვლელი, ეკლესიიდან უნდა განედევნათ. დარტყმა გამანადგურებელი და აურიდებელი აღმოჩნდა. მთელი მოსახლეობა დიდად იყო აღშფოთებული, და დამარცხებულმა და შერცხვენილმა გუბერნატორმა იმ დღესვე ბრძანა, რომ ოკეანეში გასულიყო კარგად აღჭურვილი და ყველაფრით მომარაგებული ხომალდები, ხომალდის დაღუპვით დაზარალებულთა მოსაკებნად.

ამავე დროს ოვანდომ ბრძანა. დიეგო მენდესისთვის გადაეცათ აღმირალის შემოსაკლიდან დაგროვილი თანხა. რადგან ეგონა. ერთგული დესპანი ამ ფულს კოლუმბის ჩამოსვლამდე წაიღებდა კოლონიაში. მან იცოდა, რომ მენდესის ყველაზე დიდი სურვილი იყო. შეესრულებინა დონ ქრისტეფორეს დავალება, წასულიყო დედაქალაქში და აღმირალის საქმიანობის ამბავი მოეხსენებინა მეფისა და დედოფლისათვის. ცბიერი გუბერნატორი იმედოვნებდა, რომ სანტო-დომინგოში ჩამოსული კოლუმბი უსახსროდ დარჩებოდა და ამიტომ კოლონიაში ყოფნის დროს შეამცირებდა. სწორედ ეს უნდოდა პატივმოყვარე ოვანდოს, რომელსაც ყოველთვის აშფოთებდა კოლონიის მმართველობის აღმირალის კანონიერი უფლება. ოვანდომ იცოდა, თავად ამ უფლებით სარგებლობდა მხოლოდ იმის წყალობით. რომ ფერდინანდ კათოლიკემ, რომელიც თავგამოდებით იცავდა თავის ხელისუფლებას, უსამართლოდ წაართვა იგი დიდ ადამიანს.

მაგრამ დიეგო მენდესმა ფული უფრო გონივრულად გაანაწილა. მცირე ნაწილი დახარჯა სწრაფმავალი კარაველას საყიდლად, დატვირთა სურსათით, აღჭურვა კარგად და დაუყოვნებლივ გაგზავნა იამაიკაში, ამით გუბერნატორ ოვანდოს დაგვიანებულ დახმარებას ყოველგვარი ძალა დაუკარგა; დანარჩენი ფული პადრე ანტონიოს ჩააბარა, სანტო-დომინგოში ჩამოსულ ადმირალისთვის გადასაცემად. როგორც კი ეს საქმეები მოაგვარა, კოლუმბის მამაცი და ერთგული მეგობარი ესპანეთისკენ გაემგზავრა.

XVII

დაპირება

ლას კასასმა. რომელსაც დედაქალაქში უკვე აღარ აკავებდა კეთილშობილური სურვილი დახმარებოდა მენდესს, კომანდორისთვის ჩაეგონებინათ რამე, ოვანდოს გამოსთხოვა ნებართვა წასულიყო იგუეიში, ამბოხებული ინდიელების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. ოვანდოს კარგად ახსოვდა, ლიცენციატმა ასეთივე თხოვნით მიმართა მას ხარაგუაში, როცა ომი იყო ბაორუკოში; მაგრამ ამჯერად კომანდორი ღრმად გახლდათ დარწმუნებული, რომ ლას კასასის ყოველგვარი კატომოყვარული მისწრაფება ამაო იქნებოდა, ესკიველისთვის მიცემული ბრძანება, სისხლი არ დაეზოგა. აუცილებლად შესრულდებოდა. ამიტომ დამცინავად ჩაიცინა და სიამოვნებით მისცა ნებართვა, გუნებაში ახარებდა მწარე იმედგაცრუება, რომელიც მოელოდა კეთილშობილ ახალგაზრდას, როცა დარწმუნდებოდა, რომ მას არავინ აქცევდა ყურადღებას. და მართლაც, ამ გამაჩანაგებელ და გამანადგურებელ ომში ლას კასასს უნდა ეთამაშა მხოლოდ მისი შემბრალებელი გულის დამამძიმებელი მაყურებლისა და მოწმის როლი; ამაოდ იმაღლებდა ხმას სისხლიანი ანგარიშსწორების წინააღმდეგ, ამაოდ ცდილობდა შეენარჩუნებინა ან შეენელებინა ესკიველისა და მისი ჯარისკაცების ულმობელი გაჟფთრება. ამბოხება სისხლსა და ცეცხლში ჩაახრჩვეს. ხმალი და საბრჩობელა ყოველი ასაკისა და სქესის ათასობით ინდიელს ანადგურებდა. მამაცობითა და პატრიოტიზმით გამხნევებული უბედური ხალხი ამაოდ სჩადიოდა თავდადებულ გმირობას. ესპანელი მხედართმთავარი მიუძღოდა რკინის ჯავშანში ჩამჯდარ ოთხას ჯარისკაცს და მეზობელ, დაპყრობილ იკაიაგუას მხარეში შეკრებილ ინდიელთა მეომრებს, რომლებიც ისეთივე გულადები იყვნენ, როგორც იგუეის მხრის მეომრები, ისინი ანადგურებდნენ და ჰგვიდნენ მიწისაგან პირისა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდათ, სარგებლობდნენ იმით, რომ ამ მხარეში თითქმის არ არის მიუვალი მწვერვალები და ანდა კარგად დაცული ადგილები. ამბოხებულმა ბელადმა კოტუბანამამ, რომლის გმირული სიმამაცე ესპანელებს შიშის ზარს სცემდა, როცა ნახა, საშველი არ არისო, მისი მეომრები კი იღუპებოდნენ, გაიქცა იგუეის სანაპიროს მახლობლად მდებარე კუნძულ საონუში. იქ იმალებოდა რამდენიმე დღე, ვიდრე, მიუხედავად შეუპოვარი წინააღმდეგობისა, იგი ესკიველის ჯარისკაცებმა არ შეიპყრეს, როცა მამაცი კასიკი სანტო-დომინგოში ჩამოიყვანეს. გამარჯვებულმა, ალბათ, ძველი მეგობრობის მოსაგონებლად, ითხოვა შეენარჩუნებინათ მის-

თვის სიცოცხლე. მაგრამ ულმობელმა ოვანდომ ბრძანა მოედანზე ჩამოეხრჩოთ კოტუბანამა.

ლას კასასი დედაქალაქში დაბრუნდა. გული უსკდებოდა ტკივილისა და საშინელებისაგან, როცა ფიქრობდა გაუგონარ სისასტიკეზე, რომლის მოწმეც იგი გახდა.

— საკმაოდ კარგი ამბები ნახეთ, სენიორ ლას კასას, — ღვარძლიანი ირონიით შენიშნა კომანდორმა, როცა ლიცენციატი ეწვია.

— ამ ამბებს ვუამბობ, ვისაც ჯერ არს, — უპასუხა ლას კასასმა.

— მაინც ვის? — ქედმაღლურად ჰკითხა ოვანდომ.

— შთამომავლობას, — უთხრა ლას კასასმა და დაუინებით დააცქერდა მას.

XVIII

ხსნა

თითქმის ერთი წელი გავიდა შიშსა და აძაო მოლოდინში, ვიდრე უბედური მეზღვაურები იამაიკაში მაშველი ხომალდების მოსვლას ელირსებოდნენ. აქ არ არის ადგილი, დაწვრილებით აღვწეროთ თუ რა მძიმე შრომა და განსაცდელი ხვდა წილად მამაც კოლუმბს. თავის შეუპოვარ ძმასთან, დონ ბარტოლომესთან ერთად იბრძოდა მეზღვაურების თვითნებობისა და თავგასულობის წინააღმდეგ: ბევრჯერ ემუქრებოდა მათ შიმშილით სიკვდილი, რადგან ესპანელების თავხედური საქციელით აღშფოთებული ინდიელები უარს ამბობდნენ მათთვის სურსათის მიწოდებაზე. კოლუმბმა ეშმაკობით მოახერხა დაემორჩილებინა ინდიელები და დაემსახურებინა კიდეც მათი პატივისცემა: მან ადრე იწინასწარმეტყველა მთვარის დაბნელება და იგი ახსნა, როგორც ღმერთის განრისხების ნიშანი იმიტომ, რომ ინდიელებმა ესპანელები ღვთის ანაბარა მიატოვეს. წინასწარმეტყველების ახდენამ, ან, იქნებ, უფრო იმან, რომ ძმები ძალიან მკაცრად სჯიდნენ თავიანთ ხალხს უწესრიგობის გამო, ინდიელები კოლუმბს მიემხრნენ და უხვად მოამარაგეს ყველაფრით, რაც მას სჭირდებოდა.

ადმირალის ჯანმრთელობა შეარყია ფიზიკურმა და ზნეობრივმა ტანჯვამ, რომელიც ამ ბედუკუღმართ ექსპედიციაში გადაიტანა.

როცა იამაიკიდან წასვლის დრო დადგა, კუნძულის ყველა მცხოვრები ტიროდა კოლუმბთან გამოთხოვებისას. რადგან მას ციდან მოვლენილად თვლიდნენ. ასე მოქმედებდა გაუნათლებელ ველურებზე კაცთმოყვარეობა და სამართლიანობა.

წარუმატებლობა, რაც გამუდმებით ახლდა ადმირალს მეოთხე ნაოს-

ნობის მთელ მანძილზე, თან სდევდა იამაიკიდან ესპანიოლამდე სავალ გზაზედაც. მკვეთრი პირქარი, ორივე კუნძულს შორის ძლიერი დინება, მღელვარე ზღვა — ამ დაბრკოლებებმა აიძულა იგი ორმოცდაექვსი დღე დაეხარჯა ცურვაში, რომელსაც ჩვეულებრივ თვრამეტ დღემდე მეტი არ სჭირდებოდა. ორივე ხომალდმა სანტო-დომინგოს ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა 1504 წლის 13 აგვისტოს.

XIX

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ

კოლუმბის ჩამოსვლას სანტო-დომინგოში საყოველთაო ზეიმით შეხვდნენ. ადმირალის დაუღალავი შრომა და ხიფათი, რომელიც მას შეემთხვა, მთავარი თემა იყო ესპანიოლაზე ყოველი დავისა და საუბრისა, არ არსებობდა ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებული არ გახლდათ. დიდი ზღვაოსნის შეხვედრა ინდიელთა დედაქალაქის ყველა მცხოვრებს უნდოდა — მთავრობის წარმომადგენელთ და უბრალო მცხოვრებთ, ახლო მეგობრებსა და მტრებს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ ადმირალს მისი მმართველობის დროს. ოვანდომ, ფარისევლობას თუ საყოველთაო გრძნობას აყოლილმა, რაც დამახასიათებელია სამეფო კარის ყველა მოხელისათვის, პირველმა მიაშურა ადმირალს უდიდესი პატივისცემისა და მოწიწების გამოსახატავად. ერთ-ერთი მისი მახლობელი რეიდზე გავიდა საუცხოოდ მორთული კაპანოთი, რომ გუბერნატორის სახელით მიეწვია კოლუმბი თავისი ხომალდებით ოსმის ნავსადგურში შესასვლელად. შუადღის გრილი სიო ჭრიდა. ორივე ხომალდს ყველა აფრა გაეშალა და მიჰქროდა, თითქოს ჩქარობდა მალე დაეკმაყოფილებინა უამრავი მაყურებლის მოუთმენელი სურვილი, რომლებიც ირეოდნენ წყალუხვი ოსამის მარჯვენა სანაპიროზე. ის იყო ხომალდებმა აფრები დაუშვეს და ოდნავ შეანელეს ცურვა, რომ დიდი ზღვაოსნის მისასალმებელმა ყიჟინამ მოიცვა მთელი მხარე. ოვანდომ, რომელიც იძულებული იყო ნება დაერთო ასეთი საზეიმო შეხვედრისათვის, ძვირფასად მოქარგული შავი ხავერდის ბერეტი მოიხადა კოლუმბის დიდებული სახელის თაყვანისცემის ნიშნად.

თავისი ხომალდის ზედა გემბანზე გამოჩნდა ადმირალი, რომელიც დაყრდნობოდა მხარზე კეთილი, თამამი სახის ახალგაზრდას. ის გახლდათ ადმირალის უკანონო ვაჟი და მისი აღმოჩენების მომავალი ისტორიკოსი ფერნანდო კოლუმბი. სიჭაბუკის მიუხედავად, მამასთან ერთად განვლო ამ უბედური მოგზაურობის ყოველი ჭირ-ვარამი. გუბერნატორის მდიდრულმა კაპანომ თავის გემბანზე მიიღო ორივე ძმა —

ადმირალი და დონ ბარტოლომე — და ახალგაზრდა ფერნანდო. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი ადმირალი ნაპირზე გადმოვიდა. მხიარული ყიჟინა შეიცვალა საზეიმო პათეტიური სიჩუმით. გზის სიძნელეს, გაჭირვებას. სულიერ მღელვარებას თავისი საშინელი კვალი დაემჩნია ამ კეთილშობილი სახისთვის, მოეხარა ოდესღაც რომაელი იმპერატორის ანტიკური ქანდაკების მსგავსი ძლიერი, ტანადი სხეული; შუბლი, რომელიც დაჩვეული იყო ციურ მნათობთა სხივებს შეხვედრას, როცა ადმირალი ბუნების საიდუმლოებებს და ვარსკვლავთა გზას იკვლევდა, ახლა მწუხარედ დახრილიყო მიწისკენ, თითქოს სამარის სიმშვიდისკენ ისწრაფოდა... ცრემლები წასკდათ და სახეზე დაედინათ ამ მოტეხილი სიდიადის მნახველთ: ხალხში ქვითინი გაისმა, ლას კასასმა უდიდესი მღელვარებით პირველმა ჩამოართვა ხელი დიდ ადამიანს. ჰაშინ ოვანდოც. რომელიც მუდამ თავგამოდებით იცავდა თავის პირველობას, ადმირალის შესახვედრად სწრაფად გაეშურა. კოლუმბმა მხიარულიღიმილით უპასუხა მის მისალმებას, და თვალაცრემლებულმა გუბერნატორმა იგი მკერდში ჩაიკრა. თითქოს ამ მამაცი ადამიანის უახლოესი მეგობარიაო. რომლის ტანჯვა და უბედურება ცბიერი უმოქმედობით თვითონ გაამწვავა. ორპირობა და პატივმოყვარეობა ხომ ყოველთვის ჯანუყრელია.

კოლუმბები დაბინავდნენ გუბერნატორის სახლში. მას არავისთვის არ უნდოდა დაეთმო ეს პატივი. ადმირალის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა. და მოგზაურების დასვენებისა და ძალ-ღონის აღდგენისთვის განკუთვნილი დღეები მშვიდობიანად და სიამტკბილობაში გავიდა. მაგრამ მერე, როცა დრო დადგა გადაჭრილიყო საკითხი, რომელიც ეხებოდა ხელისუფლების ორივე წარმომადგენლის მატერიალურ ინტერესებსა და იურისდიქციას.— ხელისუფლების განაწესებსა და განკარგულებებში კი მეტისმეტად ბუნდოვნად და გაურკვეველად იყო აღნიშნული კოლუმბის, როგორც ინდოეთის ადმირალისა და ოვანდოს, როგორც ესპანიოლის გუბერნატორის უფლებები. — მათ შორის მაშინვე წამოიჭრა უთანხმოება და ურთიერთ უკმაყოფილება. გუბერნატორმა პატიმრობიდან გაანთავისუფლა პორასი, იამაიკაში ამბოხების მთავარი მოთავე, და უნდოდა გაესამართლებინა ისინი. რომლებმაც კოლუმბის ძალაუფლების დასაცავად დახოცეს ამ მოღალატის თანამზრახველნი. ამ შემთხვევაში ოვანდო იმოწმებდა თავის პრეროგატივებს, რომელიც იამაიკაზეც ვრცელდებოდა. კოლუმბი კი ახსენებდა თავის მნიშვნელოვნად მეტად დასაბუთებულ უფლებებს, რომლებიც მას აძლევდა სრულ უფლებამოსილებას ექსპედიციის ყველა წევრზე. მთელი დროის მანძილზე, ესპანეთში დაბრუნებამდე. ადმირალის სიმტკიცემ ხელი შეუშალა ოვანდოს წამოეწყო ესოდენ უსამართლო სასამართლო პროცესი.

ადმირალის ფულადი საქმეები სრულიად არეული აღმოჩნდა. სახსრები, დიდი გარჯის შედეგად რომ დააგროვა, ძლივს ეყო ესპანეთში დასაბრუნებელი ხომალდების მოსამზადებლად. მეტისმეტად გამწარდა, როცა დარწმუნდა ინდიელი მოსახლეობის უბედურ მდგომარეობაში: მისი დიდი ნაწილი განადგურებული იყო, ცოცხლად დარჩენილები კი მონობის მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდა. ესოდენ სავალალო მდგომარეობის ვერც შეცვლა და ვერც შემსუბუქება ვერ შეძლო თვით დიდსულოვანმა დედოფალმა იზაბელა კათოლიკემ, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა ინდიელთა და კოლუმბის დასაცავად, დაუღალავად რომ შუამდგომლობდა კოლუმბის ნდობით აღჭურვილი ანტონიო სანჩეს დე კარვახალი. განსაკუთრებით კი ხარაგუაში მომხდარი სისხლისღვრითა და უბედური ანაკაონას სიკვდილით აღშფოთებული კოლუმბი დასტიროდა ინდიელების ღირსეული მბრძანებელი ქალის სიკვდილს და თავისი საყვარელი კუნძულის ბედს. უთვალავი საბუთი არწმუნებდა, რომ დაპყრობა არაადამიანური საბედისწერო სისხლისმღვრელი ომით ხდებოდა, იგი მზად იყო დაეწყევლა თავისი დიდება და, თითქოს ბუნების საწინააღმდეგო მძიმე დანაშაულში ბრალი დაედო საკუთარი თავისთვის, რომ ოკეანეს მისი საიდუმლო წასტაცა. ზღვაოსნის შეუპოვარმა სიმამაცემ გასაქანი მისცა ნგრევასა და სარფის ჯოჯოხეთურ სულისკვეთებას.

ლიცენციატმა ლას კასასმა, რომელსაც ადმირალთან და მის ძმასთან გულითადი მეგობრობა აკავშირებდა, მათ უამბო, რომ იგემოტა ამჟამად სანტო-დომინგოში იყო, ძმებმა ისურვეს უკანასკნელად მოეწახულებინათ უბედური სამეფოს საგვარეულოს შთამომავალი. ახალგაზრდა ინდიელი ქალი მოსიყვარულე ქალიშვილივით შეხვდა მათ; მას ბავშვობიდან ახსოვდა ადელანტადოს, დონ ბარტოლომეს ალერსიანი გულითადობა. როცა იგი დაინახა, საწყალ ქალს კვლავ გაახსენდა ნათელი დღეები მშობლიურ სახლში, სადაც უმანკო და ბედნიერი ყველას უყვარდა, სადაც შეხვდა დონ ბარტოლომეს, რომელმაც იმ ბარაქიან ქვეყანაში პირველად მიიყვანა ესპანეთის ჯარი. და იგემოტა მწარედ ატირდა, როგორც ტიროდა ყოველდღე, როცა იხსენებდა საცოდავ დედას, დაღუპულ სიყვარულს, ფიქრობდა უკუღმართ ბედზე, რომელიც ელოდა თავის პაწაწინა ქალიშვილს. შეუპოვარმა ზღვაოსნებმა სცადეს ნუგეში ეცათ მწუხარე იგემოტასთვის, კოლუმბმა კი შეაქო ლას კასასი დედაშვილზე ზრუნვისთვის და აღუთქვა, რომ ამ კეთილ საქმეში მთელი ძალით და მთელი თავისი უფლებებით დაეხმარებოდა. მან თქვა, რომ თავისი ოჯახის მოვალეობად თვლის, კასიკების საგვარეულოს მფარველობას, და განსაკუთრებით — პატარა მენსიას ბედზე ზრუნვას. გოგონას არაჩვეულებრივმა სილამაზემ და მისი მშვენიერი სახის უწყინარმა გამომეტყველებამ ორივე პატივცემული უცხო-

ელის მამობრივი სინაზე გამოიწვია, ის კი თითქოს გრძნობდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის მათ მფარველობას.

დონ ბარტოლომემ ჩვეული სიხალისით და გულახდილობით განუცხადა ძმას:

— მე რომ ვაჟი შყავდეს, მისთვის ცოლად ვითხოვდი ამ მშვენიერ პაწაწინას.

— მეტისმეტად ლამაზია, ბარტოლომე, და ძალიან უბედური იქნება! — უპასუხა ადმირალმა ხმადაბლა.

XX

მიმძრალი ვარსკვლავები

მრავალი დღე გავიდა, ვიდრე კოლუმბმა — სულიერად და ხორციელად მოქანცულმა და დატანჯულმა ოვანდოსთან დაუსრულებელი დავით, რაც აუცილებელი გახლდათ, რომ დაეცვა თავისი უფლებები და აღედგინა აწეწილი ფუსფუსი საქმეები, — დაასრულა ყოველგვარი სამზადისი და გაუდგა გზას ესპანეთისაკენ.

მისი უკანასკნელი ნაოსნობა, რომელიც ახალი ქვეყნების აღმოჩენას მიეძღვნა, არ იყო უფრო ბედნიერი მეოთხე მოგზაურობაზე. გამძვინვარებული ქარიშხალი არ ნელდებოდა და ანჯღრევდა ხომალდებს, რომლებითაც მიცურავდნენ კოლუმბი და მისი ოჯახი. თითქოს გამძვინვარებული ოკეანე შურს იძიებდა გულადზე. რომელმაც თორმეტი წლის წინ დაიპყრო იგი და ახალ სამყაროს ზარ-ზეიმით ახადა ფარდა.

თითქმის ორი თვე მოუნდა გზას სანტო-დომინგოდან სან-ლუკარამდე, სადაც დაზიანებული, ანძადამტვრეული ხომალდები 7 ნოემბერს ჩავიდნენ. კოლუმბი წაიყვანეს სევილიაში, რომელიც მშვიდ ნავმისადგომად მიაჩნდა, და იქ გაატარა თავისი ბობოქარი ცხოვრების უკანასკნელი დღეები. დიდმა ზღვაოსანმა მეფესა და დედოფალს გულში ჩამწვდომი წერილებით მიმართა, იგი ინდიელებს იცავდა, აღწერდა მძიმე ხვედრს, რაც მათ ხვდათ წილად, და მოითხოვა მთელი მისი უფლებები და პრეროგატივები გადაეცათ მისი ვაჟიშვილისათვის — მეფის პაჟ დიეგო კოლუმბისათვის. მაგრამ ადმირალის ყოველი ცდა, სამართლიანობისათვის მიეღწია, ამაო აღმოჩნდა. მისი მფარველი დიდსულოვანი იზაბელა სასიკვდილო სარეცელზე იწვა და კოლუმბმა მხოლოდ უმადურობა და სრული გულგრილობა იგრძნო ფერდინანდ კათოლიკესგან, ეს ანგარიშიანი და ეგოისტი პოლიტიკოსი, დაინტერესებული იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერებით, შურით ეკიდებოდა კოლუმბთა საგვარეულოს განდიდებას და სიამოვნებით ისმენდა მის მოჭიშპეთა ბოროტ ცილისწამებას.

იზაბელა 1504 წლის ნოემბერში გარდაიცვალა. მეფისთვის ნათქვამ უკანასკნელ სიტყვაში იგი ითხოვდა შეემსუბუქებინათ ინდიელთა ხვედრი, დაუყოვნებლივ გადაეყენებინათ და მკაცრად დაესჯათ ოვანდო მისი სასტიკი და არაადამიანური ნამოქმედარისთვის. კეთილშობილი მბრძანებელი ქალის სურვილი შეუსრულებელი დარჩა. მაგრამ ავაზაკისთვის საშინელი სასჯელი აღმოჩნდა შთამომავლობამდე მოღწეული წყევლა, სახელგანთქმულმა დედოფალმა თავის უკანასკნელ წუთებში რომ დაგმო მისი ბოროტმოქმედებანი.

თავისი უავგუსტოესი მფარველის შემდეგ კოლუმბს დიდხანს ალარ უცოცხლია. ზნეობრივი ტანჯვა ღრღნიდა ადმირალის სუფთა სულს — სადავო ხდებოდა და ვერაგულად უარყოფდნენ მის ყოვლად კანონიერ მოთხოვნებს. დიდებული გმირობის საპასუხო ჯილდოების ნაცვლად იგი ხედავდა მხოლოდ უმადურობას, თითქოს დასაცინად, შეფარულს პატივისცემისა და ალერსის ცარიელ გამოხატვაში. როგორც შემდეგ ლას კასასი წერდა, მას „არასოდეს იშურებდა მეფე ფერდინანდი". სიმწარემ და იმედგაცრუებამ დააჩქარა გარდუვალი დასასრული. 1506 წლის 20 მაისს ვალიადოლიდში შეწყდა ეს დიდებული, უდიდესი საქმეებით მდიდარი სიცოცხლე. კოლუმბისათვის უკანასკნელი ნუგეში გახლდათ ის, რომ სიკვდილის ჟამს მასთან იყვნენ მისი ვაჟიშვილები, დიეგო და ფერნანდო, თავდადებული მეგობრები, მათ შორის მამაცი, ერთგული დიეგო მენდესი და იამაიკიდან ესპანიოლისკენ ადმირალის გმირული ნაოსნობის დროინდელი ამხანაგი, ბარტოლომე ფიესკო.

XXI

მონასტერი

სამი წელი გავიდა კოლუმბის სიკვდილის შემდეგ. იმდროინდელი ისტორიული ნაშრომები არ აღნიშნავენ ამ წლების განმავლობაში არც ერთ ამბავს, რომელიც საინტერესო იქნებოდა ჩვენი მოთხრობისათვის. ოვანდო განაგრძობდა კუნძულ ესპანიოლის მართვას, ცდილობდა დაემშვიდებინა თავისი სინდისი — თუ იგი აწუხებდა მას, უბედური ინდიელების მიმართ გამოჩენილი სისასტიკისთვის — ზრუნავდა ქალაქ სანტო-დომინგოს გალამაზებისა და კეთილმოწყობისთვის. ოვანდო ტაძრებსა და მონასტრებს აშენებდა, ახალ დასახლებებს უყრიდა საფუძველს; ზოგი მათგანი, მაგალითად, პუერტო-პლატა და მონტე-კრისტო დღესაც არსებობს, სხვები კი უკვალოდ გაქრა: ასეთი ბედი ხვდა წილად ქალაქ სანტა-მარია დე ლა ვერა-პასსაც.

იმხანად ვერა-პასში ყვაოდა ფრანცისკანელ მამათა მონასტერი, რო-

მელთაც მინდობილი ჰქონდათ ხარაგუას ყოფილი სამეფოს კასიკების აღზრდა. აღსაზრდელთა შორის ბერების განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით სარგებლობდა პატარა ენრიკილიო.

მოძღვართა ყურადღება ნორჩი კასიკისადმი მრავალი მიზეზით აიხსნებოდა. ენრიკე შესახედავად კარგი და ალერსიანი იყო; გამორჩეული ნიჭის წყალობით, იგი საოცრად ადვილად ითვისებდა ყველაფერს, რასაც ასწავლიდნენ, ხარბად ეწაფებოდა ცოდნას და მისი ასაკისთვის არაჩვეულებრივი მოღწევები ჰქონდა ლიტერატურასა და მეცნიერებაში. გარდა ამისა, ლას კასასი, რომელმაც ბავშვი ბერებს ჩააბარა, გამუდმებით კითხულობდა მის ამბავს და მათ თხოვნებსა და დავალებებს ასრულებდა კოლონიის დედაქალაქში, რისთვისაც საჭირო მოლაპარაკებებს აწარმოებდა მთავრობასთან. ამავე დროს, ლას კასასი ფრანცისკანელი ბერების ხელმძღვანელობით რელიგიური ხარისხის მისაღებად ემზადებოდა, — სასულიერო სარბიელამდე იგი მიიყვანა ჰეშმარიტმა მოწოდებამ და იმ ბოროტმოქმედებათა შიშმა, რომელთაც ყოველდღიურად თვალს ადევნებდა. და, ბოლოს, დიეგო ველასკესიც, ოვანდოს მოადგილე ხარაგუაში, სიყვარულით ეპყრობოდა ნორჩ ინდიელს და მასზე საკუთარი შვილივით ზრუნავდა. ლას კასასი, რომელთანაც მეგობრული მიმოწერა ჰქონდა, დაუღალავად უნარჩუნებდა ამ ინტერესს.

ამრიგად, ენრიკემ საუკეთესო აღზრდა მიიღო, რომელიც შეიძლებოდა ადამიანს ესურვა იმ დროში. რვა წლის ასაკიდან იგი სწავლობდა ცხენოსნობას გამოცდილ ცხენოსანთან, რომელიც მონასტრიდან ნახევარი ლიგის მოშორებით მისი მამობილის ფერმას მართავდა. ორი წლის მერე ენრიკე ფარიკაობის შესწავლას შეუდგა და ისეთი უნარი გამოიჩინა, რომ თვით ველასკესის ქება დაიმსახურა, რომელიც ფარიკაობაში თავის ტოლად არავის თვლიდა. ამ მეცადინეობისთვის გამოყოფილი იყო კვირაში ორი დღე, როცა ენრიკე ფერმაში მიდიოდა ერთგული ტამაიოს თანხლებით, სრული თავისუფლებით სარგებლობდა და ტყის სუფთა ჰაერით ტკბებოდა. მიუხედავად ამისა, ფიზიკური ვარჯიშის დამთავრების მერე, როცა საღამოს ბრუნდებოდა მონასტერში და გზის შესამოკლებლად ადიოდა მწვანე ბორცვის მწვერვალზე, თვალები ცრემლით ევსებოდა და სახე ეღრუბლებოდა მწუხარებისგან. აქედან მოჩანდა იგემოტას სახლი და მწვანე მინდორი, სადაც ისინი ოდესღაც საღამოობით სეირნობდნენ. და მოგონება, რომელმაც მოულოდნელად დაკოდა ბავშვის წარმოსახვა, მწარე მარტოობის შეგრძნებას უმწვავებდა.

ამაოდ ეკითხებოდა იგი ჯერ ლას კასასს, მერე კი ბერებს დონია ანას და მისი პატარა ქალიშვილის სამყოფელზე, იმედოვნებდა ნახავდა მათ, როცა ლიცენციატი იაგუანაში წაიყვანდა. ენრიკეს ყოველთვის

უბნებოდნენ ორიენი არიან სანტო-დომინგოში და დაიგება დრო, როცა მათ შეხვდებიო. ლას კასასი კი, რომელიც ცდილობდა ყველაფერი სასიკეთოდ შეებრუნებინა, როცა იგემოტასა და მენსიაზე უამბობდა, ბიჭს აგულიანებდა ესწავლა უკეთესად, რომ ღირსეული კაცი გამოსულიყო და მომავალში მათი ბურჯი ყოფილიყო. ამ აზრმა, უეჭველად, ღრმად გაიდგა ფესვები ენრიკეს გულში და დიდად შეუწყო ხელი მის მუყაითობასა და ხასიათის არაბავშვურ სერიოზულობას.

ვერა-პასის მონასტერში ბერებს შორის, რომლებმაც თავი შესწირეს ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ ამოცანას, ენრიკეს ყველაზე მეტად უყვარდა ბერი რემიხიო. დიდი მოთმინებით პასუხობდა იგი ბიჭის უთვალავ შეკითხვებს. პადრე რემიხიო წარმოშობით საფრანგეთიდან, პიკარდიიდან იყო. დიდი განსწავლულობით და წმინდანური ცხოვრებით დაიმსახურა ყველა თავისი ამხანაგის პატივისცემა, — ისინი მას თემის წინამძღვარზე არა ნაკლებ პატივს სცემდნენ. ეს სიტყვაძუნწი მოხუცი წარსულში მდიდარი და ყოვლისშემძლე კაცი ყოფილა. იმ დროს ხშირად ხდებოდა, რომ წარმოშობით უფლისწულები და დიდგვაროვანი დიდებულები ისწრაფოდნენ მონასტრისკენ, მხსნელი ნავსაყუდელისკენ, რომ იქაურობისთვის შეეფარებინათ ქარიშხლისაგან დამსხვრეული საკუთარი ცხოვრების ხომალდი, რჯთა სასტიკი ხორციელი მოკვდინებით გამოესყიდათ პატივმოყვარეობისათვის ანდა ადამიანურ სხვა ვნებათათვის ჩადენილი დანაშაული. თავისი ყოფილი — ნამდვილი თუ წარმოსახვითი — დიდებისგან მამა წინამძღვარმა შეინარჩუნა მხოლოდ ისტორიის მგზნებარე სიყვარული და გატაცება; მის მკაცრ, მწუხარე სახეს სიცოცხლე უბრუნდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სატრაპეზოში თავშეყრილი პატარა აღსაზრდელები რიგრიგობით კითხულობდნენ ძველ ბერძენ ანდა რომაელ გმირთა დიდ საქმიანობაზე, ამას უნაცვლებდნენ ნაწყვეტების კითხვას საღმრთო წერილიდან, როგორც მოითხოვდა მონასტრის განაწესი.

როცა ნორჩი ენრიკეს რიგი დგებოდა, ადვილი შესამჩნევი იყო, თუ რა დიდ მთაბეჭდილებას ახდენდა მის სულზე მოთხრობები გმირთა ვაჟკაცობაზე, სიმამაცესა და სულგრძელობაზე. სხვა ბავშვები უყურადღებოდ და გულგრილად უსმენდნენ კვინტუს კურციუსის, ვალერიუს მაქსიმის, ტიტუს ლივიუსისა და სხვა ცნობილ ისტორიკოსთა ამაღლებულ სიტყვებს, მაგრამ ნაადრევად განვითარებული ბაორუკოელი პატარა კასიკი უკვდავ ფურცლებს აღფრთოვანებით მრავალჯერ კითხულობდა. რემიხიო ცდილობდა გამოეყენებინა ეს გზაც, რომ თავის მოსწავლეთა სულებში ჩაენერგა სიკეთისადმი სწრაფვა.

განსაკუთრებით ერთი ისტორიული ეპიზოდი აღელვებდა ენრიკეს. ბიჭს შეეძლო დაუსრულებელი შეკითხვები მიეცა მოთმინებით აღჭურვილი მასწავლებლისთვის. ეს იყო ლუზიტანელი ვირიატის ამბავ-

ება რომაელების წინააღმდეგ. როგორ ახერხებდა შეუიარაღებელი ხალხის მცირე ჯგუფის სათავეში მდგომი უბრალო მწყემსი, ყოველთვის მოეპოვებინა გამარჯვება რომის ძლიერ, ბრძოლებში გამოცდილ ჯარებთან შეტაკებებში? ვინ შეასწავლა ვირიატს სამხედრო ხელოვნება? რომაელმა მხედართმთავარმა რატომ არ გაიწვია იგი პატიოსან ბრძოლაში და რატომ მოკლა მოღალატურად? აი, როგორ შეკითხვებს იძლეოდა არაჩვეულებრივი ბავშვი, და მასზე არანაკლებად აღფრთოვანებული, კეთილი პატრე რემიხიო პასუხობდა მთელი სიმართლითა და სამართლიანობით. ამით აღსაზრდელის სულში პატიოსნებისა და ვაჟკაცობის ნაყოფიერ თესლს თესდა.

ბრძენი წინამძღვარი ენრიკილიოს წარმატებებზე სიხარულით უყვებოდა თავის მეგობრებს — ლიცენციატ ლას კასასს და დიეგო ველასკესს: ნორჩი კასიის ყოველ მოქმედებაში მეღავნდებოდა მის დიდსულოვან გულში ესოდენ ბრწყინვალე აღზრდით გაღვივებული კეთილშობილური გრძნობები. რბილი ხასიათისა და უფროსების პატივისმცემელი, სხვისი უბედურების თანამგრძნობი, საშინლად ბრაზობდა, როცა ხედავდა, როგორ ჩაგრავდა ძლიერი მოსწავლე სუსტს, განსაკუთრებით კი მაშინ — თუ მისი თანდასწრებით სცემდნენ რომელიმე უბედურ ინდიელს. იგი თამამად და გაბედულად ექომაგებოდა ინდიელს და სასტიკად კიცხავდა გულქვა შეურაცხმყოფელს. ხანდახან ხდებოდა ხოლმე, რომ შეკარდენის სიმამაცით ებმებოდა ბრძოლაში. ყველანი, იმის ირგვლივ მყოფნი, ენრიკილიოს ეკცეოდნენ, როგორც დიეგო ველასკესის ნაშვილებს, რომელმაც ოვანდოსაგან მიიღო ამ ერცელი მხარის მართვის თითქმის შეუზღუდავი უფლებები. ამიტომ იყო, მამაცი ყმაწვილის გააფთრებულმა, ხან კი გაუფრთხილებელმა სიფიცხემ, იმის ნაცვლად, რომ კიცხვა და მტრული დამოკიდებულება გამოეწვია, მოუპოვა მჩაგვრელების პატივისცემა, რომელნიც აღფრთოვანებული იყვნენ ასეთ ნორჩ ასაკში გამოვლენილი ესოდენი გაბედულებით, გამოეთქვა ჭკუითა და გულმოწყალებით ნაკარნახევი სამართლიანი საყვედურები.

პედრო დე მოხიკა, რომელიც ჩვენ დროებით დავივიწყეთ, ყოველკვირას ნახულობდა ენრიკეს მონასტერში, და ყოველნაირად ამეღავნებდა ბიჭის სიყვარულს, რითაც ცდილობდა მისი მამობილისათვის. გუბერნატორის ძლევამოსილი ნაცვლისთვის ეამებინა. ერთხელ, როცა დედაქალაქიდან დაბრუნდა, სადაც წასული იყო დონია ანას მამულების მართვის ანგარიშის ჩასაბარებლად, მოხიკამ დონია ანასგან წერილი და საჩუქრები ჩამოუტანა. და ამიერიდან ენრიკილიომ იგრძნო, რომ თანდათან იფანტებოდა მტრული დამოკიდებულება, რასაც უნერგავდა მას დათაფლული იდალგო. მოხიკა ცუდი მემუსიკე არ იყო, იგი შესანიშნავად უკრავდა მავრიტანულ პარბითზე. გულკეთილობის მო-

ძალებისას ამ ხელოვნების სწავლება დაუწყო მან თავის „მეგობარს“, ასე ეძახდა იგი ენრიკილიოს. ენრიკე ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, მაგრამ ერთხელ როცა გაიგო, დიეგო ველასკესის საჭურველმტვირთველი როგორ ასრულებდა რაღაც საბრძოლო მელოდიას სამონადირეო ბუკით. იგი მაშინვე გაიტაცა ახალმა საკრავმა და, არაბულ გიტარასთან შედარებით, მას მიანიჭა უპირატესობა.

ყოველი, გუაროკუიას ცხოვრების ერთი შეხედვით თითქმის უმნიშვნელო, წვრილმანი საყურადღებოა ჩვენი მოთხრობისთვის, რადგან, ყველაზე სარწმუნო ისტორიული წყაროების მოწმობით, ინდიელი ბელადის მემკვიდრის ბრწყინვალე აღზრდამ „აუტანელი გახადა მისი სხვისაგან დამოკიდებული მდგომარეობა“. აი, რატომ ჩავთვალეთ აუცილებლად დაწვრილებით აგვეწერა ამ თავში მისი ბავშვობის წლები.

XXII

სიძულვილის მრავალი

ერთხელ, 1509 წლის ზაფხულში, დაახლოებით დღის ორი საათისთვის ვერა-პასის ფრანცისკანელთა მონასტრის ღვთისმოსავი სიმშვიდე დაარღვია ფლოქვების ხმამაღალმა თქარათქურმა, რომელიც მალე მიყუჩდა მონასტრის ეზოში. მამა წინამძღვარს მაშინვე მოახსენეს გუბერნატორის ნაცვლის მოსვლა. სამგზავროდ ჩაცმული დიეგო ველასკესი მოვიდა ბერებთან გამოსათხოვებლად და დედაქალაქში ენრიკილიოს წასაყვანად, ყველანი ასე ეძახდნენ საალერსოდ ბაორუკოელ კასიკს.

დილით ველასკესმა ცნობა მიიღო სანტო-დომინგოში ახალი გუბერნატორი — ადმირალი დონ დიეგო კოლუმბი ჩამოვიდაო, რომელმაც ამ თანამდებობაზე კომანდორი ნიკოლას დე ოვანდო შეცვალა. ასეთ შემთხვევაში ხარაგუას მხარის ესპანელი მმართველი აუცილებლად უნდა ყოფილიყო კოლონიის დედაქალაქში. ველასკესმა თავის მოვალეობად ჩათვალა კუნძულ ესპანიოლის ახალი უფროსისთვის ჰატივი ეცა და ამავე დროს გამოთხოვებოდა ოვანდოს, რომელიც ყოველთვის ნდობით ასაჩუქრებდა მას. თან გუბერნატორთან პირად საუბარში გაერკვია საკუთარი მდგომარეობა. ბოლოს, ველასკესს დედაქალაქში ენრიკეს ჩამოყვანა მარტო იმისთვის კი არ უნდოდა, რომ ამ სასიამოვნო და ღირსეულ ინდიელ ყმაწვილს მისი ამბავი დაემშვენებინა, არამედ, აგრეთვე პოლიტიკური მოსაზრებითაც. რასაც ღრმა აზრი არ აკლდა. ოვანდოს მმართველობა დესპოტური და სასტიკი იყო, ინდიელები სწრაფად იხოცებოდნენ მძიმე სამუშაოსა და ცუდი მოპყ-

რობის შედეგად. კუნძულზე ყველამ იცოდა დედოფალ იზაბელას უკანასკნელი სურვილი, რომელიც მოიპოვა კრისტოფორ ოვანდოს სასტიკ დასჯას. მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისთვის. ყველამ იცოდა, რა დაუნებით ურჩევდა მომაკვდავი დედოფალი თავის მეუღლეს, თავის ქალიშვილს პრინცესა ხუანას და მის ქმარს. რომ ინდიელებისათვის გაეგებინებინათ რელიგიური ჭეშმარიტებანი და ჯანსაღი ზნე-ჩვეულებანი, რომ ისინი მზრუნველად დაეცვათ და აღეზარდათ. „ინდოეთში და მატერიკზე უკვე აღმოჩენილ მიწებსა და მომავალში აღმოსაჩენ მიწებზე მცხოვრებმა ინდიელებმა არ უნდა განიცადონ რაიმე ზარალი, არც პირადად და არც ქონებრივად. და კიდევ ვბრძანებ, მოექცნენ მათ კარგად და სამართლიანად; მაგრამ თუ მათ რაიმე დანაკლისს მიაყენებენ, მაშინ საჭიროა მაშინვე გამოსწორდეს იგი და ანაზღაურდეს“.

კოლონიაში პირველად კოლუმბის მოწინააღმდეგეებმა დაარღვიეს მეფის ნება-სურვილი. ოვანდოს მხარდაჭერითა და მფარველობით ისინი შეერთდნენ პრივილეგირებულ ჯგუფად, რომელიც შვიდ წელზე მეტ ხანს სარგებლობდა კოლონიზაციის ყოველგვარი სიკეთითა და შემოსავლით, მათ საზარალოდ. ვინც ადმირალის ერთგული იყო მისთვის უმძიმეს დღეებში. ადმირალის მომხრეები სამართლიანობის დასაცავად, დაუღალავად წერდნენ ინდიელების არაადამიანურ ექსპლუატაციაზე და საჩივრებს გზავნიდნენ დედაქალაქში, ებრძოდნენ თავიანთი იღბლიანი მოწინააღმდეგეების ტირანიას და შერისხვას, რაც მათ ხვდათ წილად. აი, რატომ იყო ერთგული მეგობრების სიხარული უსაზღვრო, როცა გაიგეს, დიდი კოლუმბის შვილი ახალ ქვეყანაში, როგორც ესპანიოლის გუბერნატორი უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვესო.

ამ გარემოებებმა ველასკესის გულში აღძრა შიში, რომ მასაც არ გაეზიარებინა მძიმე პასუხისმგებლობა, რომელიც კისერზე დააწვა ოვანდოსა და მის ნაცვლებს. რაც მეტად გვიანდებოდა კათოლიკე დედოფლის წმინდა ნების აღსრულება, მით უფრო მძიმდებოდა ეს პასუხისმგებლობა. კოლონიზატორებმა, რომლებიც საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ გულგრილი, ეგოისტი მეფე ფერდინანდი ნაკლებად ფიქრობდა პატივი ეცა განსვენებული მეუღლის ხსოვნისათვის. გადაწყვიტეს, მათი ბილწი ტირანია სამუდამოდ დარჩებოდა დაუსჯელი. მომხვეჭელობის სურვილით შეპყრობილებმა მიბაძეს ბიწიერი ბობადილიოს მაგალითს და განაგრძეს უმფარველოდ დარჩენილი ინდიელების ძარცვა და ჩაგვრა.

ახლა, დიდი ზღვაოსნის შვილის ჩამოსვლამ, რომლის კეთილშობილური გრძნობები პასუხობდნენ ბრძენი დედოფლის ზრახვებს, საბოლოო დარი მჩაგვრელები აათრთოლა; საკუთარი სინდისის ხმა აშფოთებდა მათ და აშინებდა მომავალი შურისძიებით.

ის მცირე ნაწილი კი, რომელმაც ცოტაოდენი პატიოსნება და კაცთმოყვარეობა შეინარჩუნა, ჩქარობდა ახალი გუბერნატორის წინაშე თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა. აი, რატომ იყო, რომ ველასკესმა ახალგაზრდა კასიკის ჩამოყვანა ისურვა სანტო-დომინგოში. ობლის მიმართ მამობრივი მზრუნველობა წარჩინებული სენიორისთვის კაცთმოყვარული გრძნობების მჭევრმეტყველური მტკიცება იყო. დიდი ღირსებანი, რომლებიც მის აღზრდილს ამკობდნენ, ერთიორად ახარებდა ველასკესს და ადასტურებდა ხალხურ სიბრძნეს: რომ კარგი ქენი, ქვაზე დადე, გამოიელი, წინ დაგხვდებაო.

ნახევარ საათში ყველაფერი მოამზადეს მგზავრობისთვის, და სამგზავრო კოსტიუმში გამოწყობილი ენრიკე დიეგო ველასკესისა და მის მხლებელთა თანდასწრებით გამოეთხოვა მონასტრის თემს, გულთბილად ჩამოართვა ხელი ყველა კეთილ ბერს. წინამძღვარი და პადრე რემიხიო მონასტრის ზღურბლზე გამოვიდნენ თავიანთი აღზრდილის გასაცილებლად და კომანდორ ველასკესის პატივსაცემად. მათ გულში ჩაიკრეს და გადაკოცნეს აღელვებული ყმაწვილი, უსურვეს ბედნიერება და კეთილდღეობა. თვალცრემლიანმა ენრიკემ მადლობა გადაუხადა მათ.

იგი მოახტა ანდალუზიურ მარდ ცხენს, რომელსაც მშვენიერი აღკაზმულობა ჰქონდა. ერთგული ტამაიო, რომელსაც ენრიკილიოს ბარგით დატვირთული ჯორი აღვირით ეპირა, დიეგო ველასკესის მსახურებს შეუერთდა. და ნაირფერი კავალკადა ჩორთით გავიდა სანტო-დომინგოსკენ მიმავალ გზაზე.

რამდენიმე ხნის მერე ნაღვლიან, ჩაფიქრებულ ენრიკილიოსთან ცხენი მიაგდო ვიღაც მხედარმა, ფამილარულად დაჰკრა მხარზე ხელი და უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, ძუძუმწოვარავ! მალე ნახავ შენს მამიდა ფიგემოტას.

ენრიკემ ცხენი შეაყენა და შუბლშეკრულმა გახედა შეურაცხმყოფელს.

— რაკი თქვენ ჩემი მამიდის სახელის დამახინჯებით ეშმაკის ცდუნება გსურთ, გაუფრთხილდით თქვენს კუსს, დონ პედრო, თორემ ზედ ჯოხს გადაგამტვრევთ.

დონ პედრო დე მოხიკამ — სწორედ ის იყო ხუმარა — მუქარის პასუხად მხოლოდ გადაიხარხარა, ახარხარდნენ სხვებიც, ველასკესის ჩათვლით. უცნაური იყო, მაგრამ ენრიკილიოც შეუერთდა საერთო მხიარულებას; მოხიკაზე გაჯავრებულს ბრაზმა გადაუარა. მოულოდნელად გუნების შეცვლის მიზეზის ახსნა ძნელი არ იყო: კეთილი ენრიკე უცებ ბრაზდებოდა, მაგრამ მალე გადაუვლიდა ხოლმე ბრაზი, რაც მთავარი იყო, დამცინავმა იდალგომ შეატყობინა მას, რომ „მალე ნახავდა მამიდა იგემოტას“. და მოხიკას უპატივცემულობით გამოწვეულ ბრაზს არ

შეეძლო დაეჩრდილა უდიდესი სიხარული, რამაც ყმაწვილის გული აავსო.

მოხიკა კი სასტიკად გახლდათ შეურაცხყოფილი მისი სიმახინჯის ხსენებით და გუნებაში დაიფიცა, რომ სამუდამოდ ჩაიმარხავდა გულში ნორჩი ინდიელის სიძულვილს. მაგრამ ცბიერებით სავსეს შეეძლო დაეფარა თავისი შურისმაძიებლური გრძნობები, როცა ამას მისი კეთილდღეობა მოითხოვდა. აი, რატომ იყო, რომ თვალთმაქცური სიცილით ჩაიხშო გაფთრებული კივილი, რომელიც კინალამ მოსწყდა მის ბაგეს, როცა გაცოფებულმა ენრიკილიომ პირში მიახალა შეურაცხყოფელი მუქარა.

XXIII

კანონიერი უფლებები

ახლა კი მოვყვეთ, როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდა აღმირალ დონ დიეგო კოლუმბს მიანიჭეს კუნძულ ესპანიოლისა და დასავლეთ ინდოეთში იმ დროს აღმოჩენილი ოკეანის გაღმა მიწების მეფის მოადგილისა და გუბერნატორის წოდება. გავარკვიოთ აგრეთვე, როგორ მიაღწია, რომ ეცნოთ მისი დანარჩენი უფლებები, რაც მემკვიდრეობით დარჩა სახელგანთქმული მამისაგან.

ახალგაზრდა კოლუმბს ცხოვრების გზაზე უთვალავი დაბრკოლება ხვდებოდა. მომხვეპელობა და უმადურობა, შურთან და ცილისწამებასთან ერთად, უხსოვარი დროიდან იკეთებს ბუდეს ამა ქვეყნის ძლიერთა სასახლეებში. დონ დიეგო იზრდებოდა კათოლიკე მეფეთა სასახლეში, პატიოსანმა უშუალო ხასიათმა გადაარჩინა იგი კარისკაცთა ცხოვრებას გარყვნილი გავლენისაგან. იშვიათმა ზნეობრივმა თვისებებმა და დიდმა ნიჭმა, შეხამებულმა მისი სახისა და ტანის არაჩვეულებრივ სიმშვენიერესთან, გახადა დონ დიეგო ასე დიდ ადგილზე დანიშვნის ღირსი. მაგრამ მასაც მშვიდობიანად ელოდა ხანგრძლივი ბრძოლა უსამართლობასა და ცილისწამებასთან — საბედისწერო მემკვიდრეობისთვის, რომელიც ერგო საგვარეულო საკუთრებასთან ერთად.

სახელოვანი აღმირალის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა მიზნად დაისახა კოლუმბის საგვარეულოს უფლებების აღდგენისთვის ბრძოლა. მას ყოველ ნაბიჯზე იგივე დავა და სამარცხვინო უარი ხვდებოდა, რამაც თავის დროზე უკანასკნელი დღეები მოუწამლა დიდ ადმიანს. ორი თუ სამი წელი, ყოველდღიურად დაუღალავი ძალებით დაობდა დაჩაგრული მემკვიდრე მეფესა და ინდოეთის საბჭოსთან თავისი უფლებებისა და წოდებათა მისაღებად, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ისტორიამ შემოინახა პრეტენდენტის მიერ თავისი მბრძანებლის-

თვის ნათქვამი ცნობილი ფრაზა. ეს ამბავი მოხდა 1508 წელს. მეფე ის იყო ჩამოვიდა ნეაპოლიდან და დონ დიეგო ახალი გზნებით შეუდგა თავის საზრუნავს. იგი სამართლიანობისკენ მოუწოდებდა მონარქს და ეუბნებოდა, რომ „ვერ გაუგია, მისი უდიდებულესობა რა მიზეზით ეუბნება მას უარს კანონიერ უფლებებზე, თუმცა იგი ამ უფლებას მოწყალებასავით თხოულობს; და კიდევ, რატომ არის მეფე დაეჭვებული იმ ადამიანის ერთგულებაში, ვინც მის სახლში გაიზარდა“.

მეფემ უპასუხა, დონ დიეგოს თბოვნის დაკმაყოფილებას იგი იმიტომ კი არ აგვიანებს, რომ დაეჭვებულია მის ერთგულებაში, არამედ იმიტომ, რომ ეშინია შეცდომა არ დაუშვას, ასეთი უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვოს მის ვაჟიშვილებსა და შთამომავლობას. ამაზე დონ დიეგო კოლუმბმა მოხერხებულად უპასუხა: „უსამართლობაა, სენიორ, დამსაჯოთ ჩემი ჯერ კიდევ გაუჩენელი ვაჟიშვილების ცოდვებისთვის“.

უსულგულო ფერდინანდი მტკიცედ იდგა თავის უსაფუძვლო უარზე. მისი ერთადერთი დათმობა იყო, რომ გაბედულ ყმაწვილს ნება დართო ინდოეთის საქმეთა საბჭოში საჩივარი შეეტანა ხელმწიფეზე, რათა საბჭოს დაედასტურებინა მისი უფლებების კანონიერება. ცბიერი მონარქისთვის ეს იყო მშვენიერი საშუალება გაურკვეველი ვადით შეეფერხებინა ანდა სულაც უარეყო დონ დიეგოს სამართლიანი დაჩემება.

დაიწყო ხანგრძლივი არეულ-დარეული საჩივრები, რომლებიც დონ დიეგოს ბევრ ფულად და წყენად დაუჯდა. არ იყო სრულიად უმნიშვნელო ხელჩასაჭიდიც კი, რომელიც არ გამოეყენებინოს ცბიერებასა და შურს ანდა მონური მორჩილების სურვილს, შეუპოვარი ქვეშევრდომის ხარჯზე მეფის გულის მოსაგებად. დიეგოს მიერ ხელმწიფის მოადგილის ტიტულის დაჩემებას უარყოფდნენ იმ მიზეზით, რომ ადმირალ დონ ქრისტეფორესთვის ამ ტიტულის ბოძება სამუდამოდ ეწინააღმდეგებოდა გვირგვინის ინტერესებსა და 1480 წლის კანონს, რომელიც კრძალავდა რომელიმე წოდების სამემკვიდრეოდ გადაცემას, რაც დაკავშირებული იქნებოდა მართლმსაჯულების გზავნილებასთან. კოლუმბის ზოგიერთი მტერი უფრო მეტსაც ცდილობდა, რადგან აცხადებდა, დიდ ზღვაოსანს ჩამორთმეული აქვს ხელმწიფის მოადგილის წოდება „თავისი მოვალეობის ცუდად შესრულების“ სასჯელადო.

დიეგო კოლუმბი, როგორც კარგი შვილი, მგზნებარედ აღსდგა თავისი მამის კარგი სახელის დასაცავად და საბოლოოდ უკუაგდო ადმირალის ხსენების შეურაცხმყოფელი ბრალდებანი. მან განაცხადა, თავხედმა მოსამართლემ, ბობადილიომ ჩაიდინა დანაშაული, როცა 1500 წელს ესპანიოლაზე ჩატარებული უკანონო სასამართლო პროცესის შემდეგ ადმირალი ესპანეთში გაგზავნა როგორც ტყვეო; მიუთითა,

რომ მთელი სასამართლო წარმოება და პროცესზე წარდგენილი ბრალდებები 1502 წელს სასტიკად დაგმო ორივე მონარქმა დევნილი კოლუმბისთვის გაგზავნილ თავიანთ წერილებში, რომლებშიც გამოხატეს აღშფოთება მისი დაპატიმრების გამო, და დაპირდნენ სრულ დაკმაყოფილებასო. არანაკლები წარმატებით ამხილა დონ დიეგომ ცრუ მტკიცებანი, თითქოს მამამისი არ იყო ახალ ინდოეთში ქვეყნების პირველი აღმომჩენი. ჩვენებები, რომლებიც მან მოიშველია იმის დასტურად, თუ რამდენად სასახელო იყო ეს აღმოჩენები, იმდენად უდავო იყო, რომ მან ყველა დაარწმუნა თავის სიმართლეში. ინდოეთის საქმეთა საბჭომ მეფე ფერდინანდის ღვარძლიანი იმედების საწინააღმდეგოდ, ღირსეულად და დამოუკიდებლობით, რაც იმდროინდელ ესპანურ დაწესებულებებს ახასიათებდათ, ერთხმად გამოიტანა გადაწყვეტილება დონ დიეგოს სასარგებლოდ და მთელი თავისი ბრწყინვალებით აღადგინა კოლუმბის კარგი სახელი.

მაგრამ, ამ დიდებული გამარჯვებით არ დამთავრებულა ახალგაზრდა ადმირალის განსაცდელი. ერთხანს ელოდა, რომ მონარქი, მართლმსაჯულების პატივისცემის გამო თვითონ უწყალობებდა ადმირალს მის ტიტულსა და უფლებებს. მაგრამ, როცა ამოდ იცადა რამდენიმე დღე, ბოლოს და ბოლოს მეფეს მიმართა თხოვნით, საბჭოს გადაწყვეტილება შეესრულებინა, მაშინ მწარე გაოცებით მოისმინა ახალი, ყალბი მომიზეზება. იგი უკიდურესად ახალგაზრდაა, ეს თანამდებობა კი მეტისმეტად მნიშვნელოვანია. აუცილებელია მოფიქრება და საკითხის შესწავლაო. ყოველივე ეს დონ დიეგოს არწმუნებდა, რომ მეფე ფერდინანდისაგან ვერასდროს ეღირსებოდა თავისი მემკვიდრეობითი უფლებების ნამდვილ და ჭეშმარიტ აღდგენას, როგორი უდავოც არ უნდა ყოფილიყო იგი.

XXIV

შეხვედრა

იმედგაცრუებული დიეგო კოლუმბი სასოწარკვეთილებამდე იყო მისული: რამდენიმე დღე არ გამოჩენილა მეფის კარზე. მეფე ფერდინანდმა, როცა შენიშნა დიეგოს არყოფნა, დაიწყო მისი ამბის გამოკითხვა; თავისი თვითმპყრობელური პოლიტიკის ინტერესების მიუხედავად, მეფეს არ შეეძლო არ დაეფასებინა ახალგაზრდა კოლუმბის თვალსაჩინო ღირსებანი. მეფის პირადი ბრძანებით ერთ-ერთი პაჟი დონ დიეგოს სახლში გაგზავნეს, რომელიც მალე დაბრუნდა და მოიტანა ამბავი, დონ დიეგო ავად არის და მალალი სიცხე აქვსო.

ამ ცნობამ შეაშფოთა მონარქი: შეიძლება, იგი მიხვდა, რომ მისი

უსამართლობა აღმოჩნდა ავადმყოფობის მიზეზი. როცა დაინახეს, როგორ ინტერესს იჩენდა მეფე ავადმყოფის მიმართ, კარისკაცები, რომლებიც უეელგან და ყოველთვის ერთნაირი არიან, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ახალგაზრდა ადმირალისადმი მზრუნველობის გამოჩენას. საყოველთაო მღელვარებამ უკიდურეს ზომას მიაღწია, როცა მბრძანებელმა მიმართა დონ ფერნანდო დე ტოლედოს, ლეონის სამეფოს კომანდორს და ჰერცოგ ალბას ძმას:

— ბიძაშვილო, ინახულეთ დიეგო კოლუმბი და ჩემი სახელით გადაეცით, რომ უდიდეს პატივსა ვცემ და უკიდურესად მაწუხებს მისი ავადმყოფობა.

კომანდორმა მდაბლად დაუკრა თავი და უნდოდა მაშინვე წასულიყო მონარქის ბრძანების შესასრულებლად. მაგრამ მეფემ შეაჩერა იგი და ხმადაბლა კიდევ რამდენიმე სიტყვა უთხრა.

დონ დიეგოს სახლში მეფის წარგზავნილს ფერნანდო კოლუმბი დახვდა და რადგან სურდა ძმა გაენთავისუფლებინა ამ შეხვედრისგან, უთხრა, დონ დიეგოს მთელი ღამე არ სძინებია და მხოლოდ ახლა ჩასთვლიმაო. კომანდორი თავისას იყინებდა, არწმუნებდა, შემიძლია უცებ მოვარჩინო ავადმყოფიო.

დონ დიეგო მართლა ლოგინში იწვა, მაგრამ, როცა ხელი ჩამოართვა, კომანდორმა ვერ შენიშნა მაღალი სიცხე და საერთოდ ავადმყოფობის ვერავითარი ნიშანი, გარდა ღრმა მწუხარების ჩრდილისა, რომელსაც მოეღუშა ყმაწვილის სახე.

— რა დაგემართათ, დონ დიეგო? — მეგობრულად ჰკითხა მან. — რა გჭირთ?

— ავად მე კი არა ვარ, სენიორ, მეფის უსამართლობით დაკოდილი გული მტკივა.

— ნუ ლაპარაკობთ ასე თქვენსა და ჩემს მბრძანებელზე, — ოდნავ შებღალებით შეეპასუხა ფერნანდო დე ტოლედო. — დამიჯერეთ, რომ სერიოზულმა მიზეზმა, რომელიც ნაკარნახევი იყო სახელმწიფოს კეთილდღეობით, აიძულა იგი წინააღმდეგობა გაეწია თქვენი სურვილებისათვის.

— მაგრამ, სენიორ, — უპასუხა დონ დიეგომ, — მე ვერ დავუშვებ, რომ სახელმწიფოს ინტერესები ფეხქვეშ თელავდეს ჩემს კანონიერ უფლებებს, და ვერ გამიგია, რა ზიანი შეუძლია მოუტანოს მეფესა და სახელმწიფოს, თუ სამართლიანად მოექცევიან ჩემსავით ერთგულ ვასალს.

— თუ ასეა, დონ დიეგო, ნუ შეცვლით თქვენ ერთგულებას მოთუმენლობით: თუ ასე არ მოიქცევით, ბევრს დაკარგავთ. მეფეს, ჩემს ბიძაშვილსა და სენიორს, თქვენ უყვარხართ და პატივსა გცემთ. მან

თვითონ მთხოვა მომენახულებინეთ და გადმომეცა მისი კეთილი სურვილები.

— მადლობას ვუცხადებ მის უდიდებულესობას, აგრეთვე თქვენც, სენიორ კომანდორო, მზრუნველობისთვის.

—უფრო მეტიც, სენიორ დონ დიეგო, — განაგრძობდა ფერნანდო დე ტოლედო, — მეფემ დამავალა გაცნობოთ, რომ რაკი საბოლოოდ დარწმუნდა თქვენს ერთგულებაში, იგი გთავაზობთ ჰერცოგის ტიტულსა და სამეფოს შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, რომ სამაგიეროდ უარი თქვათ თქვენს უფლებებსა და დონ ქრისტეფორეს, თქვენი სახელგანთქმული მამისგან მემკვიდრეობით ტიტულებზე, რადგან ეს უფლებები და ტიტულები მეფის პრეროგატივებს ზარალს აყენებს.

ამ სიტყვების გაგონებაზე დონ დიეგო ამაყად გასწორდა, მეფის გამოგზავნილს დაჟინებით დააცქერდა და ხმამაღლა თქვა:

— კეთილ ინებეთ და მეფეს გადაეცით, რომ მე მისი ერთგული ქვეშევრდომი ვარ, უმალ სიამოვნებით დავთანხმდები, რომ მან ჩამომართვას მთელი ქონება, ყველა წოდება და უპირატესობანი, ვემსახურები, როგორც უბრალო ჯარისკაცი, ანდა ყოვლად უმნიშვნელო ვასალი, ვიძრე მდაბალი ანგარებისათვის, საკუთარი სურვილით დავთმობდე თუნდაც ერთ უფლებათაგანს, რომელიც ნაანდერძევი მაქვს ჩემი უკვდავი მამისაგან, მისი დიდების მოწამედ.

მეტისმეტად აღელვებულმა დონ ფერნანდო დე ტოლედომ ხელი გაუწოდა კეთილშობილ ყმაწვილს და უთხრა:

— მართალი ხართ, დონ დიეგო, მეტისმეტად მართალი. მშვიდობით.

როგორც კი კომანდორი წავიდა, დიეგო კოლუმბი ელჩის უსწრაფესად წამოხტა ლოგინიდან, უცებ გადაწყვიტა თავის ძმასთან დონ ფერნანდოსთან ერთად წასულიყო ცხენით სასეირნოდ. ძმამ შენიშნა, უხერხულია ხალხში გამოჩენა, რადგან სასახლეში იციან შენი ავადმყოფობის ამბავიო. კომანდორი მეფის სახელით სწორედ ამისთვის ეპატიჟებათ. მაგრამ ახალგაზრდა ადმირალმა ძმას სიტყვა გააწყვეტინა და განაცხადა, არ შემიძლია თვალთმაქცობა, დონ ფერნანდოს სრული სიმართლე ვუთხარი და ახლა მტკიცედ გადაწყვეტილება მივიღე, შეეურიგდეო ჩემს ხვედრს. და როგორც ყოველთვის ბედება ხოლმე, როცა ადამიანი ვაჟკაცურად და უდრტვინველად ხვდება ბედის სიმუხთლეს, მწუხარება და სასოწარკვეთილება მაშინვე უკუაგდო დონ დიეგოს გულმა.

ფერნანდო კოლუმბი ჭკვიანი იყო, ესმოდა ფილოსოფია და გამოირჩეოდა კეთილშობილური და დიდსულოვანი გრძნობებით. მან დაიფასა დონ დიეგოს ვაჟკაცური გადაწყვეტილება და მჭევრმეტყველუ-

რად მოუწონა. საუბრით გატაცებული ძმების გასეირნებამ, რომელიც საღამომდე გაგრძელდა, სასიამოვნოდ ჩაიარა. სულიერად დამშვიდებული და სუფთა სინდისით შინ მიმავალი ორი მხედარი გაცხოველებულ საუბარში იყო გართული. თვინიერი ცხენები კი ჩორთით მინავარდობდნენ, თითქოს სურდათ ხელი არ შეეშალათ ძმების გულღია, გულითადი საუბრისათვის. ასე მიდიოდნენ განიერ ხეივანში, რომელიც ვალიადოლიდის მთავარი კარისკენ მიემართებოდა, როცა თვალი მოჰკრეს რამდენიმე საჯურველმტვირთველს, ისინი წინ მიუძღოდნენ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც სამი თუ ოთხი სენიორი ახლდა.

ბრწყინვალე კავალკადას რომ მიუახლოვდნენ, კოლუმბებმა მდაბლად დაუკრეს თავი მგზავრებს. ერთ-ერთმა მხედარმა, რომელიც კომანდორი დონ ფერნანდო დე ტოლედო აღმოჩნდა, ცხენი შეაყენა ძმების მისალმების საპასუხოდ და თქვა:

— შეჩერდით, სენიორებო. დონ დიეგო, ვხედავ, რომ თქვენ ჯანღონით სავსე ხართ, მე კი მეგონა, სიცხიანი იწვეჭით სახლში.—ძმებმა ცხენების სადავეები დაჭიმეს და დონ დიეგომ კომანდორს უპასუხა.

— სენიორ, თქვენი ბრძანება ისეთი კეთილისმყოფელი აღმოჩნდა, რომ თითქოს ჯადოსნურად მოსპო დარდი, რომელიც მტანჯავდა, და მოქმედების სურვილი ვიგრძენი.

— თუ იცით, დონ დიეგო, რომ მეფე ძალიან უკმაყოფილოა? სიტყვასიტყვით გადავეცი თქვენი პასუხი. მაგრამ, ხელს გიშლით, რომ მიესალმოთ მშვენიერ ამორძალს, რომელიც არასოდეს მაპატიებს ასეთ ურიგობას.

და კეთილშობილმა კაბალიერომ ხელით ანიშნა თანამოსაუბრეებს მიახლოებოდნენ ახალგაზრდა ქალს, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეაჩერა თავისი ცხენი.

სამივე მიუახლოვდა მას და, ვიდრე ძმები დაიხარნენ და მიესალმნენ ქალს, კომანდორმა თქვა:

— მარია, ჩემო საყვარელო ქალიშვილო, მიულოცე ადმირალ დონ დიეგოს ღირსეულობისა და პირდაპირობის გამოჩენა. დღეს მან კარგად დაგვანახა თავისი თავი. თვით მეფეც აღფრთოვანებული იყო, და არათუ არ ბრაზობს, დონ დიეგო, არამედ ისევ უნდა თქვენი ნახვა და იმედოვნებს, რომ ბოლოს და ბოლოს დაკმაყოფილებული იქნებით მისი გადაწყვეტილებით.

თქვა ეს თუ არა, დონ ფერნანდო გულითადად გამოემშვიდობა ძმებს, ახალგაზრდა ქალმა კი ალერსიანი ღიმილით დახარა თავი, რომელიც გულწრფელ სიმპათიას გამოხატავდა.

ორივე ჯგუფმა სხვადასხვა მიმართულებით განაგრძო გზა. კომანდორმა დაწვრილებით უამბო თავის ქალიშვილს დილანდელი საუბარი;

ამ დროს კი დონ დიეგო, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, იმეორებდა: „რა მშვენიერია!“

ფერნანდო კოლუმბმა ემშაკერად გაიქნია თავი, მაგრამ, რადგან არ სურდა ჩაფიქრებული ძმისთვის ხელი შეეშალა, არაფერი უთქვამს,

XXV

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲒᲐ

სამი დღე გავიდა საღამოს გასეირნებიდან ლეონის კომანდორსა და მის ნორჩ ქალიშვილს რომ შეხვდნენ ძმები. დონია მარია, წარჩინებული სენიორის ერთადერთი ქალიშვილი, ნამდვილად მშვენიერი გახლდათ, მამა მისი კი მეფე ფერდინანდის ახლო ნათესავი და ძლევამოსილი ჰერცოგის, ალბას უმცროსი ძმა იყო. მარია საუკეთესოდ აღიზარდა ჰერცოგის სასახლეში, მისი კეთილი მეუღლის მეთვალყურეობით. ადრე დაქვრივებული ფერნანდო იძულებული იყო შვილის აღზრდა მიენდო ამ ქალის მზრუნველობისთვის. სულ სამი თვის წინ დაბრუნდა მარია მამის სახლში, კომანდორმა იგი სასახლეში წარადგინა, სადაც ამ ნორჩი, ვარდისფერი კოკრის სიმშვენიერემ ახალი დედოფლის, დონია ჟერმენ დე ფუასი და კარისკაცთა საყოველთაო აღფრთოვანება და სიმპათია გამოიწვია. დონ დიეგო კოლუმბს აქამდე არ ჰყავდა მარია ნანახი. მოვალეობის მოსახდელად იგი ყოველდღე იყო მეფის მისაღებში, მაგრამ, გაუთავებელი საზრუნავით გატაცებული, გუნებაში იმით უკმაყოფილო, რომ მისი კეთილისმყოფელის, დიდი იზაბელას ტახტი სხვა პრინცესას ჰქონდა დაკავებული, და თანდათან უფრო რწმუნდებოდა, რომ ვერასდროს ვერ მიაღწევდა სამართალს, სასრწარკვეთილებაში ჩავარდნილი ახალგაზრდა ადმირალი თავს არიდებდა სახალხო საზეიმო მიღებებს და გაურბოდა გზიარულ დღესასწაულებსა და გართობებს.

მან მომხიბლავი ქალიშვილი ნახა იმ წამში, როცა ყველა გრძნობამ უეცრად გაიღვიძა მის სულში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ბრაზისა და მოუთმენლობის ტყვე იყო, — და მარიას თვალისმომჭრელ სილამაზეს არ შეეძლო არ გაეცებინა ეს მგრძნობიარე ნორჩი არსება. ადამიანის გული სიცარიელეს ვერ ითმენს, და ვიდრე სიბერის გაყინულ სუნთქვას არ გაუცივებია მისი გზნება, იგი ეძებს საით მიმართოს თავისი გაცხარებული საქმიანობა: ერთი გაცრუებული ილუზიის შემდეგ ჩნდება მეორე და ახალი ბედნიერება გვაჯილდოებს დაკარგული ბედნიერების სანაცვლოდ, რადგან ბედის მორჩილება გვეხსნის იმედის კარს.

ამ მარადიულ კანონს დაემორჩილა დონ დიეგო, მაპატიეო, უთხრა,

დიდი ადმირალის მემკვიდრის ბრწყინვალე ბედს, თავისი გულწრფელი და დიდსულოვანი გული გაუხსნა ტკბილ, მაგრამ მგზნებარე გრძნობას, რაც ეწვია იმედების ნაცვლად, რომლებზეც, კანონიერი პატივმოყვარეობის ძიებაში ადამიანთა უსამართლობით შეურაცხყოფილმა, უარი თქვა უფრო ზიზღით, ვიდრე დანანებით. მას სჭირდებოდა გულის გადაყოლება, ხსნა სასოწარკვეთისაგან ბედისადმი უანგაროდ მორჩილებისათვის და სულის ყოველი კეთილშობილური აღტყინების შთამაგონებელმა სიყვარულმა, ბედნიერ ქამს მიუთითა თაყვანსაცემ ქალიშვილზე, რომლის ფეხთა წინაშე შეეძლო მიეტანა გულწრფელი აღფრთოვანება, მისთვის ეძღვნა მთელი თავისი მალალი ზრახვანი, ყველა ოქროს სიზმრები, თავისი მგზნებარე ფანტაზიის ყველა წმინდა სურვილები.

დონია მარია დე ტოლედოს სილამაზითა და მომხიბლაობით დაბრმავებული დიეგო კოლუმბი სიყვარულის ტირანულ ძალას დაემორჩილა. ღრმა ფიქრებისა და მოულოდნელი ახირების სამი უძილო ღამის შემდეგ ახალგაზრდა კაბალიეროს ბოლოს და ბოლოს დაიმორჩილა თავშეუკავებელი წარმოდგენები და საუზმობისას დონ ფერნანდოს უთხრა:

— იცი, რაზე ვფიქრობ, ფერნანდო?

— ვხვდები, — ჩვეული გულკეთილობითა და ოდნავ დამცინავი ღიმილით უპასუხა ფერნანდომ.

— არ შეგიძლია მიხვდე, — შეედავა დონ დიეგო.

— ვბედავ დაგარწმუნო, რომ შემიძლია, — დაიჟინა დონ ფერნანდომ.

— მაშ, მითხარი რაზე, ნამდვილად, მხოლოდ გამაცინებ.

— შენ ფიქრობ, — დინჯად და გამარჯვებულის ტონით წარმოთქვა დონ ფერნანდომ, — დონია მარია დე ტოლედოსთან დაქორწინებაზე.

საწყალი დონ დიეგო გაფითრდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაილაპარაკა:

— ჩემო მეგობარო, ის არა, რომ... იქნებ, ასეცაა... სხვათაშორის, მთლად ასე არაა. კარგი, ფერნანდო, სინდისის წინაშე ვაღიარებ: გამოიცანი.

— ჯადოქრობა არ არის საჭირო ამ ამბის მისახვედრად, დიეგო, — უპასუხა დონ ფერნანდომ, რომელიც მის გაკვირვებას დასცინოდა. — ეს ფიქრი შეხვედრის დღიდან შაკიკივით თანა გდევს, მე კი მაშინვე, პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი.

— მაშ, რას იტყვი ამაზე? მოგწონს ჩემი არჩევანი? უნდა გამოგიტყდე, ძვირფასო ფერნანდო, ან დონია მარიას შევირთავ, ან დავთმობ ამქვეყნიურ ცხოვრებას და ბერად აღვიკვეცები.

— ჩემი აზრი გინდა იცოდე, დიეგო? დღეს საღამოს ჩვენ წავალთ ლეონისს კომანდორთან, და შენ მისი ქალიშვილის ხელს ითხოვ.

დონ დიეგო გაოცდა. ძმის გადაწყვეტილება მას წარმოუდგენელ კადნიერებად მოეჩვენა.

— სრულ ჭკუაზე ხარ, ფერნანდო? როგორ შეიძლია მე, hospite insalutato,[1] მივმართო კომანდორს მსგავსი წინადადებით?

— მომისმინე, დიეგო, ქორწინებები — ღვთის, ან ეშმაკის საქმეა. ისინი, რომლებიც ღვთისგან არიან მოწონებულნი, მიდიან ფართო გზაზე, დღის სინათლეზე. ეშმაკისგან ჩაფიქრებული ქორწინებანი, ეძებენ საიდუმლო ბილიკებსა და ღამის წყვდიადს... მხრებს ნუ იჩეჩავ და ნუ ბრაზობ, მომისმინე; ამ საღამო დღის განმავლობაში ბევრი ვიფიქრე შენს სიყვარულსა და მის მოსალოდნელ შედეგზე. მეფის ფარული განზრახვები, კომანდორის მოსვლა, შემთხვევით შეხვედრა — ყველაფერი მეტყველებს, რომ შენი უეცარი სიყვარული ღვთის მიერაა შთაგონებული. და შენ არც უნდა დამალო იგი, არც უნდა გეშინოდეს უარის მიღებისა, არც უნდა დაყოვნდე, თუ გინდა დაუკავშირდე ალბეგის სახელოვან საგვარეულოს. თუ პირდაპირ მიზნისკენ წასვლის ნაცვლად, ზნეობრივი კანონების დამრღვევ შეყვარებულების მიბაძვას, ნიადაგის მოსინჯვას და შემოვლითი გზების ძებნას დაიწყებ, თავს დაიღუპავ, დიეგო, დაიღუპავ! ყოველად შეუძლებელია, რომ დონია მარიას ხელს მრავალი პრეტენდენტი არ ეძიებდეს. ვაი, შენ, თუ საშუალებას მისცემ, სხვამ დაგასწროს, რომელიც ასევე ღირსია მისი!

— მართალი ხარ, ფერნანდო. დღესვე ვესტუმრებით კომანდორს, მაგრამ წინადადებაზე ილაპარაკებ შენ. ვგრძნობ, რომ გამბედაობა არ მეყოფა.

— ამას იქ ვნახავთ, დიეგო. თუ გადამწყვეტ წუთებში ვაჟკაცობა გამტყუნებს, განსაცდელის ჟამს არ მიგატოვებ.

დიეგო კოლუმბი მოეხვია ძმას და მთელმა დღემ მხიარულად ჩაიარა. მსახური გაგზავნეს კომანდორის გასაფრთხილებლად, რომ სამ საათზე ეახლებოდნენ; მალე კომანდორის მსახური მოვიდა და მოახსენა, სენიორი დათქმულ დროს თქვენი მიღების მოხარული იქნებაო.

ძმები მოქმედების გეგმის განხილვას შეუდგნენ: ახალგაზრდა ფერნანდომ გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი დაჟინება, მჭევრმეტყველება, და მორიდებულმა დონ დიეგომ ბოლოს და ბოლოს დაიჯერა, რომ მისი კერპის მამა სიამოვნებით მიიღებდა წინადადებას, რომელიც ორივე ოჯახისათვის ერთნაირად სასარგებლო იყო.

დარბაზობის ჟამი დადგა. მაგრამ მაშინაც კი, როცა ორივე ძმა შეიყვანეს კომანდორის დიდებულ მისაღებ დარბაზში, შეყვარებულ ყმაწვილს ვერ ეპოვა თავისი სათქმელისათვის შესაფერი სიტყვები. მაგ-

[1] დაუპატიჟებელი სტუმარი (ლათ.).

რამ კეთილშობილი სენიორის მიღებამ, მაშინვე გააქარწყლა მისი შიში.

სტუმრები დაინახა თუ არა, დონ ფერნანდო დე ტოლედო მათ მიეგება, ორივე ხელი გამოუწოდა და თქვა:

— ძალიან მოხარული ვარ, ჩირსეულო კაბალიეროებო, თქვენი მობრძანებისა, ჩემი ოჯახი ამაყობს ამ პატივით.

— მადლობელი ვართ, სენიორ დონ ფერნანდო, — უპასუხა დონ დიეგომ, ვიდრე ფერნანდო მოწიწებით თავდაბრილი გარინდულიყო.

— თქვენმა კეთილგანწყობამ მოგვიყვანა აქ და გაგვაბედვინა თავბრუდაუხვევლად მიგვეპყრო თვალები იმ სიმაღლისთვის, რომელზეც თქვენ დგახართ.

— შეგიძლიათ ჩემთან სრულიად თავისუფლად გეპაროთ თავი, ჩემო მეგობრებო, — გააწყვეტინა სიტყვა კომანდორმა, აშკარად იმის შიშით, რომ იმ დროის მოდური ლაპარაკის ღვლარჭნილ მანერას ახალგაზრდა კაცი მეტისმეტად შორს არ გაეტაცა.

— თუ ასეა, სენიორ, — შენიშნა ამ დროს თავისი ჩვეულებრივი ჩაცინებით დონ ფერნანდომ, — ვშიშობ, რომ ჩვენი დარბაზობა მეტისმეტად თამამად მოგეჩვენებათ.

— რატომ? — უბრალოდ იკითხა კომანდორმა.

— იმიტომ, რომ თქვენთან მოსალმების სასიამოვნო მოვალეობის გარდა, სენიორ, ჩვენ აქ მოგვიყვანა ერთი ოჯახური საქმის განსჯის სურვილმა.

— არაფერია ჩემთვის თქვენ ნდობაზე სასიამოვნო, მეგობრებო, — განაგრძობდა კომანდორი. — იცოდეთ, რაც შეიძლება თქვენ გაინტერესებდეთ, მაინტერესებს მეც.

ფერნანდო კოლუმბმა ძმას მეტყველი მზერა შეავლო, შიშისა და უხერხულობისაგან განთავისუფლებულმა დიეგომ ლაპარაკი დაიწყო.

—მაშ, სენიორ დონ ფერნანდო, ვილაპარაკებ ისე გულახდილად, როგორც ვილაპარაკებდი მამაჩემთან, გეტყვით ჩემ. გადაწყვეტილებას: თუ იგი თქვენს მოწონებას არ დაიმსახურებს, მიპასუხებთ პირდაპირ და გარკვევით, ყოველგვარი განმარტების გარეშე. უდრტვინველად მივიღებ ყოველ თქვენ გადაწყვეტილებას და სამუდამოდ მადლიერი ვიქნები თქვენი კეთილი მეგობრობისა.

ამ თავდაჭერილმა შესავალმა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა დონ ფერნანდო დე ტოლედოს კეთილ გულზე და იგი მთლიანად განაწყო დონ დიეგოს სასარგებლოდ.

— ილაპარაკეთ, შვილო ჩემო, — რბილად წარმოთქვა მან.

— ვისწრაფი დავიმსახურო ეს სახელი, — მგზნებარედ შეეხმიანა დონ დიეგო. — მე მიყვარს თქვენი ქალიშვილი და ვოცნებობ თქვენს სახელგანთქმულ საგვარეულოს დავუნათესავდე: ეს ლტოლვა, შეიძლე-

ბა, უმაგალითო სითამამედ ჩათვალონ, მაგრამ მე ქრისტეფორე კოლუმბის შვილი ვარ, და, მართალია, ჩემი გერბი ჯერ კიდევ სრულიად ახალია, მაგრამ მის მიღმა დგას მთელი ქვეყანა — ისევე ახალი, — აღმოჩენილი ჩემი გმირი მამის მიერ.

— ზეცა იყოს ჩემი მფარველი, სენიორ ადმირალო, — შეეპასუხა დონ ფერნანდო, — რომ არ ვცნო მამათქვენის დიდი და განსაკუთრებული დამსახურება. თქვენ იცით, რა დიდად ვაფასებ თქვენს პირად ღირსებას. აი რატომ არ მეჩვენება უადგილოდ თქვენი დაჩემება, და ჩემი სერვილი არასოდეს არ იქნება მისი დამაბრკოლებელი. მაგრამ მე უნდა აღვასრულო სხვა მოვალეობანი, აკწონო ყველა სხვა მოსაზრება და მოვისმინო ყველა რჩევა, ვიდრე საბოლოო პასუხს მოგცემდეთ.

— მესმის, სენიორ, და მზად ვარ მოთმინებით ვიცადო, დრო მოგცეთ აუცილებელი მოლაპარაკებისათვის. დიდად მადლობელი ვარ, რომ გადაწყვიტეთ დაუფიქრდეთ ჩემს წინადადებას და მაშინვე არ უარყავით იგი.

— სამი დღის შემდეგ გაიგებთ ჩემს გადაწყვეტილებას, დონ დიეგო. — თქვა საბოლოოდ კომანდორმა და სავარძლიდან ადგა.

კოლუმბები გამოეთხოვნენ დონ ფერნანდო დე ტოლედოს, რომელმაც ისევ გამოხატა მეგობრული განწყობილება.

ჭუჩაში რომ გამოვიდნენ, დონ დიეგომ დამწუხრებული სახით უთხრა ძმას:

— სასოწარკვეთილი ვარ, ფერნანდო; არავითარი იმედი არა მაქვს!

— სამ დღეზე ადრე — გააწყვეტინა მას ლაპარაკი ფერნანდომ, — მარია დე ტოლედო შენი სახელდებული იქნება.

დიეგო კოლუმბი შეკრთა და თვალები დახუჭა, თითქოს ასეთ ბედნიერებაზე ფიქრიც არ სჯეროდა.

XXVI

წარმატება

შემდეგ... საჭირო არ არის, ერთადერთი მიზნით, რომ ჩვენს მოთხრობას რომანტიკული კოლორიტი მივცეთ, გამოვიგონოთ პერიპეტიები, რომელიც დაგვაშორებდა ჰეშმარიტებას და გაართულებდა ახალგაზრდა ადმირალის სიყვარულის უბრალო ამბავს. ისტორია გვამცნობს, რომ მის წინადადებას დაბრკოლება არ შეხვედრია და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ისტორიას — თუმცა ჩვენმა ნამდვილმა ამბავმა იზარალა ამით, — თორემ კი არ უნდა გავართულოთ ძირითადი მოქმედება გამოგონილი ამბებითა და დრამატული ეფექტებით, რომელიც მხო-

ლოდ აფორიაქებს ჩვენს ღარიბ წარმოსახვას და ამოწშებს ,,კეთილად განწყობილი მკითხველის მოთმინების უნარს.

თავს ნებას მივცემთ მაინც დავუთმოთ რამდენიმე სტრიქონი დონ დიეგო კოლუმბის ბედნიერი ქორწინების პროზაულ და დინჯ აღწერას.

ლეონის კომანდორის, დონ ფერნანდო დე ტოლედოს მიერ დანიშნული სამი დღე გავიდა და იმავე ძვირფასად მორთულ, თაღებიან დარბაზში, სადაც დიდგვაროვანმა დიდებულმა ძმები მიიღო, თავი მოიყარეს დე ტოლედოს ოჯახის ნათესავ-მეგობრებმა. ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედის მთავარი ვარსკვლავი იყო დონ ფადრიკე, საგვარეულოს მეთაური, ცნობილი და ყოვლადძლიერი ჰერცოგი ალბა, საყვარელი ბიძაშვილი მეფე ფერდინანდისა, რომელიც მას უმადლოდა ახლახან გამოჩენილი ერთგულების მეტად მნიშვნელოვანი მტკიცებისათვის. დონ ფადრიკესთან ერთად მოვიდა ჰერცოგის მეუღლე, მშვენიერი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, ძვირფასი ფარჩითა და ბრჭყვიალა განძეულობით მორთული. მას ახლდა უამრავი, ძვირფასად მორთული ნატიფი მანდილოსანი — კასტილიის მეფის კარის ბრწყინვალება და სამკაული. ყველა ლამაზმანთა შორის თავისი ზეციური უმწიკვლოებით, მშვენიერებითა და შეუდარებელი სილამაზით გამოირჩეოდა ოჯახის მასპინძლის ქალიშვილი, მომხიბლავი მარია დე ტოლედო.

დადგა საღამო, მაგრამ სიბნელე შერცხვენილი და განდევნილი იქნა, დარბაზებსა და ფართო დერეფნებში ბრინჯაოს შანდლებში აკიაფდნენ ცვილის სანთლები, რომელთა ნათელს შეეძლო დღის სინათლეს შეჯიბრებოდა. სასახლის ბაღებსა, რომელთა ჩრდილქვეშ თავი შეეფარებინათ მშვენიერ ქანდაკებებს, და ქალაქის ქუჩებს ვარსკვლავებით მოჭედილი ციდან მთვარის ჯადოსნური ნათელი დაჰქათქათებდა. ვარდებით შემკულ გაზაფხულს ახარებდა სუნთქვა სიოსი, რომელსაც თითქოს მისი სილამაზის სადიდებლად მოჰქონდა ყვავილების სურნელი.

დიეგო და ფერნანდო კოლუმბების მოსვლა მოახსენეს. ძმებს ახლდა დონ გარსია, ჰერცოგ ალბას ვაჟი და სხვა დიდგვაროვანი ყმაწვილები, რომლებიც მთავარ შემოსასვლელში დახვდნენ მათ. ახალგაზრდების დანახვისას გაისმა იქ მყოფთა ჩურჩული და ყველას გაუნათა სახე კეთილმა ღიმილმა.

დონ ფერნანდო დე ტოლედომ კოლუმბები წარუდგინა ჰერცოგსა და სხვა წვეულებს. მას შემდეგ, როცა დონ დიეგო და მისი ძმა მიესალმნენ ჰერცოგის მეუღლესა და სხვა ქალებს, კომანდორმა სიტყვა ითხოვა და ჩამოვარდნილ სიჩუმეში ხმამაღლა მიმართა ჰერცოგ ალბას:

— ძმაო ჩემო, გთხოვთ, როგორც ჩვენი საგვარეულოს მეთაურს, მოწყალება მოიღეთ და შეატყობინეთ ჩვენი თანხმობა სენიორ დონ დიეგო კოლუმბს და ყველა აქ დამსწრე სენიორებსა და მანდილოსნებს.

დონ ფადრიკე სავარძლიდან წამოდგა, ოდნავი თავის დაკვრით მი-

ესალმა დონ დიეგოსა და ყველა დამსწრეს, ისევ დაჯდა თავის ადგილზე და საუბარი დაიწყო:

— სენიორ დონ დიეგო კოლუმბო, მას შემდეგ, რაც ჩემმა ბეატრიფასმა ძმამ, აქ დამსწრე დონ ფერნანდომ, თქვენი საქორწინო წინადადება გაგვანდო და წარმოგვიდგინა მთელ ოჯახს, ჩვენ გადავწყვიტეთ, გვეცნო იგი ღირსეულად და მისაღებად. მაგრამ იოტის ოდნადაც არ გვინდოდა ძალა დაგვეტანებინა ჩემი საყვარელი ძმისშვილის, დონია მარიას სურვილისათვის, ამიტომ ჩვენს მოვალეობად ჩავთვალეთ გვეკითხა მისთვის და ძალდაუტანებლად გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება. მისგან მივიღეთ თქვენთვის სასიამოვნო პასუხი... შემდეგ ვისწრაფეთ, როგორც ეს ჩვენი მოვალეობაა, თანხმობა მიგვეღო ჩვენი სათაყვანებელი ბიძაშვილისა და მბრძანებლისაგან, და მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ მისმა უდიდებულესობამ მოწყალედ გვიბოძა თავისი მეფური თანხმობა. ამიტომ, შეგიძლიათ დონია მარია დე ტოლედო თქვენ საცოლედ ჩათვალოთ.

თქვენ, სენიორ დონ დიეგო, ჩვენს ოჯახში შემოსვლა გელით: სისხლით დანათესავება ტოლედოს ოჯახის თითქმის მეფურ სისხლთან. ჩვენ ამ კავშირს არ ვთვლით უთანასწოროდ, პირიქით, იგი ყოველმხრივ ღირსეულად და საპატიოდ მიგვაჩნია. მაგრამ თქვენ ახალგაზრდა ხართ; თქვენი პირადი ცხოვრების გზა მხოლოდ ახლა იწყება: დღემდე ღირსების საკითხში მხოლოდ კეთილშობილური და მეტისმეტად კეთილსინდისიერი ხასიათი გამოავლინეთ. ჩვენ არასდროს არ გვქონია უგუნური რწმენა, თითქოს წინაპრების სიმამაცე და ჩვენი საგვარეულოს მემკვიდრეობითი ბრწყინვალება საკმარისია, რომ შეეუნარჩუნოთ დიდება და სიამაყე კასტილიის გრანდების ახალ თაობას. პირიქით, ჩვენ ვთვლით, რომ უპირატესობანი, რომელიც შემთხვევით გვხვდა წილად, ჩვენი ცდისა და არჩევანის დამოუკიდებლად, მხოლოდ გვაქეზებს ვემსახუროთ სამშობლოსა და რწმენას ისე, რომ ჩვენი საბელოვანი წინაპრების უღირსნი არ აღმოვჩნდეთ. ეს ხელები, ისევე როგორც ჩემი ძმის, ლეონის სამეფოს კომანდორის ხელები, მახვილით გმირავდნენ ურწმუნოებსა და ფრანგებს: სიმამაცისა და ერთგულებისთვის მიღებულმა ჯილდოებმა, რომლებიც ამკობენ ამ მკერდს, შეინარჩუნეს და განაახლეს ჩვენი ოჯახის გერბების დიდება და ბრწყინვალება.

თქვენ — დიდი ქრისტეფორე კოლუმბის შვილი ხართ, მაშასადამე, იცით, რას ნიშნავს ეს სახელი. ვიმედოვნებთ, ქველობითა და საქმით გამოიჩენთ თავს, რომ ღირსი იყოთ თქვენი დიდებული მამის, და ზეცა გაჯილდოებთ იმ ბედნიერებით, რომელსაც ყველა ჩვენ, აქ მყოფნი გისურვებთ.

კეთილშობილი ჰერცოგის სიტყვა თუ ჩვენს თავდაჯერილ მკით-

ხელს მეტისმეტად მაღალფარდოვანი მოეჩვენება, მაშინ კეთილ ინებოს და გაიხსენოს, რომ იმ დროს, შუა საუკუნეების გადმონაშთი, რომელიც ჯერ კიდევ შორს არ იყო წასული, ერწყმოდა თანამედროვე ცივილიზაციის პირველ სხივებს; რომ უბადლო მიგელ დე სერვანტესი ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული, და არავინ იცნობდა მის გენიალურ ნაწარმოებს, რომელმაც მოსპო და ფრთა შეაკვეცა ამაღლებულ რაინდულ ფანტაზიას, ამასთან ერთად მაღალფარდოვან ლიტერატურულ ფორმებსაც, რომლითაც შემოსილი იყო ყველა ეს საგმირო მონაჩმახი და რომანტიკული უაზრობა.

კომანდორმა ჟესტით დაამოწმა თავის ძმის, დონ ფადრიკეს ნათქვამი. აღელვებულმა ადმირალმა უბრალო სიტყვებით გადაუხადა მადლობა ორიევეს და დამსწრეთა აღფრთოვანებული მილოცვები მიიღო. შემდეგ კომანდორი საზეიმო, მოზომილი ნაბიჯებით მივიდა დონ დიეგოსთან, ხელი ჩაჰკიდა და მიიყვანა წამოწითლებულ, დარცხვენილ სეცოლესთან. დონ დიეგოს მორიდებულმა სიტყვებმა იგი თანდათან დაამშვიდა და ნახევარი საათის შემდეგ ბედნიერი სახელდებულნი აღფრთოვანებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს თვალებში და ჩუმად უზიარებდნენ თავიანთ წმინდა გრძნობებსა და ბრწყინვალე იმედებს. სტუმრები ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ ამ მომხიბლავ სანახაობას, ჯგუფ-ჯგუფად მოეყარათ თავი და გაცხოველებით საუბრობდნენ. მხიარულება, ცეკვები და ჩინებული ვახშამი შუაღამემდე გაგრძელდა. საზეიმო ნიშნობა დამთავრდა და ქორწილი დაინიშნა ოცი დღის შემდეგ.

ეს ოცი დღე, უეჭველად, ყველაზე ბედნიერი დღეები იყო დონ დიეგოს ცხოვრებაში; მას თავისუფლად შეეძლო სწვეოდა სეცოლეს და მთელი საათობით, რომელიც მისთვის შეუმჩნევლად გადიოდა, საუბრობდა თავის საყვარელ მარიასთან. ჰერცოგის სასახლეში კოლუმბებმა სრულ გამარჯვებას მიაღწიეს. მთელი მეფის კარი პატივისცემით ეპყრობოდა მათ, როცა გაიგეს, რომ მეფის გამყინავმა გულგრილობამ ვერ გაუძლო იმ მხურვალე მფარველობას, რომელიც ჰერცოგმა აღმოუჩინა დონ-დიეგოს. ამ დღიდან მბრძანებელმა მოწყალებით აავსო კოლუმბის ვაჟები და კმაყოფილი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს იგი სამართლიანი აღმოჩნდა. ასეთია, საერთოდ, მეფეთა სამართლიანობა.

XXVII

მემკვიდრეობითი უფლებები

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დიეგო კოლუმბისა და მარია დე ტოლედოს ქორწილი იზეიმეს უდიდესი ბრწყინვალებით, ასე რომ საპერო არ არის აღვწეროთ ამ ღირსსახსოვარი ამბის ყოველი წვრილმანი.

ჩვენ მკითხველს სალი გონება უკარნახებს, რომ, რამდენადაც საქმე ეხებოდა ესოდენ დიდ პიროვნებებს, საჭორწინო ზეიმი აღინიშნა ბთელი ბრწყინვალებით და ფუფუნებით, როგორსაც მოითხოვდა იმ დროს ესპანეთის ეტიკეტი და ცერემონიის სტილი. ზეიმის აღწერა ჩვენ მიგვაჩნია მეტისმეტად უმნიშვნელო საქმიანობად, ამიტომ არაა საჭირო ამაზე გაეამახვილოთ მკითხველის ყურადღება, რადგან ჩვეულებრივი, სალი აზროვნების გარდა, იმ ამბების უფრო მაღალი ინტერესები უნდა ჰქონდეს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ნამდვილი ისტორიის ყველაზე საინტერესო ეპიზოდებთან. აი, რატომ მივცემთ ჩვენს თავს ნებას კიდევ რამდენიმე გვერდი დაეუთმოთ განმარტებას, ურომლისოდაც ძნელია, ანდა შეუძლებელიცაა გავიგოთ ჩვენი გმირების ნამდვილი მნიშვნელობა და ხასიათი, აგრეთვე მათ მოქმედებათა და საქციელთა ზნეობრივი საფუძვლები.

ამრიგად, შევამოკლებთ, რამდენადაც შეიძლება, მომხდარი ამბების მიმოხილვას და გაკვრით აღვწერთ პერიპეტიებს, რომელიც ჯერ კიდევ გვაშორებს ამ მონათხრობის ძირითადი მოქმედებიდან და მთავარი თემიდან, ყოველთვის რომ არ არის თანმიმდევრული.

ოც დღეს, ნიშნობიდან იმ საზეიმო წუთამდე, როცა ცოლ-ქმარმა ალთქმა დადეს საუკუნოდ ერთმანეთისა ყოფილიყვნენ, უნაყოფოდ არ ჩაუვლია კოლუმბებს ახლახან წარმოშობილი წარჩინებული საზოგადოების ინტერესებისთვის. ჰერცოგი ალბა სარგებლობდა მეფის უსაზომო ნდობით და წამოწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა. თავისი ახალი ძმისშვილის ბედში მონაწილეობა მიიღო და მიაღწია, რომ ინდოეთის საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებას დიეგო კოლუმბის სასარგებლოდ — რომელიც ამ დრომდე უნაყოფო საქმედ ითვლებოდა — მიეღო მეფისაგან სანქცია „exequator“[1] ანდა, როგორც მაშინ ამბობდნენ, მეფის ნებართვა. ერთადერთი, რაზედაც უარს ამბობდა მეფე ფერდინანდი, ეს იყო დიეგო კოლუმბისათვის მეფის მოადგილის ტიტულის ბოძება. თუმცა, საქმის შემდეგ გადახედვის დროს გამოირკვა, რომ მონარქი უარს ამბობდა არა იმიტომ, რომ ტიტული ებოძებინა ადმირალისათვის, ამაზე იგი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა pro forma[2] ანდა in nomine[3], რაც იმ დროის კანონთმცოდნეთა ძნელ მოსანელებელ სიტყვაზე, ნაბოძები წოდების წმინდა პირობით ხასიათზე მეტყველებდა. მეფე არ თანხმდებოდა, უფრო სწორად, ვადაწყვეტით უარს ამბობდა მეფის მოადგილისათვის მიენდო მისი მოვალეობის შესრულება სინამდვილეში. მიუხედავად თავისი მეფური

---

[1] სისრულეში მოსაყვანად (ლათ.).

[2] ფორმისათვის (ლათ.).

[3] სახელით (ლათ.).

ხელმოწერისა და სიტყვისა, რომელიც მისცა ქრისტეფორე კოლუმბს, მეფე ფერდინანდს ყოველთვის გადაჭარბებულად მიაჩნდა დიდი ზღვაოსნის კანონიერი მემკვიდრის უფლებების მრთხოვნა.

ფერდინანდ კათოლიკე სიამოვნებით თანხმდებოდა ადმირალი დიეგო კოლუმბი პირველ პირად ჩაეთვალათ ახალ ქვეყანაში. მაგრამ მართვის საკითხებში დიდმა პოლიტიკოსმა, რომელმაც სახელმწიფო ძალაუფლებით მოახერხა ჩაეხშო ამბოხებული ესპანელი გრანდების დაჩემება, ვერასდროს ვერ აიძულა თავი სრულად ეღიარებინა კოლუმბის ვაჟიშვილის მემკვიდრეობითი პრეროგატივები. ერთია — დაპირება, როცა მიწები, რომელთა არსებობაზე დაჟინებით ლაპარაკობდა ყველასთვის უცნობი ზღვაოსანი, მისი აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფი გგონია, სულ სხვა საქმეა — შეასრულო დანაპირები და ამით ფეხქვეშ გათელო საკუთარი მმართველობის ურყევი პრინციპები, როცა ეს მიწები, მოზეიმე სინამდვილის მთელი ბრწყინვალებით წარმოიშვა ოკეანის სიღრმიდან.

აი, რატომ იყო, რომ მეფე ფერდინანდი, როცა დიეგო კოლუმბს კუნძულ ესპანიოლის გუბერნატორად ნიშნავდა კომანდორ ოვანდოს ნაცვლად, — რომლის ავაზაკობამ, როგორც იქნა, მეფის მეხსიერებაში აღადგინა დედოფალ იზაბელას მიერ სიკვდილის წინ მისთვის მიცემული რჩევა, — ამავე დროს ცდილობდა ფარულად დაემცირებინა მისი უფლებები და ფიქრობდა დაეარსებინა სააპელაციო სასამართლო სანტო-დომინგოში, რაც ნამდვილად შემოღებულ იქნა ერთი წლის შემდეგ. ამავე მიზეზით ხშირად ხდებოდა შემდეგშიც, რომ დიეგო კოლუმბის მოქიშპეთა და მოშურნეთა ღვარძლიანი ცილისწამება კეთილგანწყობილ მიღებას ხვდებოდა უსამართლო და საეჭვო მონარქისგან... მაგრამ წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, რადგან შემდეგ, თხრობის მსვლელობაში, ხშირად მოგვიხდება ამ უბადრუკი ინტრიგების მოხსენიება.

ყველაფერი მოგვარებული და გათვალისწინებული იყო ადმირალ დიეგო კოლუმბისა და მისი მშვენიერი მეუღლის ჭორწილის შემდეგ ახალ ქვეყანაში გასამგზავრებლად. სევილიაში, სადაც მეფის მოადგილე მეუღლითურთ ატარებდა წასვლის წინა დღეებს, თავი მოიყარა მანდილოსნებისა და კაბალიეროების ბრწყინვალე რჩეულმა საზოგადოებამ, რომლებიც ეკუთვნოდნენ მეფის კარს ანდა ანდალუსიის წარჩინებულ საგვარეულოებს. ადმირალის ბიძა — დონ დიეგო და დონ ბართოლომე, რომლებსაც ინდოეთის საქმეთა მართვაში თავიანთი გამოცდილებით ხელი უნდა შეეწყოთ ძმისშვილისთვის მისი ხელისუფლების განმტკიცების დროს, — მასთან ერთად ესწრებოდნენ მონარქის უკანასკნელ მიღებას და მიიღეს მეფის განაწესი, რომელსაც უნდა შეთან-

ხმებოდა, როგორც მათი საბჭოები, ისე ახალგაზრდა გუბერნატორის მოქმედებანი.

რაც შეეხება ფერნანდო კოლუმბს, მის ზომიერ გემოვნებას და მეცნიერებით დაინტერესებას არ შეეძლოთ მისთვის შთაეგონებინათ ატლანტის ოკეანის მეორედ გადალახვა, რომელმაც მასში მწუხარე ხსოვნა დატოვა განსაცდელებითა და გაჭირვებით გამოწვეული, რაც გადაიტანა მამამისის მეოთხე და უკანასკნელი მოგზაურობის დროს. მაგრამ თვითონ მეფე ფერდინანდი, დიდად აფასებდა ფერნანდო კოლუმბის ხასიათსა და თვალსაჩინო ნიჭს, დაჟინებით მოითხოვდა, რომ იგი ძმას გაჰყოლოდა ესპანიოლაში და ამოერჩია მისთვის სასურველი თანამდებობა, რომელიც მის მიდრეკილებას შეეფერებოდა. უანგარო ყმაწვილმა არ ისურვა არაფერი და გამგზავრებაზე მხოლოდ მაშინ დათანხმდა, როცა დიეგოს პირიდან გაიგო, რომ „ძმის გარეშე მისი ბედნიერება სრულყოფილი არ იქნებოდა, რადგან ამ ბედნიერებას იგი უმადლოდა მხოლოდ ძმის გამჭრიახობასა და ჭკუას“.

1509 წლის 9 ივნისს სან-ლუკარის ნავსადგურში, ჩვენი გმირები ბრწყინვალე ამალის თანხლებით ავიდნენ თავიანთი ესკადრის ხომალდებზე, რომლებსაც ოცდაორი იალქანი გაეშალათ და მათ ელოდნენ. ისინი გზას გაუდგნენ და თვენახევრის ბედნიერი ნაოსნობის შემდეგ ენით უთქმელი სიხარულით ესალმებოდნენ კუნძულ ესპანიოლის მწვანე ნაპირებს და ივლისის დასასრულს მივიდნენ სანტო-დომინგოში.

XXVIII

ცვლილებანი

ამ დროს, გუბერნატორი ოვანდო კოლონიის დედაქალაქში არ იყო. იგი იმყოფებოდა ქალაქ სანტიაგოში, რომელიც მდებარეობს თვალწარმტაც, ჯანსაღ ადგილზე, წყალდიდი მდინარის იაკის სანაპიროზე. აქედან ოვანდო ადვილად ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც სიბაოს მთებში ხდებოდა. ოვანდოს არც უფიქრია, რომ შეიძლებოდა იგი კუნძულის გუბერნატორის თანამდებობიდან მოეხსნათ. ასევე უზრუნველად ტკბებოდა ცხოვრებით ყველა მოხელე და დანარჩენი კოლონისტი. გუბერნატორის ძმისშვილი, დიეგო ლოპესი, რომელიც გუბერნატორმა სანტო-დომინგოს ციხე-სიმაგრის კომენდანტად დანიშნა, იქამდე მივიდა, რომ არაფრად ჩააგდო თავისი მოვალეობა, დასტოვა ციხე-სიმაგრე და მშვიდად ცხოვრობდა ქალაქთან ახლოს თავის მამულში.

როგორც კი ჰორიზონტზე გამოჩნდა დიეგო კოლუმბის დიდი ეს-

კადრა. ცნობისმოყვარე ხალხი გამოცვივდა ზღვის სანაპიროზე და, ჩვეულებისამებრ, ნაირნაირი ხორაგით დატვირთული რამდენიმე კარჭაპი შორს შეცურდა ზღვაში. მალე ერთ-ერთმა ნავმა, პროდუქტი დაყარა აფრიან ხომალდზე, რომელსაც ესკადრის სხვა ხომალდებისთვის გამოესწრო, დაბრუნდა ნაპირზე და ყველა ცნობისმოყვარემ გაიგო გასაოცარი ამბავი, რომელიც ელვის უსწრაფესად მოედო კუნძულს: ესპანიოლაზე ახალი გუბერნატორი მოვიდაო. ამ ამბით გაოგნებულმა მეფის მოხელეებმა და მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სადღესასწაულო ფორმები ჩაიცვეს, სწრაფად მიაშურეს ნავსადგურს და მდიდრულად მორთული ბარკასით რეიდზე გავიდნენ საპატიო სტუმრების პატივისცემის აღსანიშნავად. მაგრამ რამდენადაც არ იჩქარეს ამ დროისთვის, როცა მენიჩბეებმა თავგამოდებით მოუსვეს ნიჩბები და ბარკასი ჩიტივით გამოაფრინეს ყურედან, ესკადრას უკვე ჩაეშვა ღუზები და ეტიკეტის მიხედვით ცერემონიის მომლოდინე ხომალდები მოუთმენლად ირწეოდნენ ვეებერთელა ტალღებზე.

რეიდორები და მეფის მოხელენი საფლაგმანო ხომალდის გემბანზე ავიდნენ და დონ დიეგო კოლუმბს, გულთბილად რომ მიიღო ისინი, გამოუთქვეს მხურვალე სურვილი, რაც შეიძლება მალე ენახათ ნაპირზე წარჩინებული სტუმრები.

ადმირალმა მოიკითხა გუბერნატორი და ციხე-სიმაგრის კომენდანტი, გაიგო, რომ ორივე წასული იყო. ერთი საათის შემდეგ გაიცა ბრძანება აეხსნათ ღუზები, საფლაგმანო ხომალდი და მთელი ესკადრა, ზურგქარის დახმარებით შევიდა მდინარის შესართავში. ხომალდებიდან გადმოსხდომას უამრავი ხალხი დაესწრო. ხომალდების ზარბაზნების გრიალში მთელი მოსახლეობა ყიჟინით ესალმებოდა კოლუმბს. გახელებული მგზნებარე აღფრთოვანება ყოველგვარი მიზეზით ასე ადვილად იტაცებს ხოლმე ბრმა და შთაბეჭდილებიან ხალხს.

რეიდორებმა კოლუმბის ოჯახს შესთავაზეს ყველაზე მოსახერხებელი შენობა, რაც კი შეიძლებოდა მოენახათ შესაფერისი მომზადების გარეშე, კოლონიის პირობებში. მაგრამ დონ დიეგომ უპასუხა, რომ იძულებულია მადლობა და უარი უთხრას მათ სტუმართმოყვარეობაზე პოლიტიკური მიზეზებით. დედაქალაქის ტაძარში ადმირალმა მადლობა შესწირა, ბედნიერად ჩამოსვლისთვის ღმერთს, წავიდა ციხე-სიმაგრეში და ბევრი ლაპარაკისა და ცერემონიის გარეშე განიმტკიცა თავისი უფლებები.

ამ დროს შიკრიკები უკვე მიჰქროდნენ ყოველი მიმართულებით, ამ დიდ ამბავს კუნძულის მცხოვრებთ ამცნობდნენ. ოვანდომ სასწრაფოდ მიაშურა დედაქალაქს. ბრაზი. და წყენა მოერია, როცა შეიტყო, რომ ძმისშვილი—ციხე-სიმაგრის კომენდანტი, ადგილზე არ აღმოჩნდა ახალი გუბერნატორის ჩამოსვლისას. ამით მაინც ახსნიდა თავის უგუ-

ნებობას. ადმირალმა და მისმა მეუღლემ კომანდორი დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ გაბრაზებული ოვანდო გაბაგრძობდა ძმისშვილის საქციელის სასტიკად გმობას და წესრიგის დარღვევისთვის მკაცრი დასჯით ემუქრებოდა. დონ დიეგო თავაზიანად გამოექომაგა დამნაშავე ჰაბუკს და ოვანდო იძულებული გახდა რისხვა მოწყალებით შეეცვალა, დამალა უკმაყოფილება და მთელი ძალით შეუდგა სამეფისკარო ეტიკეტით დაწესებული მოვალეობის შესრულებას.

დაუსრულებლად მიჰყვა ერთმანეთს ზეიმები, მიღებები, ბალები, ქალაქის შემოგარენში ცხენებით სეირნობა და სხვა გართობანი, რომლითაც მდიდარ კოლონისტებს უნდოდათ პატივი ეცათ სტუმრებისათვის. კოლონიის სამეფისკარო ცხოვრება გამოირჩეოდა იმ დროისთვის დამახასიათებელი დახვეწილი სიფაქიზით. ნიკოლას დე ოვანდოს მმართველობის ექვსი წლის მანძილზე კუნძულმა ესპანიოლამ დიდების მწვერვალს მიაღწია; ინდიელების მარჯვე ხელებმა, რომლებიც გამოცდილი არქიტექტორების ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, უბრალო დასახლება ოსამა მშვენიერ ქალაქად გადააქცია საუცხოო სასახლეებით, სწორი ქუჩებით, დიდებული და მდიდრულად მოწყობილი ცალკეული სახლებით. კოლონიაში სიმდიდრე იმ ზომამდე მიეიდა, რომ მკაცრი მეფე ფერდინანდი, რომლის კამკრიახი მზერა ხედავდა ყველაფერს, რაც ხდებოდა მისი იმპერიის ვრცელ ფარგლებში, ბევრჯერ გახდა იძულებული გამოეცა სასტიკი ბრძანებები, მოწოდებები შეეზღუდათ უზომო ფუფუნება, რომელსაც ესწრაფოდნენ კუნძულ ესპანიოლის ზღაპრულად მდიდარი ახალმოსახლეები.

ახალგაზრდა, ბედნიერი და ცხოვრების ყოველგვარი სიკეთით დაჯილდოებული დონ დიეგო და მისი მეუღლე მდიდრულ ზეიმებს აწყობდნენ, რადგან სურდათ თავიანთი გამოჩენა აღენიშნათ საუცხოოდ, წოდების შესაფერისად. დედოფლის ამალის მანდილოსნები, თუმცა „უფრო სილამაზით ბრწყინავდნენ, ვიდრე სიმდიდრით," იმდროინდელი ისტორიკოსების თქმით, იცვამდნენ ნატიფად და მოხდენილად, როგორც მოითხოვდა მათი პატივმოყვარული ზრახვანი და სახელგანთქმული საგვარეულო; კაბალიეროები კი, არ ჩამორჩებოდნენ მათ და კოპწიაობდნენ მდიდრულ კამზოლებში, რომლებიც შეეკერათ იტალიაში, ესპანეთში დაბრუნების წინ, დიდი კაპიტანის დონ გონსალო დე კორდოვასთან ერთად, როცა იგი, დიდებით მოსილი, ტოვებდა ნეაპოლიტანიის სამეფოს.

ამრიგად, საზოგადოებრივი ცერემონიისა და დღესასწაულების ბრწყინვალება და ფუფუნება ესპანიოლის დედაქალაქში ამართლებდა „მცირე მეფის კარის" სახელს, რაც, მრავალი ცნობილი მწერლის შემდეგ, ჩვენც ვუწოდეთ მეფის მოადგილის რეზიდენციას. ოვანდომ მალე გადაწყვიტა ბოლო მოეღო დამცირებისათვის, რომელსაც, უეჭ-

ველია, გაიცადა დღესასწაულებში მონაწილეობისას. ამ დღესასწაულებმა დაჩრდილეს მისი ყოფილი მბრძანებლობის საუკეთესო დღეები. იგი უკვე ამთავრებდა გამგზავრების სამზადისს, როცა საშინელი ქარიშხალი თავს დაატყდა კუნძულს, მძიმე ზარალი მიაყენა დიეგო კოლუმბის საუკეთესო ესკადრას, რომელსაც უნდა წაეყვანა კომანდორი. ამ შეუნიერი საფლაგმანო ხომალდი ჩაიძირა მთელი სურსათითა და სხვა სიმდიდრესთან ერთად. მეორე დღეს, მზემ გაანათა ნგრევის პირქუში სურათი: ნაპირზეც და ზღვაზეც. ტალღებზე ტივტივებდა ხომალდის ნაწყვრევები, ძირიანად მოთხრილი ხეები, უკარო და უსახურავო ხის სახლები... საბედნიეროდ, ქალაქ ოსამაში უკვე აშენებული იყო მრავალი ქვის სახლი და ნაგებობა. ნებით თუ უნებლიეთ ოვანდოს გამგზავრების გადადება მოუხდა, ვიდრე არ შეაკეთებდნენ ხომალდებს, აუცილებელი რომ იყო ესპანეთში დასაბრუნებლად.

ამ შეფერხებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ამაყმა კომანდორმა უფრო მწარე დამცირება გადაიტანა — იმ სასამართლოს სამზადისსა და გახსნას დაესწრო, რომელსაც ევალებოდა გადაესინჯა „ყოფილი გუბერნატორისა და მისი მთავარი მოადგილეების ყოველი მოქმედება. მაცნეები საყვირებით მოუხმობდნენ სასამართლოზე ყოველ მაძიებელსა და მომჩივანს; უფრო ხალხმრავალ ადგილებში გამოკრული იყო მოწოდებები და ბრძანებულებანი, აცხადებდნენ, რომ ოცდაათი დღის განმავლობაში ყველა უკმაყოფილოს შეეძლო საჩივარი აღეძრა იმაზე, ვინც ცოტა ხნის წინ, როგორც ყოვლისშემძლე მბრძანებელი, მართავდა მთელ კოლონიასა და ახალ ქვეყანას. ჰეშმარიტად, როგორც ისტორიკოსი ერერა ამბობდა, „არ უნდა გამედიდურდეთ კეთილდღეობის ჟამს".

XXIX

კერძო ცნობები

დიეგო ველასკესისა და მისი ამალის ყოველი ცდა, რაც შეიძლებოდა მალე ჩასულიყვნენ ვერა-პასიდან სანტო-დომინგომდე, ამაო აღმოჩნდა. ქარიშხალმა დაანგრია გზები, წყლის დონე ასწია მდინარეებში, დიდი ხნით შეაჩერა ისინი, და მხოლოდ მეთორმეტე მტანჯველი დღის დასასრულს დაქანცული და მშიერი მგზავრები ჩაიდნენ დედაქალაქში. გზაში დაკარგეს მთელი ბზინვარება და სიკოხტავე, ხარაგუადან წამოსვლისას რომ გამოირჩეოდნენ.

ველასკესი და მისი ხალხი გაჩერდა ერთ-ერთ მშვენიერ სახლში, რომელიც აშენდა კომანდორ ოვანდოს ბრძანებით, მისი მმართველობის დროს. ველასკესმა იმავე დღეს აცნობა ახალ გუბერნატორს თა-

ვისი ჩამოსვლა და აუდიენცია სთხოვა მეორე დილისთვის, თან ბოდიშს ითხოვდა, თანამგზავრნი ცუდ მდგომარეობაში არიან და პატივსცემას დაუყოვნებლივ ამიტომ ვერ გამოეხატავთო. გუბერნატორმა თანხმობა შეუთვალა და გაათავისუფლა ველასკესი ეტიკეტის მკაცრად დაცვისგან.

საღამოს ცხენ-სიმაგრის ყველა დარბაზში, რომელიც დიეგო კოლუმბისა და მისი ოჯახის რეზიდენციად გადაქცა, ბევრს ლაპარაკობდნენ ახლად ჩამოსულ მოგზაურებზე. ჯერ კიდევ ესპანეთში ყოფნისას ახალგაზრდა ადმირალს განაგონი ჰქონდა დიეგო ველასკესის დიდი როლი კოლონიის მართვის საქმეში: მან იცოდა, რომ ოვანდოს ორივე ნაცვალმა — ველასკესმა და ხუან დე ესკიველმა — ოსტატურად და წარმატებით ჩაახშეს კუნძულზე აჯანყებულთა ამბოხებული სულისკვეთება, თუმცა სხვადასხვა საშუალებებით მოქმედებდნენ: ველასკესი, როგორც უფრო შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი პოლიტიკოსი, ანჰორციელებდა დაზავებას დასავლეთში. ყველაფერი გააკეთა, რაც შეიძლებოდა ინდიელთა რასის გადასარჩენად და ლაშქრობის დროს ბაორუკოსა და ანიგუაიაგუაში არ დაუშვია ისეთი არაადამიანური სიმკაცრე, როგორიც გამოიჩინა ცნობილმა კაპიტანმა ესკიველმა იგუეის მხარეში, ინდიელების წინააღმდეგ ბრძოლისას.

ადმირალი დიდი ინტერესით უსმენდა ცნობებს ესპანეთში ცნობილ ამ კაცზე. მათ ანბავს ჰყვებოდა ხანდაზმული, სასიამოვნო სახისა და ღრმელი თეთრწვერიანი სენიორი. ეს იყო დონ ფრანსისკო ვალენსუელა, ერთ-ერთი პირველი კოლონისტთაგანი, რომლებიც კუნძულზე ქრისტეფორე კოლუმბთან ერთად მოვიდნენ. მისი მეორე მოგზაურობის დროს. იგი დასახლდა სან-ხუან დე ლა მაგუანაში, სადაც რჩომანი საქონლის დიდი ჯოგი და ცხენის რემა ჰყავდა. დონ ფრანსისკო კოლუმბების ოჯახის ერთგული და ურყევი მეგობარი გახლდათ, მეც მა. ჰირშიც და ლხინშიც. შემთხვევით აღმოჩნდა იგი დედაქალაქში იმ დღეებში, როცა ახალი გუბერნატორი ჩამოვიდა. ვალენსუელამ დიდი ქებით მოიხსენია ველასკესი და ისინიც. ვინც ახლდა გუაროას და ატუეიას ბელადების დამშვიდებელს, თან თავის მონათხრობში ურთავდა საინტერესო შენიშვნებს კუნძულის მდგომარეობასა და მომხდარ ამბებზე.

•

— კაპიტან დონ დიეგოსთან ერთად, — უყვებოდა იგი. — ჩამოვიდა ვალიდენებრო, ერთ-ერთი იმ კაბალიეროთაგანი, რომელმაც ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი ინდიელებთან ომის დროს იგუეის მხარეში. კოტუბანამას პირველი აჯანყების დროს. არც ის და არც მისი ამხანაგი პონტეველრა მას შემდეგ აღარ გამოჩენილა დედაქალაქში: ვალდენებრო დასახლდა მაგუანში, პონტეველრა კი გაემგზავრა ესპანეთში,

თანამებრძოლი ამხანაგების დაცინვისგან იხსნა თავი. წარმოიდგინეთ, თქვენო მოწყალებავ, რა დაემართა ამ ორ იდალგოს, მამაცთა შორის უმამაცესებს. ყოველგვარი იარაღის ხმარებაში დახელოვნებულებს. ამბოხებულებთან ომის დაწყების წინ, ერთხელ მინდორში ნახეს ინდიელი, რომელიც მათ უნდობლად და ზიზღით უყურებდა. ორივენი ცხენებზე ისხდნენ. „მე მომანდეთ მისი მოკვლა",—უთხრა ვალიდენებრომ მეგობარს და ცხენი გააჭენა ინდიელისკენ, რომელმაც ვალიდენებროს ესროლა ისარი სწორედ იმ წუთში, როცა კასტილიელმა მას შუბი აძგერა. დაჭრილ ინდიელს არაფრით გამოუმეღავნებია ტკივილი, წინ გადახტა, შუბის ტარი ხელიდან გამოსტაცა ვალიდენებროს. ვალიდენებრომ ხმალი იშიშვლა და ინდიელი დაჭრა, მაგრამ მან ხმალიც წაართვა, ისიც ჩაიტოვა სხეულში; მაშინ კაბალიერომ ინდიელს მკერდში ხანჯალი ჩასცა, მაგრამ იგი ხანჯალსაც დაეუფლა და ვალიდენებრო უიარაღოდ დასტოვა. ეს რომ დაინახა, პონტევედრამ ცხენი მიაგდო მოჩხუბრებთან და ინდიელს შუბი დაარტყა; დაჭრილმა ინდიელმა ამჯერადაც გაიმეორა თავისი გმირული სიმამაცე. მეორე მებრძოლსაც წაართვა შუბი, ხმალი, ხანჯალი, და ორივე უიარაღო და დაბნეული დასტოვა, კასტილიელების მთელი ბანაკის წინაშე: შემდეგ გმირი ინდიელი, თითქოს მტრები შურისძიების ღირსად არ ჩათვალაო, წავიდა, და სხეულით თან წაიღო მამაცი ბრძოლით მოპოვებული იარაღები, დაუძლურებული დაეცა თვისტომთა შორის, რომლებიც მას ესალმებოდნენ საზეიმო ძახილით. რამდენიმე წუთში სული განუტევა, თავისი გამარჯვებით მოამაყემ.

— გასაოცარი შემთხვევაა, — თქვა დონ დიეგო კოლუმბმა, — სპარტის საუკეთესო დღეების შესაფერი ღირსეული სიმამაცეა. მაგრამ მითხარით, შესაძლებელი გახდა ამ არაჩვეულებრივი ინდიელის სახელის გაგება?

— ყოველგვარი ცდა ამაო იყო. ეს შემთხვევა თვითონ კაპიტან ესკიველისაგან გავიგე, იგი ჩიოდა ველურების სიჯიუტესა და სიჩლუნგეზე, რომელთაც ვერ შეძლეს გაეგოთ სამარადისო ხსოვნის ღირსი კაცის სახელი.

რაც შეეხება ვალიდენებროს, რომელმაც სამარცხვინოდ დაკარგა ყველა იარაღი, მტრულად განწყობილი ორი ბანაკის თვალწინ, სიმშვიდეს ვერ პოულობდა და გადაწყვიტა არასოდეს დაეტოვებინა მაგუანი, სადაც სირცხვილმა მიიყვანა. მაგრამ ახლა დონ დიეგო ველასკესმა შეძლო ვალიდენებროს უარი ეთქვა თავის კეთილსინდისიერ გადაწყვეტილებაზე და ჩამოსულიყო სანტო-დომინგოში, მეფის მოადგილესა და მისი მეუღლის მისასალმებლად.

ველასკესმა თან ჩამოიყვანა შესანიშნავი ახალგაზრდა, ჰკვიანი და

გონებამახვილი ერნან კორტესი. იგი რაზმს შეუერთდა კოშკოსტელა დე ასუაში, სადაც ხუთ წელზე მეტ ხანს განაგებდა იმ მხარის კანცელარიას. ეს კაცი საოცარი ნიჭის პატრონია და იგი ბევრ სარგებლობას მოიტანს, თუმცა მფლანგველი, მოჩხუბარი და ქალებთან უხეშია. მას დიდი გავლენა აქვს ყველა ირგვლივ მყოფზე, თითქოს დაბადებიდან დაჰყოლია უპირატესობის ბეჭედი და მიჩვეულია მთელი სიცოცხლე მბრძანებლობდეს სხვებზე.

კიდევ ნახავთ არსებას, უკიდურესად არასასიამოვნოს სახითაც და აღნაგობითაც, ასეთი მახინჯი არ შეიძლება არ შენიშნოთ. ეს ვინმე იდალგოა, რომელიც გამდიდრდა ერნანდო დე გევარას ქვრივის, ინდიელი სენიორას მამულის მართვის წყალობით.

— მე ვიცნობ ქვრივს და ვიცი მისი ამბავი, — შეაწყვეტინა ლაპარაკი ვალენსუელას დიეგო კოლუმბმა. ჩემმა კეთილმა მამამ სიკვდილის წინ დამიბარა მეზრუნა ანა დე გევარაზე და მის ქალიშვილზე. დონ ბარტოლომე ლას კასასმა მაცნობა ამ საქმის მეტად საინტერესო წვრილმანები, და მე ვიცი, რომელი ფეხით კოშკლობს მოხიკა, ასე ეძახიან, თუ არ ვცდები, მმართველს.

— სრული სიმართლეა. ამრიგად, მე ისღა დამრჩენია, მოგიყვეთ ინდიელ ახალგაზრდაზე, ენრიკილიოზე — ველასკესის საყვარელ ნათლულზე.

— ახალგაზრდა კასიკზეც მსმენია და სიამოვნებით ვნახავ მას, — აღნიშნა დონ დიეგომ. — მითხრეს, რომ იგი სენიორა დე გევარას ნათესავია და ორივენი ხარაგუას მმართველთა საგვარეულოს ეკუთვნიან. ძალიან მინდა ახლოს გავეცნო ამ მხარეს და მის მცხოვრებთ, როგორც მგონია, კუნძულის ინდიელთა შორის ყველაზე ლამაზებსა და ღირსეულებს. დონ ბარტოლომე ყვებოდა, რომ ფრანცისკანელების, ენრიკილიოს ალმზრდელების სიტყვით, ბიჭის ჭკუა და არაჩვეულებრივი ნიჭი ინდიელთა რასას პატივს სდებს. მალე თვითონ შემიძლია ამაში დავრწმუნდე და დიდი სიამოვნებით გავინაწილებ ველასკესის მამობრივ ზრუნვას მის მიმართ.

— მახარებს თქვენი ბრწყინვალების კეთილგანწყობა ენრიკილიოსადმი. ეს ახალგაზრდა, ინდიელი, რომელმაც განაიარაღა ვალიდენებრო და პონტევედრა, პოტუბანამასთან და სხვა მრავალთან ერთად, დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ხარაგუას მხარის მცხოვრებნი თავიანთი ჭკუითა და გულით არ ჩამოუვარდებიან ევროპის ანდა აზიის ყველაზე ცივილიზებულ ხალხებს.

— საესებით გეთანხმებით, სენიორ ვალენსუელა, — სერიოზულად უპასუხა დონ დიეგომ, — განზრახული მაქვს ვიმოქმედო და ვმართო ეს ქვეყანა ამ სამართლიანი და საფუძვლიანი აზრით.

XXX

მოულოდნელი შედეგები

იმ დროს, როდესაც დონ ფრანსისკო ვალენსუელა ციხე-სიმაგრის მცხოვრებთ დაწვრილებით უამბობდა დიეგო ველასკესისა და მის თანამგზავრთა ცხოვრებისა და სიმამაცის ამბავს, ამ უკანასკნელთ დონ ბარტოლომე ლას კასასი ჰყავდათ სტუმრად.

ველასკესი დიდი ინტერესით ეკითხებოდა კოლონიის მმართველი წრეების შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს და გაეხარდა, რომ ახალი გუბერნატორი ძალიან გულკეთილად იყო განწყობილი. ლას კასასი მორიდებულად არწმუნებდა, რომ ადმირალი ველასკესისადმი თბილი გრძნობებით გაიმსჭვალა ესპანეთშივე, მაგრამ კაპიტანიც არანაკლებ მხურვალედ უხდიდა მადლობას ლიცენციატს, რადგან კეთილად მიღებას სამართლიანად აწერდა ლას კასასს, რომელსაც, როგორც ჩანდა, მოელოდა დასავლეთის ქვეყნების ბედის ახალი განმგებლიდან.

ძნელი გადმოსაცემია ენრიკილიოს მღელვარება ლას კასასთან შეხვედრისას. ველასკესმა ბიჭი წარუდგინა თავის ბრძენ მრჩეველს:

— ენრიკილიო! დალოცვილია, უფალო, შენი სახელი! როგორ გაზრდილხარ, ჩემო ბიჭო, როგორ დავაყკაცებულხარ! მომეხვიე, შვილო ჩემო! კმაყოფილი ხარ, ბედნიერი თუ ხარ?

— ჩემი ნათლია ძალიან კარგად მეპყრობა, სენიორ ლიცენციატო, — უპასუხა ენრიკილიომ. — აჰ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა, ჩემო ძვირფასო მფარველო! ვიმედოვნებ, მომეხმარებით, ნათესავებს რომ შეეხვდე.

— დაუყოვნებლივ, ჩემო ბიჭო, თუ შენი ნათლია ნებას მომცემს. როგორ გაუხარდება შენი ნახვა მამიდაშენს! საბრალო ქალი, აყად არის და ძალიან გამოიცვალა; მაგრამ ნუ აგრძნობინებ, არ მოუწამლო ეს სიხარული.

— ჩემი სისუსტის გამოჩენას ნუ შიშობთ, — მტკიცედ და მკაცრად შეეპასუხა ჰაბუკი. — თქვენ ბევრჯერ მომწერეთ, რომ მე უნდა გავმხდარიყავი ჩემი მამიდისა და ჩემი დის, მენსიას, საიმედო ბურჯი, და ამ აზრს გულში ვინახავ, — თქვა მან და ხელი მკერდზე მიიდო.

დიეგო ველასკესი სიამოვნებით დათანხმდა ენრიკე გაეშვა ლიცენციატთან ერთად, და ორივე სწრაფი ნაბიჯით გაემართა იგემოტას სახლისკენ.

იგემოტა ნახევრად მიწოლილი იყო მოხერხებულ რბილ სავარძელზე. სიკვდილის ფრთას ავბედი ჩრდილი დაეფინა მის ფერმკრთალ, გამხდარ სახეზე. ქალიშვილი — აისივით მშვენიერი და ნორჩი, — თვალს

არ აცილებდა დედის თითქმის დაშრეტილ თვალებს, იჯდა მის ფერხთით სკამზე, იდაყვით ოდნავ დაყრდნობოდა საწოლს და ხელები შემოედო თავისი ანგელოზური სახისთვის.

ენრიკე ლას კასასს მისდევდა, გადაახტა ზღურბლს და რამდენიმე ხანს თვალს ადევნებდა ამ წაღელიან პოეტურ სურათს; შემდეგ ორივენი ოთახის შუაგულში გაჩერდნენ. როცა ისინი შენიშნა, დონია ანა დე გევარამ გაჭირვებით წამოიწია.

— ეს თქვენ ხართ, ჩემო კეთილო სენიორ ლიცენციატო? — გაისმა მისი ხმა. ადრინდელივით სასიამოვნო, მაგრამ ავადმყოფობით დაშთობილი. — დროულად მოხვედით, ასე მგონია, მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ რაც გნახეთ.

— სენიორა, ყოველთვის ვცდილობ მოვიყვანო ვინმე, ცოტათი მაინც რომ გაფანტავს თქვენს მწუხარებას. ამას წინათ ვიმედოვნებდი მხიარულება მომეტანა თქვენთვის სენიორ გუბერნატორსა და მის კეთილ მეუღლესთან საუბრით: დღეს კი მოგიყვანეთ სტუმარი, რომელიც, მართლაც, უფრო მეტად გაგახარებთ.

— ძნელია, სენიორ ლას კასას, ჩემი გახარება უფრო მეტად. ვიდრე გამახარა მათმა მოსვლამ. მე და ჩემს საყვარელ ქალიშვილს აღგვითქვეს მეგობრობა და მფარველობა.

— რას ვიზამთ, ახალი სტუმარი მოგგვრით ივიე გრძნობებს, რადგან მას თქვენთან აკავშირებს მოვალეობის გრძნობაც, და... საქმაოდ ახლო ნათესაობა:

ამ სიტყვებით ლიცენციატმა ხელი მოჰკიდა ენრიკილიოს და დონია ანას წარუდგინა. ჰაბუკმა მუხლთ მოიყარა და ათრთოლებული ხმით წარმოთქვა:

— ჩემო კეთილო მამიდა იგემოტა, დამლოცეთ.

— გუაროკუია! — წამოიძახა სიხარულით აღელვებულმა დონია ანამ. — ოჰ, ღმერთო ჩემო! როგორ გადაგიხადოთ მადლობა, სენიორ ლას კასას! ასე მგონია, ისევ მოვიკრიბე ძალ-ღონე... მოდი ჩემთან, ჩემო ბიჭო, ჩემო საყვარელო შვილო, მოდი გაკოცო.

მამიდისკენ დახრილმა ენრიკილიომ ივრძნო მისი უფერული ცივი ტუჩების შეხება და იგი ისეთმა მოწიწებამ შეიპყრო, როგორსაც გრძნობდა ხოლმე ვერა-პასის მონასტერში ზიარების დროს.

— ახლა კი, გუაროკუია, — განაგრძობდა ციებცხელებით აღგზნებული ავადმყოფი, — აკოცე შენს მამიდაშვილს, რომელიც, თუ ღმერთი ჩემს ლოცვას შეისმენს, შენი მეუღლე გახდება.

როგორც კი წარმოთქვა ეს სიტყვები, დონია ანა სავარძლის საზურგეზე მიესვენა და დადუმდა. პირველად ლას კასასმა და ენრიკემ იფიქრეს, გონება დაკარგაო. გოგონა ალერსით შეეხო მის ხელს და რამდენჯერმე ნაზად შეეხმიანა: „დედიკო!“ ამაოდ... სჩჩუმე და ძილი ძა-

ლიან დიდხანს გაგრძელდა. ლას კასასმა ავადმყოფს ხელი მოკიდა, დარწმუნდა, რომ ეს იყო სიკვდილის სიჩუმე, სამარის ძილი და შეძრწუნდა. დონია ანა დე გევარა, ანუ იგემოტა სხვა სამყაროში გადასახლდა. მისმა მწუხარებისგან დატანჯულმა, უბედურებისგან დამსხვრეულმა გულმა ვერ გაუძლო სიხარულისა და იმედის მოულოდნელ ბობოქარ დაბერვას; სასოწარკვეთილებისა და მწუხარებისგან ჩამქრალი მისი უმწიკვლო სული ცად ამაღლდა.

XXXI

სხვადასხვანაირი შთაბეჭდილებანი

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, დიეგო ველასკესი ღირსეულად და გულთბილად მიიღეს გუბერნატორის დროებით რეზიდენციაში. ადმირალმა, თავის ბიძებთან ერთად ხარაგუას მხარის ნაცვალი ძველი მეგობარივით მიიღო. მან კომანდორი ვიცე-დედოფალს წარუდგინა და ციხე-დარბაზში საუზმეზე მიიპატიჟა.

ველასკესმაც, თავის მხრივ, წარუდგინა თანამგზავრები და გუბერნატორმა ყველასთვის გამონახა კეთილი სიტყვა. მაგრამ მაშინვე შენიშნა, რომ ენრიკილიო იქ არ იყო.

— მე კი მითხრეს, სენიორ დონ დიეგო, რომ თქვენთან ერთად ჩამოვიდა ახალგაზრდა ინდიელი, ხარაგუას კასიკთა საგვარეულოს შთამომავალი.

— სრული სიმართლეა, სენიორ, — უპასუხა ველასკესმა, — მე ჩამოვიყვანე ენრიკილიო — ასე ეძახის მას ყველა, — რომელიც საკუთარი შვილივით მიყვარს. მაგრამ სამწუხარო ამბავმა ისე ააღელვა ჭაბუკი, რომ ახლა სიცხიანი წევს.

და ველასკესმა უამბო იგემოტას სიკვდილის ამბავი, რომელიც ლას კასასისგან გაიგო.

— დიდად ვწუხვარ მის სიკვდილს, — თქვა ადმირალმა დიეგომ, — დრო დადგა შეევასრულო მოვალეობა, რაც ანდერძად დამიტოვა ჩემმა კეთილმა მამამ, დონ ქრისტეფორემ... მეუღლევ ჩემო, თქვენ იზრუნეთ საბრალო ობოლზე, რომელმაც, ხომ გახსოვთ, ძალზე გაგაოცათ თავისი სილამაზით. მე კი ენრიკილიოს ჯანმრთელობაზე ვიზრუნებ: თქვენ, სენიორ დონ დიეგო, ხომ გაგიჭირდებათ ავადმყოფის მოვლა, ნამგზავრებს თვითონ არ დაგისვენიათ.

— ამ საქმეს მაშინვე შეუდგა ჩვენი ძვირფასი მეგობარი ლას კასასი. მოწიწებით დაასწრო თქვენს მოწყალებას და იმავე საღამოს გადაიყვანა ენრიკილიო მონასტერში ფრანცისკანელებთან, სადაც ამჟამად თვითონ ცხოვრობს და სადაც ჩემს შვილობილს მშვენივრად მოუვლიან.

— მაინც, — შეედავა დიეგო კოლუმბი, — მე ჩემს ექიმს გავუგზავნი და ვიზრუნებ, რომ არაფერი დააკლდეს.

ადმირალმა მაშინვე გასცა საჭირო განკარგულებები.

გუბერნატორის მეუღლემ, რომელიც შეიპყრო ღისეთმა გულმოწყალებამ, რაც ქალებს ანგელოზებად აქცევს ხოლმე, თავისთან წაიყვანა ობოლი გოგონა, რომელიც დედის ცხედარს დასტიროდა. სხვისი მწუხარებისადმი ნაზმა თანაგრძნობამ დაამშვიდა მშვენიერი გოგონა, ისე რომ მისი სული არ დაკოდილა. ლას კასასთან მოითათბირა და დონია მარიამ ბრძანა, რომ იგემოტა დაესაფლავებინათ შესაფერი პატივით, იმავე დღეს, საღამოს, იგემოტა დაასაფლავეს.

საუზმეს მიირთმევდნენ, მაგრამ მწუხარება გულს უმძიმებდა ყველას, ვინც აღელვებული იყო ამ მოულოდნელი სიკვდილით. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც აწუხებდა და აფიქრებდა სულ სხვა მოსაზრებანი, იყო ჩვენი ძველი ნაცნობი პედრო დე მოხიკა. მას ეშინოდა, საქმე ცუდად არ შეტრიალებულიყო და მისთვის არ მოეთხოვათ განსვენებული სენიორას მამულის მართვის ანგარიში. პატარა მემკვიდრის ბედისადმი მეფის ნაცვლისა და მისი მეუღლის გულშემატკივრობა, შურიან იდალგოს ცუდის მომასწავებლად ეჩვენებოდა.

მაგრამ ნელ-ნელა, მწუხარების მიუხედავად, სასიამოვნო საზოგადოებამ და კარგმა ღვინომ თავისი გაიტანა. საუბარი გაიბა და მხიარულებამ დაისადგურა გუბერნატორის მდიდრულ და გულუხვ სუფრაზე. დიეგო ველასკესი, რომელიც თავისდა უნებურად მოექცა ირგვლივ მყოფი ახალგაზრდობის, სილამაზისა და დახვეწილი ფუფუნების გავლენის ქვეშ, განიცდიდა სიმშვიდესა და ბედნიერებას, რაც მას არ უგრძვნია რამდენიმე წლის მანძილზე. იგონებდა გრანადის ბაღებს, სადაც სიამესა და განცხრომაში, აყვავებულ მინდორზე ქინიანი ნაკადულივით, მიედინებოდა ბედნიერი სიყმაწვილის დღეები.

ამ ტკბილმა მოგონებებმა და პირისპირ მჯდომი ახალგაზრდა სენიორას ცეცხლოვანმა, შავმა თვალებმა აღელვებული კომანდორის გულში უეცრად აღაგზნეს სიყვარულის ცეცხლი. მარია დე კუელარი, გუბერნატორის მეუღლეს მეგობარი და მესაიდუმლე, სამეფო კონტადორის კრისტობალ დე კუელარის ერთადერთი ქალიშვილი არამარტო არაჩვეულებრივად ლამაზი გახლდათ, იგი ფლობდა ისეთ მომხიბლაობას, რომელიც მუდამ იწვევს აღფრთოვანებას და წმინდა ზრახვებს ბედნიერებასა და სიყვარულზე. მარია დე კუელარს დაავიწყდა ყველა ირგვლივ მყოფი და აღფრთოვანებული გასცქეროდა მოშორებით მჯდომ ჭაბუკს, რომელსაც შავგვრემანი მშვენიერი სახე ჰქონდა, მის ყაყაჩოს ფურცელივით ალისფერ ტუჩებს ამშვენებდა ახლადაშლილი შავი ღილღლი. ნორჩმა ლამაზმანმა იმით დაიკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა, რომ თვალი შეავლო დიეგო ველასკესის სასტიკ სახეს, მის

მდიდრულ. მაგრამ მკაცრ მორთულობას, ისევ მიუბრუნდა ჰაბუკს და ნაზი ღიმილი უძღვნა მას.

ველასკესმა შესამჩნევად მოიწყინა. იგი ხედავდა ქალიშვილის მეტყველ მზერას და დარწმუნდა, რომ ამ ორ: თითქოს ურთიერთისთვის გაჩენილ არსებას ერთმანეთი უყვარდა.

ნასაუზმევს სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ და გაცხოველებული საუბარი გააბეს. კომანდორმა ისარგებლა შემთხვევით, მკლავი გაჰხსნდო ერნან კორტესს და ჰკითხა:

— თქვენ ხომ ყველას იცნობთ, მითხარით ვინ არის ის ქალური სახის ჰაბუკი, ახლა რომ ჩამოგართვათ ხელი?

— ეს? — ჰკითხა კორტესმა და დაანახა ჩვენთვის ნაცნობი ახალგაზრდა კაცი.

— სწორედ ეს, — უპასუხა ველასკესმა.

— ეს ხუან დე გრიხალვაა, წარმოშობით კუელარიდან, — თქვა ღიმილით კორტესმა. — მართლაც დიდი ხანია ვიცნობ... მთელი ოთხი საათი.

— როდის და რანაირად გაიცანით.

— ამ დილით, როცა თქვენ გეძინათ. ქალაქში სახეტიალოდ გავედი. გზაზე დონ ფრანსისკო ვალენსუელა შემხვდა და გუბერნატორის საჯინიბოში შემიპატიჟა. მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე. ბედმა გაგვიღიმა, სწორედ დროზე მივედით, რომ გვენახა ეს ჰაბუკი, რომელიც შენ ქალურად მოგეჩვენა, როგორ ხედნიდა ველურ, კორდოეულ, ღამესაით შავსა და ცეცხლივით ფიცხ ულაყს... მეც მომინდა გახელებული ცხენი შემეკაზმა და გრიხალვა ისეთი თავაზიანი აღმოჩნდა, რომ მაშინვე დამითმო იგი. მერე დიდად შემაქო, როგორც თქვა, სიმარდისთვის. მოკლედ, ჩვენ დავმეგობრდით, როგორც შენიშნეთ: ბევრი დრო არ მჭირდება იმის გასაგებად, ღირსია თუ არა ესა თუ ის ადამიანი ჩემი მეგობრობის, ეს ახალგაზრდა იდალგო კი, თუ არ ვცდები, კეთილშობილია და მამაცი.

ველასკესმა მოისმინა კორტესის გაცხოველებული საუბარი და ღრმად ჩაფიქრდა.

ამ დროს მოვიდა გუბერნატორის ექიმი. მას ყველამ ენრიკილიოს ამბავი ჰკითხა, და ზეიადი ექიმი დიდი ზარ-ზეიმით შეუდგა ანგარიშის ჩაბარებას, რასაც მოითხოვდა იმ დროს მეცნიერების პრესტიჟი.

— მივედი მონასტერში, — დაიწყო მან, — და წინამძღვარი მამის ნებართვით, რომელსაც თქვენი მოწყალების სახელით მივმართე, შემიძღვნენ სენაკში, სადაც ავადმყოფი იწვა. იგი მშვენიერი აღნაგობის ახალგაზრდა კაცია, ძლიერი და კეთილშობილი ხასიათის. ციებცხელებამ, febris a cuta—მოიპოვა მდიდრული ნადავლი—abundantia sanguinis, ბოდვა კი თავში სისხლის საშიში მიწოლის მომასწავებელი

იყო, congestio immanens. ავიცენას მითითებით, რომელიც ხელიდან გაბოვუშვი სისხლი დიდი რაოდენობით, fervidus, გავუკეთე ფეხის აბაზანა, pediluvium. ერთ საათს ვადევნე თვალყური და ამ ხნის განმავლობაში, დავინახე, რომ ჰაბუკი დამშვიდდა, restauratio causa requietionis. ღრმა ძილში მყოფი დაეტოვე. ფეხი შეხვეული ჰქონდა თბილი ზეთით გაჟღენთილი ნაჭრით, oleum calfactum-ით. ვბედავ დაგარწმუნოთ, რომ თუ ბერები, რომლებიც მას უვლიან, დააცდევინებენ ჩემს მიერ მითითებულ რეჟიმს. კერძოდ: დიეტას და რევანდის მიღებას, მისი ჯანმრთელობა ერთ თვეში აღდგება, praesanabit. მაგრამ თქვენს მოწყალებას უნდა განვუცხადო, რომ ეს ამბავი საეჭვოა: ბერებთან ცხოვრობს ერთი უხამსი საერო პირი, რომელიც გათავხედდა, შემომედავა და პირში მომახალა უცოდინარი... stultus-ი ხარო.

უკანასკნელი სიტყვები ექიმმა სასაცილოდ ტრავიკული სახით წარმოთქვა.

.— ვინ გაბედა ასეთი თავხედობა, ექიმო? — შეჰყვირა ადმირალმა, რომელიც ძლივს იკავებდა სიცილს.

— ვინმე, quidam-მა. — უპასუხა ექიმმა, — რომელიც ხშირად გვახულობდათ თქვენ და რომელსაც, როგორც მე გავიგე, ბერები ლიცენციატ კასასს ეძახიან. ყოველ შემთხვევაში, ის თუ მართლა ლიცენციატია, მაშინ დიდი პატივით უნდა ექცეოდეს მეცნიერებას.

— გარწმუნებთ, — შეეპასუხა დონ დიეგო კოლუმბი, — ეს კაცი დამსახურებულად სარგებლობს პატივისცემით, და ძალიან მაოცებს, რომ მან უმიზეზოდ შეურაცხგყოთ.

— ირწმუნებოდა, ანანასის წვენი, — განაგრძობდა განაწყენებული პედანტი, — ამ შემთხვევაში უფრო სასარგებლოა, ვიდრე რევანდის ნაყენიო, და იქამდე მივიდა, რომ განაცხადა, თითქოს ავიცენა ციებცხელების დროს გვირჩევს არა რევანდს, არამედ თამარინდის ხის ფოთოლს... ამ თვითმარქვიას თავხედურ რწმუნებას ერესი ეუწოდე, მან კი წარმოთქვა ყველასათვის უცნობი ავტორების ლათინური ტექსტები, ბოლოს უსირცხვილოდ განმიცხადა, უცოდინარი და ჩერჩეტი ხარო.

— ნუ წუხხართ, დიდად პატივცემულო ექიმო, — თქვა ბოლოს ადმირალმა, — ზომებს მივიღებ, რომ ასეთი უპატივცემულობა აღარ გამეორდეს.

დიეგო ველასკესი, რომელიც ამ საუბარს ესწრებოდა, დიდ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი, რაც მის აღზრდილს ეხებოდა. როცა დიდებული მკურნალი წავიდა, კომანდორი, რომელსაც კორტესი და მთელი მისი ამალა მიჰყვა, გამოეთხოვა სტუმართმოყვარე მასპინძელსა და მანდილოსნებს, იმ მიზეზით, რომ უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა, უნდა ეზრუნა ენრიკილიოს ჯანმრთელობაზე.

— არ დაგავიწყდეთ ჩვენი სურვილი, რომ იგი აქ ვიხილოთ გამოჯანმრთელებისთანავე, — გაიმეორა ადმირალმა და ველასკესს მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

XXXII
უკანასკნელი ბრძოლა

— ვის გამო რეკენ ზარები ასე მწუხარედ? — ჰკითხა ყოფილმა გუბერნატორმა დონ ნიკოლას დე რვანდომ თავის ძმისშვილს, დიეგო ლოპესს.

— ინდიელი სენიორას, ქვრივ დე გევარას გამო, სენიორ. იგი წუხელ გარდაიცვალა, — უპასუხა ლოპესმა.

— ღმერთო შემიწყალე, ძმისშვილო... როდის იქნება მზად ჩვენი გასამგზავრებელი ხომალდები? მართლაც, თუ კიდევ რამდენიმე დღე დავყოვნდით, ნამდვილად, ჩემ გამოც ჩამორეკავენ სამგლოვიარო ზარს...

ეს მწუხარე წინასწარმეტყველება არ შესრულებულა. იგემოტას სიკვდილიდან ერთი თვის შემდეგ რვანდო, რომელსაც ფარულად ღრღნიდა საშინელი სევდა, გამოემშვიდობა კუნძულს. თავისი სახლი და მთელი ქონება საჩუქრად გადასცა კოლონიის მონასტრებსა და წმინდა ნიკოლასის ჰოსპიტალს, რომელიც სანტო-დომინგოში თვითონ კომანდორის დაარსებული იყო. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან ესპანეთში გაატარა, მძიმე საზრუნავში მყოფს არ ასვენებდა ურიცხვი საჩივრები ესპანიოლის მართვისას ნამოქმედარზე, ეს საჩივრები ისე ბევრი იყო, ბოლოს და ბოლოს მეფე იძულებული გახდა ჩარეულიყო საქმეში და განეცხადებინა, ნიკოლას დე ოვანდოს გუბერნატორობის პირქუში დრო დიდი ხანია დამთავრდაო.

მაგრამ ესპანიოლის ცნობილ გუბერნატორს დიდხანს არ უსარგებლია სიმშვიდით, რაც უწყალობა კეთილმა მბრძანებელმა, — ესპანეთში დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ ოვანდო გარდაიცვალა.

და ჩვენ გვგონია, რომ ღრმა შინაგან ბრძოლაში გაიარა ესპანიოლის უმოწყალო ტირანის უკანასკნელმა დღეებმა, — როგორც ყველა სხვა დესპოტების უკანასკნელმა დღეებმა, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თავიანთ შეუზღუდავ უფლებებს, რითაც შთამომავლობას სისხლიანი ბოროტმოქმედების ხსოვნა დაუტოვეს. „რატომ ვერ ჩავიდინე უფრო მეტი?“ — ივედრებოდა დამცირებული, ღონეგამოლეული სიამაყე. „რატომ ჩავიდინე ასე ბევრი?“ — კვნესოდა ათრთოლებული სინდისი.

მეორე ნაწილი

I

საიერიმო კავშირი

პატივმოყვარეობა რყევის ადამიანს, რადგან საზრდოობს სხვა თვისებათა ხარჯზე, რაც ამაღლებს და ამკობს ადამიანის გულს. დამოუკიდებლად იმისგან, პატივმოყვარეობა გამოწვეულია კეთილშობილური თუ ქვენა ზრახვებით, მაღალი მიზნისაკენ სწრაფვისა თუ საძაგელი ანგარიშიანობითა და სიძუნწით, იგი უცვლელად მიილტვის დაიმონოს ჩვენი ყველა გრძნობა, რომელიც ადრე თუ გვიან გარდაიქმნება ყოველგვარი ჩვენი მოქმედების მამოძრავებელ ძალად; პატივმოყვარე უპოწყალოდ თრგუნავს გულის ყოველგვარ კეთილშობილურ აღტყინებას, რომელსაც შეუძლია დააბრკოლოს მისი ძირითადი ენებანი.

დიეგო ველასკესის პატივმოყვარეობა, იმ ადამიანისა, რომელიც ახალგაზრდობიდან მიჩვეული იყო რთულ ამოცანებსა და მნიშვნელოვან დავალებებს, ბუნებით არ გახლდათ სულმდაბლური. კომანდორ ოვანდოს მმართველობის წლებში ველასკესმა ესპანიოლას საჰხრეთდასავლეთით დააარსა მრავალი ქალაქი და სოფელი; რადგან დამპყრობთა შორის ყველაზე მდიდარი იყო ამ მხარეში, რომლის დამშვიდება რამდენიმე თვეში მოახერხა თავგამოდებისა და გამოცდილების წყალობით, იგი გამოირჩეოდა თავისი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ტალანტით. ხუან დე ესკიველმა სწორედ მის თვალწინ გამოსთხოვა ახალგაზრდა ადმირალს ექსპედიციის მოწყობა იამაიკაში, დაიპყრო კუნძული და გახდა მმართველი; ჰონსე დე ლეონმა, რომელიც გუბერნატორ ოვანდოს მფარველობით სარგებლობდა, სამმართველოდ მიიღო მშვენიერი კუნძული პუერტო-რიკო; ალონსო დე ოხედა და დიეგო დე ნიკუესა ნავსადგურ სანტო-დომინგოში ამთავრებდნენ კონტინენტში ექსპედიციის მოწყობის სამზადისს. ამ ექსპედიციამ დიდი ხმაური გამოიწვია. მაგრამ შემდგომში არ გამოდგა: სხვა მეძაცი და წინდახედული ზღვაოსნები: ვასკო ნუნიესი, ერნან კორტესი და ბევრი მათი მსგავსი, ისწრაფოდნენ განდიდებისა და სახელისათვის, ისახავ-

დნენ აუხდენელ გეგმებს და შემთხვევის მოლოდინში ამაო იმედებს ელოლიავებოდნენ, რაც საშიში თავგადასავლების ყველა მაძიებელთა მოქმედების ფართო ასპარეზს დაღუპვას ან ბედნიერების მწვერვალს უქადდა.

განა ველასკესს შეეძლო ჩამორჩენოდა თანამედროვეობის იდეას, დაკმაყოფილებულიყო მოპოვებული დიდებით და წარმატების შემდეგ განცხრომას მისცემოდა, თავისი, როგორც დამპყრობლის ბედი ჩაეთვალა აღსრულებულად? ამის ნებას არ აძლევდა არც ახალგაზრდა ასაკი, არც მისი ბუნება, რომელიც მოწყურებული იყო ბრძოლასა და დიდებას, და ემსახურებოდა ნაყოფიერ ნიადაგად სულიერ ავადმყოფობას, რასაც პატივმოყვარეობა ეწოდება.

ამრიგად, დიეგო ველასკესი პატივმოყვარე გახლდათ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი გულისთქმა სრულიადაც არ ატარებდა სულმდაბლურ ხასიათს. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ეს ვნება საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩაეხშო ყოველგვარი კეთილი აღტყინება და სიყვარულმაც ერთობ გვიან მიუკაკუნა მის გულს.

სწორედ ამაში მდგომარეობდა უბედურება: მისი კეთილშობილი გული მთლიანად რომ დაეპყრო სიყვარულს ისე, რომ მიეყუჩებინა ან მთლიანად განედევნა სხვა ვნებანი, დიეგო ველასკესს აუცილებლად თან დაჰყვებოდა თავგანწირვა, რომელიც ჩასახვისთანავე მოსპობდა მშვენიერი მარია დე კუელარის ბედნიერების დამაბრკოლებელ ზრახვებს. მაგრამ სიყვარულთან ერთად გარკვეეთ და ხმამაღლა ისმოდა უმოწყალო ეგოიზმის ხმა: იგი გააღვიძა და გააცოცხლა ცბიერმა მსტოვარმა, გაიძვერა პედრო დე მოხიკამ, მოწყალებისა და მოხვეჭის განურჩეველი საშუალებების მაძიებელმა. მან თავს იდო დახმარებოდა ველასკესს სიყვარულისა და პატივმოყვარეობის შეხმატკბილებაში. საფრთხე ელოდა ხარბი იდალგოს მდგომარეობას და სიმდიდრეს: ეჩქარებოდა მალე მოეპოვებინა ბიძაშვილის — მენსიას მეურვეობისა და მისი ქონების მართვის უფლება. პირველ რიგში საჭირო იყო ხარაგუას მმართველის კეთილგანწყობის მოპოვება. მოხიკას სწყუროდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეშოვნა ყოველისშემძლე მფარველი. რა ესაქნებოდა მას სხვა დანარჩენთან.

მოხიკას ყოვლისმხილველ მზერას არ გამოჰპარვია ველასკესის ფარული ვნება მარია დე კუელარისადმი. მოიფიქრა, რა სარგებელი შეეძლო მიეღო ამ სიყვარულისგან, და საქმეს შეუდგა მისთვის ჩვეული შეუპოვრობით. რამდენიმე დღის განმავლობაში დაუახლოვდა და დაუმეგობრდა დონ კრისტობალს, მეფის კონტადორს, მშვენიერი ქალიშვილის მამას, და აცდუნა პატივმოყვარე მოხუცის წარმოსახვა მისი ქალიშვილისა და ესოდენ ბრწყინვალე მდგომარეობისა და დიდი მომავლის მქონე ადამიანის, როგორც დონ დიეგო იყო, მეტად მოსაწონი

და ხელსაყრელი პერსპექტიული ყავშირით: ეშმაკობითა და ცბიერებით თანხმობა დასტყუა მამას, რომელმაც დაავალა — გაეგო, თუ რა გრძნობები ამოძრავებდა ველასკესს და ნიადაგი შეემზადებინა მოლაპარაკებისათვის.

ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი მოხიკა პირდაპირ ველასკესისკენ გაემართა, რომელიც სწყალობდა მას, და მოურიდებლად და გაჭიანურებულად დაუწყო ლაპარაკი:

— სენიორ დონ დიეგო, თქვენ მოწყალებას აქვს ქონება, სახელი და საერთო სიყვარულით სარგებლობთ: შესახედავად კარგი ხართ, მიუხედავად ამისა, ბედნიერად არ გრძნობთ თავს. რა გაკლიათ ბედნიერებისათვის? ის, რაც აკლდა ადამს. როცა იგი მარტო იყო ედემში: მეგობარი ქალი.

— შესაძლებელია, მართალი იყოთ, დონ პედრო, — უპასუხა ღიმილით ველასკესმა.

— ამ მხრივ სრულიად დარწმუნებული ვარ, — სიტყვა შეაგება მოხიკამ, — მაგრამ თქვენ ხელთაა თქვენი ბედი. საშუალება გეძლევათ არჩევანი გააკეთოთ გუბერნატორის მეუღლის ირგვლივ მყოფ მანდილოსნებში და ვიზედაც შეაჩერებთ არჩევანს, თქვენი გახდება.

— სენიორ მოხიკა, იცოდეთ, რომ ეს არც ისე ადვილია, როგორც თქვენ გგონიათ, — დინჯად თქვა ველასკესმა. — არჩეული კი მყავს, მაგრამ ჩემი რჩეული არასოდეს არ გახდება ჩემი ცოლი. მისი გული სხვას ეკუთვნის.

— ვისზე ამბობთ, სენიორ? — ფიცხლად შეეკითხა მოხიკა.—თქვენს მესაიდუმლეობას ვისურვებდი; სულითა და გულით თქვენი ერთგული ვარ და წინასწარ გაძლევთ თქვენი სურვილების წარმატებით შესრულების პირობას.

— მაშ ასე, მეგობარო, ყველაფერს გაგანდობ: უკვე რამდენიმე დღეა, ვფიქრობ მშვენიერ გრძნეულზე, ღვთიურ მარია დე კუელარზე: იმავე წუთში შემიყვარდა, როცა ცხვი-სიმაგრეში პირველად ვნახე. მაგრამ მას სხვა უყვარს: მისი გული ხუან გრიხალვას ეკუთვნის. ჩემდა სამწუხაროდ, ღრმად ვარ დარწმუნებული.

— დამშვიდდით, სენიორ, განა ძუძუმწოვარა, რომელსაც არც სახელი აქვს და არც მომავალი, თქვენი მოქიშპე გახდება, ანდა გაბედავს ოცნებას მეფის კონტადორის ქალიშვილის ხელის თხოვაზე, რომელიც მთელს ესპანეთში საუკეთესო პარტიას წარმოადგენს? მომანდეთ მოქმედების თავისუფლება, და გიმეორებთ — დონია მარია დე კუელარი თქვენი მეუღლე იქნება.

— მაგრამ, ერთი პირობით, — შეეკამათა დონ დიეგო, — არ მსურს ხელის მილება გულის გარეშე: ჰოდა, უკვე გითხარით, ქალიშვილმა გული უბოძა ამ უწვერულ ჰაბუკს, რომელიც თქვენ არაფრად არ მიგაჩნიათ.

— რას ლაპარაკობთ, სენიორ დონ დიეგო! — ფიქრლად შესძახა მოხიკამ. — თვრამეტი წლის ქალიშვილს ნამდვილი სიყვარულის ნაცვლად მხოლოდ ახირებები შეუძლია... რაზეა დამყარებული თქვენი ასეთი რწმენა, რომ გრიხალვა არის დონია მარიას ბედნიერი რჩეული? მოიცდომეთ მისი ხელის მოპოვება და დარწმუნდებით, რომ დაეუფლებით ქალიშვილის გულსაც.

— მაგრამ, მე ვხედავდი, როგორი თვალებით უყურებდნენ ისინი ერთმანეთს... როგორ უღიმოდნენ ერთმანეთს, მათ თვალებში იმდენი ურთიერთგაგება იყო, რომ... — განაგრძობდა დონ დიეგო უსულგულოდ, თითქოს ყოყმანობდა და ეშვებოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც გულით უნდა თანამოსაუბრისგან საწინააღმდეგო მოისმინოს.

— დამიჯერეთ, — შეედავა მოხიკა, — აქ მხოლოდ ცოტაოდენი მოხერხებაა საჭირო და ყველაფერი მოგვარდება; რაღაც უბრალო ეშვების, მიხვედრებისა და მოჩვენებების გამო, უარი არ გეთქმით მთელ კოლონიაში ყველაზე მშვენიერ და მომხიბლავ ქმნილებაზე და ისეთი კაცის ოჯახთან კავშირზე, როგორიც კონტადორია. მისი ქონება თქვენ ქონებას მიმატებული კოლონიაში ყველა მცხოვრებზე უფრო ძლიერს გაგხდით, თქვენს სახელს ბრწყინვალებას შემატებს, და მას ისტორიაში ყველა სახელოვანთა შორის დააყენებს...

— კარგი, მოხიკა, — დანებდა ბოლოს ველასკესი, — თქვენს მჭევრმეტყველებას ვერ გავუმკლავდები. თუ ფიქრობთ, რომ შეიძლება, დონია მარია ჩემი მეუღლე გახდეს, ჩემს ბედს თქვენ განდობთ; მონდომება არ დაზოგოთ, ყოველი ღონე იხმარეთ, გამოიყენეთ ყოველგვარი საშუალება, რასაც გონება გიკარნახებთ, წარმატების შემთხვევაში ჩემგან მადლობას მიიღებთ.

ამრიგად, მოლაპარაკება შედგა. დიეგო ველასკესმა თავის თავს უღალატა: კეთილშობილურმა თავგანწირვამ ადგილი დაუთმო პატივმოყვარის თავმომწონე ზრახვებს; მათ უბიძგეს ველასკესს მცდარი გზისკენ, სადაც ელოდა მრავალი ეკალი და სინდისის მწვავე ქენჯნა.

ამ წუთიდან ხარაგუას მეფის ნაცვლის სატრფიალო მაძიებლობამ გარიგების ხასიათი მიიღო: გულგრილად აიწონა სასარგებლო და საწინააღმდეგო შესაძლებლობანი, მხედველობაში მიიღეს ყოველი გათვალისწინებული დაბრკოლება და აღინიშნა, რომ ზომები უნდა მიეღოთ, გვერდი რომ აევლოთ, თავიდან აეცილებინათ, გაენადგურებინათ ეს დაბრკოლებანი... მაგრამ მოხიკას, რომელსაც ბუნებაში ჰქონდა გამჯდარი ინტრიგებისკენ მიდრეკილება, ხმა არ ამოუღია, რომ მეფის კონტადორი გულთბილად იყო განწყობილი ველასკესისადმი. ამის ნაცვლად მან გულმოდგინედ შეიმუშავა კამპანიის გეგმა, რაც მიზნად ისახავდა მოეპოვებინა ლამაზი ქალიშვილის ხელი, თუნდაც მისი სურვილის წინააღმდეგ.

II

სამწუხარო მღელვარება

კონტადორი დონ კრისტობალ დე კუელარი იდეებითა და შეხედულებებით თავისი საუკუნის ჭეშმარიტი შვილი გახლდათ. ნაყოფიერმა მეთხუთმეტე ასწლეულმა, შუასაუკუნეების პირქუში ეპოქა დაასრულა ალმოსავლეთის იმპერიის დაცემით, გრანადის დაპყრობითა და ახალი ქვეყნის აღმოჩენით. ეს მეტად შავბნელი და ამავე დროს ბრწყინვალე საუკუნე იწურებოდა და ღირსეული პრელუდია იყო აღორძინების დიდი ეპოქისა, რომლის აყვავებას ხელს უწყობდნენ გამუსლიმანებული კონსტანტინეპოლიდან იტალიაში გადმოხეული სახელგანთქმული მეცნიერები და მწერლები. ფეოდალიზმის უკანასკნელი გაელვება, უხეში ცივილიზაციის, ნაგვიანევი გამობრწყინება, დამყარებული რომ იყო სენიორების დესპოტიზმსა და ვასალების დამდაბლებაზე, უფრო ფერმკრთალად და ავბედითად გამოიყურებოდა ახალი დროების პირველ ბრწყინვალე სხივებზე, რომელმაც ადამიანის გონება გამოაღვიძა საუკუნეობრივი ღრმა ძილისგან და მეფის ერთმმართველობაში დაანახა მრავალი ტირანის მძიმე უღლისგან თავდახსნის გზა.

იმ დროს ხალხებმა მეფის ძალაუფლების იდეა აღიქვეს, როგორც ახლა, ზნეობრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიღწევების შედეგად ისინი ღებულობენ დემოკრატიის იდეას, რესპუბლიკის გონივრული ფორმით. ფეოდალიზმის გადმონაშთებისადმი ბუნებრივი ზიზღის გამო, საშუალო ფენის ხალხი მეფისადმი სამსახურს მგზნებარე ფანატიკურ კულტად აქცევდა. ჩვენს დროშიც კი საკმაოდ ღირსეული ადამიანები ვარდებიან ამ უკიდურესობაში, რადგან ჰგონიათ, ერთმმართველობის ამაღლებული პრინციპი თანამედროვე საზოგადოებას დემაგოგიური იდეების მოზღვავებისგან მხსნელ თილისმად მოევლინებაო; მაშინ, როცა ეს მხოლოდ საბედისწერო შეცდომაა, ისტორიის შემობრუნების ამაო ცდა, ცივილიზაციისა და სამართლიანობის გამარჯვებული სვლის შეჩერება.

სენიორ დე კუელარი ეკუთვნოდა სწორედ ასეთი ჯურის საშუალო გონების ადამიანთ, და მონარქიისადმი ბრძა თაყვანისცემით ხშირად იმეორებდა, მეფისათვის ჯოჯოხეთში დაწვისაც არ შემეშინდებაო. დანარჩენ საკითხებში სრულიად ღირსეული და პატიოსანი ადამიანი ხმამაღლა, მტკიცე რწმენით აღიარებდა თავის იდეებს და აზრებს ამაღლებულს უკიდურესობამდე. აი რატომ იყო, რომ კონტადორის შეხედულებებმა, საერთოდ ძალაუფლებაზე, პირველ რიგში კი მამის უფლებაზე, მიიყვანა იგი საკუთარი ნების, პირადი უფლების უარყოფამდე, მორჩილების უმაღლესი მოვალეობის წინაშე. ახლა ადვილი გასაგებია,

ასეთი წინაპირობიდან როგორი დასკვნა გამომდინარეობდა საბრალო ცოლისთვის, რომელიც სენიორ დე კუელარს, მამას, ამ ნაზ სახელს, უწოდებდა.

წესიერი, კარგად აღზრდილი ქალიშვილი, იმ დროის წესის თანახმად, თხოვდებოდა არა თავისი არჩევანით, არამედ მშობლების ნებით. პირადი მიდრეკილებანი, სიმპათია ანდა ანტიპათია მხედველობაში არ მიიღებოდა საქორწინო შეთანხმებისას. უბრალოდ არავითარი წონა არ ჰქონდათ.

მალე დადგა დღე, როცა მოხიკას გულმოდგინე მონაწილეობით დონ დიეგო ველასკესმა. კონტადორისგან მიიღო საზეიმო დაპირება, რომ ნორჩ მარია დე კუელარს ცოლად გაატანდა.

საბრალო მარიამ თავზარდაცემულმა მოისმინა მამის დანაპირები, რაც მისთვის სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.

— მამა! — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა მან ათრთოლებული ტუჩებით, რომელთაც არც ერთი სიტყვის თქმა აღარ შეეძლოთ.

როცა დაინახა, რომ ქალიშვილს მკვდრის ფერი ედო, მთელი სხეული უთრთოდა, დონ კრისტობალმა გაკვირვებით შეხედა მას.

— რა დაგემართა, შვილო? — ჰკითხა მან მოჩვენებითი თანაგრძნობით. — ცუდად ხარ?. მსახურ ქალებს ხომ არ დავუძახო?

— არა, მამა, — უპასუხა მარიამ, რომელმაც სძლია თავს. — მინდა მარტო მოგელაპარაკოთ... უეცლაფერი ეს ისე მოულოდნელია ჩემთვის... გათხოვება არ მინდა! — ცხარედ დაასრულა მან, როცა პირველი ბლდისგან გამოერკვა. — არ მინდა თქვენ მოგშორდეთ. აჰ, დედა რომ იყოს ცოცხალი!

და საბრალო მარიას თვალთაგან ცრემლები წასკდა.

მამა შეშფოთდა, მაგრამ დამალა თავისი გრძნობა, მოიღუშა და თითქოს გაბრაზებულმა უთხრა:

— კმარა, სენიორიტა! შენ, მგონი, გონებაზე არ ხარ. რამ გამოიწვია ეს სლუკუნი? შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს შენთვის ცუდი მინდა და არა გათხოვება ახალგაზრდა კაბალიეროზე, რომელსაც ბრწყინვალე მდგომარეობა და საუკეთესო მომავალი აქვს. შენ რომ გათხოვებაზე უარს ამბობ, მამის ნება-სურვილის წინააღმდეგობად ვთვლი, არც მეტი და არც ნაკლები. რა გაგეგება ცხოვრების? დაემორჩილე მამას, რასაც მოვალეობა გიკარნახებს და ბედნიერებას მოიპოვებ... მე სიტყვა მიეცი, სალაპარაკო აღარაფერია.

— მაგრამ... — დაიწყო შეშინებულმა და გაოცებულმა მარიამ, რომელსაც უცებ ბედნიერმა აზრმა გაუელვა, — ადმირალი და მისი მეუღლე? ჰკითხეთ მათ რჩევა?

— ეს სრულიადაც არ შედის ჩემს მოვალეობაში, — ცივად უპასუხა დონ კრისტობალმა. — დადგება დრო და შევატყობინებ მიღებულ

გადაწყვეტილებას; შეძლებ ეს ამბავი გაიგებთო ისე, რომ ცუდი ჭმაყოფილი დარჩებიან.

იმედის სხივმა შეანელა ქალიშვილის სასოწარკვეთა, უგულისყუროდ რომ უსმენდა მაძის სიტყვებს. ადმირალის შეუღლე იხსნიდა მას. — ასე ფიქრობდა საბრალო. ამ მხსნელ აზრს ჩაეჭიდა, როგორც წყალწაღებული ეჭიდება ხავსს.

რაც იქნება, იქნეს, მას გაანდობს თავის საიდუმლოს, უამბობს ყველაფერს. ყველაფერი ეს მეტისმეტად მცირე რამ იყო, ეს მხოლოდ მისი გრძნობების გულღია აღსარება გახლდათ. რასაც უკვე ხვდებოდა გუბერნატორის მეუღლე, რომელიც ხანდახან ფრთხილად გადაუკრავდა სიტყვას, წამოწითლებული მარია კი უარს ამბობდა.

იმ დღეს, როგორც კი დანიშნული დრო დადგა, მარია ცხე-სიმაგრისკენ გაეშურა, როცა ქალთან მარტო დარჩა, მწარედ ატირებული **ჩაეკრა გულში; მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა საბრალომ** უამბო, მამამ ჩემი ხელი ველასკესს დაჰპირდაო.

— თქვენ იცით, სენიორა, — დაბნეული ქალიშვილმა, — მე არ მეყვარება დავთანხმდე ამ ქაშირზე, ამაზე ფიქრიც კი მაკრთობს, ძირჩევნია მოვკვდე, ვიდრე გულიდან ამოვიგდებდე ჩემს საყმერთებელ სახეს...

— გრიხალასი? — სწრაფად დაასრულა მისი სათქმელი გუბერნატორის მეუღლემ.

— დიახ, სენიორა, — განაგრძობდა მარია, — მე ამაზე ყოველთვის უარს ვამბობდი, თავად არ ვიცი, რატომ. უარს ვამბობდი და თან მიხაროდა, რომ თქვენ ხვდებოდით... თქვენდამი ნდობა, თქვენი ჩემდამი მეგობრული დამოკიდებულება მავალებდა ყველაფერი გულახდილად მეთქვა, მაგრამ რატომღაც სირცხვილი მაკავებდა. ახლა ვნანობ, თქვენთან გულღია რომ ვყოფილიყავი, მგონი, შესძლებდით ჩემი უმწიკვლო სიყვარულის მფარველობას, მამაჩემს დაითანხმებდით ჩემს ქორწინებაზე, და მიხსნიდით ახლანდელი მწუხარებისგან.

დონია მარია დე ტოლედო დიდი თანაგრძნობით უსმენდა მეგობარს; იგი დასავით ნაზად უყვარდა და მისი ბედნიერებისთვის მზად იყო გაეწირა საკუთარი კეთილდღეობა.

— შენ ამბობ, რომ მამაშენი ოფიციალურად დაჰპირდა შენ ხელს დონ დიეგო ველასკესს? — ჰკითხა მან.

— სწორედ ასეა, სენიორა. ფუბრალოდ, დაბნეული ვარ, რადგან ძალიან კარგად ვიცნობ მამაჩემს, მესმის, რომ თქვენ და სენიორ ადმირალი მხოლოდ დიდი გაჭირვებით შესძლებთ გადაათქმევინოთ ბოლებული გადაწყვეტილება.

ქალმა ნაღვლიანად და უხდობლად გააქნია თავი:

— ასე ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ, ჩემო ძვირფასო. თვითონ ჩემი მეუღლეც ძალიან ერთგულია თავისი ვალდებულებებისა; იგი ბრმად

ასრულებს მიცემულ სიტყვას, და მისგან არც უნდა მოველოდეთ დახმარებას ასეთ საქმეში. და ბოლოს, ვერც ის და ვერც მე — ვერ გავბედავთ შეურაცხყოფა მივაყენოთ დონ დიეგო ველასკესს, გეგმები ჩავუშალოთ, ამით მხოლოდ ჩვენს მდგომარეობას ვავნებთ, რადგან მისი სატრფიალო დაჩემება პატიოსანი და კანონიერია.

მარია დე კუელარი უსმენდა მეგობრის გონივრულ მოსაზრებებს, და მომაკვდინებელი სიცივე უკუმშავდა საბრალო გულს. როცა შეამჩნია როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა ქალიშვილზე, ადმირალის მეუღლეს უცებ გაახსენდა:

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დალუპულია, არა, ძვირფასო მარია. ვეცდები ვიპოვო საშუალება, რომ... მოფიქრებაა საჭირო... ჰო, მგონი, ვიპოვე, — დასძინა მან მცირე ხნის ფიქრის შემდეგ.

და მტკიცე გამომეტყველებით, ჩანაფიქრის გამარჯვებაში დარწმუნებული კაცივით, დარეკა ვერცხლის ზარი, რომელიც მის გვერდით შავ მარმარილოს მაგიდაზე იდო. ზარის წკრიალზე გამოცხადდა მსახური და ქალბატონისაგან მოისმინა შემდეგი ბრძანება:

— ახლავე მოძებნე ენრიკილიო და გადაეცი, რომ მასთან საუბარი მინდა.

მსახურმა მდაბლად თავი დახარა და სწრაფად გავიდა სენიორას პალატიდან.

III

წარდგინება

ენრიკეს ჯანმრთელობა სწრაფად უმჯობესდებოდა, მნიშვნელოვნად სწრაფად, ვიდრე მოსალოდნელი იყო იმ დიაგნოზის შემდეგ, რომელიც ექიმმა ხილ პერესმა დასვა, — ეს გახლდათ ექიმი, ადმირალის თხოვნით ავადმყოფს ფრანცისკანელთა მონასტერში რომ ნახულობდა, სადაც მას დიდი დავა მოუხდა დონ ბარტოლომე ლას კასასთან. ეს უკანასკნელი, ყურადღებით ადევნებდა თვალს ავადმყოფს. და, როგორც ჩანს, განაგრძობდა მოქმედებას სწავლული მედიკის რჩევის საწინააღმდეგოდ; ასე თუ ისე, სამი კვირაც არ იყო გასული, რომ ენრიკეს ციებ-ცხელებამ გაუარა; ჯერ კიდევ ფერმკრთალსა და დასუსტებულს, მისთვის მეტად სასიხარულოდ, შეეძლო სასეირნოდ გამოსულიყო მონასტრის ეზოში. გავიხსენოთ, რომ ესკულაპის აზრით, თვეზე ნაკლები დრო არ სჭირდებოდა სრულიად გამოჯანმრთელებას, ისიც იმ პირობით, თუ ავადმყოფი გულმოდგინედ დაიცავდა ყველა მის ბრძნულ მითითებას.

საწყალი ენრიკე. ვერაფრით შერიგებოდა იგემოტას უეცარ სიჯვდილს: მასთან ხომ ნათესაობის გარდა მხურვალე სიყვარული და დი-

დი მადლიერებას გრძნობა აკავშირებდა; მწუხარების ნუგეში ენრიკემ ჰპოვა ლას კასასთან, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელი გულთბილობით რომ გაახსენა უმაწვილს უბედური-წამებულის ნაანდერძევი. კეთილი ლიცენციატის აზრით, ისეთ ანდერძს, რომელიც ითქვა სევდიანი სცენის სამი მოწმის — ენრიკეს, პატარა მენსიას და ლას კასასის წინაშე, წერილობით ანდერძზე მეტი ძალა ჰქონდა.

— ენრიკე, — უთხრა ბოლოს კეთილმოსურნე ლიცენციატმა, — შენ ვალად გადევს დაწყნარდე და შეინარჩუნო სიმამაცე, რომ იზრუნო შენი ნორჩი მამიდაშვილის მომავალზე და შეასრულო მომაკვდავის წმიდათაწმიდა სურვილი.

ლას კასასის დაბეჯითებით დასაბუთებას ენით უთქმელი ძალით გამოეხმაურა ენრიკეს გული. ამ დღიდან შერცხვა საკუთარი სისუსტის და სულიერად გამხნევდა, ჩამოიშორა ნაღვლიანი გამომეტყველება და დაიფიცა, რომ დასძლევდა ყოველგვარ განსაცდელს და ცხოვრების ჭარიშხალს; მხოლოდ დარდის ოდნავ შესამჩნევი ჩრდილი, რომელიც შემორჩა მის სახეს, ამხელდა დაფარულ მწუხარებას.

ლიცენციატი ლას კასასი ხედავდა მის თვალწინ მომხდარ ცვლილებას და მოითათბირა ველასკესთან, ხომ არ იყო დრო, რომ მათი აღზრდილი ადმირალისა და მისი მეუღლისთვის წარედგინათ. ამ მიზნით ენრიკესთვის სამგლოვიარო ტანისამოსი შეუკვეთეს; შავი ფერი სასურველად ჩრდილავდა ნორჩი სახის მკრთალ სიფერმკრთალეს, გადატანილმა მწუხარებამ და ავადმყოფობამ გააძლიერა კასიკის ბუნებრივი სერიოზულობა, ხოლო მის გარეგნობას დახვეწილობის დაღი დაასვა. დიეგო ველასკესმა საზეიმო გამომეტყველებით მიაქცევინა ლას კასასს ამაზე ყურადღება. მისი პატივმოყვარეობა მოითხოვდა, რომ უმაწვილს ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინა.

ადმირალმა და მისმა მეუღლემ ენრიკე ალერსიანად და გულთბილად მიიღეს. დიდებული ცოლ-ქმრის სიკეთითა და ლას კასასის ტაქტიანი მხარდაჭერით გამხნევებულმა ენრიკემ დავისი მამიდაშვილის ნახვის სურვილი მალე გამოთქვა. ადმირალის მეუღლემ თვითონ ისურვა გაეცილებინა იგი ქალიშვილის პალატისკენ, იქიდან კი მშვენიერ ბაღში, რომელიც ციხე-სიმაგრის შიდა ეზოში იყო გაშენებული, სადაც დამწუხრებული მენსია ჩუმად უსმენდა დონია მარიას მოახლეთა საუბარს.

ენრიკეს დანახვისთანავე იგი წამოხტა და მასთან შესახვედრად გაქანდა, გულუბრყვილოდ მოეხვია და ლოყაზე აკოცა. ამ გრძნობამორეული მისალმების საპასუხოდ, თავშეკავებულმა ახალგაზრდამ მშვენიერ გოგონას მკლავში მოკიდა ხელი, თბილად გაუღიმა, კარგა ხანს შესცქეროდა, თან მისდა უნებურად ცრემლი ჩამოსდიოდა ლოყაზე. აღელვებულ დონია მარიას უნდოდა ბავშვებისთვის მწუხარე ფიქრები მოეშორებინა და თქვა:

— აბა, ენრიკე, აკოცე შენს მამიდაშვილს.

ჰაბუკმა აუწერელი გამომეტყველებით შეხედა კეთილ სენიორას და დაფიქრებით. თითქოს თავისთავს ესაუბრებაო, გაიმეორა:

— აკოცე შენს მამიდაშვილს! ასე მითხრა „მან", სიკვდილის დროს და დროც არ დამიტოვა თავისი სურვილის შესასრულებლად...

— ვისზე ლაპარაკობ, ენრიკე? — სწრაფად ჰკითხა მას დონია მარიამ.

— იმაზე, ვინც აღარ არის: ჩემს ძვირფას განსვენებულ იგემოტაზე. სიკვდილის დროს მან ისევე მითხრა, როგორც ახლა თქვენ მითხარით: „აკოცე შენს მამიდაშვილს",—და სენიორ ბარტოლომეს თანდასწრებით დასძინა, როგორც უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი ანდერძი: — „რომელიც, თუ ღმერთი ჩემს ლოცვებს შეისმენს, დრო გავა და შენი მეუღლე გახდება".

ენრიკემ ხელი მოკიდა მენსიას ლამაზ თავს, ნაზად აკოცა შუბლზე და აქვითინდა.

ამ ღრმა მწუხარებით აღელვებულმა დონია მარიამ, რომელიც ცრემლებს და მღელვარებას ძლივს იკავებდა, სცადა გაემხნევებინა ჰაბუკი:

— ესი იგი, მენსია შენი ცოლი იქნება, როცა გაიზრდებით და დაქორწინებას შესძლებთ?

— მომაკვდავის უკანასკნელი ნების შესრულების სურვილი რომ არა, — უპასუხა ენრიკემ დიდი გრძნობით, — სიცოცხლე აღარ ღირს. საბრალო ობლის ბურჯი უნდა გავხდე და მხოლოდ ამისთვის მინდა სიცოცხლე შევინარჩუნო.

— მხოლოდ ამისთვის, ბიჭო! — ალერსიანი საყვედურით წამოიყვირა დედოფალმა. — ამქვეყნად არავინ გიყვარს შენი ბიძაშვილის გარდა?

— აჰ, რას ბრძანებთ, სენიორა! — მკვირცხლად შეეპასუხა ენრიკე. — მე მიყვარს ჩემი კეთილისმყოფელნი: დონ ბარტოლომე, ლას კასასი, ჩემი ნათლია დონ დიეგო, ჩემი კეთილი მოძღვარი მამა რემიხიო...

— და ვიმედოვნებ, — გააწყვეტინა დონია მარიამ, — შენ ასევე შეგვიყვარებ მეც და ჩემს მეუღლესაც, როგორც მენსიამ შეგვიყვარა. ხომ ასეა, ჩემო ძვირფასო?

— დიახ, სენიორა, — უპასუხა გოგონამ, — სულითა და გულით მიყვარხართ!

დონია მარიამ დედობრივი სინაზით მოხვია ხელი მენსიას, მისი ქერა-ოქროსფერი თავი გულში ჩაიკრა, მიუალერსა და აკოცა.

ვიდრე ციხე-სიმაგრის ბაღში აყვავებულ ბუჩქებს შორის ასეთი მგრძნობიარე სცენები ხდებოდა, მომავალ ქორწინებაზე ფიქრებში გართულმა დონ დიეგო ველასკესმა, მოხიკას რჩევით, ადმირალსა და

ლას კასასს სასწრაფოდ შეატყობინა დონ კრისტობალ დე კუელართან დილით ნალაპარაკევი, მის მიერ ოფიციალურად მიცემული წინადადება და მამის თანხმობა, რომ მას მიათხოვებდა მშვენიერ მარიას.

— ძალიან მოხარული ვარ, დონ დიეგო! — გულწრფელად წამოიძახა ადმირალმა. — სრულიად სამართლიანად მიმაჩნია, რომ ყველაზე ღირსეულ კაბალიეროს ყველაზე ლამაზი საცოლე შეხვდა... ამით არ მინდა გაწყენინოთ დონ ბარტოლომე, მაგრამ თქვენ ხომ ცოლის შერთვას არ აპირებთ...

— ო, სენიორ მე ფარ-ხმალი დაყრილი მაქვს, — თავაზიანი ღიმილით უპასუხა ლიცენციატმა. — და, რაკი გულახდილი საუბარი დავიწყეთ, გეტყვით, რომ, ჩემი კურთხევა შორს არ არის. სამი თვეც არ გავა, რომ თუ ღმერთი შეეწევა, მისი მსახური გავხდები, თუმცა ვგრძნობ, რომ ასეთი მოწყალების ღირსი არა ვარ. ვიმედოვნებ, რომ თქვენ, დიდად პატივცემულო ადმირალო, ჩემი უძვირფასესი მეგობარის. თქვენი სახელოვანი მამის ხსოვნის პატივსაცემად, დამეთანხმებით და ჩემი პირველი წერვის ნათლია იქნებით.

— ვფიცავ ყოველად წმინდა ქალწულს, ლიცენციატო, — უპასუხა დიეგო კოლუმბმა. — არაფერს არ შეუძლია უფრო მეტი პატივი და კმაყოფილება მაგრძნობინოს... რა თქმა უნდა, — დასძინა მან ღიმილით, — ბევრად უკეთესი იქნებოდა დიეგო ველასკესის მაგალითისთვის მიგებაძათ და ამოგერჩიათ მეუღლე მშვენიერ ქალიშვილთა შორის, ეს საბრალონი ხომ სწორედ ამისთვის გამოეგზავნენ ახალ ქვეყანაში; თუმცა საეჭვოა, რომ თუნდაც ერთმა მათგანმა გაბედოს იეჭვიანოს თქვენზე და ჩვენ წმინდა დედა-ეკლესიაზე.

— აჰ, სენიორ ადმირალო, — თქვა თითქოს სერიოზულად, თითქოს ხუმრობით ლას კასასმა, — მხოლოდ ეს მეუღლე შემეფერება მე; დამერწმუნეთ, მხოლოდ მასთან და სულიწმიდის დახმარებით, რომელიც მას შთააგონებს, შევძლებ თავი შევწირო მწუხარეთა ნუგეშს. ასეთია ჩემი მოწოდება.

— სულითა და გულით გეუბნებით ამინს, ძვირფასო ლიცენციატო, — სწრაფად უპასუხა ადმირალმა.

სამი მეგობარი უდარდელად განაგრძობდა საუბარს, ვიდრე სასტუმრო ოთახში დონია მარია არ შემოვიდა.

— სად არის ენრიკილიო? — ღიმილით ჰკითხა ცოლს ადმირალმა. — მე ჯერ კიდევ არ გადმომიცია იგი შენს მფლობელობაში, შენ კი უკვე გადაწყვიტე ჰაბუკის პატრონობა.

— დღეისთვის მაინც, სენიორების ნებართვით, — ასევე ხუმრობით უპასუხა ქალმა, — ენრიკე და მენსია ისე გაასარა შეხვედრამ, რომ სისასტიკე იქნებოდა შუადღემდე მათი დაშორება.

— რატომ არ უნდა მივცეთ მათ ერთად ყოფნისთვის უფრო მეტი

დრო? — თქვა დიეგო კოლუმბმა. — ეს დაამშვიდებდა ორ ობოლს. რად უნდა დავაშოროთ ისინი? ენრიკილიოს მშვენივრად შეუძლია დარჩეს სასახლეში პაჟად.

— სწორედ ეს შეეთავაზე, მაგრამ რამდენადაც დღეს მენსიასთან შეხვედრამ გაახარა იგი, იმდენად ეწყინა ციხე-სიმაგრეში სამსახურის შესაძლებლობა, ენრიკეს მონასტერში ცხოვრება ურჩევნია, რომ არ დაშორდეს არც სენიორ ლას კასასს, რომელიც გულწრფელად უყვარს, არც სენიორ დიეგო ველასკესს და ახლა ვეღარ ვიხსენებ, კიდევ ვის. ბიჭს მოყვარული გული აქვს.

— მინდა დაგარწმუნოთ, სენიორა, — გრძნობით თქვა ველასკესმა, — რომ იგი საკუთარი შვილივით მიყვარს.

— არაფერია გასაკვირი, რომ ენრიკემ მდიდრულ სასახლეს მონასტრის ერთფეროვანი ცხოვრება ამჯობინა, — აჰყვა ლას კასასი, სურდა თავისი აღზრდილი უფრო უკეთესად წარედგინა. — მას ბავშვობიდანვე ჰქონდა ნაღვლისადმი მიდრეკილება, მოგვიანებით ისე დაეწაფა სწავლას, რომ სიცოცხლე არ შეუძლია ფილოსოფიური და თეოლოგიური დისპუტების გარეშე, მონასტრის ბაღის ხეთა ჩრდილებში. ერთადერთი გართობა რომ გახლავთ თავისუფალ დროს.

— თუ ასეა, — თქვა დონია მარიამ, — მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს. ენრიკე საცხოვრებლად დარჩება ფრანცისკანელებთან სენიორ ლიცენციატის მზრუნველობით, სადღესასწაულო დღეებს კი გაატარებს ჩვენთან, სასახლეში, თავის საცოლესთან ერთად.

— საცოლესთან? ვინ არის მისი საცოლე? — იკითხა ადმირალმა.

— ვინ იქნება, თუ არა მისი მამიდაშვილი მენსია, ჩვენი ნაშვილები. ეს გადაწყვეტილია და უსიკვდილოდ შესრულდება. — და უამბო ყველაფერი, რაც მას ენრიკემ გაანდო ბაღში.

ლას კასასმა, რომელიც მოწმე იყო დონია ანა დე გევარას სიკვდილის დღეს მომხდარი ამბისა, დაადასტურა ნორჩი კასიკის სიტყვები და გამოთქვა ურყევი სურვილი დახმარებოდა მას განსვენებულის უკანასკნელი წადილის შესრულებაში.

ყველამ ერთხმად მოიწონა ლიცენციატის კეთილი გადაწყვეტილება და ამ დღიდან ორი ობოლის მომავალი თითქოს უზრუნველყოფილი იყო. შემდგომი ამბების ბედუკუღმართმა მსვლელობამ არ გაამართლა ესოდენ ლამაზი, ნათელი იმედები; ადამიანი ხომ დაბრკოლების გარეშე და ადვილად ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, რადგან ძალა, მომართულია სიკეთისკენ და შთაგონებული სათნოებით, თავის გზაზე აუცილებლად ხვდება მრავალ შეფერხებას, რომლის გადალახვას ხანდახან ვერ შველის დასახული მიზნის სიწმინდის რწმენა, და არც მტკიცე, შეუპოვრობა ბრძოლაში.

IV

წერილი

შუადღის სამი საათი იყო, როცა ლას კასასი და ველასკესი ციხე-სიმაგრიდან წავიდნენ. დონია მარია დე ტოლედო ქმარს გამოეთხოვა სადილობამდე, დაბრუნდა თავის დარბაზში, სადაც მოხდა ზემოთ ხსენებული საუბარი ახალგაზრდა მარია და კუელართან, რომელიც გადმოკეცით და შევწყვიტეთ იმ ადგილას, როცა მარია დე ტოლედომ ენრიკეს მოყვანა ბრძანა.

ჭაბუკმა კასიკმა არ დააყოვნა მანდილოსნებთან მისვლა. მან ცნობისმოყვარედ შეხედა ახალგაზრდა ქალიშვილს, უხმოდ მოესალმა და გაემზადა მოსასმენად, თუ რას ეტყოდნენ.

— როგორ ფიქრობ, ენრიკე, — მიმართა მას მარიამ, — დღეს კიდევ ნახავ სენიორ დონ დიეგო ველასკესს?

— მონასტერში წასვლისას გზად უნდა გამეცლო მასთან, — უპასუხა ენრიკემ.

— თუ ასეა, ერთი წუთი დაიცადე.

ახალგაზრდა სენიორა სწრაფად მივიდა საწერ მაგიდასთან, რამდენიმე სტრიქონი დაწერა ქაღალდის ფურცელზე, გულმოდგინედ დაკეცა და გადასცა ენრიკეს.

— აი, შემთხვევა გეძლევა დღესვე გამოავლინო შენი ღირსებები, ყველა ვინც გიცნობს, რომ აღიარებს, — უთხრა მან. — წერილი გადაეცი დონ დიეგოს და უთხარი, რომ დონია. მარია დე კუელარისაგან არის.

როცა თავისი სახელი გაიგო, ქალიშვილი შეკრთა.

— აჰ, სენიორა! — უთხრა მან ადმირალის მეუღლეს. — რას იფიქრებს ჩემზე დონ დიეგო?

— ცუდს არაფერს, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა დონია მარია დე ტოლედომ.

— დონ დიეგო ნამდვილი რაინდია: ის, რაც აქ წერია, ვერაფრით ვერ აენებს ქალის პატიოსნებას; სამაგიეროდ, როცა მოვა სასაუბროდ, რომელზედაც მას ეპატიჟებიან, ველასკესი მიხვდება, რომ უარი უნდა თქვას თავის მეძიებლ: ზაზე.

— თქვენ ასე გგონიათ?.. — იკვნეულად ჰკითხა მარია დე კუელარმა.

— გიმეორებ, რომ დონ დიეგო რაინდია, და ამ შემთხვევაში, ყველაზე უკეთესია მის კეთილშობილებას ვენდოთ, — დაასკვნა ქალმა.

— ნება მომეცით წერილი ვნახო, — უთხრა ქალიშვილმა, ჭაბუკს გამოართვა ხელიდან და წაიკითხა:

..თქვენ გმართებთ ჩემგან გაიგოთ თქვენი ბედის განაჩენი, ვიდრე გაგაჯავრებელ ნაბიჯს განაგრძობდეთ. დღეს საღამოს ცხრა საათზე გელოდებით ციხე-სიმაგრის ბაღში. კარი ზღვის მხარეს ღია იქნება".

— ეს ხომ შეხვედრას ნიშნავს, სენიორა! — შეჰკივლა ქალიშვილმა, როცა კითხვა დაასრულა. — სწორედ რომ ეეღარ გცნობთ. თქვენ ასეთ ბოროტებულსა და გაუბედავს გათხოვებამდეც... ახლა გგონიათ სრულიად ბუნებრივია, რომ მე მამაკაცს შეეხვდე საღამოს ბაღში მარტო...

— შენ ნურაფრის გეშინია, — გაიმეორა ქალმა. — ჩემ ქმარს ყველაფერი ეცოდინება, და დარწმუნებული ვარ, რომ მოიწონებს ჩემ გადაწყვეტილებას,—ხომ უნდა აღვკვეთოთ ის, რასაც შენ გამოუსწორებელ უბედურებად თვლი.

— მაგრამ რა ეუთხრა დონ დიეგოს? ნამდვილად, შიშით მეტყველების უნარს დავკარგავ, — თქვა საცოდავმა, მოკრძალებით.

— მამაცი უნდა იყო, შვილო ჩემო; მხოლოდ ასე შეიძლება უბედურებას თავი დააღწიო. დონ დიეგოს გულახდილად უთხარი, რომ არ შეგიძლია მისი შეყვარება, რომ შენი გული სხვას ეკუთვნის... სიამაყე მას ნებას არ მისცემს დაიჩემოს შენთან ქორწინება.

— იქნებ... — წაიჩურჩულა მეგობარი ქალის ბეჯითი მოსაზრებით დამორჩილებულმა ქალიშვილმა.

ქალი მიუბრუნდა ენრიკეს, რომელიც გაკვირვებული უსმენდა საუბარს.

— აჰა, წაელე წერილი შენ ნათლიას, დონ დიეგოს, — უთხრა მან. — გადაეცი ჰარია დე კუელარისაგან არის-თქო, გესმის, ბიჭო? დონია მარია დე კუელარისგან. ჩემზე სიტყვა არ დაგცდეს.

— თუ ნათლია იკითხავს? ტყუილი არ მეხერხება, სენიორა, — მტკიცედ განაცხადა ენრიკილიომ.

— ესღა გვაკლდა! ვინ გატანს ძალას ტყუილი თქვიო? გადაეცი წერილი, უთხარი, ვინ უგზავნის და წადი, შეკითხვებს ნუ დაელოდები.

ენრიკემ თავი მდაბლად დაუკრა და ის იყო გასასვლელისკენ გაემართა, რომ სენიორამ გააჩერა:

— ენრიკილიო, რაშია საქმე, გამოუმშვიდობებლად მიდიხარ? მოდი აქ, ხელზე მაკოცე. — ამ დროს ქალმა ზარი დააწკრიალა.

ენრიკე მიუახლოვდა, ხელზე ეამბორა მწყალობელსა და კეთილშობილურნე მანდილოსანს. ამ დროს კარში გამოჩნდა მსახური, და ქალმა მას უთხრა:

— აი რა, სანტა-კრუს, გააცილე ენრიკე ჯერ თავის მამიდაშვილთან გამოსაშვიდობებლად, შემდეგ მისი ნათლიის დონ დიეგო ველასკესის სახლში, სადაც იგი მარტო შევა. იცი, სად ცხოვრობს იგი?

— დიახ, ქალბატონო! — უპასუხა მსახურმა.

— დაიცდი, სანამ ენრიკე არ გამოვა თავისი ნათლიის სახლიდან,

— გაბაგრძობდა ქალბატონი, — და გააცილებ მას ფრანცისკანელთა მონასტრამდე. უბრძანე ახლავე წაიღონ მონასტერში ესპანეთიდან ჩამოტანილი ერთი კალათა ხილი და ტკბილეულობა. ნახვამდის, ჩემო მეგობარო, — მიმართა მან ენრიკილიოს, — შეასრულე ჩემი დავალება, კვირას კი მოდი და მთელი დღე ჩვენთან გაატარე.

ენრიკილიო შეწუხებული წავიდა, მსახური მას გაჰყვა და ორივემ ზუსტად შეასრულა ქალბატონის განკარგულება.

V

მრჩეველი

დიდად გაოცდა დონ დიეგო ველასკესი, როცა ენრიკემ მას პაკეტი გადასცა და შემდეგი უთხრა: „აი, წერილი დონია მარია დე კუელარისაგან, ნება მომეცით გამოგეთხოვოთ, მონასტერში დაბრუნება მეჩქარება“. მისი ფიქრთა მპყრობელი სათაყვანებელი ქალიშვილის სახელი, რომლის ხელიც სწორედ დღეს დაპირდა მამამისმა, შეუყვარებელი ველასკესის ყურებში ზარბაზნის მოულოდნელ გასროლასავით გაისმა. ერთ წამს გაბრუებული იდგა წერილით ხელში, როცა გამოერკვა და მოუნდა ენრიკესთვის ეკითხა, ხომ არ მოტყუებდი, მკვირცხლ მოციქულს წასვლა მოესწრო.

— როგორც ჩანს, ბიჭიკოს არ სცალია! — წამოიძახა ველასკესმა. — მოდი წავიკითხოთ წერილი. — გაშალა ქაღალდი და ორ-სამჯერ გადაიკითხა შინაარსი.

— ეშმაკმა დალახვროს, რას უნდა ნიშნავდეს ეს? — გაოცდა ველასკესი. — მე და დონ კრისტობალი შეკთანხმდით, რომ ხვალ შედგება ოფიციალური შეხვედრა ჩემ საცოლესთან: დღეს კი პაემანი აღარ მენიშნება, მერე და სად? — ცხე-სამაგრის ბაღში! ნეტა რაშია საქმე?

დონ დიეგომ მსახურს უხმო.

— ფერნანდო, — უთხრა მან, როცა მსახური გამოცხადდა, — გაიქეცი, გაფრინდი, თუ გინდა ქვესკნელიდან ამოიყვანე დონ პედრო დე მოხიკა და უთხარი, რომ დაუყოვნებლივ მოვიდეს ჩემთან.

მსახური სწრაფად გავიდა. დონ დიეგო ისევ ფიქრებში ჩაეფლო, მიღებული წერილის ვარაუდები აბნევდა.

— წერილი ქალის ხელითაა დაწერილი, ეს უეჭველია, — მსჯელობდა იგი თავისთვის, — და თანაც მაღალი წრის ქალის ხელით. მაგრამ ნუთუ მართლა მარია დე კუელარი მინიშნავს პაემანს, თუ ვღალატობ სხვა ეფარება მის სახელს, საქმის ასპრეზეიდ? ამ მეფის კარის მანდილოს-

ნებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ჩემთვის ისინი უფრო საშინელნი არიან. ვიდრე ყველაზე გაბედული ინდიელები, რომლებთანაც მიბრძოლია.

თავის ფანტაზიას გასაქანი მისცა და მალე მიეიდა დასკვნამდე, რომ ვიღაც მტერს. შურის გამო, მისი მახეში გაბმა და მოკვლა სურს.

ბოლოს, როცა ველასკესმა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა არ წასულიყო პაემანზე, მოხიკა გამოცხადდა.

ველასკესმა მესაიდუმლეს წერილი გაუწოდა და უამბო, როგორ მიიღო იგი ენრიკილიოს ხელით.

მოხიკამ წაიკითხა წერილი, ეშმაკურად გაიქნია თავი და თქვა:

— უეჭველია, სენიორ დონ დიეგო, აქ რაღაცა იმალება, მაგრამ საქმე ისე არ არის, როგორც თქვენს მოწყალებას ჰგონია. უდავოდ, თქვენი საცოლე გინიშნავთ პაემანს, რომ უარი გათქმევინოთ ქორწინებაზე.

— ასე ფიქრობთ? — ჰკითხა უკმაყოფილოდ გაოგნებულმა ველასკესმა.

— გეფიცებით, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული! — უპასუხა მოხიკამ. — უფრო მეტიც, ეგ ცუღლუტი მოქმედებს მეფის მოადგილისა და მისი მეუღლის ნებართვითა და შეგულიანებითაც კი: სხვა შემთხვევაში იგი ვერ გადაწყვეტდა პაემანის დანიშვნას ციხე-სიმაგრის ბაღში.

— ადმირალის ასე მოქცევა ძალიან მეწყინებოდა, — გაუბედავად წარმოთქვა ველასკესმა. — მაგრამ ასეა თუ ისე, მირჩიეთ, კეთილო მეგობარო, როგორ მოვიქცე.

— წადით პაემანზე, სენიორ, — უპასუხა ცბიერმა მრჩეველმა, — ამ შემთხვევაში აშკარა თამაშია საჭირო. თუ ადმირალი აწყობს ხრიკებს, თქვენ ნიადაგის მოსინჯვა გმართებთ: თუ ოინები ქალების მოწყობილია, ვნახოთ, რა სარგებლობის გამორჩენა შეიძლება აქედან, თავი მოაჩვენეთ გულუბრყვილოდ, მახეში გაბმულად, რომელიც თქვენ არავითარ საფრთხეს არ გიქადით. თუ შემოგთავაზებენ რამე გადაწყვეტილების მიღებას, უპასუხეთ ორპოფულად, დროის მოგების მიზნით... არაფერზე დაეთანხმოთ, ვიდრე მე არ მომეთათბირებით... გახსოვდეთ, გამოქექილი კაცი ვარ, ადვილად არ მოვტყუვდები.

— დამშვიდებული იყავით, ჩემო მეგობარო, არავითარ ვალდებულებას არ ავიღებ, ვიდრე წინასწარ თქვენთან არ გავარჩევ. მაგრამ მითხარით, თუ ადმირალი არაფერ შუაშია, მაშინ იგი თავს შეურაცხყოფილად არ ჩათვლის, როცა გაიგებს, რომ გავბედე პაემანზე მისვლა მის სახლში, თანაც მაღალი წრის ქალიშვილთან და მისი ცოლის გამორჩეულთან?

— ნუ ხართ ასე კეთილსინდისიერი, სენიორ დონ დიეგო. ადმირალმა ხომ თქვენგან უკვე იცის, რომ მარია დე კუელარი თქვენ მოგყვე-

ბათ ცოლად. მაშ რა შეიძლება დასაძრახი ნახონ თქვენს პაემანში, კიდევაც რომ გაიგონ? აბა, წადით, ვნახოთ, ხომ არ მოგვეცემა შემთხვევა ძუძუმწოვარა გრიბალვა თავიდან მოვიშოროთ.

— ვერაფერი გაგიგეთ, — უთხრა გაკვირვებულმა დონ დიეგომ.

— სამაგიეროდ მე მესმის და უფალ ღმერთსაც ესმის ჩემი, სენიორ, — შეეპასუხა მოხიკა. — გრიბალვა დროულად გაიგებს, რომ დღეს საღამოს თქვენ პაემანი გაქვთ დონია მარიასთან. ყოველი შემთხვევისთვის თან იქონიეთ კარგი ტოლედური ხმალი; გარდა მაგისა, მე საჭურველმტვირთველთან ერთად ზურგიდან დაგიცავთ.

— მგონი, თქვენი გეგმა ჩემთვის ნათელია, — უთხრა ველასკესმა — მაგრამ თუ ჩემთვის მახე დაგებულია გრიბალვასთან შეთანხმებით?

— ეს შეუძლებელია; მათ ვერ მოასწრეს მოლაპარაკება, — დაჯერებულად შეედავა მოხიკა. — ჯაბუკს მას, შემდეგ თვალს ვადევნებ, რაც თქვენ დილით სალაპარაკოდ წახვედით სასიმაროსთან. საბედნიეროდ, გრიბალვა მთელი დღე ერნან კორტესთან იყო; მან თავისთან მიიწვია საუზმეზე; ნაშეადღევს კი ისინი გაივგზავრებენ კოვანდორ ოვანდოს ერთ-ერთი ფერმის სანახავად, რომელიც ყოველნაირად ვუქე, თუმცა, ჩვენ შორის დარჩეს, ესასყიდლოდაც არ ავიღებდი მას. როგორც ხედავთ, ყველაფერი გათვალისწინებულია: როცა ისინი სეირნობიდან დაბრუნდებიან, ვიზრუნებ, რომ საღამომდე შევიყოლიო ახალგაზრდა სულელი, მერე კი იგი ჩემგან მიიღებს კარგ ულუფა წამალს, სამუდამოდ რომ განკურნავს მას სიყვარულის ავადმყოფობისგან.

— რითი გადაგიხადოთ მადლობა, ჩემო კეთილო მოხიკა, — გატაცებით შეჰყვირა ველასკეზმა. — ახლა ჩემთვის ნათელია თქვენი გეგმა: ეს შეხვედრა ჩვენთვის ერთობ სასარგებლოა. ვეცდები ღირსეულად დავძლიო ჩემი როლი, მაგრამ ბადე რომ დაგვგონ...

— მაშინ შიგ თვითონ ზეთევზე გაეხვევა, — დაასრულა ცბიერმა მესაიდუმლემ, თან ხარხარი აუტყდა, რომელიც ველასკესს ყვავის აუბედით ჩხავილად მოესმა.

— მე მინდა ჩემს საცოლეს ვაცნობო, რომ მის სურვილს შევასრულებ, თქვენ როგორ ფიქრობთ, მოხიკა?

— სრულიად ზედმეტია, სენიორ: გადაწყვეტით უარი რომ გეთქვათ მანდილოსნის თავაზიან მიწვევაზე, მაშინ, რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნებოდა შეგეტყობინებინათ ეს მისთვის; მაგრამ ივი ხომ წინასწარ დანიშნულ ადგილზე დაგელოდებათ; დარწმუნებული იყავით, გვრიტი არ გადაიფიქრებს. ასეთ საქმეებში გონებაჭეშტდგული ქალიც კი თვით სენეკაზე უფრო ჭკვიანია.

მორჩილი მოსწავლე, დაკმაყოფილდა მოხერხებული დამრიგებლის მოსაზრებებით, რომელმაც მისი ნდობა დაიმსახურა, თვინიერი კრავივით დაემორჩილა მას ყველაფერში.

— ახლა კი, — დასძინა მოხიკამ, — წაეალ წავიხემსებ და გრიხალვას დაველოდები: თუ ეშმაკი — ის კი ყოველთვის ფხიზლობს — კვანტს არ გამომდებს, მოვახერხებ საღამომდე ყმაწვილის ყურადღების გაფანტვას. აუცილებელია ხელი შევუშალოთ თქვენ საცოლესთან შეხვედრაში, ვიდრე ბაღში დანიშნული პაემანი შესდგებოდეს. ცხრის ნახევრისთვის მოემზადეთ სახლიდან გასასვლელად და არ დაგავიწყდეთ, ყოველი შემთხვევისთვის, იარაღის წაღება. გრიხალვას უკვე ეცოდინება თქვენი სამიჯნურო გამარჯვების ამბავი, ეს შედის ჩვენ გეგმაში, და ვინ იცის. ეშვიანობამ რამე სულელური ნაბიჯი არ გადააგდგმევინოს... ასეთი შემთხვევისთვის ყველაფერი გავითვალისწინე. მშვიდობით... მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: ეს ეშმაკის კერძი ლიცენციატი ლას კასასი ცხვირს ჰყოფს განსვენებული დონია ანა დე გევარას საქმეში. იგი დაჟინებით ცდილობს ჩამომართვას მისი მემკვიდრეობის მმართველობა: არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმოთ, ეს უსამართლობა იქნებოდა და თქვენს ერთგულ მეგობარსა და თანაშემწეს დიდად დააზარალებდა. ვიმედოვნებ, როცა შემთხვევა მოითხოვს, ჩემ კარგ სახელს დაიცავთ.

— ნუ წუხხართ, მოხიკა, თქვენი ინტერესები — ჩემიცაა, — უპასუხა ველასკესმა. — მოველაპარაკები ლიცენციატს, თავი არ მოგაბეზროთ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, რომ ამ მხრივ უსიამოვნება აგაცილოთ.

— დე ზეცა გფარავდეთ ათასი წლის მანძილზე, სენიორ! — დაუფარავი სიხარულით ჩაილაპარაკა ხარბმა ინტრიგანმა. — გამომიყენეთ, როგორც ერთგული მონა. ნახვამდის!

VI

შიში

როგორც მოხიკამ აცნობა ველასკესს, კორტესი და გრიხალვა, რომლებიც უკვე დამეგობრდნენ, გაემგზავრნენ ქალაქგარეთ. ყოფილ გუბერნატორის ოვანდოს ფერმა სულაც არ გამოდგა საინტერესო: ორი ლიგის მანძილზე აქენეს ცხენები ჭაობიან გზაზე და ვერაფერი ნახეს საყურადღებო. ნაკვეთი დიდი ხნის მიტოვებული იყო: მხოლოდ ერთი მონა-ზანგი და სამი ინდიელი დროდადრო სარეველას მარგლავდნენ. ორი წყვილი გაძვალტყავებული ვირი, ორი ჯაგლაგი და ათიოდე ქათამი — სულ ეს იყო, რაც თვალწინ გადაეშალათ მექსიკის მომავალ დაპყრობლებს და მბრძანებლებს. გრიხალვა გულიანად ახარხარდა ამ სიღატაკის ნახვაზე: ბუნებით მორიდებულსა და მომთმენს უბრალო

რამისთვის არ შეეძლო გააფთრება. მაგრამ ასეთი ხასიათი არ ჰქონდა კორტესს; თანამგზავრის ხარხარი რომ გაიგო, წამოიძახა:

— მაოცებს თქვენი სიმშვიდე, სენიორ ხუან დე გრიხალვა. წმინდა ქალწულს ვფიცავ, წყეულმა მახინჯმა და მატყუარამ მასხრად აგვიგდო!

— ეს ძალიან სულელური ხუმრობა იქნებოდა, სენიორ კორტეს. მირჩევნია ვიფიქრო, რომ მოხიკა ამ ფერმაში რამდენიმე წლის წინადაა ნამყოფი, როცა კომანდორი ცოტა ყურადღებას მაინც იჩენდა მის მიმართ; ბოლო დროს ხომ უფრო სიამოვნებით ცხოვრობდა ბონაოში ან სანტიაგოში...

— მაშ რა საჭიროა ილაყბო, თუ დანამდვილებით არ იცი? შეიძლება იფიქრო, თითქოს ეგ ავაზაკი გუშინ იყო აქ! თავისი ჯაგარივით წარბი მაღლა აზიდა და ამბობს: იცით, სენიორ კორტეს, თუ თქვენ უკვე გადაწყვიტეთ ასუადან აქეთ, ახლოს გადმოსახლება, უფრო შესაფერისს ვერაფერს ნახავთ, ვიდრე კომანდორის მშვენიერი კარ-მიდამოაო... წადით და ნახეთ, დარწმუნებული ვარ, აღფრთოვანებული დარჩებითო. ნახა რა აღსაფრთოვანებელი, პირდაპირ ხელი მექავება ამ მატყუარას დაცქვეტილი ყურების დასაჭრელად...

გრიხალვას ხარხარისგან ცრემლები სდიოდა, თანამგზავრის აღშფოთებულ ლაპარაკს რომ უსმენდა. მაგრამ კორტესი მალე დამშვიდდა, და მეგობრები ქალაქისკენ გამობრუნდნენ, ისე რომ აღარც მოხიკა უხსენებიათ და აღარც კომანდორის სახელგანთქმული კარ-მიდამო.

— როცა ასუას დატოვება გადავწყვიტე, რომ დიეგო ველასკესს ვხლებოდი, — თქვა ერნან კორტესმა, ცოტა ხნის წინ შეწყვეტილი საუბარი რომ გააგრძელა, — ვფიქრობდი, რომ დიდი-დიდი ერთი კვირით მოვდიოდი: უკვე ერთი თვე გავიდა, ახლა კი ლაპარაკია, რომ აქ დავფუძნდე. მიკვირს, რა ადვილად შეიცვალა ჩემი გეგმები.

— ეს თვისება მგზნებარე წარმოსახვის მქონე ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, სენიორ კორტეს, — უპასუხა გრიხალვამ. — რაც შემეხება მე, მხოლოდ ერთი ფიქრით ვარ შეპყრობილი; დანარჩენი ყველაფერი ჩაიქროლებს ხოლმე ჩემ თვალწინ გრიგალივით: იბადებიან, გაიელვებენ... და მიდიან.

— შეიძლება გავიგოთ, რას ფიქრობთ, სენიორ გრიხალვა?

— ჩემს სიყვარულზე ვოცნებობ, — მოკლედ უპასუხა თანამოსაუბრემ.

— ასეც ვიცოდი, მეგობარო, მეც ხომ შეყვარებული ვარ. კასტილიიდან ახლახან ჩამოსული ყველა ქალიშვილი, ადმირალი და მისი ცოლი შექმნილი არიან იმისათვის, რათა გაგვაგიჟონ და გაგვახსენონ, რომ ზოგიერთის თვალები ყოველგვარ ოქროს ქეიშრობებსა და ყველა ენკომიენდებზე ძვირფასია. რას იტყვით კატალინა ხუარესზე?

— შესანიშნავი, მშვენიერი ქალიშვილია, სენიორ კორტეს, თუმცა იგი უბრალო და ღარიბი ოჯახიდანაა, მაგრამ ღირსია წაჰყვეს უკეთილშობილეს კაცს.

— მე მისი ბედნიერი ტყვე გახლავართ და სასიამოვნო იმედებს ველოლიავები, — თქვა კორტესმა, — თქვენ კი, დონ ხუან, არ გაბედავთ და არ გაანდობთ მეგობარს თქვენი სიყვარულის საიდუმლოს?

— ჩემი სიყვარული, — უპასუხა ჩურჩულით ჰაბუკმა, თითქოს ტყის ტევრსაც არ ენდობაო, — ჩემი სიყვარული დიდი და წმინდა გრძნობაა. იგი იმდენად დაეუფლა მთელს ჩემს არსებას, იმდენად შთანთქავს ჩემი სულის ყოველგვარ სწრაფვას, რომ მინდა ყველგან და ყოველთვის მხოლოდ მასზე ვილაპარაკო. ამ სიყვარულით ვცოცხლობ; იგი ავსებს და ალამაზებს ჩემს არსებობას; მთელი ჩემი ფიქრები ეკუთვნის ამ ქალიშვილს, რომელსაც ვაღმერთებ; იმდენად მივეჩვიე მისი გრძნობით ცხოვრებას, რომ ქალიშვილმა, ჩემი შეძულება რომ გაიფიქროს, მეც შემძულდებოდა ჩემი თავი.

— დიდია თქვენი სიყვარული, გრიხალვა, — წარმოთქვა კორტესმა, რომელიც აღფრთოვანებული უყურებდა თანამგზავრს.

— იმდენად დიდია, დონ ერნან, მის გაჭრობასთან ერთად ჩემთვის გაჭრებოდა სინათლე და სიცოცხლე, — მგზნებარედ აუბა მხარი ჰაბუკმა, — ჩემთვის ყველაფერი, სულ ყველაფერი დაკარგავდა ფასს.

— სიმდიდრეც? დიდებაც? — ჰკითხა კორტესმა.

— დიახ, სიმდიდრეც და დიდებაც, — დაუდასტურა გრიხალვამ. — მხოლოდ სიყვარული მიბიძგებს სიმამაცის, სიმდიდრისა და დიდებისკენ.

— გპასუხობენ სიყვარულზე?

— ო, დიახ; და მე ვამაყობ ამით.

— თქვენ არ გინდათ ბოლომდე მენდოთ და დაასახელოთ მისი სახელი, ვინც გიყვართ?

— მინდა მთელი ხმით ვიყვირო იგი, მაგრამ ვერ ვბედავ: მე ხომ ღარიბი ვარ და არ ვიცი, როდის შევუერთდები მას საკურთხეველთან. თქვენ, დონ ერნან, გაებედავ მხოლოდ თქვენ გაგიმხილოთ სახელი ჩემი სიხარულის, ჩემი ბედნიერების, ჩემი კერპისა... იგი მარია დე კუელარია.

— ეფიცავ, უმშვენიერესი ქალიშვილია! — აღტაცებით შესძახა კორტესმა. — მოგილოცავთ, ნამდვილად ბედნიერი ხართ, რადგან ამ საოცარი ქმნილების გული გეკუთვნით.

ასე ესაუბრებოდა ერთმანეთს ორი მხედარი, ვიდრე ქალაქის ქუჩაში არ აღმოჩნდნენ.

ბინდდებოდა, როცა მათ მთავარი მოედანი გაიარეს და გაემართნენ

ფუნდუკისკენ, სადაც დაბინავებული იყო კორტესი; მალე, მოულოდნელად შემოხვდათ მშვენივრად ჩაცმული სამი ესპანელი, რომლებიც მხედრებს მიესალმნენ. ესენი იყვნენ პედრო დე მოხიკა და ორი აზნაური, რომლებიც ეკუთვნოდნენ ესპანეთის უმაღლეს დიდებულთა წრეს — გარსია დე აგილარი და გონსალო დე გუსმანი, კეთილშობილური მიხრა-მოხრის ტანადი ჰაბუკები.

მოხიკას დაჟინებით დააცქერდა კორტესი და ხუმრობანარევი სერიოზულობით უთხრა:

— თქვენ, მგონი, ჩვენი მასხრად აგდება გადაწყვიტეთ? გირჩევთ მომავალში თავი შეიკავოთ ასეთი ხუმრობისგან, თუ ძვირად გიღირთ თქვენი მშვენიერი ყურები.

— რაშია საქმე, დონ ერნან? — შეშფოთებით იკითხა მოხიკამ. — არა მგონია, რომ ჩემმა საბრალო ყურებმა რამე უსიამოვნება მოგაყენათ.

— მაინც გიმეორებთ, მოხიკა: გაუფრთხილდით მათ.

ამ დროს საუბარი შეწყვიტა გარსია დე აგილარმა და გრიხალვას მიმართა:

— მოუთმენლად გელოდი. დაქვეითდი და დაუყოვნებლივ მოდი ჩემთან, თუ გინდა საინტერესო ახალი ამბები გაიგო.

აგილარის იდუმალმა სიტყვებმა გრიხალვა თავისდა უნებურად შეაკრთო. მან ცხენი შეაჩერა, მიუბრუნდა კორტესს და უთხრა:

— გული მიგრძნობს, რომ ცუდ ამბებს გავიგებ. ბედნიერებისთვის არ ვარ გაჩენილი, დონ ერნან!

VII

ეჯვი

მზრუნველი ტამაიო გახარებული სახით სწრაფად გაემართა მონასტრის ჰიშკრისკენ ენრიკეს შესახვედრად. დონ ბარტოლომე, რომელიც მაშინვე მოიკითხა ჰაბუკმა, ჯერ არ დაბრუნებულიყო.

— მეშინოდა, ენრიკილიო, რომ მონასტერში აღარ დაბრუნდებოდი, — წამოიძახა ტამაიომ. — როგორ გაატარე დრო?

— კარგადაც და ცუდადაც, — უკმაყოფილოდ უპასუხა ენრიკემ.

— რას ნიშნავს ეს?

— თავს ნუ მაბეზრებ, ძვირფასო მეგობარო. ჯერ თავაზიანობის მოვალეობა უნდა მოვიხადო მამების წინაშე, ჩვენ მერეც მოვასწრებთ ლაპარაკს. აიღე ეს კალათა და გამომყევი, ეს მივართვათ მამა წინამძღვარს, იგი ყოველთვის კარგად გვეპყრობა. დარწმუნებული ვარ,

დონ ბარტოლომე საქციელს მომიწონებს. მეგობარო, — მიმართა ენრიკემ ახალგაზრდა ინდიელს. რომელსაც ქალბატონის მსახურმა დაავალა მონასტერში წაეღო მოსაკითხებიანი კალათი. — სამწუხაროდ, არაფერი მაქვს შენთვის მოსაცემი... თუმცა! მომისმინე, ტამაიო, შენ გაბარია შესანახად ნათლია დონ დიეგოს ნაჩუქარი ფული, იქიდან ჩვენ ახალგაზრდა მეგობარს მიეცი ნახევარი.

— არა. არა, სენიორ ენრიკე, არაფერს მივიღებ თქვენგან: მე ხომ ბაორუკოში ვარ დაბადებული, თქვენ ჩემი ბატონი ხართ. მშვიდობით! — და ახალგაზრდა სასწრაფოდ გაიქცა.

ენრიკემ გაოცებით მხრები აიჩეჩა და მცირე დუმილის შემდეგ წაიჩურჩულა: „მისი ბატონი ვარ! არა, მე არ მსურს ვიწმეს ბატონი ვიყო, მაგრამ მონობაზეც არა ვარ თანახმა; პაჟი რაღაა?..." — დასძინა მან ზიზღნარევი ღიმილით.

ტამაიოს თანხლებით კასიკი შევიდა მონასტრის ჰიშკარში; სავანის ჩვეულმა გარემომ დაამშვიდა და შეუმსუბუქა მწარე ხინჯი, ცხენისიმაგრეში პირველად მისულამ რომ გაუჩინა.

ენრიკემ შენიშნა მოძღვარი, რომელიც მონასტრის დიდ ბაღში ისვენებდა, მივიდა მასთან და მოწიწებით ემთხვია ხელზე; ბერმა ალერსიანად მიიღო ჰაბუკი, მაგრამ ძღვენზე უარი უთხრა.

— მოსაკითხი შენთვის და ჩვენი მეგობრისთვის, ლიცენციატისთვის დაიტოვე; მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მონასტერში თანატოლებს გაუნაწილო. მთავარია, ზომიერი იყო, თორემ ტკბილეული გავნებს და ციებ-ცხელება შეიძლება გაგიმეორდეს.

— რატომ არ მწყალობთ, დიდად პატივცემულო მამაო? — ჰკითხა ამჯარად შეურაცხყოფილმა ენრიკემ — უარს ამბობთ ჩემგან საჩუქრის მიღებაზე, მახსენებთ, იგი სხვებს უნდა გავუნაწილო, და ბოლოს, მირჩევთ ზომიერი ვიყო. მწყინს, რომ ასეთი ცუდი აზრისა ხართ ჩემზე.

— არა, შვილო, ჩემო, ცუდს არაფერს ვფიქრობ შენზე; მაგრამ დღეს დავრწმუნდი, რომ ცოტა ქედმაღალი ხარ. ერიდე გულზვიადობას, ბიჭო, იგი ყოველგვარ სათნოებას აშთობს.

— დამლოცეთ, მამაო.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, შვილო ჩემო.

კასიკი თავის ოთახისკენ წავიდა, მონასტრის იმ მხარეს, სადაც ლიცენციატ კასასის სენაკის გვერდით მისი და ტამაიოს საძინებელი იყო.

„ძმა ანტონიო ღირსეული, წმინდა კაცია, — ფიქრობდა კასიკი, — მაგრამ ჭკუის სწავლება უყვარს, თანაც სრულიად შეუფერებელ დროს. და ყოველნაირად ცდილობს რამე ნაკლი აღმოაჩინოს მოყვასში. მოთმინება, ენრიკე, მოთმინება იქონიე! გახსოვდეს სენიორ ლას კასასის

რჩევა.. იგი სამართლიანი კაცია და შეუძლია ყველას დამსახურებისდა მიხედვით მოექცეს. რა მეშველებოდა, ასეთი მფარველი რომ არ მყოლოდა? ღმერთი იყოს მისი შემწე!“

ბინაში რომ მივიდა, ენრიკემ თავის ერთგულ ტამაიოსთან გააბა საუბარი და ხანგრძლივი და გულმხურვალე საუბრის მთავარი თემა მენსია იყო. ენრიკემ აღფრთოვანებულმა აცნობა, სადღესასწაულო დღეებში შეგიძლია მამიდაშვრლის ნახვაო. იგი ეცდება მოახერხოს, რომ ტამაიოც იახლოს და ისინი ერთად ნახავენ მენსიას, რომელიც ორივეს ძალიან უყვარს; მენსიასთან იყო დაკავშირებული მოგონებები ანაკაონაზე, იგემოტასა და გუაროაზე; ტამაიოს სურდა, რომ ირგვლივ მყოფთ იგი მიეჩნიათ მათი ოჯახის წევრად, მაშასადამე, ენრიკეს ნათესავად; შეიძლება, ტამაიო, მართლაც იყო მათი ნათესავი, — ყოველ შემთხვევაში, ისე დაჟინებით ამტკიცებდა ნათესავი ვარო, რომ ამაში ყველა ბერი დარწმუნდა.

— კიდევ ვინ მოგეწონა სასახლეში? — ჰკითხა ტამაიომ.

— პირველად ძალიან მომეწონა ადმირალის მეუღლე, მაგრამ...

— მერე რა მოხდა?

— არაფერი, ნამდვილად, არაფერი! — მოუთმენლად შეაწყვეტინა ენრიკემ თანამოსაუბრეს. — მხოლოდ უბედური ინდიელების ყურება მიჭირდა: ციხე-სიმაგრესთან ახლოს ზურგით ეზიდებიან ლელს, თიხას ზელენ ახალი მშენებლობისთვის. ზედამხედველები ჯოხით ერეკებიან, რომ სწრაფად იმუშაონ.

— უბრალო რაღაცა გიფუჭებს გუნებას, — თქვა ტამაიომ და მოიღუშა. — კარგა ხანია უნდა შეჩვეულიყავი ასეთ სანახაობას, არადა სიმწვიდეს დაკარგავ.

— არა, ტამაიო, ამას ვერასოდეს შევეჩვევი, — უარი განაცხადა ენრიკემ, — და, სანამ ჩემი მოძმენი იტანჯებიან, ვერ დაემშვიდდები.

ამასობაში ბინდდებოდა, ჩრდილები მუქდებოდნენ. მზის უკანასკნელი მეწამული სხივები ქრებოდნენ; მონასტრის ეკლესიის დიდი ზარი საზეიმო, ზომიერი რეკვით მოუხმობდა სალოცავად. ენრიკე და ტამაიო გაემართნენ გადახურული გალერეისკენ, რომელიც მათ საწოლ ოთახებს აერთიანებდა; იქ უკვე მოგროვილიყო მონასტრის ბერ-მონაზონთა ნაწილი. ლიცენციატ ლას კასასსაც მოესწრო დაბრუნება და ბერთა მწუხრის ლოცვას შეუერთდა.

ლოცვა რომ დაამთავრა ლას კასასმა, ენრიკეს მკლავში ხელი გაუსწორდა და მასთან ერთად გაიარ-გამოიარა ფართო გალერეაში.

— როგორაა საქმე, კმაყოფილი ხარ, ენრიკე? — ჰკითხა ლიცენციატმა (სწორედ ამ კითხვით იწყებდა იგი თავის ყოველდღიურ საუბარს ჰაბუკთან).

ენრიკემ მასაც ზუსტად ისევე უპასუხა, როგორც ტამაიოს:

— კმაყოფილიც ვარ და არც ვარ კმაყოფილი, სენიორ ლას კასას.

— რაო, კარგად არ მოგექცნენ?

— პირიქით, უკეთესად, ვიდრე მოველოდი, სენიორ.

— მაშ რითი ხარ უკმაყოფილო, მეგობარო?

— თქვენ ვერ დაგიმალავთ მიზეზს და სიამოვნებით გიამბობთ ყველაფერს. მენსიასთან შეხვედრამ დიდი სიხარული მაგრძნობინა, გამახარა ადმირალის ალერსიანმა მიღებამ; მისი მეუღლე ანგელოზივით კეთილია. ეს წმინდანივით ქალი საცოდავ მენსიაზე საკუთარი შვილივით ზრუნავს. მაგრამ, როცა თავი იმდენად ბედნიერად ვიგრძენი, რომ ჩემი მწუხარება წუთით დამავიწყდა, მან ისეთი სიტყვებით მომმართა, რომ სიცივემ ამიტანა, გული კი სევდით ამევსო. მან მკითხა: „გინდა აქ დარჩე და ჩვენი პაჟი გახდე? არ მახსოვს, რა ვუპასუხე, მაგრამ უარი ვუთხარი, და ამ წუთიდან, თვითონ არ ვიცი რატომ, ჩემთვის ყველაფერი გაცივდა იმ მდიდრულ სახლში.

— დონია მარიას კეთილგანწყობილმა კითხვამ რატომ მოახდინა შენზე ასეთი მძიმე შთაბეჭდილება? — ჰკითხა ლას კასასმა, თან დაჟინებით დააცქერდა ენრიკეს.

— პაჟად გახდომა შემომთავაზონ მე? — წამოიყვირა ჰაბუკმა. — მსახურად გახდომა; მოწიწებულად ატარო შლეიფი, მიართვა და წაიღო სავარძლები — აი, ეს არის პაჟის მოვალეობა, თვითონ მინახავს და ასეთ სამსახურს საკადრისად არ ვთვლი ისეთი კაცისთვის, რომელსაც ხელში ხმლის ჭერა შეუძლია.

ლას კასასი თავის აღზრდილს უსმენდა და შეწუხებული აქნევდა თავს.

— ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ ამაზე, მეგობარო, — შეაჩერა მან ენრიკე, — ახლა კი მითხარი, როგორ მიიღო დონია მარიამ შენი უარი?

— ანგელოზური გულკეთილობით: გაიცინა და აღარ დაბრუნებია ამ საუბარს.

— მაშ რას უჩივი?

— უკვე დამავიწყდა პაჟად გახდომის შემოთავაზება და მხიარულად ვესაუბრებოდი მენსიას ბაღში, როცა ჩემთან მოვიდა სანტა კრუსი, ქალბატონის მსახური; სირბილით წავედი კეთილ სენიორასთან და გონს ვეღარ მოვედი გაოცებისგან, როცა გავიგონე, რომ ეს კეთილშობილი მანდილოსანი ტყუილის თქმას მავალებდა.

— ტყუილის თქმას? რას ლაპარაკობ, ენრიკე? შენი სიტყვები მართალი არა მგონია.

— მეც მომეჩვენა, რომ ვბოდავდი; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა: მან მომცა წერილი, მისი ხელით დაწერილი წერილი, ჩემი ნათლიისთვის, დონ დიეგო ველასკე-

სისთვის გადასაცემად, თან მიბრძანა მეთქვა, რომ წერილს უგზავნიდა დონია მარია დე კუელარი.

— მოიცა, ბიჭო! — შეაჩერა იგი მონათხრობით გაოგნებულმა ლას კასასმა. — ილაპარაკე ჩუმად და მოყევი ყველაფერი დაწვრილებით, რა მოხდა ციხე-სიმაგრეში შენი ყოფნის დროს.

ჭაბუკმა მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით უამბო, რაც გადახდა დღის განმავლობაში. ლას კასასმა ყველაფერი მოისმინა, რამდენიმე წუთს მდუმარე და შეშფოთებული აქეთ-იქით დადიოდა გალერეაში, ცდილობდა მღელვარება დაეოკებინა, და ბოლოს, თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, თქვა:

— ნუთუ შესაძლებლია? არა, ვერ ვბედავ რამე ცუდი ვიფიქრო ასეთ კეთილშობილ ქალზე! ხვალ გავერკვევი ამ საიდუმლოში, — და მიაშურა თავის ფართო სენაკს, რომელიც საწოლი ოთახის მოვალეობას ასრულებდა.

VIII

შეტყობინება

კორტესს რომ დასცილდა, ხუან დე გრიხალვამ დეზი ჰკრა ფიცხ ბედაურს, სახლის ჰიშკართან დაქვეითდა, სადავე მიუგდო შემოგებებულ მსახურ ინდიელს, და სწრაფად შეუდგა ჩაცმას; წუთები საუკუნედ ეჩვენებოდა, — ისე ეჩქარებოდა გაეგო დონ გარსიასგან დაპირებული ახალი ამბავი.

ორივე ახალგაზრდა კაბალიერო ძალიან ჰგავდა ერთმანეთს ხასიათითა და მიდრეკილებით; აი რატომ იყო, რომ მათ ერთმანეთი ძმებივით უყვარდათ, ერთმანეთს უზიარებდნენ სიხარულსა და მწუხარებას. ორივეზე ცოტა უფროსი დონ გონსალო დე გუსმანიც ისეთივე კეთილშობილი იყო და მათთან ერთად სიამოვნებით ატარებდა თავისუფალ დროს; ის ამბავი, რომ მოხიკამ მოახერხა ამ სამი ბრწყინვალე და უნაკლო ახალგაზრდა კაბალიეროს ნდობა მოეპოვებინა, უნდა ავხსნათ ბუნების ბრძნული კანონის, ერთიანობის საიდუმლო კანონის გავლენით, რომელიც ყოფიერების, როგორც სულიერ, ისე ხორციელ მოვლენაში ათანხმებს სინათლეს ჩრდილთან, ჰარმონიას დისჰარმონიასთან. გამორჩენის თანდაყოლილი სწრაფვა ამოძრავებდა მოხიკას მოქმედებას, მას სწყუროდა ჭაბუკი გრიხალვას სიყვარულისთვის მიეყენებინა მომაკვდინებელი, მოღალატური და ზუსტი დარტყმა.

ეს გახლდათ, მოხიკას მთავარი მიზანი; სწორედ ამიტომ ცდილობდა დამეგობრებოდა სამ ახალგაზრდა კაბალიეროს, რომელთა გვერ-

დით მახინჯი იდალგო სამ ჯიშიან თვალსაჩინო ცხენს შორის აქლემს, ჰგავდა.

მოხიკას მტკიცე ხელით შეეძლო თავის ნებასურვილზე მავრიტანული გიტარის სიმებივით აეეღარუნებინა ახალგაზრდათა გულები. და აი, მოხიკა, რომელიც შეპყრობილი იყო უზომო სურვილით, ჭაბუკის ყურში ჩაეწვეთებინა მის თავზე დამტყდარი უბედურება, მთავარი მოედნისკენ გაეშურა, სადაც ნასადილევს დასეირნობდა ხოლმე გრიხალვას ორი უახლოესი მეგობარი, და ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მათ უთხრა:

— მინდა ერთი საინტერესო ამბავი შეგატყობინოთ, მაგრამ ერიდეთ, არ იფიქროთ მისი გახმაურება, ეს ამბავი საიდუმლოდ გამანდო ერთ-ერთმა მხარემ.

— ახადეთ საიდუმლოს ფარდა, მოხიკა, და იმედი გქონდეთ ჩვენი, — უთხრა გუსმანმა.

— მაშ იცოდეთ, რომ გუბერნატორის მოადგილე დიეგო ველასკესი ცოლად ირთავს დონია მარიას, დონ კრისტობალ დე კუელარის ქალიშვილს.

— რას ამბობთ! — შეჰყვირა გაოგნებულმა გარსია დე აგილარმა.

— სრული სიმართლეა, — განაგრძობდა მოხიკა. — დღეს დილით მან ოფიციალური თანხმობა მიიღო დონია მარიას მამისგან.

— მარია დე კუელარი თანახმაა? — სწრაფად ჰკითხა დონ გარსიამ.

— რა თქმა უნდა! — უპასუხა ველასკესის მესაიდუმლემ სარკასტული სიცილით.—ხომ არ გგონია არსებობდეს ქალიშვილი, რომელიც უარს იტყოდა ცოლად გაჰყვეს გუბერნატორის მოადგილეს, მდიდარს, ყოველგვარი ღირსებით შემკულს.

— და მაინც, — შეედავა დონ გარსია, — არ მჯერა, რომ მარია დათანხმდება ასეთ ბრწყინვალე ქორწინებასაც.

— მაშ არ გჯერათ? — ღვარძლიანი დაცინვით ჰკითხა მოხიკამ. — მე ისიც ვიცი, რომ დღეს საღამოს ცხრა საათზე საქმრო და საცოლე ერთმანეთს შეხვდებიან ციხე-სიმაგრის პარკში.

— ტყუიხართ, უმსგავსოვ! — მოთმინებიდან გამოვიდა დონ გარსია. — შეუძლებელია ეს მოხდეს!

გონსალო დე გუსმანმა შეაჩერა მეგობრის მოძრაობა, რომელიც მის სიტყვებს ახლდა, მერე მიუბრუნდა მოხიკას, ისე რომ ძლივს იკავებდა მღელვარებას, და უთხრა:

— ის, რასაც თქვენ ამტკიცებთ, მეტად სერიოზული ამბავია, სენიორ იდალგო, თუ ამას ვერ დაასაბუთებთ, ისე მოგექცევით, როგორც მდაბალ მატყუარას შეეფერება.

— საღამოს ცხრა საათისთვის მიდით ბაღში და შორიდან შეხე-

დეთ, ვინ იქნება მერხზე ჩამომჯდარი, — მშვიდად და ნელა თქვა მოხიკამ, — მაშინ იძულებული იქნებით საკუთარ თვალებს დაუჯეროთ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ცხენზე ამხედრებული კორტესი და გრიხალვა, კორტესმა მოხიკას დაუძახა, გარსია დე აგილარი გრიხალვას მიუბრუნდა, და უთხრა. რომ უნდა შეატყობინოს მნიშვნელოვანი ახალი ამბავი, რომელიც ჩვენ ადრე გაგუზიარეთ მკითხველს.

აგილარი მაშინვე გამოეთხოვა თავის უფროს მეგობარს, სასწრაფოდ წავიდა სახლში და გრიხალვას დაელოდა. ჰაბუკმა დიდხანს არ აცდევინა, — იგი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ამბავი ეხებოდა მის სათაყვანებელ მარიას; მან ხომ სწორედ აგილარს გაუხსნა გული და დაუფარავად უამბო თავის წმინდა გრძნობაზე.

დონ გარსიამ მოკლედ მოეთხრო ყველაფერი, რაც მოხიკასგან გაიგო ველასკესსა და დონია მარიაზე. როცა გაჩუმდა და შეხედა მეგობარს, თვალწინ წარმოუდგა მკვდრის ფერი სახე და ამოღამებული თვალები, რომელიც აუტანელ ტანჯვას გამოხატავდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— არ მინდა დავიჯერო ასეთი საშინელი უბედურება, — ჩაილაპარაკა ბოლოს ჰაბუკმა, რომელიც გაჰკირვებით ამოძრავებდა ტუჩებს. — მინდა თვითონ დავრწმუნდე სიმართლეში.

— რას აპირებ? — მკვირცხლად ჰკითხა თავის მეგობარს დონ გარსიამ.

— დანიშნულ დროზე ცოტა ადრე მივალ ბაღში; კარგად ვიცნობ მის გალავანს: იქ კუთხეებში ხშირი სუროა შეფენილი; მის ჩრდილში მიმალულს შეუძლია ჩუმად ადევნოს თვალი ყველაფერს. რაც ბაღში ხდება. ჩემს ბუნებაში არ ჯდის თვალთვალი, მაგრამ საქმე ეხება ჩემ ბედს, მთელი ჩემი ცხოვრების ბედს ან უბედობას, — და მართალი უნდა ვიცოდე, თუნდაც მწარე სიმართლე, რომ მწუხარებისგან მოვკვდე ან დავსაჯო მატყუარა.

— მე წამოგყვები გრიხალვა. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა დონ გარსიამ, — მაგრამ ვშიშობ, რომ მოხიკამ მართალი თქვა.

— აჰ, აგილარ, ღმერთია მოწმე, რომ მეც მეშინია, მაგრამ გაურკვევლობა სასტიკ სიმართლეზეც კი მწარეა. ჩემ მდგომარეობაში სიკვდილი ჯობს ეჭვებით ტანჯვას.

— როგორ მოიქცევი, თუ, ღმერთმა დაგვიფაროს და, ჩვენი შიში გამართლდა?

— არ ვიცი, ნამდვილად, არ ვიცი, — თქვა ჰაბუკმა და ჩუმად ამოიოხრა, — რა თქმა უნდა, ულირს ბრაზს არ ავყვები. მაგრამ თუ მარიას აძალებენ ამ ქორწინებას, შეეძლება მთელი ქვეყნისგან დაიცვა იგი.

— ძალიან კარგი, გრიხალვა, მე კი ყველა შემთხვევაში შენს გვერდით მიგულე, — უთხრა მეგობრის უბედურებით სულის სიღრმემდე შეძრულმა აგილარმა. — თუ ჩემი ხმალი დაგჭირდება, შეგიძლია იმედი იქონიო; მაგრამ მეც შენსავით ვთვლი, რომ ყველაზე კარგია და ღირსეული, თავს მოერიო, თუ მარიამ გიღალატა.

— ნუ საყვედურობ, ნუ დაადანაშაულებ მას ნურაფერში, აგილარ, — ცხარედ შეეპასუხა გრიხალვა. — თუ ჩემი უბედურების ამბავი დადასტურდება, ესე იგი მარიას სიყვარულის ღირსი არ ვყოფილვარ და უნდა შევურიგდე ბედს: თუ მან გადამიყვარა, ჩანს, იგი სწორად მოიქცა. არა, მეგობარო! ამ ქალიშვილს არაფერში ვადანაშაულებ. იგი ჩემი სიცოცხლის სინათლე და სიხარულია; უმალ ჩემი გული ფეთქვას შეწყვეტს, ვიდრე მას ვუსაყვედურებ, რომ გადამიყვარა და სხვა შეიყვარა.

— შენ ბოდავ, ძვირფასო ხუან! — უთხრა აგილარმა, თან მკაცრად შეხედა მეგობარს. — არ იცი, რას ამბობ. ჩემი აზრით, შენ არ უნდა გააფთრდე და აბობოქრდე შენი მანდილოსნის უპირობის გამო; მაგრამ გულსატკენია მოსასმენად, რომ შეგიძლია განადიდო იგი ასეთი საქციელისთვის, ეს არ შეგფერის.

— ვწუხვარ, არ გესმის ჩემი, აგილარ, — მწარედ ჩაილაპარაკა გრიხალვამ. — შენ რომ ჩემსავით გიყვარდეს, გამიგებდი. მოხიკა თუ ტყუის? თუ ეს მდაბალი ცილისწამებაა?.. ნეტა, მეტისმეტად ადვილად ხომ არ ვირწმუნეთ ყველაზე ცუდი რამ! ხოლო თუ მართალია, ეს არის საუკეთესო დასტური, რომ მე ამ ანგელოზის სიყვარულის ღირსი არა ვარ.

— პირველ ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ, მეგობარო, — დაჟინებით თქვა დონ გარსიამ. — უარი არ თქვა შენს განზრახვაზე, ყველა შემთხვევაში თავშეკავება გამოიჩინო. ამრიგად, საღამოს ცხრა საათზე ბაღში.

— აუცილებლად. მაგრამ ცხრა საათამდე სამი საათია დარჩენილი და ეს დრო საუკუნედ მომეჩვენება. თან ძალა არ შემწევს მშვენიერ თვალებში ჩავხედო იმას, რომელსაც უკვე ვერ ვბედავ ჩემი საყვარელი ვუწოდო და დღეს ადმირალის სახლში არ წავალ.

— ჩემთან დარჩი ვახშმად, გრიხალვა. აქამდეც უნდა მეფიქრა, რომ დილიდან არაფერი გიჭამია, ქალაქგარეთ კორტესთან ერთად თუ არ ისაუზმე.

— მართალი გითხრა, არა, მაგრამ ჭამა არ მინდა. ლუკმასაც ვერ გადავყლაპავ, დარდი მტანჯავს. დიახ, ძვირფასო აგილარ, მე მშიშარა ვარ, ვერ გავუძლებ ამ განსაცდელს.

საბრალო ჭაბუკს ძალა არ ეყო თავი შეეკავებინა, გრძნობები ნებაზე მიუშვა და ერთგულ მეგობარს ქვითინით ჩაეკრა გულში.

IX

წარმავალი ღრუბლები

თითქმის იმავე დროს, როცა ენრიკე ესაუბრებოდა ფრანცისკანელთა წინამძღვარს, გრიხალვა კი თავის მეგობარს აგილარს, კეთილი და გულუბრყვილო მარია დე ტოლედო ელაპარაკებოდა ადმირალს, მეუღლეს.

გულაჩვილებული დედოფალი, რომელსაც ამოძრავებდა სურვილი, რადაც უნდა დაჯდომოდა დახმარებოდა საბრალო მეგობარს და შეემშრალებინა მისთვის ცრემლები, რომლებსაც იგი მის მკერდზე აფრქვევდა, თავისდა შეუმჩნეველად დაადგა არასწორ გზას და გამოიჩინა უყურადღებობა პირადი ღირსების საზიანოდ, რადგან დაავიწყდა, რას ავალებდა მას მაღალი წოდება; მსგავსი დაუფიქრებლობა მაინც იმსახურებს შეუწყნარებლობას, — ახალგაზრდა ქალი ხომ გულის კეთილშობილურ ზრახვას აჰყვა.

დიეგო კოლუმბმა გულისყურით მოისმინა ცოლის ნაამბობი, თუ რა სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდა მარია დე კუელარი და როგორ გადაწყვიტა ქალმა იმ ჭალიშვილის ხსნა უბედურებისგან.

მეუღლე ელოდა, რომ მის საქციელს სრულიად მოიწონებდა ქმარი, რომელიც ყველაფერს უთმობდა და, როგორც გარდაუვალი კანონი, ყოველთვის ასრულებდა მის ყოველ სურვილსა და უმნიშვნელო ჟინსაც კი. დიდი იყო ახალგაზრდა ქალის გაოცება, როცა ამჯერად ადმირალმა, რომელმაც ბოლომდე მოისმინა ცოლის საუბარი, შუბლი შეიკრა, რისხვა ძლივს შეიკავა და მკაცრად თქვა:

— ვერა გცნობთ, სენიორა: ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ, რომ დაგავიწყდათ საკუთარი ღირსება, ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტეთ და ასეთ ამბავში გაეხვიეთ, სხვათა სასიყვარულო საქმეების მფარველის როლში გამოხვედით? როგორ, პაემანი ჩვენს სახლში! და თქვენი საკუთარი ხელით დაწერილი წერილით მოიწვიეთ ბაღში კაცი, რომელიც ვალდებულია უსიტყვოდ დაგვემორჩილოს. თვითონვე შესთავაზეთ შეურაცხყოფა მიაყენოს ჩვენს ოჯახს! ნუთუ გგონიათ შემიძლია მოგიწონოთ ასეთი საქციელი?..

მკაცრი საყვედურებით გაოგნებული ახალგაზრდა ქალი დაიბნა, რადგან თავს დამნაშავედ არ გრძნობდა, გასამართლებელ სიტყვას ვერ პოულობდა ამ მოულოდნელი სასტიკი სამდურავის საპასუხოდ. მათი ცოლქმრული ბედნიერების უღრუბლო ცაზე ჯანღი ჩამოწვა. ცრემლებმა იწვიმეს მისი მშვენიერი თვალებიდან; სახეზე ხელები აიფარა და მწარედ შეჰკივლა:

— დიეგო, არ მოველოდი, რომ შეგეძლო ასე მკაცრი ყოფილიყავი ჩემთან! ვთქვათ, შევცდი, მაგრამ ასეთ სასჯელს არ ვიმსახურებ...

დიეგო კოლუმბის მთელი რისხვა უცებ გაქრა, როგორც კი გაიგო ქვითინით დახშული საყვარელი ხმა. მიირბინა ცოლთან და მოეხვია, მიიზიდა, გული უცებ სინაზით აევსო და დამნაშავესავით თქვა:

— მაპატიე, ჩემო სიცოცხლევ! მაპატიე დაუფიქრებელი საყვედურები. მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, რომ მეტად სუფთა და წმინდა ზრახვები გამოძრავებდა, მხოლოდ გამოუცდელობამ დაგაყენა მცდარ გზაზე. განა შეიძლება შენთვის ბრალის დადება, ჩემო სიცოცხლევ! შენ ცოტა გაუფრთხილებლად მოიქეცი, და ჩვენ ვეცდებით გამოვასწოროთ წინდაუხედაობა.

საალერსო სიტყვებით დამშვიდებულმა მარია დე ტოლედომ მაშინვე სიტყვა მისცა თავის თავს სრული მორჩილებით გამოესწორებინა საყვარელი ქმრის წინაშე ჩადენილი უნებური დანაშაული და შეემზადა უსიტყვოდ მიეღო ყოველი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მხარი დაეჭირა მისთვის, ოღონდ დაევიწყებინა ხანმოკლედ ამოვარდნილი ქარიშხალი.

მარიას არ შეეძლო გულგრილად მსჯელობა და მსუბუქი განცდა როგორც სჩვევია ყველა ვნებიანი და შთაბეჭდილებიანი ბუნების ადამიანს, უცებ შეიცვალა შეხედულება მომხდარ ამბავზე, მისი დიდსულოვნების აფეთქება ქმრისგან მიღებულმა მკაცრმა საყვედურმა გააჭრო. მეგობრობაში თავდადებულს, როშელსაც არ შეეძლო მოქცეულიყო ანგარიშიანად და ეგოისტურად, დააეიწყდა საკუთარი თავი და, მეგობრის უბედურება რომ გაიგო, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ეშველა მისთვის. დონ დიეგო კოლუმბი უფრთხილდებოდა თავის სახელს, პატივსა და ღირსებას. დიეგომ მეუღლეს შეახსენა მაღალი მოვალეობა, რომელსაც მარიამ გამოუცდელობით ვერ გაუწია ანგარიში, და აი, როცა დარწმუნდა, რომ მისი გაუფრთხილებლობა დამსახურებულად გაიკიცხა, მარია გრძნობდა დაუძლეველ სურვილს ყოველი ღონე ეხმარა და გამოესყიდა დანაშაული.

— რა უნდა გავაკეთოთ, ძვირფასო მეგობარო, რომ ჩემი შეცდომა გამოვასწოროთ? — ალერსიანი დაჟინებით ჰკითხა ქმარს.

— მოფიქრება მაცალე, — უპასუხა ადმირალმა. — შენზე ნაკლებად არ მინდა მარია დე კუელარის კეთილდღეობა და ბედნიერება, მაგრამ ამისთვის შენი კეთილი სახელის საფრთხეში ჩაგდების მომხრე არა ვარ. შენ ჩემთვის ყველაფერზე მაღლა დგახარ. დე, ღმერთმა ხელი მოუმართოს ველასკესის საცოლეს, რაკი ჩვენ უძლურნი ვართ დავეხმაროთ მას.

— შენ ფიქრობ, რომ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია მისთვის? აჰ, დიეგო, რომ გადაეწყვიტათ ჩემი მითხოვება სხვისთვის და არა შენთვის!..

— ვინ იცის, იქნებ, სიამოვნებით დათანხმებულიყავი. მარია. ასეთი აზრი ყოველთვის თან სდევს მამაკაცს, როცა ქორწინება ხდება საცოლის მშობლებთან წინასწარ შეთანხმებით.

— უმადურო! რა საჭიროა ასე ლაპარაკი? განა შენ დარწმუნებული არა ხარ, რომ ჩემ გულს სხვა სიყვარული არ გაჰკარებია?

პასუხის ნაცვლად ადმირალმა გაიცინა და მარიას სპეტაკ და ნათელ შუბლზე აკოცა.

— მაგრამ, რა მოუვა საბრალო მეგობარს, თუ მას ბედს მივანდობთ? იფიქრე, დიეგო, — ისევ გაიმეორა მარიამ.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შესაძლებელია, — უპასუხა ადმირალმა. მაგრამ პირველ რიგში აუცილებელია დიეგო ველასკესისაგან დავიბრუნოთ შენი ხელით დაწერილი წერილი, ამას მე გავაკეთებ. მერე, ვეცდებით დრო მოვიგოთ და ხელი შევუშალოთ ქორწინებას, მაგრამ საჭიროა კიმოქმედოთ ფრთხილად. რომ ველასკესმა ვერ დაიჩიცქოს ტყუილებელყოფა ან უარა. რადაც უნდა დამიჯდეს. მისი მეგობრობა უნდა შევინარჩუნო. ვინც ხელისუფლების სათავეშია, მას თავისი მოვალეობებიც აქვს, ჩვენ გზაზე ეკალიც გვხვდება, როგორიცაა, მაგალითად, ნამდვილი გრძნობების დაფარვის აუცილებლობა: ამას იძულებულია შეურიგდეს ყველა პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი, რომელიც ხელისუფლებითაა აღჭურვილი. ჯერჯერობით დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ქორწინება ერთი წლით გადაიდება: ვფიქრობ, ველასკესი უარს ვერ იტყვის. თუ საცოლე მისწერს ამას, რადგან აგრძნობინებს, რომ მისი სურვილის ასრულებას სხვა არაფერი აბრკოლებს. ამ საქმეს შენ მოჰკიდებ ხელს: ეცადე შენს მეგობარს ჩააგონო, ასეთი რამ რამდენიმე სტრიქონით მისწეროს საქმროს და ეს წერილი დაუყოვნებლივ მომიტანე. დრო არ ითმენს. საღამო ახლოვდება, საჭიროა კიდევ სხვა ზომების მიღება. ნახვამდის.

თქვა ადმირალმა, კიდევ აკოცა ცოლის ნათელ შუბლს და გაუშვა; მარია დე ტოლედო გავიდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება უკეთ შეესრულებინა ქმრის დავალება, — ძალიან უნდოდა, რომ ქმარი კმაყოფილი ყოფილიყო მისი მოქმედებით.

X

სასიკვდილო დარტყმა

ჩვენმა გმირებმა სიზუსტე გამოიჩინეს: როგორც კი ციხე-სიმაგრის ქონგურებიან კოშკზე საათმა ცხრაჯერ დაჰკრა, ბაღის ჭიშკარში ოსმის მხრიდან შევიდნენ დიეგო ველასკესი და მისი განუყრელი შუამა-

ვალი პედრო დე მოხიკა, ორივენი ლაბადებში იყვნენ გახვეულნი, როგორც მაშინდელი ჩვეულება მოითხოვდა. ზედმეტი სიფრთხილის გარეშე გაემართნენ ბაღის სიღრმისაკენ, სადაც საამო სუნის მფრქვევ ბუჩქებსა და დიდი გემოვნებით ნაკეთებ თიხის ვაზებს შორის, სურნელოვანი მცენარეები და ევროპიდან შემოტანილი იშვიათი ჯიშის ყვავილები იყო ჩარგული, ალმართულიყო საზაფხულო პავილიონი. ორი ქვის სკამი შავად მოჩანდა ერთმანეთის პირდაპირ, პატარა ფარნებით განათებულ მოედანზე. სინათლე მკრთალ ტალღასავით ლივლივებდა ბინდში ჩაფლულ ბაღის ბილიკებზე და საოცარ სურათებს ქმნიდა.

დიეგო ველასკესთან ერთად სახლიდან რომ გამოდიოდა, მოხიკამ დამაჯერებლად თქვა:

— გრიხალვა ამ პაემანს არ გააცდენს.

ბაღში რომ მივიდნენ, შუამავალმა გამჭრიახი თვალი მოავლო გარემოს და პატრონს უჩურჩულა:

— გრიხალვა უკვე ადგილზეა.

— სად არის? — ჩურჩულითვე ჰკითხა ველასკესმა.

— იქ, სიღრმეში, მარცხნივ; მაგრამ ფრთხილად, დაჟინებით ნუ უყურებთ, თორემ, ღმერთსა ვფიცავ, ყველაფერს დაღუპავთ.

— კარგით, — უთხრა ველასკესმა და მშვიდად დაჯდა სკამზე.

მოხიკამ, რომელიც დაძაბულად მისჩერებოდა სიბნელეს, ისევ დაიჩურჩულა:

— გრიხალვა მარტო არაა, მას მეგობარი ახლავს. ახლოს მისვლას ვცდი, მაშინ უფრო ადვილი იქნება თვალის დევნება.

და მოხიკა იქით წავიდა.

როგორც კი ველასკესი მარტო დარჩა შუა ბაღში, მაშინვე ფართოდ გაიღო სასახლეში შესასვლელი კარი და გამოვიდა ადმირალი დონ დიეგო, რომელსაც ორი პაჟი ახლდა მაშხალებით; იმავე წუთში, ოკეანის მხარეს, კარში გუშაგთა ჯგუფი გამოჩნდა: მოელვარე ცულებით შეიარაღებული რვა მებრძოლი, წესის მიხედვით გამწკრივდა იქვე კარის წინ, თითქოს გზას უღობავდნენ ყველას, ვინც ბაღიდან გასვლას შეეცდებოდა.

დონ დიეგო კოლუმბი აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯებით გაემართა მოედნისკენ, სადაც ველასკესი იჯდა. იგი მოკრძალებით ადგა და მოწიწებით მოიხადა ქუდი, თან ცდილობდა დაეფარა უხერხულობა, რომელიც დაეუფლა სახლის პატრონის გამოჩენისას.

— საღამო მშვიდობისა, დონ დიეგო ველასკეს, — უბრალოდ მიესალმა მას ადმირალი. — საღამოობით ყვავილნარის ჰაერი ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

— სენიორ, — უპასუხა ველასკესმა, — მე აქ სუფთა ჰაერისთვის

კი არ მოვედი, არამედ, თავაზიანობის გამო, რაც არ შემეძლო უგულებელმეყო.

— ხომ არ შეიძლება მითხრათ, ვინ დაგინიშნათ პაემანი ამ დროს? — ჰკითხა დიეგო კოლუმბმა ოდნავ შესაჩნევი დაცინვით.

— სიამოვნებით დავაკმაყოფილებ თქვენი მოწყალების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, — უპასუხა ველასკესმა. — ჩემმა საცოლემ, დონია მარია კუელარმა მოიწვია. მნიშვნელოვანი რამ უნდა შეგატყობინოთო, აქეთ გამოვეჩქარე, ეს ამბავი საიდუმლოდ არ ჩავთვალე, რადგან, თქვენი მოწყალებისგან მივიღე მოლოცვა ჩემთვალ ქორწინებასთან დაკავშირებით, მეგონა, სულაც არ შეელახვდი თქვენს პატივისცემას, ჩემი მომავალი მეუღლის სურვილი რომ შემესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში არასდროს არ გადმოვაბიჯებდი ამ ბაღის გალავანს, რომელიც თქვენ გეკუთვნით და ამიტომაც წმინდაა ჩემთვის.

— დონ დიეგო, — დაიწყო სერიოზული ტონით ადმირალმა, — დიდად ვაფასებ თქვენს გულწრფელობას. რაც თქვით, ყველაფერი წინასწარ ვიცოდი. ხელი ნინდა ჩამოგართვათ. ახლა კი ჩემთვის სასურველი იქნებოდა მიმეღო ის წერილი, რომლითაც თქვენ პაემანი დაგინიშნეს, ნაცვლად მეორისა, სადაც თქვენი საცოლე გატყობინებთ თავის სურვილს და წუხს, რომ არ შეუძლია პირადად გელაპარაკოთ.

დიეგო ველასკესი პასუხს აყოვნებდა, რადგან მეტად გაოცებული იყო, რომ ადმირალმა და კოლონიის გუბერნატორმა ხელი მოჰკიდა ასეთ უცნაურ როლს, რომელიც შეუფერებელი გახლდათ მისი მაღალი რანგისთვის.

— ყოყმანობთ, დონ დიეგო? — შენიშნა ადმირალმა და მოიღუშა.

— სულაც არა, სენიორ, — უპასუხა ველასკესმა, — უბრალოდ დაბნეული ვარ თქვენი გულკეთილობით.

— ჩათვალეთ იგი თქვენდამი ჩემ ღრმა პატივისცემად, ველასკეს, თქვენ გარდა, დაუსჯელად ვერავინ ვერ შეძლებდა ამ ბაღის გალავანში შემოსვლას; რა თქმა უნდა, კეთილი ზრახვები გამოძრავებთ, მაგრამ ამავე დროს, თქვენ და თქვენმა საცოლემ სერიოზული შეცდომა დაუშვით. სწორედ მომხდარი ამბავი, თან ჩემი თქვენდამი და მარია დე კუელარისადმი ჩემი მეუღლის მეგობრული გრძნობა მაიძულებს, მეტისმეტად დაინტერესებული ვიყო. რომ ქორწილი შესდგეს, თუმც ცოტა მოგვიანებით; ქორწინების მოსალოდნელ გადადებას გაცნობებენ ამ წერილით, რომელსაც გადმოგცემთ თქვენი საცოლის სახელით.

ველასკესმა წერილი გამოართვა, არ იცოდა შეპასუხებოდა თუ მხოლოდ მადლობით დაკმაყოფილებულიყო; ამასობაში დიეგო კოლუმბი ღიმილით განაგრძობდა:

— მხედველობაში იქონიეთ, დაჟინებით მოვითხოვ გაცვლას: დამიბრუნეთ ადრე მიღებული წერილი.

— სენიორ, გთხოვთ დაგეტოვებინათ იგი ჩემთვის ხვალამდე, — უთხრა ველასკესმა.

— არავითარ შემთხვევაში, მეგობარო, მსურს შევინარჩუნო კეთილი მეგობრობა, — თქვა ადმირალმა ისეთი ტონით, რომელიც წინააღმდეგობას არ დაუშვებდა. — თუ დამიბრუნებთ ადრინდელ მონაწერს — მოგებული დარჩებით, თუ გაჯიუტდებით, წერილს ვიპოვი თქვენს უსულო ტანზე.

— სენიორ, — ზვიადად უპასუხა ველასკესმა,— მუქარა — ერთადერთი საშუალებაა არ დაგემორჩილოთ ჩემნაირი ადამიანი, რომელიც ამაყობს თქვენდამი მორჩილებით.

— მომისმინეთ, ველასკეს, მარია დე კუელარს დაეპირდი დამებრუნებინა მისთვის ადრე გამოგზავნილი წერილი, იმის დასტურად, რომ გადმოგეცით მისი ახალი წერილი. სულაც არ ვაპირებ სხვისი საიდუმლოებით დავინტერესდე, რადგან ამ წერილის შინაარსი ვიცი. თუ არ ვცდები, იქ ასე წერია: „საჭიროა ჩემგან გაიგოთ ამბავი, რომელიც თქვენს მომავალ ბედნიერებას ეხება...“ ასე არ არის, დონ დიეგო? — მოულოდნელად ჰკითხა ადმირალმა.

— დიახ, სენიორ, გთხოვთ განაგრძოთ, — უპასუხა ველასკესმა.

— განაგრძობ: „ეხება თქვენგან გადადგმულ ნაბიჯს. დღეს საღამოს გელით ბაღის კართან, რომელიც მდინარისკენაა...“ ხომ ასეა? — ისევ ჰკითხა დიეგო კოლუმბმა.

— დიახ, სენიორ, — ღიმილით დაემოწმა ველასკესი, — თითქმის სიტყვასიტყვით ამბობთ. თქვენ მოწყალებას შეხაშური მეხსიერება აქვს, ამის ჯილდოდ აი წერილი, რომელსაც ითხოვთ, განა შეიძლება რამეზე უარი გითხრათ?

დიეგო კოლუმბი მივიდა ფარანთან, გახსნა დაკეცილი ქაღალდი, ხელწერას დახედა, დარწმუნდა, რომ ეს ის წერილია, რომლის მიღებაც უნდოდა; დაკმაყოფილებულმა, ხელი გაუწოდა ველასკესს და უთხრა:

— შეგიძლიათ შინ წახვიდეთ დარწმუნებული, რომ ჩემზე უკეთესი მეგობარი არ გყავთ; უახლოეს ხანში დარწმუნდებით ამაში, მწვიდობით.

ადმირალი, რომელსაც ჰაეები ახლდნენ, გაქრა იმავე კარში, რომლიდანაც გამოვიდა. მდინარისკენ გამავალ ჰიშკართან ჩამწკრივებული გუშაგები უხმოდ წავიდნენ, გაათავისუფლეს ბაღიდან გასასვლელი;

მოხიკა სიბნელეს გამოეყო, სწრაფად წამოვიდა ველასკესისკენ და უთხრა:

— წავიდეთ აქედან, ჩქარა, სენიორ. მაგარი შიში კი ვქამე! ჩვენი ბედი, რომ ადმირალი. ასე კეთილი იყო.

— კარგ დღეში კი ჩავვარდით! — ამოიოხრა ველასკესმა. — როგორ გგონიათ, გრიხალვას უველაფერი ესმოდა?

— მგონი, ესმოდა, — დაუდასტურა მოხიკამ, — თქვენ ხომ სულ არ ფრთხილობდით, პირადად მე უველაფერი მესმოდა, იქნებ, იმიტომ, რომ ასეთი დიდი ყურები მაქვს.

— შეიძლება, — დაბნეულად უპასუხა ველასკესმა და გასასვლელისაკენ გაემართა.

მაგრამ ვიდრე იგი ყვავილნარიდან გამოვიდა, მის წინ მოულოდნელად აღიმართა გრიხალვა, რომელიც სულ არ ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ველასკესმა, რომელსაც ანახდეულად წაუსწრო მოქიშპემ, დაშნის ვადას სტაცა ხელი.

— მომიხსმინეთ, დონ დიეგო, — უთხრა გრიხალვამ, თან ხელის მოძრაობით შეაჩერა იგი. — ამისთვის არ მოვსულვარ. იცით თუ არა თქვენ, რომ მე მიყვარს მარია დე კუელარი?

— არა, პაბუკო, — შეეპასუხა ველასკესი, — უბრალოდ ვერ გიცანით, და ამიტომაც ზომები მივიღე თავდაცვისთვის: თქვენ ისე მოულოდნელად გამოჩნდით...

— ჰოდა, — განაგრძობდა გრიხალვა, — იცოდეთ, რომ მე მიყვარს ეს ქალიშვილი; გულწრფელად გომხელთ ამას, რომ ჩემი შემდგომი სიტყვები დაიჯეროთ: თუ წერილში, რომელიც ადმირალმა გადმოგცათ და მისი შინაარსი მოკლედ გითხრათ, ნათქვამია ის, რაც მოვისმინე, საზეიმოდ ვფიცავ, არამცთუ უარს ვიტყვი თქვენთან ჭიშპობაზე, არამედ გადმოგცემთ დაშნას, როგორც თქვენი უერთგულესი მეგობარი, შემოგთავაზებთ სიცოცხლეს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. შეგიძლიათ წერილი წამაკითხოთ?

ველასკესმა ყოყმანით შეხედა მოხიკას, მან კი, როცა ნახა, მისგან რჩევას ითხოვდნენ, მისაშველებლად გაეშურა:

— ვფიქრობ, სენიორ დონ დიეგო, რომ კაბალიერო გრიხალვას სურვილი კანონიერია და სრულიად ადვილი შესასრულებელი.

— რას ვიზამთ, წავიკითხოთ იგი ერთად, დონ ხუან, — თქვა ველასკესმა.

ისინი ერთად მივიდნენ ფარანთან, მოხიკა კი, რომელიც მიჩვეული იყო უველგან ჩაეყო ცხვირი, მათ გაჰყვა უკან.

ველასკესმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა, გრიხალვა კი თვალებით ჰამდა წერილის სტრიქონებს.

„სენიორ დონ დიეგო, — ნათქვამი იყო წერილში, — ჩემთვის შეუძლებელია ბაღში მოსვლა, რაც ადრე მქონდა განზრახული. პაემანი დაგინიშნეთ იმიტომ, რომ დაბეჯითებით გთხოვთ, ხვალ, ნიშნობის დროს, მამაჩემის თანდასწრებით, ჩვენი ქორწილი გადასდოთ ერთი წლით. ეს ერთი წელი მჭირდება აღთქმის შესასრულებლად. დიდად

დაგმადლებთ, თუ ჩემი სიყვარულისთვის შეასრულებთ ჩემს თხოვნას. ღრმა პატივისცემით, თქვენი საცოლე მარია დე კუელარი“.

— ღმერთმა დალოცოს! — აღფრთოვანებით შესძახა მოხიკამ, როცა გრიხალვას და ველასკესის უკან იდგა და იქიდან კითხულობდა წერილს.

— დაკმაყოფილდით, სენიორ დონ ხუან?

— დიახ, — ყრუდ ჩაილაპარაკა უბედურმა გრიხალვამ, — მეც შევასრულებ დანაპირებს, ამიერიდან თქვენი მსახური ვარ.

ველასკესმა ალერსიანად გაუწოდა ხელი და მოხიკას თანხლებით გავიდა ბაღიდან.

ხუან დე გრიხალვა სკამზე მოწყვეტით დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა.

როცა ივი ასეთ მდგომარეობაში ნახა, დონ გარსია დე აგილარმა, რომელიც ბაღში მასთან ერთად მოვიდა, მაგრამ ბუჩქნარში შეფარებული იცდიდა, მიუახლოვდა და სიყვარულით უთხრა:

— გამაგრდი, გრიხალვა! იმედგაცრუება მწარე იყო, მაგრამ არ გაგიჭირდება თავი სხვა ქალიშვილთან ინუგეშო... მაპატიე, თვითონ არ ვიცი, რას ვლაპარაკობ, ძვირფასო მეგობარო; მაგრამ ტყუილი არ შემიძლია და შეიძლება კარგად ვერ გამოვთქვამ, რასაც ერთგული მეგობრობის გრძნობა მკარნახობს.

გრიხალვა არ პასუხობდა; დამწუხრებული ახალგაზრდა კაცები გავიდნენ ციხე-სიმაგრის ბაღიდან.

XI

ახსნა-განმარტება

ახალი დღის დაბადების მაუწყებელმა მზემ ირგვლივ ყველაფერი სინათლითა და სიცოცხლით აავსო. იგი ჰორიზონტზე ამოიწვერა, როცა ლას კასასმა, რომელსაც მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ჩვეული სიჩქარით გასწია დიეგო ველასკესის სახლისკენ. ისინი უფრო დაახლოვდნენ, რაც უნებისყოფო ველასკესმა მერყეობა დაიწყო სიკეთესა და ბოროტებას შორის, იგრძნო ლას კასასის ზნეობრივი უპირატესობა და მოწიწებული ყურადღებით უსმენდა მის ყოველ დარიგებას, რასაც კეთილად განწყობილი ლიცენციატი არ იშურებდა.

იმ დღეს ველასკესი პირველად უნდა შეხვედროდა ოფიციალურად თავის საცოლეს, რის შემდეგაც მამა ნებას დართავდა ახალგაზრდებს თავისუფლად შეხვედროდნენ ერთმანეთს, როგორც დანიშნულები.

ველასკესმა ლას კასასს სთხოვა პატივი ეცა მისთვის და ამ ცერემონიას დასწრებოდა, იგი სიამოვნებით დათანხმდა შეესრულებინა მეგობრის სურვილი. თუმცა ლას კასასს სულ სხვა მიზეზი ჰქონდა, რამაც გადააწყვეტინა ასე ადრე სწვეოდა ბედნიერ საქმროს: ლიცენციატს უნდოდა გაერკვია ზოგიერთი საკითხი, რომელიც მას ენრიკეს ნაამბობით გაუგებარი და აბნეული ეჩვენა. მისი აზრით, ადმირალის მეუღლის ჩარევას სეფექალის ბედში საყურადღებო მნიშვნელობა ჰქონდა: ლიცენციატი მიხვდა, რომ აქ რაღაც საიდუმლოება იმალებოდა, და მისთვის დამახასიათებელმა სიმარჯვილისადმი სწრაფვამ გადააწყვეტინა გაეგო, რას ნიშნავდა ქალბატონის ხელით დაწერილი და ველასკესისათვის მისი საცოლის სახელით გაგზავნილი წერილი.

ველასკესმა იგი ჩვეულებრივი პატივისცემით მიიღო, უბრალოდ და გულახდილად უპასუხა მეგობარს პირდაპირ დასმულ კითხვაზე, დაუფარავად უამბო წინ ღიით მომხდარი ამბები.

„ადმირალის დაჟინება, დაებრუნებინათ მისთვის წერილი, რომლითაც პაემანი იყო დანიშნული, — ფიქრობდა ლას კასასი, — კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი მისი მეუღლის დაწერილი იყო. საჭირო იქნება ციხე-სიმაგრეში წასვლა და გაგება, რაშია საქმე. საჭიროა შემოწმება, სწორია თუ არა ენრიკე, რომელსაც სასახლე ზიზღსა ჰგვრის, მართალია თუ არა, თითქოს იქ მას აძლევენ დავალებებს, ჩვეულებრივად მსახურნი რომ ასრულებენ. „Oh tempora! oh mores!“ [1] — დასძინა გუნებაში ლიცენციატმა ციცერონის ცნობილი შეძახილი.

იგი გამოემშვიდობა ველასკესს და მოგვიანებით მისვლას დაჰპირდა, რომ ხლებოდა კონტადორის სახლში; როგორც დათქმული ჰქონდათ, იგი მალე შევიდა ციხე-სიმაგრეში, დიეგო კოლუმბის სასახლეში, რომელიც მშვენიერ ხასიათზე დახვდა. მისალმების შემდეგ, მოუთმენელი ლიცენციატი უცებ, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, შეუდგა საქმეს, დაიწყო ველასკესის წინადადებით, გაჰყოლოდა მას ოფიციალურ ნიშნობაზე; მაგრამ, დასძინა ლას კასასმა, მისთვის სასურველი იქნებოდა გაეგო, რა მოხდა წინღიით საღამოს ბაღში და გუშინდელი ამბები ხომ არ მოახდენს გავლენას ზემოთ აღნიშნულ დარბაზობაზე, უფრო სწორედ, ხომ არ მოუწევს მას, ლას კასასს, თავისი ღირსების დათმობა და დაუმსახურებლად გაწითლება. დიეგო კოლუმბმა გულმართლად უამბო მომხდარი ამბავი, არც ის დაუმალავს, რომ გამორთმეული წერილი მისი მეუღლის ხელით იყო დაწერილი, ბოლოს, ლას კასასს სთხოვა საიდუმლოდ შეენახა ყველაფერი. ასეთი გულახდილობა ადმირალის მხრივ, სრულიად დასაშვე-

[1] ო, დროებავ! ო, ზნეჩვეულებანო! (ლათ.).

ბია. გამოწვეული იყო სამართლიანი შიშით, რომ ენრიკემ, რომელიც დიდ პატივს სცემდა ლიცენციატს და ცხოვრობდა მისი უშუალო მფარველობის ქვეშ, უკვე მოასწრო ყველაფერი ეთქვა მისთვის; საქმე სწორედ ასეც იყო, ამიტომაც აღმირალი ძალიან გონივრულად მოიქცა, რომ სიმართლე არ დამალა, თუმცა ეს რამდენადმე ზიანს აყენებდა მისი ახალგაზრდა მეუღლის ღირსებას.

ლას კასასმა ყურადღებით მოისმინა ყოველი წერილმანი და დაჰირდა, რომ სიტყვას არ დაძრავდა მომხდარ ამბავზე.

— მაგრამ, ვბედავ გითხრათ, — დასძინა მან, — რომ თქვენი მოწყალება ჩემგან მცირე მსხვერპლს როდი მოითხოვს, რადგან მე არ შეიძლება მჭონდეს ის დიდი პილიტიკური მოსაზრებანი. რაზედაც თქვენ უარს ვერ იტყვით, და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დიდი ულმობლობის მონაწილე ვიყო. განა სახელმწიფო ინტერესებს არ ეწირება მსხვერპლად თვით ზეცის მიერ ერთმანეთისთვის გაჩენილი ორი ახალგაზრდის სიმშვიდე და ბედნიერება!

— მაშ, დამეხმარეთ ვიპოვო ამ კავშირის ხელისშემშლელი. საშუალება, — უთხრა დიეგო კოლუმბმა. — წინ მთელი წელიწადი გვაქვს და ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ ხნის განმავლობაში განვახორციელოთ ის, რასაც ეცადა ჩემი საბრალო მარია, თავისი ნაზი, მაგრამ გამოუცდელი გულით.

— აჰ, სენიორ, თავად არ იცით, რას მოითხოვთ ჩემგან! — საყვედურით შეედავა ლას კასასი. — ის, რაც თქვენთვის, თუ სასურველი არა, ყოველ შემთხვევაში სრულიად დასაშვებია, მაღალი მდგომარეობის გამო, რომელიც გიჭირავთ, ჩემთვის კი საზიზღარ ტყუილსა და მდაბალ ვერაგობას წარმოადგენს. მე, ველასკესის მეგობარიც ვარ და გრიხალვასიც, ჰოდა, განა შემიძლია ასეთ კეთილსინდისიერ საქმეში შუამავალი ვიყო? სინდისის წინაშე ხომ სიმართლე უნდა მეთქვა ველასკესისთვის და იძულებული გამხდარა იგი უარი ეთქვა ქორწინებაზე, გრიხალვასთვის დამებრუნებინა მისი განძი, რომლის წართმევასაც მას უპირებენ.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, დონ ბარტოლომე! — სწრაფად შეეპასუხა აღმირალი. — ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს და მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ — არაფერი უთხრათ ამაზე.

— შეგიძლიათ მენდოთ, — უპასუხა ლიცენციატმა და გამოეთხოვა აღმირალს.

მონასტერში დაბრუნებულმა ლას კასასმა შეაჯამა მთელი დღის შთაბეჭდილებანი:

„თითქოს გულზე დაწოლილი ლოდი მომცილდა, როცა გავიგე, რომ დედოფალი, ისაბელა და ყოველგვარი ღირსების წყარო, ხელმძღვანელობდა არა რაღაც მდაბალი და უღირსი მიზნებით, არამედ

თანაგრძნობისა და მეგობრობის უკეთილშობილესი ზრახვებით. ადმირალი მის მოქმედებას არაგონივრულ თავგანწირვას უწოდებს; ასე ჰქვია ამქვეყნად ქრისტიანულ გულმოწყალების სუფთა, გულწრფელ აღტყინებას... საბედნიეროდ, დიეგო კოლუმბი — მამამისის ღირსეული შვილია: მას მშვენიერი სული აქვს, და ეს მის, რომ სწორედ ასეთი არაგონივრული საქციელია ადამიანის გულის განძი. აი, რატომ არის იგი ასე გაბრწყინებული, როცა ასეთი უბადლო ქალის ბედნიერ პატრონად გრძნობს თავს!.. მაგრამ მაინც ორივენი — ადმირალი ხშირად, დედოფალი უფრო ნაკლებად — იძულებული არიან იცრუონ, ინტრიგების მონაწილე გახდნენ და ჩაიხშონ კეთილი აღტყინებანი იმის სასარგებლოდ, რასაც, მიუხედავად, თავიანთი მოვალეობა უწოდონ. კარგი მოვალეობაა! აი, როგორ იჩაგრება სიმართლე და სათხოება ამა ქვეყნის ბლიერთა სასახლეებში! მაგრამ რა არის გასაკვირი? ჩვენი საუკუნის მბრძანებელნი ხომ თავს იქებენ, რომ ერთმანეთს ატყუებენ? და ჩვენ მეფეს, კათოლიკე დონ ფერდინანდს, განა პირველი ადგილი არ უჭირავს ამ ავბედით რიგში? აი, რატომ არის, რომ ევროპას შეღლისა და შინაბრძოლების ცეცხლი უკიდია: ახალი ქვეყნის დამპყრობნი კი, რა თქმა უნდა, ბაძავენ თავიანთ ევროპელ მეფეებს და ბატონობენ აქ. გაუმაძღარი ხარბი მგლებივით. საბრალო ინდიელები! უბედური ინდიელები!.. მაგრამ უკვე დროა ვნრიკილიო კინახულო".

ბრძანა დაეძახათ კასიკისთვის. ლიცენციატი მასთან ერთად, მარტო ჩაიკეტა თავის ოთახში.

XII

მკაცრი პასუხი

— მომისმინე, შვილო ჩემო, — უთხრა კაცთმოყვარე მოძღვარმა, როცა ჩვეულებისამებრ ჯაბუკს ხელი გაუწოდა საამბორებლად. — გუშინ საღამოს შემდეგ გული შეჭირვებული მაქვს წუხილითა და მიშით: ისეთი გულგრილობა და უკმაყოფილებაც კი ჟღერდა შენს მონათხრობში ადმირალის სასახლეში ყოფნის შესახებ, რომ უნებურად დამებადა აზრი, გულში უმადურობის ჩამარხვა ხომ არ შეგიძლია; ადმირალმა და მისმა მეუღლემ დიდი ალერსით მიგიღეს, იმდენი სიკეთე გამოიჩინეს შენს მიმართ, რომ ნამდვილად შეუძლებელია არ უპასუხო ასევე.

მერე მომეჩვენა, მედიდურობამ და ეშმაკეულმა ამპარტავნობამ შეგიპყრო: აღშფოთებული ხარ, რომ დედოფალმა შენიკე კეთილდღე-

ობისთვის შემოგთავაზა თავისი პაემობა; განა თვითონ, დონ დიეგო კოლუმბი დღეს უკვე გუბერნატორი და ადმირალი, კათოლიკე მეფეთა სასახლის კარზე არ იყო პატად? შენი ბედნიერებისათვის, ენრიკილიო, უნდა აღვკვეთო ასეთი მიდრეკილება ქედმაღლობისკენ, რომელიც არ შეჰფერის არც შენს უბრალო, თვინიერ და გულკეთილ ხასიათს, არც იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიც შენ იმყოფები. შენ უნდა იცოდე, შვილო ჩემო, დღემდე განგება ძალიან კარგად იყო შენს მიმართ განწყობილი, რადგან ბავშვობიდანვე მოგიცილინა უანგარო მფარველები, რომლებიც გიცავენ ცხოვრების ვაებისგან და ყოველნაირად ზრუნავენ შენს მომავალზე, მაგრამ არავინ,— ვერც დიეგო ველასკესი, ვერც ადმირალი მეუღლითურთ, ვერც მე. შენს მფარველთა შორის ყველაზე მოკრძალებული. — არც ერთი ჩვენთაგანი არ განაგებს მომავალს, ვერავის ძალუძს ჩასწვდეს საიდუმლოს იმ განსაცდელისას, რომელსაც თავის გამოუცნობ გზაზე შეგამთხვევს ყოვლისშემძლე განგება. აი რატომ არის ჩვენი ვალი — გამოვაწრთოთ შენი სული და შეგაიარაღოთ სათნოების, მორჩილებისა და მოთმინების ფარით. იგი დაგიცავს ადამიანთა ცხოვრების ჩვეულებრივ თანამგზავრთაგან — ბოროტების, უუფლებობის და სიმწრისგან, აგრეთვე ყოველგვარი შემთხვევითობისგან, ძძიმე განცდებისგან, რომელსაც, ჩვენ რამდენადაც უნდა ვეცადოთ, გვერდს ვერ ავუვლით, რადგან, თუმცა უფლისწული და კასიკი ხარ, მაგრამ, ბედუკუღმართი რასის ნაშიერი ხარ და შემზადებული უნდა იყო ყოველგვარი სამწუხარო დამცირებისთვის.

აი, რატომ არის, შვილო ჩემო, რომ გული მისკდება, როცა ვხედავ შენი ხასიათის სუსტ მხარეებს, რადგან სისუსტე შეიძლება ვუწოდოთ მეტისმეტ ზვიადობას და სულელურ კუდაბზიკობას. უზენაეს სათნოებას ფლობს მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია მოიპოვოს ღირსება და ძალა უსასტიკეს ტანჯვასა და დამცირებაში. ამ სათნოებაში იმალება ჯვრის უზენაესი საიდუმლო; აი, ის, რასაც გვიქადაგებს იესო ქრისტე, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ.

ლას კასასმა ხელები შემოაჭდო ენრიკეს კისერზე, დიდხანს უყურა სინაზით სავსე თვალებით. კასიკს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მღელვარებისგან კრინტიც ვერ დაძრა, უფროსი მეგობრის წყნარი დარიგების საპასუხოდ.

ამ მღელვარებამ ყველაფერი თქვა: ენრიკემ დაიჯერა, მართლა დამნაშავე ვარო, რადგან არ შეეძლო თავისი სუფთა გულისა და პატიოსანი კეთილშობილი ბუნების აღტყინების შეკავება. ლას კასასს ენრიკე ღვიძლი შვილივით უყვარდა; მისმა მონათხრობმა სასახლეში ყოფნით გამოწვეულ მტანჯველ განცდებზე, გამჭრიახი მოძღვარი შეაშფოთა. გრძნობდა, რა საფრთხე ელოდა ახალგაზრდა ინდიელს; რო-

მელიც მეტისმეტად წესიერი იყო პატიოსნების საკითხში. მისი გამოწრთობისა და ბედის ყოველგვარ უკუღმართობასთან შესახვედრად მოსამზადებლად, ლიცენციატმა გულისტკივილით გადაწყვიტა თავისი სამეურვეო ჰაბუკისთვის მკაცრი პასუხი გაეცა.

XIII

კომპრომისი.

ენრიკესთან ერთად ისაუზმა ლას კასასმა. ჩვეულებრივზე უფრო საგულდაგულოდ ჩაიცვა და წავიდა ველასკესთან. იგი მას ელოდებოდა. ველასკესს ეცვა ძვირფასად გაწყობილი, მილანურ მოდაზე შეკერილი კამზოლი; თან ახლდა ერთგული შეგირდი. თავაზიანი მოხიკა, რომელიც გარეგნულად ველასკესისაგან და ზნეობრივად ლიცენციატისაგან განსხვავდებოდა. ლას კასასმა უსიამოვნო გამომეტყველებით გადახედა მოხიკას, ცივად მიესალმა, და სამიენი გავიდნენ სასახლიდან, თან ორი მსახური ახლდათ.

შუადღე იყო, როცა დონ კრისტობალ დე კუელარის სასახლის კარი ფართოდ გაიღო წარმოსადეგი სასიძოს და მისი თანამგზავრების მისაღებად. კრცელი მისაღების კარიდან კიბის პირველ საფეხურამდე ორმწკრივად დადგნენ სასახლის საუკეთესო ლივრეებში მოთრთული შავკანიანი მონები, ინდიელი და ევროპელი მსახურები. ოთახების ძვირფასი მორთულობა და მსახურთა ესოდენ დიდი რაოდენობა მასპინძლის უთვალავ სიმდიდრეზე მეტყველებდა, რაზედაც ძუნწმა მოხიკამ მაშინვე მიაქცია ველასკესის ყურადღება.

კონტადორმა სტუმრები მთავარ დარბაზში მიიღო, იგი ფეხზე იდგა თავის ასულთან ერთად. რომლის მიცვალებულივით გაფითრებული სახე. მკრთალი სითეთრით არ ჩამოუვარდებოდა მისი ფრანგული მაქმანებისა და ძვირფასი ფლამანდრიული ხავერდის სამოსელს. სენიორ დე კუელარის გვერდით იდგნენ მისი მეგობრები, კურძელის უმაღლესი ალგვასილი ფრანსისკო დე გარაი და სანტო-დომინგოს სახელოვანი რეზიდენტი როდრიგო დე ბასტიდასი. საპატიო ადგილიანი, ის, რომელმაც რამდენიმე წლის წინ წარმატებით ჩაატარა ექსპედიცია ოქროს კასტილიაში (ახალ გრენადაში) და მერე სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისთვის მიიღო წოდება „ადელანტადო".

დაწესებულ ურთიერთმისალმების შემდეგ ველასკესმა მოკლედ წარმოთქვა საქორწინო წინადადება. რომელზეც მარიას მამამ დაუყოვნებლად განაცხადა თანხმობა. მერე, გაქნილი შუამავლის შეგენილ მოქმედების გეგმას, რომლის მიხედვითაც სასიძო უნდა მიახ-

ლოებოდა საცოლეს, უძრავად რომ გაეშვავებულიყო და თვალს არ აცილებდა იატაკს, თითქოს მას არ ეხებოდა სასიძოს წინადადება, გეერდი აუარა ველასკესმა და დონ კრისტობალს მიმართა:

— თუ წინააღმდეგი არა ხართ, ქორწინების დანიშვნა შეიძლება დღეიდან ერთი წლის შემდეგ.

მარია, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, ამ სიტყვების გაგონებას მოუთმენლად ელოდა და შეშინებული მზერა მიაპყრო მამის სახეს, ცდილობდა ამოეკითხა მისი პასუხი.

დონ კრისტობალი დაიბნა: ქორწინების ასეთი დიდი ხნით გადადების თხოვნა მისთვის მოულოდნელი იყო, — მოხიკა ხომ არწმუნებდა კონტადორს, რომ ველასკესს სწყუროდა, რაც შეიძლება მალე გამხდარიყო მისი სიძე. მაგრამ, რადგან უნდოდა შეენარჩუნებინა დიდებული ადამიანისა და მამის ღირსება, თავს მოერია და წარმოთქვა:

— როგორც გნებავთ, დონ დიეგო, საჭიროდ არ მიმაჩნია აჩქარება...

მაშინ სიხარულით სახეგაბრწყინებული ველასკესი თავაზიანად მიუბრუნდა თავის საცოლეს:

— კეთილ ინებეთ დააგვირგვინოთ ჩემი ბედნიერება. სენიორა, გამოხატეთ თქვენი სრული და ნებაყოფლობითი თანხმობა ჩემს თხოვნაზე, რომლითაც მამათქვენს მივმართე.

— მიიღეთ ჩემი მადლობა, სენიორ, — უპასუხა ქალიშვილმა, რომელიც გაამხნევა, როგორც მას ეგონა, ადმირალის გამიზნული გეგმის ასე კეთილად დაწყებამ, — გიმადლით მისთვის, რაც ახლა ითხოვეთ.

— კმაყოფილი ხართ ვადის გადადებით? — დაინებით ჰკითხა ველასკესმა, რომელიც მისი სიტყვის თამაშს მიხვდა.

— სრულიად კმაყოფილი ვარ, სენიორ, — უპასუხა მარიამ და ისევ დახარა მშვენიერი თვალები.

— ყველა აქ დამსწრეს ვიმოწმებ, რომ სენიორა მარია დე კუელარმა, სენიორ კონტადორის ქალიშვილმა, სიტყვა მომცა ერთი წლის შემდეგ ჩემი მეუღლე გახდეს.

ამ სიტყვებით დაასრულა ველასკესმა „გადანახულების“ ცერემონია. როგორც წინათ უწოდებდნენ საქმროს და საცოლის ოფიციალურ შეხვედრას. მარიამ შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და წასვლის ნება ითხოვა; მიიღო მილოცვები, როგორც მაშინდელი მაღალი საზოგადოების ჩვეულება მოითხოვდა, და ცოცხალმკვდარი გავიდა, რომ მოზღვავებული ცრემლები დაეფრქვია. საქმრომაც თანამგზავრებიანად აღარ დააყოვნა გამომშვიდობება; სამივენი წავიდნენ ველასკესის სახლში. — კმაყოფილი და ლაპარაკად ქცეული მოხიკა, ბედნიერი საქმრო საზეიმო გამომეტყველებით, ლიცენციატი ლას კასასი კი თავჩაქინდრული და დაღონებული.

XIV

ბუნდოვანი იმედი

როგორც კი მარია მარტო დარჩა თავის სამყოფელში, სადაც მოსამსახურე ქალებს გარდა არავინ იყო, დიდი ხნის შეკავებულმა ცრემლებმა იწვიმეს მის თვალთაგან. მოთმინება არ ჰყოფნიდა, უნდოდა მალე წასულიყო ციხე-სიმაგრეში, რომ ადმირალის მეუღლისთვის მოეთხრო, როგორი მორჩილებით შეასრულა ადმირალის ბრძანება, რომელსაც უნდოდა გამოესწორებინა წინა დღით დაშვებული შეცდომა. და, ბოლოს, სწყუროდა თავისი საყვარელი მეგობრის მკერდზე ეპოვა ნუგეში და მისგან მოესმინა, რას აპირებდა დიეგო კოლუმბი, მისი ძლევამოსილი მფარველი, რომელსაც ბრმად მიენდო, უნებურად გააზვიადა ადმირალის შესაძლებლობა და უფლება თავის ფანტასტიურ ოცნებებში. იმედოვნებდა, რომ იგი შეასრულებდა დანაპირებს და დაეხმარებოდა საზარელი ქორწინებიდან თავის დაღწევაში.

როგორც კი სტუმრები გააცილა, კონტადორი მაშინვე გაემართა შვილის სამყოფლისაკენ. გადანახულების ცერემონიის დროს მან შეშფოთებით შენიშნა ქალიშვილის დარდიანი და გაფითრებული სახე, და სერიოზულად ეშინოდა, ქალიშვილს არ ეგრძნობინებინა საქმროსთვის მომავალი ქორწინების ზიზღი, მამასთან საუბარში რომ არ ფარავდა. დონ კრისტობალი ძალიან კმაყოფილი დარჩა შვილის მორჩილებით.

— თავს უკეთ გრძნობ, ჩემო ძვირფასო? — ჰკითხა ქალიშვილს თვალთმაქცური სინაზით.

— დიახ, მამა, — უპასუხა მამაცმა ქალიშვილმა, — ყველაფერმა გამიარა.

— მაგრამ შენ გიტირია, მარია! ნამდვილად ძალიან მაწუხებს უს ამბავი. ხომ ხედავ, როგორი მშვენიერი და ტანადი საქმრო ამოგირჩიე?

— მე მგონია, მამა, — უპასუხა ქალიშვილმა ისე. რომ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, — ჩვენ ვალდებული ვართ წავიდეთ ციხე-სიმაგრეში და ადმირალსა და მის მეუღლეს შევატყობინოთ დღევანდელი ამბავი...

— აგრე იყოს, მე შევასრულე ჩემი მოვალეობა ოჯახის უფროსისა და მაღალი თანამდებობის პირისა; ახლა კი შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში, მათთან თავაზიანნი უნდა ვიყოთ, ამას გვავალებს მეგობრული დამოკიდებულება მეფის მოადგილესთან და შენი თანამდებობა მისი მეუღლის კარზე.

— ახლა, რატომ ადრე არა? — ჰკითხა მარიამ.

— აქამდე არაფერი არ იყო დამთავრებული, ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

— მხოლოდ ღმერთმა იცის, რა შეიძლება კიდევ მოხდეს! — ღრმა მწუხარებით წარმოსთქვა ქალიშვილმა.

მამა და ქალიშვილი დაუყოვნებლივ გაემართნენ ციხე-სიმაგრეში.

როცა დონ კრისტობალმა კოლუმბის სასახლეში შეატყობინა ქალიშვილის დანიშვნის ამბავი, იქ კმაყოფილება გამოხატეს, მიულოცეს ესოდენ საზეიმო ამბავი, „თუმცა, — თავაზიანად დასძინა ადმირალმა, — თუ მხედართმთავარი ველასკესი საუკეთესო შესაფერი საქმროა, — ეს კი სწორედ ასეა, სამაგიეროდ, თქვენი ქალიშვილი სილაღეზითა და სათნოებით ღირსი გახლდათ თვით იმპერატორის ტახტი გაეზიარებინა“.

ადმირალის მეუღლე გადაეხვია თავის ამბანაგს და ყურში ჩასჩურჩულა:

— კარგი ამბავი მინდა შეგატყობინოთ.

ამ სიტყვებმა სიხარულით აავსო ქალიშვილის გაბადრული გული. მარია დე ტოლედოს ნათქვამი „კარგი ამბავი“ ნიშნავდა, რომ როგორც იქნა, ნაპოვნია არასასურველი ჭორწინების ჩაშლის საშუალება. ჩასახული იმედები გამართლებას იწყებდა.

— სენიორ დე კუელარ, სადილად ჩვენთან დარჩით.

— ძალიან ვწუხვარ, სენიორა, მაგრამ ეერაფრით ვერ შევცდები, — უპასუხა დონ კრისტობალმა, — ერთი საათის შემდეგ ჩემს სახლში ველი სენიორ პონსე დე ლეონს, ხაზინადარ პასამონტეს რეკომენდაციით, დავპირდი, რომ ადმირალთან სიტყვა უნდა შევაწიო...

— რა მიზნით? — გაიწყვეტინა მას დონ დიეგომ და შუბლი ოდნავ შეიკრა.

— იმ მიზნით, რომ მივაღწიო მის დანიშვნას სან-ხუან დე პუერტო-რიკოში გუბერნატორად, ამ მხარის გამოკვლევის საქმეში მისი დამსახურების მადლობის ნიშნად და მეფის უკანასკნელი დადგენილების საფუძველზე.

— ვერ გამიგია, პონსე დე ლეონი რატომ ეძებს ჯიუტად ხაზინადარის მხარდაჭერას და დაჟინებით იმეორებს თავის ცდებს, რომელიც თავიდანვე განწირულია, რაც უოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე გავაგებინე. პასამონტე ხომ ყოველნაირი უსიამოვნებებით ცდილობს ჩემს განაწყენებას; ბოროტი ეპისკოპოსის ფონსეკას შეგულიანებით იგი ყველაფერს აკეთებს, რომ ზიანი მიაყენოს და არად აქციოს ჩემი ხელშეუვალი პრეროგატივები და ადმირალის უფლებები. იგი არა მარტო უარს მეუბნება ოხედასა და ნიკუესის წინააღმდეგ დახმარებაზე, რომლებიც ექსპედიციას აწყობენ ჩემი უფლებების დასარღვევად, არამედ კიდეც მარწმუნებს, რომ სულმდაბლურად დავუთმო ოხედას და დავნიშნო იგი იამაიკის მმართველად. და, ბოლოს, ხრიკებითა და მოტყუებით ამ გაიძვერამ მიიღო სამეფო საბჭოს დადგენი-

ლება პონსე დე ლეონისთვის მშვენიერი კუნძულის სან-ხუანის გადაცემის შესახებ... რაღა დარჩება ჩემი ხელისუფლებიდან. თუ ასეთ მძარცველობაზე დავეთანხმები? არა, არა, მეფემ უნდა აღიაროს, რომ მართალი ვარ, უნდა გააუქმოს ყველა უკანონო დადგენილებანი, რომელიც ეშმაკურად წაგლიჯა ცბიერმა ფონსეკამ. იქამდე კი, პასაჰონტე ვერ მოახერხებს ჩემს დაცინვას: უპასუხეთ ხუან პონსეს. ეცეთბოს სხვა შუამდგომელნი და მონახოს სხვა გზები. რაც შეეხება ნიკუესსა და ოხედას, მე მათ აშკარად ვაგრძნობინებ: თუ ისინი გაბედავენ ჩაფიქრებული ექსპედიციის მოწყობას, სამუდამოდ დაივიწყონ, რომ არსებობს ადმირალი კუნძულ ესპანიოლაზე. რომლისგანაც რაიმე შემთხვევის დროს შეიძლება დახმარების მოლოდინი.

— ძალიან კარგი, სენიორ, — უპასუხა დონ კრისტობალმა, — თქვენი ჩივილი სრულიად სამართლიანად მიმაჩნია, და შევეცდები ხუან პონსე გონზე მოვიყვანო. ახლა კი თქვენი ნებართვით წავალ.

— მაშინ, ჩვენთან დასტოვეთ ჩემი ძვირფასი მარია, — უთხრა ადმირალის მეუღლემ, — რაკი ჩვენს წრეში ყოფნაზე უარს ამბობთ.

— დიდი სიამოვნებით, სენიორა, და დამერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ, რომ შესაძლებლობა არა მაქვს მივიღო მოწვევა, რომლითაც თქვენმა მოწყალებამ პატივი დამდო.

დონ კრისტობალი წავიდა.

ადმირალის მეუღლემ მარია თავის პალატში წაიყვანა, რომ თავისუფლად ესაუბრათ ყველაფერზე.

ქალიშვილი სასოწარკვეთილი გახლდათ; მას არ შეეძლო გრიხალვასთვის აეხსნა თავისი მძიმე მდგომარეობა, არც ის შეეძლო გაეგო, რას ფიქრობდა ჰაბუკი მასზე. დედოფალი არიგებდა, უდიდესი სიფრთხილე გმართებსო: წინდღით მიღებულმა სასტიკმა გაკვეთილმა ჩააგონა მას განსაკუთრებული წინდახედულება და მოკრძალება.

— თუ ხუან დე გრიხალვა ნამდვილად შენი ღირსია, — უთხრა მან მეგობარს, — მისი სიყვარული არ გაქრება, თუ დროებით ერთმანეთს ვეღარ ნახავთ. ვიდრე ველასკესთან შეთანხმება დაირღვეოდეს, ხუანს ვერ შეხვდები შენი ღირსების შეულახავად... როცა, ბოლოს და ბოლოს, ნიშნობას გავაუქმებთ, შენი საყვარელი ადამიანი ყველაფერს გაიგებს და თავისი ერთგულებისთვის ჯილდოს მიიღებს. ეს დღე კი აუცილებლად დადგება, მარია. ჩემმა ქმარმა უკვე გამონახა საშუალება შენი ბედნიერების შესამზადებლად: ველასკესს მნიშვნელოვან ადგილზე დანიშნავენ, კუნძულზე კი არა, სხვაგან; დრო და სიშორე თავის ნაყოფს გამოიღებს. ხშირად გამიგონია, საკმარისია ადამიანი წავიდეს უცხო ქვეყანაში, რომ მისი სიყვარული ცივდება. ეს არის ის ახალი ამბავი, რომელიც შენთვის მინდოდა შემეტყობინებინა.

ამ ამბავმა გაახარა მარია დე კუელარი: მაგრამ ღრმა ბუნებების ოხერა, რომელიც უნებურად აღმოხდებოდა ხოლმე გულიდან ნათლად მეტყველებდა თუ როგორ უმძიმდა მას ქალბატონის გონიერული რჩევის შესრულება.

XV

დაპირისპირება

— იცით, ლიცენციატო კასას, საკმაოდ უბასიათოდ გამოიყურებით, ბედნიერი ნიშნობის თოწმეს ეს არ შეგეფერებათ, — თქვა მოხიკამ თავისი ჩახლეჩილი და წივანა ხმით, როცა კუელარების ოჯახიდან დაბრუნებულნი ველასკესის სასტუმრო ოთახში შედიოდნენ.

— თქვენ კი, იდალგო მოხიკა, — უპასუხა ლიცენციატმა, — დღესაც. როგორც ყოველთვის, შენარჩუნებული გაქვთ სხვათა საქმეში ცხვირის ჩაყოფის ინტრიგანული თვისება.

— მაგრამ. გამოტყდით, ლიცენციატო, — შეეპასუხა მოხიკა, რომელიც ცდილობდა მშვიდად ყოფილიყო, თანამოსაუბრის ასეთი მკვახე პასუხის მიუხედავად, — გამოტყდით, რომ არ მოგწონთ ჩვენი საერთო მეგობრის ველასკესისა და მარია დე კუელარის მომავალი კავშირი.

— მე რაც არ მომწონს, ეს არის შენი მდაბალი და საზიზღარი ზნე. იდალგო მოხიკა, — ვერ მოითმინა ლას კასასმა, დიდი ხნის მანძილზე ძლივს დაფარული დაუძლეველი ზიზღი ველასკესის შუამავლისადმი.— უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ ისეთმა ღირსეულმა ადამიანმა, როგორიცაა სენიორ დიეგო ველასკესი, დაიახლოვა ასეთი პიროვნება და თავისი საცოლის სახლშიც კი ბოროტ შარისთავთან ერთად მიიდის.

— კმარა, სენიორებო! — წამოიყვირა ველასკესმა, რომელიც არ მოელოდა, რომ შეხლა-შემოხლა სერიოზულ სახეს მიიღებდა. და სიცილი აუტყდა საკადრისი პასუხის მიღებით სახტად დარჩენილი მოხიკას დანაწუწული სახის დანახვაზე.

— მართალი გითხრათ, სენიორ, — გაიბურძღობდა ლას კასასი, — თუ ეს იდალგო ისევ ჩრდილივით დაგიწყებთ დევნას, მაშინ ნუ გაგიკვირდებათ, თქვენთან შეხვედრას აღარ ვისურვებ. ნუთუ არ გესმით, რომ იდალგო ისწრაფვის თქვენი მფარველობის წყალობით ნდობა მოიპოვოს; რადგან ეშინია, რომ ადმირალმა გევარას ობოლი ქალიშვილის მისთვის ჩაბარებული ქონების ანგარიში არ მოსთხოვოს?

— მზად ვარ ყოველ წუთში ჩავაბარო ანგარიში, ოღონდ თქვენ არა,—თავხედურად განაცხადა მოხიკამ, — თქვენ ხომ პირადი პატივმოყვარეობისათვის ცდილობთ ჩამომართვათ ქონების მმართველობა; მაინის მისაღწევად ყოველგვარ ცილისწამებას მიმართავთ.

— რა უსირცხვილობაა! — აღშფოთებით დაიყვირა ლას კასასმა.— საკუთარი სიძდაბლის ჩემთვის მოწერა; მაგრამ ყველა მიცნობს მე და გიცნობენ თქვენც. მთავარია, ანგარიში ჩააბაროთ. სენიორ დონ დიეგო, ხომ გაიგონეთ — პატიჟცენტული იდალგო ბზადაა ანგარიში ჩააბაროს ჩემ გარდა ყველას. ხვალვე მევატყობინოთ ეს ამბავი ადმირალს და მან ჩემ მაგიერად დანიშნოს მოხიასთვის მისაღები სხვა პიროვნება.

— კარგით, სენიორებო, — უპასუხა ველასკესმა. — დღეისათვის კმარა ამ უსიამოვნო საქმეზე ლაპარაკი.

— ძალიან კარგი, — თქვა ლას კასასმა. —თქვენი ნებართვით მოვნასტერში დაბრუნდები.

— წადით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ლიცენციატო, — დაემშვიდობა ველასკესი.

როგორც კი ლას კასასი წავიდა, მოხიამ აღშფოთებით დაიწყო ლიცენციატის ლანძღვა, ბრალს სდებდა მას აუტანელ ქედმაღლობაში; მოხია ირწმუნებოდა, ლიცენციატი ჯანყისთავი, ამაყი და ძალაუფლების მოყვარე არისო, და ცოდვებს თითქოსდა უნაკლო. სუფთა ხვნობით ნიღბავდა; შურიანი და ბოძბკპელიაო... ერთი სიტყვით, შურისძიებელმა მოხიამ მთლად აიპკა. მოურიდებლად აწერდა თავის ნაკლოვანებებს კეთილშობილ, გულწრფელ და გულმართალ ლიცენციატს. იმ იმედით, თომ გაუნადგურებინა ლას კასასი მიბნდობი ველასკესის თვალში. მაგრამ, ახლა ველასკესი მტკიცედ გამოუჯოხაგა ლას კასასს, კეთილ მრჩეველს. რომელმაც ბაორუკოში კამპანიის დროს საქმით დაამტკიცა თავისი არაჩვეულებრივი სულიერი სიდიადე: იგი ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული ამ გამოჩენილი ადამიანისადმი, მშვენივრად ესმოდა რა უფსკრული იდო ლიცენციატსა და ისეთ საძაგელ ადამიანებს შორის, როგორიც იყო მოხია. ამიტომ. უცებ შესწყვიტა სიცილი, მან თქვა სიტყვები, რომელმაც გამდნარ ტყვიასავით დასწვა უსირცხვილო ცილისმწამებელი:

— ამჯერად, გაპატიებთ ხუმრობას, დონ პედრო. მაგრამ არ იფიქროთ მისი გამეორება როდისმე. ლიცენციატს ცოტა მკვახე ხასიათი აქვს, მაგრამ იგი უკელაზე პატიოსანი, გულღია და ღირსეული ადამიანია მათ შორის, ვინც ესპანეთიდან ჩამოვიდა.

მოხიამ მაშინვე პატრონის მიერ ნაცემი ძალღივით ჩაჰქინდრა თავი, სიტყვის თქმაც ვერ გაბედა, ვიდრე ველასკესს არ შეებრალა და არ უთხრა:

— მოხია, ერთხელ კიდევ გპირდებით. ვიზრუნებ თქვენთვის. ქონების მმართველის თანამდებობა რომ შეინარჩუნოთ: უველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, დამშვიდებული იყავით.

— აჰ, სენიორ!.. — შეჰყვირა გახარებულმა იდალგომ.

— ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — განაგრძობდა ველასკესი.— როგორ ფიქრობთ, ხომ არაფერი გაგვეკეთებინა ჩემ ნიშნობასთან დაკავშირებით?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. — უპასუხა მოხიკამ, — ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე გაკეთებულია... რა თქმა უნდა, თქვენი სალოლის აივნის ქვეშ სერენადის სიმღერით არაფერი დაშავდებოდა.

— მაშ შევუდგეთ საქმეს! უხელმძღვანელეთ ყველაფერს, როგორც საჭიროა, ხარჯებს ნუ დაერიდებით.

— ცუდი არ იქნებოდა, — დასძინა ცბიერმა შუამავალმა, რომელსაც თავში ერთ-ურთმა ეშმაკურმა აზრმა გაუელვა, — შესანიშნავი იქნებოდა, ჩვენთან ერთად ენრიკილიო რომ წამოვიდოდეს, იგი ვიოლაზე უკრავს. ორივენი ისე კარგად ვართ დაუფლებული ამ დიდებულ საკრავს, რომ მავრიტანულ სამბრაზე უკეთ დავუკრავთ.

— ხელს რაღა გვიშლის! — მგზნებარედ შეჰყვირა ველასკესმა და დაუყოვნებლივ გაგზავნა მსახური მონასტერში ნათლულის მოსაყვანად. სწორედ ამ წუთში ველასკესს მოართვეს დახურული პაკეტი, რომელსაც ადმირალის გერბი ჰქონდა. ველასკესმა კონვერტი გახსნა და მოხიკას დაავალა მისი წაკითხვა ხმამაღლა. მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდა თავისი შუამავლის ერთგულებაში, არაფერს უმალავდა.

მოხიკამ წაიკითხა:

„ძვირფასო სენიორ დიეგო ველასკეს, დღეს საღამოს ციხე-სიმაგრეში გელით, მნიშვნელოვან საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთ.

თქვენი ერთგული მეგობარი ადმირალი".

— თვითონვე ხედავთ, — აღნიშნა ველასკესმა, — ახლა ძნელია იმის თქმა, როდის გავთავისუფლდები, აღარ ვიცი, როგორ იქნება სერენადის საქმე...

— სულ ერთია, რა დროსაც არ უნდა განთავისუფლდეთ, ყველაფერი მზად იქნება, — უპასუხა მოხიკამ.

მალე ენრიკილიოც მოვიდა; იგი მოწიწებით ეამბორა ხელზე თავის ნათლიას და ალერსიანი ღიმილით დაუკრა თავი მოხიკას, მან კი დამტკბარი ხმით ამცნო ბიჭს, რითი შეეძლო ესიამოვნებინა ნათლია და მფარველი.

გაოცება და ღრმა მწუხარება აღიბეჭდა ჭაბუკის სახეზე, მან მტკიცედ განაცხადა:

— ნათლიისათვის შემიძლია გავიღო სისხლი, რაც გამაჩნია, ზღვაში გადავვარდე და ყოველგვარ საფრთხეს შევეჯიდო, — ყველაფერს გავაკეთებდი სიხარულით, ოღონდ შემესრულებინა მისი მცირეოდენი

გულისწადილიც კი: მიგრაან ციხეებზე დაკვრა შეა ქუჩაში, მონაწილეობის მიღებაა ხეიმებსა და სერენადებში, მაშინ, როცა ორი თვეც არ არის გასული, რაც მოკვდა ჩემი...

— და მაინც, ვფიცავ, შენ ამას გაუძლებ! — დაიჭუხა ველასკესმა.— დაბეთ, რა მოიგონა! მე ძალ-ღონეს არ ვზოგავ შენი აღზრდისთვის, მინდა განათლებული კაცად გაქცირო, შენ კი ჩემ პირველივე თხოვნაზე უარს მეუბნები. არ გსურს მასიამოვნო! ვინ იცის, როდისღა მოგეცემა შემთხვევა. ჭადლიერება და სიყვარული გამოამელავნო? რად მინდა შენი ზღვაში გადავარდნა?

ჭაბუკი დაბნია ასეთმა მოულოდნელმა გაბრაზებამ და გააფთრებამ. მოხიკამ კი ვერ დაფარა თავისი გეგმის ასე მოხერხებული განხორციელებით გამოწვეული სიხარული. მან ხელის ერთი მოსმით დაუკარგა ენრიკეს ველასკესის მფარველობა და სიყვარული და ამავე დროს ლიცენციატსაც მიაყენა ვნება, რომელიც. რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გამოექომაგებოდა თავის ნაშვილებს, როგორც იგი ხშირად იხსენიებდა ახალგაზრდა კაცს.

— თესეთ სიკეთე. — გაბუტულობდა გაღიზიანებული ველასკესი, — და უმადურობას მოიმკით!

— აჰ, არა, სენიორ! — წამოიყვირა ენრიკემ და აქვითინდა.

— უმადურობა ყველაფერზე ცუდი მარკვერებაა, — დამრიგებლურად წარმოთქვა მოხიკამ.

— ყველაფერს გავაკეთებ, რასაც ისურვებთ, სენიორ, — თავს დასძლია და ჩაილაპარაკა ბოლოს ენრიკემ, — ოღონდ უმადურად ნუ ჩამთვლით.

— დაიკარგე აქედან, ბიჭო. — მრისხანედ გააწყვეტინა სიტყვა ველასკესმა, — და თვალით აღარ დამენახო: ამაოდ დავხარჯე შენზე დრო, მზრუნველობა და ფულები.

ამ სიტყვებმა გული დაუკოდა ჭაბუკს; იგი ღირსეულად გასწორდა, მშვიდად შეხედა ველასკესს და უთხრა:

— სენიორ, ვეცდები მომავალში გადაგიხადოთ ყველაფერი, მანამ კი თქვენი მსახური ვარ, გამოიყენეთ, როგორც გსურდეთ.

ენრიკემ მდაბლად დახარა თავი და გაეიდა.

ველასკესი ფიქრებს მიეცა; რისხვა გაუნელდა, მიხვდა. რომ ტყუილად მოექცა ასე მკაცრად ნათლულს. ამასობაში მოხიკა ჯიუტი ნიშნის მოგებით იმეორებდა: „თვალი ვინ გამოგთხარა და ჭემმა სიკეთემაო", — ვიდრე გაბრაზებულმა ველასკესმა არ გააწყვეტინა:

— აჰ, თავი დამანებეთ, ახლა სულელური ანდაზებისათვის არ მცალია!

მოხიკა თავქუდმოგლეჯილი გაეარდა ოთახიდან.

XVI

ვადაწყვეტილება

იმ ბედუკუღმართი საღამოს შემდეგ, როცა ადმირალის ბაღში, მწარე სინამდვილის ცივმა მონაბერმა მოულოდნელად გაფანტა ნათელი ოცნებებისა და წარმტაცი ილუზიების სამყარო, გრიხალვას ღრმა, ჩუმი, და პირქუში სიმშვიდე დაეუფლა. უსაზღვრო სასოწარკვეთა, რომელსაც მწარე ჩივილი და საყვედურები ახლავს, ისე ძალიან არ შეაშფოთებდა დონ გარსია დე აგილარს, როგორც აშფოთებდა ეს მოჩვენებითი გულგრილობა. აშკარად რომ მეტყველებდა ჰაბუკის მძიმე სულიერ განწყობილებაზე. არის რაღაც უსაზღვროდ ამაღელვებელი და საზეიმო ადამიანის ფარულ მწუხარებაში: უსიტყვო და დიდებული, იგი აშინებს და იზიდავს ბნელი უფსკრულივით, რომელიც თრთოლას იწვევს ყველაში, ვინც წუთით მაინც ჩაიხედავს მის უძირო სიღრმეში.

გულისხმიერი მეგობარი დონ გარსია არ ერიდებოდა, მომაბეზრებელი ყოფილიყო, ყოველ ღონეს ხმარობდა, აელაპარაკებინა უბედური შეყვარებული და მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვებით, ხმამაღალი მსჯელობით, რომელიც გამუდმებით უპასუხოდ რჩებოდა.

„უნდა დაივიწყო ორგული. შენი სიყვარულის ღირსი არაა. მთელი ჩვენი მშვენიერი ქალიშვილები გითვალთვალებენ, ყველას სწყურია შენი ყურადღება. ნუთუ ვერ ამჩნევ ისეთივე მშვენიერ ქალიშვილებს, როგორიც ის უმადურია? მთელი ქვეყანა შენ გეკუთვნის, ისღა დაგრჩენია, შენი გემოვნებით ამოირჩიო“, — არ ცხრებოდა დონ გარსია..

მაგრამ მისი შეეცდომეტყველება ამაო იყო. გრიხალვას თითქოს არც ესმოდა და არც გაეგებოდა რამე. გულგრილად მიჰყვებოდა გვერდით მეგობარს და მხოლოდ ერთხელ დაარღვია სიჩუმე:

— მშვიდობით, რატომღაც მცივა, გმადლობთ, — მოკლედ თქვა ქან. როცა თავის სახლის კართან მივიდა. ჰაბუკის ათრთოლებული, უცნაური ხმა მეტყველებდა მის დაბნეულ გონებაზე.

ჯუჩაში მარტოდ დარჩენილმა აგილარმა შინისაკენ გასწია. მას აშფოთებელი ფიქრები ტანჯავდა: მეგობრის გული აბობოქრებულ სტიქიას მიეცემულ პატარა ნავად წარმოედგინა.

მეორე დღეს, დილა ადრიან წავიდა დონ გონსალო დე გუსმანთან და უამბო წინადღით მომხდარი ამბავი.

დონ გონსალო აგილარზე უფრო მოწიფული და წინდახედული კაცი იყო: მან ახალგაზრდა მეგობარი დატუქსა ადმირალის მეუღლის ქარის მანდილოსანზე ზერელედ მსჯელობისათვის და შენიშნა, რომ აშ

საქმეში ადმირალის ჩარევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამბებზე სხვადასხვანაირად მსჯელობის ნებას იძლევა. ამიტომაც ფრთხილად უნდა ილაპარაკო ისეთ ღირსეულ ქალიშვილზე, როგორიც მარია დე კუელარია.

მეგობრები გრიხალვას სანახავად წავიდნენ; გამოირკვა, რომ იგი ცოცხალი გამხდარიყო ავად და იწვა. საწყალი ჰაბუკი მარტო ცხოვრობდა უფროს ძმასთან ერთად, რომელიც ჯიუტი და გონებაშეზღუდული კაცი გახლდათ; სახლში რამდენიმე გამოუცდელი ინდიელი მსახური ჰყავდა. დონ გარსია დაუყოვნებლივ შეუდგა ავადმყოფზე ზრუნვას, დონ გონსალო კი სწრაფად გაეშურა ამ შემთხვევისათვის საჭირო საქმეზე და მალე გამოგზავნა ექიმი და მარჯვე მსახურები.

ერთი დღე-ღამეც კი არ იყო გასული, რომ ავადმყოფს სიცხე დაუვარდა და ციება. საბედნიეროდ, არ გართულებულა. ექიმმა ჰაბუკს შენიშნა ძლიერი ნერვიული აღგზნება და დაუნიშნა წამალი, რომელმაც მალე გამოიღო შესანიშნავი შედეგი. მეორე დილით, ფერმკრთალსა და მწუხარეს, მაგრამ მომჯობინებულ გრიხალვას ლოგინში მწოლიარეს შეეძლო ახლობლებთან საუბარი და მადლობის გამოცხადება გუსმანისა და აგილარისათვის.

ამ ორ დიდებულ და თავდადებულ მეგობარს შორის დონ გონსალო დე გუსმანი, არაჩვეულებრივი ჭკუისა და ხასიათის ჰაბუკი, კარგად იცნობდა ადამიანის გულს და შეეძლო შესაქცევი საუბრით დაემშვიდებინა სულიერი მღელვარება. ივი გრიხალვას მისი სიყვარულის გარდა ყველაფერზე ესაუბრებოდა. ჩამოთვალა კოლონიაში მცხოვრები ყველა გამორჩენილი პიროვნება, მოუყვა მათ გეგმებსა და წამოწყებაზე, აწონდაწონა მათი გამარჯვების შესაძლებლობანი და ავადმყოფს, რომელიც დაძაბული ყურადღებით უსმენდა, თვალწინ გადაუშალა მომხიბლავი და დიდებული თავგადასავლების სურათი. გრიხალვა შესამჩნევად გამოცოცხლდა და სურვილიც გამოთქვა ოხელასა და ნიკუესასთან ერთად ექსპედიციაში წასულიყო მატერიკზე, რომლისთვისაც უკანასკნელი სამზადისი მთავრდებოდა სანტო-დომინგოში.

დონ გონსალომ მოისმინა გრიხალვას სურვილი და შენიშნა, რომ მისთვის, ალბათ, უხერხული იყო შეერთებოდა მათ, ვინც ადმირალის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა, დონ დიეგო ხომ ყოველთვის სწყალობდა ჰაბუკს. უკეთესი არ არის მოიცადოს, ვიდრე ადმირალი თავის მხრივ გაამზადებს ექსპედიციას. ამას კი ივი, როგორც ჩანს, დიდხანს არ უცადიანებსო. გრიხალვა დაეთანხმა მეგობარს და მტკიცედ გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო მომდევნო ექსპედიციაში.

XVII

მოლაპარაკება

ამასობაში, წინა საღამოს ციხე-სიმაგრეში შედგა ველასკესის შეხვედრა ადმირალთან.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე დავიმტკიცებდით ჩემს ნეგობრულ დამოკიდებულებას, — დაიწყო ადმირალმა შესავლის სახით. — მინდა, რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებოდეს. როგორც იცით, ვიღაც ცდილობდა ჩემთვის წაერთმია ადმირალის პრეროგატივები ამ ქვეყანაში, ოხედა და ნიკუესა ცნობილ ლოკმანთან, ხუან დე ლა კოსასთან ერთად, ამზადებენ უმძიდრესი მზარის ხელში ჩაგდებას და დასახლებას, რომელიც ჩემი სახელგანთქმული მამის მიერ აღმოჩენილი ახალი ქვეყნის ნაწილია; მამაჩემმა უდიდესი სიძნელეები იმიტომ კი არ დასძლია, რომ ამ ვიგინდარებმა ისარგებლონ მეფის მიერ ჩვენი ოჯახის უსამართლო უგულებელყოფით, რომელსაც გამუდმებით უშვერენ მზარს ესპანეთში მზაკვარი ეპისკოპოსი ფონსეკა, დიდი მწუხარება რომ მოუტანა მამაჩემს, და აქ, კოლონიაში კი ინტრიგანი ხაზინადარი მიგელ დე პასამონტე. ცდილობენ კუნძული იამაიკაც კი წამართვან და გადასცენ ოხედას ანდა ნიკუესას; ეს საკითხი დღემდე მათ შორის გამწვავებული დავის მიზეზია; მე კი მათ შეტაკებებს თვალს ვადევნებ, როგორც გარეშე პირი, როცა ვიცი, რომ ეს კუნძული სინამდვილეში კანონიერად მხოლოდ მე მეკუთვნის.

მაგრამ დრო არ ითმენს და საქმეს უნდა შევუდგე; ამ საკითხში მთლიანად თქვენზე ვამყარებ იმედს. თანახმა ხართ თუ არა დაასახლოთ კუნძული იამაიკა? გინდათ თუ არა დაასწროთ ორ უზურპატორს და გაიღაშქროთ დარიენში სალხითა და აღჭურვილობით, რომელსაც აქ ვიშოვით? ეს გარემოება მდგომარეობას გაურთულებდა ნიკუესას და ოხედას, ჩვენ ხომ მათ წავართმევთ ესპანეთში შეგროვილი ხალხის უმეტეს ნაწილს და ავუკრძალავთ შემდეგში ხალხის შეკრებას. ამ ვნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად მოგიწვიეთ დღეს.

ველასკესისთვის უცხო არ იყო სიფრთხილე: მიუხედავად წინადადების მომხიბლაობისა, იგი მაშინვე მიხვდა, რომ ადმირალს განზრახული აქვს უმაღლესი ბრძანების წინააღმდეგ იმოქმედოს, გადავა კონტრშეტევაზე და მათ დიდი ზღვაოსნის კანონიერ უფლებებზე დაყრდნობით დაუპირისპირებს თავის სამართლიან მოთხოვნებს. შეუძლებელია წინასწარ განჭვრიტა, თუ ვინ გაიმარჯვებს მომავალ გრძოლაში, მონარქი წავა კი დათმობაზე? საეჭვოა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უაზრო სიკვდილს და დიეგო კოლუმბის უფლებებისთვის

დაინებებულ მხარდაჭერას შეიძლება მოჰყვეს ამბოხებაში ბრალის დადება და ბევრი სერიოზული შედეგი: ერთი სიტყვით, წინ საბრძოლო მოჩანდა. დასთმობს კი დონ დიეგო? ფრიად მოსალოდნელია, — მაგრამ ასეთ შემთხვევაში ველასკესს, როგორც ადმირალის თანამდგომს, იმედგაცრუება და დროის ამაოდ დაკარგვა ელის.

აი, რატომ იყო, რომ დიეგო ველასკესი უკვე მზად იყო მტკიცე უარი ეთქვა ადმირალის წინადადებაზე. მაგრამ დროულად მოაგონდა, რომ არ ვარგა უსიამოვნება ახალ ქვეყანაში პირველ ადამიანთან. რომელმაც თავისი მეგობრობისა და ნდობის ასეთი დამაჯერებელი მტკიცება უბოძა; მცირე ყოყმანის შემდეგ. ადმირალს მოსაფიქრებლად სამი დღე სთხოვა. უნდა მოელაპარაკოს მეგობრებს, პირველ რიგში ლიცენციატ ლას კასასს, რომელსაც ბრმად ენდობოდა, რჩევა უნდა ჰკითხოს. დიეგო კოლუმბმა ვადის შემცირება სთხოვა საქმის გადაუდებლობის გამო. ბოლოს გადაწყვიტეს, ველასკესი დადებით ან უარყოფით პასუხს ეტყოდა მეორე დღის საღამოს.

მეორე დილით ველასკესმა ლას კასასს შეატყობინა. შენთან ბოლაპარაკება მჭირდებაო, და სულ ათიოდე წუთის შემდეგ ლიცენციატი მასთან იყო.

ველასკესმა მადლობა უთხრა მეგობარს, ასე მალე რომ გამოეხმაურა მის მიწვევას, მაგრამ ლას კასასმა ჩვეული გულახდილობით უპასუხა:

— სცდებით, თქვენს დაუბარებლადაც მოვიდოდი ორი მიზეზით: ჯერ ერთი, მინდოდა გამერკვია, რა მოხდა გუშინ აქ, ენრიკილიო ცოცხალ-მკუდარი დაბრუნდა, იმდენად ნაწყენი იყო. ვშიშობ, ხელმეორედ არ ჩაწვეს ლოგინში: მეორეც, მინდა თქვენთან ერთად წავიდე ადმირალთან და ვთხოვო ჩემ მაგიერად სხვა მოურავი დანიშნოს: დონმან შეამოწმოს, მოხიჯა როგორ მართავდა განსვენებული დონია ანა დე გევარას მამულს.

— თქვენ ისევ თქვენსას ამბობთ, დონ ბარტოლომე! რა გაგიკეთა ამ საბრალომ?

— საბრალოო, ამბობთ? როდისმე გაიცნობთ მას. ჩემთან ერთად წამოხვალთ ადმირალთან?

— არაფრით არ შემიძლია, ახლავე აგიხსნით მიზეზს.

ველასკესმა სიტყვასიტყვით უამბო ადმირალთან გუშინდელი საუბარი და დასძინა:

— თქვენც კარგად გესმით, რომ მის წინადადებაზე გადაწყვეტილი პასუხის გარეშე — მე კი დავპირდი მეპასუხა დღეს საღამოს — არ შემიძლია ციხე-სიმაგრეში გამოვჩნდე. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, ლიცენციატო?

ლას კასასი ჩაფიქრდა, რამდენიმე წუთი გავიდა დუმილში.

— გონივრულად მოქცეულხართ, დრო რომ მოგითხოვიათ, — თქვა მან ბოლოს. — მონარქის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აშკარად მოქმედებამ შეიძლება დამღუპველი გავლენა მოახდინოს თქვენი ცხოვრების გზაზე. გუნებაში რომ გაგეცლოთ ალონსო დე ოხედასთან მოქიშპეობა. საქმე შეტაკების გარეშე არ დამთავრდებოდა, რადგან იგი უკიდურესად თავდაუჯერელი ხასიათისაა. რაც შეეხება დიეგო დე ნიკუესას, მას მეფის კარზე დიდი ძალა აქვს. ერთი სიტყვით, თუ თქვენ დარიენსა ან იამაიკაში წახვალთ, ყოველი მხრიდან საფრთხე გელით, და მე მგონია, ადმირალს დიდ სამსახურს გავუწევთ, თუ დავიყოლიებთ, მეფესთან გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები, ნაცვლად იმისა, რომ აშკარად დაუმორჩილებლობის გზას დაადგეს, თუმცა საქმე მისი კანონიერი უფლებების დაცვას ეხება. ასეთივე შეხედულებისაა დონ ბარტოლომე კოლუმბიც: მასთან ამ საკითხზე ადრე მქონდა საუბარი; სამწუხაროდ, ძალაუფლება თავბრუს ახვევს და კეთილი რჩევა ვერ აღწევს მეუფის სმენამდე. აქედან გამომდინარეობს მოულოდნელი დაცემა და მერე კი სინანული.

— ვშიშობ, ადმირალი ხომ არ იფიქრებს, — შენიშნა ველასკესმა, — რომ მე, ამ კუნძულზე საკმაოდ გამდიდრებული, გარჯასა და საფრთხეს გავურბივარ: ასეთი შეხედულება დამამცირებს მის თვალში.

— უსათუოდ, — დაეთანხმა ლას კასასი, — მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგიშალოთ სიმართლის თქმაში, ლაპარაკია იმაზე, რომ ხელი მოკიდოთ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.

— ახლა მხედველობაში რომ მჭონდეს სხვა ექსპედიცია, — გაიგრძობდა ველასკესი, — სადაც შემეძლებოდა, მონარქის სურვილის დაურღვევლად, სიმამაცე გამომეჩინა და დამემტკიცებინა ადმირალისთვის, რომ მისი მომხრე ვარ...

— შემიძლია გიკარნახოთ შესანიშნავი გეგმა, — მკვირცხლად შეანჯყვეტინა ლაპარაკი ლიცენციატმა. — ვიმედოვნებ, იგი დიდებას და სიმდიდრეს მოგიტანთ. შესთავაზეთ ადმირალს კუნძულ ხუანას, ინდურად კუბის დაპყრობა და კოლონიზაცია. არავითარი ხმები არ დადიოდა ამ კუნძულზე ოქროს ქვიშრობების არსებობის შესახებ. სწორედ ამიტომ, ჯერ არავის უპირავს მასზე თვალი; მაგრამ რაღაცა შინაგანი ხმა ჩამჩურჩულებს, რომ ძდიდარი ბუნებით და მცხოვრებთა კეთილი ხასიათით ეს მიწა არ ჩამოუვარდება არც ერთ ქვეყანას მთელ დედამიწაზე. ასე ფიქრობდა ჩვენი პირველი ადმირალიც. როცა კუბასთან დაკავშირებით დიდ გეგმებს ელოლიავებოდა. დამპყრობთა მახვილს იქ ჯერ არ შეუღწევია, და კუნძულის მცხოვრებთათვის ჭეშმარიტად ბედნიერება იქნებოდა, თუ სწორედ თქვენ, ახალი კვეცნების კოლონიზაციის გამოცდილებით და უბედური ინდიელებისადმი გულმოწყალების გამოჩენის ნიჭით, მიიტანდით მათთან

მომნანიებლის სიტყვას და უკეთავყოფდით თქვენს სახელს აყვავებულ ქალაქებში, რომლებიც აშენდება თქვენი გარჯისა და შრომის შედეგად.

ისედაც საკმაო ქალაქები მაქვს, ზრუნვა რომ არის საჭირო, ლიცენციატო, — შეედავა ველასკესი, — თუ ლაპარაკი იმაზეა, რომ ქალაქების მშენებლობებით შემოვუნახო შთამომავლობას ჩემი სახელი, დაგისახელებთ ქალაქებს ასუას, სალვატიერა დე ლა საბანას, სან ხუან დე ლა მაგუანასა და ვილანუევა დე ხაკიმოს, ესენი ჩემი დაარსებულია და უკვდაეებას მპირდებიან, — დასძინა ველასკესმა ირონიულად.

— დამიჯერეთ, კუბაში შეიძლება უფრო მეტის გაკეთება. მისი მეზობლობა ესპანიოლასთან ჭარისგან დაცული მხრიდან, რაც მთავარია, მთელი თქვენი ლაშქრის და საწყობის სიახლოვე იაგუანასა და ვაინოაში აადვილებს ამ საქმეს. ამცირებს ხარჯებს და უზრუნველყოფს გამარჯვების იმედს.

— თქვენ თუ მპირდებით თანხლებას? თქვენთან ერთად მე ყველაფერს გავბედავ.

— მაღლობელი ვარ, კაპიტანო. სიამოვნებით წამოვალ თქვენთან, როცა საღმრთო წოდებას მივიღებ.

— კარგი, ამ დიდი კეგლის გაბზორცელებას მანამ არ შევუდგები, შეიძლება, უფრო გვიანაც შევუდგე. მეც ხომ წინ მიდევს საღმრთო საქმეები, — თქვა ველასკესმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა მომავალი ქორწინება.

— მთავარია — გადაწყვეტილების მიღება, კაპიტანო, — დაბეჯითებით გაიმეორა ლას კასასმა. — ერთად წავიდეთ ადმირალთან, თქვენი გადაწყვეტილება შეატყობინეთ და ნახავთ, რომ ყველაფერი საუკეთესოდ მოგვარდება. პირველ რიგში აუცილებელია, რომ დონ დიეგომ მეფეს შეატყობინოს ეს გეგმა. როგორც უკვე გადაწყვეტილი საქმე: ამრიგად, ახალი ექსპედიცია, თუნდაც ცოტა ხნით გადადებული, თქვენ ხელთ იქნება, ეს კი კუბისაკენ შიმაუალ გზას გადაუკეტავს ვიგინდარებსა და მბარცველებს, რომლებიც ისწრაფვიან მიითვისონ ის, რაც ღვთისა და კაცთა წინაშე კანონიერად ეკუთვნის დიდი ზღვაოსნის ვაჟიშვილს. როცა ამ მხრიდან თავს დაიზღვევთ, შეგიძლიათ გულდაჯერებულად შეამზადოთ ახალი დაპყრობა. ესოდენ მაგაცსა და გამოცდილს ყოველგვარი სიძნელის ატანა შეგიძლიათ.

— ღმერთმა იცის, მე არც სიძნელისა და არც რისკის არ მეშინია; პირიქით, დავიღალე ტყბილი უსაქმურობითა და მოუთმენლად ველი საბრძოლო გმირობებს. მხოლოდ ღვთაებრივი მარია დე კუელარი მაკავებს აქ და მიკარგავს ადრინდელ ფხიანობას: გულახდილად გეუბნებით, არ მინდა ჩვენი კუნძულიდან წასვლა, სანამ ეს უბადლო განძი ჩემს სრულ მფლობელობაში არ გადმოვა.

— ეს ამბები მე არ გამეგება, კაპიტანო: მეც არ მაქვს განზრახული სალაშქროდ წასვლა, ვიდრე არ ვეკურთხები. მხოლოდ მაშინ ვიქნები თქვენს განკარგულებაში... ახლა კი, დროა მიპასუხოთ: რატომ გაჯავრდით გუშინ ენრიკილიოზე?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დონ ბარტოლომე, ახლა არც მახსოვს, — თქვა ველასკესმა. — მხოლოდ ერთი რამ ვიცი: გუშინ ვინანე, რომ ძალიან მკაცრად მოვექეცი ჩემს საბრალო ნათლულს. ახლა რომ მოვიდოდეს, სიამოვნებით გადავეხვეოდი ბიჭს.

— არ გახსოვთ, რატომ? მაშ მე გაგახსენებთ, — მწარედ თქვა ლას კასასმა: — ჩანაფიქრი მოხიკას ეკუთვნოდა: თქვენი უბრალოებითა და ზნეკეთილობით სარგებლობს ეს კაცი და ცუდ გავლენას ახდენს თქვენზე, გიბიძგებთ უსამართლო მოქმედებისაკენ, რაც უცხოა თქვენი კეთილშობილი და დიდსულოვანი გულისთვის...

— შეიძლება მართალი ხართ, ლიცენციატო, — თქვა ველასკესმა, რომ მკაცრი ლაპარაკი აღარ გაგრძელებულიყო. — მომავალში მოვერიდები მას...

— ხომ თანახმა ხართ სთხოვოთ ადმირალს ჩემს მაგივრად დანიშნოს სხვა ადამიანი, რომელიც ხელს მოჰკიდებს ამ თაღლითის ანგარიშგების შემოწმებას? — ჰკითხა ლას კასასმა.

— თანახმა ვარ, ლიცენციატო, — უპასუხა მერყეემა ველასკესმა, რომელიც სულითა და გულით მიენდო თავის კეთილ ანგელოზს ლას კასასის სახით.

— თუ თქვენ მოგბეზრდათ ენრიკილიოს მფარველობა, შეგიძლიათ უარი თქვათ ამ საზრუნავზე, ყველაფერს მე ვიკისრებ.

— ღვთის გულისათვის, ლიცენციატო, ნუ ლაპარაკობთ ასე! კარგი შეხედულება კი გქონიათ ჩემზე! ბიჭზე ზრუნვას არავის დავუთმობ.

— სწორედ ასეთი მიყვარხართ, კაპიტანო! ახლა ისევ გცნობთ!.. მაშ კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩვენ საქმეებს. ჩემი შემცვლელი უნდა იყოს მოუსყიდველი სინდისის პატრონი, ამავე დროს, არა ვინმე გულუბრყვილო, რომელსაც მოხიკა ეშმაკურად მოატყუებს. ამაზე ბევრი ვიფიქრე და, მგონია, რომ ასეთი საქმისთვის ყველაზე შესაფერია პატივცემული დონ ფრანსისკო დე ვალენსუელა.

— მართალი ბრძანდებით, უფრო ღირსეული და სწორი არჩევანი შეუძლებელია, — დაუდასტურა ველასკესმა.

— ამრიგად, — განაგრძობდა ლას კასასი, — რადგან ლაპარაკია პატარა მენსია დე გევარას მემკვიდრეობაზე, რომელიც ჩვენი ენრიკილიოს მეუღლეს უნდა გახდეს, ყველაფერს აჯობებს ქონების მმართველობა სენიორ ვალენსუელას ვანდოთ: ჩაიბაროს ობლის მამული, მისთვის ეს ძნელი არ იქნება. გევარას სამემკვიდრეო მიწები ხომ

სან-ხუან დე ლა მაგუანას მახლობლადაა; თითქმის ვალენსუელას ვრცელი გამოცემის გვერდით: და, ახლავე შეასწავლოს ენრიკილიოს ის ვალდებულებები, რომელთა შესრულება მას მოუწევს, როცა მენსია მისი მეუღლე გახდება.

— შესანიშნავია, დონ ბარტოლომე! — შესძახა ველასკესმა. — ეს წინადადება შესთავაზეთ ადმირალს, მე კი ამინს ვიტყვი ყველაფერზე, რასაც თქვენი ბრძენი თავი მოიფიქრებს.

XVIII

შეთანხმება

დღის პირველ საათზე ლიცენციატი ლას კასასი და დიეგო ველასკესი ციხე-სიმაგრისკენ გაეშურნენ: ადმირალს ძალიან გაეხარდა, რომ ველასკესი საღამოს არ დაელოდა და რამდენიმე საათით ადრე მოვიდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც, თუ ძმისი ოვიედელი თანამგზავრის სიტყვებს მივმართავთ, ლას კასასის „ბრძენ თავს“ ჰქონდა ჩაფიქრებული: ადმირალი შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ველასკესი უარს ამბობდა ექსპედიციის თანამონაწილეობაზე, რომელიც უახლოესი დროისთვის იყო განზრახული, მაგრამ კუბის კოლონიზაციის გეგმამ იგი აღათრთოვანა. მან განაცხადა, რომ მზად იყო გონიერი ლიცენციატის ყველა მითითების შესასრულებლად, რათა მეტი უერდინანდის წყალობა დაემსახურებინა და მისი უმაღლესობის წარმოდგენა მოეხიბლა ამ ბრწყინვალე ვეებით, ნაცვლად იმისა, რომ გამოეწვია მისი წყენა ვადამწუვეტი მოქმედებებით, რის გაკეთებასაც აპირებდა დიდი კოლუმბის მემკვიდრე როგორც თვით მეფის, ისე ინდოეთის საქმეთა სამეფო საბჭოს მიერ თავისი დარღვეული უფლებების დასაცავად.

პოლიტიკური მოსაზრებისა, თუ დანაპირების შესასრულებლად, საპატიო მიზეზით უნდოდა ველასკესის შორს გაგზავნა. ადმირალი მეგობრულად გადაეხვია თავის მოადგილეს, დიდად მოიწონა კუბის დაპყრობის ჩანაფიქრი და მაშინვე განაცხადა, რომ დიეგო ველასკესი ხარაგუაში ვიცე-გუბერნატორად დანიშნა, სადაც დაუყოვნებლივ შეუფერხებლად უნდა გაემგზავროსო. მიზეზი გახლდათ ნიკუესას და ოხედას მოსალოდნელი ექსპედიცია მატერიკზე: რადგანაც თავხედობით განთქმული ოხედა ამავე დროს ითვლებოდა ესპანიოლის დასავლეთ სანაპიროების კარგ მცოდნედ, აუცილებლად უნდა შეეშალათ ხელი გადმომსხდარიყო სანტო-დომინგოდან ხაკიმოსკენ მიმავალ გზაზე, აღეკვეთათ მისი ნაცვლობა ხარაგუასა ანდა სხვა პუნქტებში ბალხის, სურსათისა და აღჭურვილობის შეგროვების მიზნით — ეს ყველა-

ფერი ხომ საჭირო იქნება მომავალში საერთო გეგმების განსახორციელებლად. ლას კასასმა და ველასკესმა, ადმირალის მორჩილება რომ დაეფასებინათ, რომელმაც ყურად იღო მათი კეთილი რჩევა, სასწრაფოდ მოიწონეს მისი აზრი. ამრიგად, გადაწყვიტეს, რომ ველასკესი შეუდგებოდა სამზადისს და გაემგზავრებოდა დასავლეთში. როგორც კი ექსპედიციის ხომალდები გავიდოდა სანტო-დომინგოს ნავსადგურიდან.

მერე ილაპარაკეს მოხიკას თანამდებობაზე, ვალენსუელასა და ენრიკილიოზე. ძალიან გვიმძიმს გამოვტყდეთ, მაგრამ ველასკესმა, მოხიკას ინტერესები არც კი დაიცვა, მაშინვე გულგრილად და ულმობლად შესწირა მსხვერპლად, თითქოსდა არასდროს დაუფიცია, რომ დაიფარავდა შუამავალს. მაგრამ განა შეიძლება, ენდო პოლიტიკოსთა და შეყვარებულთა დანაპირებს? ისინი სიამოვნებით დაგპირდებიან ოქროს მთებს, ხოლო როცა საჭიროება გაივლის, ყველაფერი დავიწყებულია. ასე ხდება ხოლმე, თუმცა, საბედნიეროდ, კიდევ გეხვდება. ადამიანები, რომელთაც ზიზღსა გვრის ყოველგვარი ცბიერება.

ციხე-სიმაგრიდან ლას კასასი წავიდა დონ ფრანსისკო დე ვალენსუელასთან, ადმირალთან ნათათბირევის შესატყობინებლად. პატიოსანი მოხუცი სიამოვნებით დათანხმდა მენსიას ქონების მმართველობას, იმიტომ, რომ ამ საქმეს აზიარებდა ჰაბუკ კასიკს. უველა კეთილი და წესიერი ადამიანივით, ვალენსუელამაც, როგორც კი უღირსი მოხიკას თაღლითობა გაიგო, სულითა და გულით შეიძულა იგი.

ეს საქმე რომ მოათავა, ლიცენციატი დასასვენებლად დაბრუნდა მონასტერში. მის შესახვედრად, როგორც უოველთვის, გამოვიდა თავჩაქინდრული და მწუხარე ენრიკილიო.

— აბა, ბიჭუნა, — მხიარულად შესძახა ლას კასასმა, — შემიძლია გაგახარო: ნათლიაშენს ადრინდელივით უყვარხარ; იგი ნანობს, რომ უმიზეზოდ გაგიჯავრდა და მოხარული იქნება თავისი დანაშაული გამოასწოროს.

პასუხის მაგივრად ენრიკილიომ მხოლოდ ნაღვლიანად გაიქნია თავი.

— ახლა ვნახოთ, თუ არ გაგასარებს მეორე ახალი ამბავი, — განაგრძობდა ლას კასასი. — რამდენიმე თვის შემდეგ შენ გადახვალ ჩემი ახლო მეგობრის დონ ფრანსისკო დე ვალენსუელის სახლში, სან ხუან დე ლა მაგუანაში. იგი ოზრუნებს შენზე და ჩემსავით ეყვარები. შეგეძლება იჯირითო ერცელ მინდვრებზე; ისწავლო მენსიას განსვენებული დედისგან მემკვიდრეობით მიღებული მიწების მოვლა, არავინ არ მოგთხოვს იცრუო, და ვერავინ დაგაძალებს გიტარაზე დაკვრას, როცა გუნებაზე არ იქნები.

ენრიკეს სახეზე ღიმილი აუკიაფდა: იგი ამაღელვებელი სინაზით ეამბორა ლას კასასს ხელზე და ჩაილაპარაკა:

— რამდენი რამით ვარ თქვენგან დავალებული, ჩემო ძვირფასო მეგობარო და მამავ. არაფრით არ დაგცილდებოდით, მაგრამ ძალიან მიჭირს აქ, ქალაქში, ცხოვრება!

— ვიცი, — უპასუხა ლას კასასმა. — მაგრამ ვიდრე ჯერ კიდევ აქ ხარ, გულმოდგინედ უნდა შეასრულო შენი მოვალეობა ადმირალისა და მისი მეუღლის, ნათლიისა და სხვათა წინაშე. უფრო ხშირად ინახულე მენსია, უველას ალერსიანად მოექეცი, იყავი გონიერი და მომთმენი, როგორც ნე გასწავლე.

ამასობაში, დიეგო ველასკესი იხდიდა სადღესასწაულო კამზოლს, ციხე-სიმაგრეში წასასვლელად რომ ჩაიცვა და ელაპარაკებოდა თავის ყოფილ შუამავალს, რომელიც ხარბად უსმენდა მის სიტყვებს:

— არ გაგიღიმათ ბედმა, ძვირფასო დონ პედრო: ჩემი უოველგვარი ცდა, მხარი დამეჭირა თქვენთვის, უშედეგოდ დამთავრდა; ადმირალმა შენ შემცვლელად სენიორ ვალენსუელა დაგნიშნა, მას უნდა ჩააბაროთ ანგარიში.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გაოგნებულმა მოხიკამ. — დავიღუპე! თქვენმა მზემ, კარგი ვინმეს ხელში ჩავვარდები! მეორე ლას კასასია, უფრო წმინდაც კი, მართალი თუ გინდათ, ლიცენციატი ჰინენველასაც კი არ დაადგამს ფეხს. რისთვის დავაჩქარე ჩემი უბედურება? მიშველეთ, სენიორ ველასკეს! წყეული იყოს ადმირალი, — მასთან ერთად ლას კასასი, ვალენსუელა და მეც! რად უნდა ვნდობოდი იმას, ვინც თვალსაც არ დაახამხამებდა, როცა ნახავდა, ჭაში როგორ ვევარდები!

და მოხიკამ სიმწრით ბახინჯ ბახეზე მეჩხერი წვერების გლეჯა დაიწყო მაშინ, როცა მისი ვითომდა კეთილმოსურნე სიცილს ძლივს იკავებდა, როცა ხედავდა უნდეშო მწუხარების ასე სასაცილოდ გამოხატვას.

XIX

ბმირები თუ გიჟები

ოხედასა და ნიკუესას მატერიკზე ექსპედიციის სამზადისს თითქოს ბოლო აღარ უჩანდა: ერთ დაბრკოლებას დასძლევდნენ თუ არა, მაშინვე ახალი ჩნდებოდა, ამას მოჰყვებოდა კიდევ ათასი სხვა.

ადმირალ-გუბერნატორს ბევრი მეგობარი და მაამებელი ჰყავდა, რომლებიც, რადგან იცოდნენ, როგორ არ მოსწონდა თავისი უფლებების შეზღუდვა, ექსპედიციის მონაწილეებს დაუსრულებელ დაბრკოლებებს უქმნიდნენ.

დიეგო დე ნიკუესას უახრავი კრედიტორი ჰყავდა და ყველანი, ცოფიანი ძაღლების ხროვასავით, გლეჯდნენ მას ნაწილ-ნაწილ, მოითხოვდნენ ანგარიშის გასწორებას და ცდილობდნენ ყადაღა დაედოთ მოვალის ქონებისთვის. ოხედას, თავის მხრივ, ვერ მოენახა ადამიანი, ვინც ასესხებდა იმდენ თანხას, რომ ხომალდების აღჭურვა დაეშთავრებინა და ფული გადაეხადა დაქირავებული ხალხისთვის. ორივენი გააფთრებული იყვნენ დიეგო კოლუმბის წინააღმდეგ, რომელსაც უსაფუძვლოდ როდი თვლიდნენ მთელი თავიანთი მარცხის მიზეზად. უსაზღვრო იყო მათი რისხვა, როცა გაიგეს, ადმირალის ხარჯით აღჭურვილი ორი ხომალდი მზად არის იამაიკაზე გასამგზავრებლად და გადაწყვეტილია კუნძულის ხელში ჩაგდება, მისი დასახლება და იქ დიეგო კოლუმბის სახელით მმართველობის დამყარებაო.

გახელებული ოხედა საშინლად იმუქრებოდა და ეაიფიცა, რომ თავს წააჩრიდა ხუან დე ესკიველს, რომელიც კოლუმბის დავალებით საოავეში ედგა იამაიკაში გასამგზავრებელ ექსპედიციას.

მას შემდეგ, რაც დიეგო ველასკესმა უარი თქვა ამ თანამდებობაზე, ადმირალმა, ბუნებრივია, მიმართა ესკიველს, რომელიც თითქმის ისეთივე პატივისცემით სარგებლობდა და ცნობილი იყო როგორც იგუეიანი და იკაიაგუას დამშოშმინებელი და ქალაქების სალივალეონის და სანტა-კრუს დე სეიბოს დამაარსებელი, რომლებიც ახლაც არსებობენ.

კონკისტის ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ბოლოს და ბოლოს, ბრძოლითა და უბედურებებით მოტეხილი ოხედა, რომელმაც ვერ შეასრულა დაუფიქრებლად მიცემული ფიცი, მიცურდა იამაიკის სანაპიროსთან, სადაც ესკიველმა მეტად დიდსულოვანი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა მის მიმართ. თუმცა ჩვენ ამ ამბავს უადგილოდ ვახსენებთ, რადგან მომავალში ჩვენი თხრობა, შეიძლება, სულაც არ შეეხოს მას.

ადმირალის მოწინააღმდეგეებმა გადაწყვეტი სვლა გააკეთეს. პასამონტემ გამოიღო საჭირო სახსრები და ოხედასა და ნიკუესას ექსპედიციამ ბოლოს დასძლია ყველა დაბრკოლება. მაგრამ როცა ნიკუესა ხომალდში ჯდებოდა, მას მართლაც ძალზე მძიმე და დამამცირებელი განსაცდელი მოუწყვეს: ალგვასილებმა ხომალდზე არ აუშვეს, სანამ არ გადაიხდიდა ხუთას დუკატ სესხს.

დაუსრულებელი უიღბლობით სულდამძიმებული უბედური კაპიტანი, დაჭერილივით აქეთ-იქით იხედებოდა. მოულოდნელად იმედდაკარგული კაბალიეროს სიბრალულით გამსჭვალულმა ქალაქის რომელიღაც ნოტარიუსმა ხელი მოუწერა მისი ვალის გადახდის თავდებობას. ნიკუესას ვერ დაეჯერებინა ასეთი ბედნიერება; იგი გადაეხვია მხსნელს, რომელიც, ციდან ჩამოსულ ანგელოზად მოეჩვენა, და სა-

ზეიმო დაპირება დასდო, ღირსეულად გაეხადა მეფობა კეთილი ბოტარიუსის გულუხვობისთვის, თუ ექსპედიცია წარმატებით დაგვირგვინდებოდა. ვაი რომ, იგი წარმატებით არ დაგვირგვინებულა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დამცირებული და იმედგაცრუებული უბედური ნიკუესა იძულებული იყო ესპანიოლის სანაპიროზე დაბრუნებულიყო ნახევრად დანგრეული ხომალდით, და ზღვაში დაიღუპა თანამგზავრებთან ერთად. ეს იყო სავალალო, თუმცა დამსახურებული ექსპედიცია, რომელიც დაიწყო უმადურობით, რადგან მეფე ფერდინანდმა ღსაჩართლოდ მოინდომა ერთგული ქვეშევრდომის, დიდი კოლუმბის ვაჟიშვილის უფლებების ხელყოფა.

ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ, სწორედ მან, რომელმაც შემდეგში თავისი სახელი ჩაწერა უკვდავების ოქროს წიგნში, სანტო-დომინგოდან „კასრში დამალულმა“ გააღწია, სწორედ ასე შეძლო დამალვოდა კრედიტორებს და თავი ამოეყო ნიკუესას ერთ-ერთ ხომალდზე და ვიდრე ესკადრა ღია ზღვაში გავიდოდა, თავშესაფარში იმალებოდა. მხოლოდ მაშინ წარდგა იგი თავისი უფროსის წინაშე. უფროსი გაბრაზებული იყო, მაგრამ მაინც დათანხმდა მიეღო მოულოდნელი მგზავრი, რომლის სიმამაცეს და მოხერხებულობას ადასტურებდა ქალაქიდან მისი გაქცევის მეთოდი. მაგრამ ვერავინ ვერ შეიცნო ამ უცნობ ავანტიურისტში მომავალი უშიშარი კონკისტადორი, მან დაიპყრო დარიენი და სახელი მოიხვეჭა სამხრეთის ზღვის აღმოჩენით.

დაუოკებელმა სიმამაცემ, გმირულმა საქმიანობამ და შურიანი პედრარიას დავიწყებულმა ბრაგიკულმა სიკვდილმა ვასკო ნუნიეს დე ბალბოა აქცია რენესანსული ნებისყოფისა და ოქროს გულის მქონე იმ პლეადის ადამიანების ყველაზე სრულყოფილ და მიმზიდველ წარმომადგენლად, რომლებმაც კონკისტა გრანდიოზულ ეპოპეად აქციეს. მხოლოდ დასანანია, რომ სხვა კონკისტადორებმა, რომლებიც სიმამაცით ტოლს არ უდებდნენ, მაგრამ აკლდათ დიდსულოვნება, სიხსნელმწყურებული სისასტიკით შეარცხვინეს გმირობა. მათ სახელებს რომ უკვდავყოფდა, ასეთი იყო მომავალში პერუს დამპყრობი ფრანსისკო პისარო, რომელიც სანტო-დომინგოდან წამოვიდა ალონსო დე ოხედასთან ერთად, როგორც მომხვეჭელობის რაინდი. მაშინ თავის პატივმოყვარულ ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელქვეითობით შეზღუდულმა, ჯერ კიდევ არ იცოდა მამაცი და უდრეკი ნებისყოფის კაცი რომ იყო. ასეთივე გახლდათ ერნან კორტესიც. შემდგომში, მექსიკის დაპყრობით, დიდებით შემოსა თავისი სახელი ერნან კორტესმა, მან მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო შეერთებოდა ნიკუესას ესკადრას.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რამდენად იყო შეზღუდული ძალაუფლება და განკვრეტა ადამიანებისა, რომლებიც მოკლებული იყვნენ

შემოხვევით გარემოებათა დახმარებას. და გვასწავლის, რომ ისტორიაში თვით უველაზე ცნობილი კაცის სახელი და გამარჯვება, თითქმის ყოველთვის დამოკიდებულია უმნიშვნელო ამბებსა და ბრმა შეხვედრათა თამაშზე.

XX

ბედის მორჩილი

ხუან დე გრიხალვამ, როცა შეიტყო, ესკიველი ადმირალის დავალებით მიემგზავრებაო იამაიკის დასასახლებლად, გადაწყვიტა მოეთათბირა მეგობრებთან, ხომ არ მიელო მონაწილეობა ამ საქმეში. იამაიკაში ექსპედიცია იყო არა მხოლოდ პირველად მოცემული შემთხვევა, არამედ პასუხობდა კიდეც პირობებს. რაზეც ლაპარაკობდა დონ გონსალო დე გუსმანი. მეგობრებმა მოიწონეს ჯაბუკის განზრახვა. გადაწყდა მისი ლაშქრობაში მონაწილეობა.

ველასკესმა დიდად გაიხარა, როცა გაიგო ეს ამბავი ლას კასასისგან. ლიცენციატი, რომელიც მხურვალედ თანაუგრძნობდა გრიხალვას, როგორც კი გაიგო მისი ავადმყოფობა, მაშინვე მივიდა სანახავად. სანტო-დომინგოდან წასვლის სურვილი ადასტურებდა გრძნობის სიწრფელეს, რაც გამოხატა გრიხალვამ იმ ღირსსახსოვარ ღამეს, როცა მისმა სიყვარულმა მწარე იმედგაცრუება განიცადა. პირველ გულის წადილს დამორჩილებულმა, დიეგო ველასკესმა, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ წასულიყო და ხელი ჩამოერთმია საშიში მეტოქისთვის, ასე კეთილშობილურად რომ უთმობდა ბრძოლის ველს. ველასკესს ეჭვი ტანჯავდა იმის გაფიქრებაზეც კი, რომ ვიდრე ის დასავლეთში ადმირალის დავალებას შეასრულებდა, მისი სახელდებულის გვერდით დარჩებოდა ეს მშვენიერი ახალგაზრდა, რომელიც კომანდორის გამჭრიახმა მზერამ მაშინვე შენიშნა, როგორც მარია დე კუელარის რჩეული.

ლას კასასმა მოიწონა ველასკესის მეგობრული გრძნობა. მისი აზრით ეს გრძნობა მომავალში მეტად სასარგებლო გამოდგებოდა გრიხალვას კარიერისთვის.

ჯაბუკი კაპიტანს ისე შეხვდა, გაოცებაც არ გამოუხატავს, მაგრამ, როცა ხელს ართმევდა და პასუხობდა დონ დიეგოს გულითად მისალმებაზე, ვერ დამალა ოდნავი ძალდატანება ხმასა და მოძრაობაში.

— გავიგე, რომ ესკიველთან ერთად მიდიხართ. მითხარით, მართალია თუ არა ეს, დონ ხუან, — ჰკითხა ველასკესმა.

— დიახ, კაპიტანო ველასკეს, — მოკლედ უპასუხა გრიხალვამ.

— ხელს ვერ შეგიშლით გადაწყვეტილებაში, — აღნიშნა დონ დიეგომ, — მაგრამ მინდა ვისარგებლო თქვენ მიერ შემოთავაზებული წინადადებით — გემსახურათ ჩემთვის ხელითა და ხმლით. ხომ გახსოვთ?

— არ მჩვევია დავივიწყო ჩემი მოვალეობანი, განსაკუთრებით ასეთი სახის, — შეეკამათა გრიხალვა. — ყოველთვის, როგორ ძნელ საქმესაც არ უნდა მოკიდოთ ხელი, შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ, დონ დიეგო, და შეამოწმოთ ჩემი ზრახვების პატიოსნება.

— ნება მომეცით, გრიხალვა, ჩემი აღფრთოვანება გამოვხატო, — თქვა გულაჩვილებულმა ველასკესმა. — თქვენ გულახდილად გამოტყდით, რომ გიყვართ ჩემი საცოლე, ამავე დროს ჩემს მიმართ მტრულად არ ხართ განწყობილი, პირიქით, ამელავნებთ კეთილ სურვილებს, და კეთილ განწყობას, რითაც არ ჩამოუვარდებით ჩემს საუკეთესო მეგობრებს.

— რატომ უნდა ყოფილიყო სხვანაირად? — მშვიდად შეეპასუხა გრიხალვა. — იმიტომ რომ თქვენ გიყვართ ქალიშვილი, რომელიც... მიყვარდა მე, მაგრამ ამაში არაფერია ჩემი შეურაცხმყოფელი, დონ დიეგო... ბუნებრივია, ყველას უყვარს არსება, ასე სრულქმნილი, როგორც დონია მარია დე კუელარია: პატივი ვეცი მის სურვილს, როცა ენახე, რომ თქვენ გაკუთვნათ უპირატესობა, რომელიც მე ვერ დაგიმსახურე. ესე იგი, თქვენში ჰპოვა განძი, რაც ამ ბედნიერების ღირსად გხდით. და ჩემი გული, მას ეპყრობა არ შეუძლია, კმაყოფილებას განიცდის, რომ მიყვარს და პატივს ვცემ ადამიანს, რომელიც ასეთ ღირსეულ მანდილოსანს უყვარს, თაყვანს სცემს და ეტრფის იმდენად, რომ ასაჩუქრებს ნდობით და უწვდის ხელს.

— უფრო და უფრო მაოცებთ, დონ ხუან, — წამოიძახა ველასკესმა, რომელსაც არ ძალუძდა გაეგო აზრებისა და გრძნობების ესოდენ არაჩვეულებრივი მსვლელობა. — მაგრამ ნათლად ვხედავ, რომ თქვენ დიდი და კეთილშობილი სულის ადამიანი ხართ, და მინდა გიპასუხოთ ყველაზე გულწრფელი მეგობრობით. მიმსახურეთ, როგორც გენებოთ, დონ ხუან.

და ამ ორმა ადამიანმა, რომლებიც ასეთ უცნაურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ, მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და დაცილდნენ, ორივე გულმოდგინედ ცდილობდა დაეფარათ მოზღვავებული მღელვარება. დიეგო ველასკესი გულაჩვილებული და შეწუხებული იყო, რაღაც სინდისის ქენჯნის მაგვარმა დააღონა მისი სული, როცა უიღბლო მეტოქის სევდიანი მორჩილება დაინახა.

ორი დღის შემდეგ გრიხალვა, რომელსაც მრავალი ამხანაგი აცილებდა, ესკიველის ერთ-ერთ ხომალდზე ავიდა.

გარსია დე აგილარს მან გადასცა მარია დე კუელარისთვის გადასაცემი წერილი:

„მარია, იმედგაცრუება მდევნის ამ მხარიდან. მივდივარ სიკვდილის საძებნელად, რომელიც ჩემი დაფლეთილი გულის ერთადერთი ნუგეშია. არ ვჩივი და არაფერში გადანაშაულებთ. დამივიწყეთ და იბედნიერეთ: ამ სურვილს საფლავში ჩავიტან და ვგრძნობ, რომ ეს უნდა გამოვხატო უკანასკნელად. მშვიდობით!“

აგილარი დაპირდა შეესრულებინა მეგობრის დავალება, და იმავე საღამოს წერილი გადასცა მარიას, მოხუცის საშუალებით, რომელიც კუელარის სახლში მსახურობდა.

XXI

მსხვერპლი

საბრალო მარიამ კინაღამ გონება დაკარგა, როცა შეყვარებულის გამოსათხოვარი წერილი წაიკითხა. ამ თავზარისგან სული რომ მოითქვა, გაიქცა მამასთან, მის წინ მუხლი მოიყარა და სიმართლე უამბო, გულის ვარამი თვალწინ გადაუშალა.

— მე მოვკვდები, მამაჩემო, — წარმოთქვა უბედურმა ქალიშვილმა, როცა თავისი აღსარება დაასრულა, — მოვკვდები, ძალიან მალე, თუ ძალას დამატანთ სხვას წავყვე.

მოხუცმა გააღო აივნის კარი, საიდანაც ზღვის სივრცე მოჩანდა და ქალიშვილს უხმოდ ანიშნა ხომალდებზე, რომლებიც აფრებგაშლილი მიჰქროდნენ სამხრეთ-დასავლეთისკენ.

— რის გაკეთებაღა შეიძლება? შენი მშვენიერი წავიდა... ღმერთმა კეთილად ატაროს! ეცადე დაივიწყო იგი და იფიქრო მხოლოდ იმაზე, რომ ღირსეულად დაიცვა ოჯახის პატიოსნება და შეასრულო კაპიტან დიეგო ველასკესისთვის საზეიმოდ მიცემული პირობა.

ქალიშვილს, თითქოს, არ ესმოდა მამის გულგრილი სიტყვები. გაქვავებული იდგა და უძრავი მზერა მიეპყრო ორი თეთრი აფრისთვის, როგორც ორი თოლია, წყლის სარკესავით ხედაპირს ფრთებით რომ სერავდა და სიშორეში იკარგებოდა. მარია ჰგავდა ქანდაკებას, რომელიც ანსახიერებდა სევდას და მწუხარებას. ბოლოს ცრემლები ღვარად დასდინდა ფერმკრთალ ლოყებზე. სასტიკი მოხუცი მხოლოდ ახლა მიხვდა, როგორი მწუხარება ტანჯავდა ქალიშვილის სულს. სცადა ენუგეშებინა იგი, შეზღუდული, როგორც იტყვიან, არც ღვინო და არც წყალიო, ისეთი ადამიანივით. რომელიც ტანჯულს მხოლოდ უძლიერებს უბედურებას უაზრო რჩევა-დარიგებებითა და უადგილო მსჯელობებით.

უნდოდა თავი დაეღწია მტანჯველი მოვალეობისგან — მოესმინა ამდენი ლაპარაკი, ამიტომ მარიამ სცადა დაეძლია მწუხარება და მშვიდად სთხოვა დონ კრისტობალს ნება, წასულიყო თავის პალატში.

კიდევ რამდენიმე ხანს უსმინა თავშეპაწყვენელ მოხუცს, რომელიც ურჩევდა სასეირნოდ წაჰყოლოდა და მასთან საუბარში გაექარვებინა უგუნებობა. ქალიშვილმა, როგორც იქნა, თავისი გაიტანა. წავიდა თავისთან და გაწმარტოვდა მოუარბებულ გრძნობებთან.

მარია შეუყვარებულისგან მიღებულ გამოსათხოვარ სტრიქონებზე პასუხის წერას შეუდგა. მის თითებში მომარჯვებული კალამი უფრო სწრაფად მიჰქროდა ქაღალდზე, ვიდრე მსუბუქი ფრინველის ფრთა ჰაერის სივრცეში. მშვენიერი ქალიშვილი ხანდახან ჩერდებოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სიტყვები მოეფიქრებინა, არამედ იმიტომ, რომ ქვითინი შეეკავებინა და მოეწმინდა ცრემლები, რომელიც მხედველობას უბინდავდა და ქაღალდზე იღვრებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ნაწერის გადაუკითხავად, მარიამ წერილი დაკეცა და დაბეჭდა, სანთელზე ამოტვიფრა ვენეზელი, რომელიც ამოკრილი იყო ოქროს ნატიფ მედალიონზე, ყელს რომ უმშვენებდა. მერე გახსნა მედალიონი, იქიდან ამოიღო ყორნის ფრთასავით შავი ხვეული თმის კულული და ტუჩებზე მიიკრა.

— სულ ეს არის, რაც დამრჩა მისი სიყვარულისგან, — წაიჩურჩულა მან აუწერელი ნაღველით. — ვის ვანდო ეს წერილი? არ ვიცი, მაგრამ მტკიცედ ვიმედოვნებ, რომ ოდესმე იგი წაიკითხავს ამას. მეტი არაფერი მინდა.

XXII

განშორება

როგორც კი ნიკუესას და ოხედას ხომალდები, რომლებსაც მიჰყავდა ბგზავრები, მხიარულად რომ იქნეოდნენ ჭუდებს, ოსამას შესართავიდან გავიდნენ, აფრები გაშალეს და კურსი სამხრეთისკენ აიღეს, დიეგო ველასკესმა ადმირალის უკანასკნელი დარიგება მოისმინა, ცხენს მოახტა და თავის რაზმთან ერთად გაემართა მისთვის გადაბარებული მხარისკენ. ეს ვრცელი ტერიტორია გადაჭიმული იყო ასუა დე კომპოსტელას სამხრეთით და დასავლეთით, მოიცავდა მთელ ზღვისპირეთს და კუნძულის ჩრდილოეთით უხვევდა მდინარე იაკეს შესართავამდე, ქალაქ მონტე-კრისტოს მახლობლად. დიეგო ველასკესის იურისდიქციაში შედიოდა მის მიერ დაარსებული ქალაქები ასუა, სალივატიერა დე ლა საბანა, ვილიანუევა დე ხაკიმო და სანხუან დე ლა მაგუანა, აგრეთვე კომანდორ ოვანდოს მიერ დაარსე-

ბული ქალაქები: იაგუანა, ანდა სანტა-მარია დელ პუერტო, ლარეს დე გუაავა და სანტა-მარია დე ლა ვერა-პასი. გარდა ამისა, ამ მხარეში იყო კასტილიური და ინდური პატარა ქალაქები და სოფლები. იმ დროს ესპანიოლაში ორმოც ათასამდე კოლონისტი იყო; ამ მოსახლეობამ სწრაფად იწყო კლება, როცა ევროპელთა ბრბო, რომელიც მიიზიდა მექსიკისა და პერუს სიმდიდრემ, კვალდაკვალ დაედევნა კორტესსა და პისაროს.

კაპიტან ველასკესის რაზმში სხვებთან ერთად იმყოფებოდა გულში მწარე წყენა ჩამარხული მოხიკა; იგი კოლონიის დედაქალაქს სტოვებდა მეტად უხალისოდ, რადგან თავს ძალიან კარგად გრძნობდა ინტრიგებისა და ავსიტყვაობის ატმოსფეროში, რომელიც სუფევდა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ორ ბანაკში. ერთ ბანაკს მიგელ დე პასამონტე მეთაურობდა, იგი დიდ როლს თამაშობდა, როგორც მეფის ხაზინადარი, მეორე ბანაკს კი ადმირალის მომხრენი შეადგენდნენ. მოხიკა დიდი სინანულით სტოვებდა მისთვის ასეთ შესაფერ ასპარეზს, მით უმეტეს, რომ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა მიეღო ლებოდა პასამონტეს ბანაკს, ნათქვამია: ამქარი ამქარს იცნობსო. ბაგრამ ვალენსუელას ჩამოსვლისთვის, რომელიც რამდენიმე დღე ქალაქში დაყოვნდა, უნდა მოემზადებინა ანგარიში, ამიტომ მოუხდა მას მაგუანაში სასწრაფოდ გამგზავრება, მისთვის ჩაბარებული მამულის საქმეების მოსაწესრიგებლად: აჩქარება აუცილებელია ყველასთვის, ვინც სხვის მამულს უწესრიგოდ განაგებს.

ენრიკილიო თავის მფარველს, დიეგო ველასკესს ისე გამოემშვიდობა, რომ დიდი გულისტკივილი არ გამოუმჟღავნებია. თითქოს ჯერ კიდევ არ ჩაჭრობოდა უნებურად აღძრული არაკეთილგანწყობილება, თუ უხილავი ინსტინქტი კარნახობდა, რომ ველასკესის ზრუნვაში იყო რაღაც ნაძალადევი, თითქოს იგი მოქმედებდა მოჩვენებითად და არა ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობით. რა თქმა უნდა, ჭაბუკი არ შესდგომია თავის გრძნობების შესწავლას, ყველა, ვინც სარგებლობს სხვისი სიკეთით, მასზე ხომ მხოლოდ მადლობით პასუხობს, მართალია არ მიდის დამცირებამდე, არ სცილდება ზღვარს, რომელთანაც ამაყი ადამიანის მადლიერება შედრკება ზიზღით. ცხადი იყო მხოლოდ ის, რომ ყოველთვის, როცა ენრიკილიო ჩაუფიქრდებოდა თავის სუფთა გულს, ხედავდა, როგორ საოცრად განსხვავდებოდა გულგრილი, თითქმის ძძულებითი გრძნობა, რომელსაც იგი განიცდიდა ველასკესის მიმართ, ნაზი, მგზნებარე და გულწრფელი სიყვარულისგან დიდსულოვანი და უანგარო ლას კასასის მიმართ.

ჭაბუკი კასიკი სარგებლობდა თავისუფლებით, რომელიც მისცა მას გონასტრის მოძღვარმა და ყოველდღე მიდიოდა ციხე-სიმაგრეში გონსიას სანახავად ადმირალი და მისი მეუღლე ყოველთვის ისე

ალერსითა და სიხარულით ხვდებოდნენ, რომ პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა სამეფისკარო ზნე-ჩვეულებებმა ჰაბუკის უმანკო სულზე, მთლიანად გაქრა. ენრიკილიო ზუსტად ასრულებდა ლას კასასის რჩევას და თანდათან ჩაწვდა ძველ ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას, რომელიც ამბობს „ნურაფერი გაგაკვირვებს“. ამ ჭეშმარიტებაში მდგომარეობს მთელი ცხოვრებისეული სიბრძნე. ენრიკილიომ უფრო ნაზად შეიყვარა მენსია; განშორების წინათგრძნობით შეპყრობილ ჰაბუკს დაეუფლა გაურკვეველი, სევდიანი გრძნობა, რომელიც თითქოს ყარიბუე იყო ოცნებებით გამოკვებილი იმ ჰვრეტითი ვნების. საყვარელ სახებას რომ ხედავს ცის კრიალა სილურჯესა და ტყის მორაკრაკე ნაკადულში. ასეთი სიყვარული კმაყოფილდება იდეალური უსაზღვრო არით, თითქმის ეზიზღება გრძნობის აქტიური და საგრძნობი გამოვლენა.

მაგრამ აი, დადგა ფრანსისკო ვალენსუელას მიერ მაგუანაში დაბრუნების დანიშნული დღე, სადაც იგი თითქმის ხუთი თვის განმავლობაში არ ყოფილა. მან ენრიკე თან წაიყვანა. ჰაბუკი გულთბილად გამოეთხოვა მენსიას, ადმირალსა და მის მეუღლეს; განშორების სიმწარეს ანელებდა მომავალში სანტო-დომინგოში ხშირად ჩამოსვლის იმედი, რასაც დაპირდა ახალი მეურვე სენიორ დე ვალენსუელა. მშვიდად და თავშეკავებულად დაემშვიდობა იგი მოძღვარსა და ბერებს წმინდა ფრანსისკოს მონასტერში. მხოლოდ, როცა ლას კასასს ხელზე კოცნიდა, რომელიც ნაზად ეხვეოდა მას, ჰაბუკმა დაკარგა იდუმალი სიმშვიდე და თვალებზე ცრემლი მოადგა. უფრო ღელავდა იგი ერთგულ ტამაიოსთან განშორებისას. ბერებმა გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ დაეტოვებინათ ტამაიო მონასტერში იმ უცნაური მიზეზით, რომ იგი მათთვის ძალიან საჭირო იყო. ამაოდ ამბობდა უარს ენრიკე, ბუზღუნებდა ტამაიო, დავობდა ლას კასასი წმინდა მამების უსამართლო დაჟინებაზე. ისინი თავისას არ იშლიდნენ და შეორე მსახურს დაავალეს ენრიკილიოს ნივთების წაღება ვალენსუელას სახლში, თავისთან დაიტოვეს „კასიკი“, როგორც ერთმანეთში ეძახდნენ ტამაიოს, რომელიც ეჩემებოდა, რომ იგი ეკუთვნოდა ინდიელ დიდებულთა საგვარეულოს, — პატივმოყვარეობა, როგორც ჩანს, დამახასიათებელია ყოველგვარი წოდებისა და მდგომარეობის ადამიანისათვის. ლას კასასი აღშფოთებული იყო ღვთისმოსავ კაცთა ეგოიზმით და მისთვის ჩვეული სიფიცხით განაცხადა, თქვენი მოქმედება უცხოა სამართლიანობისა და გულმოწყალებისთვისო. ბერებმა ურცხვად უპასუხეს, გულმოწყალება და სამართლიანობა — ჩვენი საქმე სწორედ ეს არისო. ფიცხმა ლიცენციატმა დაიფიცა, რომ არ დამშვიდდებოდა, ვიდრე მათ არ წააძთმევდა ინდიელს და არ დაუბრუნებდა მას ენრიკილიოს. მაშინ დიდად პატივცემული მოძღვარი

ანტონიო დე ესპინალი გამოექომაგა მონასტრის პრესტიჟსა და საეკლესიო პრეროგატივებს და პირველულ მდგმურს განუცხადა: „ამას კი ვნახავთ“.

ენრიკე მივიდა ვალენსუელასთან, რომელიც ცხენზე ამხედრებული ელოდა. და ყველანი გაუდგნენ გზას. ამიერიდან ლიცენციატის მეგობრობა პადრე ანტონიოსა და მის ბერებთან, რომელთათვისაც ლას კასასი ღვთისმეტყველებისა და საღმთო წერილის საკითხში ყოველთვის ძვირფასი მრჩეველი იყო, საგრძნობლად გაგულცივდა. იმ დღესვე გადავიდა იგი საცხოვრებლად ერთ-ერთ ნათესავთან, სათნო და საიმედო კაცთან — პედრო დე რენტერიასთან, ჩვეულებრივ „პედრო კეთილს“ რომ ეძახდა, მოხიკასგან განსასხვავებლად. მას მეგობრებთან საუბრის დროს მუდამ „პედრო ბოროტად“ იხსენიებდა.

XXIII

შინაბრძოლა

დიდი ზღვაოსნის ძველი მტრები ესპანიოლაში თანდათან უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ მისი შვილის დონ დიეგოს ძალაუფლებას. მაინც მტრის პირველმა დარტყმებმა ახალგაზრდა ადმირალის სულზე ისე იმოქმედა, როგორც მოქმედებს მომთვინიერებლის დეზები ფიცხ ცხენზე, რომელიც შეუჩვეველია უხეშ აღვირს. ჩვენ უკვე მოვისმინეთ, რა მწარედ ჩიოდა იგი კონტადორ კუელართან საუბარში ეპისკოპოს ფონსეკას დანიშნული კაცის მიგელ დე პასამონტეს ინტრიგების გამო; დავინახეთ, შებლებისდაგვარად, როგორ ცდილობდა ხელი შეეშალა ოხედასა და ნიკუესას ექსპედიციისთვის, რომელიც მოფიქრებული იყო მისი მეტოქეების მტრულ მოქმედებათა შედეგად. როგორ გაგზავნა მან ესკიველი იამაიკაზე, დიეგო ველასკესს კი დაავალა კუბის დაპყრობა. პასამონტე და მისი თანამდგომები შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ მეფის კარზე ადმირალისადმი ნდობა როგორმე შეელახათ. პირველად დიეგო კოლუმბი დაასმინეს, როცა ციხე-სიმაგრე კომენდანტს ფრანსისკო დე ტაპიას არ გადასცა, რომელიც კარგა ხანია დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე მეფის სახელით, მაგრამ იგი არ სცნო გუბერნატორმა ოვანდომ და უკანონოდ დაამწყვდია ციხეში. მერე პასამონტემ იჩივლა ადმირალ დონ დიეგოს წემდეგ უსამართლობაზე: მან მიეღო ხუან პონსე დე ლეონის დიდი დამსახურება, უდიდესი შრომითა და ხელოვნებით რომ გამოიკვლია კუნძული სან-ხუან დე პუერტო-რიკო, — და ამ კუნძულის მმართველობა ჩააბარა ვინმე ესიხელ კაბალიეროს, სახელად

ხუან სერონს. და იგი ფავის ნაცვალად გახადა, „მთავარ ალგვასილად კი დანიშნა მიგელ დიასი, რომელიც ბარტოლომე კოლუმბს ემსახურებოდა".

მეფემ კვლავ უბრძანა ადმირალს ციხე-სიმაგრე ჩაებარებინა ფრანსისკო ტაპიასთვის. მაგრამ დიეგო კოლუმბს ახსოვდა მეფის სიგელი, რომელიც, როგორც ოვანდოს, უბოძებდა უფლებას ესარგებლა ფორმულით „გისმენ და არ დაგემორჩილები", თუ ამას ჩათვლიდა სასარგებლოდ კოლონიის კეთილდღეობისთვის, წარადგინა მეფის კარზე თავისი მოსაზრებანი და ადრინდელივით უარი განაცხადა ტაპია დაეშვა თანამდებობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

ადვილად წარმოსადგენია, როგორ გამოიყენეს მოწინააღმდეგეებმა ეს საქციელი. იგი განმარტეს როგორც ურჩობა. მათ ერთხელ კიდევ მისწერეს ფონსეკას, პალენსიის ეპისკოპოსს, და „მალე ახალი განკარგულება მოუვიდა ადმირალს — მკაცრი სასჯელის შიშით დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ციხე-სიმაგრე და ჩაებარებინა იგი მიგელ დე პასამონტესთვის, როგორც კომენდანტის თანამდებობის დროებით შემსრულებლისთვის".

მისი თავმოყვარეობისათვის ასეთი დარტყმითა და უფლებების შებღალვით მწარედ გულნატკენი დიეგო კოლუმბი იძულებული იყო დამორჩილებოდა და ოჯახიანად გადავიდა ნათესავის ფრანსისკო დე გარაის სახლში. დაუყოვნებლივ, გამალებით შეუდგა მშვენიერი, გოთური სტილის შენობის აგებას; იგი დღემდე ცნობილია „ადმირალის სახლის" სახელით, და რსამას წყლებზე ირეკლება მისი დიდებული და პირქუში ნანგრევები.

დიეგო კოლუმბს კიდევ იმაში ადანაშაულებდნენ, რომ მეფის ნების შესაბამისად, როცა ინდიელებს ანაწილებდა, მან გააკოტრა ხელმწიფის დიდი ხნის ერთგული ბევრი მსახური და ხელს უწყობდა თავის ნათესავებსა და თანამდგომებს. მაგრამ რადგან ლაპარაკი იყო უბედურ ინდიელებზე, ეს დანაშაული უფრო მცირედ მიიჩნიეს, ვიდრე სხვები, და ამის შედეგებმა თავი იჩინა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, რა თქმა უნდა, არა კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის საზეიმოდ.

რაც შეეხება პონსე დე ლეონს, იგი მთელი ჯალაბობით ჩამოვიდა კუნძულ პუერტო-რიკოში და მეფის კარზე ოვანდოს ყოფნა მისთვის ისევე, როგორც ადმირალის სხვა მტრებისთვის, დიდი მხარდაჭერა იყო. მეფე გადაჭრით მოითხოვდა გუბერნატორის თანამდებობიდან ხუან სერონის გადაყენებას და პონსეს დანიშვნას, ამით დიეგო კოლუმბს წაართვა წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი შესაძლებლობა. თუმცა მისი უდიდებულესობა ახალი გუბერნატორისადმი მიმართულ ბრძნულ განკარგულებებში დაჟინებით მოითხოვდა, რომ მას

ემოქმედა მშვიდობიანად და „კეთილი ყოფილიყო“ ადმირალის ნაცვალისა და მთავარი ალგვასილის მიმართ, გულმოდგინე ვასალმა — ოდითგანვე მომდინარე წესის მიხედვით — მეფის განკარგულებანი შებრუნებული მნიშვნელობით გაიგო, დაემორჩილა მხოლოდ თავის შურისმაძიებლურ ხმას, „მიზეზი იპოვა ხუან სერრონისა და მიგელ დიასის დასაპატიმრებლად და ისინი კასტილიაში ტყვეებივით გაგზავნა, ამით ადმირალს კიდევ ერთი შეურაცხყოფა მიაყენა“.

ხუან დე ესკიველის ექსპედიციას მეფე მეტად უკმაყოფილოდ შეხვდა, ამით დაადასტურა, თუ რა დროული და ბრძნული იყო ლას კასასის რჩევა, როცა ველასკესს უარი ათქმევინა იამაიკის ექსპედიციაში მონაწილეობაზე.

განსაკუთრებულად იმაღლებდა ხმას. „მეფის პარტია“, როგორც ბლომკვისტურად უწოდებდნენ თავიანთ თავს პასამონტეს თანამდგომნი, მის მიერვე შექმნილ გამონაგონზე, თითქოს ადმირალი მხოლოდ თავის განდიდებაზე ფიქრობდა და უნდოდა კუნძული ემართა კასტილიის სამეფოსგან დამოუკიდებლად.

სამარცხვინო სიცრუის დასადასტურებლად უთითებდნენ დონ დიეგოს რეზიდენციისათვის განკუთვნილი სახლის შენობაზე, რომელსაც მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ იხსენიებდნენ. შრავალჯერ მისწერეს ამის შესახებ ესპანეთში, როცა კუნძულზე ჩამოვიდა ამადორ დე ლარესი — სამხედრო საქმეში გამოცდილი კაბალიერო. იგი გონსალო დე კორდოვას და ცნობილ ინჟინერ პედრო ნავაროს ახლდა იტალიის წინააღმდეგ ლაშქრობაში, — ადმირალის მტრებმა მას აცნობეს თავიანთი ეჭვი, რადგან უნდოდათ ამ მცოდნე კაცის მხარდაჭერა მოეპოვებინათ. ამადორ დე ლარესი მართალი და პატიოსანი ადამიანი იყო. მან ნაგებობა დაათვალიერა, დარწმუნდა, რომ ცხელი ჰავის გამო გაკეთებული ვრავალი ფანჯარა და კარი შენობის მშვიდობიანი მნიშვნელობის დამადასტურებელი იყო მხოლოდ. მასხრად აიგდო ბოროტეული ეჭვი და ციხისმწამებლები შეარცხვინა. მიუხედავად ამისა, პასამონტე და მისი დამქაშები სარგებლობდნენ დიეგო კოლუმბის მცირე მარცხითაც კი, ის კი სასოწარკვეთას ეძლეოდა, რადგან ხედავდა, რომ გამუდმებული დევნისა და კრიჭაში ჩადგომის სამიზნედ იქცა სრულიად უმიზეზოდ, „რამდენადაც, — როგორც ისტორიკოსი წერდა, — იგი კეთილშობილურად და ერთგულად იქცეოდა!“

დონ დიეგო დიდ იმედებს ამყარებდა კასტილიელი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებაზე, თავისი ძმის ფერნანდო კოლუმბის გონებასა და ენერგიაზე. ესპანიოლაში ჩამოსვლისთანავე ფერნანდომ დაინახა, რომ მათ წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა, მან ადმირალს უწინასწარმეტყველა ყველა უსიამოვნება, რაც ემუქრებოდა, მოელაპარაკა მასთან და გადაწყვიტა, რაც შეიძლებოდა მალე დაბრუ-

ნებელიყო მეტროპოლიაში იმავე ესკადრის გენერალ-კაპიტნად, რომლითაც ისინი კუნძულზე ჩამოვიდნენ. მით უმეტეს ეს აუცილებელი იყო, რადგან იმავე დროს ბრუნდებოდა კომანდორი ოვანდო, რომელიც, უეჭველად, ემზადებოდა მთელი თავისი ზეგავლენა გამოეყენებინა კოლუმბების მოწინააღმდეგე პარტიის დასახმარებლად.

ახლა ფერნანდო კოლუმბი ყველგან თან ახლდა მეფის კარს და, ვინაიდან სარგებლობდა ღრმადმოხუცებული მეფის კარგი განწყობით, ბევრჯერ შეუშალა ხელი ფონსეკასა და ლოპე დე კონჩილიოსის ვერაგ ზრახვებს, რადგან დაუძლურებული მონარქის ფაეორიტები ინდოეთის საქმეებს განაგებდნენ თავიანთი ანგარებიანი ინტერესებით, პასამონტესა და მის თანამოაზრეთა ბოროტი ზრახვებით. ადმირალის პრესტიჟისათვის გადამწყვეტი ვნების მისაყენებლად, კუნძულ ესპანიოლაში მეფეს დააარსებინეს უმაღლესი სააპელაციო სასამართლო, რომელიც მიმართული იყო გუბერნატორისა და მისი მთავარი ალკალდების წინააღმდეგ. ეს სასამართლო იყო ახალ ქვეყანაში აუდიენსიის. პირველი ცდა — დაწესებულება, რომელიც უეჭველად იმსახურებდა პატივისცემას, მაგრამ შექმნილი იყო მდაბალი მოსაზრებებით. სასამართლო შედგებოდა მოსყიდული მოსამართლეებისგან, რომლებიც ამ თანამდებობაზე დანიშნეს მხოლოდ იმიტომ, რომ აღრე, თავიანთი მფარველების მიერ ადმირალის პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღად იყვნენ გამოყენებულნი. ცხადია, დიეგო კოლუმბი აღშფოთდა, როცა გაიგო მისი კანონიერი სწრაფვის გზაზე გადაღობებული ახალი დაბრკოლებების ამბავი.

სასტიკმა დამარცხებებმა ის შედეგი გამოიღო, რომ ახალმა ადმირალმა ფრთხილად დაიწყო მოქმედება. თუმცა, სარგებლობდა მეგობრების გავლენით მეფის კარზე, დაჟინებით განაგრძობდა მეფის წინაშე შეენარჩუნებინა თავისი პრეროგატივების ხელშეუხებლობა, ახლა იგი წინასწარ მოუფიქრებლად არ დგამდა არც ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

ამ რთულმა გარემოებებმა უფრო განუმტკიცა განზრახვა, დიეგო ველასკესი კოლონიის დედაქალაქიდან შორს ჰყოლოდა და ამით დაეცვა მარია დე კუელარის სულიერი სიმშვიდე და სუსტი ჯანმრთელობა. გუბერნატორის ნაცვალი დასაელეთ პროვინციებში, მოუთმენელი, როგორც ყველა შეყვარებული, ამაოდ სთხოვდა ადმირალს, სანტო-დომინგოში დაბრუნების ნება დაერთო მისთვის. დიეგო კოლუმბი პასუხობდა, პირადად ჩემი პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ მერყეობა და მოითხოვს მოქმედების დიდ მოფიქრებასა და სიფრთხილეს. ამიტომ დიეგო ველასკესს ევალება თავის მხარეში შეინარჩუნოს წესრიგი და ბრძნული მმართველობა. კიღრე დიეგო კოლუმბი ცდილობს აიცილოს მოსალოდნელი უსიამოვნებანი და აღად-

გინოს თავისი მდგომარეობა მომავალში კუბაში ექსპედიციის მოსამზადებლად. ამრიგად, მას ველასკესი დედაქალაქიდან შორს კიდევ დიდხანს ჰყავდა გაგზავნილი, ამ დროის განმავლობაში მოხდა ახალი ამბები, რომლებიც თავის ადგილს მოითხოვენ ამ ფურცლებზე.

XXIV

კურთხევა

ლიცენციატი დონ ბარტოლომე ლას კასასი მრავალი წელი ემზადებოდა საღმრთო ხარისხის მისაღებად. სალამანკის უნივერსიტეტში სწავლამ, ფხიზელმა, დაკვირვებულმა გონებამ და დიდმა ნიჭმა ლას კასასი აქცია იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ადამიანად, დახელოვნებულად არა მარტო ღვთისმეტყველებაში, არამედ ლიტერატურასა და ყოველ დარგში. თავმდაბლობა, თუ ბუნდოვანი წინათგრძნობა კარნახობდა, რომ მისი მტკიცე, დამოუკიდებელი ხასიათი ძნელად ეგუებოდა ეკლესიის დისციპლინას და ჩაითრევდა მას გამუდმებულ ბრძოლებსა და სასტიკ მღელვარებაში, ლიცენციატი ყოველგვარი მიზეზით, აგვიანებდა თავის კურთხევას.

მაგრამ, 1510 წლის გაზაფხულზე, როგორც იქნა, დაღგა ჟამი, როცა ბარტოლომე ლას კასასმა იგრძნო, რომ მისი ღვთისმოსავი და კაცთმოყვარე სული, თითქოს ერწყმის უმწიკვლო ხოტბას, ცად რომ ამაღლებს ამ ნეტარ დროში მთლად აყვავებული და კეთილი სურნელების მფრქვევი ბუნება, — ბოლო მოუღო ყოყმანს და გადაწყვიტა, რომ მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ამბავი — მისი სულიერი კურთხევა — მოხდებოდა რამდენიმე კვირის შემდეგ. ეს დრო მისთვის აუცილებელი იყო პირადი საქმეების მოსაწესრიგებლად და ჭალაქ კონსეპსიონ დე ლა ვეგაში წასასვლელად. ეს გადაწყვეტილება გააცნო დიეგო კოლუმბს, რომელიც დაპირდა, პირველ მესას დავესწრებიო.

ადმირალმა და ლას კასასმა მოილაპარაკეს, რომ ეს უკანასკნელი, რამდენიმე დღის შემდეგ წავიდოდა კონსეპსიონ დე ლა ვეგაში, ეპისკოპოს დოქტორ პედრო ხუარესთან დესას რეზიდენციაში. სამ პრელატთაგან, რომლებმაც კუნძულ ესპანიოლაზე მიიღეს ეპარქიები, მან ერთადერთმა მიიღო საეპისკოპოსო და განაგებდა მას რამდენიმე წლის მანძილზე. იქ უნდა მომხდარიყო ლიცენციატ ლას კასასის კურთხევა. ამასობაში ადმირალი და მისი მეუღლე მოემზადებიან სამგზავროდ და ჩავლენ ვეგაში, ახალ მესას ზეიმზე დასასწრებლად, რომელიც არა მხოლოდ აღნიშნავს ასეთ საყურადღებო ამბავს, როგორც

საღმრთო წოდების მინიჭებაა, არამედ იქნება პირველი მესა კუნძულ ესპანიოლაზე, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ახალ ქვეყანაში. ადმირალმა და მისმა მეუღლემ არად ჩააგდეს გზის სიძნელე და სიამოვნებით ისარგებლეს ამ შემთხვევით, რათა შეესრულებინათ ღვთისმოსაობის ვალი და ამავე დროს მოენახულებინათ ოქროს საღნობი და შიდა პროვინციის სხვა ღირსშესანიშნაობანი. განსაკუთრებით იზიდავდა მათ დიდი ზღვაოსნისა და დასავლეთ ინდოეთის პირველი ადმირალის მიერ სანტო-სეროს ძირში უბიწო ღვთისმშობელ მარიამის სადიდებლად დაარსებული ცნობილი ქალაქი.

დანიშნულ დღეს, დილით ადრე, ლიცენციატი სანტო-დომინგოდან გავიდა მეგობრებისა და მსახურთა თანხლებით. მშვენიერი ამინდი იდგა, ირგვლივ თვალწარმტაცი მომაჯადოებელი სიერცე იშლებოდა. მეტად მგრძნობიარე ლას კასასს უყვარდა ყველაფერი მშვენიერი. მისი სული ეძლეოდა ღვთიურ აღფრთოვანებას, როცა უყურებდა მწვანე ფერის ნაირფეროვან ტონებს, რომლითაც შეემკო ბუნებას ესპანიოლის ნაყოფიერი და ტანჯული მიწა.

ბავშვივით აღფრთოვანებული ჩერდებოდა· იგი ხან შორეული მთების განშტოებებთან, ხან კი უშველებელი ფიჭვებით დაფარული მწვერვალებით ღრუბლებამდე აზიდული ამაყი კლდეების ფერხთით გაშლილ ველზე. ქვებზე გადმოღვრილი მჩქეფარე ნაკადი მბზინვარე შხეფებით რწყავდა მწვანე ნაპირებს; წყალუხვი მდინარე თეთრი ქვიშისა და შავი კენჭების ფართო კალაპოტში მიედინებოდა: გოთური საკურთხევლის მსგავსი, საუკუნოვანი მამეი, რომელსაც ორად განშტოებული ძლიერი ტანი აქვს: თვალუწვდენელი პანორამა, მთის მწვერვალიდან რომ მოჩანდა, — ყველაფერი აღაფრთოვანებდა შთაბეჭდილებიან მოგზაურს, იგი მკვირცხლად გამოხატავდა აღფრთოვანებას და ცდილობდა გაეზიარებინა თანამგზავრებისათვის, მაგრამ ისინი, მოკლებულნი წარმოსახვის თუ მშვენიერების გრძნობას, გულგრილად შესცქეროდნენ ჯადოსნურ სურათებს, ლიცენციატს ეგზომ რომ აღელვებდა, ანდა დამცინავი ღიმილით გადახედავდნენ ერთმანეთს. ხანდახან პირში დასცინოდნენ აღფრთოვანებულ ორატორს, და ისიც ჩუმდებოდა, სინანულით ფიქრობდა მათ სიჩლუნგეზე და აგონდებოდა გამონათქვამი საღმრთო წერილიდან: „თვალნი გაქვთ და ვერ ხედავთ, გაქვთ ყურნი და სმენა არ გაქვთ“.

ერთხელ ლას კასასმა სასტიკად გაამახვილა თანამგზავრები, რომლებიც ასეთი უყურადღებო გულგრილობით მოეკიდნენ მის მოწიწებას ბუნების მშვენიერების წინაშე.

მცირე ქარავანი დასასვენებლად გაჩერდა მშვენიერი მდინარის ნაპირზე, და ყველა თავის გემოვნების მიხედვით მოკალათდა. ლას კა-

სასიმღერაოდან მივიდა წყლის დასალევად, ფსკერიდან ერთი მუჭა კენჭი ამოიღო და ხმამაღლა შეჰყვირა:

— ოქრო! შეხედეთ, მეგობრებო, ესეც მონაპოვარი!

უნდა გენახათ, როგორი სიხარბით, როგორი მღელვარებით მიცვივდნენ ყველანი ძვირფასი კენჭის სანახავად, რომელიც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ მდინარის ქვა იყო. ლას კასასმა კი, კენჭები ისევ ნაკადულში ჩაყარა და დაცინვით თქვა:

— თქვენ მართალი ხართ, მეგობრებო. მათ შორის, რაც ღმერთმა შექმნა ადამიანის საჭიროებისათვის, არაფერია უფრო მშვენიერი, სასარგებლო და ღირსეული, როგორც ოქრო.

მოგზაურებმა ერთმანეთს გადახედეს, არ იცოდნენ, რა ეთქვათ და ეფიქრათ ამ მოულოდნელ გაკვეთილზე.

სამი დღის შემდეგ ისინი მივიდნენ კონსეპსიონ დე ლა ვეგაში. წლის ამ დროს კუნძულის ყოველი მხრიდან, სადაც საბადოები იყო, აქეთკენ მოედინებოდნენ კოლონისტები, თავიანთი ოქროების გადასადნობად და ზოდებზე კანონით დადგენილი სახელმწიფო ნიშნის დასასმელად. ამიტომ იყო, რომ ვეგაში დედაქალაქზე ნაკლები გამოცოცხლება როდი იგრძნობოდა. ამ დღეებში აქ იხსნებოდა ბაზრობა, ყველაზე მიყრუებული კუთხეებიდან მოდიოდნენ მცხოვრებნი, გასაყიდად მოჰყავდათ პირუტყვი და მოჰქონდათ ყოველგვარი საქონელი. სადღესასწაულოდ გამოცოცხლებულ მთავარ ქუჩებში ხალხი ირეოდა; აქ ჟღერდა კასტანეტები და დაირები, იქ კაკუნობდა ჩაქუჩები და ფლატუნობდა ეჩოები; გიზგიზებდა ცეცხლი სამჭედლოების ქურებში, მოხეტიალე ვაჭრები გაჰყვიროდნენ გასაყიდი საქონლის საბელებს. საერთო გუგუნში ისმოდა ხან სიმღერის ხმა, ხან ძაღლის ყეფა. მგზავრი, რომელმაც გაიარა ვრცელი უკაცრიელი სავანები, უდაბნოს მაღალი მთები გადალახა და პირველად იყო კონსეპსიონში, გაოცებისგან სულს ნაბავდა ამ ფაციფუცსა და მოძრაობაში, თავს დაკარგულად გრძნობდა ადამიანთა და ცხოველთა ამ უნაპირო ზღვაში. ასე დაემართათ ლას კასასსა და მის ხალხსაც. ისინი ინტერესით იყურებოდნენ აქეთ-იქით, არ ჩქარობდნენ მათთვის მიჩენილ ბინაზე მისვლას. ირგვლივ კი, ყოველი მიმართულებით მიმოდიოდნენ ფეხით მოსიარულენი, ერთნი — საქმეში გართულნი, სხვები — გართობის მაძიებელნი. არავინ აქცევდა ყურადღებას ახლადმოსულებს, ძალიან ბევრი იყო აქ ჩამოსული კოლონისტები და მადნის მთხრელები.

ლიცენციატი მალე მოეგო გონს და გამცილებლებთან ერთად მთავარი ქუჩით დიდი ტაძრის მოედნისკენ გასწია. ისინი დიდებული თეთრი შენობის წინ ჩამოქვეითდნენ. მის ფასადს ამშვენებდა ქვისგან

გამოკვეთილი ეპისკოპოს დონ პედრო დესას სახვარეულო გერბი, პაპის ტიარასთან შერწყმული სიმბოლური გასაღებებით.

პრელატმა მაშინვე მიიღო ლას კასასი. გულითადად და ალერსიანად მიიპატიჟა სტუმარი თავის სახლში დასაბინავებლად. ლიცენციატისადმი ასეთ მეგობრულ დამოკიდებულებას ხელი შეუწყო აგრეთვე ადმირალის რეკომენდაციამ, რომელიც თან ჩამოიტანა მომავალმა მღვდელმა.

ლას კასასის გამცილებელი მეგობრები მოეწყვნენ — ზოგნი ფრანცისკანელთა მონასტერში, სხვები კი კერძო სახლებში. ამ დღიდან ქალაქის საბჭოს რეხიდორები შეუდგნენ მდიდრული შენობის მომზადებას ადმირალისა და მისი მეუღლისთვის, აგრეთვე ამალაში შემავალი კავალრებისა და მანდილოსნებისთვის, რომლებიც, როგორც ლას კასასის ჩამოტანილი წერილი იუწყებოდა, მალე უნდა ჩამოსულიყვნენ ქალაქში.

XXV

მაცნე

ნახევარი საათიც არ იყო გასული ლიცენციატის ჩამოსვლიდან, რომ მას მოახსენეს, ვიღაც კაბალიეროს, რომელსაც ამბავი ჩამოგიტანათ ახლო მეგობრისგან, სურს თქვენი ნახვაო.

ლას კასასის წინაშე წარსდგა მშვენიერი ახალგაზრდა. შესახედავად ოცი წლისა იქნებოდა, საშუალოზე მაღალი, ტანადი, ქერათმიანი, ცისფერთვალება. მართალია, ამ თვალებში დროდადრო გაიელვებდა რაღაც მკაცრი და ავბედითი, მაგრამ ჰაბუკი მაშინვე იცვლიდა სახის გამომეტყველებას, ცდილობდა გამოეხატა ალერსიანობა და სანდომიანობა. ეს კი უნებურად გაფიქრებინებდათ, რომ მისი ხასიათის ძირითადი თვისება ცბიერება იყო. ახალგაზრდა კაცის საცხენოსნო ტანისამოსი გამორჩეოდა განსაკუთრებული დაუდევრობით: ყვითელი ზამშის ჩექმები, გახეხილი შარვალი, ნაცრისფერ ხავერდის კამზოლი, შავი ტყავის ქამარი, რომელზეც ეკიდა მშვენიერი ტოლედური ხმალი. მისი ვადა და ქარქაში ვერცხლით იყო მოჭედილი. მარჯვენა ხელში ეჭირა მოხდენილი, ფართოფარფლიანი, ფუშფუშა, ქათქათა პლუმაჟიანი ქუდი. ერთი სიტყვით, ჰაბუკის ტანისამოსსა და შესახედაობას განსაკუთრებული ღირსების კვალი ეტყობოდა, რაც ყოველთვის ახლავს დიდებულებასა და სიმდიდრეს. მასში ყველაფერი უნდა მოსწონებოდა ადამიანს, და, მაინც, არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქმის ზიზღსაც კი იწვევდა, თითქოს რაღაც გაუგებარი ანდა ფარული საფრთხის მაუწყებელი იყო.

მიუხედავად ამისა. ლას კასასი მაინც გაახარა ახალგაზრდა კაბალიეროს ნახვამ და სიხარულით გაუწოდა მას ხელი:

— თქვენ აქ ხართ, ანდრესილიო? საიდან გაჩნდით? ჩემს მეგობარ დონ ფრანსისკოს არაფერი უთქვამს ჩემთვის თქვენს ჩამოსვლაზე, თუმცა დიდი ხანია მივწერე, რომ ვეგაში ჩამოსასვლელად ვემზადებოდი.

— მაგრამ სწორედ ამიტომ, სენიორ ბარტოლომე, — ოდნავ ცივად უპასუხა ანდრესილიომ, — მამაჩემს აზრად მოუვიდა ჩემი აქ გამოგზავნა. უნდოდა, მისი სახელით მომელოცა თქვენთვის კურთხევა და გადმომეცა მისი გულისტკივილი, რომ პირადად არ შეუძლია ჩამოსვლა, რადგან გართულია სენიორ მოხიკასთან გაუთავებელი დავით.

— გული მიგრძნობდა, რომ მას არასასიამოვნო ახსნა-განმარტებები მოელოდა, ამიტომაც ვერ გადავწყვიტე მიმეწერა, როგორ გამახარებდა მისი დასწრება ჩემს პირველ მესაზე. მაგრამ თქვენ აქ ხართ. ანდრეს, და ჩემი გული მზად არის თქვენში ჰპოვოს ჩემი საყვარელი და ძვირფასი მეგობარი. ახლა კი მიამბეთ ენრიკილიოს, ჭაბუკი კასიკის ამბავი, რომელიც მე გავაცანი მამათქვენს.

— ოჰ, სენიორ! — უპასუხა ანდრეს ვალენსუელამ (მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, ეს ჭაბუკი ლა მაგუანას მბარეში ყველაზე მდიდარი კოლონისტის, დონ ფრანსისკოს შვილი რომ იყო). — ენრიკილიო — ნამდვილი განძია. რაც იგი სან-ხუანში ჩამოვიდა, იმდენ გულმოდგინებას იჩენს, ისე ცდილობს თავი მოაწონოს მამაჩემს და ისწავლოს მამულის მართვა, რომ მე მალე გავთავისუფლდები ყოველგვარი საზრუნავისგან, რომელიც ჩემ ზურგზე იყო თვეების მანძილზე, როცა დონ ფრანსისკო სხვაგან მიდიოდა. მამაჩემს კი ენრიკილიო თითქმის ჩემსავით უყვარს. უნდა, რომ მეც მიყვარდეს იგი და ძმასავით ვექცეოდე, რადგან ძმა არ მყავს. სხვათა შორის, ენრიკილიო მართლაც იმსახურებს სიყვარულს.

ამ სიტყვების გაგონებამ ლას კასასს სიხარულისგან სახე გაუბრწყინა და ნაზად მოეხვია ჭაბუკს.

— ვხედავ, რომ კეთილშობილი დონ ფრანსისკოს ღირსეული შვილი ხარ, — უთხრა მან. — ყოველთვის გქონდეთ ასეთი კეთილი გრძნობები და ბედნიერი იქნებით. სად დაბინავდით?

— აქვე ახლოს, ჩვენი ნათესავის სახლში. საბადოები იჯარითა აქვს აღებული.

— ყოველთვის გამახარებს თქვენი ნახვა, აბა იფიქრეთ, რამეში ხომ არ გამოგადგებით, ანდრეს.

— მადლობელი ვარ, ლიცენციატო, არაფერი მჭირდება. მიმსახურეთ, როგორც გენებოთ.

ჰაბუკი წავიდა.

— იგი უკეთესია, ვიდრე მე და მამამისი ვფიქრობდით, — ჩაილაპარაკა ლას კასასმა, როცა მარტო დარჩა. — ტყუილად კი არ მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ცუდი ნაყოფი გამოეღო ისეთ მშვენიერ ხეს, როგორიც დონ ფრანსისკოა. როცა იგი შეშფოთებით მიზიარებდა, რასაც უნერგავდა მას შვილის ცუდი მიდრეკილებანი და ნაკლოვანებანი, ვცდილობდი დამემშვიდებინა, ვარწმუნებდი, რომ დაასაკლებოდა და ყველაფერი გაუკლიდა. მაგრამ სულის სიღრმეში მეგონა, ტყუილად არ იყო დონ ფრანსისკო შეწუხებული და ნაწყენი. ახლა ვხედავ, ყველაფერი მამის სიყვარულით ნაკარნახევი გადაჭარბება იყო. რომ ჰაბუკი კეთილია ბუნებით, ვეცდები ახლოს გავიცნო, განვუმტკიცო ღვთის რწმენა. შეიძლება ასეთი ფარული მიზნით გამოგზავნა იგი აქ ღირსეულმა მამამისმა.

XXVI

ღირსსახსოვარი მესა

ათი თუ თორმეტი დღის განმავლობაში კუნძულის ყოველი მხრიდან უწყვეტად მოედინებოდნენ მგზავრები. ზოგიერთს ამოძრავებდა მეგობრული გრძნობა ლას კასასისადმი. სხვებს იზიდავდა ახალი მესას არაჩვეულებრივი ცერემონია, რომელიც ამავე დროს პირველი იყო ამერიკაში. ზოგი სარგებლობდა დროით, როცა ადნობდნენ და ნიშანს ასვამდნენ საბადოებში მოპოვებულ ოქროს. — მაგრამ არასოდეს, ესპანიოლის აღმოჩენიდან არ მოგროვილა იმდენი ხალხი, რამდენიც ახლა ვეგაში იყო.

დიეგო ველასკესიც არ ჩამორჩა სხვებს. ლას კასასთან ძველი მეგობრობის პატივსაცემად, ადმირალს სთხოვა ნებართვა დროებით დაეტოვებინა თავისი პოსტი და ვეგაში მოვარდა იმ იმედით, რომ დედოფლის ამალაში საცოლეს იხილავდა. მაგრამ ეს სასიხარულო იმედი გაუცრუვდა და მხოლოდ მწარე სევდა შერჩა. იმ დღეს, როცა ზარების მხიარულ წკრიალსა და ზარბაზნების ჭუხილში მოხდა ადმირალისა და მისი მეუღლის არაჩვეულებრივად საზეიმო შესვლა ტრიუმფალური თაღებით, მკვეთრი ფერის ბაირაღებითა და ყვავილების გირლიანდებით შემკულ კოლუმბის საყვარელ ქალაქში.

ველასკესი შეშინებული ეძებდა საცოლეს და, როცა ვერ დაინახა, მეფის მოადგილის ამალიდან ვინც შეხვდა, პირველად იმას დაუწყო გამოკითხვა. მაშინ გაიგო, რომ მარია დე კუელარი შეპყრობილი იყო გაუგებარი სენით, რომელმაც ძალა გამოაცალა, ვარდები

მის ლოყაზე უფერულ შრომანად აქცია, და ვერ შესძლებდა ასეთ ძნიმე მგზავრობას. ეს სამწუხარო ამბავი თვითონ ადმირალმაც დაუდასტურა, როგორც კი მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში დაბინავდა.

— გრიხალვა? — იკითხა ველასკესმა, რადგან ეშინოდა, მეტოქე ხომ არ დაბრუნდაო სატო-დომინგოში.

— ცნობა მომივიდა მის შესახებ, — უპასუხა დიეგო კოლუმბმა. — ამბობენ, მხოლოდ იამაიკის მთებში გახიზნულ ინდიელებთან ბრძოლაზე ფიქრობს და ოცნებობს ამ ველურების დამორჩილებაზეო. იმდენად გატაცებულია თავისი საქმით, რომ დაბრუნებაზე არც ფიქრობს.

— ნებას დამრთავთ გაგყვეთ სანტო-დომინგოში? — მუდარით ჰკითხა ველასკესმა.

— მაგრამ თქვენი ქორწინებისთვის დანიშნული დრო ჯერ არ დამდგარა, — შეეპასუხა ადმირალი, — თქვენი საცოლეს ავადმყოფობა კი იმდენად სერიოზულია, რომ ექიმის რჩევით იგი ყოველგვარ მღელვარებას უნდა მოერიდოს. მოთმინება იქონიეთ, დონ დიეგო.

ამ სიტყვებით ადმირალმა ბოლო მოუღო საჩოთირო საუბარს. ველასკესი მორჩილად დადუმდა, დონ დიეგომ მაშინვე შეიყოლია იგი კუბაზე სავარაუდო ექსპედიციის შესახებ საუბარში.

ხარაგუას მხარის მმართველის აზრით, ყველა აუცილებელი სამზადისი დამთავრებული იყო და ბრძანების მიღებიდან ორი კვირის შემდეგ ხომალდებს შეუძლიათ გაემართონ სან-ნიკოლასის ყურისკენ, რათა წაიყვანონ ხალხი და ცხენები, წაიღონ აღჭურვილობა და სურსათი, რაც საჭირო იქნება კუბის დაპყრობისა და დასახლებისთვის. დიეგო კოლუმბმა ველასკესს უამრავი შეკითხვა მისცა სამზადისის ყოველ წერილმანზე, და მისი პასუხით თანდათან უფრო რწმუნდებოდა ნაცვალის გამოცდილებასა და წინდახედულობაში. მაგრამ ადმირალმა საჭიროდ ჩასთვალა ყველა საკითხი განეხილა კიდევ ერთხელ და გადაწყვეტილების გამოტანა გადასდო იმ დღემდე, როცა ლას კასასის კურთხევა დამთავრდებოდა და ამ ბრძენ მრჩეველს შეეძლებოდა მონაწილეობა მიეღო საერთო საქმეში.

ადმირალისა და მისი მეუღლის ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ კონსეპსიონში ლიცენციატმა ლას კასასმა ყოველგვარი დიდი ცერემონიის გარეშე მიიღო საღმრთო წოდება ეპისკოპოსის სამლოცველოში. სამაგიეროდ, უახლოეს კვირას, ქალაქის ტაძარში დიდი ზეიმით ჩაატარეს ახალი მესა. მას ესწრებოდნენ თვით პრელატი და ადმირალი შეუღლითურთ, რადგან დონ დიეგო კოლუმბი ახალი მღვდლის ნათლია იყო. უამრავი ხალხი მოაწყდა იქაურობას. ცერემონიას მდიდრული ზეიმი ახლდა, ყველანი — ქალაქის მცხოვრებნიც და შო-

რიდან მოსული სტუმრებიც — ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე ცდილობდნენ ღირსეულად აღენიშნათ დიდი მოვლენა — პირველი ახალი მესა. ამ დღეს ახალმა მღვდელმა მიიღო უთვალავი რაოდენობის ძვირფასი შეწირულობანი, უმთავრესად სამეფო სამსხმელოში ჩამოსხმული სხვადასხვა ფორმის ოქროს ნაწარმი და ნაჭედობა; ყველაფერი ეს ლას კასასმა დიდსულოვნად გადასცა თავის ნათლიას, თავისთვის დაიტოვა მხოლოდ რამდენიმე დიდი ხელოვნებითა და უცნაურად გაკეთებული სამშვენისები. ისტორიკოსები აღნიშნავენ ერთ განსაკუთრებულ გარემოებას: ამ წირვის დროს ღვინო არ აღმოაჩნდათ ზიარებისთვის, კასტილიიდან ჩამოტანა დააგვიანდათ და მთელ კუნძულზე ერთი წვეთი ვერ იშოვეს. განგებამ ისურვა ასე ჩატარებულიყო საზეიმო-აქტი, რომლითაც განამტკიცა თავისი მიდრეკილება სათნოებისა და თავგანწირვისადმი ადამიანთა შორის ერთ-ერთმა, საუკუნოდ რომ დაიმსახურა საზოგადო თაყვანისცემა და სიყვარული.

ვინ იცის? იქნებ, გულუბრყვილო ღვთისმოსაობა მართალი იყო, რომელიც უცოდველი კრავის სისხლის სიმბოლო იყო, იმ დღეს, როცა ტრაპეზის წინაშე ლოცვას იძლეოდა ეს წმინდა, ლმობიერი სული, კონკისტის სიმკაცრის მნახველი თავგანწირული თრთოდა.

პირველ ახალ მესაზე. ამერიკაში რომ სწირეს, არ იყო ღვინო — ადამიანის სისასტიკის სიმბოლური შეხსენება; — და კურთხეულის თავს ზემოთ ასწიეს მხოლოდ სეფიაკკერი, ტანჯული კაცობრიობის სიყვარულის სამარადისო მოწმობა. ქალაქი თავის დიდ სახელს უნდა ემადლოდეს ამ ღირსახსოვარ ეპიზოდს და, იმასაც. რომ იგი დაარსა თვით ქრისტეფორე კოლუმბმა. ამერიკის არაერთ უმდიდრეს ქალაქს შეიძლება შურდეს ოდესღაც სახელგანთქმული კონსეპსიონ დე ლა ვეგას ცხოვებული ნანგრევებისა.

XXVII

თანამშრომლობა

ადმირალი და მისი მეუღლე ლას კასასის ახალი მესას შემდეგ, სამ თვეზე მეტ ხანს დარჩნენ ვეგაში. ეს დრო მათ უძღვნეს ნაწილობრივ მმართველობის საქმესა და რიო-ვერდეს სადნობარებისა და საბადოების გაცნობას, ნაწილობრივ იმ თავშემაწყენელ საზრუნავებს. თითქმის აბსოლუტური ძალაუფლების განხორციელება რომ მოითხოვს. — მაგრამ ყოველივე ეს მათ ხელს არ უშლიდათ აღტაცებით ეთვალიერებინათ ძათთვის ახალი ჯადოსნური მხარის, საოცარი ქვეყ-

ნის სილამაზე, რომელსაც აღფრთოვანებული ლას კასასი, დიდი კოლუმბიელი, ელისეს მინდვრებს ადარებდა, აღწერდა მეტად პოეტური სიტყვებით, მისი მგზნებარე წარმოსახვა რომ კარნახობდა, „დიდსა და კურთხეულ ვეგა-რეალს, მისი ხოტბისა და აღწერისთვის, ვშიშობ, არ მეყოფა არც მჭევრმეტყველება, არც სულიერი მგზნებარება... ამ მინდორს ქმნის და გარს ერტყმის, მთელ სიგრძეზე, ორი მაღალი, ტყიანი, არაჩვეულებრივი სილამაზის მთის გრეხილი; მისი ფერდობები და ცადაწვდილი მწვერვალები დაფარულია ხშირი მცენარეულობით; სიცოცხლით სავსეა და თვალს ახარებს... ორი ძლიერი მხრებივით ცადაზიდული მთის ქედები ყოველი ადგილიდან ოცი, ოცდაათი, გამჭრიახი თვალისთვის კი ორმოცი ლიგის მანძილზეც, თვალწინ იშლება უნაპირო ოკეანესავით ვრცელი სანახაობა. ვფიქრობ, რომ მეორე ასეთ მომხიბლავ და სასიამოვნო სანახაობას, სიხარულითა და მხიარულებით ასე რომ აკაჟებდა და ატკბობდა სულს, მთელს დედამიწაზე ვერც ნახავთ და ვერც წარმოიდგენთ, რადგან მთელი ეს ვრცელი და გაშლილი ველი ხელისგულივით სწორია. მთლად დაფარულია აუწერელი სილამაზის ბალახით, რომელიც სურნელებით სრულიად განსხვავდება ესპანეთის ბალახისგან. ერთმანეთისგან ერთი ან ორი ლიგის დაშორებით მას სერავს მშვენიერი ნაკადულები, ყოველი მათგანის ორივე სანაპიროზე მწკრივებად ან ზოლებად ხარობენ მარადმწვანე ხეები, ისე ლამაზად განლაგებულები, თითქოს ადამიანის ხელით არიანო დარგული, ორივე მხარეს უჭირავთ თხუთმეტი ან ოცი ნაბიჯის ოდენობის ადგილი. ყველაფერი ყვავის და ამწვანებულია ამ ველზე და მთელ კუნძულზე, ისევე, როგორც ყველაფერი ყვავის და აწვანებულია ესპანეთში აპრილსა ან მაისში. როცა შეიგრძნობს სიოს სიგრილეს, გაიგონებს ჩქარი მდინარისა და ნაკადულების ბუტბუტს, თვალს მოავლებს ანკარა წყლებს, ბალახთა და ხეთა სიმწვანეს, მაღლიდან გადმოხედავს თვალუწვდენელ ველს, ვინ არ აღიარებს, რომ არაფერი შეედრება იმ კმაყოფილებას, სიტკბოს, სიხარულსა და სიმშვიდეს, რითაც ასაჩუქრებს ადამიანს ეს სანახაობა. პირშარიტად ვამბობ, ბევრჯერ — უფრო მეტად, ვიდრე შემიძლია აღვწერა, — დიდი მთის მწვერვალიდან, როცა დავცქეროდი მის ფერხთით გართხმულ ველს, თვალს ვავლებდი დინჯად, ყოველთვის ახლებურად ვხედავდი მას, აღფრთოვანებული ვიყავი და ვზეიმობდი, თითქოს პირველად ვხედავდი და ვუჭვრეტდი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ყველა ადამიანი, — ცოდნისმოყვარე ფილოსოფოსი იქნება თუ ღვთისმოსავი ქრისტიანი, — რომელიც ძირფესვიანად გაეცნობა ამ ველის სილამაზეს, საამურობას, სიმშვენიერეს, მდებარეობას, ტყუილად როდი იწგზავრებს კასტილიიდან აქ მხოლოდ იმიტომ, რომ იხილოს იგი: ფილოსოფოსი ნახავს და შეაფასებს ესოდენ ღირსშესანიშნავ მოვლე-

ნას“ და მშვენიერი ბუნების შექმნას, ქრისტიანი — ადიდებს სიკეთეს და ყოველის შემძლეობას ღვთისას. ჩვენთვის ხილულ ქვეყანაში რომ შექმნა ესოდენ ღირსეული, მშვენიერი და თვალის მაამებელი ქმნილება, რათა ადამიანებს შეეძლოთ თავიანთი სიცოცხლის სწრაფმავალი დღეები აქ გატარება. ამ სილამაზის ჭვრეტაში, ადამიანი ჩასწვდება, რომ ასეთი უხილავი ზეცის სასახლე, გამზადებულია მათ მიერ, ვინც ღვთის რწმენას ინახავს და ასრულებს მის ნებას. და იმაში ჰპოვებს ახალ ძალას შემოქმედის სადიდებლად. ხანდახან ვფიქრობ, თუ ძველ ხალხს თავიანთი უვიცობის გამო ეგონათ, რომ ელისეს მინდვრები კანარის კუნძულებზე იყო, და თუ მას თქლიდნენ სოფლის მსგავსად, იმ ნეტართა მიერ განპირობებულად, რომელნიც ამ ქვეყნად პატიოსნად ცხოვრობდნენ, სპეციალურ secuiado justicia-ში მათ ბედნიერი კუნძულები უწოდეს. თუ სერტორიუსმა, რომაელმა დიდმა სარდალმა, თქვა რომის წინააღმდეგ გალაშქრებულმა, როცა გაიგო მათი არსებობა, შრომით დაღლილმა სწორედ იქ მოინდომა ცხოვრება ზოგიერი ჰქონოდა დასატკბობად, დასამშვიდებლად და დასასვენებლად. — მაშინ რას იგრძნობდა და რას დაწერდა ძველი ადამიანი. როცა იხილავდა ამ დალოცვილ კუნძულს, სადაც ათასი კუთხეა, რომელთა შორის ყოველი მათგანი განსხვავდება სიმსუბუქით, ალერსიანობით, ნაყოფიერებით, სითბოთი და სიმშვენიერით კანარის კუნძულთა შორის ულამაზესისგან, როგორც ოქრო განსხვავდება რკინისაგან. და ვებედავ ვამტკიცო ამასაც უფრო მეტიც. არაფრით არ შეეძლოთ მოეთავსებინათ ელისეს მინდვრები, სერტორიუსს კი — თავისი სასურველი ფხარე ამ ველზე. ყველაზე უკეთეს ადგილზე, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება მთელ ინდოეთში, და, ვფიქრობ, რომ მთელ სამყაროშიც“.

ამ დღეებში დიეგო კოლუმბის მეუღლეთან კონსეპსიონ დე ლა ვეგაში ჩავიდნენ ესპანეთიდან ამერიკაში წასული დომინიკელთა ორდენის ბერები.

ხელმძღვანელობდა და მმართველობდა მათ მამაცი და ღვთისმოსავი ძმა პედრო დე კორდოვა. იგი ბრწყინვალედ ყოველგვარი ფიზიკური და ზნეობრივი სრულქმნილებით, რაც იშვიათად თავსდება ერთ პიროვნებაში. დიდი გვარის შთამომავალმა, სიჭაბუკიდანვე თავი შესწირა მეცნიერებასა და ბერულ შრომას, ყველაფერში ამჟღავნებდა თავგამოდებული რწმენისა და სათნოების სულისკვეთებას, რომელსაც მოეცვა იგი. მან უარყო ყოველგვარი ამქვეყნიური კეთილდღეობა მონასტრის სილატაკისა და ხელმოკლეობისთვის, ოცდარვა წლისამ გადალახა ზღვები და ოკეანეები, რათა თავისი ორდენის პირველი ბურჯი დაეარსებინა ესპანიოლაზე.

დიეგო კოლუმბი დედაქალაქში რომ ვერ ნახეს, ბერებმა გადაწყვიტეს გადეენებოდნენ მას და ჩასულიყვნენ კონსეპსიონში, გამგზავრე-

ბამდე კი თავი შეაფარეს სანტო-დომინგოს ერთ-ერთ ღირსეულ მცხოვრებს, პედრო დე ლუმბრერასს, უზენაესის აღთქმისა და ნების შესასრულებლად უარი თქვეს მასპინძლობაზე, რითაც მათთვის პატივისცემა სურდა კოლონიის ხელისუფლებას. ბერები ცხოვრობდნენ მოწყალებით, რომელსაც ღებულობდნენ კერძო პირებისაგან. მათ გადაწყვიტეს, თავი გაეწირათ და სასტიკი გაჭირვებით, ფეხით წასულიყვნენ ვეგა-რეალში, რათა ადმირალთან ერთად მოეთათბირათ, როგორ შეეძლოთ თავიანთი მისიის შესრულება და ესპანიოლაში დომინიკელთა მონასტრის დაარსება.

ადმირალმა ბერები საკადრისი პატივით მიიღო, მალე მათ საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეს ღვთისმოსაობითა და თვალსაჩინო ღირსებებით. ლას კასასი მხურვალე სიმპათიით გაიმსჭვალა ძმა პედროსადმი, რომელიც ასეთივე გრძნობით პასუხობდა. ეს მეგობრობა განმტკიცდა შემდგომ განსაცდელებში, რაც მრავალჯერ განიცადა ამ ორმა ღირსეულმა ადამიანმა, ერთად რომ დაადგნენ თავგანწირვის გზას სამართლიანობისა და სიკეთის სახელით.

ამასობაში, საბადოების მფლობელნი და კოლონისტები, რომლებმაც გადაადნეს ოქრო და ნიშანი დაადეს ზოდებზე, ზედიზედ სტოვებდნენ კონსეპსიონს და თავიანთ სახლებსა და მამულებში მიემგზავრებოდნენ. სანტო-დომინგოში დაბრუნებაზე ადმირალისგან უარის მიღებით ღრმად დამწუხრებული დიეგო ველასკესი, ახალგაზრდა ვალენსუელასთან ერთად, გაემგზავრა მისთვის ჩაბარებულ მხარეში, მათ ერთად უნდა ეცხოვრათ ლა მაგუანამდე. ძმა პედრო დე კორდოვამ და მისი მეთაურობით ჩამოსულმა ბერებმა დიეგო კოლუმბის კეთილი დალოცვა მოისმინეს, გზას გაუდგნენ კოლონიის დედაქალაქისაკენ და როცა იქ ჩავიდნენ, მთელი მონდომებითა და ენერგიით შეუდგნენ მონასტრის დაარსებას. ლას კასასი სანტო-დომინგოში დომინიკელებთან ერთად დაბრუნდა. მათ დასახმარებლად მოუწოდა მისთვის ნაცნობ ყველა ადგილობრივ მცხოვრებს და დაუღალავი შრომით გააკეთა მეტი თუ არა, იმდენი, რასაც აკეთებდა საზოგადოების ყველა თავგამოდებული წევრი, თუმცა იგი არ ეკუთვნოდა ამ საზოგადოებას.

ადმირალმა და მისმა მეუღლემ ისურვეს კიდევ დარჩენილიყვნენ ვეგაში. აქ მათი მმართველობა უფრო მტკიცე და თავისუფალი იყო, ვიდრე დედაქალაქში, სადაც პასამონტესა და მის მომხრეთა ხრიკებს დღითი ღღე მათთვის ახალი უსიამოვნება და დაბრკოლებები მოჰქონდა. მაგრამ სამი თვის შემდეგ იძულებული იყვნენ გამოსთხოვებოდნენ ამ ჯადოსნურ მხარეს და წასულიყვნენ მდინარე ოსამაზე გაშენებულ ქალაქში. საითკენაც დაბეჯითებით უხმობდა წმინდა მოვალეობათა შესრულება.

XXVIII

ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ერთხელ, სექტემბრის ნათელ და წყნარ დილას, ადმირალის დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე, პადრე ლას კასასი ქალაქ სანტო-დომინგოს ტაძარში შევიდა. დილის მესას მოლოდინში სააღმსარებლოსკენ გაემართა, კურთხევის შემდეგ მიღებული ჩვეულებით. ის იყო თავის ადგილზე მოიკალათა, რომ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ვიღაც ტანადი ქალი და მუხლთ მოიყარა. იგი სადა, შავ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, მაგრამ თავი ღირსეულად ეჭირა. პატარა შავი თავსაბურიდან ეშვებოდა სქელი შავი პირბადე, რომელიც სახესა და მკერდს უფარავდა. აღსარების წინ სათქმელი ლოცვის ნაცვლად, უცნობმა მღვდელს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— პადრე კასას, გინდათ ანუგეშოთ უბედური?

— ეჭვი გეპარებათ მაგაში, შვილო-ჩემო?

— მაშინ მოიცდეთ მოწყალება, მოისმინეთ ჩემგან აღსარება კი არა, აღიარება, რომელიც აუცილებელია ჩემთვის, და მირჩიეთ, როგორ უნდა მოვიქცე.

უცნობი დადუმდა, თითქოს აზრებს თავს უყრისო. შემდეგ ისევ ალაპარაკდა აღელვებულად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ:

— მიყვარდა ერთი ადამიანი უცოდველი სიყვარულით, როგორიც ანგელოზების სიყვარულია, რომლებიც უზენაესის საბრძანებელთან მღერიან თაყვანთ საგალობელს... მამა მაიძულებს გავყვე სხვას, და მე მსხვერპლს ვიღებ, როგორც მორჩილი ქალიშვილი. მაგრამ ვიცი, რომ მოვკვდები... არა, მე სწორად ვერ ვთქვი: უკვე ვგრძნობ, სიკვდილის სიცივე როგორ ეუფლება ჩემს არსებას...

ეს რწმენა მამშვიდებს, იგი მაძლევს ძალას პირისპირ შევხვდე ჩემს უკუღმართ ბედს; მხოლოდ არ ვიცი, ჩემი სიკვდილით ღმერთს ხომ არ შეურაცხვყოფ. თქვენ მითხარით, პადრე კასას, ცუდი ხომ არ არის, სიცოცხლე რომ მეზიზღება? უნდა დავთანხმდე წამიყვანონ საქორწინო სარეცელთან, რომელიც მალე სასიკვდილო სარეცლად გადამექცევა...

— კარგად იქცევით, შვილო ჩემო, მამის სურვილს რომ ემორჩილებით; მაგრამ თქვენ მოიქცევით ძალიან ცუდად თუ არ დაემორჩილებით თქვენს ბედს და ცხოვრების დასასრულთან სასოწარკვეთის გზით მიხვალთ.

— ეს ასე არ არის, მამაო. ყველაფერს შევეჩვიგდი, მაგრამ ძალა არ მეყოფა ვიყო დიეგო ველასკესის მეუღლე და ვიცოდე, რომ გრიხალვას გული, გული, რომელიც მე მეკუთვნოდა, მკვდარია!

— ესე იგი, თქვენ მარია დე კუელარი ხართ! — წამოიძახა გაოცებულმა ლას კასასმა.

— დიახ. პადრე. მე ვარ ეს უბედური! რომ შემეძლოს იმედი ვიქონიო, იმ უკვე მოახლოებულ დღეს, როცა დავეცემი ჩემი მწუხარების სიმძიმით ღონემიხდილი და თვალებს დავხუჭავ, რომ მიწიერი სინათლე აღარ ვიხილო, გრიხალვა შესძლებს დარწმუნდეს, რომ ის იყო, არის და იქნება ჩემი ერთადერთი სიყვარული, დამშვიდებული ვიქნებოდი, რადგან მეცოდინებოდა, ეს რწმენა განამტკიცებდა მას სულიერად და დაამშვიდებდა უბედურებაში მყოფს... მაგრამ ცოდვას ჩავიდენდი, თუ ამ სიმშვიდეს მივცემ მას, ვიდრე ცოცხალი ვარ და სხვაზე ვარ დანიშნული...

— უეჭველად, მარია! — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა კასასმა. — თქვენ არც უნდა იფიქროთ ამაზე!

— ზეცაო! — შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ქალიშვილმა. — მაგრამ მე ვიცი, რომ იგი ძალიან უბედურია! ყოველთვის, როცა მის გამოსათხოვარ წერილს ვკითხულობ (ამ სტრიქონებს კი მეათასეჯერ ვკითხულობ), გულს მიღრღნის სინანული, რომ მე გავანადგურე მისი ბედნიერება და იმედი, შიში მტანჯავს, რომ იგი დაკარგავს ღვთის სიკეთის რწმენას და სასოწარკვეთილებაში ჩავარდება. ეჭვი ნუ შეგეპარებათ ამაში, პადრე: თუ მოვკვდები და ანდერძად არ დავუტოვებ, რომ იცოცხლოს და ბედს დაემორჩილოს, მისი სული წაწყდება. მე კი მსურს, რომ მისი სული ხსნილი იყოს და ღვთის წინაშე შეუერთდეს ჩემს სულს.

— რა გინდათ გააკეთოთ? — ჰკითხა მეტისმეტად გულაჩვილებულმა ლას კასასმა.

— გამომართვით, პადრე, — მტკიცე ხმით წარმოთქვა ქალიშვილმა. — შეინახეთ ეს წერილი, გახსენით ბეჭედი, თუ გნებავთ, და წაიკითხეთ იგი, — თქვენ ნახავთ, რელიგიის საწინააღმდეგო თუა ის, რაც გრიხალვას საკუთრება გახდება, როცა უბედური მარია დაასრულებს თავის დღეებს.

წარმოთქვა ეს სიტყვები და მარია დე კუელარმა მღვდელს გადასცა ოქრომკედით ნაქარგი შავი აბრეშუმის ქისა, რომელშიც მისი წერილი იდო. იგი მარიამ გრიხალვას გამგზავრების ბედუკუღმართ დღეს დაწერა.

— კარგი, — უთხრა ლას კასასმა, — დაკვირვებით წავიკითხავ წერილს, და, თუ მისი შინაარსი პასუხობს თქვენი სიტყვების ანგელოზურ უმანკოებას, მარია, საზეიმოდ აღთქმას გაძლევთ, აქ, ღვთის წინაშე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხუან დე გრიხალვა მიიღებს მას. და თუ თქვენი სამწუხარო წინათგრძნობა ახდება, თუ ღმერთი უხმობს თქვენს წმინდა სულს, წადით მშვიდად, შვილო ჩემო, რადგან მე ვიდებ ვალად გრიხალვას გადავცე თქვენი სურვილი. მერწმუნეთ, იგი იქნება სათნოების ერთგული დამცველი და აღთქმულ დღეს

ცად ამაღლების ღირსი, სადაც სამარადისო ჯილდო შემზადებულია მათთვის, ვინც ამქვეყნიური ჰირ-ვარამით იტანჯებოდა, ადამიანთა სისასტიკისა და უსამართლობის გამო.

მარია დე კუელარი მადლიერების გრძნობით ემთხვია მღვდელს ხელზე და ნელი ნაბიჯით გაშორდა სააღმსარებლოს.

XXIX

საავდრო ღრუბლები

სანტო-დომინგოში დაბრუნებულმა ადმირალმა და მისმა მეუღლემ ნახეს, რომ პასამონტესა და მისი დამჭაშების ინტრიგები უზომოდ გაზრდილიყო. მძიმე მგზავრობის შემდეგ, ცოტა დაისვენა თუ არა, დიეგო კოლუმბი იძულებული იყო მთლად მისცემოდა მტრებთან ბრძოლას, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მისი ნდობა შეერყიათ ესპანეთში.

დონ დიეგოს სიმამრი, ლეონის სამეფოს კომანდორი, და მისი ძმა ფერნანდო იწერებოდნენ შემაშფოთებელ წერილებს და აფრთხილებდნენ გუბერნატორს, რომ მხოლოდ თავიანთი გავლენითა და დაჟინებით ახერხებდნენ შეემსუბუქებინათ მეფის გულში ესპანიოლიდან ესპანეთისაკენ ნიაღვრად მომავალი დაუსრულებელი ყალბი დასმენებითა და ცილისწამებით გამოწვეული შთაბეჭდილება. მის თავზე ტატრიალებული ავბედითი ღრუბლების გაფანტვის მიზნით, დიეგო კოლუმბმა გადაწყვიტა მეფის კარზე გაეგზავნა ბიძა დონ ბარტოლომე, რომელსაც დაავალა მეფისათვის მიერთმია საჩუქრები და წარედგინა მისთვის შესაფერი მართლებანი.

კუნძულზე მყოფ ყველა მეგობარს დონ დიეგომ წერილი გაუგზავნა, თხოვდა დახმარებოდნენ ესპანეთში თავისი ინტერესების დაცვაში. „იფიქრეთ იმაზე, — წერდა იგი, — რომ ჩემი მტრები მრავალნი და საქმიანნი არიან, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ზიანი მომაყენონ მეფის თვალში. ყველა, ვინც ფონსეკასა და კონჩილიოსთან დაკარგა დიდი გამორჩენა, — მას შემდეგ, რაც მათ წავართვი ინდიელები, რომელთაც ისინი უსინდისოდ იყენებდნენ. — არ ზოგავენ არც ყალბ დაბეზღებას, არც ცილისწამებას, რომ ჩირქი მომცხონ და დამლუპონ".

ადმირალი არწმუნებდა მეგობრებს, არ მიეტოვებინათ იგი გასაჭირში, წინასწარმეტყველებდა, რომ თუ მოწინააღმდეგენი გაიმარჯვებდნენ, მძიმე დრო დაუდგებოდა ყველას, ვინც კოლუმბების კეთილგანწყობა და მეგობრობა დაიმსახურა. ბოლოს დონ დიეგო წერ-

და. რომ ბიძაშისი დონ ბარტოლომე მალე წაიდოდა ესპანეთში და თაკის მომხრეებს ურჩევდა დროზე გადაეცათ მისთვის წერილები და ყოველგვარი ძვირფასი ანდა იშვიათი ნივთები, რასაც ღირსად ჩათვლიდნენ მეფისთვის მისართმევად.

დიეგო ველასკესი და დონ ფრანსისკო დე ვალენსუელა ერთერთი პირველთაგანი გამოეხმაურნენ თავიანთ მმართველსა და მეგობარს. ორიევემ გამოგზავნეს ყველაფერი, რაზედაც ხელი მიუწვდათ, ძვირფასი და საინტერესო. თვითნაბადი ოქრო, ინდური ქვის კერპები და ბაინოასა და ლა მაგუანას მხარის სხვა იშვიათი ნივთები. გარდა ამისა, ვალენსუელამ გამოუგზავნა საჩუქარი, რომელმაც ძალიან გააბარა დიეგო კოლუმბი. იგი უსაფუძვლოდ როდი ფიქრობდა, რომ ასეთი ნობათი განსაკუთრებით მოეწონებოდა მეფეს. ეს იყო ოცი შევარდენი, რომლებიც დაიჭირა და გაწვრთნა ენრიკილიომ. ადმირალისთვის საჩუქრების მისატანად გაგზავნეს ახალგაზრდა ვალენსუელა, ჩვენი კასიკი კი, მისდა სასიხარულოდ, თან ახლდა წარგზავნილს, რათა გზაზე თვალი ედევნებინა ძვირფასი ფრინველებისთვის და დიეგო კოლუმბისთვის ეჩვენებინა თავისი ხელოვნება შევარდენით ნადირობაში. ორიევენი გაემგზავრნენ სანტო-დომინგოში, თან წაიყვანეს მსახურნი და წაიღეს აუცილებელი აღჭურვილობა.

ენრიკილიოც, როგორც მისი თანამგზავრი ვალენსუელა, დიდი წყალობით მიიღო ადმირალმა. ენრიკილიო სიხარულით გადაეხვია მენსიას, რომელიც, სიტყვამ მოიტანა და, უნდა აღვნიშნოთ, როცა მფარველი ვეგაში იმყოფებოდა, მენსიაზე ზრუნვა კუელარების ოჯახს დაევალა. დიეგო კოლუმბმა გამოჰკითხა ჰაბუკ კასიკს ლა მაგუანაში მისი ცხოვრების ამბავი და ის, თუ როგორ მოახერხა მან ურჩი მტაცებელი ფრინველების დაჭერა და მოთვინიერება. როცა ადმირალს პასუხობდა, ენრიკილიოს მოკრძალებულად, მაგრამ სრულიად თავისუფლად ეჭირა თავი.

— სენიორ, — უპასუხა მან, — ვეცადე ჩემი ცხოვრება ისე მომეწყო, როგორც მასწავლიდნენ კეთილი მამები ვერა-პასის მონასტერში, და მირჩევდა ჩემი საყვარელი კეთილისმყოფელი, სენიორ ლას კასასი. ყველანი ამბობდნენ, უქმად ყოფნა — ყოველგვარი მანკიერების დედააო, და მიმაჩვიეს ყოველი საათი სასარგებლო საქმისთვის შემეწირა. გარდა ამისა, საბრუნავი, რომელიც ლა მაგუანაში სენიორ ვალენსუელამ დამავალა, ეთანხმება ჩემს მიდრეკილებებსა და სურვილს და უფრო გართობად მეჩვენება, ვიდრე შრომად. გამთენიისას ვდგები, შევჯდები ცხენზე და ჰენებით გადავსერავ ნამით გაცისკროვნებულ მთელ დაბლობს. ჩამოვუველი ჯოგებს, დავათვალიერებ ქორალებსა და ფარეხებს, მივუთითებ მწყემსებს მათ უყურადღებობაზე და დაუდევრობაზე. როცა მზე შუბისტარზეა, შინ ვბრუნდები

და ესაუზმობ პატრონებთან ერთად. რომლებიც ისეთი კეთილები არიან, რომ ყოველთვის მელოდებიან. სიესტის საათებში, როცა ისინი ისვენებენ, ვბანაობ და ვცურავ მახლობელ მდინარეში, როცა სახლში ვბრუნდები, ვწერ ანგარიშებს და წერილებს, სენიორ დონ ფრანსისკო ველენსუელა რომ მკარნახობს. საღამოთი ისევ შემოვუვლი მამულს, თვალს ვადევნებ მინდვრის სამუშაოებს, ვამოწმებ, რამე ხომ არ აკლიათ მამულისთვის მიწერილ ინდიელებს, ვზრუნავ მათი გასაჭირის დაკმაყოფილებაზე, ავადმყოფთა მკურნალობაზე. ჩემი პატრონი ამით ძალიან კმაყოფილია, რადგან ჩვენ, ინდიელებს, საკუთარ შვილებივით გვექცევა. თუ დრო დამრჩება, საღამოობით ეკითხულობ რომელიმე საღვთისმეტყველო ანდა ისტორიულ თხზულებას, ღამით კი ოჯახის წევრებთან ერთად ვლოცულობ. ასეთია ჩემი ცხოვრება, სენიორ. და იგი იშვიათად იცვლება. სიმართლე რომ ვთქვათ, უკეთეს ცდგომარეობას ღმერთს არ ვთხოვ და მადლობას ვწირავ მას ჩემი შეწყალებისთვის.

— შევარდნები? — გაიმეორა დიეგო კოლუმბმა. — როგორ იპერ მათ?

— ამ საქმეს კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში ვაკეთებ, სენიორ ადმირალო. ორტისმა, ჩემი ნათლიის დონ დიეგოს საჭურველმტვირთველმა, მასწავლა შევარდნზე ნადირობა. მისგან ვისწავლე მახის ეშმაკური დაგება, ბარტყებისთვის თვალის დევნება მთის ბუდეებში, და როცა ისინი ფრენას იწყებენ, მათი გაბრუება ბლაგვი ისრებით. მერე სრულიად ადვილად ვიჩვევ — ჩემი ხელით ვაჭმევ პეპლებსა და სხვა მწერებს. როდესაც ცხელა, ვაბანავებ, ალერსიანად ვეჭქცევი, მალე აღარ ეშინიათ და ხელზე მასხდებიან. როცა ბუდიდან აფრინდებიან, საკვებს აღარ ვაწვდი, რადგან თვითონ უნდა ისწავლონ ნისი შოვნა და ვიცდი, ვიდრე ისინი სრულიად მოშინაურდებოდნენ. მხოლოდ მაშინ მივუშვებ ხოლმე მათ სხვა ფრინველზე. და გინდაც იყოს ზის ფოთლებში მიმალული გკრიტი. პატარა ჩიტუნია, რომელიც თიხქმის მიწის ზედაპირზე დაფრთხიალებს, ანდა ცაში მონავარდე ნაბუდარა, — ჩემი შევარდენი ელვის უსწრაფესად დაეცემა მსხვერპლს და ჩემ ფეხებთან მოიტანს.

— არ შეგიძლია ახლა ჩაატარო ასეთი ცდა? — ჰკითხა დიეგო კოლუმბმა.

— თუ გნებავთ, სენიორ, — უბრალოდ უპასუხა ენრიკილიომ.

— მაშ შევუდგეთ საქმეს! — შესძახა ადმირალმა.

დიეგო კოლუმბმა მეუღლეს დაუძახა. და ყველანი მენსიასა და სხვა მანდილოსანთა თანხლებით აივანზე გავიდნენ.

მსახურებმა გამოიტანეს გალიები, რომლებშიც შევარდნები ისხდნენ.

უამრავი თეთრი და ნაცრისფერი თოლიები დაფრინავდნენ იქვე, რომლებიც ოსამას ხმაურიან წყალს ფრთებით კვეთდნენ. შენობის სახურავებზე ცელქი მერცხლები დანავარდობდნენ და გამშვირვალე ჰაერში უცნაურ ფიგურებს ხატავდნენ.

მშვენიერი საღამო იყო: ლურჯი ცა ჩამავალ მზის სხივებს გაებრწყინებინა.

ენრიკილიომ ამოარჩია ერთ-ერთი შევარდენი: ის იყო ლამაზი, ამაყი, ბრიალათვალებიანი მსხვილფეხა ფრინველი. მტაცებლური ნისკარტით; შავი და წითელი ბუმბულით ფრთებზე, თეთრ ლაქებიანი რუხი ზურგი, ფერფლისფერი გამოზნექილი მკერდი და თეთრი ბუმბულით დაფარულ ძლიერ ფეხზე ფოლადივით მაგარი კლანჭები აგვირგვინებდა ფრინველის ამაყ და ქედმაღლურ სახეს, რომელიც პატარა არწივს ჰგავდა.

ჰაბუკმა კასიკმა აიყვანა შევარდენი და მარცხენა ხელის მუშტზე დაისვა. შემდეგ ადმირალს ჰკითხა:

— თქვენ რა გნებავთ, თოლია თუ მერცხალი?

— ჯერ თოლიაზე მიუშვი, თევზები, ალბათ, ძალიან დაგვიმადლიან, — უთხრა დონ დიეგომ.

ენრიკემ მარჯვენა ხელი მტკიცედ და მბრძანებლურად გაიწოდა თოლიების გუნდისკენ და საზრიანი შევარდენი პირდაპირ მათკენ გაექანა, დაიჭირა ერთი თოლია და კასიკს მიუტანა; ყველაფერ ამას უფრო ცოტა დრო დასჭირდა, ვიდრე ენრიკილიოს ნადირობის აღწერას. თოლია საწყალობლად წიოდა, მონადირემ ფრინველი გაანთავისუფლა შევარდნის კლანჭებიდან და ადმირალს გადასცა.

ადმირალი ქებას მოჰყვა და დატყვევებული მეუღლეს მიართვა.

— ეგრე იყოს, აბა ახლა მერცხალზე სცადე, — უთხრა მან ახალგაზრდა მონადირეს. იგი მარჯვენა ხელით ეალერსებოდა შევარდენს, რომელიც ისევ დინჯად ჩამომჯდარიყო მონადირის მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე.

ენრიკემ მსუბუქი მოძრაობით ყურადღება დააძაბვინა ფრინველს, მერე კი ზევით შეაგდო მერცხლების მიმართულებით, და იმ წუთში ერთ მათგანს დატყვევებული თოლიის ბედი ეწია.

— ყოჩაღ, ენრიკილიო! — შესძახა დიეგო კოლუმბმა. — შენ დიდი მონადირე ხარ. ჩემთან არ გტოვებ იმიტომ, რომ მინდა, რაც შეიძლება ბევრი დაიჭირო ასეთი შევარდენი და ასეთივე ხელოვნებით გაწვრთნა. ისინი მე მჭირდება ჩემთვის სანადიროდ და ესპანეთში გასაგზავნადაც. დარწმუნებული ვარ, ამ ამაყ ფრინველებს რომ დაინახავს, მისი უდიდებულესობა მეფე უფრო უკეთ დააფასებს თავის მშვენიერ ზღვისგაღმა მდებარე სამფლობელოებს.

XXX

მოჩვენებების ამბავი

ადმირალს უსმენდა ენრიკე, თან შეევარდნის კლანჭებიდან გაანთავისუფლა დატყვევებული მერცხალი და მიაწოდა ბიძაშვილს, რომელსაც მთელი ნადირობის განმავლობაში აღფრთოვანებული მზერა არ მოუცილებია ჰაბუკი კასიკისთვის. მენსიამ ხელი გაუშვირა და გაწამებული ჩიტი ჩამოართვა.

მაგრამ ამ დროს მასთან მიირბინა მშვენიერმა ქალიშვილმა დედოფლის ამალიდან, მერცხალი ხელიდან გამოსტაცა გოგონას და დატყვევებული გააფრინა.

დონია მარიამ გაოცებით შეხედა ქალიშვილს.

— რატომ გააკეთეთ ეს, ელვირა? — ჰკითხა საყვედურით.

— უბედურების თავიდან ასაცილებლად, სენიორა, — უპასუხა ქალიშვილმა. — თქვენ ხომ იცით, მენსია ენრიკილიოს დანიშნულია, და ცუდის მომასწავებელი ნიშანი იქნებოდა, ენრიკეს რომ მისთვის ეჩუქებინა შევარდნის კლანჭებში ნამყოფი მერცხალი.

— ოჰ, რა ცრუმორწმუნე ხარ, ელვირა! — შენიშნა დედოფალმა. — ეს ყველაფერი კი ძიძა-მორისკას აღზრდის ბრალია.

— აჰ, სენიორა! — შეუპასუხა თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული ელვირა. — ჩემი სიცოცხლის ოცი წლის მანძილზე რამდენი შემთხვევა მინახავს ჩემი თვალით, ჩემი კეთილი ძიძის მონათხრობებს რომ ადასტურებდა.

— ნაამბობი მოჩვენებებსა და კუდიანებზე? — ღიმილით აცივდებოდა დედოფალი.

— დიახ, სენიორა, — მტკიცედ ეპასუხა ქალიშვილმა. — არ ვიცი, როგორ შეგიძლიათ იცინოთ მოჩვენებებზე მას შემდეგ, რაც ძველ იზაბელაში მოხდა.

— მაინც რა მოხდა იქ? შენ ყველა გაცნობს, და გიამბობენ კიდეც ნაირნაირ სულელურ ზღაპრებს. ჩემთან ვერ ბედავენ მათ მოყოლას: ყველამ იცის, რომ ის მჯერა, რაც დასაჯერებელია, უსაქმურების მონაპორსა და მონაგონს, ყურს არ ვათხოვებ ხოლმე.

— მონაპორიო! ნუ უწოდებთ ასე იმას, რაც იზაბელაში მოხდა: ამ ამბავს რომ გაიგებთ, თმა ყალყზე დაგიდგებათ.

— ხვალ სიესტის დროს ან ამაღამ მომიყვები მაგ ამბავს, ელვირა.

— ვინ ჰყვება ასეთ ამბებს ღამით, სენიორა? მე შიშით მოვკვდები. სჯობია, ახლავე მოვყვე.

ქალები ელვირას შემოუსხდნენ. დიეგო კოლუმბი დაფიქრებული უსმენდა მათ ლაპარაკს, ენრიკემ კი შევარდენი გალიაში ჩასვა და მენსიას გვერდით მოიკალათა სკამზე, აივნის მოაჯირთან.

— თქვენ ყველამ იცით, — დაიწყო ამბის მოყოლა ელვირამ, — რომ იზაბელასაგან—ეს პირველი ქალაქია, რომელიც დააარსა სენიორ ადმირალმა ქრისტეფორე კოლუმბმა, განუსვენოს უფალმა, — დარჩა მხოლოდ ნანგრევები, ხავსმოკიდებული კედლები: მტაცებელი ფრინველების კლანჭებივით ეჭიდებიან მას თავიანთი მოქნილი ფესვებით უშველებელი მწვანე კოპეები.

გაუკაცრიელების პირქუში სურათი სულს სევდას ჰგვრის და გაფიქრებინებს სიკვდილსა და წარსულ უბედურებაზე. ოდესღაც აქ ცხოვრობდნენ უბედური იდალგოები. ისინი ადმირალს აბღდნენ. რომელმაც მეორედ გადალახა უნაპირო ოკეანე და დააარსა იზაბელა. იდალგოები მოვიდნენ აქ დიდებისა და სიმდიდრის მოსაპოვებლად, მაგრამ იპოვეს მხოლოდ მძიმე შრომა, შიმშილი და მწარე, უსახელო დასასრული. ამის მოგონება დევნის შეშინებულ მგზავრს ავბედითი ადგილებიდან, სადაც დრომ წაშალა ადამიანის ნამოქმედარი და ველურ ბუნებას დაუბრუნდა მხოლოდ ჩონჩხი ქალაქისა, თითქოს, მოწყდებული რომ იყო საუკუნო არსებობისთვის. მაგრამ უეცრად აღიგავა პირისაგან მიწისა სოდომისა და გომორის მსგავსად.

ცნობა, რომელიც დროდადრო მოჰქონდათ ამ პირქუშ უდაბნოში შემთხვევით მოხვედრილ მონადირეებს, მხოლოდ აძლიერებდა საშინელებას და ზიზღს, რომელსაც უნერგავდა იზაბელას ნანგრევები მის მიდამოებში მცხოვრებთ. ამბობენ, რომ თითქოს შეუჩერებლად. შუადღიდან დღის სამ საათამდე და მთელი ღამის განმავლობაში, გაისმის იქ საშინელი, ჯოჯოხეთური ხმები, კარის ანჯამების წრიპინი და ჯაჭვების ჟღარუნი, რომელსაც დროდადრო წყვეტს შემზარავი კვნესა და ჩივილი, ძარღვებში სისხლს რომ უყინავს მსმენელს. ვინც იქ მოხვდება, უმამაცესნიც კი, შეშინებულნი გარბიან, სულიერად სუსტნი კი გონებას კარგავენ. ეკარგებათ შეგრძნების უნარი და ღონეგამოლეულნი ეცემიან მიწაზე. ბევრნი გიჟდებიან. პუერტო-პალაციოში მოსულელო ან გონებასუსტი ადამიანის დანახვაზე ჩვეულებრივ ამბობენ: „აბა, ეს არის იზაბელაში ნამყოფი“.

მაგრამ იმან, რაც იქ ამას წინათ მოხდა, უფრო გააძლიერა ამ ნანგრევების ცუდი სახელი. ერთ საღამოს, დონ როდრიგო დე ბასტიდასის სახლში, სენიორ ლუკას ვასკეს დე აილიონმა მიამბო, სხვა კაბალიეროებმა კი თავიანთი ხმლების ვადაზე გამოსახულ ჯვრებს აკოცეს და დაიფიცეს, იგი სიმართლეს ლაპარაკობსო. ისინი ჰყვებოდნენ, რომ იმ მხარის უბრალო ხალხში ხმები დადის, თითქოს ამ ცოტა ხნის წინ ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა თავი ამოჰყო იზაბელაში და ერთერთ ქუჩაზე დაინახეს ორ თანაბარ მწკრივად მიმავალი ვიღაცა კაბალიეროები. ყველა კეთილშობილ და დიდგვაროვან ხალხს ჰგავდა, კარგად იყვნენ ჩაცმული, ხმლები ეკიდათ და სამგზავრო ლაბადები

ეცვათ, როგორიც ესპანეთში აცვიათ. ამ ორს გაუკვირდა. საიდან გაჩნდნენ აქ ყველასთვის უცნობი ადამიანები? მიესალმნენ უცნაურ კაბალიეროებს და ჰკითხეს, როდის და საიდან ჩამოვიდნენ ისინი. ამ დროს უცნობებმა, თითქოს ორი მგზავრის მისალმებაზე პასუხს იძლევიანო, უსმოდ, მოწიწებით მოიხადეს ქუდები და თან თავებიც მოიძვრეს მხრებიდან. იმ წუთში ყველა უთავო კაბალიერო გაჭრა. საშინელი სანახაობით გაოგნებული ხალხი დღემდე დადის ნახევრად უგონოდ და პკუაზე ვერ მოსულან, ისე არიან შეძრწუნებულნი და შეშინებულნი.

ელვირას მონათხრობით აღფრთოვანებული ქალები ვიშვიშებდნენ: მათ სახეზე ამოიკითხავდით დიდ მღელვარებასა და გულუბრყვილო მზადყოფნას დაეჯერებინათ ეს არაჩვეულებრივი ამბავი. მხოლოდ ძლიერი სულისა და საღი გონების დედოფალმა მასხრად აიგდო თავისი მანდილოსნების სისუსტე, უვიცობა და თქვა:

— ალბათ, როგორ მხიარულობდნენ აილიონი და მისი ამხანაგები, როცა ამ ამბავს გიყვებოდნენ.

— ჩემი მტრები, მარია, — მოულოდნელად ჩაერია საუბარში ადმირალი, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, — ყველაფერს იყენებენ, რომ სიძულვილი გამოიწვიონ ჩემი საგვარეულოსადმი. ყველაფერი ეს მოიგონეს პასამონტემ და მისმა მეგობრებმა, რათა ხალხისთვის მოეგონებინათ ერთი უსამართლო დადანაშაულება, ცილისწამება, რომელმაც სიმწრით მოუწამლა სიცოცხლე ჩემს დიდებულ მამას. ახლა სურთ შვილის წინააღმდეგ განაწყონ ხალხი.

— გესმის, ელვირა? — შესძახა დედოფალმა, — ჩემმა ბიცოლამ, ჰერცოგის მეუღლემ, მასწავლა არ დამეჯერებინა არც სულებისა და არც ჯადოქრების ამბავი. იგი მარწმუნებდა, ყოველი ჯადოქრობისა და მისნობის მიღმა იმალება შეყვარებულების ან თაღლითების ეშმაკობაო.

XXXI

ჯვაროსნული ლაშქრობა

ენრიკემ შეასრულა დავალება, მოინახულა ლას კასასი და სხვა მფარველები, დაბრუნდა ლა მაგუანაში, თან წაიყოლა ადმირალისა და მისი მეუღლის კეთილგანწყობილება. შინ დაბრუნებულმა დიდად ასიამოვნა დონ ფრანსისკო ვალენსუელა, ადმირალის მეგობრული წერილი რომ გადასცა და თავის მგზავრობაზე მოუყვა. ახალგაზრდა ვალენსუელა, რომელსაც სანტო-დომინგოში აკავებდა გართობით გა-

ტაცება. იქ დარჩა რამდენიმე დღით და მამისთვის მოწერილ წერილში თავისი შეყოვნება რაღაც უბრალო მიზეზით ახსნა.

სწორედ ამ დროს დონ ბარტოლომე კოლუმბი ესპანეთში გაემგზავრა. მშვიდობით გადაცურა ატლანტის ოკეანე და ჩავიდა დედაქალაქში. ჰკუით, გამოცდილებით, აგრეთვე სახელოვანი საქმიანობით დამსახურებული პრესტიჟის. წყალობით ბევრ რამეს მიაღწია თავისი ძმისშვილის, დონ დიეგოსთვის. მეფეს გამორჩეული ჰყავდა და პატივს სცემდა დიდი ზღვაოსნის ძმას, რომელმაც თვითონაც არა ერთი სიმამაცე ჩაიდინა ამერიკაში, თავი გამოიჩინა და გახდა იმ პატივისცემის ღირსი, რასაც იჩენდნენ მისი სახელის და განსაკუთრებული ნიჭის მიმართ.

დონ ბარტოლომეს გამგზავრების შემდეგ ორ პარტიას შორის ბრძოლა ესპანიოლაზე ცოტა შენელდა. ორივე პარტიას ესმოდა, რომ მისთვის საჭიროა — გაინელოს ვნებანი და დამშვიდებულად ელოდოს, რას მოუტანს დედაქალაქში მყოფი მისი მომხრეებისა და ხელისშემწყობთა მოქმედება. ამ მდუმარე დაზაკების შედეგად იზარალეს საბრალო ინდიელებმა: მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაემალათ ინდიელების მიმართ ჩადენილი თვით უსაშინელესი დანაშაულიც კი, რათა ისევ არ გაეღვივებინათ ძველი უთანხმოებანი, რომელიც გაახსენებდათ ამ უბედური რასის დამონების ამბავს, რაც ყველგან ითვლებოდა შრომად და სამარცხვინო საქმედ.

მხოლოდ დომინიკელ მამათა მონასტერში, სადაც ამჟამად ლას კასასი ცხოვრობდა, გიზგიზებდა სათნოების ალი, რომელიც აღვივებდა მხურვალე თანაგრძნობას ინდიელების ბედისადმი. რამდენიმე წლის წინათ, ვეგელმა კოლონისტმა, ვინმე ხუან გარსესმა, სასიკვდილოდ სცემა თავისი ცოლი, დიდგვაროვანი ინდიელი, ღალატში ეჭვის მიტანის გამო. დიდი ხნის განმავლობაში დაეხეტებოდა იგი კუნძულზე სხვისი სახელით, რადგან მართლმსაჯულების დევნას ემალებოდა. ერთხელ, იგი მოვიდა დომინიკელთა მონასტერში, ითხოვა თავშესაფარი და მოჰყვა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ უნდოდა ორდენის წევრი და მქადაგებელი გამხდარიყო. მან ცოდვა მოინანია წინამძღვარ პედრო დე კორდოვასთან, მიიღო შენდობა, ვიცე-მეფეს პატიება გამოსთხოვა, განახორციელა თავისი სურვილი და ბერების საზოგადოების წევრი გახდა. იქ იგი გულმხურვალედ ასრულებდა თავის ყოველ მოვალეობას, სამაგალითოდ ცხოვრობდა, რამდენიმე წლის შემდეგ კი მისიონერად წავიდა კუბანას მხარეში, სადაც ველურმა ინდიელებმა წამებით მოკლეს.

ამ ხუან გარსიმა გაუღვივა ღვთისმოსავური ცეცხლი ბერებსა და პედრე ლას კასასს იმაზე ლაპარაკით, თუ რა ცუდად ეპყრობოდნენ ინდიელებს მთელ კუნძულზე და გაუგონრად სასტიკ ექსპლოატაციას

უწევდნენ მათ კოლონისტები. კეთილმა ბერებმა გადაწყვიტეს ყოველნაირად ებრძოლათ ამ ავაზაკობის წინააღმდეგ და პადრე ანტონ მონტესინოს დაავალეს მახლობელ კვირას, მესას დროს, ექადაგა ინდიელების მდგომარეობაზე.

დიდი შემოსაელის მოგროვებისა და ამ დარიგებიდან უდიდესი ზნეობრივი სარგებლის მიღების მიზნით, მესას მოსასმენად მიწვეული იყო ძალაუფლებით აღჭურვილი ყველა პირი და სანტო-დომინგოელი ყველა სახელოვანი მცხოვრები. დადგა დანიშნული დღე. ტაძარში ძლივს ეტეოდნენ დამსწრენი, ადგილობრივმა მოსახლეობამ და საეპელაციო სასამართლოს წევრებმა დაიკავეს თავიანთი ადგილები; ადმირალი, რომელიც ზეიმზე მთავარი პიროვნება იყო, პასამონტესა და ბის მომხრეებს ეშმაკური ჩაცინებით უყურებდა: ცხადი იყო, რაღაც მოულოდნელი დარტყმა მზადდებოდა. ადმირალის მტრები შეშფოთდნენ და დაიძაბნენ. თუმცა თვითონაც არ იცოდნენ, რატომ.

მამა მონტესინო მტკიცე ნაბიჯებით ავიდა კათედრაზე და გამოაცხადა ტექსტი. რომელიც ქადაგებას ედო საფუძვლად, წინასწარ იყო დაწერილი და მოწონებული დანარჩენი ყველა ბერის მიერ: „Ego vox clamanti in deserto“ [1].

შესავალი სიტყვის თქმისა და სახარების ტექსტის განმარტების შემდეგ. მქადაგებელი მოჰყვა საუკეთურებს, რომლებიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

— მითხარით, რა უფლებით, რის საფუძველზე გყავთ ასეთ მძიმე და საშინელ მონობაში ებედური ინდიელები? ვინ მოგცათ უფლება არაადამიანურად იომოთ ამ ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც წყნარად და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ თავიანთ მიწებზე? თქვენ დალუპეთ ურიცხვი ინდიელი, თქვენ მოუტანეთ მათ სიკვდილი და გაუგონარი შეურაცხყოფა. თქვენ მათ ქანცს უწყვეტთ აუტანელი შრომით და არ აძლევთ არც საკვებსა და არც წამალს, რომ ავადმყოფობას უმკურნალონ, ისინი იხოცებიან, უფრო სწორად თუ ვიტყვით, თქვენ კლავთ მათ, რომ ყოველდღე მოიპოვოთ და მოაგროვოთ ოქრო. რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ დაჟინებით მოსთხოვოთ მათ, სცნონ თავიანთი ღმერთი და შემოქმედი, მოინათლონ, მოისმინონ მესა, დაიცვან დღესასწაულები და უქმი დღე? განა ისინი ადამიანები არ არიან? განა მათ სული არა აქვთ? განა საკუთარი თავივით არ უნდა გიყვარდეთ ისინი? ნუთუ არ გესმით, არა გრძნობთ ამას? როგორ გამოგეფხიზლოთ მკვდრული ძილისგან? იცოდეთ, ისეთებისთვის. როგორებიც თქვენ ხართ, ხსნა არ იქნება, როგორც მავრებისა და თურქებისთვის, რომლებიც ღრ იცნობენ ქრისტეს რწმენას და არ უყვართ იგი.

---

1 მე ვარ ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა (ლათ.).

ძნელი გადმოსაცემია შთაბეჭდილება, რაც მოულოდნელმა ჭადაგებამ მოახდინა ცოდვილთა სულზე, რომელთა საყურადღებოდ იყო მიმართული ეს მკაცრი და მრისხანე საყვედურები. მიუხედავად იმ გააფთრებისა. მათ რომ დაეუფლა, თვით ყველაზე უზნეო და გულზვიადებმაც კი გაოგნებულებმა და დაბნეულებმა მოუსმინეს მამა შონტესინოს და უხმოდ მისჩერებოდნენ, როგორ ჩამოდიოდა იგი კათედრიდან, „თავი სულაც არ ჰქონდა ძირს დახრილი“, როგორც ლას კასასი წერდა. ყველა მლოცველი, განსაკუთრებით ისინი, ვინც შეურაცხყოფილი იყო ღვთისმოსავი ორატორის მინიშნებებით, ტაძრიდან აღშფოთებული გამოვიდნენ და ერთმანეთს უმტკიცებდნენ, ამ თავხედობის დატოვება დაუსჯელად არ შეიძლებაო. ადმირალი, რომელსაც უმაღლესი თანამდებობის პირნი სახლამდე აცილებდნენ, გულჩათხრობილი მიდიოდა და არანაირად არ იზიარებდა თანამგზავრთა აღშფოთებას. ბოლოს პასამონტემ პირდაპირ მას მიმართა:

— არ ფიქრობთ მოითხოვოთ პატივისცემა საკუთარი თავისა და ჩვენი, სენიორ ადმირალო? — უთხრა მან. — როგორ გგონიათ, განა შეურაცხყოფილი არ არის თქვენი ღირსება და ღირსება მისი უდიდებულესობა მეფისა, რომელმაც იმიტომ კი არ მოგვანიჭა ძალაუფლება, რომ მოვითმინოთ თავხედი ბერის შეურაცხყოფა და ლანძღვა?

— ვიმოქმედოთ. მშვიდად, სენიორ პასამონტე, — გულგრილად უპასუხა დიეგო კოლუმბმა. — გულისწყრომა — ცუდი მრჩეველია, ცარიელი მუცელი კი ხელს არ უწყობს ესოდენ მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტას. წაბრძანდით სახლებში, ნასადილევს ჩემთან მობრძანდით, და შეთანხმებულად გადავწყვეტთ, რაგორ უნდა მოვიქცეთ.

ადმირალის სიტყვა მოისმინეს და ყველა დაემორჩილა მას.

XXXII

დომინიკელები

ნაშუადღევს მეფის მოხელეებმა, სააპელაციო სასამართლოს წევრებმა და ქალაქის სახელოვან მცხოვრებთა უმრავლესობამ დიეგო კოლუმბის რეზიდენციაში მოიყარა თავი. მამა მონტესინოს ქადაგებაზე მსჯელობდნენ გაცხარებითა და გალიზიანებულად, რაც მოსალოდნელი იყო განაწყენებულთა შეკრებაზე. უტიფარი ბერის მოსათოკად და დასასჯელად წამოყენებული ზომები მეტისმეტად მძაფრი და ზოგი მათგანი სასტიკიც იყო. ადმირალი, რომელსაც თავი კარგად ეჭირა,

შეუმჩნეველად აკეებდა უცაბედ გაცხარებას და ცდილობდა ამ გადარეულთა გრძნობებისა და მსჯელობათა შენელებას. როცა შერიგების ყოველგვარი გზა ამოწურა, იგი ბოლოს და ბოლოს იძულებული იყო დათანხმებულიყო, რომ უფრო მეტად განაწყენებულები, უმთავრესად შეფის მოხელეები, იმ საღამოსვე წავიდოდნენ დომინიკელთა მონასტერში, დატუქსავდნენ ბერებს და მათ საზოგადოებას მოსთხოვდნენ, აეძულებინათ მგზნებარე მქადაგებელი საჯაროდ უარეყო თავისი სიტყვა.

ასეც გაკეთდა: წავიდნენ მონასტერში, ყველა უკმაყოფილომ მოითხოვა მოეხსენებინათ მის შესახებ და მათთან მისაღებში დინჯი ნაბიჯებით შემოვიდა პედრო დე კორდოვა.

— პადრე ვიკარი, — მკვახედ მიმართა მას პასამონტემ. — დაადახებინეთ იმ ბერისათვის, რომელმაც დღეს თავის ქადაგებაში იმდენი აბდაუბდა ილაპარაკა.

— ამას საჭიროება არ მოითხოვს, — დინჯად თქვა უარი წინამძღვარმა. — თუ თქვენს მოწყალებას რაიმეს კითხვა სურს, მე — პრელატი ვარ ამ მონასტრისა და ყველაფერზე მე გაგცემთ პასუხს.

— მოაყვანინეთ აქ. — გაიმეორა გაბრაზებულმა ხაზინადარმა, — მოვიდეს აქ, ეგ შფოთისთაკი, ახალი, ჯერ არგაგონილი მოძღვრების მქადაგებელი, რომელიც ყველას მსჯავრსა სდებს და ილაშქრებს მეფის წინააღმდეგ, ხელყოფს მის უფლებას ინდოეთის მიწა-წყალზე იმით, რომ თავს ესხმის კოლონიაში დაკანონებულ ინდიელთა განაწილების წესს... გვიფრთხილდით თქვენც, პადრე, თუ არ დასჯით მას დამსახურების მიხედვით...

— თქვენ ბედავთ მე დამემუქროთ? — შეპყვირა პედრო დე კორდოვამ.

— თქვენც და ყველა თქვენს კადნიერსა და მეამბოხე ბერს, — უპასუხა პასამონტემ.

— დიახ, მეამბოხე და უსირცხვილოებს! — მთელი ხმით წამოიყვირა რამდენიმე კაცმა.

მოძღვარმა მათ ისე შეხედა, რომ მის გამოხედვაში გამოსჭვიოდა, ერთმანეთში არეული ქედმაღლობა, სირბილე და სიბრალული. მისი მშვენიერი სახე შთააგონებდა უნებურ პატივისცემას.

— და ყველა ამ საშინელ სიტყვას, — ღირსეულად მიმართა მან გააფთრებულ მოსულებს. — თქვენვე ლაპარაკობთ ჩვენზე, ვისაც გვინდოდა თქვენთვის თვალის ახელა, თქვენი სულის გამოფხიზლება ძილიდან. დიახ, თქვენ გაბედეთ ამბოხებულები გეწოდებინათ ჩვენთვის, ყველასთვის, თქვენი უკანონო საქმის წინააღმდეგ გალაშქრებულებს. იცოდეთ, რომ პადრე ანტონმა კათედრიდან წარმოთქვა მთელი საზოგადოების მიერ მოწონებული სიტყვა, ამიტომაც თქვენი

რისხვა მიმართული უნდა იყოს არა მარტო მხოლოდ მის მიმართ, არამედ ყოველი ჩვენთაგანის მიმართ.

— მაშინ სხვა გამოსავალი არ არის, — განაცხადა პასამონტემ, — გარდა იმისა, რომ პადრე ანტონი იძულებული გავხადოთ მომავალ კვირას უარყოს ყველაფერი, რაც დღეს თქვა.

— ეს არ მოხდება, — უარი განაცხადა პედრო დე კორდოვამ.

— თუ ამას არ გააკეთებთ, შეგიძლიათ ჩაალაგოთ თქვენი ბარგი-ბარხანა და მოემზადოთ გასამგზავრებლად. თქვენ ისევ ესპანეთში გაგგზავნიან.

— მართლა, სენიორებო, — უშფოთველი ღიმილით უპასუხა მამა წინამძღვარმა, — ყველაფრის თავმოყრისთვის ძალიან ცოტა დრო დაგვჭირდება.

ამ უბრალო პასუხმა და ნათქვამის აბუჩად ამგდებმა ტონმა, საბოლოოდ გამოიყვანა მდგომარეობიდან ფიცხი, გაღიზიანებული მოსულები. გეგონებოდათ, მათი გააფთრება ნაპირს გადმოხეთქავდა, მაგრამ ამ დროს მონასტრის მეკარემ აკანკალებული ხმით გამოაცხადა: „სენიორ ადმირალი“.

ამ სიტყვების გაგონებაზე თავი შეიკავეს ყველაზე თავშეუკავებლებმაც კი, და რამდენიმე წუთით სიჩუმე გამეფდა.

პედრო დე კორდოვა მოსაცდელის კარისკენ გაემართა ადმირალთან შესახვედრად. დონ დიეგო შემოვიდა და მშვიდი ღიმილით იკითხა:

— რა ამბავია, სენიორებო? მგონი, აღგზნებული, გაბრაზებული ხმები გავიგონე...

— სენიორ ადმირალო, — შეჰყვირა გაცოფებულმა პასამონტემ, — პადრე ვიკარი უარს გვეუბნება კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მან უფრო გაგვიღრმავა წყენა, რადგან განაცხადა, რომ დღევანდელ ბილწ ქადაგებაზე პასუხს აგებს მთელი მათი საზოგადოება, რამდენადაც ეს ქადაგება წარმოთქმული იყო ყველა ბერთან შეთანხმებით.

— ეს მართალია, სენიორ ადმირალო, — უბრალოდ თქვა წინამძღვარმა.

— გესმით, სენიორ, — ბანი მისცა სამეფო ხაზინადარმა. — დომინიკელთა საზოგადოებას უნდა დაამხოს კოლონიაში არსებული წესები, იგი უარყოფს ინდიელებზე მეფის ძალაუფლებას და ჩვენ მიერ ამ წარმართთა შრომით სარგებლობის მისგან მიღებულ უფლებას, რომლებსაც სანაცვლოდ სულის ხსნა მივეცით, რადგან ვაზიარეთ სამარადისო ჯეშმარიტებას.

— ჩვენ უარვყოფთ ამ დაბეჩავებული რასის ჩაგვრას თქვენგან, — ძლიერად შეჰყვირა მამა პედრომ. — ჩვენ უარვყოფთ თქვენს უფლე-

ბას, იმაზე, რომ თქვენ თავს ქრისტიანები უწოდოთ მას შემდეგ, რაც გაულიტეთ იმდენი უბედური, თქვენი სასტიკი და უსულგულო ანგარებისთვის.

ამ მრისხანე ბრალდების პასუხად ახალი ქარიშხალი ამოვარდა. დიდი გაჭირვებით მოახერხა დიეგო კოლუმბმა ხმაურის შეწყვეტა და იქ მყოფნი იძულებული გახდნენ პატივით მოპყრობოდნენ მის წოდებას.

— მომისმინეთ, სენიორებო. აქ მე წარმოვადგენ მისი უდიდებულესობა მეფის ხელისუფლებას და მოვითხოვ, რომ ყველამ შეასრულოს ის, რასაც გადავწყვეტ ამ შემთხვევაში.

აღსაშფოთებლად გამზადებული პასამონტე და მისი ჯგუფი ყრუდ აბურტყუნდნენ, მაგრამ ადმირალმა ისე გამომეტყველად შეიკრა შუბლი, იმდენი ღირსება და სიამაყე იყო მის თავდაჭერაში, რომ ყველა შეკრთა და გაჩუმება და დამორჩილება არჩია.

მაგრამ ამ დროს ადმირალს მშვიდად მიმართა მამა პედრო დე კორდოვამ:

— სენიორ\ნება მომეცით შეგახსენოთ, როცა ჩვენ სიტყვებსა და მოქმედებებს ვწირავთ მეფეთა მეფის სამსახურს, შეგვიძლია დავეთანხმოთ მხოლოდ იმას, რაც სამართლიანია უზენაესი სამართლიანობის წინაშე და შეესაბამება ღვთიურ კანონებს. არავის არ აქვს ჩვენი ნების დამთრგუნავი ძალა და ვერვინ გვაიძულებს ვიმოქმედოთ ამ კანონიერების საწინააღმდეგოდ.

— მე ეს ვიცი, პადრე პედრო, — მოწიწებით უპასუხა დიეგო კოლუმბმა, — გთხოვთ დამერწმუნოთ, თუ ამ საქმის გადაწყვეტას მანდობთ, ყოველი ჩემი განკარგულება ღვთის უაღრესად სადიდებლად იქნება გამიზნული. კოლონიაში მშვიდობიანობა და წესრიგი მოითხოვს, პადრე, — განაგრძობდა ადმირალი, — რომ მქადაგებელი ძმა ანტონი ისევ ავიდეს კათედრაზე მომდევნო კვირა დღეს და დაამშვიდოს მოაზროვნეები იმით, რომ დამაკმაყოფილებლად ახსნას ყველაფერი, რაც დღევანდელი ქადაგების დროს მისი უდიდებულესობა მეფის სამსახურის, აგრეთვე მათი ღირსების და ინტერესების ხელყოფით შეურაცხყოფილ სამეფო თანამდებობის პირთა და სხვა კოლონისტთა უფლებებისა და პრეროგატივების საწინააღმდეგოდ გამოიყურებოდა.

წინამძღვარი წუთით დაფიქრდა, შემდეგ მტკიცედ თქვა:

— მქადაგებელი ისევ ავა კათედრაზე უახლოეს კვირას, და აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, როგორც ღვთის თვინიერი მსახურნი და მეფის ერთგული ქვეშევრდომნი.

ამ განცხადების მოსმენის შემდეგ, ადმირალმა, მერე კი პასამონ-

ტემ და დანარჩენებმა მოწიწებით დაუკრეს თავი პედრო დე კორდოვას და მონასტრიდან გავიდნენ. მომჩივარნი მშვენიერ გუნებაზე წავიდნენ, სრული გამარჯვებით წინასწარ დამტკბარნი.

XXXIII

მარილმოყრილი ჭრილობები

დადგა დღე დანიშნული უარყოფისათვის, რომელიც კოლონისტებმა მოითხოვეს დომინიკელი ძმებისაგან. ტაძრის ეკვდერმა ვერ დაიტია უთვალავი ხალხი, მეფის ქედმაღალი მოხელეებისა და მათი მეგობრების მოწოდებით რომ მოცვივდა საბრალო ბერების დამცირების სანახავად. ნაირფერად ბზინავდა ოქრომკედით მოქარგული აბრეშუმები, ირხეოდა ფრთები, ბრწყინავდა იარაღები. მათ, რომლებმაც მეფისა და საზოგადოებრივი ხელისუფლების შეურაცხყოფის საბაბით წამოიწყეს ეს საქმე, უნდოდათ მისთვის ოფიციალური ზეიმის მთელი ბრწყინვალება მიეცათ.

სახარების წაკითხვის შემდეგ გამოჩნდა უკვე ცნობილი პადრე მონტესინო, და მდაბლად თავდახრილი, მოზომილი ნაბიჯებით გაემართა კათედრისკენ. ზევით ასულმა გამჭოლი მზერა მოავლო ხალხმრავალ კრებას და მშვიდი ხმით დაიწყო სიტყვა. მოკლედ ჩამოაყალიბა, რაც თქვა წინა კვირას და თავისი შესაკალი სიტყვის გავრცობას შეუდგა. სამეფო თანამდებობის პირებმა და ენკომიენდების გაბრაზებულმა მფლობელებმა წარმოიდგინეს, რომ თითქოს პადრეს უნდოდა თავისი უხეშობისთვის მიეცა საწინააღმდეგო აზრი და რიტორიკული ფიგურებით და ნაირნაირი მისტიკური, ჰიპოთეზური, ჰიპერბოლური და მეტაფიზიკური ხერხების დახმარებით დაემტკიცებინა, თითქოს ქადაგებისას. ერთგულ მსახურ ინდიელთა კიცხვა კოლონისტების სიკეთის. გულმოწყალებისა და დიდსულოვნების მჭევრმეტყველურ ქებას ნიშნავდა. მაგრამ უშიშარმა ორატორმა იობის წიგნის პარაგრაფი გადაასხვაფერა და მისი აზრი გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „და გავიმეორებ თავიდან ჩემ ყოველ მოძღვრებას და ვეშმარიტებას და დავამტკიცებ, რომ ჩემი სიტყვები, რომლებმაც თქვენ ასე გატკინათ გული, — სრული სიმართლეა“. პადრემ გაიმეორა და დაადასტურა უფრო ძლიერი და გამაოცებელი მშვერმეტყველებით ყველა წყევლა, რასაც აფრქვევდა ტირანებს, რომლებიც ინდიელებს ბანადგურებდნენ, და ბოლოს გამოაცხადა, რომ დომინიკელთა საზოგადოებამ გადაწყვიტა უარი უთხრას მათ ზიარებაზე. ყაჩაღებისა და ძარცვლების მსგავსად, მათ შეუძლიათ ეს ამბავი კასტილიაში

მისწერონ ვისაც უნდათ, რადგან ბერი-დომინიკელები დარწმუნებულნი არიან, ასეთი მოქმედებით ისინი ემსახურებიან ღმერთს და არანაკლებ სამსახურს უწევენ მეფეს.

პადრე მონტესინომ ქადაგება დაასრულა იმედგაცრუებული და გააფთრებული მსმენელების ყრუ ღრიალში. დინჯი და აუშფოთებელი ჩამოვიდა იგი კათედრიდან და გაემართა მონასტრისკენ ისე, რომ ამ ეშმაკეულებისთვის მოლაყბე თუთიყუშებზე მეტი ყურადღება არ დაუთმია. რაკი დარწმუნდნენ, მეტს ვერაფერს მიაღწევდნენ, წარჩინებულმა კოლონისტებმა გადაწყვიტეს მეფისთვის მიეწერათ დომინიკელთა ორდენის ბერებზე მრისხანებით სავსე წერილი, დაედანაშაულებინათ ისინი აღმაშფოთებელ მოქმედებაში და მეფისა და კოლონიაში მყოფ მისი ნდობით აღჭურვილ პირთა ძალაუფლების წინააღმდეგ ამბოხებისთვის წაქეზებაში.

XXXIV

ღვთისმოსაური თავგამოდება

ყველა ამ ბრალდებამ, განსაკუთრებით პასამონტეს წერილმა, ნდობითა და მოწყალებით რომ სარგებლობდა მეფის ფავორიტებში, რომლის ნათელმა გონებამ წლების განმავლობაში დაჩლუნგება იწყო, თავისი მოვალეობა შეასრულეს მეფის კარზე. მაგრამ დომინიკელებმა გამონახეს საშუალება, რომლითაც უარყვეს მოწინააღმდეგეთა ყალბი ცილისწამება. მაშინ ამ უკანასკნელებმა მიმართეს ახალ, უფრო მოხერხებულ საშუალებას. ისარგებლეს პატივცემული, მაგრამ ნაკლებად განათლებული პადრე ანტონიო დე ესპინალის — ფრანცისკანელთა მონასტრის წინამძღვრის გულუბრყვილობით, — მათ დაარწმუნეს იგი წასულიყო კასტილიაში და მეფისა და მისი საბჭოსთვის მოეხსენებინა დიდ ზარალზე, რასაც აყენებდნენ მეფის ხელისუფლებას და კოლონიაში დადგენილ წესებს ამბოხებული ბერი-დომინიკელების უგნური სიტყვები.

დომინიკელებმა ისწრაფეს გაებათილებინათ დარტყმა და კასტილიაში გაგზავნეს თავად პადრე მონტესინო, რომელიც გარდა იმისა, რომ გამოჩენილი მქადაგებელი იყო, დიდად განათლებული კაციც გახლდათ, მეტისმეტად მამაცს უნარი ჰქონდა გადაეჭრა რთული საკითხები და ძნელი საქმეები ეკეთებინა. მასზე მეტად არავინ იყო დაინტერესებული, დაეცვა საკუთარი სიტყვა და მთელი საზოგადოების აზრი. ბერებს კარდაკარ მოუხდათ სიარული მოწყალების მოსაგროვებლად, რაც პადრე ანტონ მონტესინოს გასამგზავრებლად იყო სა-

ჰირო. მოგროვებით დიდი ვერაფერი მოაგროვეს, მაგრამ დაცინვა და წყენა ბლომად იგემეს. თუმცა ბერი-დომინიკელები ხალხს უყვარდა და პატივს სცემდა წმინდა ცხოვრებისა და სამაგალითო ხასიათის გამო, მაინც მათ თავზე დამტყდარმა შერისხვამ შეაშინა ბევრი ისეთი, რომელსაც დახმარებაც კი უნდოდა გაეწია მათთვის. ეგოიზმი ყოველთვის მშიშარა და მაამებლურია.

პადრე ანტონიო დე ესპინალს, პირიქით, ყველაფერი უხვად ჰქონდა, ყოველ უფლისწულს შეიძლებოდა შეშურებოდა ის ფუფუნება, რაც მოუმზადეს მას გზაზე მისმა მრწმუნებელმა ხალხმა. ყველა კარგი აზრისა იყო ამ ბერზე, მაგრამ როცა მან ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც არ შეეფერებოდა ბერულ თავდაჭერასა და მორჩილებას, ქალაქში, გამკიცხავი მითქმა-მოთქმა დაიწყო. მართალია, ზოგი მის მოქმედებას ხსნიდა იმით, რომ კონსეპსიონ დე ლა ვეგასა და სანტო-დომინგოში არსებული ფრანცისკანელთა მონასტრები დაინტერესებული იყვნენ რეპარტიმიენტოთი, და მაშასადამე, წინამძღვარი ასრულებდა წმინდა ვალს, რადგან მოქმედებდა თავისი ორდენის საკეთილდღეოდ.

ორივე წარგზავნილი გაემგზავრა ესპანეთში სხვადასხვა გემით. ერთი — მზრუნველობითა და ფუფუნებით გარემოცული, მეორე — მოკლებული ყველაზე აუცილებელს, დანდობილი მხოლოდ და მხოლოდ ღვთის დახმარებას და სიმართლის რწმენას.

ჩასვლისას მათ იგივე ბედი ელოდათ. მეფემ ანტონიო დე ესპინალი მეტად ალერსიანად და გულთბილად მიიღო, განაწყენებულმა და უმფარველოდ დარჩენილმა ანტონ მონტესინომ ვერ მოახერხა მეფის დარბაზებში შესვლა, თუმცა ძლიერ ეცადა პირადად წარდგომოდა მონარქს. ბოლოს, ერთხელ მისმა გამბედაობამ ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა. მას მობეზრდა სასახლის მსახურისთვის თხოვნა, ისარგებლა იმით, რომ სასახლის კარი სხვა მომსველელს გაუღეს და იგი მას ფეხდაფეხ შეჰყვა. მეკარე გააცა თავხედობით. მეფემ მოწყალედ მიიღო ბერი, რომელიც ფეხებში ჩაუვარდა მას. მეფის დარბაზში პირველად გაისმა საშინელი მხილება და ღრმად მოხუცებულ მონარქზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემდეგ თავგამოდებულმა დომინიკელმა მიიღო სასახლეში და ინდოეთის საბჭოში თავისუფლად შესვლის ნება. მაგრამ ყოველი მისი ცდა პადრე ესპინალის ურყევი ავტორიტეტისა და მოწმობების პირისპირ იმსხვრეოდა. მაშინ გაბედა გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა.

ყველაფერი ეს ხდებოდა ბურგოსში, სადაც მაშინ დედაქალაქი იყო. პადრე ანტონიო დე ესპინალი თავისი ორდენის მონასტერში ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს, პადრე ანტონ მონტესინო მივიდა მონასტრის კართან და დაუწყო ლოდინი თავის მოწინააღმდეგეს.

როცა იგი გამოვიდა და დინჯად გაემართა სამეფო საბჭოში (სადაც მეფის განკარგულებით იკრიბებოდნენ ცნობილი სწავლულები და თეოლოგები ყველა იმ საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად, რომელიც ეხებოდა ინდიელთა პოლიტიკურ და სულიერ მდგომარეობას), ჩვენმა კეთილმა ბერმა გააჩერა ანტონიო დე ესპინალი და მტკიცედ განუცხადა, რომ მასთან საუბარი სურდა. პადრე ესპინალი დათანხმდა მოსმენას, მაშინ მონტესინომ მისთვის დამახასიათებელი გაცხარებით წარმოთქვა:

— ნუთუ თქვენ, პადრე, გჭირდებათ სხვა ტანისამოსი ტილიანი ძონძების გარდა, რომლებიც თქვენ სხეულს ფარავს? რითი დაგაბრმავეს ამ ბოროტმოქმედებმა? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მოხერხებულად მოგატყუეს, რათა განაგრძონ თავიანთი ავაზაკური საქმიანობა. რატომ ხართ ამ საცოდავი, უმწეო ინდიელების წინააღმდეგი?

ისე მგზნებარედ არწმუნებდა იგი ანტონიო დე ესპინალს, რომ ფრანცისკანელთა გულუბრყვილო წინამძღვარს შიშით გული შეუქანდა, მისმა სინდისმა კი გაიღვიძა. მიენდო თავის ურყევ მსაჯულს და თქვა:

— ღმერთი დაგიმადლით, პადრე, რომ ღმობიერად გამანათლეთ; მოტყუებული ვიყავი ამ ერისკაცთა მიერ. მითხარით, რა უნდა გავაკეთო და ყველაფერს შევასრულებ.

ამ დროიდან, ქრისტიანული მოწყალებით აღფრთოვანებულმა ორივე ბერმა, ერთად დაიწყო მოქმედება, და პასამონტეს, ფონსეკას, კონჩილიოსისა და მისი მომხრეების მზაკვრული ჩანაფიქრი გააცამტვერა ჰეშმარიტების ძალამ. ადმირალ დონ დიეგო კოლუმბის ნათესავ-მეგობრებმა მიაღწიეს დიდ ნდობას და ახალ პატივისცემას, ბურგოსელმა ცნობილმა ბრძანებულებებმა, რომლებიც მიმართული იყო ინდიელთა რასის საკეთილდღეოდ, ოქროს ფურცელი ჩაწერეს ამ პირქუშ დროის ისტორიაში.

XXXV

ვადის ახალი გაგრძელება

იმავე წელს ესპანიოლის ადმირალ-გუბერნატორმა მეფისგან მიიღო დიდი ხნის ნანატრი ნებართვა კუნძულ კუბის დაპყრობისა და დასახლების შესახებ. ეს ამბავი მაშინვე შეატყობინა თავის ნაცვალს დიეგო ველასკესს და სანტო-დომინგოში დაიბარა, რომ საბოლოოდ დაემთავრებინათ სამზადისი ესოდენ მნიშვნელოვანი საქმისა და მიეცა აუცილებელი განკარგულება. ველასკესი სასწრაფოდ გამოქანდა კოლონიის დედაქალაქისკენ სიყვარულის ფრთებითა და პატივმოყვრული იმედებით.

ველასკესის სახელდებულის მიერ დანიშნული ვადა კარგა ხანია გასული იყო, მაგრამ დიეგო კოლუმბიცა და საცოლის მამაც მოუთმენელ კაპიტანს ატყობინებდნენ, რომ მარიას ჯანმრთელობა მეტისმეტად შერყეული იყო და ქორწინების ხელმეორედ გადადება ხდებოდა საჭირო. ველასკესი მეტად უკმაყოფილოდ დაეთანხმა გაურკვეველი დროით ქორწინების გადადებაზე. ის იყო ეჭვი შეეპარა ადმირალის კეთილ ზრახვებსა და მომავალი სიმამრის კეთილშობილებაში, რომ მოულოდნელად კოლონიის დედაქალაქში მიიწვიეს.

„როგორც იქნა, — გაიფიქრა მან, — მე თვითონ ვნახავ ყველაფერს და ვიმოქმედებ საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე".

მაგრამ ველასკესმა შეხედა თუ არა თავის საცოლეს, მთელი მისი ეჭვები გაიფანტა. იგი მიხვდა, რომ მას ეუბნებოდნენ და წერდნენ სრულ სიმართლეს. მარია დე კუელარი მძიმე ავადმყოფი გახლდათ. საშინელი და მწარე იყო შედარება ამ ფერმკრთალი გამხდარი სახის, აჭ ქუთუთოებჩალურჯებული, ჩამჭრალი თვალების, იმ ნორჩ, გაფურჩქვნილ სილამაზესთან, რომელმაც მოხიბლა ველასკესი, როცა პირველად იხილა მარია ადმირალის ციხე-დარბაზში, ახლა მთელ მის გარეგნობაში, სახის გამომეტყველებაში ამოიკითხებოდა ნაღვლიანი მორჩილება ბედისადმი, რაღაცნაირი გულგრილობა, სრული უგრძნობელობის მსგავსი. მარიამ ნება მისცა მომავალ მეუღლეს მისთვის ხელზე ეკოცნა, ისე რომ არ გამოუმჟღავნებია არც თავშეკავებული სიხარული, არც უკმაყოფილება კოცნის დროს, რომელსაც, თითქოს, უნდა გაეხსენებინა ქალიშვილისთვის მისი მდგომარეობა და ის, რომ ახლო იყო დღე, როცა იგი მსხვერპლად შეიწირებოდა.

ველასკესი უყურებდა მას, და აღელვებულმა ჰკითხა:

— შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ ახლა აღარ არსებობს არავითარი დაბრკოლება ჩემი ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე და თქვენ ბოლოს და ბოლოს ნებას დამრთავთ მიგიყვანოთ საკურთხეველთან?

პასუხის ნაცვლად ქალიშვილმა მას დაბნეული, გაურკვეველი მზერა მიაპყრო. მამამ, როცა ნახა, იგი ხმას არ იღებდა, თვითონ უპასუხა:

— თქვენ ითხოვეთ, სენიორ დონ დიეგო, ერთი წელი დაგვეცადა ქორწინებამდე. არც ჩემი და არც თქვენი ბრალია, რომ ეგ ვადა უკვე ამოიწურა. მაგრამ ახლა, თქვენც ხედავთ, მეტისმეტი გაუფრთხილებლობა იქნებოდა არ დაგვეცადა კიდევ რამდენიმე ხანს, სანამ ჩემი ქალიშვილი არ განიკურნება უცნაური ავადმყოფობიდან, რომელმაც ასე დააუძლურა და გააწამა იგი.

— როგორ, სენიორ დე კუელარ! — შესძახა გაბრაზებულმა ველასკესმა. — ესე იგი, მარტო უნდა გავემგზავრო კუბის დასაპყრობად! მე კი ვიმედოვნებდი, რომ თან წავიყვანდი ჩემს გულის რჩეულს.

— თვითონ უნდა მიხვდეთ, ჩემო მეგობარო, დონ დიეგო, რომ საზრუნავი, რომელსაც მოითბოვს ჩემი ქალიშვილის ავადმყოფობა; თქვენ დაგაწვებათ მძიმე ტვირთად ველურ, გამოუკვლეველ ქვეყანაში, სადაც არ არის ყველაზე აუცილებელი რამ, სადაც თავად არ იცით, რა გელით. უფრო გონივრული იქნება, თუ ჯერ გაემგზავრებით ასეთი ტვირთის გარეშე, შემდეგ შემატყობინებთ, რომ დაძლეულია პირველი სიძნელეები და ყველაფერი მზადაა თქვენი მეუღლის დასახვედრად. მე თვითონ ჩამოგიყვანთ მას, და ქორწილს გადავიხდით თქვენს მამულში, სადაც თქვენ იქნებით ყველას უფროსი და ყველა თქვენი ხელქვეითი იქნება.

ველასკესი დაეთანხმა ამ დასაბუთებებზე და განაგრძო ხანგრძლივი და შინაარსიანი საუბარი ადმირალთან, სასახლეში, სადაც იგი იყო დაბინავებული. დრო არ იცდიდა: საჭირო იყო მომავალი კოლონიზაციისთვის აუცილებელი სანოვაგის მარაგისა და აღჭურვილობის გაახლება, რადგან ექსპედიცია ბევრჯერ გადაიდო მეფის თანხმობის მოლოდინში, ბევრი რამ ადრე მომარაგებული უვარგისი გახდა.

ენერგიულ კაპიტანს, რომელიც სულითა და გულით შეუდგა მძიმე საქმის სამზადისს, თითქმის არ რჩებოდა დრო ესაუბრა თავის საცოლესთან, ან შეენიშნა, რომ ყოველ მის მგზნებარე სიტყვას იგი პასუხობდა მოკლედ ანდა უაზროდ. სენიორ დე კუელართან მან ახალი შეთანხმება დადო: გადაწყვიტეს, რომ კუბის დასაპყრობად ველასკესი წავიდოდა მარტო, როგორც კი იგი დამპყრობის დიდ სახელს მოიპოვებდა, საცოლე თვითონ ჩავიდოდა მასთან, გაუწვდიდა ხელს და ნარინჯის გვირგვინს მიართმევდა შრომისა და საბრძოლო მამაცობის ჯილდოდ. კონტადორმა მომავალ სიძეს მნიშვნელოვანი თანხით გაუმართა ხელი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა და ჭორაობა გამოიწვია სულშდაბალ, უმნიშვნელო ადამიანებს შორის, რომლებიც ყოველ საჭორწინო კავშირში მხოლოდ ანგარიშიანობას ხედავენ და არასოდეს ფიქრობენ გრძნობაზე.

ლას კასასმა გადაწყვიტა გამგზავრებულიყო დასავლეთში ველასკესთან ერთად. თავისმა წოდებამ უფლება მისცა დამწუხრებულ მარია დე კუელართან გამოსათხოვარი შეხვედრა ჰქონოდა. ლას კასასმა სცადა გაემხნევებინა და ურჩია კიდეც შეეხსნებინა დედოფლისთვის კარგა ხნის წინ მიცემული პირობა — ხელი შეეშალა მარიას და ველასკესის ქორწინებისთვის.

— რისთვის? — უარი თქვა მარიამ ღიმილით, რომელშიც აღარაფერი იყო მიწიერი. — აშკარაა, დედოფალს ყველაფერი დაავიწყდა. მაინც სულ ერთია, მოხდება ჩემი ქორწინება თუ არა, მალე სიკვდილი ყველაფერს მოუღებს ბოლოს. ბედს დავემორჩილე, როგორც თქვენ გსურდათ. გახსოვდეთ დანაპირები, და ღმერთი მოწყალებას მოიღებს თქვენ მიმართ ამ სიკეთისათვის.

მღვდელმა. გულზე ხელი მიიდო და გამოემშვიდობა. ამ მოძრაობით უნდოდა გამოეხატა თანაგრძნობა, თუ ეჩვენებინა, რომ აქ, მკერდთან ფარულად ინახებოდა წერილი, რომელიც მიანდო მას მომაკვდავმა ქალიშვილმა თავისი უბედური შეყვარებულისთვის გადასაცემად.

XXXVI

ამათ ვაი-ვაგლახი

მარია დე კუელარი არ იყო მართალი, როცა, თუმც ყოველგვარი ჩივილის გარეშე, მაგრამ მაინც გამოთქვა ეჭვი მარია დე ტოლედოს მისდამი მხურვალე და ერთგულ სიყვარულზე.

კეთილშობილ სენიორას ერთი წუთითაც არ დაკარგებია თავისი საყვარელი ამხანაგის უბედურება. სულიერი მღელვარებით ადევნებდა თვალს მის სევდას, უცნაური სენის მიმდინარეობას, რომელიც ძალ-ღონეს აცლიდა, და შიშით შეპყრობილი ელოდა გარდაუვალ ამბავს, რომელსაც საფლავში უნდა ჩაეყვანა სხვისი პატივმოყვარეობის მსხვერპლი. ბევრჯერ დაიწყო მან საჩოთირო საუბარი მეუღლესთან, მაგრამ ვერასოდეს ვერ იგრძნო მისგან თანაგრძნობა. ადმირალის სული გაუხეშა ხელისუფლებისათვის გამუდმებულმა ბრძოლამ, და არც აპირებდა ხელი შეეშალა მისი ნაცვალისა და ერთგული მოკავშირის ქორწინებისთვის. თუმც მას არასოდეს მიუცია ამისი პირობა. ამიტომ იყო, რომ ამა თუ იმ მიზეზით თავს არიდებდა მეუღლის დაჟინებულ თხოვნას. პასუხად ცდილობდა ჩაეგონებინა მისთვის აზრი, რომ საჭიროა ფიქრი საკუთარ ბედნიერებაზე. ვიდრე სხვისაზე იზრუნებდე.

ამ რჩევამ ახალგაზრდა სენიორას გაუღვიძა მეტად არასასიამოვნო მოგონება, და შიში შეეპარა, რომ თავისი დიდსულოვნებით ისევ არ აეტეხა ოჯახური უსიამოვნება, იმის მსგავსი, რაც, ეჭვს გარეშეა, მკითხველს არ დაკარგებია.

მაგრამ დედოფლის კეთილი გრძნობები არ ცხრებოდა და კარნახობდა მას ახალ ჰკვიანურ საშუალებას დროის მოსაგებად — ეს იყო ერთადერთი სამსახური, რომელიც შეეძლო მას თავისი უბედური ამხანაგისთვის გაეწია. იგი ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ დონ კრისტობალ დე კუელართან ესაუბრა, მოხერხებულად გადაიტანდა საუბარს ავადმყოფობაზე, რომელიც ველასკესის საცოლეს ღრღნიდა, და მჭევრმეტყველურად უმტკიცებდა, გაუხოვება საშიშია, სანამ ქალიშვილი არ გამომჯობინებულა უძლურებისგანო. სენიორ დე კუელარზე, რომელიც მაინც მამა იყო და არა ბოროტმოქმედი, ეს

საუბრები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. უეჭველად, ამით აიხსნებოდა მოულოდნელი წინააღმდეგობა, რომელიც კონტადორისგან შეხვდა ველასკესს თხოვნაზე, დაენიშნათ ქორწინების დღე. შემთხვევითი მამობრივი გაგება დაემთხვა გონების მოსაზრებებს, — ველასკესისთვის ხომ ნამდვილად ძნელი იყო დაქორწინება, ვიდრე განახორციელებდა კუბაზე გალაშქრებას, უფრო ძნელი იყო ეკისრა ავადმყოფ ცოლზე ზრუნვა.

ამრიგად, ყველაფერი მოგვარდა დაინტერესებულ მხარეთათვის შედარებით დამაკმაყოფილებლად. მარია დე კუელარს მისჯილი ჰქონდა განეგრძო მტანჯველი არსებობა უახლოეს ხანში გარდუვალი სიკვდილის მოლოდინში.

„უკეთესი არ არის უცებ დამთავრება?“ — ეკითხებოდა იგი თავისთავს, დაჭანცული სევდისა და ეჭვებისგან, რომლებიც გულს უღრღნიდა.

XXXVII

გამარჯვებული

დასაელეთში წასულმა ველასკესმა, მალე დაამთავრა სამზადისი. მან ნაესადგურ სალვატიერაში მოაგროვა რაზმი, სამასამდე კაცის შემადგენლობით, ხომალდები დატვირთა სურსათითა და აღჭურვილობით და 1511 წლის ნოემბერში კუბისკენ გაემართა, მდივნებად იახლა ერნან კორტესი და ანდრეს დე დუერო. ექსპედიცია მაისის კონცხის მახლობლად გადასხდა ნაპირზე. ყურეში, რომელსაც ღას პალმასი ანუ პუერტო-სანტო დაარქვეს. როგორც კი ნაპირზე გადმოვიდნენ. ესპანელებს თავს დაესხა უშიშარი ატუეი, სწორედ ის ჰაიტელი კაციკი, რომელიც განსაკუთრებული სიჯიუტით უწევდა წინააღმდეგობას ველასკესს გუახავაში. დამარცხების შემდეგ იგი გადავიდა კუბაში, იქ მაისის მცხოვრებლებმა, ალიარეს მისი ცნობილი ღირსებები. ვაჟკაცობა და ბელადად გამოაცხადეს.

ატუეიმ მოახერხა კუბელებისთვის გადაედო სიმამაცე. მის გულში სიძულვილი იფეთქებდა ხოლმე ახალი ძალით, როცა იხსენებდა წარსულში თავის მარცხს და დამპყრობთა სასტიკ დაუნდობლობას. შორსმჭვრეტელმა და ფხიზელმა ესპანიოლიდან ჩამოსული მსტოვრებისაგან ადრე შეიტყო კასტილიელების მიერ კუბისთვის ექსპედიციის მზადება. ამიტომ იყო, რომ იგი ველასკესს თავდაცვისთვის გამზადებული დახვდა.

ორი თვის განმავლობაში ინდიელები განუწყვეტლივ იბრძოდნენ ვაჟკაცურად დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს, ვერ გაუმ-

კლავდნენ იარალის ძალას და თავი შეაფარეს მთებს, სადაც კიდევ დიდხანს განაგრძობდნენ ბრძოლას. ამასობაში, ველასკესმა წერილობით აცნობა ესკიველს ექსპედიციის მალე დასრულების ამბავი და სთხოვა შევსება გამოეგზავნა კუბაში. სიმდიდრისა და თავგადასავლების მაძიებელი მრავალი მებრძოლი, რომლებიც ესკიველთან ერთად მონაწილეობდნენ იამაიკის შემორიგებაში, გაეშურა მის მოწოდებაზე. მათი მეთაურობა ჩაიბარა დამსახურებულმა მხედართმთავარმა პანფილო ნარვაესმა. მას ახლდა ჩვენი ძველი, თუმცა ცოტათი დავიწუებული ნაცნობი ხუან დე გრიხალვა. მხედართმთავარმა მოვალეობად ჩათვალა ერთ-ერთი პირველთაგანი მიშველებოდა ყოფილ მოქიშპეს, ამით შეესრულებინა იმ ბედუკუღმართ ღამით დანაპირები, რომელმაც წარუშლელი ქვალი დატოვა მის სიცოცხლესა და ბედზე.

ახალი რაზმი ჩამოვიდა კუბაში მამაცი ატუეის შესაპყრობად. იგი მდევრებს ბრძოლით უსხლტებოდა ხელიდან და მომდევნო კლდეებს აფარებდა თავს, ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაუვარდა მათ და, როგორც მან ბერს აუხსნა, რომელიც ცის სასუფეველს პირდებოდა, იმ ქვეყნად რომ არ შეხვედროდა თავის ჯალათებს, მონათვლაზე უარი თქვა. როგორც ცოდვილს, რომელიც ცოდვას არ ინანიებს, ატუეის ცოცხლად დაწვა მიუსაჯეს. დიდხანს არ ეყო დიეგო ველასკესს სიკეთე, გაიფთრებამ დაუხშო კაცთმოყვარული გრძნობები, რითაც მან ლას კასასის მეგობრობა მოიპოვა: ასე, სამართლიანი სიმწრით დაწერა ლას კასასმა თავის უკვდავ ისტორიულ წერილებში.

კუბელი ინდიელები როცა დააშინა ჰაიტელი ბელადის დასჯით, ველასკესმა მთელი ენერგია მოახმარა ახალი ქალაქების დაარსებას. პირველი შენობები დიდი გულმოდგინებითა და მონდომებით ააშენეს ბარაკოაში, — სანაპიროზე, სადაც გადმოსხდა იგი თავის ხალხთან ერთად, როცა კუბაში ჩამოვიდა, და რომელსაც, როგორც ვამბობდით, პუერტო-სანტო ანუ ლას პალმასი დაარქვა. შემდეგ გამოიკვლია კუნძული, უფრო შესაფერისი ადგილის ასარჩევად ახალი კოლონიის დედაქალაქისთვის. ეს პატივი წილად ხვდა ყურის ბუნებრივ, მშვენიერ სანაპიროებს. ქალაქს აქ ჩაეყარა საფუძველი და სანტიაგო დე კუბა დაერქვა, ესპანეთის მფარველ მოციქულის, აგრეთვე თვითონ ველასკესის პატივსაცემად.

გაცხარებულ ზრუნვასა და შრომაში ჩაფლულმა დონ დიეგომ გადაწყვიტა, დადგა ჟამი დავაგვირგვინო ესოდენ სასურველი და ასე ხანგრძლივად გადადებული საქორწინო კავშირიო. ამ მიზნით მან მისწერა კუელარს წერილი, რომელშიც მტკიცედ და დაჟინებით შეახსენა თავის უფლებები იმის იმედით, რომ საზეიმოდ მიცემული პირობის შესრულება აღარ დაყოვნდებოდა.

„უკვე დიდი ხანია ამოიწურა (ეწერა ამ წერილში) ყოველგვარი გადადებული ვადა, რომელზედაც ამა თუ იმ მიზეზის გამო მაიძულებდით დავთანხმებოდი, ახლა შეურაცხყოფად მივიღებ, თუ ისევ იძულებულს გამხდით ვიცადო. მე მოვითხოვ, სენიორ დონ კრისტობალ. რომ თქვენი დანაპირები ასრულდეს, აასრულოთ თქვენი პატიოსანი სიტყვა და მომათხოვოთ მეგობარი, რომლის გარეშე ჩემთვის ბედნიერება შეუძლებელია. თუ იგი ისევ ავად არის, მას აქ მოუვლიან, იზრუნებენ მის ჯანმრთელობასა და კმაყოფაზე, ისეთ პატივში იქნება, როგორსაც მოითხოვს სენიორას და ჩემი მეუღლის. წოდება“.

ასეთი მტკიცე ტონით შეურაცხყოფილმა და იმავე დროს გახარებულმა ბრწყინვალე მომავალით. რასაც მის ქალიშვილს ახალი მდგომარეობა უქადდა. დე კუელარმა მარიას განუცხადა. გადაწყვეტილი მაქვსო შენი დაუყოვნებლივ წაყვანა კუბაში, და მაშინვე შეუდგა გასამგზავრებელ სამზადისს. დედოფალმა რომ გაიგო მათი მალე გამგზავრების ამბავი, ამაო იყო მისი ნაგვიანევი ცდა, მოელბო მოხუცი. კონტადორმა აჩვენა ველასკესის წერილი, მსაჯულად ადმირალ დონ დიეგოს უხმო და მას მიანდო საქმის გადაწყვეტა. „თუ თქვენი მეუღლე სენიორი,— უთხრა მან მარია დე ტოლედოს,— როცა კაპიტან დონ დიეგო ველასკესის წერილს წაიკითხავს, გადაწყვეტს, რომ მე შემიძლია, თავაზიანობის დაურღვევლად. უარი ვუთხრა მას მოთხოვნაზე და ისევ გადავდო ქორწილი, ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ჩათვლის სენიორ ადმირალი“.

ეს იყო ყველაზე საიმედო გზა, რომელიც შეეძლო კრისტობალ დე კუელარს ამოერჩია, რათა სრულიად დაემარცხებინა დედოფლის სურვილი — დახმარებოდა ახალგაზრდა პატარძალს. დიეგო კოლუმბმა, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, მიაღწია იმ საფეხურს, როცა პოლიტიკური მოსაზრებები ყველაფერზე მაღლა დგას. აქამდე გულმოდგინედ ეძალავდა ველასკესს თავის სურვილს, გადაედო ანდა სულაც ჩაეშალა მისი ქორწინება, მაგრამ ახლა აშკარად უნდა გამოეტანა ამ საჩოთირო საქმის განაჩენი, გამოემეღავნებინა, რომ არ ეთანხმებოდა ველასკესის მოთხოვნას, ეს იმის ნიშანი იქნებოდა. ნება დაერთო კონტადორისთვის უარი ადმირალის ავტორიტეტით დაეფარა. ამით დიეგო კოლუმბის კავშირი კუბის დამპყრობთან გაწყდებოდა სწორედ იმ დროს, როცა წარმატებით მიმდინარე დაპყრობა ახალგაზრდა გუბერნატორის პატივმოყვარეობას ყველაზე ბრწყინვალე პერსპექტივებს უქადდა. ამიტომ მან უყოყმანოდ მოუღო ბოლო საჩოთირო ჩარევას და თქვა:

— ველასკესს აქვს ყველა საფუძველი, სენიორ დე კუელარ, დაიჩიელოს დიდი ხნის ლოდინის გამო. საყვარელი საცოლის მოსაპოვებლად მას დასჭირდა არანაკლები დრო და მოთმინება, ვიდრე ია-

კობს, რომელიც რაბილის ხელს ეძიებდა. ის მაინც კარვია, რომ აქ ლია არ არის...

— თქვენი მეუღლე და ჩემი სენიორა დედოფალი, — ოდნავ უკმაყოფილო ტონით შეესიტყვა კუელარი, — ამ საქმეში ყოველთვის თქვენ საწინააღმდეგო შეხედულებას უპერდა მხარს, სენიორ ადმირალო. მისმა მსჯელობამ პატარა გავლენა როდი იქონია, რომ ეს ჭორწინება აქამდე არ მოხდა, მე კი ასეთ არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

დიეგო კოლუმბმა ისეთი მზერა ესროლა თავის მეუღლეს, რომ იგი გაფითრდა. კოლუმბმა თქვა:

— ყველაფერი ნათქვამია, სენიორ დონ კრისტობალ: არ შემიძლია გავამართლო ქორწინების კიდევ გადადება; თუ დაპირება მიცემულია, საჭიროა, შესრულდეს — რაც შეიძლება მალე.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გულდამძიმებული წამოვიდა დონ კრისტობალი ცოლ-ქმრისაგან. დიდი სიჩქარით დაამთავრა ყოველგვარი სამგზავრო სამზადისი და ერთ კვირაზე უფრო ადრე ქალიშვილთან ერთად ესტუმრა დიეგო კოლუმბსა და მის მეუღლეს გამოსამშვიდობებლად. თავის უძლურ მფარველებთან უკანასკნელი სტუმრობის დროს, მარია დე კუელარმა სცადა თავი დაეჭირა სრულიად მშვიდად. გეგონებოდათ, იგი საბოლოოდ შეურიგდაო თავის ხვედრს. დედოფალი მოეხვია მას და აქვითინდა, ახალგაზრდა ტანჯულს კი ერთი ცრემლი არ ჩამოუგდია, მტკიცე ხმით დაუწყო დამშვიდება დამწუხრებულ მეგობარს. ასეთი თავშეკავების მნახველი დედოფალი მზად იყო დაეჯერებინა, რომ ბედს დამორჩილებამ მოახდინა სასწაული. მაგრამ საბრალო მსხვერპლის მკვდრისფერი და მწუხარე სახე არ შეეფერებოდა მის მოჩვენებით სულიერ ძალას.

სამი დღის შემდეგ ბრწყინვალე მხლებლებით გარშემორტყმული ორივე ამხანაგი ხელიხელჩაკიდებული, დიეგო კოლუმბისა და დონ კუელარის თანხლებით, ავიდა ლამაზი გალერის ქიმზე, რომელსაც ადმირალის განკარგულებით პატარძალი და მისი მამა კუბაში უნდა ჩაეყვანა.

დიეგო კოლუმბმა იზრუნა, რომ მგზავრობისთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით მომზადებულიყვნენ. ველასკესის საცოლის პატივითა და ფუფუნებით მას უნდოდა სავსებით გარკვეულად ეჩვენებინა, როგორ დიდად აფასებდა მის მეგობრობას. მარია დე კუელარი ჩუმად, ქანდაკებასავით ღებულობდა ამხანაგების კოცნას, რომლებიც ლოცავდნენ და არწმუნებდნენ, რომ არასოდეს დაივიწყებდნენ მას. დედოფალმა გულში ჩაიკრა იგი და წასჩურჩულა:

— ნუ მატყუებ, ძვირფასო მარია. შენს გულშინადებს ვკითხულობ და ვძრწი. შიში მტანჯავს! ღმერთმა დამსაჯოს უდიდესი უბედურებით, თუ ყველაფერი არ მეღონოს შენი ხსნისათვის.

მარია დე კუელარმა შეხედა მეგობარს და ცრემლებმა იწვიმეს მის თვალთაგან. მაგრამ თავს ძალა დაატანა და დედოფალს უპასუხა:

— სამგზის კურთხეული იყავით, სენიორა, რომ მანუგეშეთ თქვენი სიტყვებით. მე კი ეჰვი მეპარებოდა თქვენში! მაპატიეთ, და როგორიც უნდა იყოს ჩემი ხვედრი, იცოდეთ, რომ ჩემთვის უდიდესი ნუგეში იქნება თქვენი ჩემდამი სიყვარულის მოგონება.

მოსიყვარულე მეგობრები უკანასკნელად გადაეხვივნენ ერთმანეთს, შემდეგ ადმირალმა მეუღლითურთ ამალასთან ერთად დასტოვა ხომალდი. გამცილებლები დადგნენ ნაპირის შვერილზე, იქვე, შესართავის გვერდით, და დიდხანს ადევნებდნენ თვალს ხომალდს, რომელიც აფრაგაშლილი მსუბუქად მიცურავდა ტალღებზე და ჩამავალ მზის სხივებში ბანაობდა. თეთრი ცხვირსახოცები ფრიალებდა გემბანზე, გამცილებელთა მისალმების პასუხად, ვიდრე ხომალდი თვალს არ მიეფარა.

XXXVIII

ცუდი ამბების ნიშნები

ამ დროს კასასი უკვე კუბაში იმყოფებოდა. გამგზავრების წინ იგი იყო ლა მაგუანაში, იქ ერთი კვირა დაჰყო მეგობრებთან, შემდეგ წავიდა სალივატიერაში — ნავსადგურში, სადაც იკრიბებოდნენ ველასკესის ექსპედიციას ჩამორჩენილნი და თავმოყრილი იყო სურსათის მარაგი, შინაური საქონელი და ყველაფერი დასაყოლებელი ანტილის კუნძულის კოლონიზაციისთვის.

მღვდლის ჩამოსვლამ ენრიკილიოს ორმაგი სიხარული მოუტანა: შეხვედრა საყვარელ აღმზრდელთან და ტამაიოსთან, რომელიც ლას კასასმა გადაწყვიტა დაეტოვებინა ლა მაგუანაში სენიორ დე ვალენსუელას მზრუნველობის ქვეშ. ლას კასასმა განაახლა მეგობრობა პადრე ესპინალთან, როცა იგი ესპანეთიდან თავის მონასტერში დაბრუნდა მალე მას შემდეგ, რაც იგი ბერმა ანტონ მონტესინომ ჰეშმარიტების გზაზე დააყენა, და ფრანცისკანელთა მონასტრის წინამძღვარს სთხოვა გაეშვა ტამაიო მასთან, შერიგების თავმდებად, გაახსენა, რომ სწორედ ის იყო წარსულში მათი უკმაყოფილების მიზეზი.

ინდიელების დამცველი იმედოვნებდა, ტამაიოსთან შეხვედრა ენრიკილიოს განშორების სიმწარეს შეუმსუბუქებსო.

— თქვენ მიემგზავრებით, — ნაღვლიანად უთხრა ჰაბუკმა ლას კასასს,—და, იქნებ, ვერასოდეს ვეღარ გნახოთ, პადრე! სრულიად მარტო დავრჩები... როცა ჩემი მამიდაშვილი გაიზრდება, ვინ გააკეთებს ჩვენ-

თვის იმას, რასაც თქვენ გაგვიკეთებდით? ვინ იზრუნებს იმაზე, რომ შესრულდეს ჩვენი ძვირფასი იგემოტას ნება?

— ასეთი წუხილის მიზეზს ვერ ვხედავ, შვილო ჩემო, — შენიშნა მღვდელმა. — რისი გეშინია, როცა აქ რჩება ჩემი მეგობარი დონ ფრანსისკო, იქ კი, სანტო-დომინგოში — ადმირალი და მისი მეუღლე? კუბაც არც ისე შორსაა, და მე წინასწარ ვგრძნობ, რომ შენ დაქორწინებამდე რამდენჯერმე ჩამოხვალ იქ ჩემს სანახავად.

— მაინც ძალიან მინდა თქვენთან ერთად წამოსვლა, — უთხრა ენრიკემ.

— უფიქრდები შენს სიტყვებს? — შეედავა ლას კასასი. — დონ ფრანსისკომ შენი თანდასწრებით ხომ თქვა, რომ შენ მასზე უფრო ერკვევი მის ჩანაწერებსა თუ ანგარიშებში და მისი მამულის ინდიელების მმართველობაში. უშენოდ თავს ვერც გაართმევდა ყველა საქმეს. შვილი ხომ მას არ ეხმარება.

— იცით, სენიორ, — წარმოთქვა ენრიკილიომ, — აქ მე უცნაური ამბავი შემემთხვა სენიორ ანდრესთან. იგი არავითარ საფუძველს არ მაძლევს რამე დავიჩივლო მასზე, ჩემს მიმართ მეგობრულ განწყობას ამჟღავნებს, მაგრამ მამამისი საყვედურობს უსაქმურობის გამო და მაგალითად ჩემს მოქმედებაზე მიუთითებს და ამით ყოველთვის გესლავს.

— მაშ, იქნებ, შიშობ, რომ ანდრესს შენი შურს ან ეპყრობს? — ჰკითხა ლას კასასმა.

— ახლა გიამბობთ ყველაფერს, სენიორ. რამდენიმე დღის წინ შემაქო გულმოდგინე მუშაობისათვის, უცებ რაღაცნაირი უცნაური ღიმილით შემომხედა. და მითხრა: „თითქოს, მამაჩემს შენ უფრო უყვარხარ, ვიდრე მე, მისი ნება რომ იყოს, სიკვდილის შემდეგ მთელ თავის ავლადიდებას შენ დაგიტოვებდა, მე კი, ალბათ, შენ მსახურად გამამწესებდა“. ამ ხუმრობამ ძალიან მატკინა გული, და ახლა ამეკვიატა ფიქრი, რომ დონ ანდრესი მტრულად მექცევა.

— იქნებ, ასეცაა, — უპასუხა დაკვირვებულმა ლას კასასმა. — მაგრამ შენ ადრინდელივით ღირსეულად მოიქეცი და შეასრულე შენი მოვალეობა. იყავი თავმდაბალი და გულმოწყალე. დანარჩენი კი ღმერთს მიანდე.

იმავე დღეს ლას კასასი გზას გაუდგა, ავიდა ხომალდის ქიმზე, მოკლე ხანში და ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე მიაღწია სანტიაგო დე კუბას, სადაც იმჟამად დიეგო ველასკესი იმყოფებოდა. მალე ღრმა მწუხარებით დარწმუნდა, რამდენად მცდარი იყო იმედები კუბის დამპყრობში, ბაორუკოს მხარის ყოფილ დამზავებელში, ისევ მისი კეთილი რჩევების მიმდევარი და კაცთმოყვარული ზრახვების მქონე ადამიანი ეხილა. ამაოდ ცდილობდა ლას კასასი შეეზღუდა

დამპყრობთა სისასტიკე. უხეში, ამპარტავანი ადამიანები ყურადღებას არ აქცევდნენ და დასცინოდნენ მის ყოველ ცდას, ხელი შეეშალა მათთვის გაენადგურებინათ და დაეჩაგრათ ისინი, ვისაც ორგულ ძაღლებს ეძახდნენ. ველასკესი ხანდახან ყურს მიუგდებდა ხოლმე თავისი კეთილი მრჩეველის ღვთისმოსაურ დარიგებებს და ამით ხელმძღვანელობდა ხელქვეითებისთვის ბრძანებებისა და განკარგულებების მიცემის დროს. თუმცა განრისხებული ლას კასასი უჩიოდა ურჩებს, ვერაფერს გახდა გუბერნატორის ორპროფული მოქმედების წყალობით, რომელიც ხასიათის სისუსტისა თუ პოლიტიკური მოსაზრებების გამო უმალავდა უკმაყოფილებას განკარგულებების დამრღვევთ და მათ დასჯას ერიდებოდა.

ყოველდღიურად მატულობდა არაადამიანური მოქმედებები და მკაცრი, პირმართალი ლას კასასი ამხელდა მათ ჩანაწერების ფურცლებზე, რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ ბოროტმოქმედთა სასტიკ გაფრთხილებად და ყველა დროის მჩაგვრელთა სამახსოვრო გაკვეთილად.

XXXIX

სასიხარულო ამბავი

ხომალდი, რომლის ქიმზე კრისტობალ დე კუელარი და მისი ქალიშვილი იმყოფებოდა, როცა ნაქსადგურ ლას პალმასში შევიდა, დიეგო ველასკესი ჯერ კიდევ სანტიაგოში იმყოფებოდა, შიკრიკმა მას ბედნიერი ამბავი ამცნო და გახარებულმა მხედართმთავარმა თავი მოუყარა ყველა დიდგვაროვან კაბალიეროს, ვინც თან ახლდა, და მხიარულად გამოუცხადა:

— მეგობრებო! ჩემი ბედნიერების დღე დადგა. გაამზადეთ ცხენები და დღესვე წამოდით ჩემთან ერთად პუერტო-სანტოში, სადაც ჩამოვიდა ჩემი საცოლე. ყველას გპატიჟებთ ქორწილში.

ამ სიტყვებს საერთო სიხარულით შეხვდნენ, ყველა ულოცავდა ველასკესს. ერთი ახალგაზრდა კაბალიეროს გარდა, რომელსაც შესამჩნევად შეეცვალა სახე და ჩუმად დადგა განზე.

ველასკესმა შენიშნა მისი მღელვარება და მაშინვე მიხვდა, რაც იყო მიზეზი. მივიდა ჰაბუკთან. გულითადად გაუწოდა ხელი და უთხრა:

— სენიორ ხუან დე გრიხალვა, არ გინდათ მომილოცოთ? იცოდეთ, კეთილ მეგობრად მიმაჩნიხართ.

— მაპატიეთ, სენიორ, — თავს მოერია და უპასუხა გრიხალვამ.— ბედნიერებას გისურვებთ და მხოლოდ შემთხვევას ვეძებ, რომ დაგმტკიცოთ ჩემი მეგობრობა.

— აი, შემთხვევაც, — არ დააყოვნა პასუხი ველასკესმა. — სანამ ყველა ეს კაბალიერო იმხიარულებს ჩემს ქორწილში, თქვენ გრიხალვა, დარჩებით აქ, ყოველნაირად უფლებამოსილი, რასაც თქვენ განდობთ ჩემს აქ არყოფნაში. როგორც ხედავთ, ცოტა მსხვერპლს როდი ვითხოვ თქვენგან. . .

— დიდი მადლობით გეთანხმებით, დონ დიეგო. გთხოვთ განკარგულებები გადმომცეთ.

— იგი, ჩემო მეგობარო, დონ ხუან, ორი სიტყვისგან შედგება: წესრიგი და საქმიანობა. წესრიგი — ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი, რომელიც შენ ხელქვეით რჩება, ასრულებს თავის მოვალეობას. საქმიანობა — ნიშნავს, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმე და სამუშაო კეთდება შეუჩერებლივ. განსაკუთრებით გთხოვთ, უურადღება მიაქციოთ გუბერნატორის სახლს, სურსათის საწყობებს, ნავსადგურის ციხე-სიმაგრეს და მდინარეების შესასწავლი მცირე ხომალდების მშენებლობებს.

— ვიმედოვნებ, კმაყოფილი დარჩებით, დონ დიეგო, — მწუხარედ და მორჩილად თქვა გრიხალვამ.

ველასკესმა დაჟინებით შეხედა მას და ერთხელ კიდევ მაგრად ჩამოართვა ხელი. მერე, თითქოს უცებ სხვა ფიქრებმა გაიტაცაო, ლას კასასს მიმართა:

— მოხარული ვიქნებოდი, პადრე ლას კასას, სწორედ თქვენ დაგელოცეთ ქორწინების დროს, მაგრამ თქვენსავით არავის არ ეხერხება ამ ინდიელებთან ურთიერთობა, ამიტომ უარს ვამბობ ჩემ სურვილზე და გთხოვთ დარჩეთ აქ და თქვენი რჩევებით დაეხმაროთ სენიორ ხუან დე გრიხალვას.

— სულითა და გულით თანახმა ვარ, სენიორ, — უპასუხა ლას კასასმა. — ნამდვილად სწორად განსაჯეთ, თქვენი ქორწინება კი ამის გამო ნაკლებ იღბლიანი როდი იქნება. თქვენს ბედნიერებას ვთხოვ ღმერთს.

ორი საათის შემდეგ ველასკესი ცხენს მიაჭენებდა ბარაკოას მიმართულებით, თან ახლდა კორტესი, ნარვაესი და თითქმის ყველა იდალგო, ვინც იმ დროს კუბაში იმყოფებოდა.

XL

ქვანძის ბახსნა

დიეგო ველასკესის ქორწილისთვის სამზადისს ხუთ დღეზე მეტი არ დასჭირდა. აბრეშუმებზე, ძვირფასეულობასა და მდიდრულ სამკაულებზე მან ადრე იზრუნა, მისმა მეგობრებმა კი დიდი გამჭრიახობა

და განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოიჩინეს, ყოველი მათგანი ცდილობდა ზეიმი შემთხვევის შესაფერისად ბრწყინვალე და მდიდრული ყოფილიყო. გიგანტური პალმების გვერდით თითქოს დარცხვენილად მდგარი უბრალო, მცირერიცხოვანი სახლებით გაშენებული, ახლახან დაარსებული დასახლება ბარაკოა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ გამოირჩეოდა ქალაქური ბრწყინვალებით, ამიტომ გადაწყდა ზეიმის გადატანა ველასკესის ბანაკში, რომელსაც ფუფუნებით შეეძლო გატოლებოდა ჯვაროსნული ომის მონაწილე მეფეების იერუსალიმის გალავანთან გაშლილ ბანაკებს ანდა კათოლიკე მეფეების ბანაკებს, გრანადის ცნობილი გარემოცვის პირველ დღეებში.

ბარაკოას სულ რამდენიმე სახლსა და ერთადერთ ეკლესიას თავი შეეფარებინა მბზინავი აბრეშუმისა და ხავერდის ფარდების კალთებისთვის, დასახლების ირგვლივ კი გაშლილი იყო ასობით სალაშქრო ნაირფერი კარვები; რომლებზედაც ფრიალებდნენ შტანდარტები, პატარა დროშები და ალმები.

მგზავრობით დაქანცულმა მარია დე კუელარმა, ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ თავი კარგად იგრძნო, მამამისმა და საქმრომ იფიქრეს, რომ კუბის ჰაერი მას მოუხდებოდა, ცოლქმრული ცხოვრების ბედნიერება აღუდგენდა ჯანმრთელობას და ყველაფერს კეთილად დააგვირგვინებდა. ღიმილი, რომლითაც ქალიშვილი პასუხობდა ამ სასიხარულო წინასწარმეტყველებაზე. შეიძლებოდა ყოფილიყო იმედის მოკრძალებული სხივის ან დამცინავი უნდობლობის მომასწავებელი. ვერავინ შესძლებდა ამის მიხვედრას.

დადგა ველასკესისთვის დიდი ხნის ნანატრი დღე. უქმე დღე გახლდათ. ბუნება ბრწყინავდა მთელი თავისი მომხიბლაობით: მოწმენდილი ცა, ელვარე მზე, ყვავილებით მოფენილი მინდორი, ყველაფერი მოუხმობდა სიხარულისკენ, ყველაფერი სუნთქავდა სიმხნეითა და სიუხვით. პატარძალი კი, რომელიც მამის მკლავებზე დაყრდნობილი მიემართებოდა ტაძრისკენ, უცნაური იყო, მაგრამ, ისე მშვიდად და წყნარად გამოიყურებოდა, რომ ყველა მნახველმა ბედნიერად ჩათვალა იგი. მჭრქალი უფერულობა მოსცილებოდა მის ლოყებს, თითქოს განთიადის ვარდისფერ სხივებს გაედევნა იგი და შეფარებოდა მშვენიერ, სპილოს ძვლისფერ შუბლს; თვალები ანთებოდა, მთელი მისი არსება ბრწყინავდა შუქმფინარი სილამაზით. ველასკესი მზად იყო ერწმუნა, რომ იგი უყვარდა ქალს და თავისი ბედნიერი ვარსკვლავი დალოცა.

ჯვრისწერის ცერემონია განსაკუთრებული შემთხვევის გარეშე ჩატარდა. პატარძალმა გარკვეული მტკიცე ხმით წარმოსთქვა „დიახ“, და მეწამული გავალაკის ქვეშ მდიდრულ საკარძელში მსხდომმა, ურღვევი კავშირით შეერთებულმა ახალდაქორწინებულებმა მოისმინეს სა-

ზეიმი მესა. რომელიც ჩაატარეს ჯვრისწერის დამთავრებისთანავე. წირვა დასრულდა, და ორივენი მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანხლებით გაემართნენ გუბერნატორის სახლისკენ, სადაც თორმეტ საათზე დაიწყო საქორწილო ნადიმი, რომელიც დღის სამ საათამდე გაგრძელდა.

ეუთი საათისთვის დანიშნული იყო რაინდული ტურნირი. ველასკესს უნდოდა სიმარჯვითა და გამბედაობით თავი გამოეჩინა და ღირსეულად ეცა პატივი თავის მეუღლისათვის, ამიტომ გადაწყვიტა შებრძოლებოდა რვა მხედარს.

დანიშნული დროისთვის ყველაზე დიდი და ლამაზი კარვების წინ ფართო მინდორი უამრავი მაყურებლით იყო გარშემორტყმული. დონ დიეგომ და ტურნირის დანარჩენმა მონაწილეებმა შეკაზმეს ცხენები. თავდაცვისათვის ყველა რაინდმა მხოლოდ მსუბუქი ელვარე ჯავშანი ჩაიცვა, ისე რომ თავიანთი მდიდრული, ოქრომკედით ნაქარგი სამეფისკარო კოსტიუმები და მოხდენილი ლაბადები უჩანდათ. ველასკესმა და მისმა პირველმა მოწინააღმდეგემ დაიკავეს ადგილები და საყვირის ხმას უცდიდნენ, რომ ერთმანეთისკენ დაძრულიყვნენ. მოულოდნელად იმ დაძაბულ ყურადღების წამში, საზეიმო სიჩუმეში, მთავარ ტრიბუნაზე, სადაც გუბერნატორის მეუღლე და ნათესავები ისხდნენ, გულშემზარავი ყვირილი გაისმა. ტრიბუნაზე არეულობა ატყდა. ველასკესი ძლივს გამოერკვა და ცდილობდა დაენახა, რა ხდებოდა იქ. მან დონ კრისტობალი დაინახა; მოაჯირთან მოსულმა უბედურმა მამამ სასოწარკვეთით დაუყვირა მას:

— თქვენი მეუღლე კვდება!

ველასკესი ტრიბუნისკენ გაქანდა, ზეიმი შეწყდა. დონ დიეგომ მეუღლე კატალინა ხუარესის მკლავებში მისვენებული ნახა. კატალინა შემდეგ ერნან კორტესის მეუღლე გახდა.

მარია დე კუელარი უგრძნობლად იყო. იგი წაიყვანეს, ლოგინში ჩააწვინეს და ექიმს უხმეს. ორი საათი იწვა უგონოდ, მხოლოდ დროდადრო მოდიოდა გონს და უაზრო ფრაზებს წამოიძახებდა, ეძახდა მამას, იგონებდა დედოფალს და ლას კასასს. მერე ისევ გონმიხდილი იწვა. სამი საათის შემდეგ ისევ დაიწყო ბოდვა. ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს ბოდვა და გონების სრული დაკარგვა, თანდათან უფრო ხანგრძლივი და უფრო ღრმა. ასეთ მდგომარეობაში უბედურმა ქალიშვილმა ხუთი დღე გაატარა. მეექვსე დღეს კი დაჟინებული მზერა მიაპყრო მამას და ნაზი მწუხარე ხმით დაიწყო ლაპარაკი:

— მამაჩემო, თქვენ გაგიგონეთ და არც ვნანობ. დამლოცეთ და პირობა მომეცით, რომ ჩემ დავალებას შეასრულებთ ლას კასასს. მშვიდობით!

ველასკესმა ცოლის ხმა რომ გაიგო, სახე წამოენთო სიხარულის-

გან. დონ დიეგო წამოხტა სავარძლიდან, სადაც იჯდა და თვალს ადევნებდა იდუმალი სნეულების მსვლელობას, და მისკენ გაქანდა. მაგრამ მხოლოდ ის დაინახა, რომ მარიას ფერმკრთალი სახე დაეხარა გადატეხილი შროშანის მსგავსად და თვალები სამუდამოდ დაეხუჭა.

XLI

წერილი

გუბერნატორის ქორწილის ტრაგიკული დასასრულის ამბავი მოედო მთელ კოლონიას, დაამგლოვიარა ყველას გული, ვინც იცნობდა მშვენიერსა და ღვთისმოსავ სენიორას. იმავე დღეს მდიენებმა ანდრეს დუერომ და ერნან კორტესმა გაგზავნეს ოფიციალური შეტყობინება სანტიაგო დე კუბაში, ხუან დე გრიხალვასა და ლას კასას მისწერეს წერილი. მღვდელი დაკვირვებით ადევნებდა თვალს, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს საშინელი ამბავი მის ახალგაზრდა მეგობარსა და ამხანაგზე. მაგრამ მისი ვარაუდის საწინააღმდეგოდ, გრიხალვამ საბედისწერო წერილი ბოლომდე წაიკითხა ისე, რომ არ გამოუმჟღავნებია არც მწუხარება და არც გაკვირვება. მხოლოდ სახის სიფერმკრთალე ამჟღავნებდა მღელვარებას, რომელიც არ შეეძლო არ განეცადა თვით ყველაზე გულგრილ ადამიანსაც კი, როცა გაიგებდა ესოდენ მოულოდნელ და სამწუხარო ამბავს. გრიხალვამ, რომელსაც ისევ კარგად ეჭირა თავი, ხმამაღლა მიმართა იქ მყოფთ:

— გუბერნატორის მეუღლე გარდაიცვალა. დე აღსრულდეს ღვთის ნება, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის წინასწარდასახულობას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი გაგება არ შეგვიძლია. პადრე ლას კასას, თქვენ გევალებათ იზრუნოთ, რასაც წმინდა ეკლესია მოითხოვს, მზად იყოს სენიორას საკადრისი პატივით დაკრძალვისათვის... რაც შეეხება ჩვენს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებისა და კაბალიეროების მოვალეობას, — თქვა მან და დანარჩენებს მიუბრუნდა: — მომისმინეთ: ებრძანება, ყველა დროშის დაშვებას, დე, ნურც ერთი ნუ იფრიალებს თავისუფლად ნიავზე. დაკრძალვის დამთავრებამდე, საყოველთაო მწუხარების აღსანიშნავად, ყოველ საათში მიცემული იქნას ქვემეხების ზალპი. არავინ არ გაბედოს სიჩუმის დარღვევა ან ხელის შეშლა მწუხარებისა და გლოვის გამოცხადებისთვის. მოაგროვონ მინდვრის ყოველგვარი ყვავილი, რაც ამ მხარეში არსებობს, აკლდამისა და ტაძრის კედლის მოსართავად... თქვენ, პადრე ლას კასას, მოწყალებად გაიღეთ, კეთილი საქმისთვის, ესპანიოლიდან ჩამოტანილი ვარდის ბუჩქები, ის მშვენიერი ვარდები, რომლის ცქერითაც გუშინ ერთად ვტკბებოდით. იქნებ, ეს ყვავილები იპყრობდნენ მ ი ს

მზერას, ისმენდნენ მის ხმას იქ, ოსამას მომხიბვლელ ნაპირებთან, სადაც ყველანი ვხედავდით მას მხიარულსა და ბედნიერს. წაბრძანდით, სენიორებო. დანარჩენი საქმის შესასრულებლად მარტო უნდა დავრჩე.

ლას კასასის გარდა, ყველანი წავიდნენ მიღებული ბრძანების შესასრულებლად.

მღვდელი ადგილიდან არ დაიძრა და დაკვირვებით უყურებდა ახალგაზრდა კაპიტანს.

— მარტო მინდა დარჩენა, პატრე კასას, — გაიმეორა გრიხალვამ,— გთხოვთ, წაბრძანდეთ, განკარგულებები გაეცით დაკრძალვის თაობაზე.

— ხომ არ გინდათ ჩემი დასწრება იმისთვის, რაც მარტო დარჩენილს უნდა გაგეკეთებინათ, — ჰკითხა მეტისმეტად აღელვებულმა ლას კასასმა. — თუ ტირილი გინდათ, მეც ვიტირებ თქვენთან ერთად. ხომ ხედავთ, თვალები ცრემლით მაქვს სავსე.

გრიხალვამ გაოცებით შეხედა მღვდელს.

— თქვენ იცით?.. — ჩაილაპარაკა მან გაუბედავად.

— ყველაფერი ვიცი, — გააწყვეტინა ლას კასასმა. — გული მეწვის გულისწყრომისაგან იმის გაფიქრებაზე, რომ სასტიკმა მამამ შეგნებულად ჩაიყვანა საწყალი გოგო სამარეში, ცუდად გაგებული პატიოსნების მოვალეობისათვის.

— ასე გგონიათ? — უნდობლად ჰკითხა გრიხალვამ.

— ეს მე ვიცი, — მტკიცედ უპასუხა ლას კასასმა.

— იცით, რომ მე იგი მიყვარდა?

— დიახ, ისიც ვიცი, რომ მას უყვარდით.

— მაგრამ სხვას არგუნა უპირატესობა, — გამწარებით შეედავა ჰაბუკი. — და ჩემთვის არაფერი უთქვამს კაპიტან ველასკესის დაჩემებაზე, ისე მისწერა წერილი, დაპირდა მისი ცოლი გამხდარიყო და პაემანი დაუნიშნა.

— იგი გარდაიცვალა და თქვენი თვალის ახელის ჟამი დადგა, — დიდი ამბით წარმოთქვა მღვდელმა. — სენიორ გრიხალვა, მხოლოდ თქვენ უყვარდით წმინდა სიყვარულით მარია დე კუელარს. ვასრულებ მის მიერ დიდი ხნის წინ ნათხოვარს და გაბარებთ ამ წერილს, იგი გასწავლით ატაროთ თქვენი ტანჯვა, როგორც შეეფერება ქრისტიანს, და დალოცოთ მისი ხსოვნა, ვინც საუკუნოდ წავიდა ჩვენგან.

ამ სიტყვებთან ერთად ლას კასასმა ჰაბუკს გაუწოდა პაკეტი, რომელიც ანდო მას სანტო-დომინგოში მარია დე კუელარმა.

გრიხალვამ ხარბად სტაცა ხელი შეყვარებულის წერილს და წაიკითხა იგი, მღელვარებისგან დროდადრო უწყდებოდა ათრთოლებული ხმა.

„რა სწრაფად და მოულოდნელად დაინგრა ჩემი ბედნიერების ჯადოსნური ციხე-კოშკი. თქვენ მადანაშაულებთ, გარბიხართ ისე, რომ არ მომისმინეთ... ღმერთმა შეგიწყნაროთ ისევე, როგორც მე გაპატიეთ თქვენი უსამართლობა. თქვენ გეკუთვნით ჩემი სიყვარული, მხოლოდ თქვენ. მე მინდოდა მამაჩემის დანაპირებისთვის დამეკარგა ძალა, ისე რომ არ დამერღვია მორჩილების მოვალეობა, მაგრამ მივაღწიე მხოლოდ იმას, რომ დავკარგე თქვენი ნდობა. იძულებული გავხდი გარეგნულად ჩემი მოქმედება მაცდუნებელი ყოფილიყო, როცა ჩემს თავს მსხვერპლად ვწირავდი, რადგან უნდა მეხსნა დიდსულოვანი მეგობარი, რომელიც ჩემი სიყვარულის გამო სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. არასოდეს სხვისი კარნახით არ დავწერდი თანხმობას იმაზე, რაც არ მსურდა, პირობის გარეშე, რომ ჩემ მიერ მიღებული ვალდებულება არაფერს არ ნიშნავდა და გათავისუფლდებოდი მისგან პირველი შესაძლებლობისთანავე. ეს მართალია. ფიცს გაძლევთ ჩვენი მხსნელის წინაშე, რომელიც ყოვლის მხილველია და რომლის მოტყუებაც არ შეიძლება.

შევეგუე სიკვდილზე ფიქრს. გრიხალვა, ჩემს სულს კი ეუვარებით თქვენ ამ ცხოვრების მიღმაც. ეჭვს გარეშეა. ძალიან მალე მოვკვდები. ღმერთმა ქნას, რომ ზეცამ უურად იღოს ჩემი ვედრება, გაიღოს ჩემს მიმართ ეს მოწყალება მანამ. ვიდრე საძულველი კავშირი შემაერთებს სხვასთან! მაგრამ მე არ მინდა არც გაკეთება. არც ლაპარაკი, ფიქრიც კი არაფერზე. რაც არ ეთანხმება ჰეშმარიტი ქრისტიანის მოვალეობას, რომელიც იმედოვნებს უკეთეს საწყაროში ჰპოვოს ის, რაზედაც ამქვეყნად უარი ეთქვა. მოიქეცით, დონ ხუან. ასევე, თუ თქვენ ნამდვილად გიყვარდით, თუ ჯერ კიდევ არ დაგვიწყებიათ ჩემი სიყვარული. მაშინ ვერაფერი ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს იმას. რომ შემოქმედის უსასრულო სიკეთემ უწყალობოს ჩვენ სულებს ზეცაში ერთმანეთის ხილვის ბედნიერება და მარადიული ცხოვრება. ამ იმედით გისურვებთ მშვიდობას და თქვენ გიძღვნით მთელ თაყვის გულისთქმას უბედური მარია დე კუელარი“.

ნაღვლიანი წერილის კითხვა რომ დაასრულა, გრიხალვამ გაშმაგებით ჩაიკრა გულში წერილი და ჩუმად. თვალგაშტერებული გაშეშდა. რაღაცნაირად, სამწუხაროდ გაიფთრებული. ბოლოს, თითქოს საკუთარი სინდისის იდუმალ ხმას პასუხობსო, წამოიძახა:

— კი, მარია! კი, ამაღლებულო სულო. ჩემო ნათელო ანგელოზო! მე შენი ღირსი არ ვიყავი! არასოდეს მესმოდა შენი კეთილშობილი გულის! სასტიკად გადანაშაულებდი, გიწოდებდი დაუფიქრებელს. ორგულ ქმნილებას... ო, უბედურო ბრმავ, გრიხალვა! სად ჰპოვებ ძალას. ცხოვრების ტვირთის საზიდავად? რას გააკეთებ ამქვეყნად? რა გამოსასყიდით დაიმსახურებ უკანასკნელ უზენაეს სიკეთეს, რაზედაც

ოცნებობდა ეს წმინდა სული? შეიძლება კია, აღდგეს ჩემი მკვდარი რწმენა? არა, შეუძლებელია!

— გრიხალვა, — მკაცრად უთხრა ლას კასასმა, — სულმოკლედ არ მიეცეთ სასოწარკვეთას. არაფრის ძებნა არ გჭირდებათ: ყური მიუგდეთ ამ კეთილშობილი და წმინდა ქმნილების ხმას, რომელიც ზეციდან მიგითითებთ გზაზე. აღასრულეთ თქვენი დანიშნულება ამქვეყნად: თესეთ სიკეთე და დაასრულეთ თქვენი ამქვეყნიური ცხოვრება ისე, რომ არ სცნოთ პატივმოყვარეობა და სიძულვილი. ჩვენი ცხოვრება — მხოლოდ გადასვლაა მარადიულ ბედნიერებაში, რაც გამზადებულია უმწიკვლოთათვის.

XLII

ბედისწერის გზები

რამდენიმე წლის შემდეგ დიეგო ველასკესმა გაიგო, რომ კუბის დასავლეთით მდებარეობს მჭიდროდ დასახლებული და ოქროთი მდიდარი ქვეყანა. გაანაწყენა ფრანსისკო ერნანდესი — იუკატანას სანაპიროების პირველი მკვლევარი, — მოხერხებაში აჯობა ბრძოლებში სახელგანთქმულ ისეთ კაცებს, რომლებმაც დაპყრობების დროს თავი გამოიჩინეს და მტკიცე სურვილი გამოთქვა, რომ შემდგომი აღმოჩენებისთვის გასაგზავნი ფლოტის უფროსი ყოფილიყო კაპიტანი ხუან დე გრიხალვა.

ერნან კორტესი იმ დროისთვის ველასკესის მდივანი გახლდათ. მისთვის უცხო იყო შურის გრძნობა და იგი წავიდა ახალგაზრდა უფროსთან ასეთ დიდ თანამდებობაზე დანიშვნის მისალოცად, მეგობრულად მოეხვია მას და უთხრა:

— ბედნიერება და სახელმოხვეჭა გიწვდით ხელს, დონ ხუან. თქვენ ეს დაიმსახურეთ.

— ისინი ეძებენ მას, ვინც მათ არ აფასებს, დონ ერნანდო, — უპასუხა გრიხალვამ. — გაიხსენეთ, რას გეუბნებოდით ერთხელ სანტო-დომინგოში ცხენებით სეირნობის დროს.

— კარგად მახსოვს, — თქვა კორტესმა, — მაგრამ ვიმედოვნებ, რომ დრო შეგიცვლით აზრებს.

გრიხალვა სათავეში ჩაუდგა ექსპედიციას, რომელშიც მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღეს პედრო დე ალიეარადომ, ფრანსისკო დე მონტეხომ და სხვა კაპიტნებმა, რომლებმაც შემდგომში სახელი გაითქვეს. გრიხალვამ გამოიკვლია იუკატანისა და კამპეჩეს სანაპიროები. კამპეჩეში მან თავდადებულად ჩაიგდო საფრთხეში საკუთარი სიცოცხლე, ადგილობრივ მცხოვრებთაგან იხსნა რამდენიმე

გაუფრთხილებელი ჯარისკაცი და ამ დროს დაჭრეს. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მან არავის მისცა უფლება დაესაჯათ ველურები, განსაჯა, რომ ისინი მართლები იყვნენ, გაანთავისუფლა და მშვიდობით გაისტუმრა, მერე გაემართა მდინარე ტაბასკოზე, სადაც უკვე მიეღწია ხმას ინდიელებისადმი მის ადამიანურ მოპყრობაზე. ადგილობრივი კასიკი ავიდა ხომალდზე და ახალგაზრდა მხედართმთავარს თვითონ ჩააცვა საჩუქრად მოტანილი გასაოცარი ხელოვნებით ნაქეთები და გაპრიალებული ოქროს ფირფიტებით მორთული საბრძოლო მოკაზმულობა. ამ ბრწყინვალე მოკაზმულობაში ხუან გრიხალვა უფრო ლამაზი გამოჩნდა, ყველა აღფრთოვანებული იყო. და მას ადარებდნენ ლეგენდარულ აქილევსს ანდა სახელგანთქმულ ალექსანდრე დიდს.

საბედნიეროდ, არაჩვეულებრივი კასტილიელი ბელადი არ იყო შეპყრობილი არც პელევსის შვილის საომარი სიგიჟით, არც დაპყრობისა და ბატონობისადმი აგზნებული წყურვილით, რაც მოსვენებას არ აძლევდა მაკედონელ გმირს. ესპანელებმა, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ თავიანთი უფროსის დაკოდილ გულში აეგზნოთ ჩამქრალი ლტოლვა დიდებისადმი და გაეღვიძებინათ სურვილი დაუფლებოდა ამ უმდიდრეს ქვეყანას, მდინარე ტაბასკოს უწოდეს „გრიხალვა", რომელიც დღემდე შემორჩა. ამაოდ ამბობდა უარს ლოცმანი ალამონრსი განესაზღვრა კურსი, რათა დაეყოვნებინა ესკადრა ჯადოსნურ სანაპიროსთან. სათნო კაპიტანი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ საცდურს და სასტიკად იცავდა ველასკესის ნაბრძანებს, რომელიც უკრძალავდა დიდხანს გაჩერებას, სადაც უნდა ყოფილიყო. ცივად შეხედა მდიდარ ნადავლს, რომლისკენაც ხარბად ისწრაფოდა ყველა მისი ხელქვეითი, ზიზღით შეაქცია ზურგი გაღიმებულ ბედნიერებას.

უანგარობის, ერთგულებისა და ყველაფერზე უარის თქმის ასეთ მოწმობას ველასკესმა, რომელსაც თავბრუ დაახვია. გრიხალვას ამხანაგების აღფრთოვანებულმა მონათხრობმა, საზარელი უმადურობით უპასუხა. კეთილშობილმა ჰაბუკმა ბევრი მწარე საყვედური და უხეში გაკიცხვა მოისმინა იმ მოქმედებისთვის, რომელსაც დაბრმავებულ ველასკესში უნდა გამოეწვია უფრო მეტი პატივისცემა და მადლიერება მისი ყოფილი დიდსულოვანი მოწინააღმდეგისადმი.

შემდეგში ერნან კორტესმა, რომელმაც მექსიკა დაიპყრო ველასკესის სურვილის გარეშე, შური იძია მასზე ამ უმადურობისთვის. ახლა კი იგი მიუიდა ათვალისწუნებულ გრიხალვასთან და, აღფრთოვანებულმა უთხრა:

— ამრიგად, თქვენი სიტყვები ასრულდა. თქვენ მართლა ზიზღით უარყავით დიდება და სიმდიდრე, როგორც იწინასწარმეტყველეთ მაშინ, სანტო-დომინგოში.

— უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი, დონ ერნან, — პირქუშად უპასუხა გრიხალვამ ისევე, როგორც უპასუხა მან კორტესს იმ სამახსოვრო საღამოს, როცა ბედნიერებამ სამუდამოდ შეაქცია ზურგი.

მალე, ველასკესის ცუდი მოპყრობით შეურაცხყოფილი გრიხალვა, რომელიც გაჭირვებით იტანდა თავისი ცხოვრების ტვირთს, კუბიდან წავიდა. სანტო დომინგოში გამოსამშვიდობებლად გადაეხვია თავის ერთგულ მეგობარს ლას კასასს და უკანასკნელად შეხედა ადგილებს, სადაც გაიარა მისმა წუთიერმა ბედნიერებამ. აქედან გრიხალვა ნიკარაგუაში წავიდა და იქ დაიღუპა ულანჩეს ველის მძვინვარე ინდიელების ხელით.

გრიხალვა კეთილი და დიდსულოვანი გახლდათ, მისი უანგარობა და კაცთმოყვარეობა თვალსაჩინოდ გამოირჩეოდა იმ დროის ადამიანების სისასტიკისა და სიხარბისაგან. მისი სახელი შთამომავლობის პატივისცემის ღირსია.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

I

ᲛᲣᲮᲐᲜᲐᲗᲝᲑᲐ

ათას ხუთას თოთხმეტ წელს კუნძულ ესპანიოლაში მყოფმა მეფის მოხელეებმა, ბურგოსის ეპისკოპოსის ხუან როდრიგეს დე ფონსეკას, მეფის მდივნის ლოპე დე კონჩილიოსის და კასტილიის მეფის კარის სხვა ყოვლადძლიერი დიდებულების ძლევამოსილი მხარდაჭერით, შეძლეს ერთი დარტყმით ევნოთ ახალგაზრდა ადმირალის დონ დიეგო კოლუმბის პრესტიჟისთვის და გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინათ მთელი მისი ოჯახისთვის. მეფის „მსახურთა“ სახელს ფარისეველურად ამოფარებულმა მონაწილეებმა კამარილიისა, რომელსაც სანტო-დომინგოში ხაზინადარი მიგელ დე პასამონტე თაოსნობდა, ადმირალსა და მის მომხრეებს „მეფის მტრების“ სახელი დაუგდეს და მიაღწიეს იმას, რომ კასტილიაში ისინი ნამდვილ ავაზაკებად და ინდიელების სწრაფი ამოწყდომის მიზეზად სცნეს, რაშიც სინამდვილეში დამნაშავე გახლდათ მხოლოდ კომანდორ ოვანდოს დაუნდობელი სისატიკე.

ავი ცილისწამების წყარო იყო ის გარემოება, რომ ადმირალი ესპანიოლაში როცა ჩამოვიდა, ინდიელები წაართვა მათ, ვისაც ისინი შეხვდნენ კომანდორის წყალობით და თავის მეგობრებს დაურიგა. დაზარალებულებმა სიხარბით გამოწვეული უსირცხვილობით აიმაღლეს ხმა ახალი განაწილების წინააღმდეგ, ბედნიერებს კიცხავდნენ სისასტიკისთვის და ტომის უბადრუკი ნარჩენის მათთვის დაბრუნებას მოითხოვდნენ; მათ, ვინც სულ ახლახან მონათმფლობელები იყვნენ, როგორც ჩანდა, დაავიწყდათ, რომ ხელს უწყობდნენ ინდიელების მხეცურად განადგურებას.

როდრიგო დე ალიბურკერკე, ლა ვეგას სახელოვანი მცხოვრები, ითვლებოდა ადამიანად, რომელსაც დიდი უნარი ჰქონდა დაეკმაყოფილებინა ხარბი ესპანელების განუზომელი მადა. პასამონტეს დახმარებითა და თავისი ბიძის, სამეფო საბჭოს წევრის ლიცენციატ ლუის საპატის მხარდაჭერით იყიდა რეპარტიდორის სახარბიელო თანამდე-

ბობა, რაც მანამდე ადმირალის ერთ-ერთ პრივილეგიად ითვლებოდა, და საქმეს ხელი მოჰკიდა იმდენად უმაგალითო თავხედობითა და არნახული სისასტიკით, რომ ისტორიამ, ამჯერად უარი თქვა მისთვის დამახასიათებელ ამაყ სიდიადეზე და ახლადმოვლენილ ყაჩაღს „უსირცხვილო“ უწოდა მეტსახელად.

როდრიგო დე ალიბურკერკეს ხელში რეპარტიმიენტო გადაიქცა მონებით ამკარა ვაჭრობად. „ვინც მეტი მისცა, მეტი მიიღო“, — ამიტომ იყო, რომ „განგაში ატეხეს ინდიელების გარეშე დარჩენილმა ესპანელებმა, თან სწყეველიდნენ ალიბურკერკეს, როგორც კუნძულის გამაკოტრებელ მთავარ მტერს“.

ორ პარტიას შორის გააფთრებულ ხელჩართულ ბრძოლაში კუნძულ ესპანიოლაში მცხოვრები უბედური ინდიელები გამუდმებით იტანდნენ დამარცხებულთა მწარე ხვედრს. ამაოდ, ჯიუტად, რაც სამარადისო ქების ღირსია, მოწყალე ხმას იმაღლებდნენ მჭევრმეტყველი და მგზნებარე ანტონ დე მონტესინო და გაბედული პედრო დე კორდოვა, რომელიც წავიდა ესპანეთში, რომ პირადად დაეჭირა მხარი თავისი მრევლის საჩივრების და კაცთმოყვარე ქრისტიანების მოთხოვნისთვის, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ეხსნათ უბედური რასის ნარჩენები.

ბურგოსსა და ვალიადოლიდში გამოსული და სხვა სამართლიანი ბრძანებულებები, რომლებიც მონარქს წაგლიჯეს ინდიელების მგზნებარე და თავდადებულმა დამცველებმა, არავითარ შედეგს არ იძლეოდნენ და გაუგონარი მძიმე მონობა, შენიღბული მეფის სამსახურის ინტერესის დამოწმებით, განაგრძობდა აყვავებას.

კუბაშიც იგივე ხდებოდა: ადგილობრივი მოსახლეობა წყდებოდა აუტანელი შრომისა და სასტიკი მოპყრობის წყალობით. ღირსეულმა ლას კასასმა, როცა დარწმუნდა, რომ მის ქადაგებას და უანგარობის პირად მაგალითს არ შეეძლო შეემსუბუქებინა დაბეჩავებულთა ხვედრი, თავისი მეგობრის, კუნძულის გუბერნატორის, დიეგო ველასკესის თანდასწრებით სიხარულით თქვა უარი ყოველგვარ პრივილეგიაზე, რომლითაც იგი კუნძულზე სარგებლობდა. თავის მოადგილესთან, კეთილ და გულმოწყალე პედრო დე რენტერიასთან ერთად მთელ ძალღონეს ახმარდა ინდიელების განთავისუფლების წმინდა საქმეს, რადგან მოუწოდებდა დამონებულთა მიმართ ადამიანური მოპყრობისაკენ. გადაწყდა, რომ ლას კასასი პირადად გაემგზავრებოდა ესპანეთში და გზად მიმავალი გაჩერდებოდა სანტო-დომინგოში; იქ უნდა შეხვედროდა პედრო დე კორდოვას, რომელმაც მეტროპოლიიდან დაბრუნების შემდეგ კუბაში გაგზავნა მისიონერები, რომ ყოველმხრივ ხელი შეეწყო ლას კასასისთვის კეთილშობილური ზრახვების სისრულეში მოსაყვანად.

ასე დაიწყო ინდიელების დამცველის, ბარტოლომე ლას კასასის თავდადებული გმირობა. მან გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ესპანიოლაზე; იამუანაში მისმა ხომალდმა ღუზა ჩაუშვა. აქ გაიგო, რომ ადმირალი ესპანეთში გამგზავრებულიყო, ძმა პედრო კი ემზადებოდა მატერიკზე გასამგზავრებლად, რათა იქ კუმანის სანაპიროზე დაეარსებინა თავისი ორდენის ახალი მისიები.

დონ დიეგო კოლუმბი, მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცითა და პირდაპირობით, აცხადებდა უარს ალიბურკერკესთვის კანონიერი მემკვიდრეობითი უფლებების გადაცემაზე. მაგრამ მისმა მოწინააღმდეგეებმა შეძლეს გადაებირებინათ მოხუცი და დაღლილი მეფე: ფონსეკასა და კონჩილიოსის ცილისწამების საფუძველზე, მონარქმა ეგულებელყო დიეგო კოლუმბის სამართლიანი საჩივრები და საპატიო საბაბით მიიწვია იგი სასახლეში. ადმირალი იძულებული გახდა დამორჩილებულიყო და სანტო-დომინგოში დაეტოვებინა „მეუღლე, ღირსეული მატრონა დონია მარია დე ტოლედო და ორი ქალიშვილი, რომლებიც იმ დროს უკვე დაბადებულები იყვნენ“, ისინი დატოვა თავისი ბიძის, დონ ბარტოლომეს მზრუნველობის ქვეშ. სასახლეში ადმირალი მეფემ დიდი ალერსით მიიღო.

„ამასობაში, უმეთვალყუროდ დარჩენილი, გათავხედებული მოსამართლეები და მოხელეები ისე უფროსობდნენ კუნძულზე, როგორც მათ მოეხასიათებოდათ, და არც რცხვენოდათ შეეიწროვებინათ ადმირალის ოჯახი, ზემოთ ხსენებული წარჩინებული მანდილოსნის, დონია მარია დე ტოლედოს მაღალი მდგომარეობის მიუხედავად“.

II

ქარ-მიდამო

მთიანი ჰაიტის ანდა სანტო-დომინგოს ნაყოფიერ, აყვავებულ მიწაზე დღესაც ჩანს ყვალი სიმდიდრისა და ძლიერების იმ მაღალი საფეხურისა, რასაც მიაღწიეს პირველმა ევროპელმა კოლონისტებმა. აქა-იქ ასწლოვანი ხეების ტევრში მგზავრის თვალს აოცებს უშველებელი, დიდებული ნანგრევები, რომლებიც ფართო და მძლავრი კოლონადების წყალობით ინახავენ ძველი, მიტოვებული აკვედუკის ნარჩენებს, ნახევრად დანგრეული კოლონადებისა და მაღალი კედლების მიღმა მოჩანს ოდესღაც მდიდრული საცხოვრებელი კეთილშობილი კაბალიეროსი, რომელიც ისწრაფოდა მხარი აება ამერიკის უკაცრიელი სივრცეების თავისებური ბრწყინვალებისთვის: ანდა ნატიფი თავშესაფარი სახელგანთქმული მეომარი-კონკისტადორისა, რომე-

ლიც მოეჭანცა ცხოვრების გრიგალებს, საბრძოლო მამაცობას მატერიკზე და სიმშვიდის საძიებლად განწარტოებულიყო სტუმართმოყვარე კუნძულ ესპანიოლაში, რომ მშვიდად დამტკბარიყო თავისი სიმდიდრით, რომლის შეძენა ძვირად დასჯდომოდა, უფრო ხშირად კი გაუგონარი ბოროტმოქმედებების გზით ჰქონდა მოპოვებული.

ამრიგად, მდიდრული სასახლეები და საიანეები იშვიათობა არ იყო ესპანიოლაში; ისტორიკოსი ოვანდო სამართლიანად მიუთითებდა კარლოს V-ს, რომ „სასახლეები, რომლებშიც ცხოვრობს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, ხანდახან გაცილებით ნაკლებ ფართო და მოხერხებულია, ვიდრე ზოგიერთი სახლი სანტო-დომინგოში". არ სურდათ ჩამორჩენოდნენ თანამოძმე ქალაქელებს და ერცელი მამულის მფლობელებიც იშენებდნენ დიდებულ და მკვიდრ საცხოვრებლებს, რასაც მჭევრმეტყველურად ადასტურებდა უმოწყალო დროის წინააღმდეგ იზაბელას დღემდე შემონახული ნანგრევები ოდესღაც უმდიდრესი ასიენდებისა, დაარსებული ადმირალის მეუღლის დონია მარია დე ტოლედოს, ანდა ენგომბეს და სან-მიგელ დე პუერტორიკოს მიერ.

სენიორ ფრანსისკო დე ვალენსუელას სახლი სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ლამაზ და მოხერხებულ შენობად. გამდიდრებულ კოლონიზატორებს რომ გაეშენებინათ სან-ხუანის მიდამოებში. ბორცვზე მედიდურად წამოჯიმული, იგი ბატონობდა ლა მაგუანას აყვავებულ წყნარ ველებზე და ჰგავდა ციხე-სიმაგრესაც და ჩვეულებრივ საცხოვრებელსაც. ფასადის წინა პორტიკი ერთი მეორის მიყოლებით ოთხ მწკრივად განლაგებულ რვა თაღისგან შესდგებოდა. შენობის ორი ფრთა მოგაგონებდათ პატარა სათოფურებიან და უბრალო დორიული ფრიზით მოკაზმულ წვეტებიან გოთურ ოთხკუთხა კოშკს. სტილის სხვადასხვაობის მიუხედავად, მკრთალი ყვითელი კირქვისგან ნაგები სახლი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა და თვალს ახარებდა, მკვეთრად მოჩანდა იგი ერცელი დაბლობისკენ რბილად დაქანებულ ბორცვის მწვანე ფონზე, სადაც აქა-იქ ჩამუქებულიყო ბუჩქები, და უშველებელი თაიგულის მსგავსად აღმართულიყო ხეთა ვარჯები, რომელთა ჩრდილს თავს აფარებდნენ ძროხები და ცხვრები, როცა ღრუბლები კოკისპირულ წვიმად იღვრებოდა დედამიწაზე ანდა სამხრეთის მზის მცხუნვარე სხივები უსაზღვროდ ავარვარებდა ჰაერს.

შემოდგომის ერთ-ერთ მშვენიერ დღეს, დონ ფრანსისკო დე ვალენსუელა და ჰაბუკი კასიკი ენრიკილიო სახლის წინ, კოლონადის ჩრდილში იდგნენ და თვალმოუცილებლად უყურებდნენ გაწაფულ ცხენოსანს, რომელიც დაბლობზე სწრაფსა და თვალისმომჭრელად თეთრ ფაშატს წინ და უკან დააქროლებდა; სავანას წვრილი, მოქნი-

ლი ბალახივით ფრიალებდა ფაფარი ცხენის ამაყად მოღერებულ კისერზე.

ცხენის ჭენება რომ დაასრულა, წარმოსადეგი მხედარი სწრაფად გამოქანდა პორტიკისკენ, ჩამოხტა და აშკარად ესიამოვნა ენრიკილიოს და მოხუცის შექება.

— ეს ფაშატი პირდაპირ საუცხოოა, — თქვა მან, — სიამოვნებით მივცემდი მის ნაცვლად ჩემს ნაცრისფერ, ხალებიან ამლაყ ცხენს და წყვილ მოზვერსაც.

— თქვენად იგულეთ, დონ ანდრეს, — გულწრფელი გულითადობით შეეხმიანა კასიკი. — ლაპარაკიც ზედმეტია რაღაც გაცვლასა ან გამოსყიდვაზე.

პასუხის ნაცვლად ახალგაზრდა ანდრეს დე ვალენსუელამ სიყვარულით მოუთათუნა ხელი ცხენს ამაყ კისერზე, თითქოს უკვე მისი საკუთრება გახლდათ; ეს მოძრაობა რომ შენიშნა, მამა მტკიცედ ჩაერია:

— თავს გაგივიდათ, ბიჭებო? ნუთუ გაბედავ, ენრიკილიო, შენი განკარგულებით გაასაჩუქრო ჩემი ღირსეული მეგობრის პადრე ლას კასასის ნაჩუქარი ცხენი?.. განა არ გრცხვენია, ანდრეს, ისარგებლო ენრიკეს გულუხვობით და ხელყო მისი ფასდაუდებელი განძი?

— მამიკო, — შეედავა გულნატკენი ახალგაზრდა ვალენსუელა, — მე გამოსასყიდი შევთავაზე, უსასყიდლოდ გამორთმევა არ მინდოდა.

— ეს ერთი და იგივეა, მეგობარო, თავი დაანებე ამაზე ფიქრს, — მტკიცედ თქვა დონ ფრანსისკომ.— ცხენი ენრიკეს დარჩება.

— რატომ არ შეიძლება, რომ დონ ანდრესს ვაჩუქო ცხენი? — თავდაჭერილად შეეპასუხა ენრიკე. — თქვენ, სენიორ, ბევრჯერ გითქვამთ, რომ იგი ძმად უნდა ვიგულო.

— მართალია, მეგობარო, — თქვა მოხუცმა და ხმა შეურბილდა, — მაგრამ ამ შემთხვევაში მდგომარეობა განსაკუთრებულია. ცხენი — საქორწინო საჩუქარია შენი მფარველისგან, აბა, განა შეგიძლია აჩუქო ვინმეს, ვინც უნდა იყოს იგი? აჰა, თავად წაიკითხე პადრე ბართოლომეს წერილი.

კამზოლის ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი, გაუწოდა ენრიკეს, რომელმაც ხმამაღლა წაიკითხა:

— „ძვირფასო მეგობარო, სენიორ დონ ფრანსისკო, ამ წერილის მომტანი კამაჩო გადმოგცემთ ფაშატს, რომელიც გუშინ ვიყიდე რეხიდო რეინოსის რჩევით, რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა ასუადან; ეს საქორწინო საჩუქარია ჩემი ნათლულისთვის ბაორუკოელი კასიკისთვის. ცხენი სხვას ვერავის ვანდე. გარდა ჩემი მოხუცი კამაჩოსი, რომელიც ამავე დროს მოინახულებს თავის მხარესა და ნათესავებს. თუ თანახმა იქნება და თქვენც მოისურვებთ,

მაშინ დატოვეთ თქვენთან, სანამ დავბრუნდებოდე ესპანეთიდან. სადაც მიხმობს მოვალეობა ღვთის, კაცისა და მეფის წინაშე".

ეს რომ წაიკითხა, ენრიკემ მოწიწებით აკოცა წერილს და დაუბრუნა ვალენსუელას: მაგრამ მან უთხრა:

— განაგრძე კითხვა, შვილო, წაიკითხე. წერილში ნახავ სხვა ამბებსაც, რომლებიც შენ გეხება უფრო მეტად, ვიდრე გგონია.

კასიკმა კითხვა განაგრძო:

— „იაგუანაში როცა გავიგე, ღვთისმოსავი ძმა პედრო დე კორდოვა ემზადებაო მატერიკზე გასამგზავრებლად, საქადაგებლად და ინდიელების გასაქრისტიანებლად, თანამგზავრებს ჩამოვცილდი, რადგან ერთ-ერთი შეუძლოდ გახდა, ცხენებიც ყველასთვის არ იყო საკმაო, და დაუყოვნებლივ მოკლე გზით წავედი კარეიბანაზე, მხოლოდ ჩემი ერთგული კამაჩოს თანხლებით; არ შევჩერებულვართ არც ასუაში, არც სხვაგან სადმე და ოთხნახევარი დღის შემდეგ ჩავედით სანტო-დომინგოში, სადაც ყველა შეშფოთებული დამხვდა ალიბურკერკეს მიერ უკანასკნელად ჩატარებული რეპარტიმიენტოს გამო.

რამდენადაც არ ვიჩქარე, ძმა პედრომ მაინც გამასწრო; მასთან შეხვედრის ბედნიერებას უნდა ვუმადლოდე ძლიერ ჭარიშხალს, რომელმაც ხომალდი უკან შემოაგდო ნავსადგურში, მაშინ, როცა მას დაღუპულად ვთვლიდით მგზავრებიანად, ხოლო ნაპირზე გაიტანეს ზიარება და გადახდილი იქნა პარაკლისი განსაცდელში ჩავარდნილთათვის. მადლობა შევწიროთ უფალს.

ღირსეული ძმა პედრო ჯერ ისევ ესპანეთში, თავისი უკანასკნელი მოგზაურობის შთაბეჭდილების ქვეშაა; ეშვი ეპარება, რომ შევძლებ მეფის კარის ყურადღება მივაპყრო ინდიელების სავალალო მდგომარეობას, მაგრამ მაინც მოიწონა ჩემი გულმოდგინება და მხურვალე ქადაგებანი, რომლებითაც აქ გამოვდიოდი. ძმა პედროს კეთილგანწყობა ჩემს მიმართ უცვლელად იზრდება; მისი თქმით, თავის ბერებს შორის ჯერ არავინ დაუფასებია ასე დიდად, როგორც მე მაფასებს. იგი ჩემთან ერთად ესპანეთში აგზავნის მონტესინოს, იმ ბერს, რომელმაც, როგორც იცით, პირველმა გაილაშქრა ჯოჯოხეთური გულქვაობის წინააღმდეგ.

ვერ გადმოგცემთ, როგორ ეწუხვარ, რომ არ მომიხერხდა გზად გამომეცლო ლა მაგუანაში და მაგრად გადაგხვეოდით. ვიმედოვნებ, უფალი კიდევ მომცემს თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობას. ამავე დროს, ვფიქრობ, მოახლოვდა ჩვენი ენრიკილიოს დაქორწინების დრო. გაოცდებით, როცა ნახავთ, როგორ გალამაზდა საცოლე, როგორი თავშეკავებულია, რა კარგადაა აღზრდილი. სულითა და გულით მინდა დავესწრო ბავშვების ქორწილს, მაგრამ თავი მაქვს გადადებული ისეთი საქმისათვის, რომელიც, ყოველი დიდი და კეთი-

ლი წამოწყების დარად, მოითხოვს მსხვერპლს. რაც. სხვათა შორის, სულ არ მიმძიმს.

ჯერ კიდევ ვერა-პასში და შემდგომ აქაც. გაიგე, რომ თქვენ მოახერხეთ ენრიკილიოს დაცვა. რომლის ხელყოფასაც ცდილობდა ალიბურკერკე ბოროტი მოხიკას ჩაგონებით, ინდიელთა ახალი განაწყენების დროს: საბედნიეროდ, თქვენ იზრუნეთ, რომ მომავალშიც უზრუნველგეყოთ ჩვენი საყვარელი კასიკის ბედი. წარმოიდგინეთ, მათ გაბედეს თავიანთ სიებში შეეტანათ მენსიაც კი, თითქოს დედოფლისთვის იყო შიბარებული. ბაგრამ, ღირსეულმა სენიორამ შეძლო თავისი ადგილი მიეჩინა თავგასული ალიბურკერკესთვის; თავის გასამართლებლად მან მთელი დანაშაული ინტრიგან მოხიკას გადააბრალა; დონ ბარტოლომემ კინაღამ კიბიდან გადაუძახა გათავხედებული თაღლითი, როცა მას აზრად მოუვიდა მისულიყო მასთან გამოსათხოვარ დარბაზობაზე.

ეს ამბავი თვითონ დედოფალმა მიამბო: იგი მეთანხმება, ქორწინება უნდა დაჩქარდეს. ვიდრე ახალი სიძნელეები არ წამოჭრილაო. ჩემს აქ არყოფნაში იმოქმედეთ თქვენი შეხედულების მიხედვით; უკიდურეს შემთხვევაში. თუ ქორწინება არ მოხდება მოკლე ხანებში, უველაფერს მოვაგვარებთ ჩემი ესპანეთიდან ჩამოსელის შემდეგ. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ გაეემგზავრები ხომალდით.

გემშვიდობებით და გისურვებთ ჯანმრთელობას.

სანტო-დომინგო. 1515 წლის 15 სექტემბერი.

თქვენი თავდადებული მეგობარი კაპელანი ბარტოლომე ლას კასასი, მღვდელი".

ენრიკემ წერილი ბოლომდე ჩაიკითხა და დაფიქრდა.

— აბა, რას იტყვი ამაზე, შვილო? — მიმართა მას დონ ფრანსისკომ. — ახლა შეგიძლია დასთმო შენი შესანიშნავი ცხენი?

— ჩემს თავსვე ვუღალატებ. თუ ცხენს ხელიდან გავუშვებ, — უპასუხა ენრიკემ.

ორაზროვანმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე ანდრეს ვალენსუელას, როცა ეს სიტყვები გაიგონა.

III

ხასიათები

რამდენიმე ხნის მერე, სენიორ ვალენსუელა კაბინეტში განმარტოვდა კასიკ ენრიკესთან ერთად და ჰკითხა:

— გაიგე თუ არა, რამდენად სერიოზულია ლიცენციატის წერილი? მინდა ვიცოდე შენი აზრი, ეს ხომ შენ გეხება.

— სენიორ, — თავშეკავებულად უპასუხა ენრიკილიომ. — წერილში ყველაზე მნიშვნელოვანი, მე მგონია, ჩემი ქორწინების ამბავია. გარდა ამისა, მაოცებს სიმდაბლე იმათი, ვინც ცდილობდა მენსია შეეტანა მონების სიაში; თუმცა, რაკი ამ საქმეში მონაწილეობდა მოხიკა, გასაკვირი არაფერია.

— მით უმეტეს, რომ მან და მისმა ღირსეულმა მოკავშირემ ალიბურკერკემ დამსახურებისამებრ მიიღეს მისაგებელი;. თავი დაანებე ამაზე ფიქრს, თუკი აქ მოგიხდა მოხიკასთან შეხვედრა, თავი ისე გეჭიროს, თითქოს არაფერი მომხდარაო. მინდა ვიცოდე, ეთანხმები თუ არა ჩემს კეთილ მეგობარს, ლიცენციატსა და დედოფალს, რომ ქორწინების დაჩქარებაა საჭირო?

ენრიკემ სცადა რაღაც ეპასუხა, ჩაილუღლუღა რამდენიმე გაუგებარი სიტყვა, შეცბა და გაჩუმდა.

— ეგრე იყოს, — გულთბილად გაიღიმა ვალენსუელამ. — რამდენადაც მესმის — რაც ადრე დადგება შენი ქორწინების დღე, იმდენად უკეთესია. ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, სენიორ, — უპასუხა უბრალოდ ენრიკემ. როცა დაბნეულობას დააღწია თავი.

— მაშ შენი მხრივ ყველაფერი მზად არის? წესრიგში თუ არის ანგარიშები და ჩანაწერები, შენი საცოლის ქონებას რაც ეხება, რომელიც უკვე ორი წელია მხოლოდ შენი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება?

— თავად შეგიძლიათ ყველაფერი შეამოწმოთ, სენიორ. ყველა საქმე სრულ წესრიგშია.

— ძალიან კარგი, შვილო; მეც იმ აზრს ვუჭერ მხარს, რასაც ჰადრე კასასი, დედოფალი და შენ ფიქრობთ: აუცილებელია, შეძლებისდაგვარად მალე დაჩორწინდეთ. თუ ყოველგვარი ანგარიშები, რაც მამულს ეხება, წესრიგშია, ამოცანა უფრო ადვილი გადასაჭრელია: ერთი თვეც არ გაიელის და გზას დავადგებით სანტო-დომინგოსკენ. მე ვიქნები შენი მამობილი, ეს, უეჭველია, გაახარებს ჩემს კეთილ მეგობარს, კასასს; როცა დავბრუნდებით, ცოლიანად დასახლდები ჩემ სახლებს შორის საუკეთესო სახლში, იქ, ეკლესიის გვერდით რომ დგას. კმაყოფილი ხარ?

ენრიკემ უხმოდ აკოცა ხელზე კეთილ მფარველს, ისე რომ არავითარი სიხარული არ გამოუმეღავნებია. მის ჩვეულებრივად სერიოზულ და დაფიქრებულ სახეს წუხილი დაეტყო, რაც გამოწვეული ოყო, როგორც გაიფიქრა სენიორ ვალენსუელამ, წმინდა მოვალეობაზე ფიქრით, რომელიც უნდა ეკისრა ახალგაზრდა მეუღლეს.

მაგრამ, მთვარის შუქზე, მინდორში, ერთგულ ტამაიოსთან და მოხუც კამაჩოსთან სეირნობის დროს, ენრიკემ მათ შეატყობინა ამა-

ღელვებელი ამბის მოახლოება მის ცხოვრებაში და გაუმხილა წუხილის ნამდვილი მიზეზი.

— აქამდე არასოდეს განმიცდია სიძულვილის გრძნობა, — თქვა მან. — როცა შემატყობინეს, რომ კეთილ დონ ფრანსისკოსთვის „მიბარებულ“ ორმოცდაექვს მსახურთა რიცხვში ვერიე, მაშინ, თუმცა ჩემთვის უცხო იყო ასეთი მდგომარეობა, ვიგრძენი მხოლოდ თავმოყვარეობის მცირეოდენი გაკენწვლა და ოდნავ დავნაღვლიანდი, როცა ვნახე, რომ მიმათვალეს დანარჩენ კასიკებს. საწუხარო ხვედრმა ისინი გადააქცია ჩვენ მოძმეთა სასტიკი დამონების იარაღად. მაგრამ ასე ბრძანა მეფემ; და, არავინ დამიწყვეტია, მოწყალე ღმერთს მადლობა შევწირე, რომელმაც მაჩუქა მფარველები, რომლებიც ზრუნავენ ჩემს ღირსებასა და კეთილდღეობაზე. მაგრამ დღეს, როცა მოვისმინე, რომ ეს ავაზაკები ცდილობდნენ მონებისთვის გაეთანაბრებინათ მენსიაც, ჩემი სულის სითბო, ჩემი თვალების სინათლე, სისხლი ამიდუღდა და ჩემში აღდგა ჩემი რასის მთელი სიამაყე; გამახსენდა, რომ დაბადებული ვარ კასიკად და ვეკუთვნი მბრძანებელთა, ბელადების კასტას, და ახლოს რომ ყოფილიყო მოხიკა, ალიბურკერკესთან ერთად, საკუთარი ხელებით ამოვაგლეჯდი მათ გულებს... მაპატიოს უფალმა!

— როგორც იქნა, ენრიკე, — წამოიძახა გახარებულმა ტამაიომ, — მამაკაცურად ალაპარაკდი.

— არა, ცუდი ქრისტიანივით, — გაუსწორა გულშიჩამწვდომი ტონით მოხუცმა კამაჩომ. — რას იტყოდა პადრე, ჩემი ბატონი, რომ მოესმინა ქრისტეს მიერ თავისი შვილის ქედმაღლური სიტყვები, — იგი ხომ ასე გიწოდებს, ენრიკე. რას იტყოდნენ ვერა-პასელი გულმოწყალე ბერები, რომლებიც ძალიან ცდილობდნენ გაეზარდეთ კეთილ ადამიანად!..

— მართალი ხარ, ძვირფასო კამაჩო, — მორჩილად დაეთანხმა ენრიკე, — ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე.

კამაჩო, მოხუცი ინდიელი, ესპანიოლაზე დაიბადა. თანდაყოლილმა ჭკუამ და სიკეთემ, მის გარეგნობაში, მსჯელობასა და მოქმედებაში რომ გამოსჭვიოლა, ლას კასასის სიყვარული დაამსახურებინა. იგი მას გამოარჩევდა სახლში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ერთგულ მსახურებს შორის, კამაჩო ლიცენციატის კამერდინერი და ნდობით აღჭურვილი მსახური გახდა. ლას კასასმა თან იახლა კამაჩო კუბაში, სადაც ერთგულმა კისკეიანელმა დიდად იზრუნა, რომ მისიონერს ადგილობრივ მცხოვრებთა მიზიდვასა და მათ გაქრისტიანებაში დახმარებოდა.

ესპანიოლაზე დაბრუნებულ მღვდელს განზრახული ჰქონდა მოხუცი წაეყვანა ესპანეთში, როგორც ინდიელთა რასის, სულიერი და გონებრივი მშვენიერი თვისებების ცოცხალი მოწმე; მაგრამ მოხუც

მსახურს კუბიდან იაგუანაში ხომალდით მგზავრობამ ისე აწყინა, ლას კასასმა უარყო თავისი განზრახვა და, მიუხედავად იმისა, რომ მეტად ძნიმე იყო მისთვის ამის გადაწყვეტა, მაინც დატოვა კამაჩო კუნძულზე, რასაც იტყობინებოდა დონ ფრანსისკო დე ვალენსუელას სახელზე გამოგზავნილ წერილში.

როგორც ესპახიოლაზე, ისევე კუბაში მოხუცი კამაჩო ყველას დიდ პატივისცემას იმსახურებდა; მას დიდად აფასებდნენ არა მხოლოდ პადრე ლას კასასის სახლში ერთგული სამსახურისთვის, არამედ მისი ბუნებრივი ჭკუისა და კეთილგონიერებისთვისაც. ორიენტ კუნძულზე ყველაზე მდიდარ და გამოჩენილ სენიორებს, როცა გასაჭირში ჩავარდებოდნენ, არ ეთაკილებოდათ მიემართათ მისი რჩევისათვის და არასოდეს უნანიათ ეს.

მოხუცი ინდიელის სრულიად საპირისპირო ხასიათი ჰქონდა ტამაიოს. იყო პატიოსანი და შეეძლო დიდი სიყვარული, რასაც აძტკიცებდა მისი ერთგულება ენრიკესადმი და მადლიერება ლას კასასის მიმართ; უკმეხსა და ფიცხს, ხშირად წამოუვლიდა ხოლმე ბრაზი. ხასიათი სასტიკი გაუხდა მას შემდეგ, როცა მარტო, ენრიკეს გარეშე დარჩა ფრანცისკანელთა მონასტერში, სანტო-დომინგოში, არაფრით არ უნდოდა ამას შეგუებოდა. მიხვდა, რომ მონასტერში აჩერებდნენ. როგორც საქმიან და კარგ მოსამსახურეს, მოვალეობის შესრულება დაიწყო უხალისოდ. ცუდად, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ამტვრევდა და ამსვრევდა. ზუსტად ივარაუდა: ბერების მოთმინება აშკიწურა, და მაწინ, როცა ყური მოჰკრა, რომ ლას კასასი კუბაში წასასვლელად ემზადებოდა, ტამაიო მივიდა მასთან და გულახდილად ეუბნა:

— თქვენო მოწყალებავ, სთხოვეთ კეთილ მამებს გამიშვან ენრიკესთან ლა მაგუანაში; დარწმუნებული ვარ, ახლა უარს არ მეტყვიან წასვლაზე.

მართლაც, ლას კასასმა განაახლა თავისი თხოვნა და, როგორც უკვე გოგახსენეთ, ადვილად მიაღწია საწადელს ძმა ანტონიო ესპინალის წყალობით. მან ინდიელი ლა მაგუანაში დაასახლა, ჯერ დონ ფრანცისკოს მსახურად, მერე კი, როცა ახალმა ბრძანებულებამ შეაძცინა ვალენსუელასთვის ჩაბარებული ინდიელების რიცხვი, ტამაიო, ლას კასასის თხოვნით, ჩარიცხეს ვალენსუელას ნათესავის ალდანიეს მსახურად, მაგრამ სინამდვილეში, ძველებურად ენრიკესთან დარჩა. თუმცა, საკითხი ამგვიგად გოგვარდა, მაგრამ ტამაიოს სისასტიკე არ ცხრებოდა, იგი შემთხვევას არ უშვებდა, არ გამოეთქვა დამპყრობლების მიმართ მოუნელებელი სიძულვილი. მხოლოდ ენრიკე და მისი მფარველები ახერხებდნენ ამაყი ინდიელის მრისხანების დაოკებას. კეთილი კამაჩოს ყოველი ღონე მორჩილება ჩაენერგა ამ

ქედუხრელი სულისთვის. ამაო რჩებოდა: პასუხად მოხუცის ქადაგებისა — ღმერთზე, იესო ქრისტეზე, რელიგიურ ჰეშმარიტებაზე, რომლებიც სიტყვითა და მაგალითით თვალწინ გადაეშალა თავის მოხეც მსახურს ლას კასასმა, პირქუში ბარაგუელი ყოველთვის შეეპასუხებოდა:

— ყველა ქრისტიანი შენს ბატონს რომ ჰგავდეს, მაშინ დავიჯერებდი ამ ქადაგებებს. მაგრამ რომელი ესპანელი გვასწავლის ჩვენ სიკეთეს? მხოლოდ ბერები, ისინიც სწავლებით კი გვასწავლიან, მაგრამ თვითონაც ხშირად იქცევიან ძალიან ცუდად.

— ეს უკვე შენი საქმე აღარ არის; თავიანთი ცოდვებისთვის თვითონ აგებენ პასუხს, — ედავებოდა მოხუცი ინდიელი. — ოღონდ ჩვენი სინდისი იყოს სუფთა ღვთის წინაშე, ყველა ჩვენთაგანი ხომ თავის ნამოქმედარს აღიარებს.

IV

პორტრეტები

ცოტა დრო როდი დასჭირდა, რომ შეედგინათ და ნოტარიუსთან დაემოწმებინათ ყველა აქტი, რომელიც აუცილებელი იყო ენრიკეს ცხოვრებაში მომავალი ცვლილებისთვის, და რამდენადაც არ ჩქარობდა ვალენსუელა, ფორმალური საქმეები დამთავრდა მხოლოდ დეკემბრის რიცხვებში. ვალენსუელა რამდენიმე დღით გამოეთხოვა შვილსა და ოჯახს და გზას გაუდგა მასთან ერთად, ვისაც დაპირდა, ქორწილში შენი მამობილი ვიქნებიო, თან იახლა მცირე ამალა, რომელსაც შეადგენდა ტამაიო, ორი ცხენოსანი და ექვსი ინდიელი მსახური.

სანტო-დომინგოში მშვიდობიანად ჩასული დონ ფრანსისკო ის იყო უნდა დაბინავებულიყო თავისი კარგი ნაცნობის დონ ალვარო კაბალიეროს სახლში, მაგრამ დედოფალმა გაიგო მეგობრების ჩამოსვლა, მათ შესათაზა სტუმრის მისაღებად წინასწარ ყოველმხრივ მომზადებული და ყოველმხრივ მოწყობილი სახლი. ამრიგად, დონ ალვაროსთვის მეტად საწყენი იყო, რომ მგზავრებს მის სტუმართმოყვარეობაზე უარის თქმა მოუხდათ.

იმავე საღამოს, ვალენსუელა და ენრიკე სასახლეში წავიდნენ. საქმროს და საცოლეს თავისუფლად საუბრის საშუალება მიეცათ. ოთხ წელზე მეტი გავიდა, რაც ერთმანეთი არ ენახათ, და ენრიკე გაოცა ცვლილებამ, რომელიც ამ ხნის მანძილზე მომხდარიყო ახალგაზრდა ქალიშვილში. ლა მაგუანას უდაბურ სივრცეში, ველზე მონავარდე ნიავის მსუბუქ შრიალში, ჭვიან ნაპირზე მოხეთქილი ტალღე-

ბის იდუმალ დრტვინვაში უყვარდა ენრიკეს მენსიას სახის წარმოდგენა, მაგრამ ამ დროს, მას ყოველთვის ხედავდა თორმეტი წლის გოგონას სახით. იმხანად მისი მშვენიერი პატარა სახის ნაკვთებს, რომელიც ინახავდა სიყრმის გაურკვეველ დაღს, ჯერ ვერ მოესწრო ხაზების უნაკლო სიფაქიზის შეძენა, ტანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქალური მოყვანილობა, რომელიც ამჟამად მას ამსგავსებდა ბერძნულ ქანდაკებას, ქერა თმა ჯერ კიდევ არ ბზინავდა მუქ ბრინჯაოსფრად, შუბლი არ ბრწყინავდა მარმარილოს დიდებული სითეთრით, შავი თვალები არ ანათებდნენ ფხიზელი გონებით, პატარა წითელ ტუჩებში ჯერ არ იმალებოდა დაუოკებელი მიმზიდველი ძალა — და მხოლოდ ახლა, მომხიბლავი სილამაზე, რომელსაც დაეძლია ბუნებრივი მორცხვობა, გამარჯვებულად გამობრწყინდა ქალწულებრივი სიმორცხვის ნაზი სიწითლიდან. აი, როგორი დადგა მენსია დე გევარა; აღფრთოვანებულ ენრიკილიოს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს მშვენიერი ქმნილება მისი საკუთარი გახლდათ.

თავის მხრივ, მენსიაც ენრიკეს უყურებდა ცნობისმოყვარეობით, რომელშიც, სხვათა შორის, არ იყო იოტის ოდენა გაკვირვება ანდა გაუბედაობა; იგი შეხვდა თბილი, ალერსიანი მოურიდებლობით, როგორც ხვდებიან ნათესავს ან მეგობარს. ქალის გონება, უფრო ფაქიზი და მოქნილი, უეჭველია, ყალიბდება უფრო მალე, ვიდრე მამაკაცისა, იგი ინტუიციით აღწევს ჰეშმარიტ კავშირს და ურთიერთობას გარესამყაროსთან. მენსიას თანდაყოლილი ალღო დაგვირგვინდა აღზრდით, რომელიც მიიღო დედოფლის სახლში, სადაც ბავშვობიდანვე მიიყვანა ბედის ტრიალმა, ასე იყო თუ ისე, მშვენიერი ქალიშვილი თავის ნათესავსა და მომავალ ქმარს იმდენად თავისუფლად და გულდაჯერებულად უყურებდა, რამდენადაც დარცხვენილად და მორიდებულად ეჭირა თავი ჰაბუკს საკოლის წინაშე.

ენრიკე ოცი წლისა ხდებოდა; მაღალი, ტანადი, თავდაჭერილი, ღირსებით აღსავსე, დანახვისთანავე იზიდავდა ადამიანს. მის ჰარმონიულ გარეგნობაში იყო ის, რაც სილამაზეზე მეტად ფასობს. ნათელი შუბლი, სახის სწორი მოყვანილობა, მშვიდი, შავი გაცისკროვნებული თვალები, ყველაფერი მეტყველებდა ჰაბუკის წყნარ, მშვიდობისმოყვარე ხასიათზე; როგორც მზის სხივი ატანს გამჭვირვალე შუშას, ისე გამოკრთოდა ენრიკეს სიკეთე და გულწრფელობა მის სახის ნაკვთებში. ვინც დაჰკვირვებია კასიკის ყოველთვის ზომიერ და თავდაჭერილ ხასიათს, იმას შეეძლო ადვილად მისულიყო იმ დასკვნამდე, თითქოს ჰაბუკისთვის უცხო იყო სიმამაცე და გაბედულება. ასეთმა მცდარმა შეხედულებამ, შეიძლება, რამდენადმე გააღრმავა მისი ბედის უკუღმართობა. ენრიკე იცვამდა უბრალო და მოხდენილ, იმდროინდელ კასტილიურ კოსტიუმს, რომელშიც იტალიურ მოდას უკვე

მოესწრო ზოგიერთი სიახლის შეტანა ისე, რომ სრულიად არ დაუოღვევია მისი საერთო სისადავე. რადგან თავისი სრული ბატონობა, მხატვრული გემოვნების საზარალოდ, დაამყარა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. კოსტიუმი, კეთილშობილური წარმოსადეგობა, სახის სწორი ნაკვთები და თავისუფალი მიხრა-მოხრა ჰაბუკ კასიკს ახალგაზრდა ესპანელს ამსგავსებდა, კუნძულის მდიდარ და ყოვლისშემძლე რომელიმე კოლონიზატორის ვაჟიშვილთაგანს; მხოლოდ გადატკეცილი, უწვერულვაშო სახე, ბრინჯაოსფერი, რომელიც ოდნავ დაჰკრავდა მის კანს და სწორი, აბრეშუმიერთ, მოკლედ შეკრეჭილი თმა მეტყველებდა, რომ იგი ანტილურ რასას ეკუთვნოდა. წინააღმდეგობათა ასეთი შერწყმა ენრიკეს გარეგნობაში საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა და განასხვავებდა მას კასიკთაგან, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს კუნძულ ესპანიოლაზე.

მენსიამ გამსჭვალავი მზერა შეაყარა საქმროს და, როგორც ჩანდა, მოიხიბლა, მარგალიტივით კბილების წყობა გამოჩნდა მის ალერსიან ღიმილში.

— დუმხარ, ენრიკე. ხელსაც კი არ მართმევ. თითქოს უცხოები ვიყოთ.

— სენიორა... მენსია... მართლა ძლივს გიცანით, — წაილუღლუღა ენრიკემ.

— ნუთუ ასე ვარ შეცვლილი? — მხიარულად გაიცინა მენსიამ. — როგორც ნათესავმა, გულახდილად უნდა მითხრა, ხომ არ დავმახინჯდი?

— აჰ, არა მენსია! — მგზნებარედ შესძახა ჰაბუკმა. რომელმაც პირველ უხერხულობას დააღწია თავი. — პირიქით, მშვენიერი ხართ... მიწიერ ქმნილებას არ ჰგავხართ.

— მაშ, მალე დარწმუნდები, რომ მე ვჭამ და ვსვამ, როგორც ბავშვობაში, რომ წინანდელივით მიყვარს ყვავილები და ჩიტები... ბევრი ყვავილია ლა მაგუანაში?

— სავანები, მთები და მდინარეების ნაპირები, — ამაყად ჩაილაპარაკა ენრიკემ. — ყველაფერი მოფენილია ყვავილებით, თითქოს საზეიმო დღესასწაულის მოლოდინში არიანო.

— რა მშვენიერია! — გულუბრყვილოდ შესძახა ქალიშვილმა. — მე მინდა თვითონ ვნახო ეს ყველაფერი.

მისი უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე, დედოფალმა ნაზი საყვედურით თქვა:

— წუხელ საღამოს კი წუხდი, განშორება მოგველისო! უმადურო!

— აჰ, სენიორა, — სწრაფად შეეპასუხა ქალიშვილი, — თქვენ თვითონ მარწმუნებდით, რომ უნდა შევურიგდე ჩვენს განშორებას და სიხარულით გავყვე...

ამ დროს მენსიას ენა დაება და მორცხვად გაჩუმდა.

— შენს ჭმარს. — დაასრულა მისი სიტყვები დედოფალმა. — დავტოვე სამშობლო, ოჯახი და გავყევი ჩემს დიეგოს: და თუ ახლა, აქ უიმისოდ ვარ დარჩენილი, — დასძინა მან ოხერით. — ეს ხდება არა ჩემი, არამედ ღვთის ნებით.

— წყეული იყოს ის, ვინც დააშოროს ღვთის მიერ შეერთებული მეუღლეები! — მრისხანედ თქვა დონ ფრანსისკო ვალენსუელამ.

— ეს ალიბურკერკე! ეს პასამონტე! ეს... — წამოიძახა გაჯავრებულმა დონია მარიამ. — მაგრამ თავი დავანებოთ ყოველგვარ უსიამოვნო ლაპარაკს და სჯობს ვიმსჯელოთ ჩვენი ძვირფასი ბავშვების კარს მომდგარ ქორწინებაზე.

— მგონია, — დაიწყო ვალენსუელამ, — რაც უფრო მალე დავწერთ მათ ჯვარს, მით უკეთესი იქნება, ასეთია პადრე კასასის სურვილიც: სწორედ ამისთვის ჩამოვედი, რაზედაც პატივი მქონდა წერილობით მეცნობებინა თქვენთვის.

— წერილით? — გაკვირვებით იკითხა დედოფალმა.

— დიახ, სენიორა, განა წერილი არ მიგიღიათ?

— არა, დონ ფრანსისკო, წერილი არ მიმიღია: მაგრამ მაშინვე გავიზიარე სენიორ ლას კასასის შეხედულება, და როგორც ჩანს, ჩვენ არ შევცდარვართ, როცა იმედი გვქონდა, რომ თქვენც გაიზიარებდით ჩვენს შეხედულებას და დაუყოვნებლივ ჩამოხვიდოდით ერიკილიოსთან ერთად ქორწინების მოსაგვარებლად. მაგრამ, ნეტა სად დაიკარგა თქვენი წერილი.

— ვფიქრობდი, საიმედო ადამიანს ჩავაბარე. რადგან გავუგზავნე ალკალდ ბადილიოს, რომელიც საქმიან ქაღალდებს გზავნიდა სააპელაციო სასამართლოში, — თქვა ვალენსუელამ. — ეს იყო ოცი დღის წინ.

— ნამდვილად, გზაში დაიკარგა, სხვა ქაღალდებში გაიბნა, — ივარაუდა დედოფალმა. — მაგრამ ასეა თუ ისე, თქვენ ხედავთ, რომ გულოდინ: მნიშვნელობა არა აქვს, თუ ცნობამ თქვენი ჩამოსვლის შესახებ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

— დიდი მადლობა, თქვენი შემწყნარებლობისთვის, — თქვა ვალენსუელამ, — მაგრამ წერილის დაკარგვას მაინც ძალიან ვწუხვარ: იგი გამოგიგზავნეთ მხოლოდ თავაზიანობის წმინდა მოვალეობისთვის.

— ხვალ შუადღისთვის ხომ ვერ მოხვიდოდით ჩვენთან, — ისევ დაიწყო ლაპარაკი დედოფალმა, — რომ დონ ბარტოლომესთან ერთად დაგვესიწრა ქორწილის დღე და განგვესაჯა ყოველი წვრილმანი. დონ ბარტოლომე ავად არის და შინიდან ვერ გამოდის: იგი ჩემი მეუღლის ნათესავია, და არ მინდა რამე გაღიზიანებით მისი თანხმობის გარეშე.

— ყველაფერი გაკეთდება როგორც თქვენ გნებავთ, სენიორა, — თავი დაუკრა ვალენსუელამ.

მალე სტუმრები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და შინ დაბრუნდნენ.

V

ბრძოლა

ტამაიო მოუთმენლად ელოდა მათ სახლის კართან და, როგორც კი დაინახა ისინი, მიეგება.

— იცით, ვინ ვნახე? — თქვა ყოველგვარი წინადრობილას გარეშე. — ის ავბედი ყვავი, როგორც თქვენმა მოწყალებამ მას უწოდა; დონ პედრო მოხიკა.

დონ ფრანსისკომ და ენრიკილიომ გაოცებით შესძახეს:

— ხომ არ შეცდი, მეგობარო, — შენიშნა დონ ფრანსისკომ, — განა სენიორ მოხიკა ვერა-პასში იმყოფება... ყოველ შემთხვევაში ოცი დღე იქნება. სან-ხუანში რომ შევხვდი. გამომშვიდობებისას მითხრა, საკუთარ მამულში, იაგუანაში მივდივარო.

— ხატზე დავიფიცებ, თქვენო მოწყალებავ, — მგზნებარედ თქვა ტამაიომ, — ორი საათის წინ გვერდით ჩამიარა ერთ კაბალიეროსთან ერთად. მგონი, ვერ დამინახა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ვერ მიცნო: იგი ხომ ყოველი შეხვედრის დროს ცდილობს საზიზღრად დამცინოს და გამაცოფოს. მოხარული ვარ, რომ ვერ შემნიშნა. თქვენ კი, თქვენო მოწყალებავ, ფხიზლად იყავით. უეჭველია, მოხიკას რაღაც აქვს განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში, რად სჭირდებოდა ფარულად აქ ჩამოსვლა?

— მგონი, მართალი ხარ, მეგობარო, — უთხრა ვალენსუელამ. — შენ ენრიკილიო, რას ფიქრობ ამაზე?

— თქვენ ხომ იცით, სენიორ, — უპასუხა ჭაბუკმა, — არასდროს კარგს არაფერს არ ველი ამ კაცისგან. დიდი ხანია მღრღნის აზრი, რომ ამ კაცის გამო უბედურება არ ამცდება; ეს აზრი ისე დამეუფლა, რომ მოხიკას დანახვაზე ყოველთვის შევკრთები ხოლმე, თითქოს ჩემს წინ მოულოდნელად გველი გაჭოსრიალდაო.

სენიორ ვალენსუელამ გაიღიმა; ენრიკილიოსთან ერთად შეუდგა განსჯას, თუ რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო მოხიკას გამორჩენა კოლონიის დედაქალაქში.

ბოლოს და ბოლოს, მიიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ არასასიამოვნო იდალგოს აქ ყოფნა მათ არაფერს ავნებდა, და წავიდნენ თავთავიანთ ოთახებში დასაძინებლად.

სიმართლეს თუ ვიტყვით, მხოლოდ ვალენსუელას ეძინა, როგორც სძინავთ ხანშიშესულ ადამიანებს, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ სუფთა სინდისი, ნათელ სულთან ერთად, რომლებიც კმაყოფილებას იმაში პოულობენ, რომ სიკეთე თესონ და კეთილშობილურ საქმიანობას შესწირონ თავიანთი უკანასკნელი ძალ-ღონე; ღრმა გამაცოცხლებელ ძილში ხედავენ ისინი კეთილი საქმისათვის მიღებულ პირველ ჯილდოს, მშვიდი ოცნებები და სასიხარულო სიზმრები უმწიკვლოთათვის გამზადებული ციური ნეტარების კარიბჭეა მათთვის. რაც შეეხება ჰაბუკ კასიკს, იწვა ლოგინში და ფხიზლად იყო. ძილი არ ეკარებოდა: ათასი ფიქრი ირეოდა მის აგზნებულ ტვინში. სულში არეოდა, ბობოქრობდა და დუღდა მოუსვენარი მოგონებები და გრძნობები. გრძნობდა, რომ თავისი ცხოვრების გადამწყვეტ მიჯნასთან იდგა. ენრიკილიომ წარსულს გადახედა. იგი ბედნიერების კარიბჭესთან მივიდა, როცა შეეძლება თავისი უწოდოს ენითუთქმელი სილამაზის მქონე ახალგაზრდა ქალიშვილს. შეხვედრის დღეს გამოუთქმელმა აღტაცებამ სული შეუხუთა ქალიშვილის წინაშე მდგომს. ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ თავისთავს ღირსად არ თვლიდა შესებოდა მის ტანისამოსსაც კი. თუმცა ბავშვობიდან ანებივრებდნენ და ელოლიავებოდნენ, მაგრამ ის ხომ მხოლოდ ღარიბი კასიკი იყო, ბედუკუღმართი რასის ნაშიერი, რომლებსაც დამპყრობლები პირუტყვზე უარესად ექცეოდნენ: და აი, ახლა იგი დგას იმ დღის წინაშე, როცა მდიდარი ქალიშვილის მთელი ქონება უნდა გადავიდეს საბრალო ბეჩავის ხელში, რომელსაც, მართალია, არაფერი აკლია, მაგრამ მაინც არაფრით არ შეედრება მენსიას: ქალიშვილის ქონება ხომ დიდი ხანია ანგარიშიანი მეურვის. მოხიკას ხელში იყო. მაშინ, როცა ენრიკილიოს მდიდარი საგვარეულო მამული ბაორუკოში, მხოლოდ და მხოლოდ კასიკის დიდებული ტიტულის, ანდა მთიანი ადგილის მბრძანებლის უფლებას აძლევდა. სადაც მას არაფერი არ ეკუთვნოდა — არც მიწა, არც მისი მცხოვრებნი, რომლებიც დამპყრობთათვის იყვნენ გადაცემული რეპარტიმიენტოს ბრძანებულების მიხედვით. ამრიგად, იგი კასიკი გახლდათ, ესპანელების ხელქვეითი. მენსია კი, რომელიც სილამაზითა და სრულყოფილებით ღირსად ითვლებოდა გაეზიარებინა სამეფო სარეცელი, მზად იყო გაჰყოლოდა მას, უუფლებო და არაფრის მქონე ობოლს, მზად იყო დაეტოვებინა სასახლე, სადაც დიდგვაროვანი სენიორების საზოგადოებაში საკუთარი ქალიშვილივით ზრდიდნენ, წასულიყო მასთან ერთად ღა მაგუანაში და გამხდარიყო თანამგზავრი ადამიანისა, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო არა თავისთავზე, არამედ სხვაზე... დიახ, მაგრამ ეს სხვა ხომ ლას კასასის მეგობარი, კეთილისმსურველი და კეთილშობილი ვალენსუელაა, რომელსაც იგი შვილივით უყვარდა და ჰაბუკს ათასჯერ უმეორებდა, შენი

ჭონება და მდგომარეობა უზრუნველყოფილიაო. მართლაც ენრიკეზე გულწრფელად შეყვარებულმა მოხუცმა მას მიანდო მთელი თავისი ქონების მართვა და სისტემატურად იმეორებდა, მიწებსა და ჯოგებზე გულმოდგინე ზრუნვამ და მოხერხებულმა მეთვალყურეობამ ორმაგად გაადიდა შენი სიმდიდრეო. განა უფლება აქვს ენრიკილიოს წინ აღუდგეს მფარველების გადაწყვეტილებას, რომლებიც მისი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ? განა უფლება აქვს სიამაყის გამო უარი თქვას ბედნიერებაზე -- თავის მეუღლედ გამოაცხადოს მენსია, — მისი კავშირი ახალგაზრდა ქალიშვილთან ღვთისა და ხალხის წინაშე მომაკვდავის ანდერძით და უახლოესი მეგობრების სურვილითაა ნაკურთხი.

იტანჯებოდა ასეთი საწინააღმდეგო ფიქრებით, დაუსრულებელ მწკრივად რომ ენაცვლებოდა ერთმანეთს მის გონებაში, ენრიკე ლოკინიდან წამოხტა და ბოლთის ცემას შეუდგა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე; ბოლოს, გაწამებული ჩაეშვა სავარძელში, სადაც თვალმოუხუჭავად იჯდა დილამდე და ისე შეხვდა მეორე დღეს, რომ ვერ ამოხსნა მის აგზნებულ წარმოსახვაში მობობოქრე ვერც ერთი მწვავე ეჭვი.

ტამაიო როცა შემოვიდა იმის შესატყობინებლად, სენიორ ვალენსუელამ გაიღვიძა და გელოდებაო, ენრიკილიოს ერთ-ერთი თავისი საუკეთესო კოსტიუმი უკვე ეცვა.

ენრიკილიო გამოცხადდა თავის მფარველთან. ვალენსუელამ კეთილი ღიმილით მოუწონა მოუთმენლობა სასიძოს, რომელსაც ნაადრევად ჩაეცვა ტანთ. მაშინ ენრიკე დონ ფრანსისკოს მოუყვა უძილოდ გატარებულ ღამესა და მთელ თავის მწარე ფიქრებზე. მაგრამ ვალენსუელამ მხოლოდ დასცინა კასიკის შიშს, მის წვრილმანობას კი შეყვარებულის ფანტასტიკური ბოდვა უწოდა: ჰაბუკი სიამოვნებით დაეთანხმა მფარველის დასაბუთებებს და ირწმუნა მისი სისწორე.

ნასაუზმევს მოხუცი და ჰაბუკი წავიდნენ მეგობრების სანახავად. ვალენსუელა კოლონიის ძველ ბინადართა ფრანსისკო დე გარაის, როდრიგო ბასტიდასის, გონსალო დე გუსმანისა და სხვა გამოჩენილი სენიორების უახლოესი მეგობარი გახლდათ. ჩამოსულებს ყველგან გულითადი მიღება ელოდათ. ალერსიანად, გულთბილად შეხვდნენ მათ დომინიკელი და ფრანცისკანელი ბერები. შუადღე მოტანებული იყო, როცა ფრანცისკანელთა მონასტრიდან ვალენსუელა და ენრიკე ადმირალის სასახლისკენ გაემართნენ; სასახლე სანაპიროს მახლობლად აღმართულიყო. გზად მიმავალნი მოულოდნელად პირისპირ შეხვდნენ ძველ მტერს, დონ პედრო დე მოხიკას; იგი დაიბნა, მაგრამ მალე მოეგო გონს და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ესიამოვნა მათი ნახვა და გაოცდა კიდეც. მერე მშვიდობით ჩამოსელა მიულოცა ისე-

თი დათაფლული სიტყვებით. როგორიც მხოლოდ ვერაგობის ლექსიკონში შეიძლება ვიპოვოთ. ამ გაუბიანურებული თავაზიანობის საპასუხოდ ენრიკემ მხოლოდ მშრალად, ნაძალადევად დაუკრა თავი; როცა იდალგომ მომაბეზრებელი კითხვები მიაყარა მათ, დონ ფრანსისკომ, რომელიც ცნობილი იყო, როგორც გულახდილი ადამიანი, შეაწყვეტინა ლაპარაკი და პირდაპირ უთხრა:

— სენიორ დონ პედრო, არც მიკვირს და არც მიხარია თქვენი ნახვა. თავის დროზე გაცნობეთ, რომ მივდიოდი სანტო-დომინგოში; თქვენ არჩიეთ ამის დამალვა. გისურვებთ წარმატებას. ჩვენი გზები იყრება. მშვიდობით.

ამ სიტყვებმა მოხიკა დააბნია, იგი მალე ვერ გამოერკვა და შესაფერი პასუხის ძებნაში ისევ იფხანდა ყურს უკან, როცა თანამოსაუბრენი უკანმოუხედავად მოეფარნენ მოოქრულ წვეტებიან გალავანს, რომელიც გარს ევლო დიეგო კოლუმბის საგვარეულო სასახლეს. როცა ნახა, სად მიდიოდნენ ჩამოსულები, იდალგომ ბოროტად ჩაიცინა, თავი გაიქნია და კბილებში გასცრა:

— ჩვენი გზები იყრებაო, არა? ვნახოთ, ბატონო! მალე დარწმუნდებით, რომ ჩვენს გზებს კიდევ რამდენჯერმე მოუწევთ ერთმანეთის გადაკვეთა. და უფრო ხშირადაც, ვიდრე თქვენ ამის სურვილი გექნებათ, ყალთაბანდებო.

და სწრაფად წავიდა.

VI

წინასწარი მოლაპარაკება

დიდმა მღელვარებამ შეიპყრო სენიორ ვალენსუელა, როგორც კი დაცილდნენ მოხიკას, რომელსაც იგი დიდი ხანია იცნობდა, როგორც ცბიერსა და ბოროტ ინტრიგანს, ვისაც შეუძლია ყოველგვარი მზაკვრობის ჩადენა, ოღონდ თავის მოყვასს ავნოს. მაგრამ, რადგან არ უნდოდა ენრიკესთვის გუნება გაეფუჭებინა, კეთილმა მოხუცმა ხმა აღარ ამოიღო, რომ შიშობდა, მერე კი, დამშვიდდა, იმედოვნებდა, გავლენა და ნაცნობობა ხელს შემიწყობს ცბიერ მოწინააღმდეგეს ვაჯობოო; შვილობილთან ერთად შევიდა კოლუმბის სასახლეში და უბრძანა მოეხსენებინათ დედოფლისათვის მისი მოსვლა.

დიდგვაროვანმა სენიორამ მაშინვე მიიღო სტუმრები და შეატყობინა, რომ ნიკრისის ქარის ძლიერი შეტევებით დატანჯული დონ ბარტოლომე, სთხოვდა მიბრძანებულიყვნენ მასთან, რადგან ავადმყოფობის მიუხედავად, მზად გახლდათ დახმარებოდა მეგობრებს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ანაკაონას შვილიშვილს, რომელიც საკუთარი ქალიშვილივით უყვარს.

დედოფლის თანხლებით ჩამოსულები დაუყოვნებლივ გაემართნენ დონ ბარტოლომეს პალატისკენ. ვალენსუელა მაგრად გადაეხვია დონ ბარტოლომეს, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, ენრიკე კი ხელზე ემთხვია: ავადმყოფობით დამძიმებული ხელი დონ ბარტოლომემ თავზე გადაუსვა ჰაბუკ კაცს. მისალმების შემდეგ, დონია მარიამ ჩვეულებრივი, ალერსიანი ღიმილით დაუყოვნებლივ მიმართა დონ ბარტოლომეს:

— ბევრფასო ბიძაჩემო, გთხოვთ, სენიორ ვალენსუელასთან ერთად მოითათბიროთ, თუ რა არის აუცილებელი ენრიკესა და ჩვენი მენსიას ქორწინებისათვის. ყველაფერი ისე შესრულდება, როგორც თქვენ გადაწყვეტთ.

— ქორწინების გაფორმება დიდ დროს არ მოითხოვს, — უპასუხა დონ ბარტოლომემ. — და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რაკი ყველა საქმე ისეთი კაცის ხელშია, როგორიც ჩემი მეგობარი დონ ფრანსისკოა. მატერიალურ მხარეზე სალაპარაკო არაფერია: ვინ გაბედავს ანგარიში მოსთხოვოს ყველაზე პატიოსან ადამიანს ლა მაგუანაში, თუ მთელ ესპანიოლაში არა?

— რაც ეხება მატერიალურ მხარეს, — სწრაფად უპასუხა ვალენსუელამ, — შეგიძლიათ გადახედოთ მოკლე ანგარიშს, სადაც ყველაფერი ჩაწერილია და ჯეროვნად არის წარმოდგენილი. ქონების მართვის დაწვრილებით ამბებს და ანგარიშებს ნახავთ ამ საბუთებში.

დონ ფრანსისკომ მუქი მაუდის კამზოლის ჯიბიდან ამოიღო მოზრდილი შეკვრა და დონ ბარტოლომეს გაუწოდა.

— ეშმაკმა წაიღოს თქვენი ქაღალდების ნაგლეჯები! — მხიარულად შესძახა ავადმყოფმა და საბუთები ხელით მოიშორა. — ჩემი სიკვდილი ხომ არ განგიზრახავთ, ვალენსუელა? ხომ გაიგონეთ, — ვერავინ გაბედავს თქვენთვის ანგარიშის მოთხოვნას. რას იტყვით ამაზე, ბევრფასო ძმისწულო?

— რასაც თქვენ ამბობთ, სენიორ, — უპასუხა დედოფალმა. — დონ ფრანსისკო შეუპირისპირებას გვაყენებს. როცა ვგონია, რომ ანგარიშს მოვთხოვთ, ანდა ვინმე ჩვენი სახელით დაიწყებს მამულების მართვის ანგარიშების შემოწმებას: იგი მინდობილი იყო მისი განთქმული პატიოსნებისთვის და თავისი შეხედულებებისამებრ უნდა გადაწყვიტოს ეს საქმე ენრიკესთან ერთად, როცა მენსიას ქმარი გახდება.

— თუ ასეა, ყველაფერი უკვე დამთავრებულია, — თქვა ვალენსუელამ, — ენრიკილიო ჩემზე ცუდად როდი ერკვევა მართვის საკითხებში. ასე არ არის, მეგობარო?

— დიახ, სენიორ, — დაუმოწმა კასიკმა. — მე შემიძლია ზეპირად აგიხსნათ ყველაფერი, რაც ჩემი მამიდაშვილის ქონებას ეხება.

— ეს არ არის აუცილებელი, ენრიკილიო, — ღიმილით შეეპასუხა

დედოფალი. — ჯობს, მთავარი დავთქვათ: როდის, სად და როგორ ისურვებს ჩემი პატივცემული და საყვარელი ბიძა ქორწილის დანიშვნას?

— თქვენი ნებართვით, დონ ფრანსისკო, — დაიწყო ბარტოლომემ, — მე ვფიქრობ, რაკი ყველაფერი მზად არის, მაშინ ქორწილი შეიძლება დაინიშნოს შაბათს, ხუთი დღის შემდეგ. ჩვენი სასახლის ეკლესიაში, სადაც კაპელანი აღასრულებს წმინდა საიდუმლოს ნათლისღ-მეგობართა ვიწრო წრეში. ჩემი ავადმყოფობის მიუხედავად, მეც მივიღებ მონაწილეობას ოფიციალურ აქტში; შემდეგ თქვენ, ძმისშვილო, მოაწყობთ დღესასწაულს, სტუმრებს დაპატიჟებთ თქვენი შერჩევით და შეხედულებით; ჩემი მოვალეობანი ამით ამოიწურება, რადგან ცეკვა მეჯლისზე და სუფრასთან მხიარულება არ შემიძლია.

— ნება მომეცით ერთი რამ გთხოვოთ, — გაუბედავად დაიწყო ენრიკემ.

— თქვი, რა გინდა, შვილო, — უპასუხა დონ ბარტოლომემ, — ამ საქმეში შენზე მეტი სიტყვის უფლება არავის აქვს.

— თქვენ მოწყალებას ვთხოვდი, — განაგრძო თავდახრილმა კასიკმა, — ქორწილთან დაკავშირებით არ გამართოთ დიდი ზეიმი, რაზედაც ახლა ლაპარაკობდა დიდად პატივცემული დონ ბარტოლომე.

— იყოს ნება შენი, ენრიკილიო, — უპასუხა მარია დე ტოლედომ. — მეც არ შემიძლია გულით ვიმხიარულო, როცა ჩემი ძვირფასი დიეგო აქ არ არის.

— მაგრამ, — ისევ ჩაერია ლაპარაკში დონ ბარტოლომე, — აუცილებელია საქორწინო ხელშეკრულება ყოველგვარი წესების დაცვით შესრულდეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლაპარაკია მდიდარ მემკვიდრეზე, რომელსაც მამა ესპანელი. ჰყავდა, დედა კი — კუნძულის მკვიდრთა ყველაზე ღირსეული გვარის ინდიელი; ჩვენ მრავალრიცხოვან მტრებს, ყოველგვარი მზაკვრობის შემძლენი რომ არიან, შეუძლიათ მეფის კარს ეს ქორწინება აცნობონ, როგორც ახალი თავდასხმა კასტილიელ მეფეთა პრეროგატივებზე. ამრიგად, საჭირო ხომ არ არის ქორწინების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს მოწმეებად მოვიწვიოთ ხელისუფლების წარმომადგენლები და სენიორები საეპისკოპოსო სასამართლოდან?

— ყველა თქვენი წინადადება, ბიძაჩემო, მეტად გონივრულია, — აღნიშნა დედოფალმა.

— შემიძლია მხოლოდ შევაქო თქვენი ბრძნული წინდახედულება, — თავის მხრივ დაუდასტურა ვალენსუელამ.

სამივენი დაემშვიდობნენ და გავიდნენ დონ ბარტოლომეს პალატიდან. და ცოტა ხანში უკვე შედიოდნენ მთავარ დარბაზში, ვიცე-დედოფლის კარის მანდილოსნებში მენსიაც ერია.

ვალენსუელა იცნობდა თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალს, მაგრამ ენრიკე ზოგიერთებს პირველად ხედავდა; პაბუკმა უბრალოდ, ლაღად დაუკრა თავი იქ მყოფთ, დინჯად და ღირსეულად გაუძღო ყოველი მხრიდან მისკენ მიმართულ გამომცდელ მზერას. დონია მარიამ, როგორც ყოველთვის, ალერსიანმა და კეთილმა, ორ ახლომდგომ მანდილოსანს მიმართა:

.— მიდით ახალგაზრდა კასიკთან, ენრიკესთან, მენსიას მომავალ ქმართან, და მიეალმეთ. ისე, თითქოს იგი უკვე გახდა ჩვენი ოჯახის წევრი.

ყველა მანდილოსანი მხიარულად შემოეხვია ენრიკეს, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ერთნი ულოცავდნენ, ზოგნი ეკითხებოდნენ, რომელ დღეს იყო დანიშნული ჯვრისწერა; ერთი მენსიას მეგობრად ასახელებდა თავს, მეორე ახსენებდა, რომ ოთხი წლის წინ გაიცნეს ერთმანეთი და, მისი აზრით, მას შემდეგ ენრიკე ძალიან დამშვენებულიყო.

— გახსოვთ მერცხალი? — ჰკითხა მას მეგობრული სითამამით ელვირა პიმენტალმა, რომელიც დაბადებული და გაზრდილი იყო გრანადაში, სწორედ იმ ელვირამ, ერთხელ სენიორ დე გარაის სახლის ტერასაზე, სადაც იმ დროს ცხოვრობდა ადმირალის ოჯახი, გალიიდან ენრიკეს შევარდნის მიერ დაჭერილი და მენსიასათვის ნაჩუქარი მერცხალი რომ გაუშვა.

— სიამოვნებით ვიხსენებდი ყოველთვის ამ შემთხვევას, სენიორა, — უპასუხა ენრიკილიომ. — მას შემდეგ ბევრი ვინადირე, და ყოველთვის ძალიან მინდოდა გამენთავისუფლებინა საბრალო ტყუები, რომ მათთან ერთად გავხარებულიყავი იმ მერცხალივით, რომელიც მაშინ გაანთავისუფლეთ.

— დამერწმუნეთ, კასიკო, მაშინ მერცხალი რომ არ გამეშვა, ჭორწილს ვერ მოესწრებოდით, — მტკიცე რწმენით წარმოთქვა ელვირამ.

— ახლა კი გეყოფათ, ქალიშვილებო! — შესძახა დედოფალმა, როგორც ყოველთვის, გულკეთილად და მხიარულად. — როგორც ჩანს, მიზნად გაქვთ დასახული საქმროს და საცოლეს დალაპარაკების საშუალება არ მისცეთ. სჯობს სენიორ ვალენსუელას ვთხოვოთ გვიამბოს ლა მაგუანას ახალი ამბები, ამასობაში, ნათესაკები მონახავენ სალაპარაკოს.

ყველამ მოიწონა ეს წინადადება, მენსია და ენრიკე მარტო დარჩნენ დიდი დარბაზის სიღრმეში; დანარჩენები დედოფალთან ერთად შემოეხვივნენ ვალენსუელას და შეკითხვები მიაყარეს:

„შორს არის აქედან ლა მაგუანამდე?“ — „არც ისე ახლოსაა, ლამაზო ქალიშვილო“, — პასუხობდა მოხუცი. „გზას, მართლა, ბევრი მდინარე კვეთს?“, „გზა, ნამდვილად. ცუდია?“ „მთიანი ადგილია?“,

„არის თუ არა იქ ლამაზი სახლები?“ ერთი სიტყვით, ყველა კითხულობდა იმას, რაც აინტერესებდა, და ყველა კითხვაზე პასუხობდა ვალენსუელა.

— თქვენ მიდამოებში არ ცხოვრობენ მდიდარი და თავაზიანი იდალგოები? — სიცილით იკითხა ელვირამ.

— რა თქმა უნდა, რატომაც არა, — უპასუხა მოხუცმა, — თუმცა ისინი ყველანი ჩამოვიდნენ აქ საცოლეების საძებნელად, მაგრამ დაბრუნდნენ მეტისმეტად შეწუხებულები: მათი თქმით, ესპანეთიდან ჩაგზნული ქალიშვილების გულის მოგება შეუძლებელია.

— ეს მხოლოდ მიზეზია, რომ დიდგვაროვანი ინდიელები შეირთონ, რომლებიც, როგორც ჩანს, მათ მოსწონთ. — თქვა დედოფალმა. — გავიგე, რომ სწორედ ასე მოიქცა ვერა-პასში ესპანელების უმრავლესობა; ამბობენ, მანდ ქალიშვილები მზესავით მშვენიერები არიან.

— სრული სიმართლეა, — მხარი აუბა ვალენსუელამ. — ეს ტომი განსაკუთრებულია, კუნძულზე ყველა დანარჩენებისგან განირჩევიან. ხარაგუაში შესანიშნავი ბუნებაა, ადგილობრივი მცხოვრებნი კი, სილამაზის გარდა, გამოირჩევიან სიკეთითა და ჭკუით.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხარაგუას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ჩვენს ანდალუზიას? — ჩაიცინა ელვირამ.

— ეჰვს გარეშეა, ლამაზო ქალიშვილო, — უპასუხა მოხუცმა. — და აი, საბუთიც: შეხედეთ მენსიას, ენრიკილიოს...

— მენსია ნახევრად ესპანელია, ენრიკე კი წარმოშობით ბაორუკოდანაა. — არ ნებდებოდა ელვირა. — განა ბაორუკო ხარაგუაში მდებარეობს?

— ყოველ შემთხვევაში, ახლოსაა: გარდა ამისა, შეიძლება, ადვილად ვივარაუდოთ, რომ ენრიკილიოს წინაპრები, ამ მთების ბატონ-პატრონნი, წარმოშობით ლა მაგუანიდან იყვნენ, — ტყუილად როდი ეკუთვნიან კასიკების საგვარეულოს და ხარაგუელი ბელადების ნათესავები არიან.

— მაგრამ, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ენრიკილიო ლამაზია, — შეედავა ახალგაზრდა ქალიშვილი.

— შეიძლება იგი ულამაზესი არ არის, სამაგიეროდ, სასიამოვნოა და ტანადი, — ჩაერია დავაში დედოფალი. — რაც შეეხება ბაორუკოელი კასიკის სულიერ თვისებებს, ჰეშმარიტად მშვენიერია.

ამ შეკვეთამ დავა შეწყვიტა; რადგან ყველამ სამართლიანად სცნო იგი, თუ იმიტომ, რომ იგი მშვენიერი სენიორას ბაგეებმა წარმოთქვა, რომელსაც ყველა პატივს სცემდა და ყველას უყვარდა, სიამოვნებით დაეთანხმნენ მის აზრს: ახალგაზრდა ქალიშვილებმა ისევ დიდი ინტერესით მიაპყრეს თვალები ენრიკილიოს, რომელიც გაცხოველებული საუბრობდა საცოლესთან; და ყველას სახეზე შეიძლებოდა ამოგეკითხათ კეთილმოსურნე დედოფლის ქების დასტური.

VII

მისწრაფება

— მითხარით, ძვირფასო მამიდაშვილო, — გულში ჩამწვდომად და თავდაჭერილად ეკითხებოდა კასიკი საყვარელ თანამოსაუბრეს, — გსურთ გახდეთ ჩემი ცოლი და განუყრელი თანამგზავრი? თანახმა ხართ დასტოვოთ ეს მდიდრული სასახლე და მხიარული ამხანაგები განმარტოებული ცხოვრებისთვის იქ, სადაც თქვენ დაინახავთ მხოლოდ უშნო სახლებს, წარაფებსა და საქონელს სამწყემსურში?

— ბევრი ვიფიქრე ამაზე, — მშვიდად უპასუხა მენსიამ, — და არ დაგიმალავ; ხანდახან ასეთი ცხოვრება ძალიან ნაღვლიანი მეჩვენება; დედოფალთან და ამხანაგებთან დაშორებაც არ არის ადვილი. მაგრამ განა შენ არა ხარ ჩემთვის ღვთის მიერ წინასწარ დანიშნული. განა ჩვენი ქორწინება არ იყო დედაჩემის უკანასკნელი სურვილი, უკანასკნელი ანდერძი? იგი უნდა შევასრულო, მინდა თუ არა.

ასეთმა გულახდილმა პასუხმა გულდამამძიმებელი შთაბეჭდილება მოახდინა კასიკზე. სახე მოეღრუბლა; ნაღვლიანად შეხედა საცოლეს და შემკრთალი ხმით წარმოთქვა:

— უკვე დიდი ხანია ცუდი წინათგრძნობა მტანჯავდა. ამრიგად, მენსია, თქვენ გახდებით ჩემი ცოლი მორჩილების გამო, რომ შეასრულოთ მოვალეობა...

— ძვირფასო ენრიკე. — გააწყვეტინა მას ლაპარაკი ქალიშვილმა, — არ მინდა შენი წყენინება, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა. შენ ჩემთვის ძმა ხარ, უსაყვარლესი ნათესავი, შენს გვერდით გავატარე ბავშვობა; რატომ მელაპარაკები ისე, თითქოს უცხო ვიყო შენთვის? მუდამ სერიოზულად, „თქვენობით“ მელაპარაკები; მე ეს არ მომწონს. აი, რატომ მოვდიოვარ უხალისოდ ლა მაგუანაში: ტყუილის თქმა არ შემიძლია!

ენრიკეს წინაშე იმედის სხივმა იფეთქა, და თქვა:

— მგონი, ვერ გამიგე, მენსია; მინდა ვიცოდე კმაყოფილი ხარ, თანახმა ხარ თუ არა, ქმარი მიწოდო; მძიმე ხომ არ იქნება შენთვის, რომ გიწოდო ჩემი...

ქალიშვილს სახე აენთო, თვალები დახარა, გაჩუმდა და მერე თქვა:

— ყველაფერი არ მესმის შენი, ენრიკე. ყოველთვის მიყვარდი, როგორც ძმა, რომელიც ჩემთან ერთად იზიარებდა დედაჩემის სიყვარულს; შენი მოგონება ჩემს გულში მის ხსოვნას გადაეჯაჭვა; როცა შენზე ვფიქრობ, ვფიქრობ დედაზე და ღმერთზე. ბავშვობიდან მასწავლეს, რომ შენ ჩემი მომავალი ქმარი იყავი; მიყვარხარ ისე, რო-

გორც მიყვარდი ბავშვობისას; და პატივს გცემ იმიტომ, რომ შენი თავი მიანდერძა ჩემმა მომაკვდავმა დედამ... შენც ამას ელოდი ჩემგან?

— არა. ეს ჩემთვის საკმარისი არ არის, — თქვა ნაწყენმა ენრიკემ. — მაგრამ რადგან შენს ნორჩ გულს ძალა არ ყოფნის გამიგოს, მოვითმენ იმ იმედით, რომ მოგვიანებით, როცა ჩვენი ბედი სამუდამოდ დაუკავშირდება ურთმანეთს, იქნებ, გამიგო და შემიყვარო; როგორც მე მიყვარხარ, მთელი სულითა და გულით, უფრო მაგრად და უველაზე მეტად ამქვეყნად.

უკანასკნელი სიტყვები ენრიკემ წარმოთქვა დაბალი აღელვებული ხმით; მენსიამ დაჟინებით და დაკვირვებით შეხედა მას და ის იყო უნდა ეპასუხა, რომ ვალენსუელას ხმა გაისმა:

— ენრიკილიო, მეგობარო, მგონი, დროა სინამდვილეს დაუბრუნდე. მოასწრებ დატკბე შენი მშვენიერი საცოლით, თუმცა, მართალი ხარ, შენს ადგილზე, ღმერთს ვფიცავ, უველაფერი დამავიწყდებოდა ამქვეყნად.

მფარველი და აღმზრდელი ხელზე ეამბორნენ დედოფალს და მოწიწებით გამოემშვიდობნენ მშვენიერ მანდილოსნებს.

ელვირამ ხელი მოხვია მენსიას და მოშორებით, აივანზე, გაიყვანა, საიდანაც ოსამას მიდამოები მოჩანდა.

— მიამბე, რას ლაპარაკობდი საქმროსთან? — იდუმალი ხმით ჩასჩურჩულა ელვირამ. — ძალიან უყვარხარ? ალბათ, ძალიან ტკბილი და ნაზი სიტყვები გითხრა?

— ჰოც და არაც, ელვირა, — უპასუხა ქალიშვილმა, — არ ვიცი. ენრიკე რაღაცით იყო შეწუხებული, მკითხა თუ გიყვარვარო, მე ვუთხარი „კი"-მეთქი, მაგრამ ის მაინც უკმაყოფილო დარჩა. იგი უნდა მიყვარდეს, ასე მითხრა, მთელი სულითა და გულით, როგორც მას ვუყვარვარ. განა ეს აუცილებელია ქორწინებისთვის? ასეთ ამბებზე მხოლოდ შენგან თუ გამიგონია რამე, როცა ზღაპარს გეიყვებოდი, ანდა გვიმღეროდი საიდას სიყვარულზე. სენიორა დედოფალი კი არაფერს ამის მაგვარს არ ლაპარაკობს, თუმცა იგი გათხოვილია.

— გაჩუმდი, სულელო. ენრიკილიო სწორია, შენ ჯერ კიდევ არაფერი გაგეგება ცხოვრების, თითქოს ნორჩი ხე ხარ, რომელსაც ჯერ ცეცხლი არ ეკიდება. მაგრამ შენი ჟამიც დადგება, როგორც ჩემი ჟამი დადგა თავის დროზე... ო, კასიკს დასაჩიელი არაფერი ექნებოდა, შენ რომ ჩემნაირი იყო... მე მგზნებარე გული მაქვს, მას სიყვარული სწყურია.

— მართალი გითხრა, ვერ გამიგია, რაზე ლაპარაკობ, ელვირა, — უთხრა ქალიშვილმა. — ჩემს გულს მშვიდად უყვარს ის, ვინც უნდა მიყვარდეს, აი, ამიტომ შემიყვარდა ენრიკე.

— ღმერთმა ქნას, რომ ასეთი სიყვარული გეყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ბავშვო! — გაცხარებით წამოიძახა ელვირამ. — გისურვებ არასოდეს განგეცადოს ჩემი სატანჯველი. წადი, სხვა ამბანაგებთან ვილაპარაკებ, ისინი შენზე უფრო გამიგებენ.

VIII

მარცხი

მომდევნო დღეებში, როცა ჯულენსელა და ენრიკე მიდიოდნენ დიეგო კოლუმბის სასახლეში, ჩვენი გმირების ცხოვრება შიშდინარეობდა განსაკუთრებული ცელილებების გარეშე. კასიას უფრო და უფრო შეუყვარდა თავისი შამიდ-შვილი, ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა ყველა შიშსა და ეჭვებს, რაც გამოწვეული იყო იმის შეგნებით, თუ რა დიდი ზღვარი იდგა სუფთა სისხლის ინდიელსა და ულამაზეს მეტისს შორის, რომელიც დაიბადა დიდგვაროვანი ესპანელი გენერალსა და სახელგანთქმული, თუმცა უბედური ანაკაონას შვილის იგვიოტას ქორწინების შედეგად. გულუბრყვილო გულწრფელობამ, რომლითაც ყოველდღის სცდებოდა მას საცოლე, ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა ენრიკე. რომ მენსიას ვერ არ შეეძლო სხვანაირი სიყვარული, და იმედი განუმტკიცდა, მომავალში, როცა იგი ეზიარებოდა ქორწინების საიდუმლოებას, მისი უმანკო და წმინდა სიყვარული შეიძენდა სინაზისა და ვნების იმ ელფერს, რომელსაც ამაოდ ეძებდა ჰაბუკი დანიშნულთან პირველი გულითადი საუბრის დროს. კარსმომდგარ ბედნიერებაზე ტკბილი ოცნებებით დამშვიდებული ენრიკილიო, თავისი ცხრამეტი წლისათვის შესაფერი მთელი მგზნებარებით ეძლეოდა სინამდვილის ნეტარებას, მაგრამ, ამავე დროს, მტკივნეულად განიცდიდა გადაუჭრელ წინააღმდეგობებს, ჭამდაუწუმ რომ უხდებოდა შეჯახება: ბელადის ვაჟიშვილი. უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული ინდიური ტრადიციის მიხედვით, მოწოდებული იყო მბრძანებლობისთვის; ბავშვობიდან აღზრდილი ძლევამოსილი მფარველობის კალთის ქვეშ, იგი ისევე ცხოვრობდა, როგორც პრივილეგირებული პირები, ამავე დროს, ირიცხებოდა ენკომიენდეში, რაც მას თითქოს მონის დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებდა. ესპანელმა თავადებმა და კოლონისტებმა, ანდალუზიასა და იტალიაში ბრძოლის ველზე ყოფნის დროს ჩვეულებად მიიღეს, მტრის ჯარისკაცთათვის „ძაღლები“ ეწოდებინათ, ინდიელებს კი ჯელურებად თვლიდნენ და ეჯავრებოდათ მავრებსა და ფრანგებზე უფრო, მათ ყანებში მომუშავეებს საქონელზე ცუდად ექცეოდნენ.

ორვიათი თვისებებით დაჯილდოვა ბუნებამ ენრიკე — კეთილშობილი ბიჭობა-მოხრა, მიმზიდველი გარეგნობა და ცხიზელი ჰკუა ამშვენებდა მის ჰაბუკურ სახეს. ყველაფერი ეს დიდგვაროვანი მფარველების გულუხვად მდგომარეობასთან ერთად. – ჯერჯერობით იფარავდა მას თავმოყვარეობის შელახვისგან, რაც სიკვდილზე მწარეა, იმათთვის კინკ პატიოსნების საკითხში ძალიან წესიერია; მაგრამ ენრიკეს თვალწინ ედგა უბედურ თანამოძმეთა მაგალითი, რომელთაც წილად ხვდა ბოლომდე დაეცალათ დამცირების საესე ფიალა; ჰაბუკის გული უპედურებისადმი სიბრალულით იესებოდა, და იმის გაფიქრებაზეც კი, რომ მასაც ემუქრებოდა ისეთივე ხვედრი, სისხლი უდუღდა. დღედაღამ თავში უტრიალებდა მწუხარე ფიქრები, რომელიც ცხოვრების მთელ სიხარულს უშხამავდა. იმედმა, რომ მენსია მისი იქნებოდა და მასშიც გაიღვიძებდა ისეთივე უსაზღვრო. საპასუხო სიყვარული, როგორსაც განიცდიდა იგი, დროებით გაფანტა ღრუბლები, სულს რომ უწუხებდა. და ბედნიერების მზემ არაჩვეულებრივი ძალით ამოანათა ჰაბუკი კასიკისთვის.

მაგრამ ეს წუთები ძალიან სწრაფმავალი აღმოჩნდა. დადგა ქორწილის დღე. დიდი ხნის ნანატრი შაბათი, როცა ბარტოლომე კოლუმბის თანდასწრებით მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ურღვევი კავშირით უნდა შეეერთებინათ მენსია და ენრიკე. მოვიდა საქმრო, კასტილიური მოდის მიხედვით ეცვა ყავისფერი ხავერდის კამზოლი და მოკლე. შავი ატლასის. ალისფერსარჩულიანი ლაბადა. მამობილის, დონ ფრანსისკო ვალენსუელას საქორწინო საჩუქარი. ოქროს ტვიფრულითა და ფოჩებით მორთული კორდოვული ტყავის სარტყელი შემოერტყა, რომელზეც სპილოს ძვლის ტარიანი ხანჯალი ეკიდა. ვალენსუელა ენრიკესთან ერთად მოვიდა სასახლეში და მოწიწებით მიესალმა სასახლის კარის მანდილოსნებით გარშემორტყმულ დედოფალს: თვალში გეცემოდათ მხოლოდ მენსიას იქ არყოფნა, თავის საძინებელ ოთახში ჩაკეტილი, მღელვარებით ელოდა, როდის დადგებოდა დრო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მისი ბედი. კოლუმბების ოჯახისა და გვარის ახლობელი რამდენიმე კაბალიერო გაცხოველებით საუბრობდა სასტუმრო ოთახში: გვერდით სამლოცველოში ანთებული სანთლების ალი მკრთალად ციმციმებდა მზის თვალისმომჭრელი სინათლის ნაკადში. სპეტაკ სამოსში გამოწყობილი კაპელანი მხოლოდ ნიშანს ელოდა, რომ იისფერი სტიქარი ჩაეცვა; დონ ბარტოლომემ კი, რომელსაც გაჭირვებით აცმევდა კამერდინერი, უკვე ორჯერ იკითხა, ხომ არ მოსულანო მეფის მოხელენი, როცა ოთახში შემოვიდა მსახური და მას გადასცა დიდი პაკეტი, დაბეჭდილი სამეფო გერბიანი ბეჭდით, რომელსაც ჩვეულებრივ ხმარობდნენ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, დონ ბარტოლომემ, რომელიც პოლიტი-

კურ შეტაკებებში არა ნაკლებად იყო გამოცდილი, ვიდრე საომარ ბრძოლებში, ყოველი მხრიდან დაათვალიერა პაკეტი, და ვიდრე გახსნიდა, განაწყენებულად მოიღუშა. „ცუდი ნიშანია!“ — სამჯერ გამოსცრა კბილებიდან, თან ბეჭედი გატეხა, წერილი გაშალა, წუთში გადაავლო თვალი, ბრაზისგან აკანკალდა, ქაღალდი დაჭმუჭნა და ისეთი ძალით დაარტყა მტკივანი ფეხი იატაკს, თითქოს ჩატეხა უნდოდა.

ბოლოს, ძლივს მოერია თავს და ჯერ კიდევ სულს ძლივს ითქვამდა, რომ კამერდინერს უთხრა:

— წადი, მოიპატიჟე დედოფალი და სენიორ ვალენსუელა. უთხარი, რომ დაუყოვნებლივ მოვიდნენ აქ.

მსახური სწრაფად წავიდა, და რამდენიმე წუთის შემდეგ დონ ბარტოლომეს პალატში მოვიდნენ დონია მარია და დონ ფრანსისკო.

დონ ბარტოლომემ კარი დაკეტა და თავის მეგობარს სთხოვა ხმამაღლა წაეკითხა ახლახან მიღებული წერილი.

აღელვებულმა ვალენსუელამ გაშალა ქაღალდი, რომელშიც შემდეგი ეწერა:

„ჩვენ, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლენი კუნძულ ესპანიოლაზე და ა. შ., გაცნობებთ, თქვენ, დონ ბარტოლომე კოლუმბს, რომ მეფის მოხელეებმა მიგველ დე პასამონტემ, ხუან დე ამპიესამ და ალონსო დავილიმ შეგვატყობინეს და ვიცით, რომ ახლო მომავალში ბაორუკოელი კასიკის ენრიკესა და დონია მენსია დე გევარას ქორწინება უნდა მოხდეს, რაზედაც მათ ახლო ნათესავებს არა აქვთ ჩვენი წმინდა დედის ეკლესიის ნებართვა; უფრო მეტიც, დასაქორწინებელთა მდგომარეობისა და განსაკუთრებით დონია მენსიას კასტილიური საგვარეულოს კუთვნილების გამო, და ვინაიდან არ არსებობს ჩვეულება ასეთ პირთა ქორწინებისა ინდიელებთან, საჭიროა მეფის ნებართვის გამოთხოვა მისი უმაღლესობის კანცელარიიდან. ამიტომ ჩვენ, სააპელაციო მოსამართლენი, გაფრთხილებთ თქვენ, დონ ბარტოლომე კოლუმბო, რათა თქვენი მხრივ გააფრთხილოთ და შეატყობინოთ ადმირალის მეუღლეს — სენიორა დონია მარია დე ტოლედოს და სხვა პირთ, რომლებიც აქ ნახსენებ მენსიასა და ენრიკეზე ზრუნავენ ან მონაწილეობენ ამ საქმეში, რომ ეს ქორწინება არ შეიძლება მოხდეს აღნიშნული თანხმობისა და ნებართვის გარეშე, რაც, ჩვენი ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩაითვლება უკანონოდ და უნდა დაირღვეს. წერილი მიიღეთ მხედველობაში..

სანტო-დომინგო, 1515 წლის 18 დეკემბერი.

ლიცენციატი ვალიალობრსი. — ლიცენციატი მატიენსო. — ლიცენციატი აილიონი“.

— ჩემი ასეთი შეურაცხყოფა!—წამოიყვირა ბრაზისგან გაფითრებულმა დონია მარიამ, როცა კითხვა დასრულდა. — ჩვენი ოჯახის საზიზღარი მტრები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ რამე არ გვაყენონ!.. არ უნდა დავუშვათ, რომ მათი ზრახვები განხორციელდეს. ძვირფასო ბიძაჩემო, როგორ გინდათ მოიქცეთ?

— ეს რომ მხოლოდ მე მეხებოდეს, — უპასუხა დონ ბარტოლომემ გესლიანი ღიმილით, — მაშინ კი მეცოდინებოდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი: სიბერისა და ავადმყოფობის მიუხედავად, ვერ მოვითმენდი, მაშინვე წავიდოდი იმ ავაზაკ პასამონტესთან და ანგარიშს გავუსწორებდი, — ყოველგვარ ვერაგულ ხრიკებს ხომ ეგ აწყობს. მასთან ერთად საკადრისს მიიღებდნენ მისი ღირსეული დამჭაშებიც. მაგრამ აქ გეხებიან თქვენ, ძვირფასო ძმისშვილო, თქვენი შვილებისა და ქმრის ინტერესებს, — სწორედ ამ სამიზნეს ესვრიან ბილწი მოშურნეები. ამიტომ საჭიროა ვიმოქმედოთ მეტისმეტად ფრთხილად, თუმცა აღშფოთებისაგან გული მისკდება.

უკანასკნელი სიტყვები დონ ბარტოლომემ ისეთი გააფთრებით წარმოთქვა, თითქოს გული ეს-ეს არის მართლა გაუსკდებაო.

მერე ლაპარაკი დაიწყო ვალენსუელამ.

— მდგომარეობა სერიოზულია, — თქვა მან, — კოლუმბის ოჯახს მიაყენეს კიდევ ერთი დიდი შეურაცხყოფა; მტერი ცდილობს მთელი თქვენი უფლებები არარაობად აქციოს. მაგრამ ქორწინების გადადება — ადვილად გამოსასწორებელი უბედურებაა; მოთმინება უნდა მოვიკრიბოთ. და ვიმოქმედოთ წინდახედულად, რომ მოწინააღმდეგემ ჩვენზე გამარჯვება არ იზეიმოს. ორკესტრში კიდევ ერთი საკრავი ურევია, და თქვენი ნებართვით ვეცდები მასზე დავუკრა.

— ვის გულისხმობთ, — გააწყვეტინა მას ლაპარაკი დედოფალმა.

— მოსამართლე-რეზიზორ ლიცენციატ ლებრონს, — უპასუხა ვალენსუელამ.

— სხვებივით თაღლითია, — გაბრაზებით თქვა დონ ბარტოლომემ. — აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან დაიწყო მისი ხრიკები ჩვენს წინააღმდეგ.

— ცდა ბედის მონახევრეა,— მშვიდად შეეპასუხა ვალენსუელა.— ასეა თუ ისე, დიდხანს ვერ იზეიმებენ: ადმირალი ესპანეთში მარტო როდია. მას ლას კასასი ახლავს, შეუძლებელია, რომ მოწინააღმდეგემ გაიმარჯვოს: აი, ნახავთ, თუ ქორწინება დღეს არ შედგება, მოხდება სხვა დღეს; მხოლოდ მოთმინებაა საჭირო.

— ნამდვილად, ასეთი გულგრილობა თქვენს წლებს არ შეჰფერის, დონ ფრანსისკო, — შეწუხებულად ჩაილაპარაკა დედოფალმა. — რას ვიზამთ, ნახეთ თქვენი ლებრონი, ოღონდ მისგან კარგს არაფერს მოველი. ჩემი მხრივ, ვბრძანებ ახლავე მოამზადონ ხომალდი, დღეს რომ

ჩამოვიდა ესპანეთიდან. დაუყოვნებლივ გაემგზავროს უკან; ეს არის ჩემი ერთადერთი იმედი — ვიპოვო სამართალი მტრის ყოველგვარი ხრიკების მიუხედავად.

— არ შეგედავებით, სენიორა, — თქვა ბოლოს ვალენსუელამ. — ვეცდები ველაპარაკო მოსამართლე ლებრონს. და, თუ ჩემი ცდა ვერაფითარ შედეგს ვერ გამოიღებს, მაშინ დღესვე მივწერ პადრე კასასს. დე, მან მოაგვაროს საქმე იქვე, კასტილიაში.

— მე კი ახლავე დავწერ წერილს ჩემი ძმისშვილისთვის, დონ დიეგოსთვის, — თქვა დონ ბარტოლომემ, — ამას ცოტათი მაინც გადავაყოლებ გულს. თორემ ნამდვილად დამახრჩობს ბრაზი.

— წავალ, სტუმრებს შევატყობინებ მომხდარ ამბავს. — ჩაილაპარაკა დედოფალმა. — ვეცდები თავს მოვერიო, რომ ნიშნის მოგება არავის მოუკიდეს აზრად.

ვალენსუელას ხელმკლავი გ-უკეთა. გაკრა დონ ბარტოლომეს პალატიდან და გაემართა სასტუმრო ოთახისკენ.

სასტუმრო ოთახში მანდილოსნები და კაბალიეროები გაცხარებული საუბრით იყვნენ გართული. ელვირამ, რომელსაც დონია მარიასაგან ჰქონდა დავალებული ენრიკილიოს გართობა, ადვილად მოახერხა დაეახლოვებინა ჯაბუკი. რომელმაც კულახდილად გაუზიარა მას მომავალის გეგმები და გულწრფელად მოუყვა. როგორ უყვარდა ბენსია. არც ის დაუმალავს, რომ თავისი მხურვალე გრძნობის პასუხად ქალიშვილში მხოლოდ დის მშვიდი სიყვარული ჰპოვა. კასიკის თავშეკავებულ მგზნებარე სიტყვებში ჭეშმარიტებოდა მისი პიროვნების ისეთი მბარე, რომელზედაც ქარაფშუტა ელვირას ეჭვიც არ შეპარვია; სასიამოვნოდ გაოცებული, უურადღებით უსმენდა ამ პატიოსანი და კეთილშობილი გულის აღსარებას. მათ გულითადი ლაპარაკი შეაწყვეტინა ვალენსუელამ.

— გამოემშვიდობე თანაბოსაუბრეს, — თქვა მან და ენრიკილიოს მკლავში მოკიდა ხელი. — გადაუდებელი საქმეები გველის სხვაგან. მოვამთავრებთ მათ და დავბრუნდებით.

საქმის ასე მოულოდნელად შებრუნებით გაოგნებული ენრიკე უხმოდ გაჰყვა ვალენსუელას; ზრდილობიანად გამოემშვიდობნენ ყველას მოხუცი და ჯაბუკი და წავიდნენ სასახლიდან. ამასობაში დედოფალმა, რომელსაც ანთებულ სახეზე შენარჩუნებული ჰქონდა თავაზიანი ღიმილი, ხმამაღლა გამოაცხადა:

— მანდილოსნებო და სენიორებო, დღეს ქორწინება არ შედგება: იგი გადადებულია სხვა დღისთვის. ასე მოითხოვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები. მეტს ვერაფერს დავამატებ.

მოხდენილი თაყვანისცემით გაეცა დარბაზიდან სამხრეთ და სწრაფად წავიდა თავისი პალატისკენ, სადაც ბენსიასთან საუბარი ელოდა:

სტუმრები დაიშალნენ, შინისაკენ მიმავალნი ფიქრობდნენ, თუ რა ეღნდა ყოფილიყო დღესასწაულის ასეთი უცნაური დასასრულის მიზეზი.

IX

ერთი მრავალთაგანი

ფრანსისკო დე ვალენსუელა ენრიკილიოსთან ერთად წავიდა სახლში და იქ შეატყობინა ჰაბუკს მომხდარი ამბავი. ენრიკე უდიდესი ყურადღებით და ინტერესით უსმენდა მეურვეს, ისე, რომ არაფრით არ აშფოთებდა გაკვირვებას, მაგრამ, როცა მან ლაპარაკი დაასრულა, იკითხა:

— მეუღლე, რა თქმა უნდა, ყველაფერს შეატყობინებს ადმირალს?

— უეჭველად, ჩემო ბიჭო, — დაუდასტურა ვალენსუელამ. — წერილს გაუგზავნის დონ ბარტოლომეც, მე კი ჩემს მეგობრებს მივწერ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს კეთილ პადრე ლას კასასს...

— მეც მივწერ წერილს ჩემს კეთილ მფარველს, მთელ იმედებს იმაზე ვამყარებ.

— მართალი ხარ, შვილო, — ალერსით უთხრა მოხუცმა. — მაგრამ მაინც გადავწყვიტე მოსამართლე ლებრონის ნახვა, მას ხომ სხვა საქმეებთან ერთად ევალება ხელი არ შეუშალოს ქორწინებებს კასტილიელებსა და ინდიელ ქალებს შორის; საკმარისია მან მოისურვოს და ყველაფერი მოწესრიგდება.

— ოღონდ საეჭვოა მოისურვოს, — მშვიდად შეეპასუხა ენრიკე. — წინათგრძნობამ არ მიმტყუნა: ნამდვილად ველოდი რაღაც დაბრკოლებას, განსაკუთრებით სენიორ პედრო დე მოხიკასთან შეხვედრის შემდეგ. ამ კაცს ყოველთვის სწყუროდა ჩემთვის გული ეტკინა, ამრიგად, განა საკუთარ თავს უარს ეტყვის სიამოვნებაზე, რომ შეურაცხმყოს, როცა ვემზადები საქორწინოდ იმაზე, რომელსაც თავის ძმისშვილს უწოდებს!

— ღმერთს ვფიცავ, ბიჭო, მართალი ხარ! — შეჰყვირა ვალენსუელამ. — პირველად ეს არ მომსვლია აზრად, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი სიძულვილის სამაგიეროდ, ვერაგმა ჩვენზე ბრაზი გულში ჩაიმარხა. ასეა თუ ისე, წავალ ლიცენციატ ლებრონთან და სიმართლეს გავიგებ მისგან.

ენრიკემ თავის მფარველს შინ დარჩენის ნება სთხოვა, დარწმუნებულმა, რომ მოხუცის ცდა უნაყოფო იქნებოდა. მართლაც, ორი საათის შემდეგ მოსამართლე-რევიზორისგან დაბრუნებულმა გააფთრე-

ბულმა ვალენსუელამ უამბო, რომ მისმა მოთმინებამ სასტიკი გამოცდა გამოიარა. თავხედმა მოხელემ, რომელსაც მიაშურა სიმართლის საძებნელად, იგი, კოლონიის ძველი, პატივცემული მცხოვრები მთელი საათი ალოდინა მისაღებში. მერე, როგორც იქნა, მიიღო, მიმსვლელი თავით ფეხამდე შეათვალიერა ზიზღით და ქედმაღლურად მიუგდო: „რა გნებავთ?“ განზე იყურებოდა, დაბნეულად უსმენდა ვალენსუელას და დროდადრო მხრებს იჩეჩდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „რა ჩემი საქმეა? ამ შემთხვევაში, მე რა შუაში ვარ?“ ეს სიტყვები არ თქმულა, მაგრამ, თითქოს ყღერდნენ და მეორდებოდნენ ყოველნაირ ყაიდაზე, მოსამართლე ლებრონის ყოველ მოუთმენელ მოძრაობასა და მთელ მის ქედმაღლურად გულგრილ შესახედაობაში. როცა ვალენსუელა დადუმდა, ლებრონმა თავი ასწია და მკვახედ ჰკითხა:

— ადელანტადომ და... რა ჰქვია... ადმირალის ცოლმა რატომ არაფერი მომწერეს ამის შესახებ, რაკი ისინი, როგორც თქვენ აცხადებთ, შეურაცხყოფილად თლიან თავს სააპელაციო სასამართლოს წევრთა სამართლიანი განკარგულებით?

ასეთი თავხედობით სახტად დარჩენილმა ვალენსუელამ აუხსნა:

— მე კასიკ ენრიკეს ქორწილზე მამობილი ვარ. იგი ჩემი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მიეცეთ თქვენი მხარდაჭერა, რადგან თქვენ ხართ მოსამართლე, რომელსაც მისმა უდიდებულესობამ დაგაკისრათ მოვალეობად, არ დააბრკოლოთ კუნძულის მცხოვრებთა შორის ქორწინება...

— სცდებით, ბებერო, — დამცინავი ღიმილით გააწყვეტინა ლაპარაკი ლებრონმა. — მეფის ბრძანებულება ამბობს: „არ დააბრკოლოთ კასტილიელთა და ინდიელ ქალთა ქორწინება“; მაგრამ არაეითარ შემთხვევაში, მხარი არ დაუჭიროთ საჯაყ კაკშირებს, ისეთებს, როგორიც თქვენ განიზრახეთ კოლუმბებთან ერთად, რომლის ძალითაც კასტილიელი დიდგვაროვანის ოჯახიდან გამოსული. ახალგაზრდა ქალიშვილი ვიღაც კონკიაფლარუნას — ინდიელი კასიკის ცოლი უნდა გახდეს, ქალიშვილის პატივცემული ბიძის, მოხიკას აშკარად გამოხატული სურვილის წინააღმდეგ.

ახლა კი ვალენსუელამ, დიდი გაჭირვებით რომ ინარჩუნებდა სიმშვიდეს, თავი ვეღარ შეიკავა და ბრაზისგან აცახცახებულმა, უკვე ლაფერი გადმოანთხია, რაც გულში უდუღდა:

— თქვენ თვითონ ხართ კონკიაფლარუნა და თავხედი, ღირსი არა ხართ ხელთ გეპყრათ მართლმსაჯულების კვერთხი, რომელიც ბედუკუღმართ ქამს მოგანდოთ მეფემ. თქვენ, უფლებამოსილად თლილთ თავს უდიერად მოეპყრათ კუნძულზე ყველაზე ღირსეულ პირთ, ადმირალ დონ დიეგო კოლუმბის ოჯახს, ვის სახელსაც მუხლზე ჩოქვით უნდა ახსენებდეთ თქვენ და სხვა ყაჩაღები, რომლებიც თავიანთი

მომხვეჭელობის დასაკმაყოფილებლად მოცივდნენ ამ ქვეყანაში! თქვენ ბედავთ მე მიწოდოთ „ბებერი“, თითქოს თქვენ წინაშე ვიღაც უგვარო მაწანწალა იდგეს, გასაკითხავის სათხოვნელად მოსული! ეშ-ჩაკსაც წაუღიხართ, უხეშო და უვიცო, და წყეული ვიყო, თუ როდისმე მოგმართოთ რაიმესთვის!

ლებრონი გააშტერა ბრაზიანი სიტყვების ნაკადმა, რომელიც მოედინებოდა დარბაისელი სენიორის პირიდან, რომლის თავაზიანი საქციელი და გულკეთილი ადამიანის გარეგნობა არავითარ საბაბს არ იძლეოდა ეჭვი შეგეტანათ, რომ მას შეეძლო ასეთი აფეთქება. როგორც თვისებათა აქვთ განგების ახირებულობით დიდ თანამდებობაზე აყვანილ ყოველ მდაბალ, არარაობად ქცეულ პიროვნებებს, მოსამართლე ლებრონს თავი უხეშად და ქედმაღლურად ეჭირა სუსტ ან მორიდებულ ადამიანებთან, სამაგიეროდ ძლიერების ეშინოდა და იბნეოდა მათ წინაშე. მოისმინა რა სასტიკი პასუხი ვალენსუელასი, რომლის თვალები ცეცხლს აფრქვევდა, ამაყი შესახედაობა მეტყველებდა შეურაცხყოფილ ღირსებაზე და აღშფოთებულ სათნოებაზე, იგი მაშინვე მიხვდა, რომ მის წინაშე მტკიცე ხასიათის ადამიანი იდგა, ვალენსუელა დადუმდა, სასამართლოს ხრიკების ოსტატი გონს ვერ მოსულიყო გაკვირვებისგან. ამასობაში, ამაყმა მოხუცმა ქუდი წარბებზე ჩამოიფხატა, ლებრონს ზიზღით შეხედა, გამოუმშვიდობებლად, მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან. გასცქეროდა მიმავალ სტუმარს ლებრონი და ნელ-ნელა მოდიოდა გონს; როცა, როგორც იქნა, შორს მიწყდა თანაბარი ნაბიჯების ხმა, საბოლოოდ დამშვიდებულმა შეჰყვირა:

— ნამდვილი მეამბოხეა, და თავისი პირველობა ძვირად დაუჯდება!

X

თავდაცვის საშუალება

ლიცენციატმა ლებრონმა იმ დღესვე ფეხზე დააყენა მართლმსაჯულების ყველა მსახური და ბრძანა ვალენსუელას დაპატიმრება. ამ ბრძანებას ყური რომ მოჰკრა ხაზინადარმა პასამონტემ, რომელიც მუდამ მონაწილეობდა კოლუმბის ოჯახის საწინააღმდეგოდ ყოველგვარ ხრიკებში, მოსამართლე ლებრონთან გაეშურა ახსნა-განმარტებისთვის:

— ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ, ლიცენციატო? განა შეიძლება დაპატიმრო ისეთი კაცი, როგორიც ვალენსუელაა? ამით მთელ კოლონიას აამხედრებთ ჩვენ წინააღმდეგ. უკეთესია დააპატიმრებინო დონ

ბარტოლომე კოლუმბი, ეს ამბავი, ალბათ, ნაკლებ აურზაურს გამოიწვევს ესპანიოლაზე. იცოდეთ, ვალენსუელას ყოველისშემძლე ნათესავები ჰყავს მეფის კარზე, მაგალითად, დონ ერნანდო დე ეგეა სამეფო საბჭოში...

— აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი, სენიორ პასამონტე, — გონს მოვიდა ლებრონი. — დავივიწყოთ, რაც მოხდა, ბოროტების პატიება — ქრისტიანის მოვალეობაა.

— და დიდსულოვან ადამიანთა თვისება, — დასძინა გესლიანი ღიმილით ცბიერმა არაგონელმა, დასცინა კეთილშობილების ამ ნაძალადევ გამოჩენას.

ამრიგად, მოსამართლის შურისძიებას არ ეწერა ასრულება; მეამბოხის დაპატიმრების ბრძანება გაუქმებული იქნა, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის საქმე მიჩუმდა.

აღშფოთებისგან ჯერ კიდევ აცახცახებული დონ ფრანსისკო სახლში დაბრუნდა და ენრიკეს უამბო თავისი მარცხის ამბავი.

მონათხრობი ისე მოისმინა ჰაბუკმა, იოტის ოდენა გაკვირვება არ გამოუმჟღავნებია, მას მხოლოდ ის დაენანა, რომ მის გამო კეთილმა მოხუცმა ამდენი უსიამოვნება გადაიტანა, რადგან ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომელიც წინასწარ განწირული იყო მარცხისთვის.

— გუნებას ნუ გაიფუჭებთ, ძვირფასო ნათლია, — უთხრა ბოლოს საზრიანმა ჰაბუკმა. — წინათგრძნობა მაქვს, რომ ჩვენი გასაჭირი მალე ჩაივლის და ბოლოს და ბოლოს დავძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც აღმართა ჩვენ წინაშე, სენიორ მოხიკას ბოროტი ნებით.

— სწორი ხარ, შვილო, — დაეთანხმა ვალენსუელა. — მართლა, დამავიწყდა კიდეც მეთქვა, ახლა სრულებით არ მეპარება ეჭვი, რომ მოხიკა მონაწილეობდა ამ ბრიკებში. თვითონ ლიცენციატმა ლებრონმა დაადასტურა ჩემი მოსაზრება, თავხედური გამოხდომით.

— ამაზე წინასწარ შემეძლო დაფიცება, თუმცა დანამდვილებით არ ვიცოდი, ფიცი რომ ცოდვად არ ითვლებოდეს, — დასძინა ენრიკემ.

— იცი, ენრიკილიო, ყველაზე მეტად რა უფრო მაკვირვებს და მაღელვებს ჩვენს საქმეში? — ისევ დაიწყო ლაპარაკი ვალენსუელამ. — შენი სიმშვიდე. შენ ისე უშფოთველი ხარ, თითქოს ეს სამწუხარო დაბრკოლება სრულებით არ გეხება. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ არ გიყვარს შენი საცოლე, არ გწყურია მალე გახდეს შენი ცოლი.

— გულახდილად რომ გითხრათ, სენიორ, — უპასუხა ჰაბუკმა, — ძალიან უკმაყოფილო ვარ მომხდარი ამბით; მაგრამ უბედურებასა და წუენას არ განვიცდი, ისე ვარ მიჩვეული ჩემი სწრაფვის შეკავებას

და იმას. რომ ყოველთვის მახსოვდეს ჩემი წარმოშობა, რომ ბედის არავითარი უკუღმართობა და თავზარი ვერ შესძლებს მოულოდნელად წამომადგეს თავს.

— ზეცამ გაკურთხოს, ჩემო კეთილშობილო! — თქვა გულაჩვილებულმა ვალენსუელამ, — დე შერცხვენ ბოროტის მზრახველი ადამიანები, რომლებიც შენ გაწვალებენ!

— კურთხეული იყავით თქვენ, ჩემო კეთილო დონ ფრანსისკო! — უპასუხა გულაჩუყებულმა კასიკმა. — არასოდეს დამავიწყდება არც თქვენი მადლი, არც მათი სიკეთე, ვინც დაჯილდოებულია ისეთივე დიდსულოვანი გულით, როგორიც თქვენ გაქვთ. მითხარით, სენიორ, რისი გაკეთება გაქვთ ახლა გადაწყვეტილი?

— დღესვე გავგზავნი წერილს ესპანეთში. საღამოს ჩვენ წავალთ დედოფალთან და დონ ბარტოლომესთან გამოსამშვიდობებლად, მერე დავბრუნდებით ლა მაგუანაში, სადაც მშვიდად დაველოდებით ჩემი მეგობრებისგან დედაქალაქში გაგზავნილ წერილებისა და შუამდგომლობის პასუხს. რაიმე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო?

— ნამდვილად არაფერი, სენიორ. თქვენი გეგმები ყოველთვის ისეთი გონივრულია, რომ მე მხოლოდ სიხარულით უნდა შევასრულო ისინი, — მორჩილად უპასუხა კასიკმა.

მალე მათ სადილი მოართვეს; მაგიდასთან ორივე იჯდა ნაღვლიანად, ჰამის თავი არც ერთს არ ჰქონდა. ვალენსუელა წუხდა, რომ ხანგრძლივი და ძნელი მოგზაურობის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ მიზნის მიუღწევლად. კასიკი მძიმედ განიცდიდა შეურაცხყოფას, რომელიც მის მფარველს მიაყენეს და თავს გრძნობდა იმ გაჭირვების უნებურ მიზეზად, რაც შეემთხვა ამ კეთილ ადამიანებს, რომლებიც ასე თავდადებულად ზრუნავდნენ მის კეთილდღეობაზე. ბოლოს მასში მეტყველებდა შელახული თავმოყვარეობა ცხრამეტი წლის ჰაბუკისა, რომელიც სან-ხუანიდან წამოვიდა ცოლის მოსაყვანად და იძულებული გახდა მარტო დაბრუნებულიყო. მაგრამ ყოველგვარ მძიმე განცდაზე მაღლა იდგა, დამჭკნარ ყვავილზე მოფარფატე უშველებელფრთიანი ჩიტის მსგავსად, თავისი ღრმა, უმწიკვლო სიყვარული მშვენიერი ქალიშვილისადმი, მისი საცოლე რომ გახლდათ; ჰაბუკის მწუხარებით აღსილი გული დასტიროდა დაღუპულ ოცნებას ბედნიერებაზე.

ასეთი უსიამოვნო ფიქრებით შეპყრობილმა ენრიკემ დაუყოვნებლივ მისწერა რამდენიმე მოკლე, აღელვებული სტრიქონი ბირველ მფარველს, პადრე ლას კასასს, ხმამაღლა წაუკითხა იგი დონ ფრანსისკოს: მან ძალიან მოუწონა წერილი და ენრიკეს თავის მხრივ უკარნახა ორი წერილი: პირველი, მოკლე და თავაზიანი, ადმირალ დიეგო კოლუმბისადმი, მიუხედავად იმისა, რომ დედოფალმა და დონ ბარ-

ტოლომემ მისწერეს მას წერილი: მეორე — ლას კასასისთვის, რო-
ჭელშიც მომხდარ ამბავს მოკლედ ატყობინებდა: „წინათ ხშირად მიხ-
დებოდა თქვენი გზნების განელება და თქვენი თავგამოდებული მო-
უთმენლობის შეკავება; ახლა კი გთხოვთ, ძალიან ვეცადოთ, რაც შე-
იძლება მალე შევარცხვინოთ ბოროტი მოშურნეები, ამ კუნძულზე
მომხდარი ყოველგვარი უბედურების მოქმედნი. დე. რაც შეიძლება
მალე ჩამოვიდეს მშველელი და მოგვაშოროს ჩვენი ენრიკილიოს ქორ-
წინების ყოველგვარი დაბრკოლებები".

შემდეგ ვალენსუელამ თავისი ხელით დაწერა მესამე წერილი სა-
მეფო საბჭოს წევრ დონ ერნანდო დე ვეგას სახელზე. მას მიმართავ-
და, როგორც ახლობელ ნათესავს და მეგობარს. მხურვალედ სთხოვ-
და ყურადღებით მოესმინა ლას კასასისთვის, რომ აეცილებელი ზო-
ნები მიეღოთ წამოპრილი სიძნელეების ემოკლეს ხანში გადასაჭრე-
ლად.

დასავლეთით ქრებოდა მზის უკანასკნელი სხივები. როცა დონ
ფრანსისკომ და კასიმა წერილები დაბეჭდეს და კოლემბის სასახლე-
ში წავიდნენ: იქ მათ, როგორც ჩანს, ელოდნენ, რადგან დედოფალი
მაშინვე გამოვიდა მათთან, დონ ბარტოლომეს პალატისკენ მათთან ერ-
თად წასასვლელად. მოხუცი უკვე ოდნავ დამშვიდებულიყო ორი
ვრცელი წერილის — მეფისა და ადმირალისთვის — დაწერის შემდეგ.
რომელსაც მეფის მოხელეებზე მწარე ჩიეილი და მათი უკანონო შე-
ურაცხმყოფელი მოქმედებების ვრცელი სია ახლდა. გაღიზიანებულ
დონ ბარტოლომეს მტკიცედ სჯეროდა, რომ მეფე ყურს არ წაუყრუ-
ებდა მის საჩივარს და მხილებული დამნაშავენი მიიღებდნენ დამსა-
ხურებულ სასჯელს. ამ რწმენამ დაუმშვიდა გული დონ ბარტოლომეს
და დროებით შეუმსუბუქა წყენა. მაგრამ გადატანილ მღელვარებას არ
შეიძლებოდა კვალი არ დაემჩნია მოხუცის ჯანმრთელობაზე. და მას
დედოფლისა და კეთილი მეგობრების მიღება ლოგინში ეწოლიარეს
მოუხდა.

ვალენსუელა მოკლედ მოჰყვა მოსამართლე ლებრონთან შეტაკების
ამბავს და მოწონების შეძახილებით იქნა დაჯილდოებული პირდაპი-
რობისთვის, ხელრე რომ შეახურა. დონ ბარტოლომე გულიანად ბარ-
ხარებდა; მხოლოდ ასე უნდა მოექცე ავაზაკებს, რომლებიც ბოროტად
იყენებენ ძალაუფლებას, რადგან ავიწყდებათ, რომ მოწოდებულნი
არიან არა პატიოსან ადამიანთა შეურაცხმყოფელად, არამედ მართლ-
მსაჯულებისთვისო. „შარაგზის მძარცველი, — დასძინა მან, — მათზე
პატიოსნად იქცევა; ვინც ძარცვავს, ის ხომ მოქმედებს საკუთარი პა-
სუხისმგებლობითა და რისკით, რადგან სიცოცხლეს საფრთხეში იგ-
დებს, ეს უფლებამოსილი თაღლითები კი უკანონო საქმიანობას ეწე-
ვიან მეფის სახელით, ისე, რომ არავითარ რისკზე არ მიდიან".

საუბარი ერთ საათზე მეტხანს გრძელდებოდა; დედოფალმა პირობა დადო, რომ დაუყოვნებლივ გასცემდა ბრძანებას ღუზაზე მდგარი კარაველა ზღვაში გაესალღურებინათ დილისთვის, რათა ესპანეთში წაეღო უკვე დაწერილი წერილები და ისინიც რომელთა დაწერასაც მეფის კარზე გასაგზავნად საჭიროდ ჩათვლიდნენ დედოფალი და მისი მახლობლები. დონ ბარტოლომეს დარბაზიდან გასული ვალენსუელა და ენრიკე შევიდნენ მენსიასთან და სხვა მანდილოსნებთან გამოსამშვიდობებლად. რადგან მათ მეორე დილით ლა მაგუანაში წასვლა ჰქონდათ განზრახული. ვალენსუელამ უარი თქვა ყოველგვარ მონახულებაზე. რაც შექმნილ მდგომარეობაში მეტისმეტად მძიმე იყო მისთვის. ენრიკეს საცოლესთან გამოთხოვების დროს ბევრი არ ულაპარაკია, ჩვეულებრივ სერიოზულად და თავდაჭერილად იქცეოდა.

— ღმერთმა არ ინებოს, რომ ახლავე გამხდარიყავი ჩემი ცოლი, — უთხრა მან. — ვემორჩილები მის ნებას და მისი იმედი მაქვს. მიყვარხარ, მენსია, და ყოველთვის შენზე ვფიქრობ. ელოდე ჩემგან წერილებს. შენც მომწერე წერილი, იფიქრე ჩემზე და არ დაივიწყო, რომ შენი სიყვარულია ჩემი ერთადერთი სიხარული ამქვეყნად.

— კარგი, ენრიკე, — უპასუხა აღელვებულმა ქალიშვილმა. — მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ ყველაზე მეტად ამქვეყნად. მოგწერ ხოლმე წერილებს და ვილოცებ შენთვის.

ვალენსუელას შემდეგ კასიკმა აკოცა ხელზე დედოფალს და ხელი ჩამოართვა ყველა მანდილოსანს, რომლებიც გულითადად გამოეთხოვნენ მათ. როცა მერე მორიდებული მოწიწებით აიღო მენსიას ხელი, აგზნებულმა ელვირამ ვერ მოითმინა:

— თქვენი მამიდაშვილის ადგილზე რომ ვიყო, ენრიკე, მართალი გითხრათ, გაუბრაზდებოდი ასეთი გულგრილობისთვის. სენიორა დედოფალი ორაფერს არ იტყვის, თუ გამოსამშვიდობებლად აკოცებთ თქვენს საცოლეს. განა სწორი არ არის, სენიორა?

— სრული სიმართლეა,— უპასუხა დედოფალმა კეთილი ღიმილით.

ენრიკე ტუჩებით შეეხო ახალგაზრდა ქალიშვილის ნათელ შუბლს, თავი დაუკრა მანდილოსნებს და გაჰყვა ვალენსუელას, რომელიც სასტუმრო ოთახიდან გადიოდა.

XI

თუ ეს არა, მაშინ სხვა...

ხომალდი, რომელსაც ესპანეთში უნდა ჩაეტანა ჩვენი გმირების წერილები და მათში გამოხატული მისწრაფება და იმედები, ნავსადგურიდან გავიდა მხოლოდ მეორე დღის საღამოს. მეფის მოხელეებმა

ვერ გაბედეს მისი დაკავება ნაისადგურში: ჰხოლოდ ის ჰოახერხეს, რომ გასამგზავრებლად აუცილებელი საბუთების გაფორმებას მთელი დღე მოანდომეს, რათა მოესწროთ დაეწერათ და ამავე ხომალდით გაეგზავნათ წერილები თავიანთი მეგობრებისა და მფარველებისათვის ესპანეთში.

სენიორ ვალენსუელა და ენრიკე გზას გაუდგნენ მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე. ღამით სწრაფად გაეჭზადნენ, ყველაფერზე ძნელი აღმოჩნდა ტამაიოს დაშოშმინება, რომელიც გაიფთრდა, როცა გაიგო. ქორწილი ჩაიშალა და ლა მაგეანაში მეწისქვილის გარეშე უნდა დაბრუნებულიყვნენ. რამდენიმე სიტყვით აუხსნეს მომხდარი ამბავი. და ტამაიომ მაშინვე მოისაზრა, რომ ყველაფერში დამნაშავე იყო მოხიკა; ბატონისთვის უსაზღვროდ თავდადებულმა მამაცმა ინდიელმა დაიფიცა, ისე არ წასულიყო სანტო-დომინგოდან, ვიდრე ავაზაკზე საკადრისად არ იძიებდა შურს, თუნდაც სიცოცხლის ფასად. ენრიკე დაემუქრა ერთგულ მსახურს და უთხრა, თუ გონს არ მოეგებოდა და თავს არ შეიკავებდა, სამუდამოდ დაკარგებოდა მას. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ: ტამაიო ქარავნის თავში იქნებოდა მსახურთა შორის, რომლებიც, თავიანთ პატრონებს მიჰყვებოდნენ უკან, როგორც კი ბარგს ჩაალაგებდნენ.

მაგრამ ასე ადვილი როდი იყო ჯიუტის თავიდან ახირებული აზრების ამოგდება. როგორც კი ვალენსუელა და ენრიკე მარდი ცხენებით ქალაქიდან გავიდნენ და გზის პირველ მოსახვევს მიეფარნენ, ტამაიომ მკვახედ და მტკიცედ მიმართა მსახურებს, რომლებიც მას ჰყავდა მინდობილი:

— ახლა, აქ მე ვმეთაურობ, და ვინც ურჩობას ეცდება, იმ წუთში მოვუგრეხ კისერს.

— კარგი, ბატონო, — ერთხმად უპასუხეს ინდიელებმა.

— შენ აქ უფროსად ხარ დატოვებული, — მხარი აუბა მათ ანდალუსიელმა ესპანელმა მსახურმა, რომელიც სისულელეში გაეჯიბრებოდა, თუნდაც ბენტერა გალისიელს.

— მაშ, მომისმინეთ, რას გეტყვით, — დაიწყო ტამაიომ. — ყველაფერი ჩააბარგეთ და მზად იყავით. ჩვენ აქ ქალისთვის ჩამოვედით და უქალოდ ფეხსაც არ მოვიცვლით.

მეტი ალარაფერი უთქვამს, ისე გაემართა ეკლესიისკენ, რომელიც ზარის რეკვით მოუხმობდა მორწმუნეებს წირვაზე. მზის პირველი სხივები ოქროსფრად აელვარებდა სახლის სახურავებსა და დახვეწილ კაპიტელს ტაძრისას, რომლის მახლობლად შენდებოდა დიეგო კოლუმბის მიერ ესპანეთში გამგზავრებამდე წამოწყებული ტაძარი; ამ დიდებულმა შენობამ მრავალი წლის შემდეგ მიიბარა მისი ცხედარი: იქვეა, მცდარი მტკიცების მიუხედავად, მისი სახელგანთქმული მამის

ნაშტიც. მუშები და პეონი-ინდიელები ხუთი-ათ კაციან მცირე ჯგუფებად მიიჩქაროდნენ მშენებლობისკენ, ზედამხედველები კი მოკლე განკარგულებებს იძლეოდნენ და მიდიოდნენ წირვაზე სხვა მლოცველებთან ერთად, რომლებიც ყოველი მხრიდან მოედინებოდნენ ეკლესიაში.

ტამაიო დაძაბულად ჩასცქეროდა სახეში ყველა ქალს, რომელიც გამოჩნდებოდა ფართო მოედანზე. კარიბჭესთან დაიკავა ადგილი და ისეთი სახე მიიღო, თითქოს შორიახლო მოფუსფუსე მშენებლების ყურებაში იყო გართული. ერთმა შემთხვევამ, მართლაც, დროებით მიიპყრო მისი ყურადღება ისე, რომ ჩანაფიქრ გეგმას ჩამოაშორა: რომელიღაც საცოდავი, გამხდარი ინდიელი ამაოდ ცდილობდა ადგილიდან დაეძრა უშველებელი ქვა, გამხეცებულმა ზედამხედველმა შოლტი გადაუქნია შიშველ ზურგზე უბედურს და წააქცია. გააფთრებული ვეფხვივით ეცა ტამაიო ორფეხა მხეცს, ხელიდან შოლტი წაგლიჯა და სახეში გააწნა შეურაცხმყოფელს.

— ასე მოუხდება! — შეჰყვირა მოხუცმა მმართველმა, რომელიც იქვე იდგა და მოღუშული ადევნებდა თვალს ამ ამბავს.

ატყდა ერთი ალიაქოთი: იქაურობას ხალხი მოაწყდა, ალგვასილმა ტამაიო დაიჭირა და წაათრია საშინელი ყვირილით: „დაპატიმრებული ხარ!"

ტამაიოს წინააღმდეგობა არ გაუწევია და, ის იყო უნდა გაჰყოლოდა ალგვასილს, რომ მოხუცმა მმართველმა მოუსწრო:

— ცუდად ასრულებ შენს მოვალეობას, ანტონ რობლეს. რატომ არ დაგებადა აზრი გეკითხა, რა მოხდა? ეს კეთილი ადამიანი დამნაშავე არ არის, შენ კი პასუხისგება არ მოგიხდეს დონ ფრანსისკო დე ვალენსუელას მსახურის დაპატიმრებისთვის.

ალგვასილმა შიშით შეხედა მოხუცს: ვალენსუელას სახელი კარგად იყო ცნობილი და პატივისცემით სარგებლობდა.

— მერწმუნეთ, დავიბენი, მასტერ მარტინეს, — უპასუხა ალგვასილმა, — უცებ ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. თქვენ ხომ ვერ მეტყვით, რა მოხდა?

მოხუცმა მმართველმა, სამართლიანმა და პატიოსანმა კაცმა, უამბო, როგორ მოხდა ყველაფერი, და დასძინა, ტამაიო რომ არ ჩარეულიყო საქმეში, თვითონ დასჯიდა ზედამხედველს უბედური, უდანაშაულო ინდიელისადმი სასტიკად მოპყრობისთვის, — უძლურება ხომ დანაშაული არ არის.

ასეთი განმარტების შემდეგ წესრიგის დამცველმა, რომლის ყურში ისევ გაისმოდა ყოვლისშემძლე ვალენსუელას სახელი, ტამაიო გაანთავისუფლა, მაგრამ ურჩია მომავალში ფრთხილად ყოფილიყო,

ზედამხედველი კი დატუქსა ტაძრის მშენებლობაზე მომუშავე ინდიელებისადმი ულმობლად მოპყრობისთვის.

შეწუხებული ტამაიო გზას მიიკვლევდა ცნობისმოყვარეთა შორის და, უარი თქვა ჩანაფიქრზე, რამაც იგი მოედანზე მიიყვანა, ის იყო სახლისკენ უნდა გაბრუნებულიყო, რომ ამ დროს ბედმა ინება მისთვის მოწყალება გაეღო: ახალგაზრდა ლაპაზმა შავგვრემანმა ქალმა მას სახელი დაუძახა, კარგი ნაცნობივით.

მამაც ინდიელს სახე გაუბრწყინდა; იცნო ახალგაზრდა ქალი, მხიარული შეძახილით უპასუხა და ერთი ნახტომით მის გვერდით აღმოჩნდა.

— ანიკა, — უთხრა ინდიელმა, — მე ხომ შენ გამო მოვედი მოედანზე, მაგრამ ვიჩხუბე და კინაღამ გისოსს იგჭით ამოვყავი თავი.

— რა თქმა უნდა, ტამაიო, ყველაფერი დავინახე: შენ შური ძიე ჩვენი უბედური ძმისთვის; იგი უნდა იწვეს და ისვენებდეს, ქვებს კი არ უნდა აბრუნებდეს. შენ რომ შეგეპყრეს, მიველი უბედურთან და მივეცი ყველაფერი, რაც გუშინ მიეიღე დონ პედროსგან.

— ძალიან კარგი, ანიკა, — უთხრა ტამაიომ. — ახლა კი მომყევი. ენრიკილიო გზაზე გიცდის.

— რას ლაპარაკობ! — გაოცდა ქალიშვილი. — მე ხომ სახლიდან მხოლოდ წირვაზე წასასვლელად გამოვედი, მერე საუზმე უნდა დავამზადო, ხომ იცი, დონია ალფონსა ავადაა...

— ვიცი, ვიცი, — სწრაფად შეეპასუხა ტამაიო, — მაგრამ ეს არაფერია. დონია ალფონსა თავისი სატკივარითა და წელკავით, დონ პედრო, რომელიც ჯერ საუზმობს და ირთვება, შემდეგ კი შეუდგება ხოლმე თავის საზიზღარ ხრიკებს, — ეს ყველაფერი დიდი ხანია ვიცი. ახლა კი გამომყევი, ასე ბრძანა ენრიკილიომ. მე დავითანხმე: უკვე გადაიფიქრა მამიდაშვილის შერთვა, სენიორ ვალენსუელა კი თანახმაა, რომ ლა მაგუანაში გამომყვე. მე ხომ ბიძად გეკუთვნი.

— არაფერს მიზამენ, დონია ალფონსასგან თუ წავედი? — გაუბედავად იკითხა ქალიშვილმა.

— ვის შეუძლია სიტყვა შეუბრუნოს სენიორ ვალენსუელას, სულელო? — უპასუხა ეშმაკმა ინდიელმა... — შენ ხომ თვითონვე ნახე, როგორ გამიშვეს — მიბრძანდი, საითაც გნებავსო, როგორც კი ჩემი ბატონის, დონ ფრანსისკოს სახელი გაიგონეს. ულაპარაკოდ წამომყევი, ტყუილუბრალოდ დროს ნუ კარგავ.

— კარგი, წამოვალ, — თქვა ანიკამ. — სულაც არ მებრალება დონ პედრო, პირში ჩალაგამოვლებული რომ დავტოვო: დონია ალფონსა კი ისეთი ბრაზიანი და ჭირვეულია...

— თავს ნუ იმართლებ, გოგონავ, ყველაფერი ვიცი. ჩვენი წასვლის დროა.

ტამაიო სწრაფად გაუდგა გზას ინდიელი ქალის თანხლებით: როცა შინ მივიდნენ, მის ამხანაგებს უკვე ჩაელაგებინათ მთელი ბარგი-ბარხანა, და ქარავანი გზას გაუდგა; საჭონელი წინ გაირეკეს, მსახურნი უკან მიჰყვებოდნენ, მათ შორის კი, თითქოსდა აქ არაფერიაო, გამველელთა ყურადღება რომ არ მიექციათ, ლაპარაკით მიდიოდა ქალიშვილი.

ქალაქი უკან ჩამოიტოვეს, ქალიშვილი საუკეთესო ცხენზე შესვეს და ყველამ აუჩქარა ნაბიჯს. ამრიგად, ინდიელმა სისრულეში მოიყვანა შურისძიების გეგმა — მშვენიერი ანიკა ხომ, თუმცა თავისდაუნებურად, სიცოცხლეს უტკბობდა ინტრიგან დონ პედრო დე მოხიკას, რომელიც მას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

XII

ანიკა

ახალგაზრდა ინდიელი ქალი ბავშვობიდან ემსახურებოდა კონტადორ დონ კრისტობალ დე კუელარს; რადგან სხვა ინდიელებისგან გამოირჩეოდა სილამაზითა და საზრიანობით, მეტისმეტად შეუყვარდა საბრალო მარიას, დონ კრისტობალის უბედურ ქალიშვილს, რომელმაც ერთი კვირაც ვერ იცოცხლა იმ დღიდან, როცა მამამ ძალით მიათხოვა დიეგო ველასკესს. კუბაში გამგზავრების წინ, სადაც ქალწულად სიკვდილი ეწერა, — იგი ხომ მხოლოდ ფორმალურად გახდა გუბერნატორის მეუღლე, — მარია წუხდა, რომ არ შეეძლო თან წაეყვანა ანიკა, თავისი ნათლული; განსაკუთრებული ბრძანებულებით, სასტიკად იკრძალებოდა ესპანიოლას მკვიდრი ინდიელის სხვა კუნძულზე წაყვანა, რადგან რეპარტიმიენტოს უმოწყალო სისტემის შედეგად ესპანიოლა ალიბურკერკეს წყალობით მთლად გაუკაცრიელდა.

ანიკა კონტადორის სახლში დარჩა, ვიდრე სინდისის ქენჯნით დატანჯულმა, მეფისგან არ მიიღო ნებართვა გადაეყვანათ სხვა თანამდებობაზე, და არ წავიდა იმ ადგილიდან, სადაც ყველაფერი აუტანლად აგონებდა ქალიშვილს, რომელიც მამის პატივმოყვარეობას შეეწირა მსხვერპლად. მლიქვნელი დონ პედრო დე მოხიკას მიერ მეგობრული სამსახურის გაწევისთვის კრისტობალმა, მადლიერების ნიშნად, ნებართვა აიღო და ხარბ იდალგოს გადასცა თავისი ყველა ინდიელი მსახური, რომლებიც მას მოეწონა.

კანონი კრძალავდა ახალგაზრდა ინდიელი ქალების გადაცემას უცოლო მამაკაცებისთვის, და რადგანაც დონ პედრო უცოლო იყო, საჭირო გახდა სხვა პირის მონახვა, ვის სახელზეც ჩაირიცხებოდა

ანიკა, ლამაზი თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რომელიც გარყვნილი მოხიკას მზერას იპყრობდა და უღვიძებდა ცოდვილ გრძნობას.

არჩევანი შეჩერდა იდალგოს მეგობარ ქალ ალფონსაზე, ღრმად მოხუცებულ ქვრივზე, რომელსაც ცუდი სახელი ჰქონდა. აი რა გზით აღმოჩნდა საბრალო ქალიშვილი ავხორცი მახინჯის ხელში; ასეთია სამარცხვინო შედეგი მონობისა, რომელმაც გაუგონარი უბედურება მოუტანა კოლუმბის ქვეყანას და დღემდეც ბილწავს მას მძიმე დანაშაულებებით. მოხდა ის,. რაც უნდა მომხდარიყო და რისი მიხვედრაც მკითხველს არ გაუჭირდება.

მაგრამ ანიკას ქალწულებრივ გულში ადრინდებულად ენთო სუფთა გრძნობა, და მოხიკას უხეში ვნება უძლური იყო მის შესანელებლად ან ჩასაქრობად; იგი ცოცხლობდა და სასოწარკვეთას უძლიერებდა უმწეო ქალიშვილს, რომელიც საბიზნესო ურჩხულის კლანჭებში იყო მოხვედრილი. იმ დროს, როცა მარია კუელარი დედოფლის კარის მანდილოსანი იყო, ანიკა, როგორც თავისი ქალბატონის საყვარელი და მესაიდუმლე, ჩვეულებრივ, სასახლეში თან ახლდა ხოლმე; იქ ხშირად შეხვედრია ენრიკეს, და ამ შეხვედრებმა წარუშლელი კვალი დატოვა ქალიშვილის მგზნებარე სულში. ანიკას უსაზღვროდ შეუყვარდა ახალგაზრდა კასიკი, და იმის იმედით, რომ მასშიც გააღვიძებდა საპასუხო გრძნობას, ტამაიოს დაუმეგობრდა, რომელიც თავის ბატონთან ერთად ფრანცისკანელებთან იყო შეფარებული; ანიკასა და ტამაიოს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, და მათ გარშემო მყოფებმა ისინი ბიძად და ძმისშვილად სცნეს. როგორც ცნობილია, ტამაიო ყოველთვის ცდილობდა თავი გამოეცხადებინა მათ მეგობრად, ვინც უყვარდა, ტყუილად ხომ არ არწმუნებდა ყველას, რომ ხარაგუელი და ბაორუკოელი კასიკების ნათესავი იყო, ოღონდ გაურკვეველი იყო სახელდობრ როგორი.

ენრიკილიო გულგრილი გახლდათ ახალგაზრდა ინდიელი ქალისადმი; მეგობრულად ექცეოდა მას, მაგრამ იმავე დროს ფრთხილობდა საპასუხო გრძნობის მცირე იმედიც კი არ მიეცა მისთვის. და ქალიშვილს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დაეფარა თავისი სიყვარული. მხოლოდ ტამაიოს უზიარებდა თავის გულისტკივილს, სწორედ ამიტომ იყო, რომ ინდიელ ქალიშვილზე განუსაზღვრელი უფლება მოიპოვა; საბრალო უდრტვინველად ასრულებდა მის ყოველ რჩევასა და ბრძანებას.

ამით აიხსნება, თუ ტამაიომ რატომ ჩაიფიქრა სწორედ ამით ეძია შური მოხიკაზე. რომელმაც ფათერაკი შეჰყარა სენიორ ვალენსუელას და ენრიკეს, და რატომ იყო, რომ ეს ჩანაფიქრი ასე იოლად მოიყვანა სისრულეში.

— ქალი ქალის ნაცვლად, — კმაყოფილებით იმეორებდა თავის-

თვის ლა მაგუანასკენ მიმავალი ფხიანი და ერთგული მსახური. — სულ ერთი არ არის, ანიკა იქნება თუ მენსია. ჩვენ შევძელით მსხვერპლი წაგვეგლიჯა იმ წყეული დონ პედროს კლანჭებიდან; ავაზაკი თავის თავზე გამოსცდის, თუ როგორია ჩემი ბატონების დაცინვა, ალბათ, ინანებს, რომ ენრიკეს ოინი მოუწყო.

კარგად მოშიებული ვალენსუელა და ენრიკე მდინარე ნიგუას ნაპირზე მოუთმენლად ელოდნენ დაგვიანებულ ქარავანს; ტამაიოსთან ერთად მომავალი ქალიშვილის დანახვაზე, ისინი შეცბნენ. ტამაიოს სულაც არ შერცხვენია, ისე მოკლედ მოჰყვა მომხდარი ამბავი; დიდად აღშფოთდნენ ვალენსუელა და ენრიკე, როცა მიხვდნენ. სანამდე მივიდა უგნური მსახურის უსაზღვრო მონდომება. მოხუცმა სენიორმა დატუქსა იგი, მაგრამ ბოლოს თქვა:

— სინანული გვიანღაა. სანტო-დომინგოში ხომ არ დავბრუნდებით საქმის გამოსასწორებლად: ქალიშვილის გზაზე დაგდებაც, უსარგებლო ნივთივით, არ ვარგა. ამრიგად, შვილო, გზა განვაგრძოთ, ბიძაშენის ტამაიოს და მოხუცი კამაჩოს მზრუნველობის ქვეშ იცხოვრებ, უკმაყოფილო არ იქნები.

შესვენების დროს, მადიანად ჭამდა ვალენსუელა და თავის აღზრდილს გულმართლად გამოუტყდა:

— ღმერთს გეფიცები, ენრიკილიო, ტამაიოს ოინს სულაც არ შევუწუხებივარ, პირიქით, გამახარა, მას თვით ღმერთმა ჩააგონა გაემახარაებინა მოხიკა. დე გაბრაზდეს და იცოდეს, რომ ჩვენი დაცინვა დაუსჯელად არ შეიძლება. კარგი იქნებოდა კიდევ ასეთი მამაცის მონახვა, და ოინის მოწყობა ძველი თაღლითის პასამონტესთვის, რომელიც არცხვენს ჭაღარას და სამეფო ხაზინას ფლანგავს საკუთარი ჰარამხანისთვის.

გზას განაგრძობდნენ: ქალაქ ასუას რომ მიაღწიეს, ვალენსუელამ წერილი გაუგზავნა თავის მეგობარს, დონ გარსია დე აგილარს, ყველაფერი მისწერა და სთხოვა მოეგვარებინა, თუ რამე დაბრკოლების მაგვარი წამოიჭრებოდა ქალიშვილის მოტაცებასთან დაკავშირებით; დე ეს შემთხვევა იყოს ჭკუის სასწავლებელი გარყვნილებისათვის და წესიერების განმამტკიცებელიო. აგილარმა, რომელიც ვერ იტანდა თავაშვებულ იდალგოს, რ.დგან მან მოუსპო ბედნიერება მარია დე კუელარს, ახალგაზრდა ქალის ხსოვნის პატივსაცემად, პირობა დადო ხელი შეეშალა მოხიკას ყოველგვარი ცდისთვის ემოქმედა სასამართლოს მეშვეობით. სინამდვილეში, როგორც კი დაზარალებულმა გადადგა პირველი ნაბიჯი და მოითხოვა მოტაცებული შეყვარებულის დაბრუნება, პატიოსანმა დონ გარსიამ საპასუხო დარტყმა აგემა, მან ამხილა ეშმაკური ფანდები, რომელთა წყალობით მოხიკამ უფლებები მოიპოვა ქალიშვილზე.

ბილწი მახინჯი იძულებული გახდა შერიგებოდა თავსდატეხილ უბედურებას, აგილარმა კი ორი კვირის შემდეგ ვალენსუელას მისწერა შემდეგი სტრიქონები: „შეგიძლიათ მშვიდად დატოვოთ ანიკა თავის საბნში, თავის ბიძასთან ერთად, დონია ლეონორისთვის ჩაბარებულად, თქვენი უმაღლესი მფარველობის ქვეშ. აღმოჩნდა, რომ ანიკა უკანონოდ იყო გადაცემული ლიცენციატ სანჩო ველასკესისთვის ასეთი აღნიშვნით — „სიის გარეშე". თაღლითობა მხილებულია, თაღლითები დამარცხდნენ".

XIII

მოციქული

დრო მიდიოდა, დიეგო კოლუმბის უსინდისო მტრები სანტო-დომინგოში განაგრძობდნენ საზიზღარი ხრიკების მოწყობას; ყოველ ახალ დღეს მოჰქონდა ადმირალის მეუღლისა და მისი ახლობელი მეგობრების ახალი შეურაცხყოფა. საწოლზე მიჯაჭვულ დონ ბარტოლომეს ჯანმრთელობა სწრაფად ქრებოდა. მისი დაუოკებელი ხასიათი ვერ ურიგდებოდა თავხედურ გამოხდომებს მეფის მოხელეებისა, რომლებიც მისი საყვარელი ძმისშვილების წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებული. ნერვიულობა აცლიდა ისედაც გამოლეულ ძალას, და ბოლოს იგი ჩაქრა; მტკიცე მებრძოლი, რომელმაც მძიმე, სასტიკი განსაცდელის ჟამს გამოავლინა დიდი ზღვაოსნის ღირსეული ძმობა, დააუძლურა გაჭირვების ტვირთმა. მწარედ დასტიროდა მას დედოფალი და დიდებული გასვენება მოუწყო; ასე შეასრულა მან წმინდა ვალი თავისი სახელოვანი ნათესავის წინაშე.

დონ გონსალო დე გუსმანის ჯერი დადგა, მასაც ძვირად უნდა დასჯდომოდა ადმირალის ოჯახის ერთგულება. მისი კეთილშობილება, დიადი სიამაყე, პასამონტეს და დიეგო კოლუმბის სხვა მოშურნეებისადმი დაუფარავი სიძულვილი, ურყევი მხარდაჭერა დონია მარია დე ტოლედოსთვის, — აი, მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს მისადმი რისხვა ყოვლად ძლიერი დიდებულებისა, რომლებმაც მიაღწიეს გუსმანის გადასახლებას კუბაში; დიდგვაროვანმა სენიორამ დაკარგა ერთგული მეგობარი. ამასობაში გარისია დე აგილარი, რომელსაც ეშინოდა დაზარალებისა, თავისი მეგობრის დონ გონსალოს მსგავსად, თუ იმის გამო, რომ დედოფლის დახმარება სურდა, წავიდა ესპანეთში, რომ ადმირალისა და მისი მომხრეებისთვის ჩაეტანა ახალი მტკიცებანი თვითნებობისა და უკანონობისა, რასაც სჩადიოდნენ მეფის მსახურად წოდებულნი ესპანიოლაზე, სადაც კოლუმბის ოჯახის ძალაუფლება და გავლენა ფუჭ სიტყვად იქცა. მეფე ყოველთვის უურადღებით ისმენდა ადმირალისა და მისი ღირსეული მეუღლის

ყველა საჩივარს, მას არაერთხელ გაუცია ბრძანება გამოეჩინათ სა-კადრისი პატივისცემა, მით უმეტეს, რომ დედოფალი ესპანეთის მო-ნარქის ახლო ნათესავი გახლდათ. მაგრამ მტრების ცბიერი ხრიკები ყოველთვის არარად აქცევდნენ მეფის ყოველ ბრძანებას, რომელიც ადმირალის სასარგებლო იყო, რადგან არასწორად გებულობდნენ და უფრო ცუდად ასრულებდნენ მას მოხელეები სანტო-დომინგოში. მეფე ფერდინანდის ძალა და მისი ოდესღაც ძლიერი სულისკვეთება ილეოდა ცბიერი, უპატიოსნო ფავორიტების წყალობით, რომლებიც ახალი ქვეყნის საქმეებს განაგებდნენ, მონარქს მხოლოდ სიმბოლური ძალაუფლება შერჩა.

ასეთი იყო მდგომარეობა ესპანეთში, როცა პადრე ბარტოლომე ლას კასასი პირველად წარდგა მეფის წინაშე, მას წინასწარ შეპირე-ბული ჰქონდა მხურვალე რეკომენდაცია სევილიელი არქიეპისკოპო-სის დიეგო დე დესასი, რომელთანაც იგი წარადგინა გაბედულმა და მტკიცე ანტონ დე მონტესინომ.

კათოლიკე მეფესთან შესვედრა მოხდა პლასენსიაში. ფერდინანდ-მა მოწყალებითა და კეთილმოსურნედ მოუსმინა მღვდელს, რომელ-მაც მჭევრმეტყველურად გააცნო მეფეს, როგორი მდგომარეობა იყო ახალ ქვეყანაში, და ხელმეორედ მიღებას დაპირდა; მაგრამ როცა ეპისკოპოსის სარეკომენდაციო წერილი მეფის ხელიდან მის მდივან კონჩილიოსთან მოხვდა, საქმე უცბად შეფერხდა; კაცთმოყვარე მოძღ-ვარს ეშვი შეეპარა, რომ პედრო დე კორდოვა მართალი იყო, როცა გამოთხოვებისას სანტო-დომინგოში უთხრა:

„პადრე, შრომა ამაოდ არ ჩაიელის, რადგან ღმერთი ხედავს ამას; მაგრამ დარწმუნებული იყავით, სანამ მეფე ცოცხალია, თქვენ ვერ მიაღწევთ ამას, რასაც მე და თქვენ ასე ვესწრაფვით".

მეფის მოძღვრის ტომას მატიენსოს დახმარებით, ლას კასასმა მი-აღწია მხოლოდ ახალი აუდიენციის დაპირებას სევილიაში, სადაც 1515 წლის ბოლოს მეფის კარი აპირებდა გადასვლას. ამასობაში იმავე ძმა ტომასის რჩევით ლას კასასი სასაუბროდ წავიდა ლოპე დე კონ-ჩილიოსთან და ეპისკოპოს ფონსეკასთან. პირველმა, როგორც ცბიერ-მა კარისკაცმა, სცადა თავის მხარეს გადაებირებინა ლას კასასი და მაცდუნებელი წინადადება შესთავაზა, რომელიც გულისწყრომით იქნა უარყოფილი ინდიელების კეთილშობილი დამცველის მიერ. ფონსე-კამ უხმოდ მოისმინა შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებათა ამბავი, რომელიც ხდებოდა ახალ ქვეყანაში და ბოლოს, აღშფოთებული იმით, რომ ლას კასასი ბედავს ასე მოურიდებლად უკაკუნოს მის გაჭ-ვავებულ გულს, ქედმაღლურად შეაწყვეტინა მთხრობელს სა-უბარი:

— ერთი დამიხედეთ, ამ სულელს! რა საქმე მაქვს ამ ამბავთან და რა საქმე აქვს ამასთან მეფეს?

როცა ასეთი თავხედური და სამარცხვინო პასუხი მოისმინა, ლას კასასმა ხმა აღიმაღლა და ეკლესიის სინდისდაკარგულ მსახურს პირში მიახალა;

— როგორ, არც თქვენს მოწყალებას და არც მეფეს საქმე არა აქვს იმასთან, რომ ხალხი იღუპება? ღმერთო ძლიერო! ვის უნდა ესაქმებოდეს ეს ამბავი, თუ არა თქვენ?

ამ სიტყვების შემდეგ ლას კასასი მიბრუნდა და წავიდა, უფრო მეტად დარწმუნებული, ვიდრე ოდესმე, თავის კეთილშობილურ განზრახვაში, გადაეღახა ყოველგვარი დაბრკოლება და ინდიელები გაენთავისუფლებინა მონობის ბორკილებიდან.

პლასენსიიდან ლას კასასი სევილიაში გაემგზავრა, რათა იქ მოეცადა მეფისთვის: ავადმყოფი ფერდინანდ კათოლიკეს მდგომარეობა გზაში გაუარესდა, და მადრიგალეხოსის უბადრუკ ფუნდუკში განუტევა სული ორი სამყაროს მპყრობელმა, თავისი დროის ყველაზე იღბლიანმა პოლიტიკოსმა და ყველაზე ძლიერმა მონარქმა.

ამ ამბავმა ფარ-ხმალი ვერ დააყრევინა ლას კასასს: გადაწყვიტა ყველაფერი მოემზადებინა ფლანდრიაში წასასვლელად, რომ იქ მოეხერხებინა აუდიენცია ტახტის მემკვიდრე დონ კარლოს ავსტრიელთან; იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა მადრიდში. კარდინალ ხიმენეს დე სისნეროსას რეზიდენციაში, რომელთანაც იმყოფებოდა მემკვიდრე პრინცის დესპანი, უწყინარი ადრიანი, ლუვენის დეკანი (შემდგომში კარდინალი და რომის პაპი).

ლას კასასმა შეადგინა ორი ვრცელი მიმართვა, ერთი კასტილიურ ენაზე, სისნეროსისთვის, მეორე ლათინურად -- დესპანისთვის, რომელმაც ესპანური ენა არ იცოდა.

ინდიელების დამცველმა განსაკუთრებულად სასურველი შედეგი მიიღო. ადრიანი აღშფოთდა, როცა წაიკითხა ახალი ქვეყნის მცხოვრებთა არაადამიანურად განადგურების ამბავი, დაუყოვნებლივ შეხვედა კარდინალს, რომელიც იმავე სახახლეში ცხოვრობდა და გააცნო მის მიერ მიღებული წერილი. კარდინალმა, თავისი ორდენის ბერებისგან იცოდა ის სისასტიკე, რაც ხდებოდა ახალ ქვეყანაში, უთხრა, რომ ლას კასასის მიერ მოწოდებულ ცნობებზე შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამის დამატება. ამრიგად, გადაწყდა შეხვედროდნენ კეთილშობილ მოგზაურს, რომელიც თავდადებულად და დაუღალავად იბრძოდა უკანონობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა ახალ ქვეყანაში. ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსა და ბარტოლომე ლას კასასი იყო ორი გიგანტი გონება, მათ შეეძლოთ ყველაფერი გაეგოთ ერთმანეთისთვის. ძლევამოსილი კარდინალი გულითადად შეხვდა თავმდაბალ

მღვდელს. დააფასა ლას კასასის უმაგალითო გულმოწყალება, დიდი ჰკუა და გადაათქმევინა ფლანდრიაში წასვლა, რადგან აქ, მადრიდში, ელოდა ის დახმარება, რისთვისაც ასე დაბეჯითებით ცდილობდა მიეღწია კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ინდოეთის საქმეთა საბჭოში ლას კასასმა მოიპოვა მხარდაჭერა ისეთ ადამიანთა შორის, რომელთაც სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი ჭკუით და მოუსყიდველი პატიოსნებით. განსაკუთრებით დაუახლოვდა იგი დოქტორ პალასიოს რუბიოსს, რომელიც არ ჩამორჩებოდა ლას კასასს ცოდნით, ნიჭითა და სულიერი თვისებებით. ბრძნული რჩევებით, ღირსეული ძმის ანტონ დე მონტესინოს მხარდაჭერით, რომელიც მალე ჩამოვიდა მადრიდში და შეუერთდა თავის მომხრეს კოლონიური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაჯერებულად და წარმატებით წარმართეს კარდინალისა და სამეფო საბჭოს გადაწყვეტილება ინტრიგანების, მომხვეჭელებისა და, პირველ რიგში, ეპისკოპოს ფონსეკას საზიანოდ, სისნეროსმა წინდახედულად რომ აარიდა ახალი ქვეყნის მკვიდრთა ბედის საკითხის განხილვას; ასეთი ზომების მიღება ნიშნავდა დაჩაგრული რასის ერთგული დამცველის პრწყინვალე გამარჯვებას ქედმაღალ მოწინააღმდეგეზე.

ჰუმანური მოღვაწეობის ერთსულოვანი ცდის შედეგად, გამომუშავებულ იქნა ინდიელებზე მმართველობის ახალი კანონები. აგრეთვე სასჯელის ზომები ბოროტმოქმედებისთვის, რაც ხდებოდა კუნძულ ესპანიოლაზე ხელისუფლების ნებაზე მიშვების დროს. ამ მიზნით, ლას კასასის მონაწილეობით არჩეული იქნა, წმინდა იერონიმეს ორდენიდან სამი ბერი სამეფო და საზოგადოებრივი ხელისუფლების წარმომადგენლად ესპანიოლაზე და ახალი ქვეყნის სხვა მხარეებში; ლას კასასი მათ წამოსაყვანად თვითონ წავიდა მონასტერში, დაიყოლია ისინი მიეღოთ ეს მეტად მნიშვნელოვანი ვალდებულება. მოიყვანა მეფის კარზე, დააბინავა საუცხოო სამოკრძნოში და მათი შენახვის ხარჯები თვითონ იკისრა. მაგრამ ტირანების მოხერხებული დამქაშები დაუღალავად მუშაობდნენ, რომ ხელი შეეშალათ სამართლიანობის აღდგენისთვის; მოჭმედებდნენ მოსყიდვით, სიცრუით და ცილისწამებით, მათ მოახერხეს გადაებირებინათ ჰკუამოკლე იერონიმელი ბერები და ჩაენერგათ უსდობლობა! დიდი ალალმართლისადმი; საქმე დამთავრდა იმით, რომ ბერები სხვაგან გადავიდნენ, ყოველნაირად გაურბოდნენ ლიცენციატთან შეხვედრას და ბრმად მიენდვნენ მის მტრებს.

აბებების ასეთმა მოულოდნელმა შებრუნებამ არ დააბნია ინდიელთა მამაცი დამცველი. მან ყველაფერი შეატყობინა თავის მეგობარ პალასიოს რუბიოსს და, რადგან სამართლიანად ეშინოდათ ასეთ საქმეში გამოუცდელი ბერები არ აღმოჩენილიყვნენ უსინდისო ადამიან-

თა დამღუპველი გავლენის ქვეშ, მეგობრებმა დაარწმუნეს კარდინალი შეეზღუდა იერონიმელთა რწმუნებულება მხოლოდ ინდიელების განაწილებით მადრიდიდან მიღებულ მითითებების ზუსტ საფუძველზე. სხვა საკითხების გადაწყვეტა — ესპანიოლაზე წესიერი მმართველობა, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა, ადმირალის პრესტიჟის აღდგენა და დამნაშავეთა დასჯა — მიანდეს მოსამართლე-რევიზორს, ფრთხილ ლიცენციატს, სეგოვიელ ალონსო სუასოს, პადრე ლას კასასის ახლო მეგობარს; ლას კასასის მეგობრული განწყობა ალონსო სუასოსადმი თავისთავად მეტყველებს უკანასკნელის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ადმირალის დაბრუნებას ესპანიოლაზე, რასაც კოლუმბების ოჯახის ინტერესებისთვის დაჟინებით მოითხოვდა ლას კასასი, კარდინალმა გააგებინა, რომ ამ საკითხში დათმობას არ აპირებდა, რადგან მისი მტკიცე აზრით, აუცილებელია ჯერ აღმოიფხვრას ესპანიოლაზე არსებული უთანხმოება, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეცათ ადმირალისთვის საშუალება მშვიდად და ნაყოფიერად ემართა კუნძული. ეს მნიშვნელოვანი საქმე ეკისრებოდათ ხელისუფლების ახალ წარმომადგენლებს. დიეგო კოლუმბის მადრიდში დაყოვნებით სარგებლობდნენ სისნეროსი და ადრიანი, დიდ ყურადღებას იჩენდნენ მის მიმართ, საშუალება მისცეს გადაწყვეტი ხმა ჰქონოდა ინდოეთის საბჭოს სხდომებზე.

კარდინალს ეშინოდა, რომ გამოუცდელი იერონიმელები ვერ შესძლებდნენ ახალი დადგენილებების სისრულეში მოყვანას. ამიტომ წინდახედულება გამოიჩინა და ლას კასასს უბრძანა წასულიყო მათთან ერთად ახალ ქვეყანაში, დახმარებოდა დაბავრული რასის საკეთილდღეო ყოველგვარ წამოწყებაში. ლას კასასმა მიიღო დიდი უფლების მქონე სიგელი, რომელსაც ხელს აწერდნენ კარდინალი და ადრიანი: „ახალი ქვეყნის გუბერნატორებსა და მოსამართლეებს წინადადება ეძლეოდათ ყოველმხრივ მხარი დაეჭირათ მფარველისთვის „მის ზრუნვაში ინდიელებისადმი ადამიანურად მოპყრობასა და მათი სულისა და სიცოცხლის ხსნისათვის“.

ბოლოს, ლას კასასმა მიაღწია თანხმობას მოესპოთ ყველა ხელოვნური დაბრკოლება, რომელიც აღმართეს მეფის მოხელეებმა ესპანიოლაში იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ მენსია დე გუვარას და კასიკ ენრიკეს ქორწინებისათვის. საბოლოოდ ისპობოდა ადმირალის მტრების მზაკვრული ხრიკები.

ასეთი მნიშვნელოვანი ბრძოლით მოპოვებული გადაწყვეტილებების შემდეგაც კი ინდიელების დამცველს მთელი თავისი დაუღალავი შეუპოვრობა დასჭირდა, რომ მოხელეების განზრახ ზოზინი დაეძლია, რომლებიც ყოველნაირად აყოვნებდნენ რეფორმის ცხოვრებაში გა-

ტარებას. ისინი უმოქმედოდ გაირინდებოდნენ ხოლმე, როგორც კი კარდინალი ოდნავ გადაიტანდა მზერას სხვა სახელმწიფოებრივ საქმეებზე, რომლებიც მის ყურადღებასა და ჩარევას მოითხოვდა. საჭირო გახდა, რომ ლას კასასისა და პალასიოს რუბიოსის , ზეგავლენით კარდინალს მრისხანედ შეეკრა ოლიმპიური წარბები, — მხოლოდ მაშინ დასტოვეს ბრძოლის ველი დაბნეულმა ინტრიგანებმა. ინდიელების დამცველების ეს პირველი ბრძოლა მთელი წელი გაგრძელდა.

იერონიმელები და ლას კასასი სევილიიდან ორი ხომალდით გაემგზავრნენ, რადგან, ბერების სიტყვით, ლას კასასის ხომალდი მეტისმეტად პატარა იყო და სივიწროვე იქნებოდა, — მათ სულაც არ უნდოდათ ოკეანე გადაეცურათ საშიშ ლიცენციატთან ერთად. ალონსო სუასო პირადი მდგომარეობის გამო იძულებული იყო დროებით გადაედო გამგზავრება. მშვიდობიანად დაამთავრეს ცურვა და მოგზაურები რამდენიმე დღით დასასვენებლად შეჩერდნენ კუნძულ პუერტო-რიკოში — ბუნების შუქმფინარი ღიმილივით მშვენიერ, აღთქმულ ქვეყანაში.

აქ, ბერებმა პირველად იხილეს ბედუკუღმართი შედეგი სისასტიკისა, რამაც პირქუშ სასაფლაოდ აქცია მშვენიერი კუნძულები, რომლებმაც დიდი ზღვაოსნის პოეტური წარმოსახვა გააოცა. ეინმე ხუან ბონო, რომელსაც ბოროტ ხუანს ეძახდნენ, კუნძულ ტრინიდადს „ჩაუხტა“ — სწორედ ასე ერქვა იმ დროს მეკობრეთა თავდასხმებს — და პუერტო-რიკოში დაბრუნდა, რომ იქ ან ესპანიოლაზე გაეყიდა უბედური ტყვეები. სისნეროსის წარგზავნილებს არც უფიქრიათ მხარი დაეჭირათ ლას კასასისთვის, რომელმაც ხმა აიმაღლა ინდიელთა დასაცავად, რომელთა შორის ბევრი აღმოჩნდა მოსამართლეთა და მეფის მოხელეთა ხელში პუერტო-რიკოსა და სანტო-დომინგოში. ერთი სიტყვით, ბერები ისევ იმ შეხედულებას უპერდნენ მხარს. რაც მათ შთააგონეს ესპანეთში. ამან უფრო გააღრმავა განხეთქილება ინდიელთა დაუღალავ დამცველსა და წარგზავნილთა შორის, რომლებიც თვალს არიდებდნენ უკანონობას.

XIV

მოწოდება

ლა მაგუანაში მოუთმენლად ელოდნენ ლას კასასის დაბრუნებას, რაც მან წინასწარ შეატყობინა მეგობრებს. დონ ფრანსისკო ვალენსუელა დღეებსა და საათებს ითვლიდა, თან უკვირდა, რომ მისი მუდამ ზუსტი და წესიერი მეგობარი ასე დიდხანს იგვიანებდა. კეთილი

მოხუცი ავადმყოფობდა, ძალ-ღონეს კარგავდა: პასუხისმგებლობას გრძნობდა ენრიკეს ბედზე ლას კასასის წინაშე, რომელმაც ობოლზე ზრუნვა მიანდო, იგი ჩქარობდა მალე ეზიმა ენრიკეს ქორწინება, რომ მისთვის ახალი ცხოვრება მოეწყო. ვალენსუელას სულში ადრინდელივით დუღდა ჯავრი ესპანიოლაზე მყოფ გამყიდველ მეფის მოხელეებისა და უსამართლო მოსამართლეებისადმი, ყველაზე მეტად კი მოსამართლე-რევიზორ ლებრონის მიმართ, რომელმაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენა; იგი ოცნებობდა მოსწრებოდა იმ დროს, როცა ამბოხებული ანგელოზების მსგავსად, ყველა ამ უღირს მოხელეებს მაღალი თანამდებობიდან დააქვეითებდნენ. დაუმსახურებლად განაწყენებულ პატიოსან ადამიანს მხოლოდ ერთი სურვილი აქვს — მოესწროს სამართლიანობის ზეიმსა და მანკიერების დასჯას.

ენრიკე ჩვეულებრივ სიმშვიდეს ინარჩუნებდა; მაგრამ ამის მიღმა იმალებოდა მომაკვდინებელი წუხილი და მენსიას დაკარგვის შიში. დაბრკოლებანი, რომლებიც შარშანაც გარდაუვალად ეჩვენებოდა მშვენიერ ქალიშვილთან ბედნიერი კავშირისკენ მიმავალ გზაზე, მის წარმოსახვაში ყოველდღიურად იძენდნენ უფრო მეტად გადაულახავ ძალას; და, თუმცა ლას კასასი მადრიდიდან გამოგზავნილ ალერსიან წერილში არწმუნებდა ჰაბუკს, მენსიასთან ქორწინების ყოველგვარი დაბრკოლება თავიდან აცილებული და დაძლეულიაო, კასიკი გაფაციცებული უცდიდა ახალ საწყენ წინააღმდეგობებს, ახალ ხრიკებსა და იმედგაცრუებას; თუ ხანდახან ოცნებაში წასული, წუთით ფიქრობდა, ჩემი სურვილები სასწაულებრივად სრულდებაო, მოუსვენარი წარმოსახვა ისევ უღვიძებდა საშიშსა და ნაღვლიან ფიქრებს, და იგი ისევ კარგავდა იმედს, — მეტისმეტად ყალბი იყო ახალგაზრდა კასიკის მდგომარეობა და მეტისმეტად არაჩვეულებრივი იმის ღირსება, რომელსაც ელოდა მისგან ცხოვრების მეგობრად გახდომა.

ეჭვებით გაწამებულ კასიკს ძალა არ ჰყოფნიდა თავი დაეღწია გარს მოჯარული მტანჯველი ფიქრებისთვის და სიმშვიდეს ვერ პოულობდა, მხოლოდ თავის კეთილ მოძღვართან, პადრე ლას კასასთან, მალე შეხვედრის ფიქრი შუქიანი ვარსკვლავივით უნათებდა ცხოვრების უსაშველო უკუნეთს. რა თქმა უნდა, მშვენიერ საცოლეზე ენრიკე უცვლელი ალფრთოვანებით ფიქრობდა, მაგრამ გაუგებარი შემაშფოთებელი წინათგრძნობა გულს უკუმშავდა. როცა თავს წარმოიდგენდა ამ განძის მფლობელად. სულ სხვა გრძნობებს უღვიძებდა მისი ძვირფასი პადრე ლას კასასის მოგონება: ჰაბუკის სულში ოფრქვეოდა მამაშვილური სიყვარულის მღელვარება, რომლისთვისაც უცხო იყო შიშიცა და პირქუში წინათგრძნობაც. ენრიკეს ვერ გაეგო რა ემართებოდა; ჩვენ კი ასეთ მოვლენას ვხსნით ქვეცნობიერი აზრით, რომ ქმრის მოვალეობად ითვლება მხარში ამოუდგეს ცოლს, როგორც

უფრო სუსტ არსებას; ნამდვილად კი ენრიკე თავისდა უნებურად გრძნობდა ძლიერი და კეთილი მფარველის მხარში ამოდგომის მოთხოვნილებას.

ბოლოს, ერთხელ დილით ახალგაზრდა კასიკი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა ვალენსუელას ქალაქგარეთა სახლში, რომელიც ჩვენ ადრე აღვწერეთ. იგი წავიდა, როგორც ხშირად აკეთებდა სოლმე, მახლობელ პატარა ქალაქ სან-ხუანაში, სახელგანთქმულ სენიორ ალონსო დე სოტომაიორთან, იმის გასაგებად, წერილები ხომ არ იყო მისი პატრონის სახელზე; მას შემდეგ, რაც დედოფლის სახელზე გაგზავნილი წერილი უცნაურად დაიკარგა გზაში, ფრანსისკო ვალენსუელა მიხვდა, რომ მის წერილებს იქერდნენ. რაც შემდეგ დადასტურდა, გადაწყვიტა. ამიერიდან თავისი ფოსტა ენდო მხოლოდ ძველი გამოცდილი მეგობრისთვის, ალონსო დე სოტომაიორისთვის. სიხარულისგან სახეგაბრწყინებულმა ენრიკემ ვალენსუელას პაკეტი გაუწოდა.

— აბა შეხედეთ, სენიორ დონ ფრანსისკო, წერილი პადრე ლას კასასისაგანაა, ვცნობ მის ხელწერას.

— ვნახოთ, ბიჭო, — ფიცხლად უპასუხა ვალენსუელამ, — ფანჯარა გააღე და ხმამაღლა წამიკითხე, რას იწერება ჩვენი კეთილი მეგობარი.

ენრიკემ მაშინვე შეასრულა მისი ნათქვამი და წაიკითხა შემდეგი სტრიქონები:

— „ძვირფასო და პატივცემულო მეგობარო, სენიორ ფრანსისკო დე ვალენსუელა. აი უკვე სამი დღეა, დიდება უფალს, მშვიდობით ჩამოვედი სანტო-დომინგოში. სასწრაფოდ ჩამოდით, ჩვენ საყვარელ ენრიკესთან ერთად, დედოფალი და მე მოუთმენლად გელით. ვრჩები თქვენ ერთგულ და თავდადებულ მეგობრად.

კაპელანი ბარტოლომე დე ლას კასასი.

სანტო-დომინგო, 1517 წლის ნათლისღების დღე“.

— ეს შეუძლებელია, შვილო! — შესძახა ვალენსუელამ, როცა ენრიკემ წერილის კითხვა დაასრულა. — ჩემ მაგივრად შენთან ერთად ანდრესი წამოვა; ხომ იცი, სულის ხუთვა მტანჯავს, ღამღამობით კი სიცხე მაწუხებს.

— რა თქმა უნდა, სენიორ, — უპასუხა ენრიკემ, — მაგრამ ჩვენ თუ ორივე წავალთ, ვინ მოგიელით თქვენ?

— ანდრესის არ ყოფნას ვერც ვიგრძნობ, — ნაღვლიანად შეედავა მოხუცი. — დღეს თვალითაც არ მინახავს. შენ სულ სხვა ხარ, ენრიკილო. აქ ხომ რჩებიან ტამაიო და ანიკა, ისინი მომიელიან. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ჯანმრთელობა გაუარესდება, დონია ლეონორი ჩამოვა ჩემ მოსავლელად და სახლსაც მიხედავს; ამ საქმეს იგი შესანიშნავად შესძლებს. აბა, შვილო, ანდრესს დამიძახე.

ენრიკე გავიდა და მალე ანდრესი მოიყვანა ავალმყოფთან. სამივემ ერთად განსაჯეს სანტო-დომინგოში წასვლის გეგმა და გადაწყვიტეს ზეგისათვის. დონ ფრანსისკომ. როგორც საჭიროება მოითხოვდა, დაარიგა შვილი და თავისი გაზრდილი, რომელმაც ვალენსუელას სახელით დაწერა საპასუხო წერილი ლას კასასისთვის; მერე ორივე პაბუკი, კასტილიელი და ინდიელი გავიდა და სამზადისს შეუდგნენ გასამგზავრებლად; აღრინდელივით, მსახურთა მთელი შტატი და მრავალი ცხენი იყო საჭირო, რომ პატარძალი ტახტრევანით ჩამოეყვანათ ლა მაგუანაში.

გამომშვიდობებისას სენიორ ვალენსუელამ ენრიკეს უთხრა:

— ჩემი სახლი სან-ხუანში მზად იქნება, შენი და შენი მეუღლის დასახვედრად. ტამაიოს და ანიკას ეუბრძანებ იზრუნონ ყველაფერზე, და შენი მსახურებიც მიეხმარებიან.

ანდრეს ვალენსუელასა და ენრიკეს მოხუცი კამაჩო ეახლა; როგორც კი გაიგო, ლას კასასი სანტო-დომინგოში დაბრუნდაო, მისი ნახვის სურვილი კლავდა. კამაჩო ჭარავანს გაუძღვა წინ ტამაიოს ნაცვლად, რომელიც დონ ფრანსისკომ არ გაუშვა აღრინდელი ნამოქმედარის სასჯელად, და იმის შიშით, რომ კიდევ რამე არ ჩაედინა.

ამრიგად, უიღბლობაზე მწარედ მომჩივანი საწყალი ტამაიო დარჩა შინ და იძულებული იყო ესმინა ანიკას საყვედურები, რომელიც ინდიელს ადანაშაულებდა, რომ მან მოტყუებით ჩამოიყვანა იგი ლა მაგუანაში, — ენრიკე ხომ უწინდებურად არ აქცევს მას ყურადღებას და შეყვარებული ქალიშვილის ყოველგვარ გადაკრულ სიტყვას სასტიკ მქადაგებელზე მკაცრად პასუხობს. თავდაჭერილი და ღვთისმოსავი იყავიო.

— შენ კი რა წარმოიდგინე? ნუთუ გეგონა, რომ ჩემი კასიკი, ჩემი ნათესავი ენრიკილიო შეგირთავდა? — აღშფოთებული იყო ტამაიო. — რას წარმოადგენ, კონკიაჟარუნა?

— დე არაფერს წარმოვადგენდე, — ეთანხმებოდა საბრალო ქალიშვილი, — მაგრამ რად გჭირდებოდა ჩემი მოტყუება, თითქოს კასიკი ჩემ მიმართ მოწყალე გახდა...

— ეს კიდევ რაღაა! გინდა, რომ ენრიკე ისეთი გარყვნილი პირუტყვი იყოს, როგორც უკეთური დონ პედროა, ჭირსაც წაულია მისი თავი! — ეუბნებოდა ტამაიო, როცა ანიკას თვალები ცრემლებით ევსებოდა; ამის დანახვაზე მრისხანე ინდიელს, რომელიც გაცხარების დროს მზად იყო ყოველგვარი ოინი ჩაედინა, მაგრამ სინამდვილეში კეთილი გული ჰქონდა, სიბრალულის გრძნობა მოერეოდა და ამშვიდებდა ქალიშვილს.

XV

კეთილი იყოს თქვენი მოგზრძანება

ლას კასასის წერილის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ მგზავრებმა მშვიდობით მიაღწიეს სანტო-დომინგოს. მღვდელი შეაწუხა მეგობრის ავადმყოფობამ და იმან, რომ იგი ვერ შესძლებდა ენრიკეს ქორწილზე მამობილი ყოფილიყო. ახალგაზრდა კასიკმა საყვარელ მოძღვარს გული გადაუშალა და გაუზიარა თავისი ეჭვები და ფიქრები; ლას კასასმა სცადა მისი დამშვიდება:

— ახალმა წესებმა, — უთხრა მან, — ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოუღოს ინდიელთა მონობას, ამავე დროს, კასიკებს მიანიჭოს მნიშვნელოვანი უფლება და პრივილეგიები. შენ ჩემგან ახალი ბრძანებულების ასლს მიიღებ; მეც მივიღე მის შედგენაში მნიშვნელოვანი მონაწილეობა, მაგრამ იგი გამოცემულია კარდინალ სისნეროსის სამართლიანობისა და მეფის დესპანის, ადრიანის წყალობით: შენ კასიკი ხარ, შეიძინე დიდი ცოდნა, როგორიც გააჩნია კუნძულის გამოჩენილ მცხოვრებთა. შორის ძალიან ცოტას, აბა, ვინ გაბედავს გზაზე გადაგიდგეს ჩემი კეთილი მეგობრის ვალენსუელას სიცოცხლეში, ანდა მერე, როცა უფალი მას თავისთან უხმობს? თუ სიკვდილი გაწყვეტს სიყვარულისა და მადლიერების ძაფს, რომელიც გაკავშირებს ამჟამად მფარველთან, შენ შენი ბედისა და მოქმედების ისეთივე ბატონ-პატრონი იქნები, როგორც მე ვარ; მაშ რაღასი უნდა გეშინოდეს?

ენრიკემ ბოლოს შეისმინა ლას კასასის გონივრული დასაბუთებანი და ამიერიდან უფრო მშვიდად დაუწყო ყურება თავის მომავალს.

იგი მენსიას შეხვდა დედოფლისა და მისი კარის მანდილოსნების თანდასწრებით; საცოლესთან მეგობრული საუბრის დროს განსაჯა თავიანთი მომავალი ქორწილისა და ლა მაგუანაში ცხოვრების ყოველი წვრილმანი. და მთელ თავის მოქმედებაში გამოავლინა უფრო მეტი ბუნებრიობა და თვითდაჯერებულობა, ვიდრე წინა შეხვედრისას. ამით ნაწილობრივ დავალებული იყო ლას კასასისგან, რომელსაც სხვებზე მეტად შეეძლო ჩაენერგა ენრიკესთვის სულიერი სიმშვიდე და საკუთარი სიძლიერის რწმენა; ამასთან, ამჯერად კასიკი დედოფლის სასახლეში მიიღეს, როგორც ძველი ნაცნობი; კარს მომდგარი ქორწინება ახალი ამბავი არ იყო არც მეგობრებისთვის და არც ამ სახლში მცხოვრებთათვის. ქალების ცნობისმოყვარეობამ კი გადაინაცვლა თავმდაბალი კასიკიდან თვითდარწმუნებულ, ამაყ და მშვენიერ ახალგაზრდა ვალენსუელაზე. მან მიიპყრო ქარაფშუტა, უსაქმური ქალიშვილების მზერა, რომლებიც ხარბად ეტანებოდნენ ყოველგვარ სიახლეს,

რასაც შეეძლო გაეხალისებინა სიცოცხლის მდორე თანაზომიერი დინება, საყვარელ მეუღლესთან დაშორებით დანაღვლიანებულმა მარია დე ტოლედომ სასახლეში რომ დაამყარა.

ამრიგად, ანდრეს დე ვალენსუელამ მოახდინა მეტისმეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება კარის მანდილოსნებზე, მკითხველისთვის უკვე ნაცნობმა სიცოცხლით სავსე ელვირამ კი გაიხსენა, რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდა ვალენსუელამ მამამისის სახელით როგორ მოუტანა ადმირალს საჩუქარი, და ისარგებლა შემთხვევით მხიარულად, თავისუფლად ესაუბრა ტანად იდალგოსთან და ეგრძნობინებინა მისთვის, როგორ მოეწონათ იგი ყველა ამ დამყოლ და მგზნებარე ქალიშვილებს. ელვირა თავისი ანთებული მზერითა და ღაჟღაჟა ფერით კარგი სანახავი იყო, როგორც ჰეშმარიტი ანდალუსიელი მავრიტანელი, და გალანტურმა ჰაბუკმა ვერ დაფარა რამდენად ნასიამოვნები იყო აბენსერაჟების მშვენიერი შთამომავლის ყურადღებით. ირგვლივ მყოფთა მზერას არ გამოჰპარვია წარმოსადეგი ანდრეს ვალენსუელას და თავაზიანი, მართლაც, მეტისმეტად თავაზიანი ელვირა პიმენტალის უცებ აგზნებული ურთიერთლტოლვა. როცა სტუმრები დაიშალნენ, თავისი წარმატებით დამტკბარი ელვირა სიხარულით ისმენდა ამხანაგების ფარული შურით სავსე მილოცვებს; მერე მენსიას მკლავი გაჰხსნდო. სწორედ როგორც შარშან, და აივანზე გაიყვანა, რომ მარტო ელაპარაკათ.

— კმაყოფილი ხარ შენი ენრიკეთი? — ჰკითხა ელვირამ.

— კი, დღეს გამახარა თავისი გონიერებით, — უპასუხა მენსიამ, — არაფერს მსაყვედურობდა შარშანდელივით, და მოთმინებით მოისმინა ჩემი ჩივილი.

— რიხ გამო?

— მთელი წლის განმავლობაში მისგან მხოლოდ ოთხი წერილი ბოვიდა; იგი იფიცებოდა, სულ ცოტა თხუთმეტი წერილი გამოვგზავნეო. მე მისი მჯერა, ენრიკეს ტყუილის თქმა არ შეუძლია. მაგრამ მითხარი, ელვირა, სად წავიდა სხვა წერილები?

— გზაში დაიკარგა, ლა მაგუანა ხომ ძალიან შორსაა... — დაბნეულად უპასუხა ელვირამ, შემდეგ მოულოდნელი სიფიცხით ჰკითხა: — რა გითხრა გამომშვიდობებისას სენიორ ანდრეს ვალენსუელამ?

— იგი მეტად თავაზიანი და ზრდილი იყო, — უპასუხა მენსიამ, — და სიხარული გამოთქვა ჩემი და ენრიკეს ქორწინების შესახებ; მას ენრიკე ძმასავით უყვარს.

— ძალიან კარგი! იცი, მენსია, ძალიან მომწონს ეს ჰაბუკი, — გამოტყდა ელვირა.

— რა თქმა უნდა, ვხედავდი, დიდხანს რომ საუბრობდი მასთან, — უბრალოდ შენიშნა მენსიამ.

— აჰ! — ამოიოხრა თავქარიანმა ანდალუსიელმა ქალიშვილმა. — ღმერთს რომ ენებებინა ჩემთვის მისი ცოლობა!..

— რა უცნაური ხარ, ელვირა, — საყვედურით გააწყვეტინა მას ლაპარაკი მენსიამ. — ხან დონ გარსიაზე ოხრავ, რომელიც თავის ცოლთან ერთად ესპანეთში წავიდა, ხან ოცნებობ ცოლად გაჰყვე სხვას, თუმცა არც კი იცნობ წესიერად..

— შენ არ შეგიძლია გამიგო, მენსია, — თქვა ელვირამ და ხელები გულზე მიიდო. — ამჯერად ნამდვილი გრძნობა მეწვია, გაგიჟებით მიყვარს ვალენსუელა.

— მაგრამ, რას ნიშნავს გაგიჟებით სიყვარული? — ჰკითხა მენსიამ.

— მე უკვე ეჭვი მეპარება, რომ შენ საერთოდ არ შეგიძლია სიყვარული, ჩემო საბრალო გოგონავ, — მიაძახა ელვირამ. — ყველა ამხანაგმა მომილოცა, შენს გარდა, ვალენსუელას რომ მოვეწონე; დედოფალმაც კი გადმომკრა, მშვენიერი საქმრო იქნებაო.

— ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს, ელვირა! — გულშიჩამწვდომად უთხრა მენსიამ და მადლობის ნიშნად კეთილი სურვილისთვის დაჯილდოებული იქნა მგზნებარე ანდალუსიელი ქალიშვილის მაგარი კოცნით.

XVI

თვალთმაქცობა

ენრიკემაც შენიშნა, რომ ანდრეს დე ვალენსუელა ელვირათი იყო გატაცებული და გულს მოეშვა. კარგად იცოდა ჰაბუკის უტიფარი ხრიკების ამბავი, რომლებსაც დიდი საზრუნავი და წუხილი მოჰქონდა ღირსეული მამისათვის. იგი ამაოდ ცდილობდა შვილის მოთოკვას; ქარაფშუტა, ლამაზი ჰაბუკი მერყეევი გახლდათ, რიგრიგობით აცდუნებდა თავის მხარის თითქმის ყველა ქალიშვილს, — მათ კი ნამდვილად არ გააჩნდათ აუცილებელი თვისებები, რომ დიდი ხნით დაეკავებინათ ისეთი კაცი, როგორიც იყო ანდრესი, — ენრიკე სერიოზულად შიშობდა, რადგან ახალგაზრდა იდალგოს გარყვნილებაში ხედავდა სასტიკ საშიშროებას თავისი მშვიდობიანი ცოლქმრული ცხოვრებისათვის. ასობით ხედავდა ირგვლივ ასეთ მაგალითებს, — ესპანელები ხომ ხშირად ყოველად უპატრვცემულოდ ეკიდებოდნენ მათზე დამოკიდებულ კასიკთა კანონიერ კავშირს. თუმცა ენრიკე საერთო წესებში გამონაკლისს წარმოადგენდა, თვითონ უფრო მეტი პატივის-

ცეშის იშედი ჰქონდა, მაგრამ მაინც მტანჯველი შიში ეუფლებოდა ყოველთვის, როცა საკუთარ მდგომარეობას ჩაუფიქრდებოდა.

ამიტომ გაეხარდა ენრიკეს, როცა ნახა, როგორი მოწიწებით მიესალმა ანდრესი შენსიას და შეინარჩუნა სრული გულგრილობა მისი არაჩვეულებრივი სილამაზის წინაშე; მალე კი, როცა დარწმუნდა, რომ ანდრეს დე ვალენსუელას შეუყვარდა ელვირა პიმენტალი, ენრიკე სრულიად დამშვიდდა.

მისი მინახველრი დადასტურდა ჰაბუკების გულახდილი საუბრის დროს, როგორც კი მარტო დარჩნენ ფუნდუკში, სადაც ისინი ლამს კასასმა დააბინავა.

— ლამაზი საცოლე გყავს, ენრიკე, — თქვა დაბნეულად და გულგრილად ვალენსუელამ, თითქოს თავს ვალდებულად თვლიდა, რამე სასიამოვნო ეთქვა მისთვის.

— აქაურ მანდილოსნებს შორის ბევრია მშვენიერი, — უპასუხა ენრიკემ.

— გეფიცები, სწორი ხარ, — დაუდასტურა იდალგომ, — დონია ელვირა ციდან ჩამოსულ ანგელოზსა ჰგავს.

— ნამდვილად მშვენიერია, დონ ანდრეს, — უთხრა კასიამ.

— მამა ნებას თუ დამრთავს, მე მას შევირთავ, — დასძინა იდალგომ.

მაგრამ სიხარული და კმაყოფილება წუთში შეეცვლებოდა მტანჯველ შიშად, რომ შესძლებოდა გაეგო საიდუმლო მოლაპარაკება დონ ანდრესისა, რომელიც გასეირნების მომიზეზებით ორი საათის შემდეგ სახლიდან გავიდა, ქუჩის კუთხესთან მოსულ, ლაბადაში გახვეულ უცნობთან შესახვედრად.

— ნახეთ იგი? — ჰკითხა ლაბადიანმა კაცმა.

— კი. მზესავით მშვენიერია. თუ მოახერხებთ ენრიკეს ქორწინების ჩაშლას, მას მაშინვე შევენაცვლები გვირგვინის ქვეშ, — უპასუხა ანდრესმა.

— ვიმედოვნებ, რომ შევძლებ, — უთხრა ლაბადიანმა კაცმა. — თქვენი ბრალია, თუ აქამდე ვერ მივაღწიე ამას. ვიმედოვნებდი, რომ ამჯერადაც ხელში ჩაიგდებდით წყეული მღვდლის წერილს, თქვენ კი ხელიდან გაუშვით.

— დილით ადრე მოვიდა, მე ისევ მეძინა, — მორჩილად იმართლებდა თავს ვალენსუელა.

— ვისაც სურს ესპანიოლაზე ყველაზე ლამაზი და ყველაზე მდიდარი ქალიშვილის ხელის მოპოვება, მას არ სძინავს, სენიორ ანდრეს, — დამცინავად უთხრა ლაბადიანმა კაცმა.

— მე მოვიპოვებ მენსიას, ეშმაკს ვფიცავ, — მგზნებარედ შესძახა ვალენსუელამ, — ენრიკეს გზიდან ჩამოშორებაც რომ დამჭირდეს!

— მაშ რაღას აჭიანურებთ, დონ ანდრეს?

— მეშინია. მამაჩემმა მემკვიდრეობა არ წამართვას, — უპასუხა ჰაპუკმა. — იგი უკვე იმუქრებოდა, მთელ ქონებას მონასტერს დაუტოვებდა. თუ არ გამოვსწორდებოდი, ხოლო თუ კასიკს ვაწყენინებ, მამა მთლად გადაირევა.

— ასე უყვარს სენიორს ენრიკე? — დაინტერესდა უცნობი.

— ჩემზე უფრო, ღვიძლ შვილზე მეტად, — მიაძახა ანდრესმა. — მაგრამ, როცა მამაჩემი მოკვდება, როგორც ჩანს, დიდი ხნის ლოდინი აღარ მომიწევს. მე და თქვენ ყველაფერს მოვაგვარებთ, თუ ამჯერად ვერ მოხერხდება.

— არ დაგაიწყდეთ, რომ სხვაზე ხართ შეყვარებული; ყოველი შემთხვევისათვის აუცილებელია თვალთმაქცობა, — დასძინა უცნობმა.

ანდრეს დე ვალენსუელა გამოემშვიდობა უზნეო პედრო დე მოხიკას. უღირსი შვილის იდუმალი მრჩეველი რომ გახლდათ.

XVII

ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ

დედოფალმა და ლას კასასმა მოილაპარაკეს, რომ ენრიკეს, და მენსიას ჯვრისწერა მოხდებოდა კოლუმბის სახახლეში ლა მაგუანადან სტუმრების ჩამოსვლის სამი დღის შემდეგ. ასეთ გადაწყვეტილებაზე არც ენრიკეს უთქვამს უარი, არც ახალგაზრდა ვალენსუელას; პირველი მთლად მიენდო მფარველს, რომელსაც თვლიდა უცოდველ არსებად, ახალგაზრდა იდალგომ კი, როგორც ვიცით, ვერ გაბედა მამისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რომელმაც უბრძანა ყველაფერში დამორჩილებოდა ლას კასასს.

დედოფალთან შეხვედრის მეორე დღეს, ლას კასასი უჯდა წითელი ხის გაპრიალებულ მაგიდას, ფურცლავდა და კითხულობდა ძველ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა ინდიელების განაწილება ესპანიოლაზე. ამავე დროს, ინიშნავდა განსაკუთრებით აღმაშფოთებელ შემთხვევებს. რომლებიც მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ჩარევას და რეფორმის მოხდენას, რისთვისაც იყვნენ გამოგზავნილნი იერონიმელი ბერები, რომლებიც სულაც არ ჩქარობდნენ მის სისრულეში მოყვანას. ინდიელთა მგზნებარე დამცველსა და ხელისუფლების ზოზინა წარმომადგენლებს შორის ასე ატყდა ბრძოლა. სიაში ყოველ აღნიშვნას თან ახლდა ლას კასასის ძლიერი აღშფოთება, რადგან მისი კეთილშობილი გული ვერ ითმენდა ბოროტებასა და უკანონობას.

— აი, ყოველთვის ერთი და იგივე მეორდება... ესპანიოლას ინდიელებს შრომა არ სურთ... jtem [1], ისინი მიჩვეული არიან უსაქმურობას... ისინი, თითქოს მთებში გარბიან იმიტომ, რომ თავი დაიღწიონ შრომას... ერთი შეხედეთ, მკვლელები როგორ სწამებენ ცილს თავიანთ მსხვერპლს. ღვთის წინაშე, სამსჯაროს წინაშე პასუხს აგებენ ჯალათები თავიანთი სიცრუისა და ცილისწამებისათვის, რასაც ასე დატანჯულ, გაწვალებულ, მოძულებულ, ასე უპატრონო, ყველასგან დავიწყებულ, ნუგეშისცემასა და მფარველობას მოკლებულ უდანაშაულო ხალხს აბრალებენ!

შრომას კი არ გაურბიან ისინი. არამედ ჯოჯოხეთურ ტანჯვას, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ მათ საბადოებსა და მშენებლობაზე; გაურბიან შიმშილსა და შოლტს, ცემას, ლანძღვას და გინებას, გარბიან, რომ აღარ გაიგონ, როგორ ეძახიან მათ წამდაუწუმ ძაღლებს: გაურბიან სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას, რომელსაც ისინი იტანენ დღითა თუ ღამით.

ასეთ შენიშვნებს უკეთებდა გულმოწყალე მოძღვარი ყოველ ალმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას, რომელიც აღნიშნული იყო დამონებულ ინდიელთა ნუსხებში. უცებ მის წინ გაჩნდა მისი საყვარელი მსახური კამაჩო და ჩვეულებისამებრ მოწიწებით მიიტანა ტუჩებთან თავისი მფარველის ხელი.

— ვეამბორები თქვენი მოწყალების ხელს, — მოწიწებით წარმოთქვა მან.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო კარგო კამაჩო, — უპასუხა ლას კასასმა. რომელმაც იგრძნო როგორ ცხრებოდა გულში ანთებული ბრაზი, — ამბა, როგორ არის ენრიკილიო? როგორაა ახალგაზრდა ვალენსუელა?

— ყველაფერი კარგადაა, სენიორ. ენრიკილიო სასტუმროში ელოდებოდა დონ ანდრესს, რომელიც სასეირნოდ წავიდა, მერე ისინი ერთად გეახლებიან...

— რატომ დატოვე მარტო საწყალი ენრიკილიო? — ჰკითხა ლას კასასმა.

— ახლა ყველაფერს ავუხსნი თქვენ მოწყალებას, — უპასუხა კამაჩომ. — სენიორ დონ ფრანსისკომ მიბრძანა თვალი მედევნებინა მისი შვილის ყოველი ნაბიჯისთვის და მომეხსენებინა თქვენი მოწყალებისთვის, თუ რამეს შევნიშნავდი; ამრიგად, გუშინ, როცა მწუხრის ზარები დარეკეს, დონ ანდრესი სახლიდან გავიდა; ჩუმად მივყევი უკან და დავინახე უცნობი, რომელიც მოსახვევში ელოდა მას; მერე, როცა დონ ანდრესი გამოეთხოვა უცნობს, სწრაფად წავედი შინ და ისე მოვიქეცი, თითქოს ველოდი მის დაბრუნებას, რომ კარი გამეღო მის-

---

1 გარდა ამისა (ლათ.).

თეას. სინამდვილეში კი მან კარი გამოღებული დატოვა. დღეს, როცა შევნიშნე დონ ანდრესი ისევ მარტო მიდის, უკან გავყევი და ეხედავ, იგი შეიდა ერთ-ერთ სახლში, მეოთხე ქუჩაზე; იქ ცოტა ხანი დაჰყო, როცა გამოვიდა. დავიმალე და მერე გამკვლევს ვკითხე, ვინ ცხოვრობს ამ სახლში-მეთქი, — აღმოჩნდა. რომ იქ ცხოვრობდა კასტილიელი ქვრივი. სახელად დონია ალფონსა; მაშინ გამახსენდა ერთი ამბავი — მიამბეს ტამაიომ და ანიკამ ლა მაგუანაში, — და ეჭვი შემეპარა. თვალი არ მომიცილებია სახლისთვის, ბოლოს ვნახე, როგორ გამოვარდა ქუჩაში დონ პედრო დე მოხიკა.

— მოხიკა აქ არის? — შეჰყვირა გაოცებულმა ლას კასასმა.

— სწორედ ასეა, — უპასუხა კამაჩომ. — როგორც ჩანს, ფეხდაფეხ მოგვდევდა,—ის ხომ სან-ხუანში იყო, როცა ჩვენ წამოვედით. სენიორ დონ ფრანსისკო ხშირად ტუქსავდა შვილს, იმის გამო, რომ იგი დასეირნობდა ამ ბოროტ ადამიანთან; მოხუცი სენიორი ვერ იტანს მას...

მაგრამ ლას კასასი უკვე ყურს აღარ უგდებდა მსახურს; სწრაფად მრიხურა წამოსასხამი, თან იმეორებდა:

— ეს ავაზაკი აქ არის! ცხადია, იმისთვის ჩამოვიდა, რომ ქორწილი ჩაშალოს. მაგრამ, პატიოსან სიტყვას ვიძლევი, მისი ოინები შედეგს ვერ გამოიღებს. ეშმაკიც რომ იყოს, ვფიცავ, ამჯერად გამარჯვებას ვერ იზეიმებს.

კამაჩოს თანხლებით. რომელიც ძლივს ეწეოდა თავის დაუღალავ ბატონს, ლას კასასი სწრაფად გაემართა ფუნდუკისკენ, სადაც ორივე ჰაბუკი ერთად დახვდა, საუბარში გართულნი საუზმეს ელოდნენ.

— აბა, ბიუებო, —, თქვა ლას კასასმა ყოველგვარი წინადრობილის გარეშე. — ჩაიცვით თქვენი საუკეთესო კამზოლები და წავიდეთ დედოფალთან საუზმეზე.

— შეიძლება?.. — ის იყო უნდა წამოეწყო ვალენსუელას.

— სრულიად შესაძლებელია, — გააწყვეტინა ლაპარაკი მას ლას კასასმა. — სწრაფად ჩაიცვით და გზას გაეუდგეთ.

უარის თქმა ვერ გაბედეს ჰაბუკებმა და ტანისამოსის გამოსაცვლელად წავიდნენ: კამაჩო გაჰყვა დონ ანდრესს, რადგან ახალგაზრდა კოპწიას მსახურის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეეძლო. პირიქით, ენრიკეს ჩაცმულობა გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სისადავით: ერთი წლის წინ, როცა მისი ქორწილი ჩაიშალა, ჰაბუკმა კასიკმა თავის თავს სიტყვა მისცა, არასდროს არ მოეშორებინა უბრალო, ყოველდღიური ტანისამოსი, მიუხედავად დონ ფრანსისკოს დაჟინებისა, შეეკერა ახალი ძვირფასი კოსტიუმი, ჩვეულებრივ ეცვა მოკლე, ზონრებიანი შარვალი ნავარიული, მუქი მაუდის კამზოლი, თხელი თეთრი ქსოვილის — სენდალის გადაკეცილი საყელოთი. ხავერდის წამოსასხამი და ეხურა ხავერდის ქუდი. შავი აბრეშუმის წინდები და იტალიური მოდის ფეხსაც-

მელები აგვირგვინებდა კასიკის ჩაცმულობას, რომლის კეთილშობილება და დახვეწილობა სრულიად არაფერს აგებდა თავმდაბალ და თავდაჭერილ კოსტიუმში.

ორივე ჰაბუკი მალე მოევშადა. ლას კასასმა, კმაყოფილებით შეაცქერა თვალი ენრიკეს და სამივე დაუყოვნებლივ გაუდგა გზას; კამაჩომ მიიღო ბრძანება, უკან გაჰყოლოდა მათ.

სასახლეში რომ შევიდნენ. ლას კასასმა ბრძანა მოეხსენებინათ მისი მოსვლა: დედოფალი სასადილო ოთახში იყო, ემზადებოდა საუზმისათვის შინაურ წრეში. იგი საუზმობდა მეუღლის ბიძასთან ერთად, რომელსაც დონ დიეგო ერქვა: ეს უბრალო, თავმდაბალი და ღვთისმოსავი კაცი სანტო-დომინგოში ნამდვილი განდეგილივით ცხოვრობდა და მეტ დროს ეკლესიაში ატარებდა, ვიდრე სახლში. დედოფლის სუფრასთან მიწვეული იყო ხოლმე ოჯახის ეკლესიის მოხუცი კაპელანი, რომელიც დილის წირვას ატარებდა და მწუხრის ლოცვებს კითხულობდა: იგი ოჯახის თავისებურ სამკაულს წარმოადგენდა და ყველაფერს უყურებდა გულგრილად და უხმოდ.

მარია დე ტოლედოს მიწვევით, ლას კასასი შევიდა სასადილო ოთახში, თანმგზავრები კი დიდ მისაღებ ოთახში დატოვა.

— პატივს დაგვდებთ და ისაუზმებთ თუ არა ჩვენთან? — ჰკითხა ჩვეული გულთბილობით დედოფალმა.

— ეშინობ, რომ ჩემი სითამამე გაგაოცებთ, სენიორა, — ნიცილით უპასუხა ლას კასასმა. — მე ხომ სწორედ იმისთვის მოვედი, რომ ვისაუზმო თქვენ მოწყალებასთან: მაგრამ ეს როდია ყველაფერი, საქმე იმაშია, რომ ვითავე და თან მოვიყვანე კიდევ ორი სტუმარი.

— დიდად მოხარული ვარ, პადრე კასას, — უთხრა დედოფალმა. — ამრიგად. ჩემი ქმრის არყოფნით გამოწვეული მწუხარების მიუხედავად, სიამოვნება მექნება ვისაუზმო დიდ საზოგადოებაში.

— ნება მომეცით, სენიორა, გთხოვოთ, — დასძინა ლას კასასმა, — სახლში ნუ მიიღებთ ნურავის გარეშეს და ფოსტას, ვიდრე არ დავამთავრებთ მნიშვნელოვან საქმეს, რამაც დღეს თქვენთან მოგვიყვანა.

— თქვენ მე მაშინებთ, პადრე, მაგრამ მზად ვარ შევასრულო თქვენი თხოვნა.

— დარწმუნებული ვარ, ამას არ იწანებთ, სენიორა. — თქვა ბოლოს ლას კასასმა.

ვიდრე დედოფალი მაჟორდომს ბრძანებას აძლევდა ჯრაიენ მიელო, ლას კასასმა მოხუც კაპელანს მიმართა:

— ყველაზე მეტად ახლა თქვენი დახმარება დაგჭირდება, პადრე კაპელან.

— მზად ვარ გემსახუროთ, — უპასუხა მან.

ლას კასასმა შეატყობინა ვიცე-დედოფალს, რომ მოხიკა ფარულად

ჩამოვიდა სანტო-დომინგოში, უეჭველია, იმ მიზნით, რომ ისევ ჩაშალოს ენრიკესა და მენსიას ქორწილი.

— რის გაკეთებას ფიქრობთ? — ჰკითხა დედოფალმა.

— არაფრის განსაკუთრებულის, სენიორა. — სრულიად მშვიდად უპასუხა ლას კასასმა. — ჩვენ მხოლოდ ამ წუთში, აქ დავწერთ ჯვარს ჩვენს აღზრდილებს, და jaus Deo [1].

ამ გაბედულ გადაწყვეტილებას არ შეიძლებოდა არ გაეოცებინა დედოფალი, მაგრამ ეს ამბავი მაშინვე გონივრულად ჩასთვალა და გაეხარდა, რომ ამჯერად შესძლებდნენ მოეტყუებინათ ცბიერი მტრები. მაგრამ კაპელანი გაჯიუტდა:

— არა, არა, ეს შეუძლებელია, უაზრობაა. რა მოხდება აკრძალვამ რომ მოგვისწროს, შარშანდელივით?

— პადრე კაპელან! — გაცხარებით შეჰყვირა ლას კასასმა. — არ მესმის თქვენი თავის არიდება. თქვენი მოწყალება სასახლეში მსახურობს თუ არა?

— როგორ არა, პადრე, ვმსახურობ, — დაიბნა კაპელანი, — მაგრამ, თუ მეფის მოხელეები...

— მათ აქ განკარგულების გაცემის უფლება არა აქვთ, გესმით? — შეაწყვეტინა ლას კასასმა. — მე ვღებულობ ყველაფერს ჩემ თავზე. დასწერთ ჯვარს თუ არ დასწერთ?

— ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მიბრძანებს ჩემი ქალბატონი დედოფალი, — სწრაფად უპასუხა საწყალმა, — მაგრამ თუ სენიორ პასამონტე...

— ისევ თქვენსას გაიძახით! — მოუთმენლად მოიღუშა ლას კასასი. — გამომყევით, მე მოვაგვარებ ყველაფერს საერთო კეთილდღეობისთვის.

კაპელანს მკლავში სტაცა ხელი ლას კასასმა და თითქმის ძალით წაიყვანა სამლოცველოში.

— უბრძანეთ ამ საბრალოს, — უთხრა მან დედოფალს, რომელიც ორჯერ მღვდელს მიჰყვებოდა უკან ცოტა შეშფოთებული, მაგრამ მაინც შომღიმარი, — უბრძანეთ მას მშვიდად ადევნოს თვალი ყველაფერს, რაც აქ მოხდება.

მტკიცე მოძრაობით გააღო ლას კასასმა დიდი კარადა, რომელშიც წმინდა სამოსი ინახებოდა, ამოიღო იქიდან შესამოსელი, სტიქარი, ქუდი, ისევ შემობრუნდა დიდგვაროვანი მანდილოსნისკენ და თქვა:

— ბრძანეთ დაუძახონ პატარძალს, დონ დიეგოს, მაჟორდომს და ყველას, ვინც სასახლეში ცხოვრობს. კაპელანო, თქვენ რა გსურთ თქვათ?

---

1 დიდება უფალს (ლათ.).

— რომ მე პასუხს არ ვაგებ ამაზე... — ჩაიბუტბუტა დამფრთხალმა მოხუცმა.

— აბა, მაშ მოიტათ აქ ლოცვანი. ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს,— დაამთავრა ლას კასასმა.

დედოფალი გავიდა და მალე დაბრუნდა, მკლავში ხელგამოდებული მოჰყავდა მენსია; მათ უკან მოჰყვებოდა მოხუცი დიეგო, ელვირა, კარის მანდილოსნები და მსახურთა მთელი შემადგენლობა.

მოულოდნელად მიპატიჟებული ენრიკე და ვალენსუელა მოყვებოდნენ მაყორდომს, რომელმაც ლას კასასის სახელით მიიწვია ისინი სამლოცველოში; ანაფორაში გამოწყობილი მღვდლის დანახვაზე ჰაბუკები გაფითრდნენ.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, — უთხრა მათ საკურთხეველის მსახურმა, — არავინ არ. ემზადება თქვენს განსადეგნად ეკლესიიდან.

დამსწრეთ ადგილებზე მიუთითა. ცერემონიის ყველა მონაწილე დააყენა წესის მიხედვით და უხელმძღვანელა ყველას, როგორც ოფიცერი მეთაურობს რეკრუტებს, ლას კასასმა თანაშემწედ მოხუცი კამაჩო აირჩია და, თითქოს აქ არაფერიაო, დაიწყო და დაამთავრა ჯვრისწერის წეს-ჩვეულება, მერე დალოცა მის წინ დაჩოქილი ახალდაქორწინებულები, ბოლოს წარმოთქვა გულშიჩამწვდომი ქადაგება ცოლქმრულ ერთგულებაზე. მოძებნა ისეთი დამაჯერებელი და გულზე მოსახვედრი სიტყვები, რომ ყველა დამსწრე ააღელვა და ქალებს მალმალე მიჰქონდათ თვალებთან მოქარგული ცხვირსახოცები.

მიმართა დედოფალსა და ვალენსუელას. როგორც საქმროსა და საცოლეს მამობილსა და მდადეს, ისე. რომ გამსჭვალავი ძზერა არ მოუცილებია ახალგაზრდა იდალგოს ჩაფიქრებული და პირქუში სახისთვის, ლას კასასმა საზეიმოდ და აღელვებულად წარმოთქვა შემდეგი სიტყვები:

— საჭიროდ არ მიმაჩნია თავისი მოვალეობანი შევახსენო მდადეს, ის ხომ ნამდვილად დედა იყო ახალდაქორწინებულისთვის. თქვენ კი, სენიორ მამობილო, ნურასოდეს დაივიწყებთ, რომ თქვენ გევალებათ. ყველაზე მეტად. ვინც უნდა იყოს, იზრუნოთ თქვენი ნაშვილების პატიოსნებისა და კეთილდღეობისათვის. თუ შესძლებთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა, ღმერთმა მოწყალება მოიღოს თქვენზე; მაგრამ თუ დაივიწყებთ თქვენს მოვალეობას. ღმერთმა არ ინებოს თქვენი შეწყალება. დაგსაჯოთ ამ და იმ ქვეყნად, როგორც ამას იმსახურებენ ფიცის გამტეხნი.

შემდეგ. თითქოს თავისი სიტყვებით მოხდენილი შთაბეჭდილების გაქარწყლება უნდაო, ჯვარი გადასახა ყველა დამსწრეს: „უფალმა გაკურთხოთ“, — გაიხადა წმინდა სამოსი და მხიარული სიცილით მიმართა დედოფალს:

— ახლა, თქვენო მაღალშობილებავ, კეთილ ინებეთ განაგრძოთ შეწყვეტილი პურობა, ჩვენ კი შემოგიერთდებით და მას საქორწილო ლხინად ვაქცევთ.

ყველამ, გარდა ერთი კაცისა, გამოხატა სიხარული უეცარ ჯვრისწერაზე: თავისი დამარცხებით გამოწვეული წუხილი რომ დაეფარა, ვალენსუელამ დიდი ყურადღება გამოიჩინა მშვენიერ ელვირასადმი.

კაპელანი სამადლობელო ლოცვას როცა კითხულობდა, დედოფალს მსახურმა მოახსენა, რომ სასახლეში მოვიდა პადრე მანსანედო, ერთერთი სამ სახელმწიფო მოციქულთაგან, მაგრამ როცა გაიგო დედოფალი არავის ღებულობდა, წავიდა და დაიბარა, ნაშუადღევს მოვალო.

აღელვებულმა დედოფალმა ეს ამბავი ლას კასასს მოახსენა, რომელმაც მაშინვე განაცხადა, დარწმუნებულია, რომ ბერი იერონიმელი მოვიდა ქორწილის ჩასაშლელად.

— როგორც ხედავთ, გონივრულად მოვიქეცით, რომ ჩვენი საქმე სისრულეში მოვიყვანეთ,—თქვა ლას კასასმა,—ნურაფერზე წუხხართ, აქედან პირდაპირ იერონიმელ ბერებთან წავალ და წარვუდგენ სიგელს, რომლის საფუძველზე ვმოქმედებდი. უველაფერი კეთილად დამთავრდება.

XVIII.

ახსნა-განმარტება

ერთი საათის შემდეგ ფუნდუკში კასიკი, ვალენსუელა და კამაჩო ერთმანეთს უზიარებდნენ დილით მომხდარი ამბის შთაბეჭდილებას, დაუცხრომელი ლას კასასი კი ესაუბრებოდა პადრე მანსანედოს სავაჭრო რიგში, სადაც იერონიმელებს მისცეს თავშესაფარი.

ამ დროისათვის ბერებსა და ინდიელთა დამცველს შორის დამყარებული იყო ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც უკვე აღარ შეიძლება თვალთმაქცობა, ურთიერთუკმაყოფილების დაფარვა. განსაკუთრებული თვინიერება არ შეჭიოდა სათნოებათა რიცხვში, რაც ლას კასასს ახასიათებდა; იგი ფიქრობდა—და ჩვენი აზრითაც სრულიად საფუძვლიანად, — რომ ქედმაღალ ხალხთან საჭირო არ არის თავი გეჭიროს თვინიერად, რათა გამოუსწორებელი ცოდვილები არ წააქეზო; საკუთარ თავზე უნდა გამოაცდევინო მათ ის ბოროტება, რასაც თავის მოყვასს უკეთებენ, და ამით მონანიების საშუალება უნდა მისცე. შეიძლება, ასე რომ მსჯელობდა დიდი ჰუმანისტი (და მასთან ერთად ჩვენც), ცოტათი სცილდებოდა ქრისტიანულ მოძღვრებას. მაგრამ. ასე იყო თუ ისე, მას განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრიდა გული ეტკინა

ქედმაღალთა ამაოებისათვის და „მოეშლევინებინა ყოყოჩობა“, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, თავის ყოვლადძლიერი ყოყლოჩინა მტრებისთვის.

თვინიერი და გულმოწყალე მოძღვარი იყო იგი უბრალო ხალხის, ღარიბების, უბედურების, შეურაცხყოფილთა და დამცირებულთა, ვინც ნამდვილად საჭიროებდა უმაღლესი სულიერი სიკეთის განმკურნებელ ბალზამს.

ლას კასასის სიტყვების მიხედვით, რომელმაც თავის მეგობრებს გაუზიარა იერონიმელებთან საუბარი, იგი წარსდგა პადრე მანსანედოს საზიზღარი ფიზიონომიის წინაშე და ჩვეულებრივი „უფალი გფარავდეს“ შემდეგ, რომელიც ორივე მხრიდან ეღერდა „ეშმაკმა წაგიღოსზე“ უარესად. უცებ შეუდგა საქმეს:

— პადრე მანსანედო, თქვენთან მომიყვანა აუცილებლობამ შეგატყობინოთ დღეს ჩემ მიერ აღსრულებული საიდუმლო, რათა თავიდან ავიცილო მცდარი მითქმა-მოთქმა ანდა სხვა quid pro quo [1].

— გისმენთ, პადრე კასას, — მოღუშულად უპასუხა ბერმა.

— დღეს დედოფლის სასახლის სამლოცველოში ჩემ მიერ აღსრულებულია ქორწინების საიდუმლო და დალოცვილია ახალდაქორწინებულნი, წოდებულნი ენრიკედ, ბაორუკოს კასიკი და დონია მენსია დე გევარად.

— ეს რა გესმის! — შეჰყვირა შეშინებულმა ბერმა. — ეს ქორწინება არ უნდა მომხდარიყო. არსებობს სასტიკი აკრძალვა...

ლას კასასმა ჩაიცინა, თავი გაიქნია და დაუფარავი დაცინვით თქვა:

— დიდი ხანია ვხვდებოდი, რომ აქ იხლართებოდა ხრიკები; მოხიკას კარგად ვიცნობ.

— მოხიკას? — იკითხა ბერმა. — დიახ, თქვენ მართლი ხართ, აი, წაიკითხეთ: როგორც ქალიშვილის ბიძა, მტკიცედ აცხადებს უარს მის ქორწინებაზე კასიკთან. წერილი დღეს დილითაა მიღებული; მეგობრებმა დამავალეს ხელი მოვკიდო ამ საქმეს.

ლას კასასმა ჭაღალდი აიღო და თვალი გადაავლო.

— ყველაფერი საზიზღარი ცილისწამებაა, — უთხრა მან და წერილი დაუბრუნა.

— ასეა თუ ისე, — შეედავა ბერი, — ვიდრე ქორწინებას აკურთხებდით, აუცილებელი იყო ყველაფრის შემოწმება გულმოდგინედ. თქვენ ხომ უკიდურესად წინდაუხედავად მოიქეცით, როცა ქორწინება დააჩქარეთ.

---

[1] გაუგებრობა (ლათ.).

— სწორი არა ხართ, პადრე, — ცივად შეეპასუხა ლას კასასი. — ვეჭვობდი, რომ რაღაც ხრიკი მზადდებოდა და სწორედ ამიტომ დავაჩქარე ჯვრისწერა.

— საშინელი კაცი ხართ, პადრე ბარტოლომე! — შეჰყვირა გაბრაზებულმა ბერმა. — რა უფლებით გაბედეთ ამის გაკეთება?

— აი რა უფლებით, — უთხრა ლას კასასმა, თან ჯიბიდან ამოიღო კარდინალ სისნეროსის გერბიანი და ბეჭდიანი პაკეტი. — როგორც ხედავთ, მოცემული მაქვს ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულებისა და მის წინაშე წამოჭრილი დაბრკოლებების თავიდან აცილების განსაკუთრებული უფლება; აუცილებელია სიფრთხილე, რადგან, საჭიროა თქვენ იცოდეთ, პადრე, რომ მოხიკა დიდი ხანია წინააღმდეგობას უწევს ამ ქორწინებას და ცბიერ ხრიკებს აწყობს, რასაც წმინდა მიზნებისათვის როდი აკეთებს.

— როგორც ჩანს, სხვა ქმარი მოძებნა თავისი ძმისშვილისთვის, — წარმოთქვა მამა ბერნარდინომ შერბილებულად, კარდინალის სიგელის დანახვაზე. — თქვენ სწორი ხართ, პადრე კასას, — დასძინა მან, როცა საბუთის შინაარს გაეცნო, — მაგრამ თქვენთვის ძნელი არ იყო თავიდანვე შეგეტყობინებინათ ჩვენთვის ეს ამბავი? ჩვენ დროულად შევამოწმებდით კასიკის, თქვენი სამეურვეოს, ყოფაქცევას.

— სწორედ ამიტომ მოვიქეცი სრულიად საწინააღმდეგოდ. ახლა კი კეთილად შეუდექით შემოწმებას, რომ დარწმუნდეთ, როგორ ბოროტად სწამებს ცილს მოხიკა ენრიკილიოს, რომელსაც არ შეუძლია ოდნავ შესცოდოს პატიოსნების მიმართ. ცილისმწამებელმა იცის, მისი ჩანაფიქრი დასაღუპადაა განწირული, მაგრამ დროის მოგება უნდა დაგანაგრძობს ხრიკებს, თუმცა ავაზაკს ვეღარაფერი უშველის: მომაკვდავის უკანასკნელი სურვილი ასრულებულია!

მამა ბერნარდინოს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ქორწინება კანონიერად ეცნო; დაეთანხმა, რომ მოხიკა ნამდვილი ავაზაკი იყო, მაგრამ ბერმა მაინც თხოვა ლას კასასს, სენიორ ვალენსუელას და ლა მაგუანელი ორი რეხიდორის მიერ ფიცით დამოწმებული ქაღალდით დაედასტურებინა, რომ ენრიკეს უზადო ყოფაქცევა ჰქონდა, ბრალდება კი, თითქოს სანტო-დომინგოდან მიმავალმა ჰაბუკმა გზაზე ანიკა მოიტაცა ხასად, — ცილისწამება იყო. სწორედ ამაში მდგომარეობდა მოხიკას ცრუ დასმენა კასიკზე, — ბიძამ მიზნად დაისახა, რადაც უნდა დასჯდომოდა ხელი შეეშალა, „თავისი საყვარელი ძმისშვილის“ ქორწინებისთვის. ამ გამამართლებელი საბუთის მოლოდინში იერონიმელმა მამებმა დაადგინეს, კასიკს შეუძლია დარჩეს სანტო-დომინგოში, მაგრამ არ შეუძლია მეუღლის უფლებით ისარგებლოსო.

XIX

თავის მართლება

ლა მაგუანაში წერილი იმ დღესვე გაგზავნეს, ახალგაზრდა ვალენსუელა კი თავის საზიზღარ მრჩეველთან წავიდა სასწრაფოდ, რომ მომზდარი ამბავი ეთქვა. მოხიკა გაცოფდა, როცა გაიგო, რომ მთელი მისი ეშმაკური ჩანაფიქრი ჩაიშალა ლას კასასის მტკიცე ჩარევით.

— თქვენ საბრალო მშიშარა და უსაქმური ხართ! — მიახალა პირში ახალგაზრდა ვალენსუელას. — თქვენი საზიზღარი სულმდაბლობით ყველაფერი ჩაიშალა.

— რა შემეძლო გამეკეთებინა? — თავს იმართლებდა ჰაბუკი. — ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა... ახლა ყველაფერი დამოკიდებულია სან-ხუანში გაგზავნილ წერილზე, — სანამ წერილი არ მოვა, მანამ ხომ კერ გახდება ენრიკე მენსიას ქმარი.

— რა ეშმაკად მინდა მე ეს? — დაიყვირა გაცოფებულმა მოხიკამ. — ხომ არ გგონიათ, რომ მე ისე, უმიზეზოდ დავიწყებ წერილების ჭერას ანდა ჩემ ბიჭებს დავავალებ. შიკრიკი მოკლან? ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, ვიღრე ქორწინება ჩატარდებოდა, ახლა კი უკვე გვიანაა.

— მაგრამ თქვენ ხომ გესმით, — შეედავა ვალენსუელა, — რომ წერილი ნათელს მოჰფენს მთელ ამ ამბავს, ანიკას მოტაცებიდან მოყოლებული; თქვენ თვითონ არ მეუბნებოდით, თუ ამ საქმეს გაქექავენ, რომ ვერ გამოხვალთ ამ ამბიდან სუფთად.

— რა თქმა უნდა, — თქვა გაღიზიანებულმა მოხიკამ, — ძაღლი ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოს. მაინც არა მაქვს განზრახული პაკეტის ხელში ჩაგდება. დავუშვათ, შევაცდინე ვიღაცა ინდიელი ქალი, ამისთვის ერთი თმის ღერსაც ვერ დამაგდებინებენ, ასე რომ არ იყოს, მოხუცი პასამონტე უკვე გაქაჩლებული იქნებოდა. მაგრამ თუ ცხვირს ჩავყოფ სახელმწიფო მიმოწერაში, ეშმაკმა იცის, ამის გამო რას მიზამენ. დალახვროს ეშმაკმა! ამჯერად ხელს ვიბან და ჩემი გზით მივდივარ.

ამ გადაწყვეტილებით დაცილდნენ ერთმანეთს მეტისმეტად უკმაყოფილო თანამოაზრენი. მაგრამ ოცდაოთხი საათიც არ იყო გასული, რომ ისინი ისევ დაზავდნენ და გადაწყვიტეს ეცადათ უკეთესი შემთხვევისთვის თავიანთი ავი ზრახვების შესასრულებლად..

ამასობაში, დონ ფრანსისკო ვალენსუელამ წერილი მიიღო ლას კასასისგან და აღშფოთებული იყო მოხიკას ახალი ხრიკებით: მძიმე ავადმყოფობით ლოგინზე მიჯაჭვულმა, სან-ხუანიდან თავის ერთგულ მეგობარს სოტომაიორს უხმო და დაავალა რეხიდორებისთვის ეთხოვა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, წერილობით დაედასტურებინათ ენ-

რიკეს უზადო ყოფაქცევა, ღირსეულმა რეხიდორებმა სწრაფად და საუცაოდ დაახასიათეს ახალგაზრდა ინდიელი, დაადასტურეს მისი მშვენიერი სულიერი თვისებები და უნაკლო ყოფაქცევა. დონ ფრანსისკომ ფიცით დაამოწმა ნაწერის სისწორე და თავის მხრივ აქო კასიკის ღირსებები. საბუთს დაუმატა ჩვენ მიერ ადრე ხსენებული დონ გარსია დე აგილარის წერილი და ლას კასასის შიკრიკს გადასცა პაკეტი, რომელიც დაუყოვნებლივ იქნა ჩატანილი სანტო-დომინგოში.

ამრიგად, პადრე მანსანედომ მალე მიიღო მოხიკას ცილისწამების უარყოფა; ბრძანა მოეძებნათ მატყუარა, რომელიც ჩუმად წასულიყო ქალაქიდან, რათა თავის მამულში, ხარაგუაში დაემალა იმედგაცრუებით გამოწვეული სიმწარე და თავისუფლად მოეფიქრებინა ახალი ხრიკები.

ამრიგად, ვალენსუელას და მსახურთა თანხლებით ახალდაქორწინებულები, როგორც იქნა, გაუდგნენ გზას ლა მაგუანასკენ. ლას კასასმა მათ გააყოლა თავისი მოხუცი მსახური კამაჩო, რომელსაც განსაკუთრებული საიდუმლო დარიგებები მისცა; დედოფალმა, რომელსაც თავის მხრივ სურდა საქორწინო მოგზაურობისთვის მიეცა შესაფერი ბრწყინვალება, მხლებლებს გააყოლა მაჟორდომი და სასახლის ორი მსახური, მათი ტანისამოსების მკერდზე ამოქარგული გახლდათ კოლუმბების გერბი — ჰერკულესის სვეტების გამოსახულება და დევიზი „plus ultra“ [1].

XX

რეზიდენცია

სიგელს, რომელიც დიდი ნდობის ნიშნად მიიღო ლას კასასმა კარდინალ სისნეროსისგან, არ შეეძლო მეგობრობა აღედგინა იერონიმელ მამებსა და დევნილი რასის მფარველს შორის. სიმტკიცე და დაჟინება, რომლითაც ლას კასასი მოითხოვდა სამი ბერისგან, გადაუდებლად გაეტარებინათ ცხოვრებაში აწალი ბრძანებულება ინდიელთა უფლებებზე, ყოველთვის წინააღმდეგობას ხვდებოდა, რადგან იმ პირთა წაქეზებით, რომლებსაც მონობის ძალაში დატოვება სურდათ, ბერები უწინდელ შეხედულებას ინარჩუნებდნენ ლას კასასის ხასიათსა და კეთილ ზრახვების შესახებ. ისინი მას ქედმაღლად და მბრძანებლურად თვლიდნენ და კმაყოფილებით უგდებდნენ ყურს ბოროტ ცილისწამებას მომხვეჭელებისა, რომლებიც ყველაფერს გააკეთებდნენ,

[1] ზომაზე მეტად (ლათ.).

ოღონდ ჩირჩი მოეცხოთ ამ გამოჩენილი ადამიანისთვის, მაღალი აზრები რომ ამოძრავებდა.

დამორჩილებულნი საერთო მიმართულებას, რომელიც დღევანდლამდე ითვლება კანონად უმრავლესი კოლონიური მმართველებისთვის, იერონიმელი მამები ვერ ბედაეღნენ ხელი აღემართათ ახალ ქვეყანაში დამყარებულ წესებზე. მიუხედავად ყველა აღმაშფოთებელი უკანონობისა, რომლებიც მათ თვალწინ ხდებოდა. მომხვეჭელობის სული, რომელიც საფუძვლად უდევს კოლონიის დაპყრობას, გადაიზრდება ხოლმე აღსავსე სიხარბედ. ეს სიხარბე იწრაფვის ჩაახშოს ყოველგვარი ადამიანური გრძნობა. აი, მიზეზი იმისა, რომ გამხრწნელი ბურუსი აბრუებს გონებას და მასში, როგორც ფოტოგრაფიულ კამერაში, თეთრი ხდება შავი. ამ საშინელ საცდურს, ამ გონების დაბნელებას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მხოლოდ სუფთა, შეუბღალავმა სირდისმა, ბრძენში განმწრთობილმა ჭეშმარიტებამ, რომელიც უცხოა შიშისა და გაშტიდრების წყურვილისათვის.

მაგრამ დაბნელებულ გონებას არ შეუძლია ზნეობრივი კანონების დამცველი გახდეს; უსამართლობა მას სრულიად დასაშვებად და საარსებო აუცილებლობადაც კი მიაჩნია, ფიქრი კი იმ უბედურებაზე, რაც თითქოს მუდამ თან ახლავს ყოველ ცდას აღდგენილ იქნას საზოგადოებაში მუდმივი, კურთხეული და ურყევი, თუმცა დროდადრო ბუნების დარღვეული კანონები თრთოლას იწვევს.

აი, რატომ აღმოჩნდა ადვილი ინდიელთა წართმევა იმ ესპანელებისთვის, რომლებიც კასტილიაში ცხოვრობდნენ. ესპანიოლაზე კი ენკომიენდის უფლებით სარგებლობდნენ მისი მკვიდრი მოსახლეობის უფასო შრომით; ამ უბედურ ინდიელებს მოელოდათ ხუან დე ალპიზის განკარგულებაში გადასვლა. იგი ყვებაიდა პასამონტეს. რომელმაც მიიღო დავალება შეექმნა ასიენდეები იმ ბრწყინვალებათათვის. ვალდებულებად რომ ლებულობდნენ ეზრუნათ ინდიელებზე მომუშავე ინდიელებზე. კუნძულზე არ აღმოჩნდა არც ერთი პიროვნება, რომელიც შესძლებდა უარი ეთქვა ასეთ გარიგებაზე. სხვანაირად იყო იმ ინდიელების საქმე, რომლებიც უკანონოდ გადავიდნენ ესპანიოლას ხელისუფლების წარმომადგენელთა საკეთრებაში. პასამონტესა და მის დამჭაშ ხუან დე ამბიესისა და სხვა გაკულენიან პირთა ხელში აღმოჩნდნენ რამდენიმე წლის წინ ლუკაის კუნძულებიდან და სულ ახლახან კუნძულ ტრინიდადიდან ძალით წამოყვანილი ინდიელები. უკანასკნელნი — გაუგონარი ამბავია! — გადავიდნენ სააპელაციო სასამართლოსა და თვითონ მოსამართლე რევიზორის ხელში; მართლმსაჯულებამ რომ იცოდა და მოიწონა, ისე მოხდა აღმაშფოთებელი დანაშაული. უსირცხვილო მეკობრეებმა ტყვედ ჩაიგდეს კუნძულის მკვიდრნი და გაყიდეს მონებად.

ეს უკანონობა ძალაში რჩებოდა მაშა იერონიმელების ჩემი მონა-

წილეობით, რომლებიც ესპანეთიდან ჩამოვიდნენ ბრძანებით, რომ აღეკვეთათ ძარცვა-გლეჯა და თავისუფლება დაებრუნებინათ ჰის უბედურ მსხვერპლთათვის. მოსამართლეები და მეფის მოხელეები, რომლებიც სათავეში ედგნენ მონათმფლობელებს, ყოველნაირად აქეზებდნენ და გზას უბნევდნენ მამა იერონიმელებს, თავგამოდებით იცავდნენ იმ ინტერესებს, რაც აუცილებლად მოისპობოდა, იმ შემთხვევაში, თუ ცხოვრებაში გატარდებოდა ინდიელების განთავისუფლების ბრძანებულება. თავაზიან ბერებს რცხვენოდათ მათი გაკოტრების ერთიც ვნახოთ. მათხოვრებად ექციათ „საბრალო მოხელეები და კოლონისტები“, რადგან დიდ უსამართლობად თვლიდნენ საზიზღარი მონების განთავისუფლებას, რომლებიც კურთხეულ მონობაში იმყოფებოდნენ; დამთავრდა იმით, რომ ღვთის კეთილმა მსახურებმა გადაჭრით თქვეს უარი მათთვის მიცემულ ბრძანებაზე და კარდინალს მიმართეს შუამდგომლობით ახალ კანონში შეეტანათ რიგი ცვლილებებისა, მათი უდიდებულესობისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის; ეკლესია და მრევლი, ბერების სიტყვით, ამით სრულებით არ ზარალდებოდა, რადგან, როცა ყველაფერში გაერკვნენ, მოციქულებმა დაადგინეს, რომ „სულ სხვაა ნახო ეს ქვეყანა თვალით და სხვაა — იცნობდე მას განაგონით“. ლას კასასის დაჟინებამ, რომელიც მოითხოვდა ინდიელთა სასარგებლო ახალი ბრძანებულების შესრულებას, ამ ბრძანებულების მთავარი სულისჩამდგმელი თვითონ გახლდათ,— — საბოლოოდ წააკითხა იგი ბერებს და გამოიწვია მის მიმართ ენკომიენდის ყველა მფლობელის შეურიგებელი სიძულვილი. ლას კასასის მეგობარი დომინიკელები სამართლიანად შიშობდნენ ინდიელთა მგზნებარე დამცველის სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის, ძლივს დაიყოლიეს იგი დასახლებულიყო მათთან, მონასტერში, რომელიც შურისმაძიებელი მტრებისგან საიმედო თავშესაფარი იყო. ცხოვრობდა დომინიკელებთან, თავისი მოთხოვნიდან იოტის ოდენას არაფერს უთმობდა იერონიმელებს, და ლას კასასი, როგორც იქნა, ელირსა დაგვიანებული ალონსოს ჩამოსვლას. მაშინ დაჟინებული თხოვნებიდან და მოწოდებებიდან სამართლიანობისთვის მამაცი მებრძოლი, გადავიდა მოქმედებაზე და ახალ მოსამართლე-რევიზორთან საჩივარი აღძრა მეფის მოხელეებსა და მოსამართლეებზე, ადანაშაულებდა მათ მძიმე ბოროტმოქმედებაში, კანონების ფეხქვეშ გათელვასა და უბედურ ინდიელებზე ძალადობაში.

პატიოსანმა, მოუსყიდველმა სუასომ მიიღო საჩივარი და დაიწყო გამოძიება, მაგრამ ბოროტმოქმედებმა დაბრმავებული იერონიმელების მხარდაჭერით ესპანეთში კარდინალ სისნეროსთან გაგზავნეს თავიანთი შუამდგომელი და გააცნეს უამრავი ცრუ ბრალდებანი ლას კასასის წინააღმდეგ, მას უწოდებდნენ უგუნურსა და საშიშ შფოთისთავს. ლას კა-

სასისა და მის მცირე თანამოაზრეთა წერილები ხელთ იგდეს მტრებმა და ვერ მიაღწია სისნეროსამდე. ასე რომ, თავისი მაღალი სულიერი ღირსებების მიუხედავად, მოულოდნელად წაადგნენ თავს ცილისმწამებლები და დაუჯერა მათ გამონაგონებს. ლიცენციატმა სუასომ მიიღო ბრძანება შეეწყვიტა გამოძიება საქმის ვითარების მიუხედავად, ამასობაში ესპანიოლაზე მყოფი მეფის ყველა მოხელე და მოსამართლე მთლიანად იყვნენ მხილებულნი კანონის დარღვევასა და ძალადობაში.

მაშინ კეთილშობილი ლას კასასი აღშფოთებული მოელაპარაკა ალონსო სუასოს და პედრო დე კორდოვას, ისევ წავალ ესპანეთში სიმართლისა და სამართლიანობის აღსადგენად. სუასომ ლას კასასთან და ძმა პედროსთან შეთანხმებით, მისი წასვლა აცნობა იერონიმელებს: პასუხად მონასტერ მეხორადას წინამძღვარმა ძმა ლუის დე ფიგეროამ აღელვებით შეჰყვირა: „არ შეიძლება მისი წასვლა, ამ ნაპერწკლიდან ხანძარი ახინთება“. რაზედაც მოსამართლემ უპასუხა: „მაგრამ ვინ გაბედავს აუკრძალოს მღვდელს, ვისაც მეფის სიგელი აქვს, რომელიც ნებას რთავს ყოველთვის, როცა უნდა, უველაფერი მოახსენოს მეფეს, შეასრულოს თავისი მოვალეობანი ისე, როგორც თვითონ სცნობს საჭიროდ?“

ამრიგად, მიიღო რა სარეკომენდაციო წერილები და მინდობილობები ძმა პედრო დე კორდოვასგან, დომინიკელი და ფრანცისკანელი ბერებისგან კარდინალისა და მეფის სახელზე, ლას კასასი გამოემშვიდობა იერონიმელებს, რომლებმაც, შეშფოთების დასაფარავად, მეტად თავაზიანად მიიღეს იგი, და გაემგზავრა ესპანეთში, სადაც მალე ჩავიდა მშვიდობიანად. იერონიმელებმა სასწრაფოდ დაადევნეს ლას კასასს ჩვენთვის უკვე ცნობილი ბერნარდინო დე მანსანედო, რათა თავი ემართლებინათ მეფის კარზე და ინდიელთა დამცველისთვის წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ, განა არენაზე გამოშკებულ ზოზინა აქლემს შეუძლია ძლიერი ლომის დამარცხება? და მოუქნელ სირაქლემას განა შეუძლია სძლიოს მთის მწვერვალების ფრინველთა მეფეს, არწივს?

XXI

მოკლედ შემდგომ ამბებზე

გავუძლოთ დაწვრილებით მოყოლის ცთუნებას, დაჟინებაზე და გმირულ ბრძოლაზე, რომელიც თავისი საქმის მტკიცე რწმენით გადახდა ესპანეთის ერთ-ერთმა სახელოვანმა შვილმა, კაცობრიობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის სამართლიანობისა და თავისუფლების დასაცავად, რომელიც განწირული იყო სასტიკი მონობისა და გაუგონარი განადგურებისთვის, უსირცხვილო და დაუცხრომელი სიხარბის სასარგებლოდ.

როცა გადაწყვიტა ხელმეორედ გადაელახა ატლანტის ოკეანე. ბარტოლომე ლას კასასი ევროპაში ჩავიდა ურყევი რწმენით შეიარაღებული, რომ მხოლოდ მონობის მოსპობა იხსნიდა ინდიელთა რასას გარდუვალი დაღუპვისაგან. არაადამიანური ბატონობისთვის ინდიელების გადაცემის ნაცვლად, რომლებიც ვალდებული იყვნენ „ქრისტიანობა მიეღებინებინათ მათთვის და შეეჩვიათ შრომისთვის“, რაც ლას კასასისთვის ნიშნავდა, ცხვრის სისხლისმსმელი მგლებისთვის სამოწყალოდ ჩაბარებას. მას აუცილებლად მიაჩნდა სახელმწიფო ინტერესების შეთავსება ბუნებრივი და პოლიტიკური უფლებების მაღალ ჰუმანურ საფუძვლებთან, რათა განხორციელებულიყო მართვის ევროპული პრინციპები და ინდიელები ზიარებოდნენ ცივილიზაციას, ასეთი სისტემა ამჟამად სცნო პატიოსანმა და საქმის მცოდნე ხალხმა, ეკონომიური მეცნიერების საფუძვლებთან შესაბამისობისთვის; მაგრამ იმ დროისთვის მომხვეჭელებს, რომლებიც ახალ ქვეყანაში მხოლოდ შემოსავალს ეძებდნენ, იგი ეჩვენებოდათ უაზრო და საოცარ უტოპიად.

ლას კასასს ჰქონდა რწმენა, ჭკუა და სიბეჯითე, რაც აუცილებელი იყო საბრძოლველად ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელიც ეყრდნობოდა ხელისუფლებას, გავლენიან ნაცნობობას, სიმდიდრეს, პირველ ყოვლისა, ჩვეულების ძალასა და ძველთაგანვე მოპოვებულ მდგომარეობას. სახელგანთქმულ, დიდსულოვან დედოფალ იზაბელას სიკვდილის შემდეგ, ფერდინანდმა ახალი ქვეყანა ნიაღვარს და რბევას მისცა. თავის თავის მოყვარული მონარქი, კოლუმბის მიერ აღმოჩენილ ქვეყანაში არ ხედავდა არაფერს, მატერიალური გამორჩენის გარდა, რისი მიცემაც მას მეფისთვის შეეძლო; აი, რატომ იყო, რომ კონჩილიოსის, ფონსეკას, პასამონტეს და მათი ღირსეული დამჭაშების იდეებმა ღრმად გაიდგეს ფესვები მეფის შეგნებაში და საფუძვლად დაედო ახალი ქვეყნის მმართველობას. ლას კასასისა და მისი ერთი მუჭა მეგობარი—ბერების გააფთრებული ბრძოლა ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ უთანასწორო და ძნელი იყო; არაერთხელ მოუხდა მოწინააღმდეგეთა რიცხობრივი სიმრავლის, მჭიდ ძლიერი მფარველების წინაშე უკანდახევა და დამარცხება მოციქულს, მაგრამ არასდროს დაცემულა სულიერად და შეეძლო ამაყად ეთქვა, ამ უთანასწორო ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს მიეაღწიე ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ზეიმსო; რაც უფრო ძნელია ბრძოლა, მით უფრო დიდი სახქლია გამარჯვებულისთვის.

გამოვტოვოთ ბრძოლის მთელი პერიპეტიები: ნუ მოვყვებით იმ ამბავს, რომ კარდინალი სისნეროსის სიკვდილის შემდეგ თავისი სიტყვის გამტანმა ლას კასასმა როგორ შეძლო მხარდაჭერის მოპოვება კარლოს ავსტრიელის ფლამანდიის კარზე; როგორ მოახერხა მოეპოვებინა დიდი პატივისცემა კანცლერ ხუან სელვაჯოსი, მეფის აღმზრდელის შიევრისა, კანცლერ ლახაოსი, ბადახოსელი ეპისკოპოსისა და კას-

ტილიის სხვა პრელატებისა და გრანდებისა; განზე დაეტოვოთ მისი ყოველდღიური დისპუტები ეპოქის გამოჩენილ მეცნიერებთან (იგი ყოველთვის ჯობნიდა მათ, ყველას აოცებდა თავისი ჭკუით და ცოდნით: მისი სიმართლე აღიარა მეფის ყველა რვა მოქადაგემ, გამოჩენილმა ღვთისმეტყველებმა, მათ შორის მიგელ სალამანკელმაც): მკითხველს ვუამბოთ მხოლოდ ღრმა გონებრივ და ზნეობრივ ღირსებებზე, რამაც ხელი შეუწყო ლას კასასს გამარჯვება მოეპოვებინა ძლიერ მოწინააღმდეგეებზე, და ჩვენი თავდაჭერილი მონათხრობის ფურცლებზე მოვიყვანოთ ამ დიდებული ბრძოლის უფრო ნათელი მომენტები, რომელიც ერთხელ კიდევ დაადასტურებს, რა დიდი იყო თანდაყოლილი ნიჭი ლას კასასისა, რომელიც თვით ღვთისგან იყო მოვლენილი შეესრულებინა ერთ-ერთი უკეთილშობილესი გმირობა კაცობრიობის ისტორიაში.

რაც შეეხებოდა უვიც მანსანედოს, მისი ყოფნა მეფის კარზე ძლივს შეიმჩნეოდა; როცა დარწმუნდა, რომ არ შეეძლო გაჯიბრებოდა მჭევრმეტყველ და დიდად განათლებულ ლას კასასს, ამჯობინა მორიდებულად შეფარებოდა თავის სავანეს ლუპიანეში, მაგრამ ასეთი ხასიათი არ ჰქონდა ბურგოსის პატივმოყვარე და ბრაზიან ეპისკოპოსს ფონსეკას, მის დამჭაშს მემატიანე გონსალეს დე ოვიედოს და დარიენის ეპისკოპოსს. ხუან დე კეედოს, ლას კასასის მძვინვარე მოწინააღმდეგეებს, რომლებთანაც მას კამათი მოუხდა. ლას კასასი ელვის უსწრაფესად, დაუღალავად ამარცხებდა მტრებს და იმარჯვებდა. ეპისკოპოს ხუან დე კეედოს იგი პირველად შეხვდა მეფესთან, რომელმაც იმ დროისთვის გერმანიის იმპერატორის გვირგვინი მიიღო და მეფის კარი გადაიტანა ბარსელონაში: მაგრამ მეფე იმყოფებოდა ქალაქში კი არა, სადაც მომაკვდინებელი ეპიდემია მძვინვარებდა, არამედ ახლომახლო, მოლინს დელ რეიში, ჯანმრთელი ჰავით განთქმულ სოფელში.

ლას კასასის მისალმების პასუხად ეპისკოპოსმა, რომელიც ესპანელების დამცველის ჩამოსელისთანავე ჩამოვიდა პანამიდან ესპანეთში, რათა მხარი დაეჭირა პედრიასისა და ახალი ქვეყნის თვითმპყრობელი მმართველისთვის, მედიდურად წარმოთქვა:

— ო, სენიორ ლას კასას, მე თქვენთვის შემონახული მაქვს მშვენიერი ქადაგება!

მოხერხებული ლას კასასი არ დაბნეულა:

— მე კი, სენიორ, გამოგიტყდებით, მეც შემოვინახე თქვენი მოწყალებისთვის ორი-სამი ქადაგება და თუ მოისურვებთ მათ მოსმენას უყურადღებით, დაწრმუნდებით, ისინი იმ განძზე ძვირად ფასობენ, რომლებიც თქვენ ინდოეთიდან ჩამოიტანეთ.

ეპისკოპოსმა არანაკლებ ღვარძლიანი პასუხი გასცა და, შეიძლებოდა, დავას სერიოზული ხასიათი მიეღო, მეფის მდივანს ხუან დე სამა-

ნოს, რომელიც კეთილად იყო განწყობილი ლას კასასისადმი, არ ემცნო პრელატისთვის, რომ სამეფო საბჭოს უველა დამსწრე წევრი იზიარებდა ინდიელთა დამცველის აზრს.

იმავე დღეს, დარიენის ეპისკოპოსი და ლას კასასი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბადახოსის ეპისკოპოსის, დოქტორ მოტის სახლში,— რომელიც მონარქის კეთილგანწყობით სარგებლობდა; შეხვედრას ესწრებოდნენ ადმირალი დონ დიეგო კოლუმბი და დონ ხუან დე სუნიგა, სახელგანთქმული აზნაური. გაჩაღდა დავა: ლას კასასი ამტკიცებდა, რომ ესპანიოლაზე შეიძლებოდა პურის მოყვანა და დასადასტურებლად აჩვენა საუკეთესო ხარისხის ერთი მუჭა ხორბალი, რომელიც მოეგროვებინათ სანტო-დომინგოში დომინიკელთა მონასტრის ბაღში. გულღვარძლიანმა ეპისკოპოსმა ზიზღით მიახალა:

— თქვენ რა გესმით ამისი? იმ საქმეებზე მეტი არ გესმით, რამაც ესპანეთში ჩამოგიყვანათ.

— თქვენ მათ ყურადღების ღირსად არ თვლით, სენიორ? — მორიდებულად ჰკითხა ლას კასასმა.

— დიახ, რა გესმით თქვენ მათი? — ისევ გაიმეორა ეპისკოპოსმა.— რა ცოდნა, რა სიბრძნე გაქვთ, რომ ბედავთ ასეთ საკითხებზე მსჯელობას?

ამაზე ლას კასასმა ღირსეულად უპასუხა ყოყოჩა პრელატს:

— იცით თუ არა თქვენ, სენიორ ეპისკოპოსო, რომ ჩემმა მცირე ცოდნამ — ის კი, შეიძლება, უფრო მცირეა, ვიდრე თქვენ გგონიათ,— ხელი შემიწყო გამეკეთებინა შემდეგი დასკვნები: ჯერ ერთი, თქვენ ასჯერ, არა, ათასჯერ ცოდვილი ხართ, რადგან მწყემსი ხართ და არ გამოეკომაგეთ თქვენს სამწყსოს, რათა გეხსნათ ისინი ტირანებისგან. მეორეც, თქვენ სისხლს სვამთ თქვენი ცხვრებისას, თქვენ ნთქაეთ მათ. მესამეც, თუ უკანასკნელ კაპიკამდე არ დააბრუნებთ თქვენ მიერ ჩამოტანილ განძს, როგორც იუდას, არ გიწერიათ სულის ხსნა.

ასეთი მოულოდნელი შეტევით გაოგნებულმა ეპისკოპოსმა სცადა უველაფერი ხუმრობაში ჩაეტარებინა და გადაიხარხარა.

— თქვენ იცინით? — გაიკვირვა ლას კასასმა. — მაშინ, როცა უნდა დასტიროდეთ საკუთარ ბედს და თქვენი სამწყსოს უბედურ ბედს.

— როგორ არა, ჩემი ცრემლები აქ არის, საფულეში, — უსირცხვილოდ უპასუხა ეპისკოპოსმა.

— კარგად ვიცი, — შეეპასუხა ლას კასასი, — რომ გულწრფელი წუხილი — ღვთის საჩუქარია; და თქვენ უნდა ილოცოთ, მოგევლინოთ ასეთი საჩუქარი — გულის სიღრმიდან მომავალი სისხლის ცრემლებით დაიტიროთ საკუთარი ცოდვები. რადგან დიდია თქვენი უბედურება და დიდია ტანჯვა თქვენი სამწყსოსი.

— კმარა, კმარა! — შეჰყვირა დოქტორმა მოტამ, ბადახოსის ეპისკოპოსმა, რომელიც ისე აუშფოთებლად ეთამაშებოდა შაშს ადმირალს, თითქოს ვერც ამჩნევდა დავას, გუნებაში დიდ სიამოვნებას რომ ანიჭებდა.

დონ დიეგო კოლუმბმა და დონ ხუან დე სუნიგამ ლას კასასს მოუწონეს დავა, ბადახოსის ეპისკოპოსი გაჩუმდა, რათა შეურაცხყოფა არ მიეყენებინა თანამოძმისა და სტუმრისთვის; მაგრამ, იმ დღესვე, სამეფო საბჭოზე ყოფნისას — სხდომები კი იმ დროს ყოველდღე ტარდებოდა, — მან კარლოს V უამბო ლას კასასსა და ხუან დე კევედოს შორის მომხდარი შეტაკების ამბავი;

— ნება მომეცით, თქვენო უდიდებულესობავ, — დაიწყო მან, — გიამბოთ მესირ ბარტოლომე როგორ საყვედურობდა ეპისკოპოსს, რომ იგი არ ზრუნავს თავის სამწყსოზე, როგორც ეკუთვნის კეთილ მწყემსსა და პრელატს.

ჭაბუკმა მონარქმა, რომელიც დაფიქრებულად და გულიანად ეკიდებოდა სახელმწიფოებრივ საქმეს და ღირსი აღმოჩნდა თავისი დიდი ბედისა მისი იმპერატორად გამოცხადების პირველი დღიდანვე, ყურადღებით მოუსმინა პრელატს, ცოტა დააყოვნა პასუხი, მერე შიევრს მიუბრუნდა და თქვა:

— მსურს პირადად ვნახო და მოვუსმინო ამ მამაც მღვდელს, რომელზედაც ბევრჯერ მელაპარაკეთ. მიიღეთ ზომები, რომ არა უგვიანეს სამი დღისა, მან და დარიენის ეპისკოპოსმა დავა განაგრძონ ჩემი თანდასწრებით.

XXII

ღირსსახსოვარი თამბირი

იმ დროს, როცა ლას კასასი, რომელიც ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყო დარიენის გულზვიად ეპისკოპოსთან შეტაკების შემდეგ, დოქტორ მოტას სახლიდან გადიოდა, სადარბაზოში მასთან მივიდა ფრანცისკანელი ბერი, მორჩილად დაუკრა თავი და ჰკითხა:

— მითხარით, პადრე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ხომ არ იცნობთ მღვდელს სენიორ ბარტოლომე ლას კასასს?

— თქვენი მორჩილი მსახური მე გახლავართ, სენიორ, — უპასუხა ლას კასასმა.

— გულდაგულ დაგეძებდით, — აუხსნა ბერმა. — ახლახან ვიყავი ესპანიოლაზე, მაგრამ თქვენ იქიდან ესპანეთში გამომამგზავრით; ძალიან ცოტა ხანს ვიყავი კუნძულზე და აღმაშფოთა უკანონობამ, რაც ვნახე. ჩვენი მოძღვარის ნებართვით, რომელმაც სარეკომენდაციო წერილები

გამომატანა, სასწრაფოდ გამოვემართე ესპანეთში თქვენ დასახმარებლად.

ამ მოულოდნელად მოსწრებულ დახმარებაში, ინდიელების დამცველმა ღვთის მოწყალება დაინახა და ფრანცისკანელთან (რომლის სახელსაც ლას კასასი თავის ჩვეულების წინააღმდეგ არ ასახელებს) საუბრის შემდეგ კანცლერს სთხოვა ნებართვა სასახლეში გამოცხადებულიყო ახლადჩამოსულ ბერთან ერთად, რადგან იმპერატორის თანდასწრებით მასაც შეეძლო გამოეთქვა აზრი ახალი ქვეყნის შესახებ.

ლას კასასი და მისი თანმხლები ფრანცისკანელი, როცა შევიდნენ დიდ, მდიდრულად მორთულ დარბაზში, რომელიც საზეიმო მიღებისთვის იყო განკუთვნილი, დიდებულთა და მეფის კარისკაცთა თანხლებით, იქ უკვე იმყოფებოდა დარიენის ეპისკოპოსი. როცა მან ლას კასასის თანამგზავრში შეიცნო ის მქადაგებელი, რომელმაც თავისი მგზნებარე ქადაგებებით იმპერატორის რეზიდენციის გვერდით მდებარე ეკლესიაში, გული აუჩქროლა დედაქალაქის ყველა დიდგვაროვან მცხოვრებს, ასეთი მოულოდნელი შეხვედრით უკმაყოფილო ეპისკოპოსმა ქედმაღლურად მიმართა მორიდებულ ბერს, იმ იმედით, რომ შეაშინებდა მას და აიძულებდა წასულიყო სასახლიდან.

— თქვენ რას აკეთებთ აქ? — წამოიწყო მან. — ბერებმა თავისი სენაკები არ უნდა დატოვონ სასახლეებისთვის.

—თანახმა ვარ, სენიორ ეპისკოპოსო. რომ ჩვენთვის, ყველა ბერისთვის უმჯობესია სენაკებში დარჩენა.

— წადით აქედან, პადრე, — მკვახედ უთხრა პრელატმა, — ახლა მეფე გამოვა.

— დაელოდეთ მეფის გამოსვლას, — უპასუხა უშიშარმა ბერმა, — და ნახავთ, რა მოყვება ამას.

ამ დროს გამოჩნდა კარლოს ავსტრიელი მთელი რეგალიებით, როგორც ეკუთვნოდა ორი ქვეყნის მფლობელს. ცოტა ხნის წინ იგი არჩეული იყო გერმანიის იმპერატორად. თუმცა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ინვესტიტურები, მთელი მისი შესახედაობა ბრწყინავდა უავგუსტოესი დიდებით კაცისა, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი უსაზღვრო სიძლიერე. იგი ავიდა შუა დარბაზში, მეწამული გავალაკის ქვეშ მდგარ ოქროს ტახტზე; მის მარჯვნივ და მარცხნივ წესის მტკიცე დაცვით, დასხდნენ სენიორ შიევრი და მთავარი კანცლერი, ადმირალი დონ დიეგო კოლუმბი და ბადახოსის ეპისკოპოსი, შემდეგ დარიენის ეპისკოპოსი და ინდოეთის საქმეთა სამეფო საბჭოს წევრი სხვა პრელატები და სენიორები. პირდაპირ მონარქის წინ მშვიდი ღირსებით მოსილნი იდგნენ პადრე ბარტოლომე ლას კასასი და მისი თანამგზავრი.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე სენიორ შიევრი და უზენაესი კანცლერი ერთდროულად ადგნენ, თავ-თავიანთი მხრიდან მივიდნენ ტახ-

ტის საფეხურთან, თავი მდაბლად დაუკრეს და დაბრუნდნენ ადგილებზე. ახალი მცირე პაუზის შემდეგ მთავარმა კანცლერმა ხუან დე კევედოს მიმართა:

— დიდად პატივცემულო ეპისკოპოსო, მისი უდიდებულესობა ნებას გრთავთ ილაპარაკოთ, თუ რამე გაქვთ სათქმელი ინდოეთის შესახებ.

„ეპისკოპოსი (აქ სიტყვა მივცეთ ლას კასასს, რადგან ის გვიამბობს ამის შესახებ უფრო უკეთ, ვიდრე ჩვენ) ადგა და, როგორც მქადაგებელმა, რომელიც მიჩვეულია დახვეწილი მეცნიერებით გადმოსცეს თავისი აზრი, რჩეული გამოთქმებით წარმოთქვა პრეამბულა, რომ მას „უკვე დიდი ხანია სწყუროდა წარმდგარიყო მონარქის წინაშე, რისთვისაც მრავალი მიზეზი ჰქონდა, და ახლაც, როცა ღმერთმა ინება მისი სურვილის ასრულება, მას შეუძლია დაამოწმოს, რომ facies Priami digna erat imperio [1]; ასეთი სიტყვებით იყო შექებული ჰომეროსის მიერ ტროას ღირსეული მეფის პრიამოსის მშვენიერი სახე". პრეამბულა ყველას მოეწონა და უნდა ვიფიქროთ, რომ მეფესაც, არანაკლებ სხვებისა".

ამრიგად მოიპოვა — საორატორო ხელოვნების კანონების მიხედვით — მაღალი აუდიტორიის კეთილგანწყობილი ყურადღება. დარიენის ეპისკოპოსმა, რომელსაც სურდა დაემცირებინა ორივე პირველეული, უბრალო ბერი, რომლებმაც გაბედეს ორთაბრძოლაში ჩაბმულიყვნენ მასთან, ეკლესიის თავადთან, დაბეჯითებით ითხოვა დაეთხოვათ დარბაზიდან, ვინც არ იყო საბჭოს წევრი, რადგან მას, ეპისკოპოსს განზრახული ჰქონდა მეფისა და მისი მრჩევლების წინაშე ემსჯელა მეტად მნიშვნელოვან, საიდუმლო საქმეებზე, და ჩემი ჭაღარისა და ხნოვანების პატივისცემის იმედი მაქვსო; მაგრამ მისი თხოვნა ორჯერ დატოვეს უყურადღებოდ, ბოლოს და ბოლოს იძულებული იყო გადასულიყო საქმეზე. თავის ვამოსელაში მან აშკარა წინააღმდეგობა დაუშვა: კონტინენტზე კოლონიის მმართველებსა და რეზიდენტებს უწოდა მძარცველები, კაცისმკვლელები და ტირანები; ამავე დროს ამტკიცებდა, ინდიელები ვერ ეგუებიან ცივილიზაციის სიკეთეს და ეკუთვნიან იმათ რიცხვს, რომლებიც არისტოტელემ „ბუნებით" მონებად მონათლა.

დადგა პადრე ლას კასასის რიგი, და მთავარმა კანცლერმა მას სიტყვა მისცა მიღებული ცერემონიალის მიხედვით, ისეთივე გამოთქმით, რაც გამოიყენა ეპისკოპოსისადმი მიმართვის დროს. მინისტრებსა და მეცნიერთა შორის დიდების შარავანდედით მოსილ ჭაბუკ მონარქის წინაშე, რომელიც მთელ უფლებით განაგებდა დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე მცხოვრებ მილიონობით ქვეშევრდომთა ბედს, მღვდელ-

1 პრიამოსის გარეგნობა მბრძანებლის შესაფერია (ლათ.).

მა იგრძნო, რა ძლიერ უცემდა დიადი გული, ანთებული ისეთივე ღვთიური ცეცხლით, როგორიც ენთო ოდესღაც პავლეს გულში, რომელიც წარდგა მეფე აგრიპასა და პროკონსულ ფესტის წინაშე, ანდა ამბროსის გულში, რომელიც არ შეუდრკა ბოროტმოქმედ ფეოდოსის და აღაფრთოვანებდა ყველა მამაც მოციქულს, რომელთაც ხმა აღიმაღლეს ღვთისა და კაცობრიობის მოდგმის ხსნისთვის; ღრმა რწმენითა და გულმოწყალებით გარდაქმნილნი, ისინი ჰკუას ასწავლიდნენ გვირგვინოსან მთავრებსა და მპყრობელებს, ჩრდილავდნენ მათ დიდებას და აჩვენებდნენ, რამდენად ამაო და ხანმოკლეა მათი ძალაუფლება დედამიწაზე, რამდენად მერყევი და მოჩვენებითია მათი დიდება.

ბარტოლომე ლას კასასი ელაპარაკა კარლოს V ახალ, მისთვის ჯერ უცნობ ენაზე, — ბედმა ხომ აკვნიდანვე შეუმზადა ჰაბუკ მონარქს გამარჯვებებით აღსავსე ბრწყინვალე მომავალი. იქნებ, როცა თავისი სიცოცხლის დასასრულს, დიდებით დაკმაყოფილებულმა იმპერატორმა თავი შეაფარა წმინდა იუსტის მონასტერს, რათა იქ, საკურთხეველის წინ გართხმულს, მოესმინა სულის მოსახსენიებელი მესის პირქუში საგალობლები, მეხსიერებაში კი უნებურად ამოტივტივდებოდა მამაცი და კეთილშობილი სახე ეკლესიის ღირსეული მსახურისა, რომელმაც ოკეანე გადალახა, მივიდა სასახლეში და თქვა:

— იქ, თქვენი უდიდებულესობის სკიპტრას დამორჩილებულ შორეულ თვალუწვდენელ სამფლობელოში ხარბი დესპოტები ძარცვავენ და ანადგურებენ ყოვლად უდანაშაულო ხალხს, რომლებსაც უნარი აქვთ დატკბნენ თავისუფლებითა და კულტურის ყოველი სიკეთით. თქვენი უდიდებულესობის ვალია დაეხმაროთ მათ; თქვენ პასუხს აგებთ მათთვის ღვთის წინაშე; ამის შეტყობინებით, უეჭველად, თქვენ უდიდებულესობას დიდ სამსახურს ვუწევ, რაც შეუძლია გაუწიოს ვასალმა მბრძანებელს... ამით მე ვემსახურები არა მონარქს, არამედ ღმერთს. ვესწრაფი ხალხის დაცვას შებღალვისგან, მოვედი აქ და ვამბობ: მე არ მსურს არც მოწყალება, არც ჯილდო ამქვეყნად, რადგან ვფიცავ — თქვენი უდიდებულესობის სამსახურისთვის ნაბიჯსაც არ გადავდგამდი, დარწმუნებული რომ არ ვიყო, ამით ღმერთს ვემსახურები...

ასეთი იყო, საერთო მონახაზში, პადრე ბარტოლომე ლას კასასის სიტყვა; მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე, ყველაზე მეტად კი მეფეზე. ლას კასასის შემდეგ მგზნებარედ და მჭევრმეტყველად ილაპარაკა ფრანცისკანელმა ბერმა, ღვთის რისხვას რომ უქადდა მთელ ესპანელ ხალხს, თუ ბოლო არ მოეღებოდა უკანონობას ახალ ქვეყანაში: და, ბოლოს, როცა ადმირალმა დონ დიეგო კოლუმბმა, დაწესებული ცერემონიალის მიხედვით, წინადადება მიიღო გამოეთქვა აზრი, მან ეს გააკეთა თავისი წოდებისა და სახელის შესაფერისად და დაადასტურა ყველაფერი, რაც ლას კასასმა თქვა.

დარიენის ეპისკოპოსმა სიტყვის ხელმეორედ თქმის ნება ითხოვა, მაგრამ ორ მთავარ მრჩეველთან მეფის ხანმოკლე თათბირის შემდეგ კანცლერმა გამოაცხადა:

— დიდად პატივცემულო ეპისკოპოსო, მისი უდიდებულესობა გიბრძანებთ წერილობით მოახსენოთ ყველაფერი, რაც დასამატებელი გაქვთ.

ამის შემდეგ, მეფე დარბაზიდან გავიდა და საზეიმო აუდიენცია დამთავრდა. ლას კასასმა სრული და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ხუან დე კევედომ, ღვთის წყალობით თუ დარცხვენილმა იმით, რომ ამაოდ ეცადა დაეცვა ბოროტება, სამეფო საბჭოს გაუგზავნა რამდენიმე წერილი, სადაც აღიარა ლას კასასის სიმართლე და მოიწონა მისი გეგმები. იგი ავად გახდა; ლას კასასმა ინახულა ავადმყოფი; ისინი დამეგობრდნენ; მაგრამ პრელატი მალე გარდაიცვალა, — უნდა ვიფიქროთ, სინანულისაგან: ასეთია ღვთის სამართალი.

თვით ქედმაღალი ეპისკოპოსი ფონსეკაც მოთვინიერდა და მოიწონა ლას კასასის განზრახვა — ახალ ქვეყანაში შეექმნა პატიოსანი ესპანელი-მიწათმოქმედის მშვიდობიანი დასახლება, რადგან სიკეთისა და რელიგიის დახმარებით თანდათან აზიარებდნენ ინდიელებს ცივილიზაციას და თავისუფალ შრომას. მაგრამ კაცთმოყვარის ყოველმა ჩანასახმა და ჩანაფიქრმა მარცხი განიცადა უმოწყალო დამპყრობლების წყალობით: მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩაეშალათ და აბუჩად აეგდოთ ლას კასასის დიდსულოვანი ღონისძიებანი. აევსოთ მისი გული სიმწარითა და ტკივილით; აყვავების სხვა გზას ისინი არ ცნობდნენ ინდიელების განადგურებისა ანდა მათი დამონების გარდა.

XXIII

ახალი ცხოვრება

ახალდაქორწინებულთათვის სახლის მოწყობა ლამაზი დაბა სან-ხუანში შეწყდა დონ ფრანსისკო ვალენსუელას ავადმყოფობის გამწვავების გამო. იგი მიჩვეული იყო ბევრ სიარულს, ცხენის ჭენებას, სოფლურ ჯანმრთელ ცხოვრებას; ახლა უძრავად იწვა, ლოგინზე მიჯაჭვული. ექიმი მის სნეულებას ფილტვების ანთებას ეძახდა; ავადმყოფობა არავითარ მკურნალობას არ ემორჩილებოდა და ძალ-ღონეს აცლიდა მოხუცებულს; როცა ახალდაქორწინებულნი ანდრეს ვალენსუელასა და მათ თანმხლებ მსახურებთან ერთად სანტო-დომინგოდან გზას გაუდგნენ, ამბავი მოვიდა, ავადმყოფი უკვე ეზიარაო. ენრიკე და მენსია სან-ხუანში არ შეჩერებულან, დაუყოვნებლივ წავიდნენ ატოში მომაკვდავთან, — მათ სურდათ მისთვის ყურადღება მიექციათ და მოევლოთ.

ახალგაზრდა ვალენსუელამ, როცა შენიშნა გარდუვალი იყო მამის მალე გარდაცვალება, დიდი მწუხარების ნიშნები გამოამჟღავნა, რამაც ეოთობ დააშშვიდა მოხუცი, რომელსაც კარგა ხანია აწუხებდა შვილის გულგრილობა; აღელვებულმა და გახარებულმა მოხუცმა დალოცა ჯაბუკი და დიდხანს ესაუბრებოდა, არწმუნებდა მას გამოსწორებულიყო და ცხოვრებაში ეხელმძღვანელა მხოლოდ კეთილი მაგალითებით, და ბოლოს, ენრიკესა და მენსიას თანდასწრებით, რომლებმაც ღრმა მწუხარეობით მოისმინეს მომაკვდავის დარიგება, დონ ფრანსისკომ თქვა:

— შენ იცი, შვილო, როგორ მიყვარს ჩვენი ძვირფასი ენრიკილიო. ვიმედოვნებ, როცა ჩემი ამქვეყნიური გზა დასრულდება და ღვთის წყალობით საუკუნო ცხოვრებაში გადავალ, შენ, ჩემს მოსაგონებლად, ენრიკეს ღვიძლ ძმასავით მოექცევი, მუდამ იქნები მისი და მისი მეუღლის მფარველი, აგრეთვე გემახსოვრება, რომ ენრიკე თავისუფალი ადამიანია; არავის არა აქვს უფლება იგი ამუშაოს, როგორც ვინმეს მონა. ჩემი სურვილის თანახმად, იგი იცხოვრებს ჩემ საბლში სან-ხუანში, როგორც საკუთარ სახლში, თუ თვითონ არ ისურვებს ახლის აშენებას თავის გემოვნებაზე... ენრიკე, ყოველთვის გიყვარდეს ანდრესი, როგორც მე გიყვარდი.

მოხუცი დადუმდა; მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვების პასუხად თავშეკავებული ქვითინი გაისმა. ანდრესის, ენრიკესა და მენსიას გარდა, მომაკვდავის საწოლის ირგვლივ თავი მოიყარეს მისმა ერთგულმა მეგობრებმა: სოტომაიორმა, ინდიელმა ანიკამ, და ხანში შესულმა სან-ხუანელმა სენიორამ, სახელოვანმა და მდიდარმა ქვრივმა, დონია ლეონორმა. ნათესაურ კავშირს გარდა, მას დონ ფრანსისკოსთან დიდიხნის მეგობრობა აკავშირებდა. მსახურები — მათ შორის კამაჩო და ტამაიო — გვერდით განსასვენებელში ელოდნენ განკარგულებებს.

დაძაბულობამ, რაც დასჭირდა მომაკვდავს თავისი უკანასკნელი სურვილების სათქმელად, ძალ-ღონე გამოაცალა მას: სუნთქვა წყვეტილი და ხრინწიანი გაუხდა; მალე მეტყველების უნარი დაკარგა და ჩაძრა მეზობელი სოფლიდან ჩამოსული მღვდლის ხელში.

საღამოს მიცვალებულის გვამი სოფლის ეკლესიაში გადაასვენეს და დაასაფლავეს ვილის უბრალო სასაფლაოზე. არ იყო მდიდრული გასვენება, მაგრამ ღარიბები და უბრალო ხალხი გულწრფელი წუხილით მიაცილებდნენ კეთილ დონ ფრანსისკოს, რომელიც მთელი სიცოცხლე მათი გულმოწყალე მფარველი იყო.

ანდრეს ვალენსუელა სამი დღის განმავლობაში თამაშობდა დარდით შეწუხებული შვილის როლს, რათა შემდეგ სულითა და გულით მისცემოდა თავის მდიდარ მემკვიდრეობაზე ზრუნვას. ამ საქმეში საუკეთესო სამსახური გაუწია მისმა მრავალნაცადმა მეგობარმა პედ-

რო დე მოხიკამ. მან მოახერხა საქმისთვის ჩაეწოცილებინა ზედმეტი გაჭიანურება, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხოლმე მემკვიდრეობის გადაცემას. როგორც კი გაიგო დონ ფრანსისკოს სიკვდილის ამბავი, მაშინვე თავქუდმოგლეჯილი მოვარდა ახალგაზრდა მემკვიდრესთან, რომელსაც მოთმინება არ ყოფნიდა, ვიდრე გულითად მეგობარს ნახავდა.

მეგობრებმა დაწვრილებით შეიმუშავეს შეთქმულება კასიკის წინააღმდეგ. ანდრეს ვალენსუელას, მამის სურვილის მიხედვით, ადრინდელივით უნდა შეენარჩუნებინა მეგობრული დამოკიდებულება ენრიკესთან, რათა მისი ნდობა მოეპოვებინა. რაც შეეხებოდა მენსიას, გადაწყდა, რომ ახალგაზრდა იდალგოს ძალღონის დაუზოგავად უნდა ესარგებლა მეუღლის ნდობით და ცდილიყო ჩაეგონებინა მისთვის სიყვარული, მაგრამ ჯერჯერობით თავი უნდა შეეკავებინა პირდაპირი ახსნისგან, რათა არ შეეშინებინა უცოდველი მტრედი და დროზე ადრე არ აეფორიაქებინა მენსიას გული; თორემ შეიძლებოდა ყველა გეგმა ჩაშლილიყო.

ანდრესს არ სურდა კასიკისთვის მიეცა მისთვის ნაანდერძევი საჭლი სან-ხუანში. ამიტომ გადაწყვიტა ცოლ-ქმრისთვის შეეთავაზებინა დარჩენილიყვნენ ორი-სამი თვით მის კარ-მიდამოში; თვითონ კი გადავიდოდა ვილში და დარჩებოდა იქ, იქამდე, სანამ მემკვიდრეობას ჩაიბარებდა. ასეთი ფანდი უნდა ეხმარა, ვიდრე საშინი მოწინააღმდეგე პადრე ლას კასასი არ წავიდოდა კუნძულიდან; როცა ახალგაზრდა მეუღლეების მფარველი გაქრებოდა ჰორიზონტიდან, ეშმაკური სიცრუე კი სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებდა. შეიძლებოდა ნიღბის მოხსნა და უკვე აშკარად, ყოველგვარი ხერხით სასურველი მიზნის მიღწევა.

ამ ჯოჯოხეთური გეგმის თანდათანობითი და ზუსტი შესრულება დაიწყო დაუყოვნებლივ. ვალენსუელას ტკბილი სიტყვებით გაბრუებული ენრიკე ადვიდად დათანხმდა დროებით უარი ეთქვა ქალაქის სახლზე და დარჩენილიყო კარ-მიდამოში. მენსია აღტაცებული იყო ლამაზი გარემოთი: ირგვლივ, თვალის მაძებლად, ჰორიზონტამდე გადაჰიმულიყო ჯადოსნური სილამაზის ველი; იგი ატყვევებდა ახალგაზრდა ქალის წარმოსახვას და უმსუბუქებდა სანტო-დომინგოში დარჩენილ მის საყვარელ დედოფალთან და მეგობრებთან დაშორების სიმწარეს. მწვანე მინდვრების ხალიჩაზე და წარაფების ჩრდილში სეირნობით დამტკბარი თავისდა უნებურად უბრუნდებოდა ადრეული ბავშვობის მოგონებებს, სუფთა ვულში რომ სამუდამოდ ინახება.

აი, რატომ იყო, რომ მენსიამ უსაზღვროდ გაიხარა, როცა ვალენსუელამ შესთავაზა თავის კარ-მიდამოში გადასვლა. ახალდაქორწინებულებმა ათი-თორმეტი დღე იცხოვრეს სან-ხუანში, ლამაზ და მოხერხე-

ბულ ადგილას გაშენებულ პატარა ქალაქში, რომელიც წლის უფრო მეტ დროს საკმაოდ მოსაწყენად გამოიყურებოდა, რადგან თითქმის ყველა მისი მცხოვრები სოფელში მიდიოდა, რომ უფრადღება მიექციათ შაქრის პლანტაციებსა და მინდვრებში მუშაობისთვის. ცხოვრება ფერმებში, ხუტორებსა და ასიენდეებში შადრევანივით დუღდა, ბრწყინვალე, მომხიბლავ ბუნებაში, და მდიდარი კოლონისტები სიამოვნებით მიდიოდნენ ქალაქიდან თავიანთი მამულების გამო, სადაც მშვენივრად მორთულ სასახლეებში ცხოვრობდნენ.

ახალგაზრდა ვალენსუელას წინადადებამ კიდევ იმიტომ მიიზიდა ენრიკე, რომ კარ-მიდამოში ცხოვრების დროს შეეძლო მენსიასთან გაუშორებლად ედევნებინა თვალი მინდობილი ინდიელებისთვის, საქონლისა და მინდვრის სამუშაოებისთვის. მალე გულითადად დამეგობრდნენ მენსია და დონია ლეონორი. ხანში შესული ქალი სიამოვნებით დათანხმდა სტუმრად მისულიყო ატოში, თავის ახალგაზრდა მეგობართან.

ამასობაში ამოუხსნელი რჩებოდა მეტად დელიკატური საკითხი, სახელდობრ კასიკ ენრიკეს და მისი ტომის ინდიელების პირადი მდგომარეობა. მოხიკას რჩევით, ვალენსუელა თავს არიდებდა ამ პუნქტის შეხებას. დრო მიდიოდა, ახალგაზრდა იდალგოს მეგობრული, თითქმის ძმური დამოკიდებულებით ხელფეხშეკრულ ენრიკეს კი არავითარი ცვლილება არ შეჰქონდა ადრე დადგენილ წესრიგში. მოხუცი ვალენსუელა ეკუთვნოდა მიწათმფლობელთა იმ მცირე რიცხვს, რომლებმაც როგორც კი გაიგონეს ესპანეთიდან ჩამოტანილი ახალი ბრძანებულების ამბავი, მაშინვე გაატარეს იგი ცხოვრებაში: ენრიკეს მზრუნველობაში მყოფმა ინდიელებმა, გაიშენეს დასახლება ღა იგერას მშვენიერ ველზე, რომელიც ხშირი ტყის გადაღმა, მოყოჭორტულე ნაკადულის ნაპირზე მდებარეობდა. ინდიელებმა შექმნეს თავიანთი დაცვა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ მეთაურები თუ უფროსები. ისინი სამაგალითოდ იცავდნენ წესრიგს ისე, რომ არ მიმართავდნენ არც სიმკაცრეს, არც სასჯელს. დღის განმავლობაში რამდენიმე საათით ყველა ერთად ამუშავებდა პატრონისა და კასიკის მინდორს; დანარჩენ დროს ყოველი ოჯახის პატრონი, ანდა უცოლშვილო, რომელიც დამოუკიდებელი შრომით ცხოვრობდა, მუშაობდა თავის ნაკვეთზე.

გასუფთავებულ მოედანზე ყვითელი ჩალით დახურულ მშვენიერ ქოხებს შორის, იდგა სამლოცველო და კასიკის სახლი, სხვა სახლების მსგავსად, ხითა და ჩალით ნაგები, მხოლოდ უფრო დიდი და კეთილმოწყობილი.

საღამოობით ენრიკე ანდა ინდიელთა შორის უხუცესი, თავს მოუყრიდა დასახლების მცხოვრებთ სამლოცველოში ღვთისმშობლის გამოსახულების წინ სალოცავად.

ენრიკე ხელმძღვანელობდა თემს კასიკის უფლებით და ინდიელთა სურვილით, რომელთაც სულითა და გულით უყვარდათ იგი. დასახლებაში ბატონობდა პატრიარქალური ჩვევები, გეგონებოდათ, აქ ხორციელდებოდა ბიბლიის საუკეთესო აღთქმანი. ინდიელების მდგომარეობა და მათი განაწილების საკითხი ძველებურად გააფთრებული ბრძოლის საგანი იყო სანტო-დომინგოში: სისნეროსას და ადრიანის ბრძანებულებები მახინჯდებოდა უსირცხვილო ხრიკებით, ეშმაკობით და ბოროტმოქმედებით დაინტერესებულ პირთა მიერ, — და ინდიელები თავისუფლებას ვერ ღებულობდნენ. ლას კასასი და ლიცენციატი სუასო ედავებოდნენ იერონიმელ ბერებს, რომლებიც კოლონისტების შეგულიანებით აყოვნებდნენ რეფორმის ჩატარებას, თითქოს არ იცოდნენ, როგორ შედგომოდნენ საქმეს. ვალენსუელასთან მომუშავე ინდიელები სხვებზე ბედნიერები აღმოჩნდნენ, ყოველ შემთხვევაში, ენრიკილიო ახალგაზრდა მემკვიდრის მოქმედებაში ვერ ამჩნევდა ვერაფერს, რაც შეიძლებოდა დონ ფრანსისკოს კეთილი განზრახვისა და სამართლიანობის წინააღმდეგი ყოფილიყო. გარდა ამისა, იგი იცნობდა ახალ ბრძანებულებას და აზრადაც არ მოსვლია, რომ ახალგაზრდა ვალენსუელა გაბედავდა დავას კასიკის უფლებებსა და მის სამეურვეოზე, განსვენებული მამის აშკარად გამოთქმული სურვილის წინააღმდეგ.

მოუთმენელმა ტამაიომ ჩვეული უხეშობით, ერთხელ ჰკითხა კასიკს:

— ჩვენ ისევ ენკომიენდეში ვართ, ენრიკე?

— ეს საკითხი მოგვარდება. — რბილად უპასუხა კასიკმა.

— მაშ მალე საჭირო მისი მოგვარება, — არ ცხრებოდა ტამაიო. — შენ რაღაც ძალიან დამშვიდებული და მიმნდობი ხარ; ტყუილად გაცდუნებს სენიორ ანდრესის დაპირებები. დარწმუნებული ვარ, იმედგაცრუება გელის.

— შენ კი მხოლოდ ცუდი გელანდება ყოველთვის, ტამაიო. — შეეძავა ენრიკე. — აი, ჩვენი კეთილი კამაჩო, დარწმუნებული ვარ, სხვანაირად ფიქრობს.

— აბა რა! — ჩაება ლაპარაკში ინდიელი, რომელიც ჩუმად უსმენდა საუბარს. — აქამდე სენიორ ანდრესს ვერაფერს ვუსაყვედურებთ. ივნისში წმინდა ხუანის დღეა. შემცვლელად მოვა ინდიელთა ახალი წყება, და მაშინ ყველაფერი გაირკვევა საბოლოოდ. მანამდე საჭირო არ არის ამაზე ლაპარაკი.

— მართალი ხარ, კამაჩო. — დაემოწმა ენრიკე. — ჩვენ ჯერ არაფერი გვაქვს საჩიველი. სხვები უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩვენ...

კასიკი დადუმდა, მწუხარე ჩრდილმა გადაურბინა სახეზე, ფიქრებში წავიდა. მერე თქვა:

— ჩვენ პადრეს მივწერ, რჩევას ვთხოვ, როგორ მოვიქცეთ. ვწუხვარ, რომ ამის შესახებ არ ვკითხე ადრე, როცა შევატყობინე ძვირფას სენიორ დონ ფრანსისკოს სიკვდილი, დაუმკვიდრე უფალო, სასუფეველი.

— სწორი ხარ, — დაეთანხმა მშვიდობისმოყვარე კამაჩო, მაშინ, როცა ტამაიომ მხოლოდ ზიზღით აიჩეჩა მხრები და რაღაც ჩაიდუდღუნა.

ენრიკემ დაჟინებით შეხედა მოუთმენელ ინდიელს და გულკეთილი ღიმილით უთხრა.

— ჩემო საბრალო ტამაიო, ნამდვილად გამოუსწორებელი ხარ!

XXIV

შეთქმულება

ახალგაზრდა კასიკი დაუყოვნებლივ შეუდგა ვრცელი წერილის წერას ლას კასასისთვის და დაწვრილებით უამბო, როგორ იყო საქმე: მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ანდრეს დე ვალენსუელა მშვენივრად ექცეოდა მას, და ბოლოს ლას კასასს რჩევას სთხოვდა, როგორ დაეკანონებინა იმ ინდიელების ახალი მდგომარეობა, რომლებიც განსვენებული სენიორის ენკომიენდეში იმყოფებოდნენ. თავის ეჭვებს იმით ხსნიდა, რომ მთელ მხარეში მხოლოდ ლა იგერის ინდიელებს გაუღიმა ბედმა ესარგებლათ ახალი ბრძანებულების სიკეთით; ისე გამოდიოდა, თითქოს თავიანთი ბედნიერებისთვის დონ ფრანსისკოს სიკეთის მადლობელნი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ამ კანონის ძალისა; ჯერ ხომ სან-ხუანის არც ერთ კოლონისტს არ დაუარსებია დასახლება თავისი ინდიელებისთვის; ენრიკემ ისიც კი ვერ მოახერხა მოეთხოვა, რომ მისი ტომის ინდიელები, რომლებიც სენიორ ფრანსისკო ერნანდესისთვის იყვნენ ენკომიენდით ჩაბარებულნი, ვალენსუელასთან მომუშავე ინდიელებს გათანასწორებოდნენ უფლებებით.

ამ წერილმა მშვიდობიანად ჩააღწია ლას კასასამდე, რადგან კასიკმა ყოველი ღონე იხმარა, იგი ხელში არ ჩავარდნოდა მოხიკას, რომელიც სან-ხუანში იყო და ენრიკეს სამართლიანად ეშინოდა მისი. მაგრამ ინდიელების დამცველმა, იერონიმელ ბერებსა და ფესვგადგმულ ესპანელ-მომხვეჭელებს რომ ებრძოდა, ვერ გამოიჩინა საკმაო სიფრთხილე პასუხის გაგზავნის დროს და კასიკისთვის განკუთვნილი წერილი ანდრესმა დაიჭირა.

ვიდრე ენრიკე მოუთმენლად ელოდა პასუხს, ლას კასასის წერილი ეშმაკ და ცბიერ მოხიკას ხელში გადაიქცა კასიკის საწინააღმდეგო სა-

სიკვდილო იარაღად. ლა მაგუანაში ენრიკე სარგებლობდა ყველას სიყვარულით, ვისაც შემთხვევა ჰქონია ახლო გაცნობოდა მის მშვენიერ გულს; მაგრამ თავიანთ მოგებას მიწათმფლობელნი გაცილებით მეტად აფასებდნენ; აი, რატომ იყო, რომ ისინი ასე მტკიცედ იცავდნენ ინდიელების დამონებას. ანდრესისგან ხელში ჩაგდებული წერილი როცა მიიღო, მოხიკა დაუყოვნებლივ წავიდა სან-ხუანისა და მის ახლომახლო მამულების მცხოვრებლებთან, რათა გაეცნო მათთვის წერილის შინაარსი. ლას კასასი ეჯავრებოდათ მდიდარ კოლონისტებს, როგორც ეშმაკს ჯვარი — ენრიკესთვის გამოგზავნილ წერილში ინდიელთა დამცველი ურჩევდა მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილიყო ახალგაზრდა ვალენსუელასთან და მისთვის ყველაფერი დაეთმო, რადგან ეს აუცილებელი იყო თვითონ კასიკის აღიარებით. „რაც შეეხება შენი ტომის ხალხს, რომლებიც სენიორ ფრანსისკო ერნანდესთან მუშაობენ, — დასძენდა ლას კასასი, — ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო იქნება იქამდე მოცდა, სანამ არ მივაღწევ ახალი ბრძანებულების გატარებას ცხოვრებაში, როგორც მათთვის, ისე სხვებისთვისაც".

მოხიკას ცბიერი შენიშვნებით სავსე, ლას კასასის წერილმა ძირფესვიანად აღმოფხვრა ის კეთილი გრძნობები, რაც ჰქონდათ ლა მაგუანელ მდიდარ ესპანელებს ენრიკესადმი. როცა დარწმუნდნენ, რომ ინდიელთა განთავისუფლებისთვის ზრუნვის გამო ახალგაზრდა კასიკმა მიმართა ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი არაჩვეულებრივი შესაძლებლობა და ძლიერი ენერგია შეალია ინდიელთა დაცვას, საშინლად შეიძულეს ენრიკე, მათ თვალში იგი გადაიქცა ბოროტგანმზრახველად, რომელიც ისწრაფოდა წაერთმია მათთვის მიწა და გაეღატაკებინა ისინი. კასიკის ყოველ ჩარევას ინდიელთა განაწილებაში, ისინი ადარებდნენ უმადურობის აღმაშფოთებელ გამოვლენას; ამ თავკერძათა აზრით, კასიკი უნდა დაკმაყოფილებულიყო საკუთარი კეთილდღეობით და სრულებით არ უნდა ეზრუნა თანამოძმეთათვის.

თავშეკავებული სიძულვილის აფეთქება ენრიკილიოსთვის მით უფრო საშიში იყო, რომ მისი წარმომშობი მიზეზი უცნობი რჩებოდა. მოხიკამ და ანდრესმა მიზანს მიაღწიეს. კასიკმა ფასი დაკარგა იმათ თვალში, ვინც წინათ აფასებდა მას, და როცა დადგება დრო აშკარა მოქმედებისა, თანამზრახველნი შეძლებენ გამოვიდნენ შეუნიღბავად, იმის შიშის გარეშე, რომ ლა მაგუანელი რომელიმე მდიდარი გამოექომაგება ჰაბუკს. გეგმა შემუშავებული იყო უკანასკნელ წერილმანამდე, გამარჯვება წინასწარ უზრუნველყოფილი.

ამასობაში, ვალენსუელამ უფაქიზესი მუხანათობით გააორკეცა მზრუნველობა ენრიკესა და მისი მეუღლის მიმართ. სხვადასხვა მიზეზებით თანდათან უფრო მოუხშირა კარ-მიდამოში სიარულს; გარდა-

ცვლილი მამის საბუთებში იქექებოდა და ელოდა, როდის ჩამოვიდოდა მენსია მეორე სართულიდან ქვედა პალატში, სადაც ანიკასა და მსახურებთან ერთად დაბინავებული იყო დონია ლეონორი. ამ სენიორას აქ ყოფნა, რომელსაც ანდრეს დე ვალენსუელა თითქოს შვილივით სცემდა პატივს, და მისი ხშირი მოსვლა და დიდი ხნით დარჩენა საკუთარ სახლში, გამორიცხავდა ყოველგვარ ეჭვს ახალგაზრდა იდალგოს ზრახვებთან დაკავშირებით.

ანდრეს დე ვალენსუელას საუბრები, როცა მსმენელთა შორის მენსია იმყოფებოდა, სრულიად უწყინარი და მეტისმეტად სასიამოვნო მოსასმენი იყო კასიკისა და მისი მეუღლისათვის. ანდრესი ბევრს ლაპარაკობდა ქორწინების დიდ მნიშვნელობაზე, ამ წმინდა კავშირზე, რომელშიც ორი არსება ერთარსებად იქცევიან, და პოულობენ ნამდვილ ბედნიერებას. დიდი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა ეს ორპირი თვალთმაქცი, და თუ დონია ლეონორი გულკეთილი ეშმაკობით ჰკითხავდა ქორწინების მომხრეს. როდის შემდეგ აითვისა ესოდენ ჯანსაღი მსჯელობა, მატყუარა პასუხობდა, რომ ამ მშვენიერი გარდაქმნისთვის იგი უნდა უმადლოდეს სიყვარულს, რადგან სანტო-დომინგოში უკანასკნელად ყოფნის დროს განიცადა ჭეშმარიტი გრძნობის მშვენიერება, რომელიც არ შეედრება იმ გატაცებებს, როგორსაც იგი ეძებდა თავისუფალ დროს, სოფლური ცხოვრების მომქანცველი მოწყენილობის გამო.

— ასე რომ, თქვენ მალე შეირთავთ ცოლს? — უნდობლად ეკითხებოდა დონია ლეონორი.

— აუცილებლად, — პასუხობდა ჰაბუკი. — როგორც კი მოვრჩები მემკვიდრეობის საქმეებს, მაშინვე წავალ სანტო-დომინგოში, რომ სასუვარელი არსების ხელი ვითხოვო.

ასე თანდათანობით შეძლო მან გამოუცდელი მენსიას ნდობის მოპოვება, რომელსაც იოტისოდენა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ანდრესმა ნამდვილად გულწრფელად შეიყვარა მისი ამხანაგი ელვირა პიმენტალი. ახალგაზრდა ქალიშვილი სიამოვნებით უსმენდა ყველაფერს, რაც მას აგონებდა ამხანაგებსა და მის ადრინდელ ცხოვრებას დიდ კოლუმბის სასახლეში, მალე ჰაბუკთან საუბარმა მისთვის ჩვეულებრივი, მეგობრული აღსარების ხასიათი მიიღო. ამ პირველი მიღწევით გახარებულმა ვალენსუელამ ეს ამბავი გაუზიარა მოხიკას, იმ იმედით, რომ ახლოა ის დრო, როცა გაიმარჯვებს მენსიას უბრალო და სუფთა გულზე; ისიც კი ეგონა, მტრედი უკვე გაებაო მისთვის დაგებულ ასმანაკში.

საბედნიეროდ, იგი ცდებოდა. ერთხელ, გადაწყვიტა. საიდუმლო ჩანაფიქრის გამხელის ჟამი დადგაო და, მისი აზრით, მოსალოდნელი გამარჯვების ნაცვლად დამამცირებელი დამარცხება განიცადა, მიხვდა,

რომ ამაოდ დაკარგა დრო. პატიოში, უშველებელი მუხების ჩრდილში მჯდომი მენსია საჩუქარს უქარგავდა თავის ამხანაგსა და სტუმარს, დონია ლეონორს, ის კი იქვე ახლოს, ვერანდაზე, მოხერხებულ საკარძელში იჯდა, შუადღის ნელი ნიავი უნანავებდა, ჯერ ამაოდ ებრძოდა ძილს, შემდეგ კი შეუმჩნეველად დაუთმო ცთუნებას და ტკბილ თვლემას მიეცა. სხვადასხვა შინაური საქმით გართული მსახურები შორს იყვნენ; ენრიკე უკვე ჯერ არ დაბრუნებულიყო; ირგელიც სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო და ახალგაზრდა ქალი, რომელმაც თავი მარტო იგრძნო, ოცნებას მიეცა. ვერანდის ბოლოს ჩუმად გაიღო კარი და გამოჩნდა ვალენსუელა; სწრაფად მოავლო ირგელივ თვალი, იფიქრა, რომ ეს წუთი და გარემოება სასიკეთო იყო მისთვის და ჩუმად გასწია წინ; მენსიასთან, რომელმაც ვერ შენიშნა მისი მოსვლა, ორ ნაბიჯზე მოახლოებულმა ათრთოლებული ხმით წარმოთქვა:

— კურთხეული იყოს ეს სამუშაო და ეს ხელები, ასე მშვენივრად რომ ქარგავენ!

— სენიორ ვალენსუელა? თქვენ აქ ხართ? — შესძახა გაოცებულმა მენსიამ.

— დიახ, მე აქ ვარ და აღფრთოვანებული ვარ ამ სიმშვენიერით, — უპასუხა ვალენსუელამ.

— მართლა, აქ არაფერია აღსაფრთოვანებელი, სენიორ — გულუბრყვილოდ შეეპასუხა ახალგაზრდა ქალი, — მე უფრო ლამაზი ნახატებიც მაქვს საქარგავად.

— მაგრამ არც ერთი არ შეგედრებათ სილამაზით, მენსია, — უთხრა თავხედმა ჰაბუკმა.

— ჩვენ ნახატებზე ვლაპარაკობთ, — გაიცინა ახალგაზრდა ქალმა. — თუ ქალის სილამაზეზე ვილაპარაკებთ, თქვენ თვითონ იცით, რომ ელვირა პიმენტალი გაცილებით ლამაზია...

— არ ღირს ამაზე ლაპარაკი, — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა ვალენსუელამ თანამოსაუბრეს. — არც ელვირას და არც სხვა ქალიშვილს, არავის შეუძლია თქვენ შეგედაროთ. იცოდეთ ერთხელ და სამუდამოდ, მენსია: ვისაც თქვენი სილამაზის ბრწყინვალება უნახავს. ვისი გულიც ანთებულა თქვენი ღვთიური თვალების ცეცხლით. ის ბრმაა სხვების მიმართ და არ შეუძლია ვინმე შეიყვაროს, ვინმეფი აღფრთოვანდეს.

ახალგაზრდა ქალმა გაოცებით შეხედა ჰაბუკს. რომლის ბაგესაც სწყდებოდა ეს თავხედური სიტყვები. მის თვალწინ იყო ანთებული სახე, მღელვარე, შეუკავებელი ვნებისაგან დამახინჯებული, იგი შიშმა შეაკრთო და თავისდა უნებურად წამოხტა.

— რას ლაპარაკობთ!.. — წაიჩურჩულა ძლივს გასაგონად. — ვერ გამიგია, რა გინდათ თქვათ, სენიორ ვალენსუელა!

— მე ვამბობ, — უპასუხა ანდრესმა ისე, რომ თავს ძლივს იკავებდა და ხმა დაიდაბლა,— მინდა ვთქვა, რომ მიყვარხართ მთელი გულით, რომ გალმერთებთ, და საპასუხო გრძნობის იმედი რომ არ მქონდეს, ჯავრისგან მოვკვდებოდი. მე ვამბობ, რომ ვიღაც საზიზღარი კასიკის ღირსი არ არის ასეთი ფასდაუდებელი საგანძური, როგორიც მენსია დე გევარაა...

— გაჩუმდით, სულმდაბალო ადამიანო! — მკაცრად შეაწყვეტინა მას ლაპარაკი ახალგაზრდა ქალმა, რომელიც გონს მოეგო პირველი შიშის შემდეგ. — ეს თქვენ ხართ საზიზღარი მატყუარა, ბილწი მოღალატე! ამ წუთში წადით აქედან, თუ არ გსურთ, რომ ეს გავიმეორო უველას გასაგონად.

უკანასკნელი სიტყვები მენსიამ შეურაცხყოფილი დედოფლის ღირსებით წარმოთქვა.

ვალენსუელამ შეშფოთებული მზერა მიაპყრო ვერანდას. სადაც საკარძელში დონია ლეონორი თვლემდა. გაბრაზებულმა მენსიამ მოასწრო მეგობრისკენ ნაბიჯის გადადგმა.

— ერთი სიტყვა, მენსია, — ყრუდ ჩაილაპარაკა ვალენსუელამ. — დავიწყეთ, რაც მოხდა: არ იფიქროთ ვინმესთვის მოყოლა, უფრო მეტად ენრიკესთვის, ასე ამბობს.

— ერთგული ცოლი არაფერს უმალავს თავის ქმარს, — შეუპოვრად და მტკიცედ წარმოთქვა მენსიამ, რომელიც ვერანდას უახლოვდებოდა და შორდებოდა ვალენსუელას.

ამ დროს, დონია ლეონორს გაეღვიძა და გაიგონა თავხედი ჰაბუკის პასუხი.

— თუ მოუყვებით, დაიღუპებით!

— ეს რა მესმის! — შეჰყვირა დონია ლეონორმა. — ანდრეს, თქვენ აქ ხართ? ეს სიტყვები, ეს მუქარით გამოხედვა... რას ნიშნავს უველელე ეს?

ვალენსუელამ სცადა თავის მართლება, მაგრამ მენსიამ სწრაფად შეაწყვეტინა ლაპარაკი:

— ამ კაცს ეყო თავხედობა ჩემი სიყვარული მოეთხოვა.

— ოჰ, ზეცავ! — შეჰყვირა შეძრწუნებულმა დონია ლეონორმა. — განა შეიძლება, ანდრეს?.. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება, მე არც მჯეროდა თქვენი გამოსწორება.

— სენიორა, — უხეშად შეაწყვეტინა მას ლაპარაკი ანდრესმა, — რა უფლებით მსაყვედურობთ? მე თქვენი შვილი არ გახლავართ.

— ბავშვობიდან გიცნობთ და მიყვარდით, როგორც საკუთარი შვილი; თქვენი უსინდისო საქციელი გულს მტკენს, — მკაცრად უპასუხა დარბაისელმა მატრონამ.

— განა ვინ გითხრათ, თითქოს ჩემს თავს რაიმეს უფლება მივეცი მენსიასთან? — თავხედურად უპასუხა ვალენსუელამ. — მას მოეჩვენა,

მცდარად გაიგო ჩემი სიტყვები, პატივმოყვარე ქალები მზად არიან ყოველ მამაკაცში შეუყვარებული დაინახონ.

— გაჩუმდით, სენიორ ანდრეს, — გააჩერა იგი აღშფოთებულმა დონია ლეონორმა, — თავად გავიგოთ. როგორ ემუქრებოდით... რატომ აიძულებდით მენსიას გაჩუმებულიყო?

— რომ თავიდან აგეცილებინა ვნება შეცდომის შედეგი. მე არ მსურს, უსამართლოდ მადანაშაულებდნენ, ჩემს პატიოსნებას ჩრდილს აყენებდნენ, — უპასუხა ორპირმა.

— თქვენი პატიოსნებისთვის ჩრდილის მიყენება! — დაცინვით გაიმეორა სიტყვა ქერივმა. — ვერაფერს ვიტყვით, კარგი პატიოსნებაა!

— იფიქრეთ, რაც გსურთ, სენიორა. — წარმოთქვა ქედმაღლურად ვალენსუელამ. — ბატონმა თუ გაბედათ თავიდან აგაცილოთ დიდი უსიამოვნება თქვენ საქმეურვეის და მის ნეელეს, — მენსია კი, ხომ ჩემი საქმეურვეოცაა, — ბაშინ ურჩიეთ გონივრულად მოიქცეს და აერზაური არ ატეხოს ბისულელის გამო, რომელიც დაესიზმრა.

— ის გაჩუმდება, ასე ჯობია მისი ქალური პატიოსნებისთვის, — უპასუხა ფრთხილმა სენიორამ. — პირობას იძლევით, მენსია?

ახალგაზრდა ქალი უკვე კარგა ხანი იყო ჩაჯდა დონია ლეონორის სავარძელში და გაოგნებული და ზიზღით სავსე უსმენდა ყველაფერს. მეგობრის შეკითხვას უპასუხა მწყრალად, ისე, რომ თავი არ მოუბრუნებია და არც შეუხედავს ვალენსუელასთვის:

— ოღონდ, ახლავე წავიდეს და თვალით არ დამენახოს. იმ რამდენიმე დღის განმავლობაში სანამ ამ სახლში მოგვიწევს ყოფნა, და მე არაფერს ვეტყვი ენრიკეს.

მენსია ადგა. დონია ლეონორს მკლავში მოჰკიდა ხელი და ოთახისკენ წავიდა.

ვალენსუელა გაშეშდა, პირქუშად ეაჰყურებდა მიმავალ ქალებს და თავისთვის რაღაცას ფიქრობდა: ბოლოს, როგორც ჩანდა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო: მის თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაიელვა, ხელები გაიშვირა კარისაკენ, სადაც ახალგაზრდა ქალი მიიმალა და დაბეჯითებით გასცრა კბილებიდან:

— სულ ერთია, ნებით თუ უნებურად, ის ჩემი იქნება!

XXV

პირველი ეჭვები

ის იყო შურისმაძიებელმა ქარაფშუტამ ჩაილაპარაკა ეს სიტყვები, რომ მის სმენას მისწვდა თქარათქური ცხენების ფლოქვებისა, რომლებიც ველზე მოჰქროდნენ. სასწრაფოდ შეიდა თავის ოთახში, და ქალუზს აეკრა, რომ დაენახა, ვინ იყვნენ ეს ცხენოსნები.

ენრიკე და ტამაიო რომ შეიცნო, რომლებიც ეზოში შემოსასვლელთან დაქვეითდნენ, მათ შესახვედრად გამოვიდა და მეგობრულად მიმართა კასიკს:

— მოუთმენლად გელოდები, ენრიკე.

— რით შემიძლია გემსახუროთ, სენიორ ანდრეს? — ჰკითხა კასიკმა.

— მთელი დილა მამაჩემის საბუთებს ვსინჯავ, — უპასუხა იდალგომ. — რამდენიმე საბუთი აკლია. შუადღისას აუცილებლად უნდა ვიყო დასახლებაში, მაგრამ ჩემი ცხენი დაკოჭლდა და არ შემიძლია გზას გავუდგე.

მართლაც, რაკი უნდოდა ატოში დიდხანს დარჩენილიყო, ვალენსუელამ ეშმაკობა იხმარა და ცხენს ნალის ქვეშ ეკალი შეურჭო ისე, რომ ცხენი მართლა კოჭლობდა.

— ღმერთია თქვენი მფარველი, სენიორ ანდრეს! — წამოიძახა კასიკმა. — ასეთმა უბრალო რამემ დაგაბრკოლათ? თავლაში ხომ ჩემი თეთრი ცხენია. განა არ იცით?

— ვიცი, ენრიკილიო, — თავაზიანად უპასუხა ვალენსუელამ, — სხვა ცხენი რომ ყოფილიყო, მაშინ შევეკაზმინებდი, მაგრამ თეთრი ცხენის წაყვანა ვერ გავბედე. ისევ მახსოვს, მამაჩემმა როგორ შემახურა, როცა შემოგთავაზე ცხენის დათმობა... გახსოვს?

— როგორ არა, მახსოვს, სენიორ ანდრეს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მოიხმარეთ საკუთარივით.

— რა თქმა უნდა, შენც ისე თვლი, რომ ეს იყო მოხუცის უცნაური ახირება... — დაიწყო ლაპარაკი ცბიერმა ვალენსუელამ.

— მაპატიეთ, სენიორ ანდრეს, — გააწყვეტინა ენრიკემ, — ჩემი ბაირფასი დონ ფრანსისკოს ყოველი სიტყვა — განუსვენოს უფალმა — ჩემთვის წმინდაა.

— კარგი, ენრიკილიო, ნუ ვიდავებთ, — უპასუხა აშკარად გაღიზიანებულმა თავნება იდალგომ. — უბრძანე ცხენი შემიკაზმონ, ჩემი ცხენი კი ნელა, სადავით მიიყვანე სოფლის სამჭედლოში, იგი ხელახლაა დასაჭედი.

— ყველაფერი გაკეთდება, სენიორ, — უპასუხა უკვე მიმავალმა ენრიკემ.

ხუთი წუთის შემდეგ კასიკის მშვენიერ თეთრ ფაშატს ვალენსუელა ოთხით მიაჭენებდა ველზე, იმ დროს, როცა ფიცხი ცხენის პატრონი, რომელიც თვალს ადევნებდა მას, ტამაიოს ელაპარაკებოდა:

— შეხედე, რა მშვენიერია ეს ფაშატი, რა აგებულება აქვს! გინდა დამიჯერე, გინდა არა, ეწუხვარ, რომ მასზე ხელს ვერ ავიღებ; სიამოვნებით ვაჩუქებდი სენიორ ანდრესს.

— ნუ წუხდები. — დამცინავად უპასუხა შორსმჭვრეტელმა ინდიელმა, — სენიორ ანდრესი როგორმე მოიფიქრებს, როგორ შეინარჩუნოს ეგ ცხენი.

— ცდები, ტამაიო, — შეედავა ენრიკე, — შენ იცი, რომ სენიორ ვალენსუელა პატივს სცემს განსვენებული მამის სურვილებს.

— მე მხოლოდ ის ვიცი, ენრიკილიო, — შეედავა ტამაიო, — რომ შენ არ გინდა ამ ვაჟბატონის ნაკლი დაინახო, ის კი, დარწმუნებული ვარ, მოგეხვევა და ისე ჩაგცემს ზურგში დანას.

— ტამაიო, შენ მოგწონს ჩემი წამება, ჩემი სულის მოწამვლა. — ნაღვლიანად თქვა ენრიკემ. — ამ ბოლო ხანებში ჩემს ირგვლივ სულ მოღუშულ სახეებს ვხედავ, ყველა რაღაც უნდობლად. ალმაცერად მიყურებს. სწორედ ის ხალხი, ცოტა ხნით ადრე სახლში რომ მეპატიჟებოდა, სიყვარულს მაგრძნობინებდა, დღეს გაურბის ჩემთან შეხვედრას. სენიორ სოტომაიორმა, რომელიც ყოველთვის სიამოვნებით მღებღლობდა თავის სახლში, ძღვენს მიპასუხა სალამზე. როცა ამ რამდენიმე ხნის წინ გზაზე შეეხვედით ერთმანეთს, თითქოს არც მიცნობსო. შენც ხომ დაინახე. მხოლოდ ჩემი დაუვიწყარი დონ ფრანსისკოს შვილი მექცევა მეგობრულად. თითქოს მემკვიდრეობით გადაეცა მამამისის სიყვარული ჩემდამი. და შენ გინდა, რომ მას სიძულვილით ვუპასუხო?

— არა, ენრიკე, — დინჯად წარმოთქვა ურყევმა ტამაიომ, — ამას არ მოვითხოვ. შენ ხომ სიძულვილი არ შეგიძლია... მაგრამ მინდა არ ტყუვდებოდე. ნუ ენდობი გარეგნობას, გაიგე, თუ ვალენსუელა შენი მეგობარია, მაშ მოხიკაც შენი მეგობარია, იგი ხომ ანდრესის აჩრდილია.

— ეს მხოლოდ იმიტომაა, როგორც სენიორ ანდრესმა ამიხსნა, რომ მოხიკა ძალიან კარგად ერკვევა კანონებში და ახლა ეხმარება მას მემკვიდრეობის საქმეთა მოგვარებაში. ამაში შეიძლება ეშვი არ შეგეპაროს, ტყუილად ხომ არ სხედან ხოლმე დიდი ხნით მთავარ ალკალდთან, და ხშირად სადილობენ კიდეც მასთან.

— სწორედ ეს მაწუხებს, ენრიკე, — არ ცხრებოდა ტამაიო, — ისინი თავიანთ საქმეებს აგვარებენ, შენ კი ჩვენ საქმეებს ტოვებ მოუგვარებლად...

— მუდამ ბუზღუნებ, ტამაიო. — თქვა ნაწყენმა ენრიკემ. — რის გაკეთებას მიბრძანებ? ჯერ ხომ არავინ შეხებია ჩვენ ღა იგერას. რაც შეეხება სენიორ ერნანდესთან მომუშავე ინდიელებს და სხვა უბედურებს, რომლებიც არ არიან უკეთეს მდგომარეობაში, — განა არ იცი, რომ ამის შესახებ წერილი მივწერე ჩვენ მფარველს?

— ნუ ბრაზობ, ძვირფასო ენრიკილიო, — უპასუხა ტამაიომ, რომელიც ცდილობდა ხმა არ აეწევებინა. — შეშფოთებული ვარ იმით, რომ აქამდე არ მოსულა შენი წერილის პასუხი.

— ოღონდ აზრად არ მოგვივიდეს, ჩვენი მფარველის დადანაშაულება. უბედურო! — მართლა გაბრაზდა ენრიკე. — თორემ ნამდვილად დაგემდურები. მეც მაწუხებს, რომ აქამდე არ ჩანს წერილი. ვინ იცის, იქნებ ისიც იმდენი არამზადაა...

— აი, ეს სწორია. — გაუხარდა ტამაიოს, — სწორედ ეს მინდოდა მეთქვა: ოღონდ არ შემიძლია შენსავით კარგად ლაპარაკი.

— მაგრამ ნუ ვიჩქარებთ და ცუდს ნუ ვიფიქრებთ ჩვენ მახლობლებზე, — შეედავა ენრიკე. — ჯერ აუცილებელია ასეთი გაუგებარი დაგვიანების მიზეზის გარკვევა. სად არის გალინდო?

— ლა იგერაში: დღეს დილით იქ იყო თავისი ინდიელების ჯგუფით, — უპასუხა ტამაიომ.

— ისადილე. შეჯექი ცხენზე და სწრაფად გასწი მასთან, მოემზადოს სანტო-დომინგოში წასასვლელად, მხოლოდ იცოდე, არავინ გაიგოს ეს ამბავი; როცა დაბნელდება, მაშინ უნდა წავიდეს.

— კარგი. კასიკო, აი, ეს მომწონს. მოქმედება და არა გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი, ვიდრე ავაზაკები არ დაგვხოცავენ.

ამით დამთავრდა ენრიკესა და ტამაიოს საუბარი.

XXVI

საბაბი

გალინდო მსახურად იყო ვალენსუელას მამულში. ეს ძლიერი და მოხერხებული თვრამეტი წლის ჰაბუკი ბუნებამ დააჯილდოვა ფხიზელი გონებითა და მტკიცე ნებისყოფით. ენრიკილიო მას ანდობდა ყოველგვარ საქმეს და დავალებას, რომელსაც მოფიქრება და სიმარდე ჭირდებოდა.

ტამაიომ გალინდო მონახა ლა იგერაში და გადასცა კასიკის განკარგულება. კიდევ არ გამქრალიყო დღის სინათლე, როცა კრეოლური ჯიშის შესანიშნავ ცხენზე ამხედრებული ჰაბუკი ინდიელი მიადგა ატოს კარმიდამოს ჭიშკარს. გალინდო დაქვეითდა, ცხენი ხეზე მიაბა და პატიოში შევიდა, სადაც ტამაიო ელოდა.

— ცოტა მოიცადე, კასიკი ახლავე გამოვა, — უთხრა ტამაიომ.

მდუმარე ჰაბუკს არაფერი უთქვამს, ისე დაჯდა მუხების ქვეშ სკამზე, სადაც მენსია იჯდა, როცა ვალენსუელამ გაბედა მიემართა მისთვის თავხედური მეძიებლობით. მალე სახლის კარში გამოჩნდა ენრიკილიო. ორი წერილით ხელში.

— მზად ხარ, გალინდო? — ჰკითხა ჰაბუკს.

— დიახ, კასიკო, — მოკლედ უპასუხა მან.

— საჭმელი მიგაქვს?

— დიახ, კასიკო.

— აი, ფული, — განაგრძო ენრიკემ, — რომ გზაში არც შენ და არც შენ ცხენს არაფერი გაგიჭირდეთ. ერთ-ერთ წერილს პადრე ბარტოლომე ლას კასასს გადასცემ, დომინიკელთა მონასტერში. მეორეს დედოფალს... ლა მაგუანაში არავინ არ უნდა გაიგოს შენი არაყოფნა, არავინ არ უნდა ნახოს არც შენი წასვლა, არც დაბრუნება. დღეს ორშაბათია; კვირას პასუხით გელოდები, ამავე დროს, ამ ადგილზე. ყველაფერი გაიგე?

— დიახ, კასიკო, — ისევ მოკლედ უპასუხა ჭაბუკმა.

— აბა, ღმერთი იყოს შენი მფარველი, მეგობარო.

— მშვიდობით, კასიკო. მშვიდობით, მაესე ტამაიო.

გალინდო გამოემშვიდობა მათ, გავიდა ჭიშკრიდან, მოახტა ცხენს, ჩორთით მიუშვა იგი და სიბნელეს შეერია, რომელსაც უკვე მოეცვა მთელი ველი.

ნახევარი საათის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ანიკამ ვახშამი მოართვა მენსიას, დონია ლეონორს და ენრიკეს. სამივენი დაფიქრებულები და შეწუხებულები იყვნენ.

ქალები ჯერ კიდევ დილანდელი ამბის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ, ორივე გრძნობდა, რომ ვალენსუელამ თავი არ ჩათვალა დამარცხებულად და არც აპირებდა მენსიას თავის მინებებას. მენსია თავს იმტერევდა იმაზე ფიქრით, როგორ ჩაეგონებინა ენრიკესთვის აქედან გადასვლა, ისე რომ არ დაეეჭვებინა. დონია ლეონორი ურჩევდა არაფერი ეთქვა ამ საღამოს, მეორე დილით კი მოეგონებინა, თითქოს სიზმარში გამოეცხადა საშინელი მოჩვენება, რომელმაც უბრძანა სასწრაფოდ დაეტოვებინათ ატო. მენსიას ეჯავრებოდა ყოველგვარი ტყუილი და უარი თქვა ამ ეშმაკობაზე, სხვაც ვერაფერი მოიფიქრა. ორივე ქალი ღრმად დაფიქრებული იჯდა მაგიდასთან. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ტამაიოსთან საუბარში აღიარა ენრიკილიომ, მასაც არ ჰქონდა სულიერი სიმშვიდე.

— რაშია საქმე, ისე ვუსხედვართ, თითქოს სულის მოსახსენებელ წირვაზე ვიყოთ, — თქვა ბოლოს დონია ლეონორმა. — მოგვიყევით რამე გასართობი, ენრიკილიო.

— დიახ, სწორია, სენიორა, დღეს ვერაფრით გართობთ, — უპასუხა ენრიკემ, — მაგრამ ნუ გამიწყრებით უყურადღებობისთვის, სჯობს შემიბრალოთ.

— მიზეზს ვერ ვხედავ, ენრიკე, ღმერთმა დაგვიფაროს ყოველგვარი ბოროტებისგან.

— ქალაქში რომ ვიყოთ, ალბათ, მიხვდებოდით რა ხდება, — განაგრძობდა ენრიკე. — ამ ბოლო დღეებში თითქოს რაღაც ბოროტი

ძალა მოქმედებს ჩემს წინააღმდეგ. დღეს კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დავკარგე ყველას კეთილი დამოკიდებულება, ვინც ჩემთან მეგობრობდა.

კასიკმა მათ უამბო, როგორ არამეგობრულად, არაკეთილგანწყობილად შეხვდა მას ლა მაგუანაში მცხოვრები მთელი სახელოვანი საზოგადოება, განსაკუთრებით ალონსო დე სოტომაიორი.

— ეს საკვირველია, ენრიკე, — მაშინვე მოისაზრა დონია ლეონორმა. — რაღაც გაუგებრობა ხდება, და გირჩევ გაარკვიო ეს ამბავი. ხვალვე უნდა წავიდეთ ქალაქში.

ასეთი წინადადების შეთავაზებისას დონია ლეონორი შეუმჩნევლად შეეხო მენსიას ფეხს. ახალგაზრდა ქალი მაშინვე მიხვდა ამ ნიშანს.

— სწორია, ენრიკე, — მხარი აუბა მან. — ხვალ წავიდეთ ქალაქში. იქნებ, ეგ სენიორები, რომლებიც წინათ შენი მეგობრები ჰყვნენ, უკმაყოფილონი არიან, რომ აქამდე არ მოვინახულე მათი მეუღლეები.

— შეიძლება, ასეც არის, — დასძინა დონია ლეონორმა. — მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ენრიკე, დათანხმდი, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დაებრუნდეთ სან-ხუანში. უნდა გავარკვიო უცნაური ცვლილებების მიზეზი, რომელიც ტყუილად როდი გაწუხებს.

— დიახ, მართალი ხართ, დონია ლეონორ, — უპასუხა ენრიკილბომ, — მაგრამ ჩვენ სახლში ხომ ამჟამად სენიორ ანდრესი ცხოვრობს.

— ჯერჯერობით ჩემთან იყავით, ადგილი ყველას ეყოფა, — მომხიბლავი უშუალობით წამოიძახა ღირსეულმა მანდილოსანმა. — თქვენ სახლს კი ვალენსუელა მალე გაანთავისუფლებს.

— არ მინდოდა მისთვის ასეთი წყენა მიმეყენებინა, — შეეპასუხა ენრიკე.

— თქვენი მოკრძალებულობით მეტად შორს ნუ წახვალთ, — ცივად შენიშნა დონია ლეონორმა, — ეგ ახალგაზრდა კაცი ამას არ იმსახურებს.

— აჰ, სენიორა! — შეჰყვირა ენრიკემ. — მარტო ის მექცევა მეგობრულად.

— აქამდე ეს ასე იყო, ენრიკილიო. მაგრამ ვინ იცის, რა იქნება მომავალში...

— კარგი არ არის უმიზეზოდ ეჭვის შეტანა, დონია ლეონორ.

— არც მეტისმეტად მინდობაა კარგი, კასიკო. ცუდი მონაცემები ადრე თუ გვიან მაინც იჩენს თავს.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს. ენრიკილიო დაჟინებით ამბობდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო ატოში დარჩენა. რათა თვალი ედევნებინა ლა იგერაში ყანების სამუშაოებისთვის, მაგრამ, როცა იმსჯელეს მის

ნათქვამზე, მაინც გადაწყვიტეს, რომ მეორე დღეს ქვრივი დაბრუნდებოდა სან-ხუანში და შეუდგებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის დროებით თავშესაფრის მომზადებას თავის სახლში. ამრიგად, ენრიკეს შეეძლო თითქმის ყოველდღე წასულიყო ატოში და სადაც დასჭირდებოდა, ისე რომ ცოლის მარტო დარჩენის ჯავრი არ ექნებოდა. სამი დღის შემდეგ, პატარა ოჯახი მოთავსდა დონია ლეონორის დიდსა და მოხერხებულ სახლში. ანდრეს დე ვალენსუელა მეტისმეტად გაოცა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ენრიკემ აცნობა. მან კასიკს დაავალა მოუცილებლად ედევნებინა თვალყური ატოსა და ლა იგერაში ყველა სამუშაოსთვის, სანამ მიმდინარეობდა აღწერა და მემკვიდრეობის გადაცემა. ამ საუბრის დროს ანდრესს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია სახლი, რომელიც მამის სურვილის მიხედვით, უნდა გაენთავისუფლებინა და გადაეცა კასიკისთვის. ამ სიჩუმემ აიძულა ენრიკე ღრმად დაფიქრებულიყო.

XXVII

ახალი ამბები

საღამოს ვახშმობისას, კასიკმა ცოლს და დონია ლეონორს უამბო ანდრეს ვალენსუელასთან შეხვედრის ამბავი.

— არაფერი გითხრა სახლის შესახებ? — ჰკითხა მენსიამ.

— ერთი სიტყვაც არ უთქვამს, — უპასუხა ენრიკემ. — ორი-სამი დღე დავიცდი, მერე კი თვითონ შევეკითხები, რას ფიქრობს.

— რატომ უნდა იჩქაროთ, ჩემო მეგობარო, — ჩაერია ლაპარაკში დონია ლეონორი. — ასე ჩქარა არ მაქვს განზრახული თქვენი გაშვება.

ენრიკილიოს აღარ დაუჭინია თავისი ნათქვამი. მას უნდოდა, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ლას კასასის რჩევას დალოდებოდა. კვირას იგი მენსიასთან ერთად ისმენდა მესას. ეკლესიიდან გამოსვლის დროს პირისპირ შეხვდნენ ვალენსუელას, რომელიც საუბრობდა პედრო მოხიკასთან, გუბერნატორის ნაცვალთან — ბადილიოსთან, და კიდევ ვიღაც ნაცნობებთან, იგი ჩვეულებისამებრ, ტაძრის კართან იდგა. შეყვარებული წყვილის დანახვაზე ვალენსუელას სახეზე ბოროტმა ღიმილმა გადაურბინა, მისი შუამავლის გამოხედვა კი ჩვეულებრივზე უფრო უსირცხვილო და თავხედური გახდა.

მათ რომ ჩაუარა, კასიკმა მოწიწებით მოიხადა ქუდი, მაგრამ მისალმებაზე არავინ უპასუხა, მხოლოდ მოხიკამ შიაძახა აგდებულად: „მშვიდობით, კასიკო!“ — მისი ხმის გაგონებაზეც კი ენრიკეს თითქოს სისხლი გაეყინა ძარღვებში.

— უბედურება მელის, მენსია. — უთხრა მან ცოლს, როცა მათ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს.

— შავი ყვავი დაინახე, არა? — ღიმილით ჰკითხა მენსიამ.

— თვით ეშმაკი დავინახე. — უპასუხა ენრიკემ და უამბო თავის ცრურწმენაზე. მოხიკასთან შეხვედრას ჩემთვის ყოველთვის უბედურება მოაქვსო.

ნასაუზმევს ენრიკილიო ატოში გაემგზავრა. ეჩქარებოდა საღამოს მოახლოება. იმედოვნებდა, რომ გალინდო დაუგვიანებლად მოუტანდა დიდი ხნის ნალოდინევ ამბავს სანტო-დომინგოდან.

ხუთ საათზე მოულოდნელად გამოცხადდა მოხუცი კამაჩო.

— შენ აქ ხარ? ასეთ დროს? — გაიკვირვა კასიკმა. — რაიმე ხომ არ მოხდა ლა იგერაში?

კამაჩო გამუდმებით იმყოფებოდა ინდიელთა სოფელში, მის განაპირას ცხოვრობდა ფილოსოფოსის მშვიდი ცხოვრებით. იწვა ჰამაკში ეწეოდა ჩიბუხს. ბავშვებს ასწავლიდა ლოცვებს და თიხისგან ძერწავდა უხეშ ჭანდაკებებს, რომლებსაც „წმინდანებს“ უწოდებდა. — ყოველ შემთხვევაში, მას სულითა და გულით უნდოდა ისინი წმინდანების მსგავსნი ყოფილიყვნენ.

ენრიკეს გამოკითხვაზე მოხუცმა ხმას დაუდაბლა და უპასუხა:

— ბევრი ახალი ამბავია, ენრიკილიო. ერთი საათის წინ ლა იგერაში რევიზორები იყვნენ. მათ ახლდათ ნოტარიუსი სენიორ ლუის რამოსი. ყოველი კუნჭული დაათვალიერეს და დაჰკითხეს ყველა, როგორ ცხოვრობს ხალხი და რა სამუშაოთი არიან დაკავებულნი.

— ეს შენ უცნაურად გეჩვენა, კამაჩო? — ჰკითხა ენრიკემ.

— დიახ. ძალიან უცნაურად. რამდენადაც მესმის. — უპასუხა მოხუცმა. — როცა მიდიოდნენ, გარკვევით გავიგონე. ერნანდო დე ხოვალამ რომ უთხრა დანარჩენებს: „ეს ნამდვილად საძაგლობაა. არავინ არ ინახავს ინდიელებს ასე“.

— იქნებ. მათ არ იციან. რომ განსვენებული დონ ფრანსისკოს ინდიელები თავისუფლები არიან სინამდვილეში და კანონის მიხედვითაც, — შეეპასუხა ენრიკე.

— არა. ეს იციან, — თავისას იჟინებდა კამაჩო. — ისინი ლაპარაკობდნენ ამის შესახებ, თავიანთ თავს ნება მისცეს კიდეც განსვენებული დონ ფრანსისკო გაეკიცხათ, იხსენიებდნენ მას გულუბრყვილოდ და თავგუნებად, რომლისთვისაც სიცოცხლეშივე უნდა დაენიშნათ მეურვე.

— თავხედები! — შეჰყვირა ენრიკილიომ, როცა გაიგო რა უსინდისოდ იხსენიებდნენ მისი კეთილისმყოფელის სიკეთეს.

— თუ ჩემი ეშვები დადასტურდება. — განაგრძობდა კამაჩო, — წავალ და ყველაფერს პადრე ლას კასასს ვუამბობ; როცა აქ გამომგ-

ზავნა, მიბრძანა ყველაფრისთვის მედევნებინა თვალყური ყურადღებით და შემეტყობინებინა მისთვის, თუ ვინმეს აზრად მოუვიდოდა შენი წყენინება.

— ჩემი კეთილი მფარველი! ნამდვილი წმინდა მწყემსი! — წარმოთქვა გულაჩვილებულმა ენრიკილიომ. — შენ სიკეთეს შეუძლია ჩააქროს შენი რასის ადამიანების უსამართლობის წინააღმდეგ ჩემს გულში ანთებული ბრაზი და აღშფოთება...

— გაჩუმდი, კასიკო, — გააწყვეტინა მას ლაპარაკი კამაჩომ. — ნურასოდეს დაგავიწყდება, რომ ამ რასას უნდა ვუმადლოდეთ მეც და შენც ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელიც გვასწავლის გვიყვარდეს ის, ვისაც არ ვუყვარვართ. მეც და შენც უნდა გვახსოვდეს, არა მხოლოდ ლას კასასი, სხვებიც ბევრნი გვექცეოდნენ ისე, როგორც ქრისტიანული გულმოწყალება კარნახობს.

— ღმერთმა იცის, კამაჩო, — აღფრთოვანებით წარმოთქვა ენრიკემ, — გული სავსე მაქვს მადლიერებით, ამიტომაც ასე დიდია ჩემი მოთმინების ზომა.

— ეს ზომა შეიცავს თუ არა დამცირებასაც, ენრიკე? — ჰკითხა ინდიელმა მოხუცმა, როგორც მამამ, რომელიც შვილის სულიერ მდგომარეობას ცდიდა.

— გარკვეულ საზღვრამდე, კამაჩო, — უპასუხა აღელვებულმა ენრიკილიომ. — სიკვდილი სჯობს, სულის სიმდაბლეს, სხეულის დამცირებას კიდევ შეიძლება შეურიგდეს ადამიანი.

— სამუდამო სიკვდილიც, კასიკო? — დაჟინებით ეკითხებოდა კამაჩო.

— ყოველგვარი სიკვდილი, — დაასკვნა ენრიკემ.

მოხუცი დადუმდა და ნაღვლიანად ჩაჭინდრა თავი. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ აიღო ქუდი, უხეში კვერთხი, თითქოს გამოსამშვიდობებლად ემზადებაო!.. ენრიკემ დაასწრო:

— სჯობს აქ დარჩე დილამდე, კამაჩო. ივახშმებ ჩემთან. ერთად წავიკითხავთ წერილებს, რომლებიც სალამოს უნდა მოიტანოს გალინდომ.

— მგონი, შენ მართალი ხარ, კასიკო, — გამოეხმაურა მოხუცი და ისევ თავის ადგილზე დადო კვერთხი და პალმისგან გაკეთებული ქუდი.

დიდხანს ნალოდინევმა შიკრიკმა ცხენი მოაჭენა ცხრა საათზე. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე გაუწოდა ენრიკილიოს ხელმოუწერავი და დაუბეჭდავი მოკლე წერილი. მასთან ერთად დაბეჭდილი წერილიც, კასიკმა შეიცნო მის მიერ ლას კასასისთვის გაგზავნილი წერილი. პატარა წერილში მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ეწერა: „პადრე წავიდა, ამათთან ბრძოლით დაქანცული. იგი დავას განაგრძობს ესპანეთში. ამჟამად მტრები ძლიერები არიან ისე, როგორც

არასდროს ყოფილან; ჩვენ უძლურნი ვართ. გამაგრდით და ღვთის იმედი იქონიეთ".

— ვინ მოგცა ეს წერილი, გალინდო? — ჰკითხა ენრიკემ ჰაბუკს.

— ვიღაც ლამაზმა და ახალგაზრდა ქალმა. მან თქვა, სენიორა დედოფლის ნახვა არ შეიძლებაო. მე ორივე წერილი მივეცი. მაგრამ პადრესთვის განკუთვნილი დამიბრუნა, იმ დროისთვის უკვე ვიყავი ნამყოფი მონასტერში და ვიცოდი, რომ პადრე წასული იყო. მალე მანდილოსანი დაბრუნდა, გადმომცა ეს წერილი და ბევრი შეკითხვა მომცა სენიორა მენსიას და თქვენ შესახებ. მკითხა, ხომ არ მინდოდა საჭმელი და დასვენება. მადლობა ვუთხარი. თქვენთან მოკითხვა დამაბარა და მაშინვე წამოვედი უკან.

— შეუძლებელია, რომ ჩემს კეთილისმყოფელ პადრეს, ჩემთვის ერთი სიტყვაც არ მოეწეროს წასვლის წინ, — თქვა კამაჩომ.

— დიახ, რა თქმა უნდა... მაგრამ, ვინ იცის? — უპასუხა ენრიკემ, — იქნებ, მოგწერა, იქნებ, არა. იქნებ, მისი წერილი დონ პედრო მოხიკას ჩაუვარდა ხელში?

— მეც ასე მგონია... ამ გაიძვერაზე ცუდის ფიქრი — ცოდვა არ არის. — შენიშნა ღვთისმოსავმა მოხუცმა.

— კამაჩო, — უთხრა გულგატეხილმა ენრიკილიომ, — ჩემთვის დაიწყო სასტიკი განსაცდელი. ღმერთმა შემაძლებინოს მათი გადატანა.

XXVIII

შეხვედრა

მეორე დღეს კასიკი საღამომდე ადევნებდა თვალს სამუშაოებს ატოში, მერე წავიდა იგერაში და ჯერ კიდევ არ მოსაღამოვებულიყო, შინ რომ დაბრუნდა.

— დიდი ხანი არ არის, — უთხრა მას მენსიამ, — შენთან სენიორ ვალენსუელას გამოგზავნილი კაცი იყო. რომ ვერ გნახა, დონია ლეონორს დაუბარა, შენთან კაცი გამოგეგზავნა, თუ დღეს არ დაბრუნდებოდი მამულიდან. ხვალ დილით დონ ანდრესს სჭირდები, შუადღემდე დაგელოდება.

— მით უკეთესი, — თქვა ენრიკემ, — მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა. დღესვე მერჩია მისი ნახვა, ეშიშობ ის გაურკვევლობა არ დამაძინებს.

— რისი გეშინია? — ჰკითხა ახალგაზრდა მეუღლემ, თან ხელი გადაუსვა კასიკს შავ თმაზე.

— გაურკვევლობის, მენსია, — უპასუხა მან, — არაფერია ამაზე საშინელი.

— დონია ლეონორმა თქვა, თითქოს მან შენი შეშფოთების ზოგი მიზეზი იცის, დღეს საღამოს სახლიდან გავიდა, რომ დაწვრილებით გაიგოს ამბები.

— როგორ მიხარია! — თქვა ენრიკილიომ. — ახლა კი შევძლებ მშვიდად ველოდო სენიორ ვალენსუელასთან შეხვედრას.

გვიან ღამით დაბრუნდა დონია ლეონორი — ერთადერთი გავლენიანი პიროვნება ლა მაგუანაში, რომლის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ ახალგაზრდა ცოლქმარს. სხვათა შორის, კასიკი ჯერ კიდევ ენდობოდა ვალენსუელას, როგორც კი ღირსეულმა სენიორამ დაინახა ენრიკილიო, მაშინვე თქვა შეწუხებული სახით:

— ახლა ყველაფერი ვიცი: არასასიამოვნო ახალი ამბები მოგიტანეთ.

დონია ლეონორი მოუვა, როგორ ესტუმრა კვირას დონ ფრანსისკო ერნანდესის მეუღლეს და მისგან გაიგო, რომ ყველა სახელოვანი კოლონისტი აღშფოთებულია ლას კასასის ენრიკესადმი მოწერილი წერილით, რომელიც არავინ იცის, საიდან აღმოჩნდა მათ ხელში. სანტოდომინგოში ფარულად გაგზავნეს რეხიდორი ალფონსი დანსელო, მას დაავალეს, რომ ყოველნაირად დაებრკოლებინა ლას კასასის ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ლა მაგუანელი კოლონისტების საზიანო იქნებოდა, აგრეთვე აეცილებინა საჩივარი, რომელიც თითქოს ახალგაზრდა კასიკმა დაწერა, რისთვისაც მის მიმართ უკიდურესად ცუდად განეწყვნენ. რეხიდორი დანსელი შაბაო საღამოს დაბრუნდა და მეტად კმაყოფილია თავისი წასვლით. მოსამართლეებმა და მეფის მოხელეებმა ის დიდი მოწყალებით მიიღეს და წერილი გამოატანეს სანხუანის ხელისუფლების სახელზე, რომელშიც წერდნენ, რომ არ დათანხმებულიყვნენ არავითარ სიახლეზე ინდიელთა მართვის საკითხში, თუ ვინმე დაარღვევდა ძველ ბრძანებულებებს, ჩამოერთმიათ მისთვის ყოველგვარი უფლებები და სასტიკად ედევნებინათ თვალყური დადგენილი წესების შენარჩუნებისთვის. დანსელის სიტყვებით, ლას კასასმა საბოლოო დამარცხება განიცადა და წავიდა ესპანეთში.

კასიკი დონია ლეონორის მონათხრობს მთლად გაშტერებული უსმენდა: პირველივე სიტყვიდან იგრძნო მის თავზე დატეხილი დარტყმის სიმძიმე. მაგრამ სისუსტის იოტისოდენა ნიშანიც არ გამოუმჟღავნებია. ისე თავშეკავებულად და დინჯად უპასუხა:

— ერთი რამ მახარებს და მშველის უბედურების გადატანაში, რაც მომიტანა ჩვენდამი დაუმსახურებელმა საერთო სიძულვილმა. პადრე კასასს, ჩემ ძვირფას მფარველს, არ დავუწყებივარ, რისიც მეშინოდა. რას არ მივცემდი, ოღონდ მისი წერილი წამაკითხა!

— დღეს საღამოს სახლიდან გავედი პადრე ბარტოლომეს წერილის მოსაძებნად, — გამოეხმაურა დონია ლეონორი. — ბეატრისა ხომ

მარწმუნებდა, სოტომაიორს გადავეცი. მაგრამ სოტომაიორმა თქვა, რომ წერილი გადაგზავნა; მაგრამ არ დაასახელა, ვის გადაუგზავნა. გარდა ამისა, მისაყვედურა, რომ თქვენთან ვმეგობრობ, როცა შენი დაცვა დავიწყე და ვუთხარი, რომ დიდი სურვილი მქონდა იმ წერილის წაკითხვის. რომელიც, აშკარაა, ცუდად გაიგეს-მეთქი, წავკამათდით და ერთმანეთს საკმაოდ ცივად დავშორდით.

— რა კეთილი ხართ, სენიორა! — უთხრა კასიკმა. — მაგრამ მერწმუნეთ, თქვენ მართალი ბრძანდებით. მე არ დამიმსახურებია მტერივით მექცეოდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვასრულებდი ჩემ მოვალეობას, ვმოქმედებდი წინდახედულად და პატიოსნად.

ენრიკე დაწვრილებით მოყვა ლას კასასისთვის მიწერილი წერილის შინაარს, აუხსნა, რამ გადააწყვეტინა ამ წერილის დაწერა და რა უნდოდა.

— არა მგონია, რომ ყველაფერი ეს გართულდეს, ჩემო შვილო, — თქვა ბოლოს დონია ლეონორმა, — მაგრამ ასეა თუ ისე, რაც უნდა მოხდეს, არასოდეს მდაბალი ანგარებისა და სარგებლობის გამო თქვენ არ დაკარგავთ ჩემს მეგობრობას.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, სენიორა, — უთხრა ენრიკილიომ. — თქვენ რომ არა, მენსიას სან-ხუანში ერთი მეგობარიც არ ეყოლებოდა, რომელიც გაიზიარებდა მის მარტოობას.

— მე უნდა ვუმადლოდე ბედს, — შეედავა ქვრივი, — და განგებას, რომელმაც მეგობრად ასეთი ანგელოზი მომივლინა.

ადვილი გასაგებია, რომ ცუდად ეძინა იმ ღამეს მძიმე წინათგრძნობით გულშეღონებულ კასიკს, სისხამ დილით ადგა, თუმცა დილა ცივი იყო, მიწა კი — წვიმისგან ნოტიო, შეკაზმა ცხენი და ახლო მდებარე მინდვრებისკენ გაისეირნა, იმ იმედით, რომ სწრაფი სიარული და დაღლილობა გაუფანტავდა სულიერ მღელვარებას. ენრიკე სახლში დაბრუნდა, როცა მზე შუბის ტარზე იდგა. ისაუზმა, ტანისამოსი გამოიცვალა და წავიდა ვალენსუელასთან.

დონ ანდრესი საძინებელი ოთახიდან კიდევ არ იყო გამოსული; როგორც ვიცით, იგი დილაუთენია არ დგებოდა. მაგრამ მსახურმა, რომელმაც ენრიკეს მოსვლა მრახსენა, კასიკს ნება დართო შესულიყო ახალგაზრდა იდალგოს საძინებელ ოთახში. ვალენსუელა ტანთ იცვამდა, თან ენრიკილიოს მოჩვენებითი მეგობრული ტონით მიმართა.

— ადრე მოხვედი, კასიკო, ასეთი სიჩქარე არ იყო საჭირო. მინდოდა შენთვის შემეტყობინებინა, რომ ხუთშაბათს, ზეგ, დილის ათი საათისთვის ჩვენ ორივეს გვიბარებს გუბერნატორის ნაცვალი.

— არ შეგიძლიათ მითხრათ, რისთვის გვიბარებს? — ჰკითხა კასიკმა.

— მგონია, — გულგრილად წარმოთქვა ვალენსუელამ, — რევიზორები გვადანაშაულებენ მოქმედი ბრძანებულებების დარღვევაში, ინდიელთა განაწილებასთან დაკავშირებით.

— რა დამოკიდებულება აქვთ რევიზორებს თქვენთან, ჩემთან და ჩემი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ინდიელებთან? — აუღელვებლად ჰკითხა ენრიკილიომ.

— ამას ჩვენ გავიგებთ ხუთშაბათს, ნაცვალთან აუდიენციის დროს, — უპასუხა ვალენსუელამ. — ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ ლა იგერა ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს. ამბობენ, ისეთი ცხოვრება, როგორსაც იქ ეწევიან, ცუდი მაგალითია დანარჩენებისთვის და არ ეთანხმებაო საერთო წესებს.

— მაგრამ, თქვენ ხომ არ უნდა იფიქროთ ასე, — შეედავა კასიკი. — თქვენ ხომ იცით, რომ თქვენმა კეთილმა მამამ, განუსვენე ღმერთო, დააარსა ლა იგერა, რადგან უნდოდა უკანასკნელი ბრძანებულებების განხორციელება. გარდა მაგისა, მისი სიკვდილის შემდეგ, მისთვის ჩაბარებულმა ინდიელებმა თავისუფლება მიიღეს.

— განზრახული არ მაქვს შენთან განვსაჯო ეს საკითხები, კასიკო, — ცივად შეაწყვეტინა მას ლაპარაკი იდალგომ. — მე არც შემისწავლია ისინი საკმაოდ, რომ საკუთარი აზრი მქონდეს ამის შესახებ. აი, რატომ არის, რომ მხოლოდ ისღა დამრჩენია შევასრულო, რასაც ხელისუფლება გადაწყვეტს.

— მაგრამ მამათქვენის უკანასკნელი სურვილი? — ჰკითხა შეძრწუნებულმა ენრიკილიომ.

— მამაჩემის სურვილებზე ძაღლა დგანან კანონები, — დიდი ამბით წარმოთქვა ორპირმა ჰაბუკმა. — ვიმედოვნებ, არ მოითხოვ, ავჯანყდე მათ წინააღმდეგ.

ენრიკეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს. იგი მიხვდა, რომ ვალენსუელა მხოლოდ იმეორებდა ბეჯითად შესწავლილ გაკვეთილს და რომ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია შეტევისა მის სიმშვიდესა და თავისუფლებაზე. წუთით იგი ჩაუფიქრდა მდგომარეობის ბედუკუღმართ მიმდინარეობას. ლას კასასი და ადმირალი — წასულები არიან, დედოფალი უძლურია, როგორც მან წერილით შეატყობინა; ირგვლივ ძლიერი მტრები ახვევია, ყოველგვარი საშუალება რომ გააჩნიათ მის დასაღუპად. კასიკს მოელოდა სასტიკი და თითქმის უიმედო ბრძოლა. მაგრამ იგი არ კარგავდა ღმერთის მოწყალებისა და სამართლიანობის ურყევ რწმენას, თავს იმშვიდებდა, რომ ლას კასასი ცოცხალი იყო და ახსოვდა კასიკი. ბოლოს ენრიკეს სახეს მშვიდი გადაწყვეტილების მიღება დაეტყო, როგორც იქნა, ბოლო მოუღო ხანგრძლივ დუმილს, რომელიც ჩამოვარდა ვალენსუელას სიტყვების შემდეგ და მტკიცედ თქვა:

— კეთილი, სენიორ, ხუთშაბათს, ათი საათისათვის გამოეცხადები სენიორ ნაცვალთან აუდიენციაზე.

გამომშვიდობების ნაცვლად ეს სიტყვები წარმოთქვა და გამოზომილი ნაბიჯებით, აუღელვებლად გავიდა ოთახიდან, — მარტო დარჩენილმა ცბიერმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მაინც განიცდიდა უხერხულობას, როცა კასიკს უცხადებდა თავის განზრახვას, რომ მამის სურვილს წირავდა იმას, რასაც პირფერულად ეძახდა კანონის ძალაუფლებას, თავისუფლად ამოისუნთქა, ისევ მოიკრიბა მისთვის ჩვეული უსირცხვილობა და ბოროტი დაცინვით ჩაილაპარაკა:

— კარგი, ინდიელო ძაღლო! მოგაშლეინებთ ყოყოჩობას.

XXIX

უფლება და ძალა

მენსიას და დონია ლეონორის ყოველ შეკითხვას მის შეხვედრაზე ვალენსუელასთან, კასიკი ძუნწად და უხალისოდ პასუხობდა, იმიზეზებდა რომ ყველაფერი ნათელი გახდებოდა ხუთშაბათს ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, იქამდე კი მან ისიც არ იცის, რაში მდგომარეობს საქმე, თუმცა, დაბეჯითებით, არაფერს კარგს არ ველიო.

როცა ენრიკეს მოუსმინა, ახალგაზრდა ცოლმა საყვედურით შეხედა და უთხრა:

— როცა ღმერთი სიხარულით დაგაჯილდოებს, ენრიკე, თუ გინდა, დამიმალე, ნუ მეტყვი. მაგრამ ნურასდროს ნუ მომაკლებ შენი საზრუნავისა და წუხილის ჩემ წილს.

— დამიჯერე, მენსია, — უპასუხა აღელვებულმა ენრიკილიომ, — რომ მინდოდეს კიდეც, ვერაფერს დაგიმალავ. შენი მოტყუება უფრო მიმძიმს, ვიდრე იმის ნახვა, როგორ იზიარებ შენ ჩემს ტანჯვას.

— მაშინ მომეცი პირობა, — განაგრძობდა მენსია, — რომ მიამბობ ყველაფერს, რაც მოხდება გუბერნატორის ნაცვალთან აუდიენციაზე.

— პირობას გაძლევ, ჯერჯერობით კი მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. — დაამთავრა საუბარი ენრიკემ.

ძალაუფლება, რომლითაც სარგებლობდა პედრო ბადილიო, ლა მაგუანას მხარის ნაცვალი, მას ჩაბარებული ჰქონდა ადმირალ დონ დიეგო კოლუმბის მიერ. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება განსაცდელის დღეებში, შერისხულ კეთილისმყოფელს უმადურობა ხვდა იმათგან, ვისაც მან სიკეთე გაუკეთა. ბადილიო თავისი მდგომარეობის შენარჩუნებისთვის, ერთ-ერთი პირველი გადავიდა მოწინააღმდეგეთა ბანაკში, როგორც კი ბედმა, რომელიც არასოდეს ანებივრებდა კოლუმბების საგვარეულოს, ზურგი აქცია საწყალ დონ დიეგოს. პედრო

დე ბადილიოს ზნეობრივი სახე გახლდათ ის საზიზღარი უმადურობა, როგორსაც შეიძლება შევხვდეთ მხოლოდ მდაბალ და ბოროტ ხასიათში. ბადილიო თითქოს მოხიკასთან და ახალგაზრდა ვალენსუელასთან სამეგობროდ იყო გაჩენილი. სამივემ არ დააყოვნეს გაერთიანება და მალე სავსებით შეაფასეს ერთმანეთი.

დანიშნულ დღესა და საათზე ენრიკილიო მარტო წავიდა ნაცვალის სახლში. იგი ჯერ ალოდინეს, შემდეგ შეიყვანეს დარბაზში, სადაც ბადილიო ჩვეულებრივ იწვევდა ხოლმე თავის ტრიბუნალს. როგორც შეიძლებოდა ეწოდებინათ ამ თავყრილობისთვის, რადგან გუბერნატორის ნაცვალის ნაირნაირ მოვალეობაში შედიოდა მართლმსაჯულების შესრულებაც. კასიკი დარბაზში შევიდა, თავი ჩვეულებრივად ეჭირა, არ ამქნავნებდა არც ქედმაღლობას და არც დაბნეულობას — დაინახა რეხიდორები, მწერალი. რევიზორები — კაბეს დე ვაკი და ხოვალი — შემდეგ მოშორებით მჯდარი დონ ანდრესი და მოხიკა. არავინ იზრუნა, რომ ადგილი შეეთავაზებინათ ენრიკილიოსთვის და იგი ფეხზე მდგარი დარჩა შუა დარბაზში, თითქოს ბოროტმოქმედი ჰყავდათ დაკითხვაზე.

ბადილიომ მწერალს დაავალა წაეკითხა ქაღალდები, რომელიც ამ საქმეს ეხებოდა. და უსამართლო მსაჯულების მსახურმა დაიწყო საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც დადასტურებული იყო თანამდებობის პირთა მიერ და იუწყებოდა, რომ 1514 წლის ბრძანებულება რეპარტიმიენტოს შესახებ ძალაში რჩება, ამით იცვლება ენკომიენდის წესებში უკანონოდ შეტანილი ყოველგვარი სიახლე ან ცვლილება, და უკანასკნელნი ყოველგვარი სიახლის გარეშე უნდა დაუბრუნდნენ პირვანდელ მდგომარეობას, რადგან ისინი პასუხობდნენ მეფისა და სახელმწიფოებრივ დადგენილებებს. შემდეგ მოჰყვა აქტის ანდა გუბერნატორის ნაცვალის ბრძანების კითხვას. სადაც ეწერა, რომ რევიზორებს ევალებოდათ, მოკლედ შეეტყობინებინათ მათ იურისდიქციაში შემავალი ენკომიენდეს მდგომარეობა და ის ამბავი, არის თუ არა ლა მაგუანაში ენკომიენდები, რომლებიც ზემოთ მოხსენიებული გადაწყვეტილებით დადგენილ პირობებს არღვევდნენ. შემდეგ მწერალმა წაიკითხა რევიზორების ანგარიში, რომელშიც ადასტურებდნენ, რომ მათი საქვეყნო ენკომიენდები სრულ წესრიგშია 1514 წლის ბრძანებულების თანახმად, არსებობს ერთი გამონაკლისი. იგი თავის დროზე დონ ფრანსისკო დე ვალენსუელასთვის გაეცათ, იმ ინდიელებზე, რომლებზეც არ ვრცელდება არავითარი კანონები და დადგენილებები. ეს ინდიელები თავის თავს ეკუთვნიან, ცხოვრობენ ყოველგვარი წესრიგისა და ზედამხედველობის გარეშე, ერთობიან და აყეთებენ ყველაფერს, რაც მოესურვებათ პატარა სოფელში. სადაც მამაკაცები და ბიჭები თამაშობენ პელოტას, დარბიან, უსაქმურობენ

და არავითარი საჭირო საქმით არ არიან დაკავებული, არ მოაქვთ არც მატერიალური და არც სულიერი სარგებლობა.

პოლოს წაკითხულ იქნა ბრძანება, რომელიც დღევანდელ კრებაზე იწვევდა ყველა დამსწრე თანამდებობის პირს, აგრეთვე ანდრეს დე ვალენსუელას, იდალგოს, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ინდიელები განსვენებული მამისაგან, და ენრიკეს, ბაორუკოელ კასიკს იგი სენიორ ვალენსუელასათვის ჩაბარებული ზემოაღნიშნული ინდიელების მმართველი და მეთაური გახლდათ.

მწერალმა კითხვა რომ დაამთავრა, გუბერნატორის ნაცვალმა ვალენსუელას მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— სენიორ ანდრეს დე ვალენსუელა, გაიგონეთ, რა გბრალდებათ თქვენ იმასთან დაკავშირებით, რომ არად აგდებთ განსვენებული მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ ინდიელების მმართველობას. რა შეგიძლიათ თქვათ თავის გასამართლებლად? გაფრთხილებთ, — დასძინა ბადილიომ მოჩვენებითი სიმკაცრით, — რომ სენიორ მოსამართლეებისა და მეფის მოხელეების მიერ გამოტანილი მკაცრი განკარგულების შესასრულებლად, რაც თქვენ მოისმინეთ, ეს უმსგავსობა ლა მაგუანაში უნდა შეწყდეს, თუ უძლური აღმოჩნდებით დაიმორჩილოთ თქვენი ინდიელები დადგენილი მკაცრი წესების მიხედვით, მაი ჩამოგართმევენ და გადასცემენ იმათ, ვინც უკეთესი მმართველი იქნება.

— სენიორ, — უპასუხა ვალენსუელამ მორჩილად, — ინდიელთა თემში ისეთივე წესებია, როგორიც დატოვა ისინი განსვენებულმა მამამ, განუსვენოს უფალმა. ასე გაგრძელდებოდა ახლაც, ჩემთვის რომ არ მიეთითებინათ, რომ ეს ეწინააღმდეგება ჩვეულებას და კანონს. თქვენ იმუქრებით, რომ წამართმევთ ინდიელებს, ეს უსამართლობად მიმაჩნია, რადგან მზად ვარ ყველაფერი შევასრულო, რასაც უმაღლესი ხელისუფლება მიბრძანებს.

— გაიგონეთ, კასიკო? — დაუყოვნებლივ თქვა ბადილიომ. — ამიერიდან თქვენ მოემსახურებით სენიორ ვალენსუელას ისევე, როგორც ემსახურება ლა მაგუანაში ინდიელთა ყველა თემი. თქვენ პასუხს აგებთ იმ ინდიელების წესრიგსა და კარგ საქციელზე, რომელთა მმართველიც ხართ. დღეს იმისთვის გამოგიძახეთ, რომ ჯერ გაგეფრთხილებინეთ, მაგრამ პატარა საჩივარსაც თუ ექნება ადგილი თქვენი მხიარულებისა და ცეკვების შესახებ, თქვენს დასახლებაში რომ აწყობთ ხოლმე, მიფრთხილდით, სასტიკად დაგსჯით.

საბუთების კითხვის დროს ენრიკილიო სრული სიმშვიდით პასუხობდა საერთო მტრულ დამოკიდებულებას და მისი დამცირების აშკარა სურვილს. გულგრილი ყურადღებით მოისმინა ყველაფერი. იგი იდგა, ოდნავ წინ წამოეწია მარჯვენა ფეხი და მარცხენას დაყრდნობო-

და ძლიერი ლამაზი სხეულის მთელი სიძძიმით; მარჯვენა ხელში ჭედი ეჭირა, როგორსაც სან-ხუანში ატარებდნენ. მისი ძალდაუტანებელი ბუნებრივი მიხრა-მოხრა შეიძლებოდა გაეგოთ, როგორც უსიტყვო მორჩილების ან ყოველად ქედმაღლური ზიზღის გამოხატულება. როცა კასიკმა მოისმინა, რა ცოდვა ჰქონდა რევიზორებს აღრიცხული ლა იგერას პატარა თემში, მსუბუქმა, დამცინავმა ღიმილმა გაუელვა ტუჩებზე, თითქოს იგი სწორედ ამას ელოდა. როცა ბადილიომ ვალენსუელას მიმართა, ენრიკემ დაჟინებით დაუწყო ყურება დონ ანდრესს და თვალი არ მოუშორებია მისთვის, ვიდრე არ დაამთავრა სიტყვაძუნწი თავის მართლება. აქამდე თავი მშვიდად ეკავა და ელოდა, როდის დადგებოდა მისი ლაპარაკის ჯერი. მაგრამ ნაცვალის უკანასკნელი სიტყვების უხეშმა და უკმეხმა ტონმა ბოლო მოუღო სანაქებო თავშეკავებასა და მოთმინებას. როცა გაიგო ბადილიოს მკვახე ხმა, რომელიც მას მიმართავდა, კასიკი მაშინვე გაჩუმდა, და ბოლომდე მოისმინა მისი სიტყვები. თავი მარჯვნივ გადასწია, წარბები შეიკმუხნა, თვალი ერთ წერტილს მიაპყრო; მოიკრიბა მთელი სულიერი ძალა დაუფლებული მღელვარების ჩასახშობად.

ის იყო, არაფრის მაქნისმა დესპოტმა სიტყვა დაამთავრა, რომ ენრიკემ სამართლიანი აღშფოთება, ბრაზი და გაოცება გადმოანთხია.

— არც საფუძველი გაქვთ და არც უფლება დამემუქროთ, სენიორ ნაცვალო. არც საფუძველი და არც უფლება აქვთ სენიორ რევიზორებს ცუდი რამ თქვან ლა იგერაზე. და არავის აქვს უფლება ან მე ან ჩემი ინდიელები, რომლებიც ეკუთვნიან ჩემს კეთილ მფარველ დონ ფრანსისკო დე ვალენსუელას, დაგვამორჩილონ ენკომიენდეს კანონებს.

თითქოს ამ სახელმა უცებ გააღვიძა მასში ძველი გრძნობები, მიუბრუნდა უღირს მემკვიდრეს, შეარბილა აღშფოთებული ტონი და უთხრა:

— თქვენ, მის შვილს უნდა აგეხსნათ ამ სენიორებისთვის მათი შეცდომა. როცა კვდებოდა, მამათქვენმა დაგიბარათ მომქცეოდით, როგორც ძმას. მას არასოდეს უფიქრია, რომ თქვენ თავს ნიბას მისცემდით მომქცეოდით მონასავით, თუმცა კარგად იცით, რომ თავისუფალი ვარ, ისევე როგორც ლა იგერას ინდიელები.

ვალენსუელამ ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა რაღაც გაუგებარი, მაგრამ ამ დროს გაისმა ვიღაცის გესლიანი და დამცინავი ხმა:

— თავისუფალი! ხედავთ, რა უნდა ამ ბიჭს... თავისი პატრონის ძმობა უნდა, არც მეტი, არც ნაკლები. კარგი მაგალითია სხვა კასიკებისთვის! — ეს სიტყვები მოხიკას ეკუთვნოდა.

— თქვენ კი, რა უფლებით ერევით საქმეში, სენიორ იდალგო? — დაუყვირა მას გაცოფებულმა ენრიკემ.

— ამას შენ გაიგებ, ლა იგერას მეფეე, — ბოროტად წაისისინა მოხიკამ.

— სენიორ იდალგოს, — მკაცრად შეაჩერა კასიკი ბადილიომ, — საკმაო უფლება აქვს, რომ აქ ესწრებოდეს, მოექეცით მას პატივისცემით.

— პატიოსანი ხალხისთვის შემოვინახავ ჩემს პატივისცემას, სენიორ ნაცვალო, — უპასუხა ენრიკემ და ისევ მოერია თავს.

— რაშია საქმე, აქედან ციხეში გინდათ წასვლა?! — ჰკითხა გაბრაზებულმა ბადილიომ.

— ძალიან გთხოვთ, სამართლიანი იყავით, — დინჯად შეეპასუხა ენრიკე. — მე თავისუფალი ვარ, ჩემი ინდიელები განაწილებულნი იყვნენ ერთი სიცოცხლის ვადით. ლა იგერა დაარსებულია ჩემი კეთილისმყოფელის, განსვენებული დონ ფრანსისკოს მიერ, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ბერები ახალ ბრძანებულებას ჩამოიტანდნენ, რომელიც ბრძანებს, რომ ყველა ინდიელმა იცხოვროს, როგორც ჩვენს სოფელში ცხოვრობენ...

— ერთობოდნენ და უსაქმურად ატარებდნენ დროს? — გააწყვეტინა არამზადა მოხიკამ.

— არა, რომ ემუშავათ, დამორჩილებოდნენ წესებს და სამაგიეროდ მონებივით კი არა, კარგად მოპყრობოდნენ, — არც შეუხედავს მისთვის, ისე უპასუხა კასიკმა. — სენიორ რევიზორები ლა მაგუანაში მივიდნენ კვირას ნაშუადღევს, ამიტომ ერთობოდა და ისვენებდა ყველა ინდიელი. როცა პეეულებისამებრ, დილის ათ საათამდე წირვას ისმენდნენ სამლოცველოში. რევიზორები სამუშაო დღეს რომ მოსულიყვნენ. მაგალითად, დღეს, მაშინ ყველას სამუშაოზე ნახავდნენ.

— რა სამუშაოა ასეთი? — იკითხა ბადილიომ.

— უანების დამუშავება და სხვა საქმეები, — უპასუხა ენრიკემ.— ხედავთ, მანდ, ფანჯარაზე თიხის ქოთნებია? მათში წყალი ცვდება, რომელსაც თქვენ სვამთ, ისინი გაკეთებულია ლა იგერაში. იქ პიტის ბოჭკოსაგან წნაეენ ჰამაკებს, რომელშიც მოსვენებას თქვენ არ თაკილობთ. ნამდვილად, სან-ხუანში ერთი სახლიც არ არის, სადაც არ იქნება ხის ან დაწნული სკამი ანდა ხის ჩუქურთმებიანი ტყავის საწარძელი. ისინიც ლა იგერაში მზადდება. არ შეგინიშნავთ, სამლოცველოში, შესასვლელის ზემოთ, წმინდა ფრანსისკოს თიხის ქანდაკება? — ჰკითხა მან ერნანდო დე ხოვალს: — იგი თავისი ხელით გააკეთა ერთ-ერთმა ამ საბრალო ინდიელთაგანმა.

— რაღაც მახინჯი... — თქვა დაცინვით მოხიკამ.

— თქვენნაირი, — ცივად გააწყვეტინა მას ენრიკემ.

ამ მოსწრებულ სიტყვაზე მთელმა პატივცემულმა შეკრებილობამ გადაიხარხარა, მასხრად აიგდო უხეირო იდალგო.

— ყოველივე ეს ძალიან კარგია, კასიკო, — შეადარებით რბილად წარმოთქვა ბადილიომ. — როგორც თქვენც იცით, ასე ამ საქმის გაგრძელება არ შეიძლება. თქვენ ცდებით, რეპარტიმიენტოს აძლევენ არა ერთი სიცოცხლის მანძილზე, მოგუიანებით განმარტებული იყო, რომ მას იძლევიან ორი სიცოცხლის ვადით. თქვენ შეგიძლიათ წერა. რისი თქმა გინდათ, დაწერეთ და ელოდეთ გადაწყვეტილებას. მანამდე კი უნდა შეასრულოთ ის, რაც გიბრძანეს. ინდიელებთან ერთად ეშსახურეთ სენიორ ვალენსუელას და ნუ იჯირვეულებთ.

— ეს საბუთი კი არაფერს ნიშნავს? — ჰკითხა ენრიკილიომ, ჯიბიდან ამოიღო და ბადილიოს გაუწოდა ლას კასასის მიერ მიცემული განკარგულების ასლი, რომელიც სანტო-დომინგოში იერონიმელებმა ჩამოიტანეს.

ნაცვალმა ზერელედ გადახედა ქაღალდს და ყველა იქ მყოფს რიგრიგობით გადასცა. ყოველი მათგანი დახედავდა საბუთს და გულგრილად გადააწოდებდა მომდევნოს, როგორც ყურადღების უღირს რაღაცას. გუბერნატორის ნაცვალმა, რომელსაც ისევ დაუბრუნდა განკარგულების ასლი, ცივად ჰკითხა ენრიკილიოს:

— რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— აქ ხომ იმაზეა ლაპარაკი, რომ ინდიელები თავისუფლები არიან, — უპასუხა ენრიკემ, — სამასამდე კაცს შეუძლიათ დასახლება გაიშენონ და იმუშაონ თავიანთთვის, მხოლოდ გამოსაღები უნდა გადაუხადონ მეფეს. გარდა მაგისა, აღნიშნულია, რომ მთავარი კასიკი მართავს დასახლებას და ბერებისა და ადგილობრივი მღვდლის რჩევით ნიშნავს რეხიდორს, ალგვასილს და სხვა თანამდებობის პირს.

— საიდან მოიტანეთ ეს საბუთი? — ჰკითხა ბადილიომ.

— ბოლოში ყველაფერი წერია, — უპასუხა კასიკმა.

ბადილიომ ისევ დახედა ქაღალდს და ხმადაბლა წაიკითხა.

— „საჭიროებისთვის, თუ რამე შეემთხვევა ენრიკეს, ბაორუკოელ კასიკს და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ინდიელებს, გადავიღე ეს ასლი მე, მათი უდიდებულესობის უფლებით აღჭურვილმა, ინდიელების დამცველმა, სანტო-დომინგოში 1517 წლის 28 იანვარს.

ბარტოლომე ლას კასასი, მღვდელი“.

— ამ ქაღალდს, — ხმამაღლა თქვა ბადილიომ, — და მას, ვინც ამას ხელი მოაწერა, ვინც იგი შეადგინა, აქ არავითარი ძალა არა აქვთ.

ამ სიტყვების თქმასთან ერთად განკარგულების ასლი ნაკუწებად აქცია.

— ძალიან კარგია! მშვენიერია! — შეჰყვირა ყველამ, ენრიკეს გარდა, რომელმაც როცა დაინახა, რომ ალონსო დე სოტომაიორიც უწონებდა საქციელს ნაცვალს, უსაყვედურა მას:

— განა შეიძლება, სენიორ დონ ალონსო, რომ თქვენც ყოველივე ამას სამართლიანად თვლიდეთ? განა თქვენი თანდასწრებით არ ლაპარაკობდა თქვენი მეგობარი, სენიორ დონ ფრანსისკო, რომ მისი გარდაცვალების მერე, მე საქმითაც და კანონიერადაც თავისუფალი კიქნებოდი.

— ჩემ მეგობარს არ შეიძლებოდა თავისი შვილის გაღატაკება სდომოდა, — მკვახედ შეეპასუხა სოტომაიორი, რომლის სიკეთემ და პატიოსნებამ გზა დაუთმო პატივმოყვარულ ინტერესებს. — როცა იბარებდა კარგად მოგპყრობოდნენ, მას იმის ნება კი არ მოუცია შენთვის, ცუდი გაუკეთო სხვებს.

— ვის რა გავუკეთე ცუდი? — ნაღვლიანად თქვა ენრიკილიომ.

— ის, რომ მოითხოვ სიახლეს და ჩვენი წესების დასარღვევად სარგებლობ ამ დაგლეჯილი ქაღალდის მსგავსი, სხვადასხვა საბუთებით, — უპასუხა უსინდისო მოხუცმა.

ენრიკილიო მშვენივრად მიხვდა, რომ სოტომაიორი ქარაგმულად ლაპარაკობდა მის მიმოწერაზე ლას კასასთან, მაგრამ არ უნდოდა უსიამოვნება მიეყენებინა დონია ლეონორისთვის, გამოემჟღავნებინა, რომ იცოდა მათ მიერ ხელში ჩაგდებული წერილის ამბავი, ამიტომაც, არაფერი გამოამჟღავნა და გაჩუმდა.

— ახლა, კასიკო, სრულიად ნათელია, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო გუბერნატორის ნაცვალმა, — აღარ გჭირდებათ ჩემთვის რაიმეს დაწერა და რაიმე ზომების მიღება. თქვენი დასაბუთებანი გაუქმებულად სცნეს. დათანხმდით ინდიელებთან ერთად ემსახუროთ სენიორ ვალენსუელას და, წადით ღვთის წყალობით.

ენრიკემ თავი ჩაქინდრა და დაფიქრებული ნელა გავიდა.

— ეს კასიკი მეტისმეტად ეშმაკია, იგი მოთოკილი უნდა გყავდეთ, ახლა თქვენვე ხედავთ, სენიორ, — დამრიგებლურად თქვა მოხიკამ, როგორც კი ენრიკილიოს უკან კარი მიიხურა.

— ნუ მისცემთ მას თავისუფლებას, ვალენსუელა, — დასძინა ბადილიომ, და ყოველი გააფთრებული კოლონისტი, როცა ეთხოვებოდა ახალგაზრდა იდალგოს, აძლევდა რაღაც უსარგებლო, მაგრამ ბოროტგანზრახულ რჩევას.

XXX

გულგატეხილობა

მენსია და დონია ლეონორი მოუთმენლად და შიშით ელოდნენ ენრიკილიოს. ორივენი, ერთი — სიყვარულის კარნახით, მეორე — თავისი ვამოცდილებით, გრძნობდნენ, რომ კასიკის გამოძახება გუბერ-

ნატორის ნაცვალთან — განსაკუთრებული ამბავი იყო, იქნებ, გადაწყვეტიც ენრიკილიოს ცხოვრებაში. აი, რატომ იყო, რომ როცა მან იგი დაინახეს დანაღვლიანებული და შეწუხებული, ორივენი მიუახლოვდნენ და შეკითხვები მიაყარეს.

კასიკმა დაბნეულად შეხედა მათ, თითქოს ძილიდან გამოერკვა და გონს მოსვლას ცდილობსო. მერე ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი, მის ხმაში პირქუში სასოწარკვეთა ჟღერდა:

— დღეს, დონია ლეონორ, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიფიქრე, რომ წინათგრძნობა, შემთხვევა და გამართლება — ერთი და იგივეა... დღეს, მენსია, ჩვენი ცოლქმრობის მეხუთე თვეზე, დავწუეულე ის დღე, როცა ჩემი დაგარქვი და გაგწირე უბადრუკი ხვედრისთვის...

— შენ მე მაშინებ, ენრიკე, — წარმოთქვა შეძრწუნებულმა მენსიამ, — თქვი, რა მოხდა?

— ყველაფერი სიზმარი იყო, მენსია, ოცნება, მოტყუება; დარჩა საშინელი სიმართლე. მესიზმრებოდა, რომ თავისუფალი ადამიანი ვარ-მეთქი, მე კი არაფრის მაქნისი მონა ვარ!

— ვის შეუძლია მონად გაქციოს, ენრიკე? შენ ბოდავ, — უთხრა დონია ლეონორმა.

— აჰ, სენიორა! — შესძახა ენრიკემ. — მეგონა, ვბოდავდი, როცა, თითქოს ცუდ სიზმარში ვარო, დავინახე ის სენიორები, რომლებსაც სიყვარულითა და პატივისცემით ვეპყრობოდი, და მივხვდი, რომ ყველა ისინი შეთქმულნი არიან და მტკაცედ აქვთ გადაწყვეტილი დამამცირონ, შეურაცხყოფა მომაყენონ, სასოწარკვეთილებაში უნდათ ჩამაგდონ! მეგონა, ვბოდავდი, როცა გავიგე ანდრეს დე ვალენსუელამ, წმინდა ადამიანის შვილმა, რომლისთვისაც საკუთარ სიცოცხლეს არ დავიშურებდი, როგორ უარყო ხსოვნა და სურვილები თავისი მამისა და ცბიერი პედრო მოხიკას მორჩილ იარაღად გადაიქცა!.. როცა მოვისმინე, დიდად პატივცემული დონ ალონსო დე სოტომაიორი, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი, მხარს უჭერდა ჩემს ბიძართ ცრუ ბრალდებებს; და ბოლოს, როცა დავრწმუნდი, არავითარი იმედი არ უნდა მჭონდეს მართლმსაჯულებისა და კანონის მიერ დაცვის, რადგან კანონები და მართლმსაჯულება ლა მაგუანაში არაფერს ნიშნავს და მთლად ჩემი უბორტესი მტრების ხელთ ვარ...

— შენ, უეჭველად, აჭარბებ, ენრიკე, — შენიშნა აღელვებულმა ქვრივმა, რომელიც ყურებს არ უჯერებდა.

— არა, არ ვაჭარბებ, სენიორა, — ნაღვლიანად შეეპასუხა კასიკი.— მიუხედავად უფლებისა, მიუხედავად გონიერებისა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა, გამოცხადდა, რომ ჩემ ინდიელებთან ერთად ვარ და დავრჩები ენკომიენდეში ანდრეს ვალენსუელასთან, როგორც მამამისის მემკვიდრესთან.

— ეს არ მოხდება! — დაიყვირა შეძრწუნებულმა მენსიამ. —მე მივწერ სენიორა დედოფალს, წავალ მასთან სანტო-დომინგოში, თუ საჭიროა...

— დედოფალს, — გააწყვეტინა კასიკმა, — არაფრის გაკეთება არ შეუძლია. დღეს დავრწმუნდი, რომ კეთილშობილი სენიორა ნამდვილად უძლურია, როგორც მან ბრძანა ჩემთვის შეტყობინება, სხვაგვარად რომ იყოს, ისინი ვერ გაბედავდნენ ასე მოქცევას.

ეს თქვა და ენრიკილიომ ცოლს გაუწოდა გალინდოს ჩამოტანილი წერილი.

— ყველაფერი სწორია, ეს ელვირას ნაწერია, — სასოწარკვეთილებით ჩაილაპარაკა მენსიამ. — საშველი არაა!

— მე თვითონ წავალ სოტომაიორთან, ენრიკილიო, — განაცხადა ქვრივმა. — გარწმუნებ, შენ აპარბებ, და ვიმედოვნებ, რომ მალე ნახავ ამას.

— მე დავინახავ, სენიორა, რომ თქვენ, ჩვენი დიდსულოვანი მეგობარი, მტრებსა და უსიამოვნებას გადაიკიდებთ, ამაზე არ შემიძლია დაგეთანხმოთ. ლა მაგუანას ყველა ძლევამოსილი ადამიანი ჩემს წინააღმდეგაა შეთქმული, და ამჟამად ესპანიოლაზე არ არის არავინ, ვინც უბედურებას ამარიდებდა, ყოველგვარი იმედი უნდა გადაიდოს იქამდე, კიდრე კუნძულზე დაბრუნდებიან ადმირალი და პადრე ლას კასასი.

— შეიძლება... — თქვა ფიქრებში წასულმა დონია ლეონორმა.

სამივენი დადუმდნენ.

— რა მოვალეობა უნდა შეასრულო თუ ენკომიენდეში იქნები? — ჰკითხა მენსიამ მეუღლეს.

— მოვალეობანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩემ გრძნობებს, — უპასუხა კასიკმა. — ნაცვლად იმისა, რომ ჩემს საბრალო ინდიელებს ძმებივით მოვექცე, რომ ვიზრუნო მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ვალდებული ვიქნები დავჩაგრო ისინი, თვალი ვადევნო იმას, რომ გულმოდგინედ შეასრულონ ყოველგვარი სამუშაო, რასაც დაავალებენ ზედამხედველები და მმართველები, თუ გაქცევას მოიფიქრებენ, დავედევნო; უმწყალოდ დავსაჯო ცოტაოდენი დანაშაულისთვის, — მოკლედ, იარაღი უნდა გავხდე ყველაზე სასტიკი მონობისა.

— მაგრამ შენ, თვითონ შენ როგორ მოგექცევიან? — ჩააცივდა მენსია, რომელიც სიყვარულის ეგოიზმით შეპყრობილი ფიქრობდა მხოლოდ ერთზე.

— აჰ, ჩემო მეგობარო! — უპასუხა ენრიკილიომ. — თუ ვალენსუელა ბოროტი ავაზაკი აღმოჩნდება, რისიც მეშინია, უარესია მოს ლოდნელი! მას საკმაო საშუალებები აქვს ჩემი წოდება კასიკისა—გა-

დააჭციოს სამარცხვინო დაღად და მომექცეს. როგორც მაწანწალა ძაღლს ექცევიან.

— ღმერთო! — შეჰყვირა მენსიამ სასოწარკვეთით. — და მე დავინახავ, როგორ შეურაცხგყოფენ და გამცირებენ შენ!

— შენ ნახავ ჩემ ტანჯვას, მენსია, — დიდი ამბით წარმოთქვა ენრიკილიომ, — და ჩემთან ერთად გამოცდი ყოველ განსაცდელს, რომლის ატანა შეუძლია მხოლოდ მამაც ქრისტიანულ სულს... ასეთია ღვთის ნება. მზად ხარ ამისთვის?

— ყველაფრისთვის ვარ მზად!—მგზნებარედ შეჰყვირა მენსიამ.— ყველაფრისთვის, ჩემი მოვალეობისა და შენი სიყვარულისთვის.

XXXI

ახალი წესები

ენრიკილიოს ძალიან არ უნდოდა ფიცხი ტამაიოსთვის შეეტყობინებინა ლა იგერას ინდიელების მდგომარეობის შეცვლის ამბავი. მაგრამ, იცოდა, ამ ალსარებას გვერდს ვერ აუვლიდა და გადაწყვიტა, რაც შეიძლებოდა მალე გაეკეთებინა ეს ამბავი. იმავე საღამოს გამოუძახა თავის ერთგულ მოადგილეს და პატიცემულ მოხუც კამაჩოს, არაფერი დაუმალავს, ისე მოუყვა ახალი ამბავი.

ამის მომსმენი ტამაიო გააფთრებისაგან ცახცახებდა, ხოლო როცა ენრიკილიომ დაამთავრა იმით, რომ თავს დატეხილი შერისხვა მიაწერა მოხიკას ხრიკებს, გაცოფებული ინდიელი წამოხტა, გამწარებით შეკუმშა მუშტები და მტკიცედ იკითხა:

— გინდა, მოვკლავ?

— ხომ გაგაფრთხილე, ასეთი აზრები მოიშორე-მეთქი, უგუნურო!— უპასუხა ენრიკილიომ. — ჩემი გული ხომ არ დუღს გულისწყრომითა და სიშმაგით, როგორც შენი. ჰკითხე კეთილ კამაჩოს, რა უფრო გვიშველის, გულისწყრომა თუ მოთმინება?

— როდისღა ჩათვლის კასიკი ენრიკილიო, რომ გულისწყრომამ შეიძლება რამე გვიშველოს? — ირონიულად იკითხა ტამაიომ.

— ღმერთმა დამიფაროს ამისაგან. მაგრამ ვინ იცის, ხომ არ ცდები, როცა გგონია, რომ ჩემმა მოთმინებამ საზღვარი არ იცის, — პირქუშად უპასუხა კასიკმა.

— მან რომ არ იცოდეს საზღვარი, ენრიკილიო, — ჩაერია კამაჩო, — შენ საბრალო ცოდვილი კი არა, წმინდანი იქნებოდი. მაგრამ მე კი მინდობ, მოთმინებას არასდროს ეღალატა შენთვის.

— წმინდანობას არც ვესწრაფვი, კამაჩო, ვცდილობ ადამიანი ვიყო,

რომელიც ქრისტეს აღთქმას მისდევს. და მათი სიყვარულის გამო, ვინც ვანწიანათლა, შემიძლია გადავიტანო უსამართლობა და დამცირება.

— კარგადაა ნათქვამი, კასიკო, — გრძნობით თქვა მოხუცმა ინდიელმა. — თუ ასეა, შენ არ გამოამჟღავნებ უმადურებას ჩვენი პადრეს მიმართ; ყველა უბედურების გამოსწორება შეიძლება და ღმერთი დაგლოცავს შენ.

— ამასობაში. — ჩაილაპარაკა ტამაიომ, — შენ გახდები ვალენსუელას თვინრერი მსახური და მოხიკა აგიგდებს მასხრად.

— გაჩუმდი, ეშმაკო! — შეჰყვირა გაცოფებულმა ენრიკილიომ. მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი და დასძინა: — მაშ რა გავაკეთო? დავივიწყო, რითი ვარ დავალებული პადრე მფარველისაგან, სენიორ ადმირალისა და მისი ოჯახისაგან და ჩემი ნათლია დიეგო ველასკესისგანაც კი? დავამსხვრიო ჩემი ბედი ახლა, როცა მაბარია მენსიას ბედი? რა გავაკეთო, შენი აზრით, სულელო? — ეკითხებოდა იგი, და თანდათან უფრო ბრაზდებოდა. — უკეთესია, აიღე დანა და მომკალი შენი ხელით: აი, რა იქნება ჩემთვის უდიდესი წყალობა.

— ესაა შენი მოთმინება, კასიკო? — ნაღვლიანად შენიშნა კამაჩომ. — შენ კი, ტამაიო, ნუთუ არ გესმის, რომ არ შეიძლება ენრიკილიოს ასე წამება?

— მაპატიე, კასიკო,—ჩაილაპარაკა გულდამძიმებულმა ტამაიომ,— არ მინდოდა მეწყენინებინა შენთვის. მე—შენი მონა ვარ, შენი ძაღლი, რაც გინდა ის მიყავი, ოღონდ ნუ გაბრაზდები ჩემზე.

ენრიკილიომ ნაღვლიანი ღიმილით უპასუხა ამ სინანულის აფეთქებას, და მათი საუბარი დამთავრდა.

მეორე დღეს, ვალენსუელამ გამოიძახა კასიკი და ყოველგვარი წილადობილის გარეშე გამოუცხადა თავისი ნება-სურვილი.

— უნდა ვიმოქმედო, როგორც ყველა მოქმედებს, ენრიკილიო, — უთხრა მან. — დაყავი შენი ინდიელები ჯგუფებად და მზად გყავდეს იმ შემთხვევისთვის, როცა ისინი დასჭირდებათ ჩემს მმართველებს.

— მაშ, ესე იგი, ლა იგერაში აღარ იმუშავებენ? — ჰკითხა ენრიკილიომ.

— ჩემს სასარგებლოდ — არა: ხალხი საჭიროა ფერმებში.

— კარგი, სენიორ. მაგრამ ლა იგერას შენარჩუნება ხომ შეიძლება ექვსი მსახურისა და იმ ინდიელთა ძალებით, ვისაც დასვენება უწევს.

— ეს უკვე როგორც შენ გინდა, ენრიკილიო, — გეერდი აუარა ვალენსუელამ. — თუ არც ერთი ინდიელი არც ერთი საათით არ გადაუხვევს იქ მუშაობის მოვალეობას, სადაც მე მას გავგზავნი, — მაშინ

არაფერი მესაქმება ლა იგერასთან. დე იცხოვრონ მანდ შენმა ნაძირალებმა.

— ძალიან მოხარული ვარ, დონ ანდრეს. ამნაირად მოხერხდება თქვენი კეთილი მამის ქმნილების შენარჩუნება, — უთხრა კასიკმა.

— რა გაეწყობა, დე ასე იყოს, — გულცივად შენიშნა ვალენსუელამ. — მაგრამ იცოდე, ენრიკილიო, პასუხს აგებ წესრიგის მცირე დარღვევაზე ამ ადგილებში, სადაც შენ, შეიძლება, იცხოვრო მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე.

ეს გადაკრული სიტყვა ენრიკესთვის შოლტის ტლაშუნივით გაისმა. მაგრამ თავი შეიკავა და გადაწყვიტა ესარგებლა მომენტით, რათა გაერკვია კიდევ ერთი რთული საკითხი.

— ეს მე არ მაშინებს, — თქვა მან. — თუ მოვახერხებ ჩემი მეუღლის ჩვენ სახლში დაბინავებას.

— რატომ არ გინდათ ორიენტ იცხოვროთ ატოში? — მოჩვენებითი მიამიტობით ჰკითხა ვალენსუელამ.

— ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მენსიას არ უნდა, — მოუჭრა კასიკმა.

— მხედველობაში იქონიე, სან-ხუანის ჩემი სახლის იმედი არ გქონდეს. იგი თავად მჭირდება.

— სწორედ ეს მინდოდა გამეგო თქვენგან, სენიორ, — მშვიდად უპასუხა ენრიკემ, — და მართალი რომ ვთქვა, სწორედ ამას ველოდი. რა გაეწყობა, მენსიას ფულით სან-ხუანში ვიყიდით ახალ სახლს.

— ვერ ვხედავ ამის საჭიროებას, ენრიკილიო, — ისევ თავაზიანი ღიმილით შეედავა ვალენსუელა. — შენ ცოლს რომ არ უნდა ატოში, ჩემ მშვენიერ სახლში ცხოვრება, ეს ხომ, უბრალოდ, ჭირვეულობაა.

— იყოს თუნდაც ჭირვეულობა, სენიორ, — დაამთავრა საუბარი ენრიკემ, — მაგრამ არასოდეს, არაფერში არ დავუწყებ მას ურჩობას.

ვალენსუელა დადუმდა და ფიქრებში წავიდა, ენრიკე კი გამოეთხოვა, უთხრა, რომ უნდა შესდგომოდა ლა იგერაში მუშაობის წესების შეცვლას იმ მიზნით, რომ საუკეთესოდ დაკმაყოფილებულიყო ზედამხედველებისა და მმართველების მოთხოვნები. უჩვეულო, მონური მორჩილებით ცხოვრების დაწყებისას, ენრიკემ სულის სიღრმეში შეინახა ნაღველი და შიში, რომელიც ტანჯავდა. ვაქაცურ სახეზე ეხატა მხოლოდ მშვიდი სიკეთე, რაც ახასიათებდა ამ კეთილშობილ ადამიანს, რომელმაც არ იცოდა გულის გატეხა და სისუსტე. მან შეძლო ჩაწვდომოდა თავისი უბედურების არსს, აღიპურვა მოთმინებით, ბედის ურყევი მორჩილებით და გავიდა მასთან საბრძოლველად.

XXXII

ფრონტის შეცვლა

დონია ლეონორისთვის დიდად მოულოდნელი იყო, რომ ანდრეს ვალენსუელამ არ ისურვა შეესრულებინა განსვენებული მამის სურვილი, ახალგაზრდა ცოლქმრისათვის საჩუქრად გადაეცა სახლი სან-ხუანში. კეთილი სენიორა ალაშთოფა უღირსი შვილის ამ ახალი უზნეობის გამომჟღავნებამ, და ახალგაზრდებს ურჩია მიემართათ მართლმსაჯულებისათვის, რათა დაემტკიცებინათ ენრიკილიოს უფლება ამ სახლში ცხოვრებასა და იმაზე, რომ იგი თავიანთ საკუთრებად ჩაეთვალათ. დონია ლეონორი იმას ამბობდა, რომ დონ ალონსო დე სოტომაიორთან ერთად იყო მოწმე, განსვენებულმა ვალენსუელამ მათი თანდასწრებით რომ გამოთქვა თავისი სურვილი. მაგრამ ენრიკილიოს გაახსენდა, როგორ ახსნა დონ ალონსომ თავისი განსვენებული მეგობრის სურვილი ნაცვალთან აუდიენციის დროს და ასეთი ცდა უშედეგოდ ჩათვალა. გარდა ამისა, კეთილშობილ კასიკს არ უნდოდა ეჩივლა თავისი კეთილისმყოფელის შვილისთვის.

ენრიკემ გადაწყვიტა აღარ დაბრუნებოდნენ ამ საკითხს, ქვრივს შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება და მასთან და მენსიასთან ერთად შეუდგა ბჭობას, ხომ არ ეყიდათ ახალი სახლი სან-ხუანში. დონია ლეონორმა სცადა კასიკისთვის გადაეთქმევინებინა ეს განზრახვა. არწმუნებდა, რომ სიამოვნებდა მასთან ყოფნა და თხოვდა არ წასულიყვნენ მეგობრული თავშესაფრიდან, სადაც შეეძლოთ ეცხოვრათ როგორც საკუთარ სახლში. მეგობრები შეთანხმდნენ: გადაწყდა, რომ ენრიკილიო არ აჩქარდებოდა, დროთა განმავლობაში გამონახაედა შესაფერ სახლს ანდა ააშენებდა ახალს. ამასობაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ძველებურად ისარგებლებდა დონია ლეონორის გულთბილი სტუმართმოყვარეობით და კასიკს შეეძლებოდა /გულმშვიდად დაეტოვებინა მასთან მენსია, როცა ყოველდღე წავიდოდა მრნდვრის სამუშაოების დასათვალიერებლად.

ეს ამბავი, ადვილი მისახვედრია, განსაკუთრებით ახარებდა ენრიკეს, რომელსაც არც დანარჩენ საკითხში გაუწევია წინააღმდეგობა კეთილი მეგობრისთვის. მალე გამოირკვა, ადვილი როდი იყო შეეძინათ მოხერხებული საცხოვრებელი ამ ქალაქში. სადაც ყოველი სახლის პატრონი ცხოვრობდა თავის სახლში. მაშინ ენრიკემ გადაწყვიტა შესდგომოდა ახალი სახლის აშენებას, თუმცა მის ცოლს სურდა, სახლი ხის ყოფილიყო. ის იყო დაიწყო პირველი სამზადისი, მოელაპარაკა ლა მაგუანაში საუკეთესო დურგალს, მშენებლობის გეგმის, ზომებისა და ღირებულების შესახებ, იყიდა ხელსაყრელი ნაკეთი და ზოგი მასალა,

რომ უცებ, გუბერნატორის ნაცვლისგან მიიღო განკარგულება. ამ განკარგულებაში ნათქვამი იყო, — ორმოცდათხუთმეტი წლის უცოლშვილო იდალგოს დონ პედრო დე მოხიკას საჩივრის პასუხად, რომელიც ილაშქრებს რგორც დონია მენსია დე გევარას ნათესავი და მთელი მისი ქონების ბუნებრივი მეურვე, სასამართლო ხელისუფლებამ დაადგინა, რომ აღნიშნული მამულის მმართველის, დონ ფრანსისკო დე ვალენსუელას სიკვდილის შემდეგ, მის შვილსა და მემკვიდრეს — დონ ანდრესს ევალება წარუდგინოს სრული და ზუსტი ანგარიში ზემოთ აღნიშნული მმართველობის შესახებ გუბერნატორის ნაცვალს, რადგან იგი, ზემოთ ხსენებულ მოხიკას შედაეებას ღებულობს მხედველობაში, და შესაძლებლობა უნდა იქონიოს თავისი შეხედულების მიხედვით მოიწონოს, გამოასწოროს ან დაიწუნოს წარმოდგენილი ანგარიში. ამ დროს ქონების მართვა რჩება დონ ანდრეს დე ვალენსუელას ხელში, ამიტომ კასიკ ენრიკეს სასტიკად ეკრძალება უკანონოდ შეცვალოს განსვენებული მმართველი, იმ მიზეზით, რომ მის მეუღლეს დონია მენსიას ჯერ არ მიეღწევია სრულწლოვანებისათვის და, კანონის მიხედვით, არ შეუძლია მართოს საკუთარი ქონება და ასე შემდეგ.

— ამრიგად, თქვენ გინდათ თქვათ, რომ გარეშე პირს უფრო მეტი უფლება აქვს, მართოს ჩემი მეუღლის მამული, ვიდრე მე? — ჰკითხა ენრიკემ მოსამართლეს.

— მე არაფრის თქმა არ მინდა, კასიკო, — უპასუხა ალგვასილმა. — მხოლოდ მინდა შეგატყობინოთ და მიეიღო თქვენი ხელმოწერა. აქ, ამ ქაღალდის ბოლოში, რათა ნათელი იყოს, რომ თქვენ გარკვეული ხართ ამ საკითხში.

— თუ მე თანახმა არა ვარ, მაესე დომინგეს? — ისევ ჰკითხა ენრიკემ.

— მაშინ ასე დაწერეთ: „თანახმა არა ვარ“, — ქვემოთ კი დასვით თქვენი ხელმოწერა. მაგრამ იცოდეთ, ეს ხელისუფლების შეურაცხყოფაა, — გააფრთხილა ალგვასილმა.

ენრიკემ ჩუმად აიღო ქაღალდი, დაწერა მიღებული ფორმულა და ხელისუფლების შეურაცხყოფა იმით დაასრულა, რომ ქვეშ ორი სიტყვით დასვა ხელმოწერა.

— ცოცხლად ტყავს რომ მაძრობდნენ, — უთხრა მან, როცა საბუთს უბრუნებდა ალგვასილს, — ჩემს თავს უფლებას არ მივცემდი იოტისოდენადაც კი შეურაცხმეყო ხელისუფლება. მაგრამ რადგან საქმე ეხება ჩემი მეუღლის ინტერესების დაცვას, — მოხდეს, რაც მოსახდენია.

— ასეც გადავცემ სენიორ ნაცვალს, — უპასუხა ალგვასილმა. — ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, კასიკო.

ამ დღიდან დაიწყო საწყალი ენრიკილიოსთვის სასტიკი განსაცდელისა და შეურაცხყოფის ხანა, რომელთა დაწვრილებით მოყოლა ძნელი და დამქანცველი მოსათხრობი იქნებოდა. რადგან მართლმსაჯულებამ დაავალდებულა იგი მენსიას ქონებასთან დაკავშირებით ანგარიში ჩაებარებინა დონ ფრანსისკოს მოქმედებაზე, მოხიკას მიერ წაქეზებული ანდრეს ვალენსუელა წუთითაც არ აძლევდა მოსვენებას კასიკს. ორივენი ექცეოდნენ, როგორც ავაზაკს ყოველთვის, როცა მოეჩვენებოდათ, რომ მის ანგარიშებში რაღაც უზნეობას მიაგნეს. მაგრამ ახალგაზრდა მეუღლეს მამულის საქმეები ისე უნაკლოდ ჰქონდა მოწესრიგებული, რომ მუდამ ღირსეულად გამოდიოდა ყოველგვარი სიძნელიდან და ალალმართალი გულღიობით აბნევდა ცბიერ ჭტრებს. თითქოს ელოდა ამ შემთხვევას და უხაროდა თითოეულ წვრილმანში ეჩვენებინა, რამდენად გონიერული იყო მისი მმართველობა.

თუ ენრიკეს თხოვდნენ ხელი მოეწერა ასლისთვის ანდა რომელიმე საბუთიდან ამონაწერისთვის, იგი ამას სიამოვნებით აკეთებდა. მაგრამ როცა ამა თუ იმ მიზეზით ცდილობდნენ დაეტყუათ ხელმოწერა, რაც ნიშნავდა, რომ იგი შეურიგდა მის თავსმოხვეულ გარეშეთა ჩარევას, ენრიკე ყოველთვის თავისი ხელმოწერის წინ ურთავდა სასტიკ ფორმულას: „არ ვეთანხმები“. ეს აცოფებდა თავნება ვალენსუელას, რომელიც, ენრიკეზე შურის საძიებლად დღითი დღე სულ უფრო მეტ მუშაობას მოითხოვდა. მისი ინდიელებისგან, თანდათან უფრო უხეშად ექცეოდა მას და „ისე აბუჩად იგდებდა, თითქოს იგი შარაგზის ნეხვი იყო“, თუმცა სინამდვილეში კეთილშობილ კასიკს „დიდი უფლებით შეეძლო ყოფილიყო მისი პატრონი და არა მსახური“.

ხშირად კასიკს ეჩვენებოდა, რომ ვალენსუელა მეგობრობას და შერიგებას ცდილობდა. მაგრამ ეს ცვალებადი გუნება ყოველთვის თავდებოდა ერთი და იგივე ლაპარაკით: ენრიკილიო და მენსია უნდა შერიგებოდნენ მოხიკას, რომელიც საგვარეულო მამულის ნამდვილი მხსნელი იყო, მისი ძმისშვილის პატარაობისას, ახლა კი მთელი გულმოდგინების სამაგიეროდ ლას კასასის ინტრიგით ჩაგონებულ უმადურობას ღებულობს. ამას გაიძახოდა ვალენსუელა, მაგრამ ენრიკილიო, რომელიც უფრო დამაჯერებელ საბუთებს ეყრდნობოდა, მტკიცედ ამბობდა უარს ახალგაზრდა იდალგოს სურვილის შესრულებაზე.

ერთხელ ენრიკემ მთელი დღე დაჰყო ლა იგერაში. მოხიკამ ისარგებლა მისი არყოფნით, გადაწყვიტა გაბედული ნაბიჯი გადაედგა და სცადა თვითონ მოლაპარაკებოდა ძმისშვილს. გამოცხადდა დონია ლეონორის სახლში და, როგორც ნათესავმა, მოითხოვა მენსიას ნახვა. ახალგაზრდა ქალმა უარი თქვა მის მიღებაზე, მაგრამ დონია ლეონორმა დაიყოლია უარი არ ეთქვა ბიძასთან შეხვედრაზე: იქნებ, იგი თვით

ბედისწერამ გამოგზავნა, რომ დახმარებოდა მენსიას და მის ქმარს თავიანთი უფლებების აღდგენაში. ქვრივი ფიქრობდა, ღმერთმა მოალბო მოხიკას სასტიკი გული და ჩაუნერგა მხსნელი სინანული, — ხომ ხდება ხშირად, რომ ბოროტი ადამიანი თავის სურვილისაგან დამოუკიდებლად ხდება სიკეთის იარაღადო. ამ მოსაზრებებმა და პატივისცემამ, რომლითაც სარგებლობდა დონია ლეონორი კეთილშობილ მდგმურებთან, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მენსია დათანხმდა მიეღო საძულველი იდალგო.

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოხიკა გააძევეს ადმირალის სახლიდან. რის შესახებაც ლას კასასი დონ ფრანსისკო დე ვალენსუელას ენრიკილიოს ქორწინებამდე ცოტახნით ადრე წერდა. ამ წლების მანძილზე მენსიას მოხიკა არ უნახავს და არ ულაპარაკია მასთან, იგი იზიარებდა ენრიკეს დაუძლეველ სიძულვილს ამ ვერაგი ნათესავისადმი. დონია ლეონორთან ერთად გამოვიდა დაუპატიჟებლად მოსულთან, ოდნავ დაუკრა თავი, არც შეუხედავს, ისე ჩაჯდა სავარძელში და ელოდა, მოხიკას აეხსნა მოსვლის მიზეზი.

— ვხედავ, ძმისშვილო, — დამტკბარი ხმით დაიწყო ლაპარაკი ორპირმა, — რომ ჩემმა მტრებმა შეძლეს შენთვის ჩაეგონებინათ ჩემდამი უნდობლობა და არაკეთილგანწყობა. მაგრამ ისინი ხომ სისულელეს აკეთებენ, ჩვენ რომ ერთმანეთს გვაშორებენ და გიბიძგებენ უმადურობისაკენ.

მოხიკა გაჩუმდა, მაგრამ როცა ნახა, ახალგაზრდა ქალს ხმის გაცემა არ უნდოდა, განაგრძო:

— იცით თქვენ, რაში ვარ დამნაშავე თქვენ წინაშე? იმაში, რომ გაჩენის დღიდანვე საკუთარი ქალიშვილივით მიყვარდით: თქვენთვის ვოცნებობდი, თქვენს ძარღვებში მჩქეფარე დე გევარას კეთილშობილი სისხლისთვის შესაფერ ქორწინებაზე, დავტიროდი უბედურებასა და სისულელეს, რამაც უბადრუკ, უვიც კასიკის ხელში ჩაგაგდოთ.

მენსიას უნდოდა წასვლა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და დარჩა.

— ახლა კი, — განაგრძობდა იდალგო, — გაძულებენ ჩემს თავს. მაგრამ მე მამოძრავებს მხოლოდ თანაგრძნობა თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიმართ, მოვედი გამოგიწოდოთ მშველელი ხელი და სიყვარულით გითხრათ: „მენსია, უპატრონო და მარტოხელა არა ხართ, თქვენზეა დამოკიდებული თქვენი ბედნიერება და სიმდიდრე: საკმარისია მოაწეროთ ხელი ამ ქაღალდს, რომელიც თხოვნაა ხელისუფლებისადმი — დაგაშორონ ენრიკეს, და თქვენ მთელი თქვენი აკლადიდებით გადმოხვალთ ჩემი მამობრივი მზრუნველობის ქვეშ“.

წარმოთქვა ეს სიტყვები იდალგომ და ხელი მოისვა თვალებზე, საიდანაც ცრემლები ყასიდად გადმოსცვიოდა.

მენსიამ ცივად ჰკითხა:

— სულ ეს არის, რაც ჩემთვის უნდა გეთქვათ, სენიორ?

— სულ ეს არის.

— მაშინ არაფერი მაქვს საპასუხო. მე კასიკ ენრიკეს მეუღლე ვარ. და ვერავინ შეძლებს ჩვენს დაცილებას.

— მაშ იცოდე, უფრო საშინელი სატანჯველი მოელის, მასთან ერთად კი შენც, საძაგელო! — შეჰყვირა მოთმინებადაკარგულმა და გაავფთრებისაგან აცახცახებულმა მოხიკამ.

— მზად ვარ ყველაფრისთვის,—მტკიცედ თქვა მენსიამ,—ენრიკესთან ერთად ყველაფერს გავუძლებ. არაფერი მაქვს და არც შეიძლება რაიმე საერთო მქონდეს თქვენთან.

და უცერემონიოდ გავიდა ოთახიდან, მარტო დატოვა დონია ლეონორი ცბიერ იდალგოსთან.

— გთხოვთ, მოწმედ დამიდგეთ, სენიორა, — უთხრა მან ქვრივს, — რომ ამ უგნურმა ზიზღით უარყო ჩემი ნათესაური დახმარება, როცა მისთვის ბედნიერება და ხსნა მინდოდა მეჩუქებინა.

— მე იმის მოწმე ვიყავი, დონ პედრო, — ცივად შეედავა დონია ლეონორი, — რომ თქვენ გინდოდათ შეურაცხყოფა მიგეყენებინათ ეკლესიის წმინდა საიდუმლოსათვის. რას ფიქრობდით, როცა მენსიას, ერთგულ და სათნო მეუღლეს, აძალებდით, მიეტოვებინა ქმარი?

— ამაში თქვენ შეიძლება მართალი ხართ, სენიორა, — დაფიქრების შემდეგ ჩეუული ყალბი თავაზიანობით უთხრა იდალგომ. — შეიძლება, ძალიან შორს შევტოპე ამ სულელის სიყვარულის გამო. მაგრამ თქვენთვის გასაგებია ჩემი კეთილი ზრახვები, და თუ ისურვებთ, დამეხმაროთ და მიაღწევთ, რომ მენსია და მისი მეუღლე ყურს აღარ ათხოვებენ ჩემს მტრებს და მე მანდობენ თავიანთ ქონებას, მაშინ ნახავთ, რომ მათი მდგომარეობა განუზომლად გაუმჯობესდება და ეს იქნება თქვენი დიდი დამსახურება.

— ამ მშვენიერი ცოლ-ქმრის დიდი სიყვარული იძულებულს მხდის მოგისმინოთ უდიდესი ყურადღებით, — უპასუხა დონია ლეონორმა. რომელიც მიამიტად გაება მახეში. — ვეცდები დავიყოლიო ენრიკი ლიო და მენსია გააკეთონ ყველაფერი, რაც, თქვენი აზრით, მათი საკეთილდღეო იქნება. მაგრამ გაფრთხილებთ, შედეგის მიუხედავად, ვიდრე სუსტი ძალ-ღონე მეყოფა, მფარველობის გარეშე არ დავტოვებ ამ ბავშვებს, რომლებიც ყველამ შეიძულა და ხელი ჰკრა ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

— მე მივაღწევ მათი მდგომარეობის შეცვლას, სენიორა, თუ თქვენ მპირდებით დახმარებას.

— შეგიძლიათ ამის იმედი იქონიოთ, დონ პედრო.

იდალგო თავისთავით მეტად კმაყოფილი წავიდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დონია ლეონორი იყო ერთადერთი საყრდენი ახალ-

გაზრდა ცოლ-ქმრისთვის სან-ხუანში მცხოვრებ ესპანელ კოლონისტებს შორის, — მოხიკასთვის პატარა შენაძენი როდი იყო ამ ქალის გულუბრყვილობით მიღებული დახმარება, რასაც უბედური მსხვერპლები შეიძლებოდა სავსებით დაემარცხებინა. საღამოს, ბადილიოს სახლში მოხიკა გამარჯვებას იკვეხნიდა ბადილიოსა და ვალენსუელასთან და ჰპირდებოდა, რომ ჯიუტი ცოლ-ქმარი მალე მათ ხელში იქნებოდა. მაშინ მენსიას ქონება, ქრისტეს სამოსელივით დაუბრკოლებლად გაიყოფოდა საზიზღარი ხრიკების სამ მონაწილეზე.

XXXIII

ბრძმედში

დონია ლეონორის ყოველგვარ მსაჯულობასა და რჩევა-დარიგებას ენრიკე და მენსია მტკიცე და ჯიუტი უარით პასუხობდნენ. მოხიკასთან შეთანხმებას ან შერიგებას ერჩიათ უმკაცრესი და უკიდურესი გაჭირვება. რას ეტყვიან თავიანთ მფარველებს ლას კასასს და ადმირალს როცა ისინი შეიტყობენ, რომ ენრიკემ მოხიკას სასარგებლოდ უარი თქვა თავის უფლებებზე, მენსიას უფლებებზე და თვითონვე მისცა მეუღლის გაძარცვის ნება?

ინტრიგებსა და მოტყუებაში გამოცდილი იდალგოს დაჟინებამ, რაც მოსვენებას არ აძლევდა დონია ლეონორს, და კეთილი სენიორას მიამიტობამ, ენრიკესთან საუბარში გამუდმებით რომ იმეორებდა მოხიკას ყველა დასაბუთებას, ბოლოს და ბოლოს კასიკის გულში, რომელმაც უკვე მრავალი იმედგაცრუება გამოსცადა წარჩინებულ კოლონისტებთან ურთიერთობის დროს, უსამართლო ეჭვი გააღვიძა. ენრიკემ გადაწყვიტა, რომ დონია ლეონორი, რომელიც აქამდე მათი ერთადერთი იმედი და ერთგული მოკავშირე იყო, იხრებოდა მტრების მხარეს და უმძიმდა მათი მეგობრობა, რამაც ქალაქის ყველა სახელოვანი მცხოვრების კიცხვა მოუტანა. ცნობილია, რა მგრძნობიარენი ხრიან არაკეთილგანწყობილების გამომეღავნების მიმართ კეთილშობილი და დიდსულოვანი ადამიანები. ენრიკემ ცოლს გაუზიარა თავისი მწარე ნაფიქრი და მათ, რადგან იცოდნენ, რომ მენსიას მთელი სახსრები ჯერ კიდევ ვალენსუელას ხელში იყო, საკუთარ სახლს ვერ აიშენებდნენ, გადაწყვიტეს, არ გადაედოთ ის, რაც გარდუვალი იყო, და დონია ლეონორს გამოუცხადეს თავიანთი განზრახვა გადასახლებულიყვნენ ლა იგერაში.

ამაო იყო კეთილი ქვრივის უარი და ხვეწნა, იგი ცდილობდა გადაეთქმევინებინა სტუმრებისთვის ასეთი გადაწყვეტილება. უბრალო,

„ჯასპის პატარა სახლი“ „ინდიელთა ბანაკში“. როგორც ზიზღით ამბობდა ბადილიო, მოკლე დროში მოეწყო და მომარაგდა ყველაფერი აუცილებლით, რაც კეთილმოსაწყობად იყო საჭირო და კამაჩოს სასიამოვნოდ. ენრიკილიო ჩასახლდა იქ თავისი ცოლითა და ანიკათი, რომელიც ადრინდელივით დონია ლეონორის ენკომიენდეში იმყოფებოდა. კეთილ ქვრივთან გამომშვიდობებისას, ყველამ მხურვალე მადლობა გამოუცხადა მას, ორივე ქალმა ბევრი ცრემლი დაღვარა.

— თქვენ მტოვებთ, — უთხრა დონია ლეონორმა, — მაგრამ სადაც უნდა გაიქცეთ, თან დაგედევნებათ ჩემი სიყვარული. მელოდეთ სტუმრად.

იმავე დღეს დაიწყო დევნა იმით, რომ ლა იგერაში გაგზავნა ავეჯი, სურსათი და სხვადასხვა ძვირფასი საჩუქარი. მისი გულუხვობის, აგრეთვე კამაჩოს, ტამაიოს და ანიკას ზრუნვის წყალობით, კასიკისა და მენსიას ცხოვრება ახალ ადგილზე უფრო სასიამოვნო და მოხერხებული აღმოჩნდა, ვიდრე მათ ეგონათ. სიღარიბისა და უბედურების მიუხედავად. სულიერად მშვიდად ცხოვრობდნენ, როგორც ყველა, ვისაც არ აშინებს ცხოვრების უკუღმართობა და სინდისი სუფთა აქვს. სუფთა სინდისი — ესაა ერთადერთი წყარო ბედნიერებისა, რომელიც შესაძლებელია ამქვეყნად.

XXXIV

სიხარბე

მოხიკა და ვალენსუელა დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ ენრიკილიოს გადასახლებას ლა იგერაში. პირველი მიხვდა, ეს იყო დონია ლეონორ დე კასტილიას ჩარევის შედეგი, რომელიც მხარს უჭერდა მის დაჩემებას, მეორემ, როცა გაიგო კასიკის მტკიცე მოქმედების ამბავი, იმედი დაკარგა დაესახლებინა იგი ატოში, სადაც. ახალგაზრდა იდალგოს აზრით, უფრო გაუადვილდებოდა საზიზღარი მიზნის მიღწევა.

როცა დარწმუნდა, რომ მენსიას არ სურს მისი ნახვა, რადგან უპირატესობას ანიჭებს ქმრის სახელს და უბრალო ქოხს ატოს ძვირფას საცხოვრებელს ამჯობინებს, ვალენსუელა გაცოფდა და შეწყვიტა უხეში და მდაბალი ზნის დამალვა. ენრიკე პირად ღირსებას იცავდა მხოლოდ მთელი ძალების დაუღალავი დაძაბვით. მან ისე კარგად შეისწავლა ბრძანებულებები, რომლებიც რეპარტიმიენტოს შეეხებოდა, ისე ზუსტად ასრულებდა თავის მოვალეობას, რომ ვალენსუელას შესაძლებლობა არ ჰქონდა როდისმე ესაყვედურებინა მისთვის. მაშინ კი,

როცა იდალგო წამოაყენებდა უსაზომო მოთხოვნას, ენრიკე აუღელვებლად ახერხებდა დროზე შეეჩერებინა და მოეთოკა იგი. და მაინც დადგა უმძიმესი განსაცდელის დღეები. ახალგაზრდა სენიორმა უკუაგდო წინდახედულება და მისი უხეშობა და მომთხოვნელობა აუტანელი გახდა. სხვადასხვა საბაბით და სრულიად უსაფუძვლოდ უხეშად ექცეოდა კასიკს, ლანძღავდა გაუთავებლად, არასოდეს არ გაუშვებდა შემთხვევას, რომ არ გაელანძღა ან არ დაემცირებინა იგი.

ენრიკილიო დიდი მოთმინებითა და ცივი სიმშვიდით იტანდა ყოველგვარ ლანძღვა-გინებას და დაცინვას. ამ დროს უბედურ ინდიელებს შავი ყვავილი ავლებდა მუსრს. ავადმყოფებს არ შეეძლოთ მუშაობა და ინდიელთა ჯგუფები, რომლებიც საბრალო კასიკს უნდა გაეგზავნა სამუშაოდ, შეუვსებელი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამისთვის ვალენსუელამ სამჯერ ჩასუა იგი ციხეში.

მაგრამ ახლაც კი ენრიკილიოს მტკიცე მორჩილება არ შემდრკალა განსაცდელის წინაშე. სამაგიეროდ ლა იგერელი ინდიელები, რომლებისთვისაც დღითი დღე უფრო ძნელი ხდებოდა მონობის უღლის თრევა, არ ამეღავნებდნენ ასეთ მოთმინებას. ერთნი გრძნობდნენ ავადმყოფობის მოახლოებას, მეორენი — ახლად გამომჯობინებულებიც იყვნენ. ჯანმრთელები კი — თავი რომ ეხსნათ აუტანელი შრომისაგან, მთებში გარბოდნენ და სასოწარკვეთაში აგდებდნენ კასიკს, რომელიც იძულებული იყო გაუთავებლად ესდია გაქცეულთათვის. ფიზიკური და სულიერი ძალების ასეთმა დაძაბულობამ მოტეხა იგი და რამდენიმე დღით ჩააწვინა ლოგინში. მაგრამ ენერგიულმა ხასიათმა და ნებისყოფამ წამოაყენა ფეხზე, და განაცხადა. უნდა განეაახლა გაქცეული ინდიელების. დეენაო. ენრიკემ გაიგო, რომ ისინი სამშობლოში, ბაორუკოს მთებში იმალებოდნენ.

ვალენსუელას მრისხანე მოთხოვნის პასუხად კასიკმა, გამოავლინა მისთვის უველაფერზე საძულველი მოვალეობის შესრულების არაჩვეულებრივი სწრაფვა და თქვა, რომ განზრახული აქვს წავიდეს მთებში, სადაც თეითონ ნახა კოკონების ცეცხლი. ამ მიზნის შესასრულებლად მან ვალენსუელას სთხოვა დაებრუნებინა მისთვის მშვენიერი თეთრი ფაშატი, რომელიც მასთან დარჩა იმ დღიდან, როცა მისი ცხენი ეითომ დაკოჭლდა. ახალგაზრდა სენიორს თითქოს არც ესმოდა, რომ ცხენი პატრონისთვის უნდა დაებრუნებინა; კასიკის სამართლიანი თხოვნა გაოცებითა და დაცინვით მიიღო..

— ასუსენა რად გინდა (ეს სახელი დაარქვა მან ენრიკილიოს ფაშატს)? — სიცილით ჰკითხა ვალენსუელამ გაოცებულ კასიკს.

— ბაორუკოში წასასვლელად მჭირდება, — უპასუხა მან, — ავად ვარ და ჩემთვის აუცილებელია კარგი ცხენი.

— განა ატოში სხვა ცხენი არ არის? შენ მეტისმეტად მომთხოვ-

ნი ხარ, ენრიკილიო, და, მგონი, ასე წარმოგიდგენია, თითქოს ყველაფერი ისევე ხდება, როგორც მამაჩემის დროს იყო.

— არა. სენიორ, — შეედავა ენრიკე, — კარგად ვხედავ განსხვავებას. მაგრამ, ვფიქრობ, მისი ნება–სურვილი უნდა იყოს წმინდა თქვენთვისაც და ჩემთვისაც. აი, რატომ გთხოვთ დამიბრუნოთ ასუსენა, რომელიც დონ ფრანსისკოს სურვილით მე დამრჩა.

— ხომ არ გაგიუდი, ენრიკილიო? ეს ფაშატი ახლა მე მეკუთვნის. შენ რად გინდა? ამოირჩიე ჩემი ცხენებიდან რომელიც გინდა და შეწყვიტე ეს უაზრო მოთხოვნები.

— არაფერს არ მივიღებ ამ ცხენის მაგივრად, სენიორ. თქვენ კარგად იცით, რომ ასე არ უნდა იყოს.

— მე კარგად ვიცი, რომ ასე იქნება, ენრიკილიო.

— ასე იქნება მხოლოდ ძალის წყალობით, მხოლოდ თქვენი სურვილით და არა ჩემით. მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას პადრე ლას კასასის, რომელმაც მაჩუქა ეს ცხენი, და მამათქვენის წინაშე, რომელმაც მიბრძანა ჩემთვის დამეტოვებინა იგი და არ მომეცა თქვენთვის, — მტკიცედ წარმოთქვა კასიკმა.

— რას იზამ, ენრიკილიო, — აგდებულად შენიშნა ვალენსუელამ, — ფაშატი ჩემთან დარჩება.

ენრიკეს ამჯერად არ დაუფარავს აღშფოთება, გატრიალდა და შინ წავიდა. იქ კამაჩოს თანდასწრებით უამბო ცოლს ვალენსუელას ახალი უსამართლობა. ამ ამბის გამგონე მოხუც ინდიელს დაავიწყდა წუთით თავისი თვინიერება, სიტყვის თქმა არ აცალა მენსიას, ფიცხლად შეჰყვირა:

— შენ შენი ფაშატი სასამართლოს საშუალებით უნდა მოითხოვო, კასიკო!

— ამას მე არ გავაკეთებ, კამაჩო, — უპასუხა ენრიკილიომ.—ისეთი მშვენიერი ცხენისთვისაც კი, როგორიც ჩემი ასუსენაა, ვერ დავიწყებ ჩემს მოვალეობას დონ ფრანსისკო დე ვალენსუელას სახელის წინაშე და მისი შვილის წინააღმდეგ სამართალს არ დავუწყებ ძებნას. თანაც სენიორ ბადილიო ჩემთან არც გამოიჩენს მართლმსაჯულებას.

— მართალი ხარ, ენრიკილიო. — კამაჩოს უკვე გაუარა ბრაზმა. — მოთმინება, ჩემო შვილო, მოთმინება, კუნძულზე პადრე დაბრუნდება და ყველაფერი სხვანაირად წარიმართება.

— სწორედ ამის იმედი მაქვს, — თქვა ენრიკემ და, დამშვიდებულმა, ალერსიანად გაუღიმა მენსიას, რომელიც მშვენიერი სახით ხელებს დაყრდნობოდა, უხმოდ, ნაღვლიანად უსმენდა მათ საუბარს, ენრიკილიომ ტუჩები შეახო მის ქათქათა ჩაფიქრებულ შუბლს, უხმო ტამაიოს, უბრძანა განთიადისთვის ყველაფერი მზად ყოფილიყო გასამგზავრებლად: ისინი, ორიენი, ენრიკე და ტამაიო მიდიან ბაორუკოში.

XXXV

ბატრუკი

ადრეული შემოდგომა იდგა. მაგრამ ლა მავუანის კურთხეულ ველზე შემოდგომა მდელობებზე ხასხასა მწვანე ბალახებს არ ახმობს, ტყეებსა და წარპფებში ხეებს არ აცლის ფუზფუშა ფოთლებს. შემოდგომის მცხრალი მზის სხივებ ქვეშ მთელი ბუნება მშვენიერი სამოსით იმოსება, შემოდგომის ყვავილობის მსგავსად როგორც სხვა ქვეყნებში, და თავისი მოზეიმე სილამაზით ხოტბას ასხამს სამყაროს შემქმნელს.

ფაქიზი მგრძნობელობითა და ფხიზელი გონებით დაჯილდოებულ ენრიკეს ყოველგვარი სილამაზე აღაფრთოვანებდა. ერთგული ტამაიოს და თავისი განუყრელი თანამგზავრის — ნაგაზის თანხლებით იგი ცხენით მიდიოდა მომაჯადოებელ მდელობებზე და თვალუწვდენელი სივრცის მზერით ხარობდა. მისი მკერდი თავისუფლად სუნთქავდა საამური სურნელების ჰაერით, მობიბინე ბალახზე მონავარდე მსუბუქი ნიავი კი ყურში იდუმალ ზღაპრებს ჩასჩურჩულებდა.

გარემოს თვალწარმტაცი სურათების ყურებით ტკბებოდა ენრიკილიო და მოთხოვნილებას გრძნობდა თავისი შთაბეჭდილებანი გაეზიარებინა სხვა გონიერი და მგრძნობიარე არსებისთვის. ეგონა, ტამაიოც იზიარებდა მის აღტაცებას და ისევე ტკბებოდა ტროპიკული ბუნების ჯადოსნური სილამაზის ცქერით, ცდილობდა თავისი განცდებისათვის ეზიარებინა პირქუში ამხანაგი, მაშინვე მიუთითებდა, როცა ვრცელი, საოცრად მშვენიერი პანორამის რომელიმე კუთხე განსაკუთრებით გააოცებდა ხოლმე. მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. ტამაიო, თავისდა უნებურად, ბაძავდა დიდებულ ათენელს და ენრიკეს აწყვეტინებდა აღფრთოვანებულ სიტყვებს. როცა ენრიკე პირქუში თანამგზავრის ყურადღებას მიაპყრობდა პორიზონტზე, ღილის ცის ფანტასტიკურ, ცვალებადი ტონებისკენ, იგი ყოველთვის ცივ პასუხს ღებულობდა.

— როცა იქ მივალთ, აღარაფერი აღარ იქნება, ეს ყველაფერი მოჩვენებითია. ასეთივეა უბედური ინდიელის იმედიც.

თუ რამდენიმე წუთის შემდეგ ენრიკილიო ისევ თავისას იწყებდა: „როცა პადრე ლას კასასმა დაინახა ასეთი სავანები, იფიქრა, რომ ჩვენ მხარეში იყო სამოთხე", — უმოწყალო ტამაიო პასუხობდა:

— ეს ჩვენ, ინდიელები ვგევართ ადამს, შეცოდების შემდეგ.

— გახედე იქით, შორს, — დაჟინებით ეუბნებოდა ენრიკილიო, — მზის სხივებით გაბრწყინებულ იმ მწვერვალებს: ისინი მაგონებს სანტო-დომინგოს მსგავს ქალაქს უშველებელი სახლებით.

— იმდენ შრომად და იმდენ სიცოცხლედ რომ დაუჯდათ საბრალო ინდიელებს, — პასუხობდა ურყევი მიზანტროპი.

ენრიკეს მობეზრდა მისი სიჯიუტე. უარი თქვა ეთორთოლებინა მისი

გაქვავებული გული და თავი ანება ტამაიოსთვის პოეტური დაკვირვებების გაზიარებას.

მეორე დღეს, მზის ჩასვლისას ცხენოსნები მიუახლოვდნენ ბაორუკოს დიდ მთაგრეხილს. როცა მიაღწიეს ვიწრო, დაკლაკნილ ხეობას, კასიკი გაჩერდა, თვალები უცნაური ცეცხლით აენთო; და თქვა ისე, როგორც ნელა და გარკვევით ამბობდა თითოეულ სიტყვას:

— მომისმინე, ტამაიო, აქ კი უნდა გამოგიკეთდეს გუნება. დამთავრდა სხივმოსილი ბუნების ცქერით დატკბობა. მინდა შევისწავლო ამ მთების ყოველი მტკაველი, ჩემი წინაპრების სამფლობელოს და სამშობლოს ყოველი კუნჭული. მინდა ჭნახო, ვიცნობ თუ არა იმ ადგილებს, სადაც შენთან ერთად მივეხეტებოდი, როცა მივყვებოდით ჩემს ძვირფას ბიძას გუაროას საიდუმლო უკაცრიელი ბილიკებით. აი, რისთვის მოვედი აქ, და არა იმისთვის, რომ ვინადირო ჩემს უბედურ ძმებზე, რომლებიც მონობას გამოექცნენ.

— ენრიკილიო! — სიხარულით შეჰყვირა ტამაიომ ამ სიტყვების გაგონებაზე. — როგორც იქნა, იფიქრე შენ ხალხზე, როგორც იქნა, გადაწყვიტე, ვალენსუელას ძალაუფლებისაგან თავის დაღწევა. აქ დავრჩებით, ამ მიუდგომელ მთებში?

— ახლა არა, ტამაიო. ძალიან ჩქარობ. ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ამჟამად ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ აჯანყებაზე. ღმერთმა ქნას, არ დაგვჭირდეს ასეთ უკიდურესობამდე მისვლა, — თქვა აღელვებულმა ენრიკემ.

— ვშიშობ, რომ არასოდეს არ მიხვალ იქამდე, — გესლიანად გამოეპასუხა ტამაიო.

— თვითონ არ ვიცი ეს, უჭკუოვ, შენ საიდან გეცოდინება! დიახ, მე მტკიცედ ვამბობ, რომ არასდროს ვანანებინებ ჩემ კეთილისმყოფელებს და არ მივმართავ ძალადობას, ვიდრე არსებობს მართლმსაჯულების მიღწევის თუნდაც იოტისოდენა იმედი.

— მაშინ, ენრიკილიო, ამით ისარგებლებენ ჩვენი მტრები. შენ მართლმსაჯულების მიღწევას ეცდები და ვერასოდეს იპოვი მას.

— დაბნელებამდე ოთხი თუ ხუთი საათიღა რჩება, — თქვა ენრიკილიომ, რომელმაც უცებ შეიცვალა ტონი. — გამოვიკვლიოთ სიერას ეს მხარე, ვიდრე დაბნელდებოდეს, ხვალ კი განვაგრძოთ ჩვენი დათვალიერება.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ მთებში, მით უფრო მეტ კვალს პოულობდნენ, რომ ამჟამად აქ იმალებოდნენ გამოქცეული ინდიელები. მალე მათი ვარაუდი დაადასტურა რამდენიმე მოხუცმა, ტამაიოს ნათესავებმა თუ მეგობრებმა, რომლებიც დაუფარავად ცხოვრობდნენ ამ უდაბურ ადგილებში, თვალყურს ადევნებდნენ ერთ-ერთი კოლონისტის ღორებსა და თხებს. ამ მთაში მცხოვრებთა დახმარებით ადვილი აღმო-

ჩნდა გამოქცეულებთან შეხვედრა. ენრიკილიომ თავაზიანად უსაყვედურა მათ, რომ მიატოვეს იგი და მათი გულისთვის ციხეში ჯდომა და სხვა სასჯელი გადაიტანა. უბედური ინდიელები მწარედ ტიროდნენ, როცა შეიტყვეს თავიანთი დანაშაული კასიკის წინაშე, ეუბნებოდნენ რომ ახლავე დაბრუნდებოდნენ ლა მაგუანაში და გააკეთებდნენ ყველაფერს, რასაც იგი უბრძანებდა.

— იქ დაბრუნება? არც იფიქროთ,—უთხრა ენრიკილიომ.—სასტიკი სასჯელი გელით, მე მირჩევნია ვიჯდე ციხეში და ავიტანო ყოველგვარი უბედურება, ოღონდ ვიცოდე, რომ თქვენ მონობისგან თავისუფალი ხართ. იყავით აქ და დაიმალეთ. დაამუშავეთ თქვენი მინდვრები ყველაზე ფარულ, მიუვალ ადგილებში და მხოლოდ იზრუნეთ, რომ შეეძლო თქვენი პოვნა, როგორც კი დამჭირდებით.

ლტოლვილებმა მოწიწებით აკოცეს კასიკს ხელზე და დაპირდნენ ზუსტად შეესრულებინათ მისი განკარგულება, ორივე მგზავრმა კი, გამოცდილი მეგზურის თანხლებით, გზა განაგრძო, — რათა შეესწავლათ ამ მთის ხეეული ლაბირინთის ყოველი მწვერვალი, ფერდობი, ხევი და უფსკრული. ამისთვის მათ ხუთი-ექვსი დღე დასჭირდათ და ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაჭირვებიათ, რადგან სარგებლობდნენ ბაორუკოს ველურ, მაგრამ გულთბილ მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობით. ენრიკე აღფრთოვანებული იყო ყველაფრით, რაც ნახა და განიცადა ამ მგზავრობის დროს, რომლის ნამდვილ მიზანს იგი თავის თავსაც არ უმხელდა. მთის სუფთა ჰაერმა აღადგინა მისი ძალღონე და ჯანმრთელობა, ტამაიო, კი, რომელსაც დაავიწყდა თავისი წუხილი, გამოცოცხლდა, ალაპარაკდა და რამდენჯერმე ხმამაღლა გაიცინა კიდეც.

XXXVI

ცუდი ამბები

იმ მოკლე ხანში, რაც ენრიკემ დაუთმო მშობლიური მთების შესწავლას, ვერ შეძლო დაეთვალიერებინა მთელი სიერა, რომელიც გადაჭიმული იყო ოცდახუთ ლიგაზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ალაგ-ალაგ სიგანით აღწევდა ხუთ-ექვს ლიგას, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

მაგრამ ის მონაკვეთი, რომელსაც გაეცნო, თავისთავად საკმაოდ დიდი იყო და ამ მთების სამეფოში ყველაზე მიუდგომელი ჩანდა. ახლა კასიკს კარგად შეეძლო გეზის აღება მთელ მხარეში და დარწმუნებული გახლდათ, ტამაიოსა და სხვა მეგზურების დახმარებით არ გაუჭირდებოდა მიეღწია ამ ხედაბური და მიყრუებული ყოველი ადგილისათვის.

ამრიგად, ენრიკილიომ განაცხადა, ლა მაგუანაში დაბრუნების დრო დადგაო. თუმცა ტამაიო უარს ამბობდა, რადგან არ უნდოდა შეეწყვი-

ტათ სასიამოვნო სეირნობა, მაგრამ ენრიკემ მის ბუზღუნს ბოლო მოუღო ერთი უბრალო შეკითხვით:

— ნუთუ ფიქრობ, რომ შემიძლია მხიარული და დამშვიდებული ვიყო, როცა მენსიასგან შორს ვარ?

მშვენიერი ცხენების ჯენებით საღამოსათვის გავიდნენ მთის ხეობიდან, ჩავიდნენ ველზე, მხოლოდ რამდენიმე საათს დაისვენეს და მეორე დღეს ლა იგერაში ჩავიდნენ.

სახლის კართან ენრიკილიო ცხენიდან ჩამოხტა, შეირბინა ოთახებში და მენსიას დაუძახა. მაგრამ პასუხად მხოლოდ მოხუცი კამაჩოს სევდიანი ხმა გაისმა. იგი კასიკის შესახვედრად გამოვიდა და უამბო, რომ მენსია ანიკასთან ერთად წავიდა სან-ხუანში და ბაორუკოდან მის ჩამოსვლას დონია ლეონორ კასტილიას სახლში დაელოდება, რომ მთელი ინდიელები ატოში მუშაობენ, გალინდო კი ციხეშია; ამიტომაც ვერ შეძლო კამაჩომ ენრიკესთვის შიკრიკის გაგზავნა. მის არყოფნაში მომხდარი ამბების შესატყობინებლად.

ის იყო მოხუცმა დაამთავრა თავისი მოკლე სათქმელი, რომ ენრიკილიო, რომელიც დაძაბული მოუთმენლობით უსმენდა მას, ისევ მოახტა ცხენს, დეზი ჰკრა და ტამაიოსთან ერთად გაქანდა ქალაქისაკენ, სადაც მზის ჩასვლამდე მივიდა. იგი ნაზად მოეხვია ცოლს, რომლის სახეს ჯერ კიდევ აჩნდა გადატანილი მღელვარების კვალი, და დაწვრილებით მოისმინა უცნაური ამბავი.

ენრიკილიოს წასვლიდან ორი დღის შემდეგ ვალენსუელა და მოხიკა ორი ზედამხედველის თანხლებით მივიდნენ ლა იგერაში. ერთმა ზედამხედველმა მოაგროვა ინდიელები დიდიან-პატარიანად და ატოში წაიყვანა. კასიკის სახლში, მენსიასთან მხოლოდ ანიკა და კამაჩო დარჩნენ. რამდენიმე სნის შემდეგ ორივე კაბალიეროს — ერთმა, როგორც ამ მიდამოების სენიორმა, მეორემ კი, როგორც ახალგაზრდა მანდილოსნის ბიძამ — მოითხოვა, რომ მოხუცსა და ქალიშვილს დაეტოვებინათ ისინი მარტო მენსიასთან, თქვეს, რომ მოლაპარაკება უნდოდათ ისეთ საქმეებზე, რომელიც შეიძლება იცოდნენ მხოლოდ მათ ორმა და კასიკის მეუღლემ. კამაჩო სახლიდან გავიდა, ანიკა კი დარჩა მეორე ოთახში. მალე ანიკას მოხიკაც გამოჰყვა, რადგან დადუმებულ ძმისშვილს ვერაფერი ათქმევინა და გაბრაზებულმა თქვა: „მაშინ თქვენ ვალენსუელასთან მოგიწევთ საუბარი“.

შემდეგ, როგორც მენსიამ მეუღლეს უამბო, მოხდა ასეთი ამბავი: ვალენსუელამ მას რაღაც ქაღალდი მიაწოდა და დაუწყო ხვეწნა, თავისივე კეთილდღეობისთვის ხელი მოეწერა მასზე. მენსიამ წაიკითხა ქაღალდი, სადაც ეწერა ფიცით დამტკიცებული საჩივარი კასიკზე, მის ქმარზე, რომელიც თითქოს ცუდად უჭცევა, ძალას ატანს იცხოვროს ლა იგერაში, ჩალით გადახურულ ქოხმახში, მაშინ, როცა შეუძლია იცხოვ-

როს ატოში ანდა ქალაქში, ამავე დროს გაჭირვებაში ჰყავს და ათასნაირად სჯის; ამიტომ იგი სასამართლოს თხოვს გააცილოს ქმარს და დაუნიშნოს მეურვე. ახალგაზრდა ქალმა გადაჭრით განაცხადა უარი ხელი მოეწერა მსგავს სისაძაგლეზე, მაშინ ვალენსუელა დაემუქრა, ხელში ხელი სტაცა და ცდილობდა ძალით მოეწერინებინა ხელი. მაგრამ მენსიამ გადაწყვიტა არ დაეთმო და მშველელს დაუწყო ძახილი. ყვირილზე მოირბინა ანიკამ, თუმცა მოხიკა იჭერდა მას. ამ დროს კარში გამოჩნდნენ კამაჩო და გალინდო. გალინდოს ხელში მსხვილი, კორძებიანი კეტი ეჭირა. გააფთრებული გალინდო დაერია უსირცხვილო იდალგოებს; ვალენსუელას მარჯვენა მხარი ამოუგდო, მოხიკას კი მაგრად დაარტყა თავში.

არც ანიკა და კამაჩო ჩამორჩნენ მამაც გალინდოს. მოხუცი, მისი ასაკისთვის მოულოდნელი სიმარდით მივარდა ქალიშვილს დასახმარებლად და მათ ორივემ სტაცეს ხელი მოხიკას, ხმლის ამოღების საშუალება არ მისცეს. ისე დაესხა თავს გალინდო, რომელიც ვალენსუელას უკვე გაუსწორდა. ვალენსუელა ტკივილისგან იკლაკნებოდა და თავგამოდებით აგინებდა მამაც ინდიელს, თან სახრჩობელით ემუქრებოდა გაბედულმა ჰაბუკმა ზიზღით უპასუხა: „ეს მხოლოდ ხვალ მოხდებაო“ ამ დროს მოირბინა მეორე ზედამხედველმა, საბედნიეროდ სადღაც რომ იყო წასული. მიხვდა, რაც მომხდარიყო, დაინახა გააფთრებული გალინდო, ვალენსუელას ყვირილს დაემორჩილა, ჰაბუკა გზა გადაუღობა და ხმლით დაჭრა მარჯვენა ხელში. მაგრამ მამაცმა ინდიელმა უკან არ დაიხია და კეტის დარტყმით ბიოს დააგდო. ანიკამ მშვიდად მოკიდა ხელი მენსიას მკლავში და ორივენი, ამაყი გალინდოს თანხლებით ფეხით გაუდგნენ გზას ქალაქისაკენ. ნაცემი, დარეტიანებული ვალენსუელა არც ცდილა ხელი შეეშალა მათთვის.

მაშინ მშვიდი და თითქმის გახარებული კამაჩო შეუდგა დაჭრილთა მკურნალობას, რაც უგრძნობლად მწოლიარე მოხიკათი დაიწყო. დახე და მას მოხუცმა მკურნალმა და იქედნურად უთხრა ვალენსუელას:

— სენიორ იდალგო ახლა უკვე დადაღულია სამუდამოდ: ყური ასე ვე დაჭრება... იმ გიჟის კეტი თუნდაც ერთი თითით ზემოთ რომ მოხვედროდა, პატივცემული სენიორის დონ პედრო მოხიკას სიკვდილის დატირება მოგვიხდებოდა.

XXXVII

დაზუსტება

ჩვენი მონათხრობი აერთიანებს ყველაფერს, რაც კასიკმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმინა კამაჩოსაგან. მენსიასა და ანიკასაგან. ყველამ, დონია ლეონორის რჩევით, რომელმაც სიხარულით მიიღო მეგობარი, მი!

მკლავებში რომ ეძებდა თავშესაფარს, გადაწყვიტა, კასიკის არყოფნის დროს მომხდარი ამბავი სრულად არ მოეთხროთ, დაემალათ ზოგიერთი გარემოება, რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა ახალგაზრდა კასიკს. ვეცადოთ აღვადგინოთ სინამდვილე, ამ ამბის ნამდვილი ურთიერთკავშირის დაზუსტებითა და შევსებით.

როგორც კი კამაჩომ გაიგო, ვალენსუელასთან ერთად მოსულმა ზედამხედველმა ყველა ინდიელს უბრძანა ატოში წასვლაო, მიხვდა, რომ იდალგოს რაღაც ცუდი ჰქონდა განზრახული მენსიას მიმართ. მოხუცმა მოახერხა გალინდოსთვის ენიშნებინა, ზედამხედველს დასძრომოდა ხელიდან და ახლომახლო ეტრიალა. კამაჩომ მოირბინა გალინდოსთან ერთად და მერე ყველაფერი ისე შოხდა, როგორც ჩვენ ვიცით.

რაც შეეხება ვალენსუელას ლაპარაკს მენსიასთან, აქ იმალებოდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ახალგაზრდა იდალგომ, რომელსაც მოხიკას თანამოქმედების იმედი ჰქონდა, როცა მარტო დარჩა ლამაზ ქალთან, რომელიც მას გაურბოდა, გადაწყვიტა, რომ, როგორც იქნა, მიაღწია დიდი ხნის წინ ჩაფიქრებულ მიზანს და ახლა სასურველი ქალი, რომელსაც იგი ეჯავრებოდა, მაინც ხელთ ჩაიგდო.

ვალენსუელამ ნამდვილად წააკითხა მენსიას ქაღალდი, რომელსაც ენრიკილიოსა და თვით მენსიასთვისაც სახელი უნდა გაეტეხა. და ვიდრე ქალი მონუსხულივით თვალმოუცილებლად კითხულობდა ისეთივე შავი მელნით დაწერილ სტრიქონებს, როგორიც გახლდათ ამ წერილის მოკარნახის სული, გარყვნილი ჰაბუკი თვალით ჰამდა მშვენიერ ქალს და პასუხს ელოდა.

როცა მენსიამ ქაღალდი დაუბრუნა და მკვახედ განუცხადა, არასოდეს თუნდაც სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, არ მოაწერდა ხელს, თავდავიწყებამდე მისულმა ვალენსუელამ ვედრება დაუწყო:

— რად მინდა მე ეს ქაღალდი? მენსია, შემიბრალეთ! თქვენი სიძულვილი მოკვდავთა შორის ყველაზე უბედურად მხდის... თქვენ განწირული ხართ ამ უბადრუკ ქოხმახში საცხოვრებლად, იმიტომ, რომ გეზიზღებათ ჩემი ჟინი, უარს ამბობთ სიმდიდრეზე, რომელიც თქვენთვის მომირთმევია!.. სიმწრით ავსებთ თქვენ მაღმერთებელ გულს, თქვენ თვითონ მოგაქვთ ტანჯვა თქვენთვის და იმისთვისაც, ვისაც მეუღლეს ეძახით!.. დიახ, მენსია. თქვენზეა დამოკიდებული ენრიკილიოს ბედი და თქვენი კეთილდღეობა. შემიძლია ჩავიდინო ყოველგვარი ბოროტება, რათა ჩემი გახდეთ! თქვენი სიყვარული, თქვენი ზემად დაგულება გადამაქცევდა ადამიანთა შორის ყველაზე უკეთეს ადამიანად... ოჰ, იყავით ისეთივე გულმოწყალე, როგორი მშვენიერიც ხართ!

თავზარდაცემული მენსია უსმენდა ვალენსუელას. იგი მიხვდა, რომ ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქრებული და შეშინდა, როცა თავი

წარმოიდგინა იმ კაცის ძალაუფლებაში, რომელმაც თვითონ განაცხადა ცინიკურად, ყველაფერი შემიძლია ვიკადროო, მენსია აწრიალდა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, ბოლოს გაქცევა გადაწყვიტა. მაგრამ ვალენსუელა ვეფხვივით დაეტაკა მას, ეცა მკლავში, ძალით ჩაიკრა მკერდში მენსიას მშვენიერი თავი და მის ცივ ტუჩებზე აღბეჭდა მხურვალე კოცნა.

აი, მაშინ გაისმა ტანჯვითა და სასოწარკვეთით აღსავსე ყვირილი, ახალგაზრდა ქალმა ზებუნებრივი ძალა მოიკრიბა და სულმდაბალ მაცდუნებელს მკლავებიდან დაუსხლტა.

დანარჩენი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უკვე გიამბეთ. მენსია შეებრძოლა თავხედურად მოძალადე ვალენსუელას, და თან რამდენჯერმე ხმამაღლა დაიყვირა „მიშველეთ!“ ამ დროს შემოცვივდნენ გალინდო და კამაჩო და ვიდრე ვალენსუელა ძლიერი ინდიელის დანახვას მოასწრებდა, საშინელმა დარტყმამ მოცელა.

ჩვენი გამოკვლევა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ გავიგებთ, რა ხდებოდა მოხიკასა და ანიკას შორის, სანამ ეს ამბავი დასრულდებოდა. ანიკა მოჰყვა, რომ სიზიზღარი იდალგო ცდილობდა განეახლებინა ადრინდელი მეგობრობა, ოქროს კოშკს ჰპირდებოდა, ის კი, თვალთმაქცობდა, თითქოს მას უგდებდა ყურს, ვიდრე მენსიას ყვირილი არ გაისმა. ახალგაზრდა ინდიელი ქალი, მართლაც, ვერ იტანდა თავის მოარშიყეს; თან იცოდა, იდალგო საშინელი იყო, როგორც მომაკვდინებელი ცოდვა. ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ ყველაფერში, რასაც იგი მოჰყვა.

ბადილიომ გაიგო თუ არა, რომ მის მეგობრებს ხელი მოეცარათ, იმ დღესვე ბრძანა გალინდოს დაჭერა, ბორკილების დადება და ციხეში ჩასმა.

XXXVIII

დაკმაყოფილება

ჟოცა ენრიკილიომ მეუღლისგან მოისმინა მასზე მოწყობილი თავდასხმის არაზუსტი ამბავი, სისხლი თავში აუვარდა და ნერვიულმა კანკალმა აიტანა. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. ბოლოს, ოდნავ მოერია მღელვარებას, ცდილობდა შეენარჩუნებინა გარეგნული სიმშვიდე და ანიკა გამოჰკითხა. მერე ქაღალდის ფურცელზე რაღაც ჩაინიშნა, უარი თქვა საუმელზე და სახლიდან გავიდა მწუხრის ზარების პირველ ხმაზე.

— წინდახედულად იმოქმედე, ენრიკე, — უთხრა შეშფოთებულმა მენსიამ მიმავალს.

— მშვიდად იყავი, ჩემო ბედნიერებავ, — უპასუხა მან, — მე მხოლოდ იმის გაგება მინდა, არსებობს თუ არა მართლმსაჯულება ლა მაგუანაში.

დონია ლეონორის სახლიდან გასულ კასიკს შეეჩეხა ტამაიო, რომელსაც გალინდოს ბედის შური კლავდა და იმედს არ კარგავდა, რომ მასაც მიეცემოდა კეტის დატრიალების შემთხვევა.

როგორც კი დაინახა კასიკი, ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა:

— სად მიდიხარ, ენრიკილიო?

— მინდა გავიგო, არსებობს თუ არა მართლმსაჯულება სან-ხუან-ში, — გაიმეორა კასიკმა.

— თუ ვერ იპოვი მართლმსაჯულებას?

— სანტო-დომინგოში წავალ მის მოსაძებნად, — ძალიან მშვიდად უპასუხა ენრიკემ.

გაბრაზებულმა ფიცხმა ტამაიომ მიწას ფეხი დაჰკრა, მაგრამ მაშინვე მოერია თავს და ისევ ჰკითხა:

— იქაც თუ ვერ ნახავ?

— მაშინ, ტამაიო, დე, აღსრულდეს ღვთის ნება, — უთხრა ენრიკემ და გზას გაუდგა.

იგი ნაცვალის სახლისკენ წავიდა. ბადილიო რამდენიმე მეგობართან ერთად ვახშმობდა. მათ შორის იყო თავშეხვეული მოხიკაც, რომელიც ძალიან ამაყობდა, რომ ლოგინშიც არ მოიცადა. ენრიკილიო ნახევარ საათზე მეტხანს ალოდინეს, ვიდრე ვახშამი დამთავრდებოდა, იგი მწარედ იტანჯებოდა, როცა კარიდან ესმოდა, ეს მახინჯი, წრიპინა ხმით როგორ თავისებურად ყვებოდა ლა იგერას ჯანყის ამბავს, თანამოინახენი კი ხარხარებდნენ მის ოხუნჯობასა და მასხრულ მოქმედებაზე. ბოლოს, ბადილიო აღგა, გამოვიდა მოსაცდელში, სადაც ენრიკე უცდიდა, და თვალთმაქცური თავაზიანობით ჰკითხა, რა გნებავთო. ენრიკილიომ შეატყობინა, რაც მოხდა ვალენსუელასა და მის მეუღლეს შორის, და ლაპარაკი დაასრულა სამი მოთხოვნით: პირველი — რომ გალინდო დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ, მეორე — ვალენსუელას ჩამორთმეოდა მენსიას ქონების მართვის უფლება და მესამე — თვითონ ენრიკე და მისი ინდიელები გაეთავისუფლებინათ იმ სენიორის ქვეშევრდომობიდან, რომელიც ასე უღირსად იქცეოდა.

ბადილიომ გესლიანი ღიმილით მოუსმინა ენრიკეს და ჰკითხა, აქვს თუ არა მას დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რაშიც იგი ბედავს დაადანაშაულოს თავისი პატრონი.

ცივად წარმოთქმულ შეკითხვას კასიკმა მშვიდად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა:

— თქვენ სხვებზე უკეთ იცით, სენიორ გუბერნატორის ნაცვალო, რომ მე ბევრჯერ ვთქვი უარი ჩემ პირად უფლებებზე. ნაწილობრივ ფრანსისკო დე ვალენსუელას წმინდა ხსოვნის პატივისცემისთვის, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ვგრძნობდი საერთო არაკეთილგანწყობილებას, მოთმინებით ვიტანდი მრავალ უსამართლობას — ციხეს, ცუდ

მოპყრობას და ლანძღვას იმისგან, ვისაც არც კანონით, არც წესით არ ჰქონდა უფლება ჩემთვის მოეთხოვა მასთან სამსახური. თქვენ იცით, არ შემიძლია არც სიცრუე და არც ინტრიგა, აუკრძალეთ ამ ცბიერ სენიორ მოხიკას თქვენს სუფრასთან გაამასხროს ის, რაც მე მტანჯავს და სასოწარკვეთაში მაგდებს. გაიგეთ, სენიორ ნაცვალო, თუ ჩემს მეუღლეს პატივისცემით არ მოექცევიან, ჩემი მოთმინების ფიალა აივსება. მოვითხოვ, დაგვაკმაყოფილოთ სრულიად, სამართლიანობის სახელით, რისთვისაც არსებობს თქვენი ხელისუფლება ლა მაგუანაში.

მშვიდმა, ღირსეულმა და მოზეიმე ტონმა, რომლითაც ენრიკემ წარმოთქვა თავისი მოკლე, მაგრამ გამომეტყველი სიტყვა, შთაბეჭდილება მოახდინა ბადილიოზე; იგი გაოცდა, რომ ასეთი ამაღლებული სიტყვები მოისმინა კაცისგან. რომელსაც ჩვეულებრივ ექცეოდა, როგორც ინდივიდუალობას მოკლებულ მდაბიო არსებას. მაგრამ ბადილიო იყო ავაზაკი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ამიტომ იმის გაფიქრებამ, რომ თავხედმა კასიკმა, როგორც თვითონ უწოდებდა ენრიკილიოს, დაუმტკიცა თავისი სიმართლე და ბედავს მტკიცედ დაიცვას იგი, მასში სინანული კი არ აამეტყველა, არამედ ეშმაკეული სიამაყე. ბადილიომ კასიკს ზიზღითა და უხეშად უპასუხა, როგორც იქცევიან ხოლმე მშიშარა და გამყიდველი ადამიანები, როცა გრძნობენ თავიანთ არარაობას სხვისი სათნოების წინაშე:

— საიდან გაქვთ ასეთი თავხედობა და უსირცხვილობა, კასიკო? თქვენ ბედავთ მომთხოვოთ, ციხიდან გამოუშვა დამნაშავე ბიჭი, რომელმაც გაბედა ხელეყო თავისი პატრონი და ეცემა პატივცემული დონ პედრო? ფრთხილად იყავით, მასთან ჯდომა არ მოგიწიოთ! თქვენ ეს საესებით დაიმსახურეთ.

— აი, თურმე როგორია მართლმსაჯულება. თქვენგან რომ ველოდი, სენიორ ბადილიო! — ათრთოლებული ხმით შეჰყვირა კასიკმა. — რას ვიზამთ, მზად ვარ გამოვცადო ეგეც, თუ თქვენი მუქარის ასრულების სურვილი გაქვთ. ნამდვილ დამნაშავეებს კი ამ დროს ნადიმი ექნებათ თქვენს სუფრასთან!

— ჰეი! — დაიყვირა გაცოფებულმა ბადილიომ. — ალგვასილებო! ეს თავხედი ციხეში ჩასვით!

დაუყოვნებლივ მოვიდა ორი ალგვასილი და დააკავეს ენრიკილიო. კასიკი გაჰყვა მათ ისე, რომ იოტისოდენა წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ტამაიო შეშფოთებული ელოდა ჭუჩაში ამ შეხვედრის შედეგს. როცა შეპყრობილი კასიკი ნახა, მასთან მივიდა, რომ მისი განკარგულებები მოესმინა.

— მენსიას უთხარი, ნუ იჯავრებს, — ეს ერთადერთი რამ დაავალა თავის ერთგულ მოადგილეს.

მაგრამ ტამაიომ შეასრულა ბრძანება თუ არა, მაშინვე მივიდა ციხეში, ბედუკულმართ კასიკს საჭმელი და ლოგინი მიუტანა. ენრიკილიო არაფერს მიჰკარებია და მტკიცედ უარყო ერთგული ტამაიოს თხოვნა, რომელსაც უნდოდა მასთან ერთად დარჩენილიყო ციხეში.

XXXIX

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ

ენრიკილიომ ციხეში სამი დღე დაჰყო, მერე ყოველგვარი განმარტებებისა და ფორმალობის გარეშე დაუბრუნეს თავისუფლება, თუ შეიძლება თავისუფლება ვუწოდოთ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა კასიკი. როცა შინ დაბრუნდა და მოეხვია უნუგეშო მეუღლეს. მენსიამ და დონია ლეონორმა შენიშნეს, რომ მის სახეზე ბრაზის ან უკმაყოფილების კვალიც არ იყო. სასტიკი სიმშვიდე და პირქუში დაძაბულობა აღბეჭდოდა მთელ გარეგნობაში. ენრიკემ უხმო ყველას, ვინც ვალდებულების გრძნობითა თუ სიყვარულით იზიარებდა მის წუხილს და შეეძლო მისი გაგება. ესენი იყვნენ პირველ რიგში მენსია, დონია ლეონორი და კამაჩო, რომელთაც სთხოვა რჩევით დახმარებოდნენ. კასიკმა დაუძახა ტამაიოსა და ანიკას, როგორც პასიურ და მეორეხარისხოვან მონაწილეთ.

ენრიკილიომ მათ გამოუცხადა თავისი გადაწყვეტილება წასულიყო სანტო-დომინგოში და იქ, სააპელაციო სასამართლოში ეძებნა სამართალი ბადილიოსა და ვალენსუელას წინააღმდეგ. როცა დონია ლეონორმა არ მოიწონა ეს განზრახვა, რადგან ფიქრობდა, რომ კასიკს იქაც შეურაცხყოფდნენ და განდევნიდნენ, ენრიკემ უპასუხა, რომ თუ არ ეცდება კანონიერი გზით დაკმაყოფილდეს. მაშინ მხოლოდ ისღა რჩება, სიცოცხლე მოუსწრაფოს ერთ-ერთ ამ ტირანთაგანს, უმჯობესია მათ შთამაგონებელს და თანამზრახველ მოხიკას.) კასიკმა, ეს თქვა ისეთი სიმკაცრით, რომ ყველა მიხვდა — ეს არ იყო ფუჭი სიტყვები. ტამაიოს უხეში სახე გაანათა ავბედითმა ჩაცინებამ, როცა საშინელი მუქარა მოისმინა.

ყველამ ერთსულოვნად მოიწონა ენრიკილიოს გამგზავრება, თუმცა შემდეგში შორსმჭვრეტელი დონია ლეონორის შიში ზუსტად დადასტურდა.

ენრიკილიომ ტამაიოს დაავალა ეშოვა მისთვის ცხენი, მეორე დილით განთიადისას სან-ხუანიდან გასასვლელად. მაგრამ ერთგულმა მსახურმა უთხრა, რომ ეს ადვილი საქმე არ იქნებოდა, — ვალენსუელამ ზეღამხედველებს უბრძანა ლა იგერაში მოეგროვებინათ ყველა

საღი ცხენი და წაეყვანათ ატოში, ვერკრძალათ ამ ცხენებით სარგებლობა მისი განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. ეს მოხიკამ ურჩია, რადგან, როცა გაიგო, რას თხოულობდა ენრიკე ბადილიოსგან, არც დაეჭვებულა, რომ იგი ეცდებოდა საჩივარი წაეღო დედაქალაქში.

მაშინ ენრიკემ გადაწყვიტა ფეხით წასულიყო. დონია ლეონორი მხურვალედ ევედრებოდა, წაეყვანა მისი ერთ-ერთი მშვენიერი ცხენი, მაგრამ ენრიკილიომ უთხრა, რომ თუ იგი ფეხით წავიდოდა, უეჭველად ჩაშლიდა მტრების ხრიკებს, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ხელი შეეშალათ მისი წასვლისათვის.

ამრიგად, უბედური კასიკი ენრიკე დაკონკილი ტანისამოსითა და ზურგზე მოკიდებული აბგით მოემზადა მარტო წასასვლელად, მშვიდად დაემშვიდობა ატირებულ მენსიას და მცირერიცხოვან მეგობრებს, ჩუმად, დამნაშავესავით გაიპარა სან-ხუანიდან, თითქოს გაურბოდა დამსახურებულ სასჯელს. მას კეთილშობილ გულში შემოენახა მხოლოდ პატიოსნება და სიკეთე, შეურაცხყოფილს და დამცირებულს მათ მიერ, ვინც კანონსა და მართლმსაჯულებას ამოფარებული ხელისუფალი იყო მისი, ისევ გულუბრყვილოდ სჯეროდა მართლმსაჯულების და კანონის ძალის და წუხილისა და გაჭირვებისთვის გაწირა თავი, სახლიდან შორს წავიდა მფარველის საძებნელად.

ოთხი დღის შემდეგ ჩააღწია ენრიკემ სანტო-დომინგოში; იგი დიდი სიხარულით მიიღეს დომინიკელთა მონასტერში პედრო დე კორდოვამ და ანტონ დე მონტესინომ, რომლებიც კარგად ექცეოდნენ კასიკს, რადგან იცოდნენ, რომ ძალიან უყვარდა იგი ლას კასასს. მათ მოისმინეს მისი საჩივრები, გაიზიარეს მისი სამართლიანი აღშფოთება და დაამშვიდეს თავიანთი მამობრივი მზრუნველობით. მერე ენრიკე წავიდა თავის მფარველთან, დონია მარია დე ტოლედოსთან, რომელმაც იგი, როგორც ყოველთვის, ალერსიანად და გულღიად მიიღო. დიდხანს ეკითხებოდა თავს დატეხილ უბედურებაზე. იგი ძალიან ღელავდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედზე, რადგან ორივე უყვარდა სულითა და გულით. როცა დედოფალმა ენრიკესგან მოისმინა და საკუთარი თვალით ნახა, რა საშალალო მდგომარეობამდე მიეყვანათ ლა მაგუანელ ავაზაკებს, ცხარე ცრემლები დაღვარა, რადგან უფრო მწვავედ იგრძნო თავისი უძლურება, დაინახა ესპანიოლაზე გამეფებული უკანონობის ნაყოფი.

დედოფლისა და დომინიკელი ბერების შუამდგომლობამ ენრიკილიოს მაინც შეუწყო ხელი, რომ მოსამართლე-რევიზორი ალონსო სუასო ბურჯად გამოსდგომოდა კუდაბზიკა და ზარმაცი უფროსი მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც ან სულ არ აღიარებდნენ მოსმენას ანდა აგდებულად იშორებდნენ თავიდან, იმიზეზებდნენ, რომ არ არსებობდა მტკიცება ანდა იმას, რომ ის მოქმედებდა უფორმოდ, —

სასამართლოს მომიზეზება ნიშნავდა, რომ მას თავისი საქმე უნდა გადაეცა პროკურორებისა და დამცველებისთვის, თვითონ კი უნდა წასულიყო შინ და ეცადა გადაწყვეტილებისთვის საშინელ სამსჯავრომდე. სუასო, ამ უკანონოდ მომქმედ ხროვაში ერთადერთი პატიოსანი ადამიანი, მალე მიხვდა, რომ მისი ძალა არაა საკმარისი, ოკეანის ნაპირებიდან გადმოხეთქილი მანკიერებისა და ცუდ ვნებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რამაც გაავსო კოლონია. მეფის მოხელეთა ინტრიგებმა მას ნდობა დაუკარგა დედაქალაქში, ახლა კმაყოფილდებოდა იმით, რომ სიკეთეს აკეთებდა იქ. სადაც შეეძლო, მან თანაუგრძნო ენრიკილიოს უბედურებას, მაგრამ არ დაუმალა, რამდენად ძნელი იყო სასურველი შედეგის მიღწევა. სუასომ კასიკს ურჩია მომავალშიც თავდაჭერილად მოქცეულიყო და ნაცვალ ბადილიოსთან გაატანა ოფიციალური წერილი — ეგრეთ წოდებული „ხელის შემწყობი სიგელი", რომელიც მან ითხოვა ახალი მთავარი მოსამართლე ლიცენციატ ფიგეროასგან. ამრიგად, კასიკის საჩივარი ისევ უბრუნდებოდა ლა მაგუანელ ხელისუფლებს და მათ სთავაზობდნენ განეხილათ იგი მთელი სამართლიანობით.

მცირე იმედი რჩებოდა უბედურ ენრიკილიოს, როცა იგი მტკიცე გადაწყვეტილების ნაცვლად ამ სასაცილო ქაღალდით უკან ბრუნდებოდა. დამშვიდობებისას დედოფალმა ისევ აღუთქვა მეგობრობა და სთხოვა მენსიასთვის სახსოვრად გადაეცა ოქროს პატარა ჯვარი. ელვირამაც გზა დაულოცა კეთილი სურვილებით, მაგრამ ურჩია შერიგებოდა ვალენსუელას: მას არ სჯეროდა, რომ დონ ანდრესს შეიძლებოდა ბოროტი გული ჰქონოდა.

დაემშვიდობა კასიკი მეგობარ ბერებს დომინიკელთა და ფრანცისკელთა მონასტერში. როცა პატივცემული კაცები, მეტისმეტად შეწუხებულები კასიკის უბედურებით, ურჩევდნენ ყოფილიყო მომთმენი და ჰქონოდა ღვთის იმედი, ენრიკე თვალებს ზეცისკენ აპყრობდა და ყოველთვის პასუხობდა: — ღმერთი მოწმეა ჩემი მოთმინებისა. თქვენც იყავით, პადრე, იმის მოწმე, რომ ბევრი მიზეზი მაქვს მისი დაკარგვისთვის.

გულდამძიმებული ბრუნდებოდა იგი ლა მაგუანაში.

XL

უკანასკნელი განსაცდელი

ენრიკილიო არ იყო ერთი თვის განმავლობაში. მისი სან-ხუანში დაბრუნება უფრო სავალალო იყო, ვიდრე წასვლა. იგი გადაეხვია საყვარელ ცოლს, რომელიც მას ელოდა და წუთებს ითვლიდა. ენრიკეს პირველივე სიტყვამ გამოამეღავნა მისი ღრმა სასოწარკვეთილება:

— არავითარი იმედი აღარ არის ჩვენთვის, მენსია. სულ ჩემო! ო, როგორ დავიტანჯე ამ მგზავრობის დროს! როგორი მწარე ფიქრები მეწვეოდა ხოლმე გზაზე, რომელიც არასოდეს მომჩვენებია ასე დაუსრულებელი.

— ვერაფერი გააწყვე? — მორიდებულად ჰკითხა მენსიამ.

— აი, მხოლოდ ეს არის, რაც მე ჩამოვიტანე, — ნაღვლიანად უპასუხა მან, როცა ჩანთიდან უფროსი მოსამართლის ფიგეროას წერილი ამოიღო. — ეს სიგელი ჩემ საჩივარს ისევ ავაზაკ ბადილიოს უგზავნის. ჩვენი მფარველები თვითონაც შეურაცხყოფილნი და უძლურნი არიან... შენ რომ არა, მენსია, ჩემო სიყვარულო, — მგზნებარედ წარმოთქვა კასიკმა, — ყველა ამ ავაზაკობასა და უნამუსობას დიდი ხნის წინ მოეღებოდა ბოლო. ამაყად ავწევდი თავს, და ვერავინ გაბედავდა დატრაბახებას, რომ შენი მეუღლე ენრიკილიო საცოდავ მონად გადაექცია.

ამ სიტყვების გაგონებაზე მენსია ათრთოლდა, როგორც ქარიშხალში ნორჩი პალმა.

— რას ლაპარაკობ? ესე იგი, მე ვარ შენი უბედურების მიზეზი?

— შენ რომ არ იყო, მენსია, აღარ მოვითმენდი ლანძღვა-გინებას, და როცა გავიგებდი, რომ ბადილიომ არაფრად ჩააგდო ეს წერილი, მთაში წავიდოდი.

— რატომ არ შეგიძლია ჩემი წაყვანა თან? — მხურვალედ შესძახა მენსიამ. — არასოდეს არ გირჩევდი ამის გაკეთებას. მაგრამ რაკი შენ თვითონ აირჩიე იგი, მაშ იცოდე, სჯობს შენთან ერთად ვეხეტებოდე მთებში, ავიტან ყოველგვარ საშინელ გაჭირვებას, სიკვდილსაც კი, ვიდრე მოვითმენდე ვალენსუელას და მისი მსგავსების გაუგონარ შეურაცხყოფას.

ენრიკემ გაოცებით მოისმინა ეს მხურვალე სიტყვები, რასაც არასოდეს მოელოდა თავისი წუნარი მეგობრისგან, გულში ჩაიკრა და კვლავ დაუბრუნდა სიმშვიდე, რომელიც ყოველთვის ეუფლებოდა მას მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას. სათათბიროდ მოიწვია მხოლოდ დონია ლეონორი, მენსია და კამაჩო, მათ შეატყობინა, რომ გადაწყვიტა თავისი მოთმინება უკანასკნელად ჩააგდოს განსაცდელში, წერილი ჩააბაროს ბადილიოს და შედეგს დაელოდოს.

— უკანასკნელ განსაცდელში? — ჩაილაპარაკა კეთილშობილმა დონია ლეონორმა. — თქვენ მართალი ხართ, ენრიკილიო, და მართალია ეს ანგელოზიც. მგონი, მეც მზად ვარ თქვენთან ერთად მთაში გავექცე ამ უკანონობას.

საერთო გამხნევების მიუხედავად, გადაწყდა არაფერი ეთქვათ ტომაითოსთვის, რომელიც ამ დროს ლა იგერაში იყო, რომ დროზე ადრე არ აღელვებულიყო.

მოუსვენარმა მოლოდინმა შეიპყრო ყველა. მეორე დღეს ენრიკილიომ ჩაიცვა სადა კოსტიუმი, ჩვეულებრივ ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევებში რომ იცვამდა და გუბერნატორის ნაცვალთან წავიდა. როგორც კი დაინახა ბადილიომ, გაბრაზებულმა დაუყვირა:

— ა, არამზადავ! გამოცხადდი? ჩვენ კი გვეგონა, რომ აჯანყდი.

— როგორც ამ საბუთიდან ხედავთ, შეცდით, სენიორ, — უპასუხა ენრიკილიომ, და სუასოსგან გამოტანებული წერილი გაუწოდა.

ბადილიომ ყურადღებით წაიკითხა ქაღალდი და დაჟინებით დააცქერდა კასიკს, თვალით გაზომა იგი თავიდან ფეხამდე. ცოტა ხანს დაფიქრდა და, როგორც იქნა, წარმოთქვა:

— ყოველთვის თანდათან მაოცებს თქვენი თავხედობა, ენრიკილიო. ნახეთ თქვენი სენიორი?

— არავის ვიცნობ ასეთს, ვისაც შეიძლებოდა ასე რქმეოდა კანონის საფუძველზე. თქვენ, იქნებ, სენიორ ანდრეს დე ვალენსუელაზე ლაპარაკობთ?

— მეტისმეტად გაამაყდით, კასიკო. დიახ, მე ვალენსუელაზე ვლაპარაკობ, რომელმაც ხელისუფლებას ამცნო, რომ თქვენ გაიქეცით.

— როგორც ხედავთ, იგი შეცდა, — გაიმეორა ენრიკემ.

— ასე იყოს. მიუხედავად ამისა, თქვენ აქედანვე წახვალთ და გამოცხადდებით მასთან. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — უპასუხა გაბრაზებულმა ბადილიომ.

და მაშინვე ორ ალგვასილს უბრძანა ენრიკილიო წაეყვანათ მის პატრონთან, სენიორ ვალენსუელასთან.

ალგვასილები ასეც მოიქცნენ, უფრო სწორედ, ენრიკილიომ სიამოვნებით შეასრულა ნაცვლის ბრძანება. როცა იგი დაინახა, ვალენსუელა გაცოფდა და მთელი ხმით დაიყვირა.

— მინდა ვიცოდე, სენიორ ავაზაკო, სად დაეხეტებოდით ამ ხნის განმავლობაში?

— სანტო-დომინგოში ვიყავი და გიჩივლეთ თქვენ და სენიორ ბადილიოს, — უთხრა ენრიკემ ყოველგვარი მორიდებისა ანდა ტრაბახის გარეშე.

— რას მიაღწიეთ, სენიორ წიგნიერო? — დაცინვით ჰკითხა ვალენსუელამ.

— მხოლოდ „ხელის შეწყობის სიგელს“, რომელსაც სენიორ ბადილიომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, — უთხრა კასიკმა. — მან მიბრძანა გამოვცხადებულიყავი თქვენს განკარგულებაში.

— სიამაყისა თუ თვინიერების გამო მელაპარაკები ასე? — ჰკითხა ვალენსუელამ, იგი ნამდვილად ვერ მიხვდა ენრიკეს პასუხების ტონს.

— რაც გინდათ ის მიყავით, სენიორ. მე მხოლოდ სიმართლის ლაპარაკი ვიცი.

— ციხეში გაგგზავნით, ენრიკე, თავხედობას რომ გადაგაჩვიოთ.

— თუ სულ ეს არის, წავიდეთ აქედან, — უთხრა ენრიკილიომ თავის მცველებს.

— არა, ეს ყველაფერი არ არის, — მიაძახა გამოსამშვიდობებლად ვალენსუელამ. — ხუნდები გაუყარეთ, და ასე იჯდეს მთელი ღამე.

ალგვასილებმა წაიყვანეს ტყვე, რომ შეესრულებინათ თავაწყვეტილი იდალგოს ბრძანება. ენრიკილიომ გამოამჟღავნა არა მხოლოდ სრული სიმშვიდე, არამედ მოჩვენებითი დაკმაყოფილებაც კი. ორ მცველს შორის მტკიცე ნაბიჯებით მიმავალი ბუტბუტებდა, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო:

— თქვენც ხედავთ, დონ ფრანსისკო, კმარა! შევასრულე ჩემი ვალი თქვენ წინაშე, მეტიც გავაკეთე, ვიდრე თქვენ მომთხოვდით, და კმარა, დონ ფრანსისკო, კმარა!

ალგვასილები გაკვირვებულები უგდებდნენ ყურს კასიკს, ერთერთმა შუბლზე თითი მიიკაკუნა და თქვა:

— შეიშალა, საწყალი!

XLI

ამბოხება

ხანდახან დატყვევებული არწივი ახერხებს მახეს თავი დააღწიოს, და მაშინ არაფერია იმაზე მშვენიერი და დიდებული სანახაობა, ვიდრე ამაყი თავისუფალი ფრინველი, რომელსაც ძლიერი ფრთები გაუშლია, ლივლივებს ჰაერის სივრცეში, ირაოს აკეთებს დ თანდათან ზევით მიიწევს, თითქოს მზის ბრწყინვალე სხივებში უნდა მიიმალოს.

ერთი კვირაც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც დამცირებული, აბუჩად აგდებული და მოთვინიერებული ენრიკილიო გამოვიდა პირქუში საპყრობილიდან, სადაც აღმოჩნდა თავის ყოველისშემძლე მტრების ჟინიანობისა და თვითნებობის წყალობით. ამ ვითომ თავისუფალ დღეების ყოველი წუთი მოქმედებით იყო შევსებული და გამოყენებული დიდი მიზნებისთვის, რომლებიც ჩაფიქრებული ჰქონდა ვალენსუელას ბედუკუღმართ მონას.

ტამაიო წელში წყდებოდა, დარბოდა, დაფრინავდა, გადარეულივით დაქროდა ადგილიდან ადგილზე, რადგან იცოდა, რომ ახლოვდებოდა შურისგების ჟამი. ენრიკილიო ბრძანებას იძლეოდა, აგზავნიდა, ითვალისწინებდა; ტამაიო — ასრულებდა, სიტყვის შეუბრუნებლად; დაუფიქრებლად, ბრმად ემორჩილებოდა კასიკის ყოველგვარ განკარგულებას. ენრიკილიო გახლდათ გონება და ნებისყოფა, ტამაიო — ხარაღი და შემსრულებელი.

იმას, რაც გააკეთა ერთი კვირის მანძილზე ამ ორმა კაცმა, ოცი კაციც ვერ შესძლებდა მთელი ერთი თვის განმავლობაში.

მთაში გაქცევა გადაწყდა. მაგრამ ლაპარაკი იყო ნამდვილ ამბოხებაზე ანდა, უფრო სწორად, განთავისუფლებაზე. ენრიკეს არ უნდოდა არც მკვლელობა, არც დანაშაული. მხოლოდ ერთი რამ სურდა, მაგრამ მტკიცედ და მგზნებარედ,— თავისუფლება თავისთვის და მთელი თავისი რასისთვის. მას უნდოდა გაეყოლიებინა კარგად შეიარაღებული ინდიელების უმრავლესობა, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ თავიანთი უფლებების დასაცავად, იმ უფლებების დასაცავად, რაზედაც, ვაი რომ ზოგ მათგანს არაფერი სმენოდა ანდა სრულიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო, რომ ხალხს გაეგო თავისი უფლებები და ჩაწვდომოდა მისი მოპოვების გადაწყვეტილებას, თუნდაც სიცოცხლის ფასად, და ეს რთული საქმე, რომელიც აზროვნებას და მოქმედებას მოითხოვდა, მოკლე დროში განახორციელეს ენრიკილიომ და ტამაიომ, იმით, რომ გააერთიანეს თავიანთი გონება და ენერგია.

ერთი დღეც, და თავისუფლების ჟამიც დადგება, ვიდრე ორი ათეული ცხენოსანი და ქვეითი ინდიელების თანხლებით ენრიკილიო მენსიას ბაორუკოს მთებში წაიყვანს, ლა მაგუანაში მყოფნი დანარჩენი მონები მცირე ჯგუფებად სხვადასხვა გზით მივლენ დანიშნულ ადგილზე. შეუპოვარი ტამაიო და მის მიერ შერჩეული ათი ამხანაგი, როგორც კი დაღამდება, მოულოდნელად თავს დაესხმიან ციხეს და გალინდოს გაიტაცებენ მიწისქვეშეთიდან, სადაც უბედური იტანჯებოდა, ვიდრე უზენაესი სასამართლო დაამტკიცებდა ბადილიოს განკარგულებას, რომელმაც ჩამოხრჩობა მიუსაჯა მას.

ლა იგერაში შეიკრიბნენ შეთქმულების მთავარი მონაწილენი, რომ ენრიკილიოს მიერ დასახული გეგმა დაეგვირგვინებინათ. ვალენსუელას მიერ ატოში გაგზავნილ ინდიელთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი დაბრუნდა. ამრიგად, მათ ზედამხედველები არ დაუეჭვებიათ და გაქცევისთვის სამზადისი შეუმჩნევლად მიმდინარეობდა. ლა იგერაში შეიკრიბნენ უმცროსი კასიკები: მაიბონა, ვასა, გასკონი, ვილიაგრანი, ინკაკეკა, მატაიკო და ანტრაბაგურესი. ყველანი ემზადებოდნენ, რომ თავთავიანთ ტომთან ერთად გაჰყოლოდნენ ენრიკილიოს, აქ იყვნენ კასიკები იგუამუკოელი ბალტასარი, ბაორუკოელი ველასკესი, ანტონი და ერნანდო, რომლებიც ცოტა ხნით წყნარად უნდა ყოფილიყვნენ მეამბოხეებისთვის იარაღის, სურსათისა და სხვადასხვა აღჭურვილობის მოსამარაგებლად. მერე კი, როცა საჭირო იქნებოდა, უნდა შეერთებოდნენ დანარჩენებს. კიდევ სამმა კასიკმა — პედრო ტორესმა, ლაგუნელმა ლუისმა და ნავაროს, რომლებიც ლა მაგუანელ მდიდარ მესაქონლეთათვის ლუის კაბეს დე ვაკას და ძმები ანტონიო და ხერონიმო

დე ერერასთვის იყვნენ ჩაბარებული, ვალდებულებად აიღეს თავიანთი პატრონების ბრწყინვალე მონადირე ძაღლები მიეყვანათ ბაორუკოში.

მეორე ღამესვე დაიწყო განზრახული გეგმის ზუსტად შესრულება. ენრიკილიო საღამოს წავიდა ქალაქში მენსიას წამოსაყვანად, რომელიც ნაზად გამოემშვიდობა თავის მეგობარს. დონია ლეონორმა პირობა ჩამოართვა კასიკს რამდენადაც შეიძლებოდა მალე გამოეგზავნა მისთვის, შიკრიკი და ეცნობებინა ამბოხების წარმატების ამბავი, და თავის მხრივ დაპირდა ლა მაგუანაში ყველასთვის შეეტყობინებინა და წერილი გაეგზავნა სანტო-დომინგოში, რომ მის უბედურ მეგობარს საკმაო საფუძველი ჰქონდა მიემართა ასეთი უკიდურესი საშუალებისთვის. ენრიკეს გული აუჩვილდა, დიდსულოვან ქალს მადლობის ნიშნად ხელზე ეამბორა და ცოლიანად წავიდა ლა იგერაში.

იქ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ გაქცევის სამზადისს: ოჯახის საღლაცავები, ტანისამოსი და აუცილებელი ნივთები ბოხჩებად შეკრულები ჩაბარებული ჰქონდათ რამდენიმე ღონიერ და მარდ ჰაბუკს. მენსია ტახტრევანზე დასვეს და ორმა ძლიერმა ინდიელმა ადვილად წაიღო ეს ძვირფასი, მსუბუქი ტვირთი. დანარჩენებს სადავეებით მიჰყავდათ ორ-ორი, სამ-სამი სამარქაფო ცხენი, რომლებშიც ერია დონია ლეონორის მიერ მენსიასთვის ნაჩუქარი მდიდრულად შეკაზმული მშვიდი და ლამაზი ფაშატი. ანიკა მარჯვედ იჯდა ფიცხ ცხენზე, ენრიკილიო კი ოთხი ცხენოსნისა და რამდენიმე ფეხოსნის თანხლებით უკან მიჰყვებოდა მიმავალთ. მთელი რაზმი საუკეთესოდ იყო შეიარაღებული.

ასე გავიდნენ ისინი ლა იგერადან, სადაც მხოლოდ კეთილი კამაჩო დარჩა. ენრიკესთვის გზის დალოცვის შემდეგ იგი სამლოცველოში შევიდა აჯანყების წარმატებისთვის სალოცავად. გვიან ღამით შეთქმულები გზას გაუდგნენ, თვითდარწმუნებულ მჩაგვრელებს იოტისოდენა ეჭვიც არ შეპარვიათ, რომ დამონებულებმა ფიცი დასდეს დაებრუნებინათ თავისუფლება.

ტამაიოს ყველაზე რთული დავალება ხვდა წილად. მართალია, ციხეს დიდი სიფრთხილით არ იცავდნენ და მცირერიცხოვან მცველებს, ალბათ, დაავიწყდათ კიდეც, როგორ ეხმარათ თავიანთი დაჟანგული შუბები, მაგრამ სწორედ ამ ღამით, შემთხვევისა თუ რაღაც ეშმაკის წყალობით, რომელიც ყოველთვის ფხიზლად არის, გუბერნატორის ნაცვალსა და რეხიდორებს ციხის მახლობლად, მუნიციპალიტეტის შენობაში მეჯლისი ჰქონდათ, ზეიმობდნენ მეფე დონ კარლოს ავსტრიელის იმპერატორად არჩევას.

ამიტომ, როცა ტამაიო თავისი ხალხიანად გალინდოს გასანთავისუფლებლად მიიპარა ციხესთან, იქ არ დახვდა საუკეთესო თანაშემწეები — სიბნელე და უკაცრიელობა. მას მთლად დაეკარგა ყველაფ-

რის იმედი, მაგრამ უცბად დაებადა გაბედული აზრი, რომელიც დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი.

ტამაიომ ორ თავის ამხანაგს უბრძანა ცეცხლი წაეკიდებინათ სიმკაცრით ცნობილი და ინდიელებისათვის საძულველი ერთ-ერთი მოქალაქის სახლისთვის, თვითონ სხვა ამბოხებულებთან ერთად მიიმალა ეკლესიის უკან და შესაფერ დროს უცდიდა.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ სიბნელე მოგიზგიზე ცეცხლის ალის ავბედითმა სინათლემ გაანათა. ტამაიო სწრაფად აცოცდა დაბალ სამრეკლოზე და ზარი დარეკა. განგაში ატეხა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ქუჩაში გაცვივდნენ, რომ შეესრულებინათ ანდა სხვებისთვის შეესრულებინებინათ თავიანთი მოვალეობა ხანძრის ჩაქრობაში. მათ ხროვად მოჰყვნენ უკან დღესასწაულში მონაწილე კაბალიეროები და მესაკრავენი, მალე ციხის მცველებმაც დატოვეს საგუშაგოები და ხანძრისკენ გაიქცნენ, რათა თავი გამოეჩინათ უფროსების წინაშე. სწორედ ამას ელოდა ტამაიო. სწრაფად შეაიარაღა თავისი ხალხი რკინის ძალაყინით, მათ სულ ადვილად გატეხეს ციხის კარი, შეცვივდნენ ციხეში. ტამაიომ შეირბინა ბნელ მიწისქვეშეთში, სადაც ბორკილდადებული უბედური გალინდო იჯდა. წუთითაც არ დაფიქრებულა, ძლიერმა ინდიელმა ზურგზე მოიგდო ჭაბუკი, მიწისქვეშეთიდან ამომავალ კიბეზე აირბინა და ტვირთიანად გამოვიდა ციხიდან თავის რაზმთან ერთად, ვიდრე ვინმე მიხვდებოდა ამ თავხედურ თავდასხმას. ხანძარი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. დანარჩენი პატიმრები გაოგნებულები იყვნენ და კარგა ხანი გავიდა, სანამ უფრო მოხერხებულებმა და გაბედულებმა გაბედეს მიჰყოლოდნენ მამაცი განმათავისუფლებლების კვალს.

ყველაზე გაუბედავებმა, შიშისაგან აცახცახებულები რომ ისხდნენ საპყრობილეში, ყველაფერი უამბეს ალკალდს და მცველებს. როცა ისინი, ხანძრის ჩაქრობით გაამაყებულები დაბრუნდნენ და გაშეშდნენ, დამტვრეული კარისა და დაცარიელებული ციხის დანახვაზე. ეს ამბავი სასწრაფოდ შეატყობინეს გუბერნატორის ნაცვალსა და რეხიდორებს. შიში და შეშფოთება იყო გამეფებული შეშინებულ სან-ხუანელების სახლებში.

XLII

თავისუფლება

ერთ დღე გავიდა ლა მაგუანიდან ღამით გამოქცევის შემდეგ. საღამოსათვის თავშესაფრის მძებნელ ლტოლვილთა ხარბმა მზერამ შენიშნა ბაორუკოს დიდებული ზეები. შორს დასავლეთისკენ, ჰორი-

ზონტზე, თითქოს კამკამა ლურჯ ცაში შეჭრილი, ერთმანეთს მიჯრილი კლდოვანი მწვერვალების დაბილული ხაზის დანახვაზე ვასამ, ერთ-ერთმა ინდიელმა კასკა, ხელი გაიშვირა მთავრებილისკენ და საზეიმოდ წარმოთქვა:

— იქ არის ჩვენი თავისუფლება!

დანარჩენი ინდიელები, თავისთვის იმეორებდნენ ამ სიტყვებს და სიხარულის ცრემლებით სავსე თვალებით მისჩერებოდნენ შორეულ მთებს. ამ დროს ენრიკილიომ დაიწყო ლაპარაკი:

— დიახ, მეგობრებო! იქ არის ჩვენი თავისუფლება, იქ გველის თავისუფალი და არა მონური ცხოვრება! იქ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე და თავისუფლება — საჩუქარი, რისთვისაც. როგორც კარგმა ქრისტიანებმა, მადლობა უნდა შეეწირათ ყოვლისშემძლე ღმერთს.

კასიკის მოკლე სიტყვა მოწიწებით მოისმინეს. ბუნებრივი და საზოგადოებრივი ინსტინქტი კარნახობდა ამბოხებულებს, რომ მათთვის აუცილებელი იყო დამორჩილებოდნენ საერთო ბელადს, და რომ ეს ბელადი უნდა გახდეს ენრიკე გუაიკაიური, როგორც მემკვიდრეობითი უფლებით, აგრეთვე ზნეობრივი და გონებრივი უპირატესობით, რომელსაც ყველა აღიარებდა. ვასამ და ენრიკილიოს თანმხლებმა სხვა კასიკებმა ენრიკილიოს სიმამაცითა და ჭკუით საერთო ნდობა დაიმსახურეს. მათ მაშინვე აირჩიეს ენრიკე უზენაეს ბელადად და მოხუცი ანტრაბაგურესის წინადადებით ფიცი დასდეს ყველაფერში დამორჩილებოდნენ მას.

ახლოვდებოდა ღამე, როცა ამბოხებულები შეუდგნენ ასვლას მიხვეულ-მოხვეულ ფლატეებიან ბილიკზე, რომელიც ციცაბო კლდეებსა და ჩაბნელებულ უფსკრულებს შორის მიემართებოდა. მენსიას სისხლი ეყინებოდა ძარღვებში და თმა ყალყზე უდგებოდა, როცა ესმოდა, უიცრო სიღრმის ფერდობზე როგორ ცვიოდა ქვები იმ ინდიელთა ფეხებქვეშიდან, ტახტრევანი რომ მიჰქონდათ. ენრიკილიო დაქვეითდა, თავისი ცხენის სადავე ახალგაზრდა მსახურს გადასცა და თვითონ ტახტრევანს მიჰყვა. როცა ნახა, როგორ მსუბუქად და მარჯვედ მიაბიჯებდა იგი მის გვერდით ვიწრო ბილიკზე, მენსია დამშვიდდა და თანდათან მიეჩვია საფრთხეს.

როგორც იქნა მიაღწიეს მდელობს. სადაც მწყემსის ორი-სამი ქოხი იდგა. გადაწყდა ღამის აქ გათევა. აგიზგიზდა კოცონი, მენსიასა და ანიკასთვის მოაწყვეს საწოლები შალის საბნებისა და თან წამოღებული ბამბისაგან. დანარჩენებმა ივახშმეს წინასწარ დამზადებული საჭმლით და მოეწყვნენ, ვის როგორც შეეძლო. მხურვალედ ილოცეს და დაწვნენ დასასვენებლად.

ინათა თუ არა, მგზავრები მთის სიღრმისკენ გაემართნენ და შუ-

ადღისთვის მიაღწიეს პატარა მდინარის ნაპირებს, უშველებელ კლდეებს შორის რომ მიიკლაკნებოდა. გადალახეს ფონი, მერე კიდევ ერთ ციცაბო ფერდობზე ავიდნენ და ირგვლივ მაღალი პალმებითა და სხვა ხეებით გარშემორტყმულ მშვენიერ ღარტაფში აღმოჩნდნენ. აქედან მოჩანდა მშვენიერი მთები და ხევები, სადაც აქა-იქ ლაქებად იყო შეფენილი მინდვრები. აქ იყო ენრიკილიოს მიერ შერჩეული დასახლების ადგილი. ეს ამბავი მან შეატყობინა ამხანაგებს და უთხრა, რომ განზრახული აქვს ასეთი დასახლებების მოწყობა ყველა მიუვალ, მაგრამ ბუნებრივი პირობების მიხედვით, მოსახერხებელ კუთხეში, რომელთაც შეხვდებიან ვრცელ სიერაში. ამრიგად, ისინი ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებით და საჭიროების შემთხვევაში შეეძლებათ მომთაბარეობა ერთი ადგილიდან მეორეში.

ყველამ მოიწონა ეს ბრძნული გეგმა და გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას. იმ დღესვე ააშენეს დიდი, მოხერხებული ქოხი მთავარი კასიკისა და მისი მეუღლისთვის. მალე ამ ქოხის ირგვლივ სხვებიც გაშენდა. ზოგი მაშინვე შეუდგა სახნავად ვარგისი ნაკვეთების მომზადებას: ერთნი ასუფთავებდნენ და შემოაკავებდნენ მინდვრებს, მეორენი თესავდნენ სხვადასხვა მარცვლეულს. ამინდი მშვენიერი იყო და მუშაობაც კარგად მიდიოდა.

საღამოს, კასიკმა ყველა შეკრიბა თავისი ქოხის წინ, სალოცავად. ამიერიდან, ეს ჩვეულება მტკიცედ იქნა შემოღებული და ენრიკილიო ყრავის აძლევდა ამისთვის თავის არიდების უფლებას. მომდევნო ორი დღე დასჭირდათ საქმიანი და შრომისმოყვარე კოლონიის ცხოვრების წეს-რიგისა და მართვის მოსაგვარებლად. მერე კი, ყოველი მხრიდან მოაწყდნენ აქაურობას გამოქცეული ინდიელები. პირველად მოვიდნენ ისინი, ვინც ადრევე იმალებოდნენ მთებში; მერე — ლამაგუანელი ინდიელები, რომლებიც თავიანთ კასიკებს გამოჰყვნენ, თავის დროზე მიღებული ბრძანების მიხედვით. და, ბოლოს, მოსელა დაიწყეს სამხრეთიდან და დასავლეთიდან, ყველამ, ვისთანაც მიაღწია ენრიკილიოს ანდა მისი ამხანაგების მოწოდებამ — თავი მოეყარათ პაორუკოში და ეცხოვრათ თავისუფლად.

მესამე დღეს ენრიკილიოს კოლონიაში უკვე ასამდე ინდიელი იყო, ქალი თუ კაცი. ყოველნაირი ასაკისა. მათ შორის თერთმეტს ჰქონდა კასიკის წოდება. ოცდაშვიდი კი იყო მებრძოლი, შეიარაღებული ზოგი შუბითა და ხმლით, ზოგი ხანჯლითა და პატარა ნაჯახით. ზოგს არბალეტი ჰქონდა. რომლის ხმარება, მართალია, არ იცოდნენ, ბევრს კი — უბრალო კეტი — რკინის ბოლოიანი, ანდა პატარა ბარჯი შუბის ნაცვლად.

ასეთი იყო ენრიკილიოს მებრძოლების შეიარაღება და რაოდენობა. როცა ბანაკში მივიდნენ ტამაიო, გალინდო და სან-ხუანის ცი-

ხეზე თავდასხმის სხვა მონაწილენი. მათ თან მოიტანეს ნახევარი დუჟინი მუშკეტი და სხვა იარაღი. ენრიკე შეწუხდა, ხანძრის ამბავი რომ გაიგო, ასეთი მოქმედებები არ შედიოდა მის განზრახვაში. ტამაიო თავს იმართლებდა, რამდენადაც შეეძლო. ბოლოს და ბოლოს მთავარი იყო საქმის უსისხლოდ დამთავრება და გალინდოს მოყვანა, რომელსაც ენრიკე სიხარულით გადაეხვია და გულად მებრძოლს უველამ მოუწონა გმირული საქციელი.

თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქში ატეხილ ხმაურს ლა მაგუანას ხელისუფლება შეეგულიანებინა, დასდევნებოდნენ ინდიელებს და მიეგნოთ ლტოლვილთა კვალისთვის. ენრიკილიო მაშინვე მიხვდა ამას და დაცვისთვის მოემზადა.

მზვერავებმა ბრძანება მიიღეს ფხიზლად ყოფილიყვნენ და დროულად შეეტყობინებინათ ყველაფერი, რასაც შენიშნავდნენ სიერას ახლომახლო მდებარე სოფლებში. აღმოჩნდა, რომ ეს ღონისძიება ზედმეტი არ იყო, რადგან მეოთხე დღეს ბანაკში მოვიდნენ ლაგუნელი ლუისი და ორი კასიკი მონადირე ძაღლების ხროვიანად და მოჰყვნენ, რომ ანდრეს დე ვალენსუელა და მოხიკა იმ დღესვე კაბალიეროებისა და პეონების რაზმს სათავეში უნდა ჩადგომოდნენ და სან-ხუანიდან უნდა გასულიყვნენ - ენრიკილიოს და სხვა ამბოხებულ ინდიელთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ენრიკილიომ, როგორც კი გაიგო მტრების შეტევაზე გადმოსვლა, გზაზე მზირები დააყენა, მთაგრეხილის ძირში მწკრივად ჩაასაფრა მზვერავები და დარაჯები, მათ უკან კი განალაგა საბრძოლო დაცვა, რათა სოფელი დაზღვეული ყოფილიყო ყოველგვარი მოულოდნელობისგან. ამ მოწრინავე რაზმის ხელმძღვანელობა დაავალა ვასას.

ყოველგვარი ზომების მიღების შემდეგ. ენრიკე დაბრუნდა ბანაკში და მარჯვედ მოემზადა საფრთხესთან პირისპირ შესახვედრად. ხალხი ორ რაზმად გაყო, თვითონ თხუთმეტ კასიკს ჩაუდგა სათავეში, და ყოველ მათგანს მოუწოდა ღირსეულად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა.

მკურნალობაში გამოცდილმა მოხუცმა კასიკებმა ინკაკეკამ და ანტრაბაგურესმა თან წაიღეს შინაური წამლები, ბალახები და გადავიდნენ მიყრუებულ ადგილას ქალებიანად და ავადმყოფებიანად. გადაწყვეტილი იყო იქ გადაეყვანათ დაჭრილები. რომლებიც დახმარებას საჭიროებდნენ. დანარჩენმა ბრძოლის უნარიანმა ინდიელებმა შეადგინეს რაზმი ტამაიოს და მატაიკოს მეთაურობით, რომლებსაც ენრიკილიომ მისცა გარკვეული და უბრალო მითითებები, როგორ უნდა ემოქმედათ — ერთად თუ ცალ-ცალკე. — გარემოების მიხედვით. გალინდო, რომელსაც ჯერ ჭრილობები არ მორჩენოდა, დარჩა კასიკ-მკურნალების მზრუნველობის ქვეშ.

როცა ყოველი აუცილებელი სამზადისი დამთავრდა და გათვალისწინებული იყო ყოველგვარი შემთხვევითობანი, ენრიკილიომ გადაწყვიტა ტამაიოსთან ევარჯიშა ფარიკაობაში. რომ დარწმუნებულიყო, შეინარჩუნა თუ არა მისმა ხელმა უწინდელი სიმარჯვე. იგი კმაყოფილი დარჩა შემოწმებით და მაშინვე უყელა კასიკსა და დანარჩენ ახალბედა მეომრებს შეამოწმებინა თავიანთი თავი სხვადასხვა იარაღის ხმარებაში. ღამემ დაუდო საზღვარი ამ ვარჯიშს. მაგრამ ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა ბელადმა მოასწრო დარწმუნებულიყო თავისი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებაში.

XLIII

ღვთის განაჩენი

სალამოს ენრიკემ დამატებითი განკარგულებები გასცა, რომლებმაც მხოლოდ განამტკიცეს ბრძნდობა, როგორითაც ექცეოდნენ ინდიელები თავის გამოცდილ და დახელოვნებულ მხედართმთავარს. მონადირე ძაღლები შეუერთეს ვასას რაზმს. ამ რაზმსა და ბანაკს შორის განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ შიკრიკები, ენრიკეს ატყობინებდნენ მზვერავებისგან მოტანილ ცნობებს, ამრიგად. განთიადისას მან ზუსტად იცოდა, რომ სან-ხუანიდან გამოსულმა რაზმმა ღამე კარეიბანში გაათია და დილაადრიან დაიძერებოდა მთებისკენ. კარეიბანიდან ამბოხებულთა ბანაკამდე სამი გზით შეიძლებოდა მისვლა. რომელს აირჩევდნენ თავდამსხმელნი? ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, ბრძენმა ბელადმა გადაწყვიტა ბანაკი ყოველი მხრიდან დაეცვათ. მაგრამ ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო, რომ მტერი სიერაში შესელას ეცდებოდა ბილიკით. რომელსაც ვასა იცავდა, — ეს ბილიკი იყო ყველაზე მისადგომი. ვარაუდი მალე გამართლდა.

შუადღისთვის ბანაკში მოვიდნენ შიკრიკები, რომლებმაც ამბავი მოიტანეს, მოწინააღმდეგე შემოვიდა მთივარ ხეობაშიო.

ენრიკემ თავის ამხანაგებს მგზნებარე სიტყვით მიმართა, იგი მოუწოდებდა შეუპოვრად ებრძოლათ თავისუფლებისთვის, წაიყვანა კასიკები და საუკეთესო მებრძოლები და თვითონ წავიდა ვასას მისაშველებლად.

ფერდობზე ჩასელისას, რომელსაც პატარა მდინარე ჩამოუდიოდა, მათ სმენას ძაღლის ყეფა მისწვდა. ლაგუნელი ლუისის მოდარაჯე ძაღლებ. იტყობინებოდნენ მოწინააღმდეგეთა მოახლოებას. შემდეგ

გაისმა არკებუზების სროლის ხმა, და ის იყო ენრიკე გადავიდა მეორე ნაპირზე, რომ საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ. მოწინავე რაზმის თითქმის ყველა ინდიელი, დაბეჭრთხალ ფარასავით, უთავბოლოდ გამორბოდა. ენრიკეს ეჩვენება შეჩერებულიყვნენ, შეარცხვინა სიმხდალისთვის, მიხვდა, რომ ვასა დამარცხდა და თვითონ გაუძღვა მათ. ყველანი წინ გაიჭრნენ და მალე მდელობზე ვასა დაინახეს. მამაცი კასიკი მიწაზე ეგდო, ფეხში იყო დაჭრილი. იგი აქ მოიყვანა ლაგუნელმა ლუისმა, რომელსაც თავისი უშველებელი ძალღები მოჰყავდა. დაჭრილის გვერდით იდგა და არწმუნებდა გზა განეგრძოთ.

ამ ადგილზე ხეობა უცებ უხვევდა. მოსახვევს იქით უკვე ისმოდა ხმები მტრებისა, რომლებიც ციცაბო ფერდობზე ამოდიოდნენ, მოსდევდნენ ინდიელებს, ასე ადვილად რომ დასთმეს თავიანთი ძლიერი პოზიცია.

ენრიკილიო ერთი შეხედვით მიხვდა, როგორი ხელსაყრელი იყო მისთვის ეს ვიწრო ყელი. თავისი მცირე ძალები ელვის უსწრაფესად განალაგა ორივე მხარეს, თვითონ კი, ხმლითა და შუბით შეიარაღებულ ხუთ მებრძოლთან ერთად, ხეობა გადაღობა.

მაგრამ აი, გამოჩნდნენ ვალენსუელა და მოჩიკა, რომლებიც თავიანთ ქვეითად მომავალ რაზმს მოუძღოდნენ, ცხენებს არ შეეძლოთ ამოსვლა ციცაბო ბილიკზე. ადვილი წარმატებით გახარებული ორივე იდალგო, მოდიოდა დარწმუნებული, რომ ინდიელები ველარ გაბედავდნენ მათთვის წინააღმდეგობის გაწევას. „სად არის ენრიკილიო? სად არის ის მშიშარა ძაღლი?" — ხმამაღლა ყვიროდნენ ორივენი.

და უცებ დაინახეს არა შიშარა ძაღლი, არა საბრალო მონა, რომლის ფეხით გაქცევას იყვნენ მიჩვეული. მათ წინაშე იდგა გარდაქმნილი ენრიკილიო — ძლიერი, უშიშარი და მრისხანე. დაუძლეველი გამბედაობა, უდრეკი ნებისყოფა. დაუოკებელი სიამაყე ბრწყინავდა მის თვალებში, ასხივოსნებდა მთელ მის გარეგნობას. როცა დაინახეს ეს მამაცი, უშიშარი ადამიანი, რომელსაც არავერის არ ეშინოდა და პირდაპირ მათკენ მოდიოდა, თითქოს დარწმუნებული იყო საკუთარ მოუწყვლელობაში. ორივე იდალგომ მაშინვე ჩაქინდრა თავი, გაჩუმდა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

— აი, ის, ვისაც თქვენ ეძებთ! — დაიძახა ენრიკილიომ. — აი, ამ მთების მბრძანებელი, რომელიც იცხოვრებს და მოკვდება ტირანთა უღლისგან თავისუფალი!

კასიკმა შენიშნა, რომ მტრის მებრძოლები იკრიბებოდნენ თავიანთი გაოცებული უფროსების გარშემო, შემობრუნდა ინდიელებისკენ და ხმამაღლა შეჰყვირა:

— მომყევით, მეგობრებო!

ენრიკილიოს მაგალითით გატაცებული ინდიელები დაბნეულ რაზმს ისეთი გააფთრებით ეძგერნენ, რომ ბევრი მათგანი ფერდობზე დაგორდა მტრებთან ერთად, რომლებიც მათმა შუბებმა გაგმირეს. ენრიკილიო ლომივით დაედევნა პედრო მოხიკას, რომელიც ამაოდ ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა. ლერწმებივით მოცელა ყველა, ვინც სცადა მისთვის ხელის შეშლა, გააფთრებული კასიკი დაეწია მშიშარა ტირანს და სახეში დაჰკრა ხმლის წვერით. მისი მოკვლა ენრიკილიომ ვერ მოახერხა, — ვიწრო ხეობაში მოძრაობა ჭირდა, შეშინებული მოხიკა კი გაიქცა თავის თანამებრძოლებისკენ, რომლებსაც ფეხი უსხლტებოდათ და გორდებოდნენ ძირს დაკლაკნილ ვიწრობში.

ვალენსუელა უნდა გასდევნებოდა მათ, მაგრამ ტამაიომ შუბის ნატეხი დაარტყა თავში და მიწაზე დააგორა. ინდიელს უნდოდა იქვე მოეკლა. მაგრამ დიდსულოვანმა ენრიკილიომ, როცა ნახა, რომ მისი კეთილისმყოფელის შვილს სიკვდილი ემუქრებოდა, გაქანდა წინ და ხელი დაუკავა გამძვინვარებულ მებრძოლს.

— არ მოკლა, — უთხრა მან, — გაიხსენე დონ ფრანსისკო ვალენსუელა.

— სულმოკლე ხარ, ენრიკილიო, — შეჰყვირა გაცოფებულმა ინდიელმა. — ყველას თავისი ხვედრი აქვს: დონ ფრანსისკო ცაშია, ეს ავაზაკი კი ჯოჯოხეთში გაემგზავროს.

— არა. ტამაიო, დღეს მე ვალს ვუხდი იმ კეთილშობილ სულს.

ენრიკემ ააყენა დაჭრილი, დარეტიანებული ვალენსუელა, ჭრილობა დაუთვალიერა და როცა ნახა, საშიში არაფერი იყო, მშვიდად თქვა:

— მადლობელი იყავით, ვალენსუელა, რომ არ მოგკალით. წადით და არასოდეს დაბრუნდეთ აქ.

ტამაიომ გააფთრებით დაჰკრა ფეხი მიწას. მაგრამ მას უცებ რაღაც აზრი დაებადა. როცა დაინახა, რომ ენრიკე შეუდგა ვასას ბანაკში გაგზავნას, თვითნება თანაშემწე შეუმჩნეველად ჩამორჩა სხვებს და როგორც კი თავისი დიდსულოვანი ბელადის თვალი აირიდა, ხუთი თუ ექვსი ამხანაგი აიყოლია და ელვის უსწრაფესად ჩაუყვა ხეობას ქვევით. იგი მთის ძირას აღმოჩნდა სწორედ იმ დროს, როცა მთლად გასისხლიანებული მოხიკა, უქუდოდ და უიარაღოდ, ორი მსახურის დახმარებით ცხენზე შეჯდა და მოძურწა. ტამაიოს გაურკვეველი ბრდღვინვის მაგვარი კივილი აღმოხდა, როცა გაიფიქრა, რომ შეიძლებოდა ეს ავაზაკი ხელიდან დასხლტომოდა. იქვე დაინახა რამდენიმე შეკაზმული ცხენი, რომელთა პატრონები აშკარა იყო ან დახოცილიყვნენ ან დაჭრილიყვნენ ბრძოლაში. იგი არც დაფიქრებულა, ისე მოახტა ერთ-ერთს, ჩორთით გააჭენა ცხენი და მოხიკას დაედევნა ცხენი მხედარს დაემორჩილა და ისეთი სიჩქარით ნთქავდა მანძილს,

რომ ტამაიო დამშვიდდა, ცხენოსნის დაწვევის იმედი მიეცა. ცხენის სიფიცხით გაკვირვებული კარგად დააკვირდა მას და გაიხარა, ეს იყო ასუსენა, ფაშატი, რომელიც ვალენსუელამ ენრიკილიოს წაართვა..

მოხიკამ მდევარი იცნო და მანძილის მოგების მიზნით, გაშმაგებულად ურტყამდა დეზებს ცხენს გვერდებში. მაგრამ სად შეეძლო მას ფეხმარდ ასუსენას გაჯიბრებოდა?! შიშისგან ცოცხალ-მკვდარი იდალგო ხედავდა, წუთიდან წუთზე როგორ მცირდებოდა მანძილი მასსა და ტამაიოს შორის. შიშით დაზაფრულმა უცებ გააჩერა ცხენი, გადაუყვიტა მტრის წყალობას დანებებოდა.

— ტამაიო, — ვედრებით დაიწყო მან ლაპარაკი. — რა გინდა ჩემგან? შენ ხელთ ვარ: დამეხმარე აქედან გავიდე და ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ.

ტამაიომ თავისი გაქანებული, გახურებული ფაშატი გააჩერა მოხიკას გვერდით, ხელი სტაკა მკლავში და ავხედიანი ჩაცინებით უთხრა:

ახლა ჩემი ხარ, ეშმაკის შვილო! რის მოცემას მპირდები? შენი სიცოცხლე — აი, რა მინდა მე, და მას არ მოგცემ. თუნდაც იმ ოქროს ფასად, რაც შენ ყაჩაღობით მოიპოვე ამ ქვეყანაში.

ხანჯლით დაემუქრა და ცხენიდან ჩამოსვლა უბრძანა.

მოხიკა დაემორჩილა. კანკალითა და ენის ბორძიკით იმეორებდა თავის თხოვნას. თან შიგადაშიგ ურევდა ღვთისმშობლისა და სხვა წმინდანთა აღთქმებს. უმოწყალო ტამაიომ იდალგოს ახსნა ხმლის სამხარიჯლიე — ხმალი მან ადრე, სირბილის დროს დაკარგა, — ხელები შეუკრა და ამხანაგების მოსვლას უცდიდა, რომლებიც ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით ეწეოდა მას. ყოველი მათგანის წინაშე მოხიკა ისევ შეუდგებოდა ხოლმე მოთქმას, ევედრებოდა შეებრალებინათ.

— არ მომკლათ, გესაცოდლეთ! — ამბობდა იგი. — თქვენი საუკეთესო მეგობარი ვიქნები: ვითხოვ, რომ გაპატიონ და თავისუფლება შეგინარჩუნონ! ყველაფერს თქვენ მოგცემთ, რაც მაქვს. ნუ მომკლათ, ქრისტეს სახელით, წმინდა ქალწულის სახელით, წმინდა ფრანსისკოს სახელით!

— ლა იგერელი მახინჯისთვის, არა? — შეეხმიანა ტამაიო, რომელსაც ენრიკემ უამბო სან-ხუანის უფროსებთან შეკრებილობაზე მოხიკას ბილწი მასხრობის შესახებ. — ნუ წუხხარ, ახლა გადაიხდი სამაგიეროს ღვთის გმობისთვის. წმინდა ფრანსისკომ თვითონ ჩამიგდო შენი თავი ხელში.

ინდიელმა შეწყვიტა კინკლაობა, პირველ ცხენს, რომელიც ხელში მოხვდა, ააჯრა ავშარა, გააკეთა მარყუჟი და მოხიკას კისერზე ჩამოაცვა.

— ილოცე, — უთხრა მას ტამაიომ

— რომელი ლოცვა ვთქვა? — ჩაიბუტბუტა მან. თვითონვე არ ესმოდა, რას კითხულობდა.

— რომელიც გინდა. მაგრად გეპიროთ, — უთხრა ტამაიომ თავისიანებს.

ლოცვა არ ვიცი, — დაიყვირა იდალგომ, იმ იმედით, რომ ეგონა, ეს არსწიდა მას.

— მით უარესი შენთვის! წადი პირდაპირ ჯოჯოხეთში.

თქვა ეს სიტყვები და ტამაიომ, უმოწყალოდ მოუჭირა მარყუჟი მოხიკას კისერზე. მოხიკამ თვალები დახუჭა. მაგრამ ისინი მაშინვე გადმოუცკიდა. სახე წითლად შეეღება, ბოლოს ჭრილობიდან სისხლის დენა შეწყდა და მთელი სხეული სასიკვდილო ცახცახმა აიტანა. როცა იგი შეჩერდა, ცხედარი ჩამოკიდეს მახლობელ ხეზე.

კარგა ხანს შესცქეროდა მის გაშეშებულ სახესა და გაყინულ სხეულს ტამაიო და აუღელვებელი ხმით თქვა:

— მოკვდა და აღარ დაბრუნდება. ეგ იყო ყველაზე საშიში ავაზაკი ლა მაგუანაში. ღმერთმა შემინდოს! ახლა მე ისევ შემიძლია ვირწმუნო იგი და მისი სამართლიანობა.

ხელი მოუთათუნა ასუსენას ამაყ კისერს ტამაიომ, მოახტა უნაგირს და პანაკისკენ იბრუნა ჰირი.

— აი, კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ღმერთი სამართლიანია. — განაგრძობდა იგი. — როგორ გაეხარდება ენრიკილიოს თავისი ფაშატის დაბრუნება.

უცებ მან შენიშნა ვიღაც თავჩაქინდრული კაცი, რომელიც გაჭირვებით მიიკვლევდა გზას მთის ფერდობზე. ცხენოსნების დანახვაზე სცადა წარაფისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ გვიანღა იყო: იგი დაიკავეს, და ამ საბრალო ლტოლვილში, უხეიროდ რომ ჰქონდა თავი შეხვეული, ტამაიომ შეიცნო ქედმაღალი ტირანი ანდრეს დე ვალენსუელა.

ვალენსუელამ მას სასოწარკვეთით შესედა და ჰკითხა:

— რა გინდა ჩემგან?

— ასეთივე შეკითხვა მომცა ახლახან შენმა მეგობარმა მოხიკამ,— მკაცრად წარმოთქვა ტამაიომ. — და მისთვის ცუდი პასუხი არ გამიცია. მაგრამ შენგან, მართლა არ ვიცი, რა მინდა. თითქოს, წმინდა ფრანსისკომ შენც პირდაპირ ჩემთან გამოგაგზავნა. მაგრამ ენრიკილიომ შენ პატიება გაჩუქა...

ტამაიო ლაპარაკობდა, არ იცოდა, რა გადაეწყვიტა. ერთი სული ჰქონდა ვალენსუელასთვისაც ისეთივე მეთოდით მოეღო ბოლო, როგორც მოხიკას მოუღო, მაგრამ ვერ გაბედა ასე შორს შეეტრპა თვითნებობაში.

უცებ, ისევ მოჰკიდა ხელი სადავეს და ვალენსუელას უთხრა:

— მოსულეა. შენგან ბატარა ბიჭია ეტყობა.

მათ მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც მოსიკა ელოდა. ვალენსუელამ მაშინვე ვერ შეიცნო იგი, თოკზე მოქანავე მცველებულში.

— შეხედე შენ ბეგობარს, ყოველი შენი ბორტმოქმედების ამხანაგს. — მთას ქარივით მსტვინავი ჩვენთ უთხრა ტამაიომ, თან ჩამოხრჩობილზე მიუთითებდა. — ენრიკეტიო ათასჯერ უკეთესია იმაზე და შენზე, თქვენ კი მას სამუდამოდ მიწასთან უტოლდით. შენ დარწმუნდი მის უპირატესობაში, როცა კაპიტანი. და მეც. თუმცა მას ვერ გავუტოლდები. გაბატონებ მისი პატიოსნების გამო. მაგრამ კარგად მომისმინე. ვალენსუელა, თავი დაანებე პორტების ჩადენას, ნუ აწყენინებ უბედურებს. თავსლეზს ნუ ასწამ საწყალ ქალებს, ეცადე კარგი ქრისტიანი გახდე, როგორიც მამაშენი იყო, თორემ, ვფიცავ, ჰოგკლავ. სადაც უნდა დამეძალო. ახლა კი, მოშორდი აქედან! — იყვირა გახელებულმა. — და არასდროს დაბრუნდე აქ.

შემოსგან გაოგნებულმა ვალენსუელამ ტამაიოს დარიგება მოისმინა, ზეცას განაჩენივით, და წაჩანჩალდა, ძლივს ადგამდა დაბუჟებულ ფეხებს.

XLIV

ᲛᲐᲓᲝ

კარიბიანი პირველი დიდი დასახლება იყო ბაორუკოდან ლა მაგუანასკენ მიმავალ გზაზე. იქ დაწყო თავმოყრა დამარცხებული ლაშქრის გადარჩენილმა ნაწილმა. დასასვენებლად და ჭრილობების მისახედად. ვალენსუელამ სოფლამდე მზოლოდ სალამოს მიაღწია. უგულოდ მოიკლა შიმშილი, შეიხვია ჭრილობა, დაღლილობისგან ქანცგაწყვეტილი დაეგდო და მყუდროდ ეძინა დილამდე.

დილით მან ცხენის ძებნა დაიწყო. გადაიხდიდა. რასაც მოსთხოვდნენ, მაგრამ ცხენები არ იყო. დასუსტებულმა, დამტვრეულმა ვალენსუელამ, რომელსაც ნაბიჯის გადადგმაც თავი აღარ ჰქონდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამ დროს, მასთან მივიდა ასუსენაზე მჭდარი ერთ-ერთი მისი ზედამხედველი, რომელიც წინადღით ტყვედ ჩავარდა, და ენრიკილიოს წერილი გადასცა.

— გუშინ სალამოს ტყვედ ჩამოგდეს, როცა მთებში გზა დამებნა, ამ დილით კი კასიკმა გამანთავისუფლა და თქვენთან გამომგზავნა, — აუხსნა მოულოდნელად მოსულმა მაცნემ.

ვალენსუელამ წერილი წაიკითხა:

„ძალიან შემაწუხა, სენიორ ანდრეს, ტამაიოს თვითნებობამ. მაგრამ რჩევას, რომელიც, მისი სიტყვებით, მან მოგცათ, ვიწონებ.

ღმერთმა ქნას, თქვენი გული მოლბეს და ის რჩევა შეასრულოთ. გყავდეთ ეს ცხენი თქვენი და ჩემი კეთილი მამის სახსოვრად. ახლა, როცა მონა აღარ ვარ და დაეიბრუნე ადრინდელი თავისუფლება, შემიძლია გაჩუქოთ იგი. თუ შეასრულებთ ელვირასთვის მიცემულ სიტყვას, ეს იქნება ჩემი საქორწინო საჩუქარი, იგი ბედნიერებას მოგიტანთ. მენსიას მამული დონ დიეგო ველასკესს გადაეცით ჩვენი სახელით. ეს იყოს ჩემი ვალის გადასახადი მისი მამობრივი ზრუნვისთვის. მოკითხვას გითვლით.

ე ნ რ ი კ ე"

ვალენსუელამ როცა ეს არაჩვეულებრივი წერილი წაიკითხა, სევდიან ფიქრებს მიეცა. ბარათი გულმოდგინედ დაკეცა და უბეში შეინახა. ცხენი ცოტა ხნით შეასვენა, მერე შეჯდა უნაგირზე და ლა მაგუანასკენ გაემართა.

მარცხის ამბავი, რომელიც განიცადა სან-ხუანის სამხედრო ძალებმა ბაორუკოში, მთელ მხარეს მოედო და საზოგადო გაოცება გამოიწვია. „ენრიკილიო აჯანყდა". „ინდიელებმა კასტილიელები დაამარცხეს ბაორუკოში". ეს სიტყვები ეკერა პირზე ყველას. თან ახალ-ახალ დაწვრილებით, შელამაზებულ და გამონაგონ ამბებს ჰყვებოდნენ, რომლისთვისაც ყოველთვის უფრო თავისუფალია წარმოდგენა. ბადილიომ გაბედაწყვიტა, რომ ბრწყინვალე შემთხვევა მიეცა თავი ესახელებინა დიდი დავიდარაბის გარეშე. შეკრიბა ლა მაგუანის ყველა მცხოვრები, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, დახმარება ითხოვა ასუაში და ერთ კვირაში თავი მოუყარა კარგად შეიარაღებულ რაზმს, ორას ორმოცდაათი კაცის შემადგენლობით. განა შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ბაორუკოელი მეამბოხეები გაუმკლავდებოდნენ ასეთ ძალას? საომარი სითამამით აგზნებული გუბერნატორის ნაცვალი შეტევაზე წავიდა ყოველნაირად გამზადებული რაზმით. თან წინასწარ ფიქრობდა, როგორ დაესაჯა ენრიკილიო და მისი ურჩი ინდიელები.

მაგრამ ამბოხებულთა ძალები, რაღაც საოცრებით იზრდებოდა. პირველი გამარჯვების ამბავმა სიმამაცე გააღვიძა მორიდებულ სულებში, ყოველი მხრიდან ბაორუკოსკენ მოისწრაფოდა ინდიელთა გროვა, ისინი ესწრაფოდნენ თავისუფლებას და უნდოდათ გაეზიარებინათ საბრძოლო შრომა და საფრთხე ენრიკესთან და მის მებრძოლებთან ერთად. ერთ-ერთი პირველთაგანი მოვიდა კასიკის ნათესავი, სახელად რომერო. იგი ენრიკეზე უმცროსი იყო, მაგრამ არ ჩამოუვარდებოდა არც სამხედრო ხელოვნებასა და არც სიმამაცეში. მალე მან დაამტკიცა თავისი სიმამაცე და ბელადის ბრძანებებისადმი დამორჩილების უნარი.

ენრიკე კი, თითქოს მთელი სიცოცხლე ემზადებოდა ამ ომის საწარმოებლად, წარმატებით და ბრძნულად მეთაურობდა მოსულ დამხმარე ძალებს. ერთი შეხედვით ხვდებოდა რომელ მებრძოლს რა შეეძლო და დავალებას აძლევდა მისი შესაძლებლობის მიხედვით. განსაკუთრებით გამოარჩია მაძებრები და მზვერავები, რომლებიც არასოდეს მოქმედებდნენ ცალ-ცალკე. ორამედ დავალებს შესასრულებლად ყოველთვის ორ-ორად, სამ-სამად დადიოდნენ, რათა რიგრიგობით დაეძინათ და თვალი ედევნებინათ მტრისთვის. ყველაზე მოხერხებულებისა და ძლიერებისგან ჩამოაყალიბა სამთო რაზმი, რომელიც ყოველდღიურად მრავალი საათის განმავლობაში ვარჯიშობდა ისეთ მწვერვალებსა და სიმაღლეზე ასვლაში. რომლებიც ადამიანისთვის მიუდგომლად ითვლებოდა. ნიამორის სისწრაფით ხტებოდნენ კლდიდან კლდეზე, გველივით მიცოცავდნენ ქვის ციცაბო კლდეზე, ებღაუჰებოდნენ ბუჩქების ტოტებს და ასე იპყრობდნენ ამ მიუვალ ჰოთბს ბაორუკოელი ამბოხებულებისთვის.

ბანაკის ყველა თავისუფალი მცხოვრები დაუღალავად სწავლობდა შუბის, ხმლის, შურდულისა და არბალეტის ხმარებას. მტრებზე პირველი გამარჯვების შემდეგ ენრიკილიოს დარჩა რამდენიმე არკებუზი. მაგრამ საფანტი ძალიან ცოტა ჰქონდათ და ამიტომ არკებუზს მხოლოდ ხანდახან, სასიგნალოდ იყენებდნენ. ,სამაგიეროდ, იმ დროს ყოველგვარ არტილერიაზე უფრო საშიში აღმოჩნდა ინდიელთა მარჯვე ხელებში უშველებელი ქვები და კლდის ნამტვრევები. თოკებით შეკრავდნენ მათ და დააყენებდნენ შესაფერისად. ამბოხებულები ემზადებოდნენ, რომ ეს მომაკვდინებელი ტვირთი თავზე ჩაუოვქციათ მოწინააღმდეგისთვის ყოველ ვიწრო ხეობასა და ღრმა ხრამებში, რომლებიც საზარელი მთის ლაბირინთს კვეთდნენ.

და, ბოლოს თავისი პატარა რესპუბლიკის ორგანიზაციის დასაგვირგვინებლად, ენრიკილიომ შექმნა კასიკებისა და მხედართმთავრების საბჭო, -- რაც მოიცავდა სენატსაც და მუნიციპალიტეტსაც. — რომელიც ზრუნავდა მოხეტიალე ტომის გაჭირვებაზე. მავრამ ყოველ მნიშვნელოვან შემთხვევაში, წინდახედული ბელადი საბოლოო გადაწყვეტილებას თვითონ იტოვებდა. მას ესმოდა, რომ ხელისუფლების ერთიანობა აუცილებელი პირობაა საომედო დაცვისა და წესრიგის შესანარჩუნებლად ცხოვრებაში, რომელიც სავსეა სტატიკი საფრთხით.

გარდა ამისა, ენრიკილიომ ყველაზე ერთგული ხალხისგან ჩამოაყალიბა საბრძოლო რაზმი, რომელიც ძალიან შეელოდა მას ბრძოლაში, მისი სამხედრო ხერხების განხორციელებით. იარაღებსა და აღჭურვილობას შორის. რაც კასიკებმა მოსტაცეს თავიანთ ბატონებს, იყო ორი ფოლადის ჯავშანი, ერთი მათგანი ენრიკილიოს აჩუქეს. ამ დროს დაებადა მას აზრად, რომ შეიძლება გაკეთდეს ჯავშნის ან ბექთრის

მაგვარი რამ, პიტის ფისწასმული ბოჭკოსა და დაგრეხილი თოკისგან დაწნული. მაშინ ინდიელები დაცული იქნებიან ხმლის დარტყმისგან, რაკი თავს უშიშრად იგრძნობენ, უფრო მამაცები გახდებიან. მომავალში ეს გამოგონება გაუმჯობესებულ იქნა: ხელებისა და ფეხების დაფარვაც შესძლეს დაწნული ჯავშნით და ინდიელები, რომლებმაც თავიანთ უხეშ აღჭურვილობაში ჩაცმულებმა ისწავლეს თავისუფლად მოძრაობა, ნამდვილ ჯარისკაცებს დაემგვანნენ.

როცა ყოველგვარი სამზადისი დამთავრდა, ენრიკილიომ ცნობა მიიღო, რომ ბადილიო თავისი ჯარით წამოვიდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. კასიკმა მებრძოლებს მოკლე მგზნებარე სიტყვით მიმართა, დაპირდა დიდებასა და პატივს მამაცებს და დაიფიცა, რომ სასტიკად დასჯიდა მშიშრებს.

სამ მთავარ ხეობაში ენრიკილიომ თითო ძლიერი მოწინავე რაზმი დააყენა ტამაიოსა და ორი ღირსეული უფროსის მეთაურობით. ყოველი რაზმი მომარაგებული იყო ინდური სახელით — „ლამბიოდ“ — ცნობილი სადაფის დიდი ნიჟარებით, რომლებიც ძლიერი საყვირის ხმას გამოსცემდნენ და მათი საშუალებით რაზმები პირობითი ნიშნებით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს. რომერო ასი მეომრით მისაშველებლად უნდა გაჭანებულიყო იქითკენ, სადაც მტრის მთავარ ძალებთან მოხდებოდა ბრძოლა, ენრიკილიოს კი — თვალი უნდა ედევნებინა და საჭირო შემთხვევაში, ბადილიოს თავს უნდა დასხმოდა ზურგიდან.

ასეთი იყო ბაორუკოელი მებრძოლების განლაგება. როცა შემტევმა ჯარმა მიაღწია სიერას განშტოებას და მთავარ ხეობაში შევიდა, რომლის დაცვა მინდობილი ჰქონდა გამოცდილსა და უშიშარ ტამაიოს. იგი თავისი რაზმით გამაგრებულიყო ციცაბო კლდის მწვერვალზე. ამ შიშველი მახვილი შვერილების დანახვაზე, ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ იგი შეიძლებოდა ადამიანს სათვალთვალო პუნქტად. არსენალად და ციხე-სიმაგრედ გამოსდგომოდა. ტამაიო მშვიდად უცდიდა, ვიდრე სან-ხუანელი მეომრები შევიდოდნენ ვიწრო ყელში, რომელიც მისი მთის თავშესაფრის ძირას იყო, რომ მათთვის სეტყვასავით დაეშინათ უშველებელი ქვები, უნდა გაენადგურებინა არა მხოლოდ ბადილიოს ბევრი ჯარისკაცი, არამედ უნდა ჩაეხერგა ხეობიდან გასასვლელი. რაც მოწინააღმდეგეთა რიგებში პანიკასა და დაბნეულობას გამოიწვევდა. აი, გაისმა ტამაიოს საყვირის ხმა და მაშინვე გამოეპასუხნენ სხვები, იმის ნიშნად, რომ ბრძოლა დაიწყო და სად იყო შველა საჭირო. ბადილიო შეშინდა, ამ ვიწრო ხვრელში მთელი მისი ჯარი არ ამოეყლიტა კლდის ნამსხვრევებს, რომლებიც თითქოს ციდან ცვივოდნენ, და ბრძანა გასასვლელით გაჭრილიყვნენ წინ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მთელი ხეობა გავსებული იყო ლოდებით, რომელთა შორის ერთდროულად მხოლოდ

ორ ადამიანს შეეძლო გაცლა. ქვები კი ისევ ცვიოდა, ლეწავდა და მიწაზე სცემდა ხალხს. ახალმოვლენილმა სარდალმა თავგზა დაკარგა. დაბნეულმა არ იცოდა, რას აკეთებდა და ლაპარაკობდა. უკან დახევა ბრძანა და თვითონ გიჟივით გაიქცა.

მაშინ. ბადილიოს მებრძოლების რიგების არეულობამ და უთავბოლობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ისინი, ვისაც ქვები ეყრებოდა, ცდილობდნენ მახისთვის თავის დაღწევას, უმოწყალოდ ეჯახებოდნენ და თელავდნენ თავიანთ ამხანაგებს. მოულოდნელად, ხეობის ერთ ფერდობზე გამოჩნდა რომეროთავისი ხალხით, ისინი ქვევით დაეშვნენ, შუბითა და ხმლით ჩოცავდნენ ერთ ადგილზე შეკვეთილ, თითქოს მორევში ჩახრეულ სან-ხუანელ მეომრებს. ზოგიერთები გულადად იცავდნენ თავს მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში. ბადილიო ცოტათი გამოფხიზლდა როცა ნახა, რომ ქვის სეტყვა შეწყდა და მთიელთა შორის მხოლოდ ზოგიერთები ბედავდნენ ციცი იარაღის ხმარებას. მაგრამ ხანმოკლე იყო მისი სიხარული. ტამაიო თავისი რაზმით გამოქანდა მთის მწვერვალიდან უკანასკნელი ქვების გადმოყრისთანავე. საომარი ყიჟინით, ხმლით ხელში ეკვეთა ბადილიოს მეომრებს, დროულად ამოუდგა მხარში შეუპოვარ რომეროს. ამ დროს მთებზე გადაიგრიალა მონადირის ბუკის ელვარმა ხმამ, შიშის ზარით აევსო გული ბადილიოს და საშინელებამ გაგმირა მისი ყველაზე გამოცდილი მეომრები. ამ საზეიმო მომენტში მარშით იუწყებოდა მოახლოებას ენრიკილიო. ინდიელები მას ესალმებოდნენ აღფრთოვანებული ყვირილით და ბელადის სახელი გაისმა საბრძოლო ყიჟინასავით, რამაც ახალი სიმამაცე შთაბერა გამხნევებულ მთიელებს, რომლებმაც დაასრულეს მტრის სრული განადგურება.

ტამაიო. ფიცხი, დაუღალავი ტამაიო მისდევდა მთლად განადგურებულ ლტოლვილებს. უგუნური, ტრაბახა ბადილიო სამარცხვინოდ გარბოდა, მიყრუებულ ბილიკზე გზის მაჩვენებელ მონადირეს მიჰყვებოდა. ყველა შველოდა თავს, როგორც შეეძლო. ბევრი დაიღუპა უძირო უფსკრულებსა და ხრამებში.

ისევ ყრუდ აყმუვლდნენ ზღვის ნიჟარები. ამჯერად გამარჯვებულებს მოუხმობდნენ შეჩერებულიყვნენ და შეეწყვიტათ დევნა. უკვე ბევრი სისხლი დაიღვარა და დიოსულოვან ბელადს არ უნდოდა ახალი მკვლელობები. მაგრამ ტამაიო ძალიან შორს იყო და არ ესმოდა ან არ უნდოდა გაეგო გულმოწყალებისკენ მოწოდება. თითქმის მეოთხედი საათი ელოდნენ ამაოდ. მაშინ ენრიკილიო ჰეოშრების თანხლებით ციცაბო ფერდობით ჩავიდა დაბლა. რომელზედაც ადრე დაეშვა მისი თანაშემწე, როცა გააფთრებული მისდევდა დამარცხებული მტრის მთავარ ძალებს. მთის ძირას რომ მიაღწიეს, კასიკმა ბილიკიდან რამდენიმე ნაბიჯზე, ხეებს შორის დაინახა ტამაიო და მისი ხალხი, რომლებიც

უცნაური სამუშაოთი იყვნენ გართულნი. ყველანი ნახევარწრედ იდგნენ შეშის მაღალ გროვასთან, რომელსაც დიდ გამოქვაბულში შესასვლელი თითქმის თავამდე ჩაეხერგა, ტამაიო კი ფისის ჩირაღდნით ცეცხლს უკიდებდა ხის ნაჭრების ქვეშ შეწყობილ ფიჩხებს. ალი ხარბად ლოკავდა ხმელ ხეს და ზევით მიიწევდა. სქელი კვამლი ბოლქვებად ადიოდა კოცონის თავზე და თითქმის მთლიანად შედიოდა მღვიმის ხვრელში. ტამაიო გამძვინვარებული სიხარულით ტკბებოდა თავისი სამუშაოთი.

— რას აკეთებ? — მოუთმენლად ჰკითხა ენრიკილიომ.

— ხომ ხედავ, კასიკო, — უპასუხა თანაშემწემ. — შებოლებით უნდა გამოვაძევო ისინი, ვინც აქ იმალება.

როგორც კი ენრიკილიომ გაიგონა ეს საზარელი პასუხი, სწრაფად გაჭანდა ტამაიოსკენ, ხელი ჰკრა და თვალის დახამხამების უმალ დაშალა მოგიზგიზე კოცონი, შორს გადაყარა ცეცხლმოკიდებული შეშა. ნისი მეომრები მიეხმარნენ.

— ავაზაკო! — შეჰყვირა გმირმა აღშფოთებით. — ასე ასრულებ ჩემს დარიგებებს.

მერე დადგა გამოქვაბულის აბოლებულ შესასვლელთან და ხმამაღლა იყვირა:

— გამოდით ყველანი, ნურაფრის გეშინიათ! ენრიკილიო აგებს პასუხს თქვენ სიცოცხლეზე.

გაიგონეს თუ არა ეს სიტყვები, უბედურებმა, რომლებიც თავს უკვე დამარცხებულად თვლიდნენ მთის პირქუშ სტომაქში, სადაც თავის ხსნას ცდილობდნენ. თანდათანობით დაიწყეს გამოსვლა, ნახევრად დამხრჩვალებმა და კვამლისგან თითქმის დაბრმავებულებმა.

ენრიკილიომ დათვალა ისინი: აქ იყო ბადილიოს სამოცდაორი მეომარი.

— წადით მშვიდობით ლა მაგუანაში, ანდა, სადაც თქვენ გინდათ, — უთხრა მან. — და ტირანებს გადაეცით, რომ მე და ჩემ ინდიელებს შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, მაგრამ ჯალათები და ავაზაკები არა ვართ. შენ კი, მარტინ ალფარო, — მიმართა გვერდით მდგომ ტანად ინდიელს, — დაცვა წაიყვანე და გააცილე ეს ხალხი ველზე, უშიშარ ადგილამდე. შენ აგებ პასუხს მათზე.

სიკვდილსგადარჩენილები, მადლობის ნიშნად ხელებს ცისკენ იშვერდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ, ლოცავდნენ თავიანთ მხსნელს. ერთი მათგანი დიდსულოვან ბელადთან მივიდა, ხელზე აკოცა და უთხრა:

— მომისმინეთ, სენიორ ენრიკილიო; ამ უბედურებაში რომ ჩავვარდი, ღმერთს აღთქმა მივეცი, მას შევწირავდი ჩემი სიცოცხლის

დარჩენილ დღეებს, თუ იგი გადამარჩენდა გარდაუვალ სიკვდილს. მე შევასრულებ ჩემ აღთქმას და ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თქვენი ბედნიერებისთვის ვილოცებ

XLV

გარდაქმნა

როგორც კი განთავისუფლებული ტყვეები, რომლებსაც მცველად მარტინ ალფარო მიჰყვებოდა, გზას გაუდგნენ, ენრიკე ტამაიოს მიუბრუნდა. იგი იმაზე ადგილს იდგა, სადაც გადააგდო ბელადის ძლიერმა ხელმა და პირქუშად გაშმაგებით ადევნებდა თვალს, რაც იქ ხდებოდა. ენრიკემ სასტიკად უსაყვედურა მას ბიერ გამოჩენილი სიმკაცრისთვის.

— ბოვ გეუბნებოდი, ტამაიო, არ შეიძლება ღმერთის შეურაცხყოფა, ასე არაადამიანურად რომ მოექცეი მოხიკას. დამარცხებულთა დაბოცვა არ შეშვენის მას, ვინც სამართლიანობისთვის იბრძვის.

— იცით თუ არა, ენრიკილიო, — მუქარით უპასუხა ტამაიომ, — თუ შემდგომშიც ასე გაგრძელდება. ჩემი და შენი საქმე ცუდად დამთავრდება. მტრები ცეცხლითა და მახვილით გვაბადგურებენ, შენ კი მოხარული ხარ გაუმასპინძლდე და ყვავილებით დაჰვდე ჩვენს მოსაკლავად მოსულებს.

— ცდები, ტამაიო. მე ომი მინდა ჩემი ხალხის ბედნიერებისთვის და არა ბოროტების საძიებოდ. აი, დამამტკიცებელი საბუთი: ახლა ბანაკში დავბრუნდებით. შენ დაისვენებ მანამდე, სანამ მთვარე ამოვიდოდეს, მერე შენი რაზმიანად ჩახვალ ველზე და გამოირეკავ მთელ საქონელს. რაც კი შეგხვდება აქედან კარეიბანამდე.

ტამაიომ შვებით ამოისუნთქა — ასეთი დავალება ჯეროვნად დაუჯდა. წუთიერი უცებ დაავიწყდა და დაპირდა, რომ ენრიკეს ყოველ მითითებას დაემორჩილებოდა.

მაგრამ როცა მეორე დღეს, საღამოთი თავდასხმიდან დაბრუნდა და მორეკა ასზე მეტი თავი საქონელი, შეძრწუნებულმა ენრიკემ მის კისერზე დაინახა ადამიანის ექვსი მოჭრილი ყურის ყელსაბამი. ეს ყურები ეკუთვნოდა სამ კარეიბანელ მეჯოგეს, რომლებიც დაიღუპნენ თავიანთი საქონლის მამაცად დაცვის დროს.

ბარბაროსულმა ნადავლმა და მძვინვარე სისასტიკემ, რომლითაც, როგორც ჩანდა, ამაყობდა ტამაიო, ენრიკეს სულში სიმწარე და აღშფოთება გამოიწვია. მოსალოდნელი შეკების ნაცვლად მრისხა-

ნე ინდიელი ჭკვიანად დაარიგა. რაც ტამაიომ შესთავაზა, მოუთმენლობით მოისმინა.

— წადი შენგან და ვიყოფ ჩემებურად. ქედმაღლურად წარმოთქვა ტამაიომ, როცა ენრიკილიომ თავისი ქადაგება დაასრულა.

— წადი, რაკი ასე გინდა, — ნაღვლიანად თქვა ენრიკილიომ. — წადი და თან წაიყვანე ყველა, ვისაც შენსავით სწყურია სისხლი. მე ქრისტიანი ვარ, და ჩემ გულში არ არის ეგ სიშმაგე.

— რას ვიზამთ, ენრიკილიო, ჯობს წავიდე. ხვალვე წავალ ბაორუკოდან, ამხანაგებთან ერთად. რომლებსაც ჩემთან წამოსვლის სურვილი ექნებათ, და ვიოცებთ ისე, როგორც მასწავლეს ესპანელმა ქრისტიანებმა.

— თავისუფალი ხარ, ტამაიო. წადი, და თუ ვერ გაძლებ, დაბრუნდი ბაორუკოში და ერთად ვიოცებთ, ჩემებურად: ტირანებთან საბრძოლველად და არა სისხლის საღვრელად.

ბადილიოს დამარცხების შემდეგ ამბოხებულ ინდიელებს დარჩათ ბევრი იარაღი და ცხენი, ენრიკილიომ ყველაფერი საიდუმლო ადგილზე დამალა: ახლა ბაორუკოელი ცხენოსნები ბალთა-ბატონებივით დადიოდნენ ყველა ახლომდებარე ველზე. ენრიკილიოს სახელი ყველას პირზე ეკერა და მთელმა კოლონიამ გაიგო მისი ბევრე გამარჯვების ამბავი. დედაქალაქში ხელისუფლება გააოცა ესოდენ მოულოდნელმა ამბავმა. იერონიმელი ბერები წავიდნენ ესპანეთში და ახლა კუნძულზე მმართველობდნენ აუდიენსია და მეფის მოხელეები. ყველა ქალაქში გაიცა ბრძანება შეეკრიბათ რეკრუტები. ყალიბდებოდა რაზმები. გადაწყვეტილი იყო ალყა შემოერტყათ ამბოხებული ბაორუკოელებისთვის და სისხლში ჩაეხრჩოთ აჯანყება.

ამ გაცხოველებული სამზადისის დროს, ესპანეთიდან ჩამოვიდა ადმირალი დიეგო კოლუმბი. შემდეგ ლას კასასიც, რომელსაც განზრახული ჰქონდა მატერიკზე წასვლა და იქ, კუმანის სანაპიროების მშვიდობიანი კოლონიზაციის განხორციელების ცდის ჩატარება. ესპანიოლის ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, მას ყოველნაირ დაბრკოლებას უქმნიდა, რომ გადაეფიქრებინათ მისთვის ღვთისმოსაური ზრახვები. მაშინ, ცბიერი და ბოროტი მტრების თავიდან მოსაშორებლად, მღვდელმა გადაწყვიტა გარიგებოდა უსინდისო მოსამართლეებსა და მოხელეებს. შესთავაზა. მათ სარგებლიანი საქმეები და თანამდებობები ახალ კოლონიაში. მხოლოდ მაშინ შესძლო მშვიდობიანად გამგზავრებულიყო სანტო-დომინგოდან. როგორც გონებამახვილურად წერდა ინდიელთა სახელგანთქმული დამცველი, მას მოუხდა „ეყიდა სახარება, რადგან არ უნდოდა მისი უსასყიდლოდ მოცემა".

როცა ლას კასასი ჩავიდა ესპანიოლაზე, მან გულისტკივილით შე-

იტყო ენრიკილიოს აჯანყების ამბავი და მიზეზი, რამაც გამოიწვია იგი. მას ყველაფერი ეს უამბო კამაჩომ, რომელიც ბადილიოს დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა სანტო-დომინგოში წასულიყო. თავს უშველა, რადგან სან-ხუანში საერთოდ ცუდად იყვნენ განწყობილნი მის მიმართ. რამდენიმე ხნის შემდეგ, სანტო-დომინგოში გამოჩნდა ანდრეს ვალენსუელაც. ადმირალმა ბრძანა ციხეში ჩაესვათ იგი და მის წინააღმდეგ აღეძრათ სასამართლო საქმე, რომლის მიხედვით ბრალი ედებოდა დანაშაულებრივ ტირანობაში, რამაც ესოდენ სერიოზული უწესრიგობა გამოიწვია კუნძულზე. ლას კასასმა ჩაიხშო ბრაზი და ზიზღი, რაც გამოიწვია უბედური იდალგოს ბოროტმოქმედებებმა, მისი კეთილშობილი მამის მოსაგონებლად გადაწყვიტა ციხეში მოენახულებინა ვალენსუელა, განემარტა თვით ბედის მიერ მისთვის მიცემული გაკვეთილი და ეცადა იგი განეწყო კეთილი გრძნობებისთვის. როგორ გაოცდა მღედელი, როცა ქედმაღალი, გამოუსწორებელი ზვიადი ვალენსუელას ნაცვლად დაინახა ავადმყოფი, დარდისგან დამწუხრებული ადამიანი, რომელმაც პირქვე მორჩილად დამხობილმა მონანიების ცრემლის ფრქვევით მადლობა უთხრა, რომ მან გულმოწყალების გამო არ მიატოვა ცოდვილი, დამსახურებულ უბედურებაში. კეთილშობილი ლას კასასი მეტისმეტად ააღელვა სინდისის მოულოდნელმა გამარჯვებამ: მან, რამდენადაც შეიძლებოდა, დაამშვიდა ვალენსუელა, გაამხნევა სულიერად, დაარწმუნა ღვთის გულმოწყალების იმედი ჰქონოდა მიწიერი სასამართლოს წინაშე და პირობა მისცა გამოეყენებინა მთელი თავისი გავლენა ადმირალთან და სხვა ხელისუფალთან.

ჰაბუკმა დაწერილებით აუწერა ბაორუკოში თავისი დამარცხების გარემოება: სირცხვილი და დამცირება, რომელიც განიცადა, როცა იგი დაამარცხა და მერე ყველაფერი აპატია ენრიკილიომ, რომელიც ადრე ეზიზღებოდა არა ნაკლებ „შარაგზის ნეხვისა“; საშინელება, რამაც გააოგნა იგი, როცა თოკზე ჩამოკიდებული მოხიკა ნახა; ტამაიოს სიასასტიკე, რომელიც ესოდენ განსხვავდებოდა ენრიკილიოს გულმოწყალებისა და დიდსულოვნებისგან; მისი ღრმა რწმენა, რომ ყოველივე ეს, განსაკუთრებით ტამაიოს სასტიკი დარიგება, აღმოჩნდა გაფრთხილებად და მოწოდებად, რომელიც ციდან მოევლინა, მისი ცუდი გზიდან ასაცდენად და სამუდამო დაღუპვისგან გადასარჩენად. და ბოლოს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე კარეიბანში ენრიკეს მეგობრულმა წერილმა, რომელმაც მას ასუსენა გამოუგზავნა და სთხოვა შეესრულებინა დაპირება და ცოლად ეთხოვა დონია ელვირა. მთელ ამ სულიერ ძვრებს, რაც მასში მოხდა რამდენიმე საათის განმავლობაში, ამაოდ არ ჩაუვლია: იგი გულწრფელად ინანიებდა ცოდვებს, გადაწყვიტა შეეცვალა ცუდი ცხოვრება, ამიერიდან მხოლოდ სიკეთე

უნდა ეკეთებინა, რამდენადაც ეყოფოდა ძალა, და ცოლად შეერთო ელვირა, თუ მას კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული მის მიმართ სიყვარულის გრძნობა.

ლას კასასი სიხარულით უსმენდა ვალენსუელას მონანიების სიტყვებს და არათუ მარტო მხარი დაუჭირა მის საქებარ სურვილებს, არამედ დახმარებაც აღუთქვა მათ შესრულებაში. მისთვის დამახასიათებელი ენერგიით შეუდგა მღვდელი ვალენსუელას საქმეებზე ზრუნვას და მესამე დღესვე, ალონსო სუასოს და სხვა გავლენიან პირთა დახმარებით, ვალენსუელა ციხიდან გამოვიდა. ორი კვირის შემდეგ იგი ელვირა პიმენტალის მეუღლე გახდა, მათ ქორწილზე ხელის მომკიდეებად იყვნენ ადმირალი და მისი მეუღლე. დონ ანდრესმა გადაწყვიტა სანტო-დომინგოში დაფუძნებულიყო, რომ არაფერს გაეხსენებინა მისთვის ლა მაგუანაში გატარებული ქარაფშუტული ცხოვრება. მერე მან გადადგა ნაბიჯი, რომ მენსიას მამული დიეგო ველასკესისთვის გადაეცა, ენრიკილიოს თხოვნის თანახმად. მაგრამ კუბის მმართველი მეტისმეტად მდიდარი იყო და საჩუქარზე უარი თქვა, მოიმიზეზა ტოროში მიღებული კანონი. ანდრეს ვალენსუელა იძულებული იყო მამული თავისთვის დაეტოვებინა და იგი მართავდა მას სიკვდილამდე.

დასაჯა თუ არა უზენაესმა მოსამართლემ ყოფილი ცოდვილი იმქვეყნად, თუ საკმარის სასჯელად ჩათვალა ქარაფშუტა ელვირაზე მისი ქორწინება — ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ ვერ გავბედავთ, რადგან ხელთ არ გვაქვს საკმარისი მონაცემები. მხოლოდ ის ვიცით, რომ ვალენსუელა სულიერად მოთვინიერდა, ქორწინების შემდეგ ცხოვრობდა როგორც კარგ ქრისტიანს შეეფერება და სხვისი უბედურება აწუხებდა. სახელოვან დონ ფრანსისკოს ციდან რომ ჩამოეხედა თავისი ვაჟიშვილისთვის, გაიხარებდა, რომ მისი კეთილშობილური მაგალითით დათესილი კეთილი თესლი, როგორც იქნა, აღმოცენდა.

XLVI

გონება ძალას უარყოფს

კიდევ ბევრი რამ გააკეთა ლას კასასმა, ვიდრე სანტო-დომინგოდან სამხრეთ მატერიკზე წავიდოდა. მან მიაღწია იმას, რომ ადმირალსა და სხვა ხელისუფალთ ენრიკილიოს აჯანყებაში ეცნოთ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი, გამარჯვებულის დიდსულოვნურ მოქმედებაში კი ქების ღირსი ნიშნები, დაეთანხმნენ, რომ არ მიეღოთ იგი ჩვეულებრივ მეამბოხედ და ბაორუკოს შემორიგების დროს განსაკუთრებით არ მიემართათ იარაღისთვის. ლას კასასის მსჯელობანი

ინდიელი ბელადის სასარგებლოდ მდგომარეობდა შემდეგში, თუ ვისარგებლებთ მის საკუთარ სიტყვებს ადმირალის თანდასწრებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა კრებაზე ნათქვამს:

„რამდენადაც სამართლიანია ომი, რომელსაც აწარმოებს ესპანელების წინააღმდეგ ენრიკილიო, — ამბობდა ლას კასასი, — და რამდენად სამართლიანია ინდიელთა გადაწყვეტილება ამბოხების შესახებ და, ენრიკილიოსადმი დამორჩილება და მისი არჩევა თავიანთ მბრძანებლად, — ნათლად გვიმტკიცებს მაკაბელთა ისტორია, რომელიც გადმოცემულია სალმრთო წერილში, აგრეთვე ინფანტ დონ პელაიოს საქმეთა ისტორია, რომელმაც არათუ მარტო დაიწყო სამართლიანი ომი, ბუნებრივი დაცვის კანონის თანახმად, არამედ შესძლო კიდეც პასუხი გაეცა შურისძიებითა და სასჯელით, მისთვის მიყენებული შეურაცხყოფისა და ზარალისთვის, მისი ხალხის სიკვდილისა და გაღატაკებისთვის. მისი მიწების მიტაცებისთვის, იგი მოქმედებდა ადამიანის ბუნებრივი უფლების საფუძველზე, ამიტომ ამის მსგავს ომს ომი კი არ უნდა ეუწოდოთ, არამედ ბუნებრივი თავდაცვა. უფრო მეტად ეჰგავარეშეა ენრიკეს უფლებები; იგი ნამდვილი უფლისწულია, და, გარდა ამისა, კუნძულზე აღარ დარჩა არც ერთი მბრძანებელი ანდა უფლისწული. არა, არასდროს არ იყო ამ კუნძულზე მართლმსაჯულება და. არასოდეს აქმაყოფილებდა იგი ინდიელებს, უხსოვარი დროიდან აქაურ ადგილობრივ მცხოვრებთ; იქ კი, სადაც მართლმსაჯულება არ არის, უნდა აღასრულოს იგი თვითონ განაწყენებულმა და დაჩაგრულმა. ყოველივე ზემოთქმული კი არ ამცირებს კასტილიის მეფეების უზენაესსა და ყოვლის მომცველ ძალაუფლებას ამ ქვეყანაში, თუ მათ მიიღეს იგი და იყენებენ ისე, როგორც მისი მიღებისა და გამოყენების წესია, რადგან ყველანი უნდა დაემორჩილონ წესრიგს და იხელმძღვანელონ არა ადამიანის ახირების მიხედვით, არამედ გონების კარნახით; იმის მსგავსად, როგორც ღვთის ქმნილება ხელმძღვანელობს და მმართველობს გონებით“.

მოსამართლეები და მეფის მოხელეები, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ვერ ბედავდნენ შედავებოდნენ ამ სიტყვაზე. ისინი გრძნობდნენ, რა მძიმე პასუხისმგებლობა ედოთ ბოროტმოქმედებისა და სამართლიანობის მთლად დავიწყებისთვის, რომელიც, პატიოსანი მღვდლის სიტყვებით, კუნძულზე სასტიკი მღელვარების მიზეზი იყო. ამიტომ ყველა მივიდა ერთსულოვან შეთანხმებამდე და გადაწყვიტეს. იმ დრომდე, ვიდრე სამხედრო ძალები გამოცდილი და მამაცი მხედართმთავრის ინიგო ორტისის ხელმძღვანელობით ენრიკილიოსთან საბრძოლველ სამზადისში იქნებიან, სან-ხუანში დამკვიდრდება მოსამართლე რევიზორი ალონსო სუასო, რათა, ერთი მხრივ, თვალყური ადევნოს სამხედრო სამზადისს. მეორე მხრივ — სცადოს მშვიდობიანად მოურიგდეს ენრიკილიოს იმით, რომ დიდი ამბები დაჰპირდეს.

ლას კასასი გაემგზავრა კუმანაში სანიმუშო კოლონიის დასაარსებლად. იმედოვნებდა, რომ ახალი ქვეყნის დაპყრობისთვის მიეცა ხასიათი, რომელიც შესაბამისი იქნებოდა კაცთმოყვარეობისა და ცივილიზაციის პრინციპებისთვის, რაც აქამდე უცხო იყო დამპყრობელთათვის. მავრამ მატერიკზე მას ელოდა ახალი ბრძოლა და უთვალავი დაბრკოლება. ყველა კეთილშობილური სწრაფვა აწყდებოდა სიჯიუტესა და უხეში ანგარების ხრიკებს, რომელსაც თავისი ნადავლის ხელიდან გაშვება არ სურდა. ერთი წელიც არ იყო გასული და ლას კასასი ესპანიოლაზე დაბრუნდა. მალე გაიგო, რომ მომხვეჭელობის უსულგულო რაინდთა სისასტიკით სასოწარკვეთამდე მიყვანილ ინდიელებს საშინელი სიკვდილით დაუსჯიათ ბერები, რომლებიც მან კუმანაში დატოვა. ლას კასასის დატანჯული სული სიმწრით აივსო, ჩაიცვა ბერის ანაფორა და შეიკეტა ქალაქ სანტო-დომინგოს დომინიკელთა მონასტერში. აქ, ამქვეყნიური სავანის სიმყუდროვეში დაწერა მან თავისი უკვდავი, ინდოეთის ისტორიის დიდი ნაწილი.

ჩვენ აქ ვიხსენიებთ ინდიელთა სახელგანთქმული დამცველის კეთილშობილურ ნაშრომებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ეხებიან ჩვენი წიგნის მთავარ თემას, ესე იგი ჰაიტის ინდიელი მოსახლეობის უბადრუკი ნარჩენების განთავისუფლებას. მეორე განუმეორებელმა კალამმა, ჩვენი საუკუნის ესპანური ლიტერატურის სიამაყემ— მგზნებარე სულის ჭეშმარიტად ამსახველმა, რომელსაც უნარი აქვს გაუგოს და გვაჩვენოს პადრე ლას კასასის ზნეობრივი სიდიადე,— ღირსეულად წარმოგვიდგინა პატიოსან ადამიანთა აღსაფრთოვანებლად, ცნობილი მოღვაწის, ესპანეთის დიდების, ყველა დროის გმირთა შორის უდიდესის დიდებული ნაშრომები და სათნოება.

XLVII

მეტისმეტად გვიან

ენრიკილიოს აჯანყება დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენ ყურადღებას, ისევე როგორც თავის დროზე ალონსო სუასოსგან მოითხოვდა მთელ მის პოლიტიკურ მოხერხებულობას, ინიგო ორტისისგან კი მის სამხედრო გამოცდილებას.

ამრიგად, სან-ხუანში დასახლებულმა ლიცენციატმა სუასომ ერთი თვის განმავლობაში ზედიზედ გაგზავნა ენრიკილიოსთან ხუთი ელჩი. პირველად შესთავაზა სრული პატიება და უსაფრთხოება, თავდებად უდგებოდა. რომ არც კასიკი და არც მისი ახლო ამხანაგები არ იქნებოდნენ ენკომიენდეში გადაცემული არავისთვის, ვინც უნდა ყოფი-

ლიყო იგი. რომ მათ მისცემდნენ სახსრებს ნორმალური ცხოვრებისთვის, დანარჩენ ინდიელებს კი — მუშაობის შესაძლებლობას, სადაც ისინი ისურვებენ, და შეეძლებათ სამუშაო შეარჩიონ თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით. ამ შენათვალზე ენრიკილიომ ზეპირად გასცა პასუხი და შიკრიკს უბრძანა, სუასოსთვის გადაეცა, რომ იარაღს არ დაყრიდა, სანამ ესპანიოლაზე ერთი ინდიელიც კი იქნებოდა მონად. მალე მოვიდა მეორე შიკრიკი ახალი წერილით, რომელშიც სუასო სთავაზობდა კასიკს თავისი პირობები გადაეცა ადმირალისა და აუდიენსიისთვის განსახილავად, გარდა ამისა, დაჟინებით თხოვდა დათანხმებულიყო პირადად შეხვედრაზე, პირდებოდა დასაცავ სიგელს.

ეს შიკრიკი დაბრუნდა მტკიცე უარით. ენრიკემ მიუთითა, რომ უველა დასაცავი სიგელი და „ხელის შეწყობის სიგელი“ სასაცილო იყო, დაიმოწმა გამოცდილება მოსამართლე ფიგეროას ნაბრძანებთან დაკავშირებით, რომელიც არად ჩააგდო პედრო ბადილიომ, რისთვისაც არავის დაუსჯია იგი. სუასოს მესამე შიკრიკი უკვალოდ დაიკარგა, — საერთო აზრის მიხედვით, იგი გზაზე დაიჭირა ტამაიომ და მოკლა. ამის შემდეგ, არც ერთი ესპანელი არ თანხმდებოდა შეესრულებინა ასეთი დავალება, და სუასომ გამოიყენა ორი ინდიელის სამსახური, მაგრამ ისინიც უკვალოდ დაიკარგნენ.

მაშინ მოსამართლე-რევიზორი მიხვდა, რომ ამაო იყო მისი ცდა და კაპიტანმა ორტისმა გაშალა დროშები, სათავეში ჩაუდგა კარგად მომზადებულ, შეიარაღებულ ჯარს და გაემართა სალაშქროდ ბაორუკოსკენ. რიცხობრივად, აღჭურვილობით და მხედრული წესრიგით ეს ძალები ბევრად უკეთესი იყო დამარცხებულ რაზმზე, გარდა ამისა, ორტისი უფრო დახელოვნებული მხედართმთავარი გახლდათ, ვიდრე ამპარტავანი და წინდაუხედავი ბადილიო.

შემტევებმა გადაწყვიტეს, ვიდრე შევიდოდნენ მრისხანე სიერაში, დაყოფილიყვნენ სამ ნაწილად და მთას შესდგომოდნენ სამივე ხეობით. მათ თან წაიყვანეს მონადირე ძაღლების ხროვა, რომელთა დახმარებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მაგრამ ამ იმედებს არ ეწერათ განხორციელება, ენრიკილიოს სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით, რომელმაც წინასწარ იზრუნა, რომ ბაორუკოელ ინდიელებსაც ჰყოლოდათ ძაღლები. ინიგო ორტისის მიერ დაზვერვაზე წინასწარ გაშვებულმა მხოლოდ რამდენიმე ძაღლმა ატეხა ყეფა, რითაც მიანიშნებდა მოწინააღმდეგის ახლო ყოფნას. დანარჩენები მეგობრულად შეხვდნენ თავიანთ ნათესავებს ანდა ლაგუნელ ლუისისა და სხვა კასიკების ხელთ აღმოჩნდნენ, რომლებმაც კარგად იცოდნენ ძაღლების ჩვეულება.

ამ ადგილას, სადაც ძაღლებმა ყეფა ატეხეს, იდგნენ მატაიკოს ინდიელები; ისინი მტერთან ბრძოლაში ჩაებნენ და მამაცად უწევდნენ

წინააღმდეგობას მათ მოწოლას სამ საათზე მეტხანს. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო, ინდიელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ უფრო დაცული ადგილისკენ, და ზღვის ნიჟარების საყვირის ხმამ მთებს მოჰფინა ეს ამბავი.

ორ სხვა ხეობაში ბრძოლები მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებით. ესპანელები გულდაგულ იბრძოდნენ და ინდიელები მიიმწყვდიეს კიდეც ერთ ადგილზე. ნახევარ საათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, გულადი რომეროც მზად იყო უკან დასახევად. მაგრამ ამ დროს ენრიკილიო თავის რჩეულ მეგობრებთან ერთად თავს დაესხა მტერს, ჟლეტდა მათ ცივი იარაღით და უკუაგდო ისინი. საყვირის ხმაში შერეულმა, ნიჟარის ავბედითმა ღრიალმა შეატყობინა მას, სხვა ხეობებშიც სჭირდებოდათ ინდიელებს დახმარება. მაშინ ენრიკილიომ ისარგებლა დროებითი უპირატესობით რაზმზე, რომელსაც თვითონ ორტისი მეთაურობდა, რომეროს უბრძანა თავისი მებრძოლები თანდათან გადაეყვანა ერთი გამაგრებული პოზიციიდან მეორეში, შეეტყუებინა მეომარი ესპანელი ბელადი მთავარ ბანაკში. ამასობაში კასიკს უნდოდა მატაიკოს დახმარებოდა.

ასეთივე მითითება — დაეხია მთავარი ბანაკისკენ — მისცა ენრიკილიომ მესამე ხეობაში მებრძოლ მეომრებს. ეს მანევრი წარმატებით ჩატარდა, ენრიკილიო კი მივარდა ესპანელებთან, რომლებიც მატაიკოს მისდევდნენ, მიიჭრა მასთან და მტერს დიდი ზარალი მიაყენა, მერე ორივე კასიკი, თითქოს უკან იხევენო, მთის სიღრმისაკენ წავიდა.

მთელი თავისი გამოცდილების მიუხედავად, ან იქნებ მისი წყალობით, ორტისმა იფიქრა, თითქოს ინდიელების წინააღმდეგობა შესუსტდაო, და გადაწყვიტა დაეგვირგვინებინა გამარჯვება იმ ადგილის ხელში ჩაგდებით, რომელიც, არაზუსტი ცნობის მიხედვით, მტრის მთავარი სადგომი ეგონა. ენრიკილიომ რომეროს მიანდო ორტისის შეტევის შეკავება, ამასობაში დანარჩენ ინდიელებთან ერთად, შეუდგა ბანაკიდან იარაღის, სურსათისა და სხვა ღირებულების მჭონე ქონების გადატანას. ქალები და დაჭრილები ადრევე იყვნენ გადაყვანილნი სხვა ადგილზე.

გადაადგილება რომ დაამთავრეს, ენრიკილიომ პირობითი ნიშანი მისცა რომეროს, რომ მას უკანდახევით გზა გაეხსნა ორტისისა და მისი მეომრებისთვის. ეს ბრძანება ისე ოსტატურად ჩატარდა, ესპანელმა მხედართმთავარმა მართლა დაიჯერა მტრის სრული დამარცხება და თავს იიმედებდა, რომ მთავარი ბანაკის აღებით დაამთავრებდა გამარჯვებას.

დღის სამი საათისთვის ეს ასეც მოხდა. ინიგო ორტისმა თავისი მეომრები მოათავსა ინდიელთა დიდ ქოხებში, როცა ნახა ხალხი მშიერი და დაღლილი იყო, დილისთვის გადადო დევნა იმათი, ვისაც სრუ-

ლიად დამარცხებულად თვლიდა. ჯარისკაცები დანაყრდნენ, დაისვენეს და ღამემ მშვიდად ჩაიარა, გიზგიზა კოცონების, ფანტასტიკური სანთლით განათებულ მთებში.

განთიადისას ორტისმა მზირები დააგზავნა ახლომახლო მთის ფერდობების შესამოწმებლად. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ისინი ზედიზედ დაბრუნდნენ უკან და მოახსენეს, რომ ყველა გასასვლელი დაკავებული იყო ამბოხებულთა საგრძნობი ძალებით და მათ მიერ შერჩეული მოხერხებული პოზიციიდან მათი განლევნის ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. ორტისს ეჭვი შეეპარა, რომ მახეში იყო გაბმული, მაგრამ სიფრთხილის გამო დამალა თავისი ეჭვი და ბრძანა შეემოწმებინათ ხეობა, რომელიც შეტევით აიღეს წინადღით. ძალიან მალე დარწმუნდა, რომ ყოველი მხრიდან გზა შეკრული ჰქონდა.

სიერას სიღრმეში შესვლის .ცდა სისულელე იქნებოდა, ესპანელ მხედართმთავარს არც უფიქრია ამაზე. გადაწყვიტა რკალიდან თავის დაღწევა. მთელი ძალები ერთად მოაგროვა და დაიწყო ხეობიდან გასვლა, რომელსაც თვითონ უტევდა ცოტა ხნის წინ. გზა ისევ რომერომ გადაუჭრა, რომელსაც კარგად შეიარაღებული მებრძოლები ახლდა. იგი ბრძოლაში ჩაება, ორტისის ჯარისკაცებს ზევიდან ქვების მთელი ზვავი დააყარა. ორტისს წარბიც არ შეუხრია, იერიშით აიღო ორი უფსკრულის ზემოთ ამართული სიმაღლე, და იქ გაიმართა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. ესპანელებმა ყოველი მხრიდან დაიწყეს მტრის შევიწროება, რომეროს ზოგიერთი პოზიცია ხელთ იგდეს: მისი დამცველები გარბოდნენ, მათი კასიკების—ველასკესისა და მაიბონას გმირულად დალუპვით შეშინებულები. მაგრამ ამ დროს მოუსწრო ენრიკილიომ და შუბით შეიარაღებულმა და თოკისგან დაწნული აბჯრით შემოსილმა ორმოცდაათმა მებრძოლმა. ესოდენ დროულად მოსულმა დამხმარეთა სიმამაცემ და გააფთრებულმა მოწოლამ, მაშინვე შეცვალა ბრძოლის მსვლელობა; ენრიკილიოს მძიმე შუბი მტრის სისხლით შეიღება და ბოლოს ნაფოტებად იქცა, კასტილიელის რკინის ჯავშანმა გატეხა, მაგრამ გმირმა სწრაფად მოიმარჯვა მოკლე ხმალი და ბრძოლა განაგრძო. ბელადის მაგალითით მისი ხალხი სიმამაცის სასწაულს ახდენდა, თვითონ ორტისი მძიმედ დაიჭრა მარცხენა მხარში.

ესპანელთა ძალების მოწინავე რაზმი, რომელმაც ისარგებლა რომეროს უკანდახევით, თავქუდმოგლეჯილი მირბოდა ხეობაში ქვეითკენ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საყვირს, რომლითაც ზურგის ნაწილი მოუწოდებდა დასახმარებლად. ორტისი და მის იარგვლივ მყოფი მეომრები თავს დაღუპულად თვლიდნენ: ერთნი ცდილობდნენ თავის გადარჩენას და ფრთხილად ჩადიოდნენ ბილიკებითა და ნაპრალებით, სხვები სიკვდილს პოულობდნენ ხრამებსა და უფსკრულებში.

თავში ორ ადგილას დაჭრილი და მთლად დაქექილი ორტისი ცოც-

ხალი გადარჩა. ეს ახალი და ახლახან მიღებული მხარის ჭრილობები საკმაოდ საცოდავ შესახედაობას აძლევდა მას. გაჰყვა საყვირის ხმას და თავის მოწინავე რაზმს დაეწია, რომელიც საშინელი ხეობის იქით, ბორცვზე შეჩერებულიყო, თითქოს ხეობა ყოველი ქვის, ყოველი ხის მიღმა შეიარაღებულ ინდიელებს ანთხევდა. ორტისმა თავი მოუყარა ლტოლვილებს და დაჭრილებს, დათვალა თავისი ძალები: სულ ორას ოცდაათი კაცი აღმოაჩნდა. დანარჩენი სამასორმოცდაათი ჯარისკაცი და მოლაშქრე დაიღუპა ანდა ტყვედ ჩაუვარდა ენრიკილიოს.

ორტისმა ლა მაგუანაში პატაკი გაგზავნა, სამი დღის შემდეგ, სუასომ დამხმარე ძალები გაუგზავნა, უბრძანა ისევ შეეტია ამბოხებულებისთვის და სამაგალითოდ დაესაჯა ისინი. მაგრამ ორტისს სხვა შეხედულება ჰქონდა, არ ისურვა მრისხანე სიერაში დაბრუნება, წავიდა კარეიბანში თავისი ჭრილობების სამკურნალოდ. იქ იგი კიდევ დიდხანს ვერ მოსულიყო გონს.

ამ დროიდან დაიწყო განსაკუთრებული ომი, რომელმაც „სათვალთვალოს“ სახელწოდება მიიღო. ესპანელთა დიდი რაზმები იცავდნენ მთების ხეობებიდან გამოსასვლელებს, რომ ინდიელებისთვის ეჩვენებინათ თავისი იარაღის ძალა, როცა ისინი თვითონ გამოვიდოდნენ თავიანთი მიუდგომელი თავშესაფრიდან. ამაზე უკეთესს ვერაფერს ისურვებდნენ ენრიკილიო და მისი ქვეშევრდომები. ბაორუკოს მთებს რამდენიმე ხნით თავიდან ჰქონდა აცილებული შემოსევა. თუმცა ცხოვრება ადრინდელივით ექვემდებარებოდა დადგენილ სამხედრო წესებს, მთების სასტიკი გრეხილების იქით, ნაყოფიერ ველებზე მშვიდობა და სიუხვე მეფობდა. მხოლოდ დაუოკებელი ტამაიო განაგრძობდა თავის თავხედურ თარეშს, ანიავებდა კუნძულის დასავლეთ მბარეებს და ალანდათან უახლოვდებოდა ლა მაგუანას, კომპოსტელა დე ასუას და სხვა ადგილებს, რომლებიც ბაორუკოდან შორს იყო. სიმშვიდე და უსაფრთხოება დაკარგა კუნძულმა: სარგებლობდნენ საერთო შფოთით და ინდიელები ყველგან გაურბოდნენ მონობას და ტყეში ეძებდნენ თავისუფლებას. ადგილზე რჩებოდნენ მხოლოდ ისეთები, რომლებიც შრომისთვის უვარგისები იყვნენ ანდა დაემორჩილნენ პატრონების რჩევა-დარიგებას. კუნძულზე გამეფებულმა უწესრიგობამ და გაპარტახებამ დააზარალა მთელი მოსახლეობა. საჩივრებმა მძარცველობაზე, რომელსაც ენრიკილიოს მიაწერდნენ, თუმცა მათ სჩადიოდა ტამაიო, ხელისუფლება იძულებული გახადა ორტისისათვის ებრძანებინათ განეახლებინა ომი ბაორუკოს წინააღმდეგ. მკაცრად დაეცვათ სიერას შესასვლელ-გამოსასვლელი, რათა მარწუხებში მოექციათ (ეს უნდა მომხდარიყო კარგა ასამდე ლიგის ტერიტორიაზე!) და რაც შეიძლებოდა მალე გაენადგურებინათ ენრიკილიო თავის ხალხთან ერთად.

ამასობაში, მოსაძართლე-რევიზორს — ალონსო სუასოს მოსწყინდა

ლა მაგუანაში ყოფნა და დაბრუნდა სანტო-დომინგოში. თან წაიყვანა დონია ლეონორ დე კასტილია, რომელსაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, თუმცა იგი არ მალავდა თავის მეგობრობას კასიკ ენრიკილიოსთან და რომ მიწერ-მოწერა ჰქონდა მასთან ერთგული შიკრიკების საშუალებით. ჭრილობებისგან განკურნებული ინიგო ორტისი ისევ კარეიბანში ცხოვრობდა და ადმირალის გამუდმებით სთხოვდა გამოეგზავნათ მისთვის შემცელელი. მისი თანაშემწეები სიერას განშტოებების ძირას იმყოფებოდნენ და მოწყენილობისგან გული ჰქონდათ შეღონებული, არც კასტილიელები აწუხებდნენ ბაორუკოს მცხოვრებთ და არც ენრიკილიო აძლევდა თავის მებრძოლებს უფლებას მიახლოებოდნენ მშვიდობიან კასტილიელებს.

XLVIII

ცვლილებები .

ეს უსიტყვო დაზავება დაეხმარა ენრიკილიოს წესრიგი დაემყარებინა თავის ვრცელ სამფლობელოში. ინდიელები, რომლებმაც თავისუფლება და ადამიანური ღირსება დაიბრუნეს თავიანთი ბელადის ჰკუის, ნიჭისა და სიმამაცის წყალობით, აღმერთებდნენ მას და ბრმად ემორჩილებოდნენ მის ყოველ სიტყვას. ენრიკეს არასდროს დასჭირვებია მიემართა სასტიკი ზომებისთვის, ადამიანებზე თავისი განუსაზღვრელი ძალაუფლების განსამტკიცებლად, რომლებსაც მტკიცედ სჯეროდათ, რომ თვითონ ღმერთმა უბრძანა კასიკს მათი მცველი და მხსნელი ყოფილიყო.

ბელადის სიბრძნემ და ინდიელთა შრომამ მალე მთების ყველა ფერდობი, ერთმანეთის მიყოლებით, ველებად, დასახლებებად და სიმაგრეებად გადააქცია; ადამიანის ხელებმა დაასრულა ბუნების საქმე, შექმნა აქ მიუდგომელი თავშესაფარი. ბანაკში არ იყო არც უსაქმურობა და არც იძულებითი შრომა. დრო გადიოდა მუშაობაში, გართობაში, სამხედრო ვარჯიშში, ლოცვასა და დასვენებაში. მერცხლის ჭიკჭიკი, რომელიც განთიადს ესალმებოდა, ყვავის ხმაჩახლეჩილი ჩხავილი, რომელიც ექოს გამოსცემდა, მთებში, მბზინავი ციცინათელების გამოჩენა, ჭრიჭინების ერთფეროვანი გუნდი — ასეთი იყო ნიშნები, რომლითაც განსაზღვრავდნენ საქმიანობის შეცვლის დროს ველური მთების მწვერვალების შრომისმოყვარე მცხოვრებნი. ევროპულმა ცივილიზაციამ, რამაც ეს უბედურები გამოსტაცა ბავშვურ უცოდველობას, დაუბრუნა ისინი ხელუხლებელ ბუნებას, უბოძა მათ ცოდნა და თავისუფლების, შრომის, ხელობების სიყვარული.

მოხერხებულ ადგილებში იზრდებოდა წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აგრეთვე შინაური ფრინველი; ახლო მდებარე ტბა ლაგო-დულისე (ამჟამად ტბა კრისტობალი ანდა რინკონი) ინდიელებს უხვად ამარაგებდა თევზით. როცა ენრიკეს არ აწუხებდა სამხედრო საზრუნავი, უყვარდა წელიწადში რამდენიმე თვის გატარება კაგუანის ანდა ხარაგუას დიდ ტბაზე, რომელიც ამჟამად ენრიკილიოს სახელს ატარებს. შუა ტბაში იყო თვალწარმტაცი კუნძული, — ამ მომხიბლავ მწვანე კუთხეს ბევრჯერ შეუფარებია სახელოვანი კასიკი და მისი მშვენიერი მეუღლე. ისინი იქ გადადიოდნენ დიდი კანოეთი ან პიროგით. კუნძულზე აგებული სახელდახელო ქოხები მოწყობილი იყო მდიდრულად თუ არა, მოხერხებულად მაინც; მთელ სანაპიროს კი გუშაგები უვლიდნენ, მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევისათვის.

ენრიკილიოს საუცხოო მზვერავები ჰყავდა. კასტილიელების არც ერთი მოძრაობა არ რჩებოდათ შეუმჩნეველი. წინდახედული ბელადი ჩაშლიდა ხოლმე მტრების ყოველ ცდას ემოქმედათ ეშმაკურად ანდა იარაღის ძალით.

შედარებითი სიმშვიდით ისარგებლა ენრიკილიომ და გადაწყვიტა შეესრულებინა ერთ-ერთი მისთვის ყველაზე გულმხურვალე სურვილთაგანი — ღირსეულად ეცა პატივი თავისი ნათესავის, სახელოვანი გუაროასთვის. იგი გაემგზავრა სიერას სამხრეთ-დასავლეთით, თან წაიყვანა ცხენოსნების ესკორტი და თითქმის ყველა კასიკი, რომელთა შორის ბევრმა იცოდა ადგილი, სადაც ინდიელთა ბელადი დაიღუპა. ამ უცნობ საფლავზე ენრიკილიომ ააგო უშველებელი ქვების ძეგლი, დიდებული თავისი სისადავით და მკაცრი უბრალოებით, როგორც დაღუპული გმირის გარეგნობა. დაფნების მაგივრად, ახალგაზრდა ბელადმა მას მოუტანა სახელოვანი გამარჯვებები, რომელიც მოიპოვა გუაროას ყოფილ დამმარცხებლებზე.

ბაორუკოს აჯანყება გახდა პირველსახე იმ შეუპოვარი წინააღმდეგობისა, რომელიც ოთხი საუკუნის მანძილზე არყევდა ახალ ქვეყანაში დამპყრობთა უფლებას. შეიძლება, იმდროინდელი ესპანელი სახელმწიფო მოღვაწეები, ვინც ღირსეულად შეაფასა ენრიკილიოს აჯანყება, მიხვდნენ, რომ მასში გამოვლინდა ბუნების მუდმივი კანონი, მაგრამ ეს დაკვირვება თავიანთი სინდისის სიღრმეში დამალეს. მწერლები და პოეტები ენრიკილიოს მიღწევებსა და გამარჯვებებს ხსნიდნენ ესპანიოლის ოდესღაც უხეშ და გამობრძმედილ დამპყრობთა ხასიათის განებივრებითა და სულმოკლეობით. განმარტება მიუღებელია, რამდენადაც, მექსიკაში, პერუში, კასტილია დე ოროში განაგრძობდნენ თავიანთ ლეგენდარულ გმირობას ბევრი იმათგანი, რომლებიც დამარცხდნენ ბაორუკოს მთებში. ეჭვს გარეშეა ერთი რამ: ენრიკილიომ, და მას შემდეგ მისმა ინდიელებმაც მიაღწიეს ცივილიზაციის ისეთ დონეს,

რომელმაც საშუალება მისცა მათ შეეფასებინათ ევროპელი მჩაგვრელების ძალა და შეეფარდებინათ მისთვის საკუთარი ძალები, უშიშარი ველური ცრუმორწმუნეობა, რამაც ასე გააადვილა, დაუოკებელი ამერიკის დაპყრობა, თანაბრად რომ უწყობდა ხელს გამარჯვებულთა ლეგენდარული სიმამაცე და დამარცხებულთა ლეგენდარული გაუბედაობა.

როგორ იტანდა დიდგვაროვანი და უშიშარი მენსია ბაორუკოში ცხოვრებით გამოწვეულ საშიშროებასა და გაჭირვებას? ჩვენ თითქმის არც გაგვხსენებია ეს ნაზი არსება მას შემდეგ, რაც სასტიკმა ბედმა, ძლიერმა, ამაღლებულმა ხასიათმა ჩააგონა მთის მიყრუებულ ადგილას წასულიყო. პირველ ხანებში იგი ჩაფიქრებული და დანაღვლიანებული იყო, სიმარტოვე საშინელებად ეჩვენებოდა, როცა ენრიკილიო, მისი საყვარელი მეგობარი სრულიად იყო გართული თავისი მთის სახელმწიფოს შექმნითა და დაცვით. მაგრამ როცა მამაცი კასიკი პირველად მოვიდა მასთან როგორც გამარჯვებული, როცა მის ფეხებთან დააგდო პატივმოყვარე ვალენსუელას გატეხილი ხმალი, როცა ჯერ ისევ დენთის სუნით გაჟღენთილი წარუდგა მას დიადად და განთავისუფლებულად გმირული სიქველის შარავანდედით მოსილი და ხელახლა მოპოვებული ღირსებით, — მაშინ მენსიას გული სიამაყითა და ბედნიერებით აფრთხიალდა, გადაეხვია აღელვებულ მებრძოლს, წმინდა აღფრთოვანებით დაუკოცნა სიმამაცით აღსავსე სახე და ათრთოლებული ტუჩებით წაიჩურჩულა: „ჩემი დიდი, ჩემი თავისუფალი შურისმგებელი... ასეთი მიყვარხარ!“

ამიერიდან მენსია ადვილად იტანდა ცხოვრების უკუღმართობას და სიმძიმეს. შეეჩვია საფრთხეს და სწყინდა, როცა ენრიკილიო ცდილობდა გაფრთხილებოდა მას. თვითონ კი ოცნებობდა არა მხოლოდ ელოცა მისთვის ღვთის წინაშე, არამედ ყოველთვის და ყველგან თან ხლებოდა ენრიკილიოს, ენახა იგი ბრძოლაში, აღეფრთოვანებინა თანხლებით.

იგი თავისთავს აჯილდოებდა სამოწყალო საქმეებისა და ხალხისთვის სიკეთის კეთებით. დაჭრილები და ავადმყოფები ლოცავდნენ მას, როგორც ციურ განგებას. ბაორუკოელ გოგონებს ასწავლიდა რელიგიას, სათნოებას, ხელსაქმეს და წერა-კითხვას.

ანიკაც თითქმის ბედნიერი. იყო. ენრიკეს მიმართ ვნებისგან განკურნებულმა, კასიკის პატიოსნურ პირდაპირობასა და მენსიას სათნოებაში მაგალითი დაინახა თავისი ფიცხი სულისთვის.ჯუწინდელმა გატაცებამ ადგილი დაუთმო ცოლ-ქმრის სუფთა და ნაზ სიყვარულს, მაგრამ ამავე დროს, მის გულში ჩაისახა მეორე, უფრო მხურვალე სიყვარული, რომელმაც გაიმარჯვა ცალმხრივ სიყვარულზე, რომელიც მას უხილავ ჭრილობასავით ტანჯავდა. მისი, ამჯერად უფრო

მშვიდი და გონივრული გრძნობა მიიმართა სხვისკენ. მთელი თვე გაატარა მან კეთილ და გულად ვასას საწოლთან, რომელიც დაიჭრა, როცა მარტო იცავდა ინდიელებისგან მიტოვებულ საგუშაგოს, კასტილიელების მიერ ბაორუკოზე პირველად თავდასხმის დროს. ანიკამ დააფასა ახალგაზრდა კასიკის კეთილშობილება, ორივემ იგრძნო, რომ ერთმანეთი უყვარდათ და დაიფიცეს მოთმინებით ელოდათ იმ ჟამისთვის, როცა მათ ერთმანეთთან დააკავშირებდა წმინდა ეკლესია. ენრიკე და მენსია მფარველობდნენ ამ სუფთა სიყვარულს.

როცა საომარი საქმეები არ აიძულებდა კასიკს დაეტოვებინა მივარდნილ ადგილას მდებარე ღარტაფი, სადაც მისი საიდუმლო თავშესაფარი იყო, — ულამაზესი კუთხე, თითქოს შექმნილი მის ირგვლივ მდებარე დიდებული მთაგრეხილების პირქუშ და მრისხანე სურათის დასაპირისპირებლად; როცა ცოლ-ქმარი მარტო რჩებოდა და ისვეხებდა პირქუშში ფიქრებისგან, რომელსაც მათ გვრიდა საშიშროება და განშორება, მათი ბედნიერი ცხოვრება ბურენის ველსა და კუნძულ კაბრასზე, დიდი ტბის შუაში, შეშურდებოდათ ფუფუნებასა და სიმდიდრეში მცხოვრებ უფლისწულებსაც კი.

XLIX

დაყოლიება

უსისხლო ომი ბაორუკოში მიმდინარეობდა არა მარტო იმ დღეებში, როცა მწარე გამოცდილება მიღებულმა ინიგო ორტისმა ითხოვა შეეცვალათ იგი სხვა მხედართმთავრით. მერეც, კაპიტნების პედრო ორტის დე მატიენსოს და პედრო დე სორიას დროსაც გრძელდებოდა იგივე სისტემა სიერას მისადგომების თვალთვალისა. პედრო ორტისმა სცადა ხელში ჩაეგდო ენრიკილიო. მიუგზავნა ინდიელი, რომელმაც განაცხადა, რომ კასიკის ნათესავი იყო, და მისი საშუალებით გადასცა სამშვიდობო წინადადებები და დაპირებანი. მაგრამ ენრიკე მიხვდა ორტისის ნამდვილ ზრახვებს, დაპირდა, რომ მივიდოდა მოსალაპარაკებლად, თან მიიყვანა ყველაზე გამოცდილი მეომრები, რომლებიც თავს დაესხნენ ჩასაფრებულ კასტილიელებს, დაამარცხეს ისინი და სამარცხვინოდ გააქციეს. ენრიკემ ბრძანა, როგორც მოღალატე, ჩამოეხრჩოთ თავისი ყალბი ნათესავი. ამიერიდან დამშვიდებული იყო, რომ მსგავსი ვერაგული ცდები აღარ გამეორდებოდა.

ამასობაში, ბაორუკოდან აღმოსავლეთით სიერა მარტინ გარსიაში თავის ხალხიანად ჩასაფრებულმა ტამაიომ არაერთხელ მოაწყო ლა მაგუანას მიდამოებზე თავდასხმა. ენრიკილიოს ზომიერებასა და კაცთ-

მოყვარეობისაგან განსხვავებული, გააფთრებული სიმკაცრე, რომელიც თან ახლდა ამ თავხედურ თარეშებს, კოლონისტებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. დიეგო კოლუმბის ესპანიოლაზე უკანასკნელად ყოფნის დროს, რომელიც გაგრძელდა 1523 წლამდე, ადმირალი იმდენად მოუცლელი იყო თავის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლით, რომ მხოლოდ აფრიკელი მონების ამბოხების ჩახშობა მოასწრო, რომლებმაც ცდინარე ნისაოს მახლობლად, მისი ასიენდეს მმართველი მოკლეს. დიეგო კოლუმბი თვითონ გაემგზავრა სასწრაფოდ იქ; ამბოხებულები ადვილად დაამარცხეს, ვინც ხელიდან დაუსხლტათ, ისინი მიეკედლნენ ტამაიოს, რომელმაც თავისი ძალები გააძლიერა და გამანადგურებელი თარეში დაიწყო ასუას მხარის საზღვრებთანაც კი.

ხელისუფლება, იმ ქალაქების გამუდმებული დაჟინების მიუხედავად, რომლებიც განსაკუთრებულად ზარალდებოდნენ ამ უბედურებისგან, ყოველნაირად თავს არიდებდა ახალი ჯარის შექმნას, რადგან სამეფო ხაზინამ უკვე დიდი ზარალი განიცადა სამხედრო ხარჯების გამო. მაგრამ ენრიკილიოს ბანაკის ინდიელების მიერ მოულოდნელი დარტყმა უფრო საგრძნობი აღმოჩნდა საზოგადოებრივი უშიშროების დამცველთათვის, ვიდრე ტამაიოსა და მისი ხალხის ყოველი სისხლისმღვრელი თარეში. სანტო-დომინგოში მატერიკის სანაპიროებიდან მოვიდა გემი, რომელსაც გზაში ჭარიშხალმა მოუსწრო და იძულებული გახდა ბაორუკოს სიერას განშტოებასთან ახლოს მდებარე ყურეში ჩაეწვა ღუზა. ინდიელებმა გემი და მთელი ეკიპაჟი ხელთ იგდეს. სანაპიროზე მოსულმა კასიკმა ბრძანა გაენთავისუფლებინათ მეზღვაურები თავიანთი გემიანად; მაგრამ მნიშვნელოვანი ტვირთი, ოქრო და მარგალიტი ენრიკილიოს დარჩა.

ასეთი მძიმე დანაკარგის ამბავი რომ გაიგეს, მეფის მოხელეები და აუდიენსიის მოსამართლენი ისე დარდობდნენ და წუხდნენ, თითქოს მათთვის გულები ამოეგლიჯოთ მკერდიდან. ტამაიოს შეეძლო მთელი სოფლების გადაწვა, დაუზოგავად შეეძლო ეელიტა კაცები და ქალები, ჩაედინა ყოველგვარი სისასტიკე — ყოველივე ეს ბუნებრივი იყო კუნძულზე, სადაც აჯანყება მძვინვარებდა. მაგრამ იმის გაბედვა, რომ გაძარცვეს გემი, რომელსაც ძვირფასეულობა მიჰქონდა! ეს ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ოქრო ნამდვილი ღმერთი იყო, და მეფემ მოითხოვა, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას დაებრუნებინა გატაცებული განძეულობა, მერე კი, თუ შესაძლებელი იქნებოდა, კუნძულზე მშვიდობა დაემყარებინათ. ეს იყო თანმიმდევრობა, დამახასიათებელი ყველა სისტემის მმართველობისთვის.

ამრიგად, გადაწყდა ჩაეტარებინათ ახალი სარეკრუტო გაწვევა და გაძლიერება გარნიზონებისა, რომლებიც განლაგებული იყო სიერას გარშემო. ამავე დროს, ხელისუფლება უარს არ ამბობდა მოლაპარაკე-

ბებსა და მეგობრულ შეთანხმებებზე. ამ დროისთვის, გარდაიცვალა მეფის ხაზინადარი, ულმობელი მიგელ დე პასამონტე, მას დიდხანს აღარ უცოცხლია ადმირალ დიეგო კოლუმბის შემდეგ, რომელსაც სამარის კარამდე არ მისცა მოსვენება თავისი სიძულვილით.

მეფის მოხელეებმა როცა გაიგეს, რომ სანტო-დომინგოში არის ძმა რემიხიო, ენრიკილიოს ყოფილი მოძღვარი ვერა-პასის მონასტერში, ისარგებლეს ამით და ღვთის სამსახურისა და დაშოშმინების საქმის მომიზეზებით, დაითანხმეს ბერი გაძარცული გემით წასულიყო ბაორუკოში, იმ იმედით, რომ იგი მოახერხებდა დაეყოლიებინა თავისი აღზრდილი მდიდრული ნადავლის დაბრუნებაზე. როცა გემი ყურეში შევიდა, აღმოჩნდა, რომ ამბოხებულები ყოველთვის ფხიზლად იყვნენ. როგორც კი მიწაზე ფეხი ჩამოდგა, ძმა რემიხიო ტყვედ ჩაიგდეს ინდიელებმა, რადგან მზვერავად ჩათვალეს, მისი ყოველგვარი აღშფოთების მიუხედავად, გაძარცვეს და ტანისამოსი გახადეს, თითქმის ძთლად გააშიშვლეს. ბოლოს და ბოლოს თხოვნით დაითანხმა ისინი მიეყვანათ იგი ენრიკილიოსთან, რომელიც ახლოს იყო.

როცა თავისი მოხუცი მოძღვარი დაინახა ესოდენ საბრალო მდგომარეობაში, კასიკი მას მივარდა, ნაზად მოეხვია და პატიება ითხოვა თავისი ხალხის მოქმედებისთვის, ამართლებდა მათ იმით, რომ უკვე გაეგოთ მათ წინააღმდეგ ახალ ჯარს რომ კრებდნენ სანტო-დომინგოსა და სხვა ადგილებში. მერე ბრძანა საუკეთესო ტანისამოსი მიეცათ პადრე რემიხიოსათვის და მისი თანამგზავრებისათვის, აჭამა და ასვა მათ, რის შემდეგაც შეუდგა მოლაპარაკებას.

ბერმა გამოიყენა მთელი თავისი ცოდნა და მჭევრმეტყველება, მთელი თავისი გავლენა ყოფილ მოწაფეზე, ცდილობდა დაეყოლიებინა მიეტოვებინა ცუდი ცხოვრება და დამორჩილებოდა კასტილიელებს, რომლებიც პირდებოდნენ პატიებას და დიდ სარგებელს. მაგრამ ძმა რემიხიოს ყოველგვარი მჭევრმეტყველება ამაო იყო: ენრიკილიომ კეთილშობილური გულმართლობით უამბო მის მიერ გადატანილი შეურაცხყოფა, თავის სამართლიან უნდობლობაზე ტირანების დანაპირებსა და მტკიცე გადაწყვეტილებაზე განეგრძო ბრძოლა, ვიდრე მეფე არ გამოსცემდა კანონს ინდიელთა განთავისუფლებაზე და არ განახორციელებდა მას სინამდვილეში, მთელ კოლონიაში. კასიკმა მეტად დროულად შეახსენა თავის მოძღვარს ვერა-პასში ისტორიული თხზულებების კითხვა და ვირიატი, რომლის აჯანყებას სწავლული ბერი ქებას ასხამდა, როგორც გმირული სიქველის ღვაწლს.

ამ დასაბუთების წინაშე ძმა რემიხიომ ქედი მოიხარა, მაგრამ მაინც თხოვა ენრიკილიოს ყოფილიყო დიდსულოვანი და დაებრუნებია მიტაცებული განძეულობა.

— თქვენი გულისთვის, პადრე, — უპასუხა ენრიკილიომ, — ამას

სიამოვნებით გავაკეთებდი, ისევე როგორც ლას კასასისთვის, რომელიც მთელი გულით მიყვარს. მაგრამ ეს განძი ჩემ მტრებს იმისთვის უნდათ, რომ ახალი ჯარი შეაიარაღონ ჩემ წინააღმდეგ. შეგიძლიათ თავდებად დადგეთ, რომ ასეთი არაა მათი განზრახვა?

— არა, შვილო ჩემო, ამას ვერ გავბედავ. მე მხოლოდ უფლება მომცეს იმისა, რომ მშვიდობისთვის განგაწყო, და გამახარებდი, ერთხელაც რომ დაგემტკიცებინა შენი ზომიერება, ამ სიმდიდრის დაბრუნებით.

— მომცენ თავდებობა, რომ თავს არ დამესხმიან ჩემ სამფლობელოში, — უთხრა ენრიკილიომ, — და მაშინვე დავუბრუნებ მთელ სიმდიდრეს, მე ისინი არ მჭირდება.

— ეს არის შენი საბოლოო გადაწყვეტილება? — ჰკითხა ბერმა.

— დიახ, პადრე. გემუდარებით პატივი ეცით ამას, რაც მთავარია, ყველაფერი აუხსენით პადრე ლას კასასს, სენიორ ადმირალს და ჩემ ნათლიას დიეგო ველასკესს. უთხარით მათ, რომ უმადურად ნუ ჩამთვლიან...

— პადრე ლას კასასს ასე არ. ჰგონია, შვილო ჩემო, — უპასუხა ძმა რემიხიომ. — დონ დიეგო კოლუმბმა და დონ დიეგო ველასკესმა დატოვეს ამქვეყნიური ჭირ-ვარამი და გარდაიცვალნენ.

— მიიბარე, უფალო, მათი სულები, — ნაღვლიანად და გულში ჩამწვდომად წარმოთქვა ენრიკემ.

რამდენიმე საათის შემდეგ ძმა რემიხიო გულითადად გამოემშვიდობა თავის გაზრდილს, ჭიმზე ავიდა თანამგზავრებთან ერთად, რომლებმაც მამაცად გაიზიარეს მთელი საფრთხე. გემმა გაშალა ქათქათა თეთრი აფრები და მალე მშვიდობიანად ჩაიდა სანტო-დომინგოში.

კარგი ნიშნები

კუბის გუბერნატორი დიეგო ველასკესი გარდაიცვალა 1525 წელს, როგორც ძმა რემიხიომ აცნობა ენრიკილიოს. ცხოვრების უკანასკნელი წლები მისთვის ბედნიერი არ იყო. მისი მზე ჩაესვენა მას შემდეგ, რაც მან უმადურობით გადაუხადა სამაგიერო დიეგო კოლუმბსა და ხუან გრიხალვას — ადამიანებს, რომლებმაც რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს მისი განდიდებისა და გამდიდრებისთვის, — იგი შეუერთდა ფონსეკას კოლუმბის წინააღმდეგ ხრიკების მოწყობაში და გრიხალვას მოუსპო დამსახურებული დიდება და მექსიკის აღმოჩენისა და დაპყრობის უფლება. განგებამ ერნან კორტესს არგუნა წილად შური ეძია ამ კეთილშობილი ადამიანებისათვის და ზიანი მიეყენე-

ბინა კუბის პატივმოყვარე დამპყრობლებისთვის იმავე უმადურობის ოპარალით.

განუწყვეტელი ინტრიგების მსხვერპლი ადმირალი დიეგო კოლუმბი კელასკესის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, საყვარელ ოჯახს მოშორებულს, ესპანეთში დაუსრულებელი დავა ჰქონდა თავის უფლებებზე.

გონსალო დე გუსმანს, რომელიც კოლუმბის მფარველობით სარგებლობდა, ბევრჯერ ჰქონდა შემთხვევა გამოეჩინა თავისი დიდი ნიჭი და ღირსება ესპანეთის სამეფო კართან რთულ მოლაპარაკებებში. მარია დე ტოლედოს რჩევით, ახალგაზრდა იმპერატორმა იგი განსვენებული ველასკესის ადგილზე დანიშნა. ასე გადაუხადა კეთილშობილმა ქვრივმა მადლობა გუსმანს, კოლუმბების საგვარეულოსადმი ერთგული და თავდადებული სამსახურისთვის.

კუბის მეორე გუბერნატორი დიდსულოვანი ადამიანი იყო და ამიტომაც მრავალი წყენა განიცადა: მისმა კაცთმოყვარულმა დამოკიდებულებამ კუბელი ინდიელებისადმი სერიოზული უკმაყოფილება და გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია კუნძულის გულზვიად კოლონისტებში, რომლებიც არანაკლები სასტიკები და ძუნწები იყვნენ მომხვეპელობაში, ვიდრე ესპანიოლაზე „მეფის ერთგული მსახური“.

მაგრამ ნუ დავშორდებით მშვენიერ ესპანიოლას განსვენებულთა და წასულთათვის, რომლებმაც კუბის გუბერნატორს ანდა ნახევრად ღმერთს გონსალო და გუსმანს დაუტოვეს მისი დიდი მდგომარეობის ვარდები და ეკლები, დავუბრუნდეთ დიდი ზღვაოსნის საყვარელ მხარეს, საითკენაც მტკიცედ მოგვიწოდებს ამბები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ბაორუკოს აჯანყებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქველი და კაცთმოყვარე ენრიკილიო.

ვიდრე ძმა რემიხიო ასრულებდა თავის არც მაინცდამაინც წარმატებულ მისიას, ესპანიოლის აუდიენსიამ გაწაფულსა და გამოცდილ მებრძოლს ერნანდო დე სან-მიგელს, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა კუნძულზე ჩატარებულ ყველა კამპანიაში, მისი დაპყრობის დროიდან, დაავალა რთული ამოცანის შესრულება: ბაორუკო დაემორჩილებინა იარაღის ძალით. იგი უკვე ემზადებოდა სანტო-დომინგოდან წასასვლელად, რომ სათავეში ჩადგომოდა ჯარებს, რომელსაც თავი მოუყარა სიერას ახლო მისადგომებთან, როცა ესპანეთიდან ჩამოვიდა სახელგანთქმული ეპისკოპოსი დონ სებასტიან რამირესი, რომლის სასულიერო წოდებას მიემატა ესპანეთის გუბერნატორისა და აუდიენსიის თავმჯდომარის წოდება. როგორც ეკლესიის მსახური, იგი ისწრაფოდა თავისი მმართველობისთვის მშვიდობიანობისა და გულმოწყალების ბეჭედი დაესვა.

როცა გაიგო კუნძულის უკანასკნელი ამბები, მან კაპიტან სან-მიგელს გალაშქრების ნება არ მისცა, ვიდრე ბაორუკოდან ძმა რემიხიო არ დაბრუნდებოდა. როცა ბერი დაბრუნდა და ანგარიში ჩააბარა ენრიკილიოს მოთხოვნაზე, მოქმედებასა და ნათქვამზე, პრელატმა შეატყობინა გამოცდილ მებრძოლს თავისი გონიერული მითითებები. ამავე დროს იმპერატორ კარლოს V-ს გაუგზავნა ერცელი შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კუნძულზე არ არის არც მშვიდობა და არც უშიშროება: მოსახლეობა განუწყვეტლივ მცირდება, ვაჭრობა შეფერხებულია, ხელოსნობა ჩამკვდარია და მოახლოებულია სრული განადგურება. ასეთია საბალალო შედეგი ენრიკილიოს აჯანყებისა და ესპანელების ტირანული მმართველობისა. რომელიც მიზეზი გახდა ამ ტრაგიკული ამბისა და ინდიელთა რასის სწრაფი ამოწყვეტისა.

შემდეგ პრელატმა-გუბერნატორმა აცნობა ინდიელთა ბელადს სიმამაცისა და კაცთმოყვარეობის ამბავი და ურჩევდა იგი დაეყოლიებინათ მშვიდობიანი შეთანხმებით, თუნდაც დიდი დათმობითაც კი, ცოტათი მაინც აენაზღაურებინათ ენრიკილიოსა და მისი ინდიელებისთვის მიყენებული ზარალი, რომლებმაც დაკარგეს თავისუფლება და ქონება, ზოგიერთებმა სიცოცხლეც.

სან-მიგელი წავიდა ბაორუკოში. პირობა დადო, რომ აასრულებდა პრელატის კეთილშობილურ მითითებებს. ძველი მებრძოლის ენერგია და დაჟინება, რამაც მას შეაძლებინა შეეღწია სახელგანთქმული სიერას მრისხანე ხეობაში, აღფრთოვანებას იმსახურებს. თავის მშვიდობიან ლაშქრობაში მან გამოავლინა უფრო მეტი სითამამე და სიმამაცე, ვიდრე მისმა წინამორბედებმა, რომლებიც იარაღის ძალით ეცილებოდნენ ბაორუკოს დამცველებს მთების კბოდეებს.

ზღვით ჩავიდა ხაკიმოს ნავსადგურში სან-მიგელი, ისარგებლა უდარდელობით ინდიელებისა, რომლებსაც ეკავათ ამბოხებული ტერიტორიის ეს ნაწილი. იგი ამ ადგილებს იცნობდა იმ დროიდან, როცა დიეგო ველასკესს ახლდა გუაროას წინააღმდეგ ლაშქრობაში, და უეცრად შეიჭრა მთებში.

აი, რატომ გაუადვილდა მას მთების ლაბირინთების თითქმის შუაგულამდე მისვლა, რითაც დიდი არეულობა გამოიწვია ენრიკილიოს ქვეშევრდომებს შორის, რომლებსაც სიფრთხილე დავიწყებოდათ. მაგრამ ინდიელები დამშვიდდნენ. როცა გაიგეს, რომ სან-მიგელმა შეიწყნარა ტყვედ ჩავარდნილი ინდიელები, დაკითხა, სად იყო მთავარი ბელადის ადგილ-სამყოფელი და გაანთავისუფლა ისინი, აგრეთვე სასტიკად უბრძანა თავის ჯარისკაცებს არ გაეჩანაგებინათ გზად შეხვედრილი ყანები და ბოსტნები და აეღოთ ის, რასაც პატრონები თავიანთი ნებით მიჰყიდიდნენ. ასე მოახერხა მან ორი-სამი დღის გან-

მაკლობაში, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მისულიყო ბურენში, ენრიკილიოსა და მენსიას საცხოვრებელთან ახლოს.

იქ იგი შეხვდა ამბოხებულთა რაზმს, რომლებმაც მტკიცედ გადაუღობეს გზა. მათ ხელმძღვანელობდა ალიფარო, ინდიელთა ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავარი. მან უარი განაცხადა სან-მიგელთან მოლაპარაკებაზე, მის ხალხს სროლა აუტეხა შურდულითა და არბალეტით და საბრძოლველად იწვევდა მათ.

მაშინ კასტილიელების უფროსმა უეცრად შეუტია ალიფაროს და ხელთ იგდო მის მიერ დაკავებული სიმაღლე. ხეობის დამცველები შეაშინა ენრიკილიოს სიცოცხლის საფრთხემ. კასიკს შიკრიკი გაუგზავნეს და შეატყობინეს მტრის შემოკრა. არასოდეს, აჯანყების განმავლობაში მტერს არ მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის. ენრიკილიომ, როცა ცუდი ამბავი შეიტყო, არ დაკარგა ჩვეულებრივი სულიერი სიმშვიდე და ვასა გაგზავნა რაზმების მოსაგროვებლად, რომლებიც მთავარ ხეობას იცავდნენ. თვითონ კი სათავეში ჩაუდგა მასთან მყოფ რამდენიმე მებრძოლს, შემოირტყა ხმალი და ორი ახალგაზრდა საჭურველმტვირთველის თანხლებით, რომლებსაც მისი საბრძოლო შუბები მოჰქონდათ, სან-მიგელის შესახვედრად გაეიდა. სან-მიგელს თავისი ხალხი ალიფაროს ახალ პოზიციაზე საიერიშოდ მიჰყავდა.

უნდა გენახათ, მამაცი, ბრძოლებში გაპაღარავებული მოხუცი მეომარი, მძიმე საომარი აღჭურვილობით, რომელიც თავის ჯარისკაცებს სიმარდისა და უშიშროების მაგალითს აძლევდა, როგორ ამოდიოდა მთის გრეხილზე, როგორც თავისი სიჭაბუკის საუკეთესო დღეებში. ენრიკემ იგი შორიდანვე შენიშნა. კასიკმა, რომელიც როგორც ყოველთვის, ქედს იხრიდა სიდიადის წინაშე, გადაწყვიტა, თუ უკიდურესად აუცილებელი არ იქნებოდა არ შებრძოლებოდა მამაც მოხუცს.

თავის ხალხთან ერთად დაიკავა მაღალი მთის თხემი, ციცაბო ფერდობის პირდაპირ, რომელზედაც ესპანელი მებრძოლი ამოდიოდა. ორ უზარმაზარ კლდეს შორის უფსკრული იყო, რომლის პირჭუში სიღრმიდან მძლავრი ნაკადის მრისხანე ღრიალი ისმოდა.

ერნანდო დე სან-მიგელმა გაჭირვებით მიაღწია უღელტეხილს, მოულოდნელად დაინახა მის წინ აღმართული უძრავი ქანდაკება და გაშეშდა მისი მეომრული შესახედაობის მნახველი. ენრიკილიო ნამდვილად გავდა ქანდაკებას. იდგა იგი აბჯარასხმული, მარჯვენა ხელით დაყრდნობოდა ფოლადის მოელვარე შუბს, მეორე ხელი თამამად დაედო ხმლის ვადაზე, მშვიდად და აუშფოთებლად ადევნებდა იგი თვალს კასტილიელების დაძაბულობას, რომლებიც სახიფათო ციცაბო კლდეზე ცოცვით მიჰყვებოდნენ უკან თავიანთ დაუღალავ ბელადს. მზე, შუადღის თვალის მომჭრელი მზე, სინათლის ტალღად

ევლებოდა მშვენიერ სურათს და ელაქდა ინდიელ მებრძოლთა ფოლადის შუბებსა და კასტილიელ ჯარისკაცთა მბზინავ აღჭურვილობაზე.

— ვინ არის ეს? ენრიკილიო? — დაუყვირა მას სან-მიგელმა.

— დიახ, მე ვარ ენრიკე, — უბრალოდ უპასუხა კასიკმა.

— მე ხომ თქვენ გეძებთ, დიდ არს უფალი! — ჩაიბუზღუნა მოხუცმა კაპიტანმა.

— დიდება ღმერთს, რომ მიპოვა, ვინც მეძებდა, — უპასუხა ენრიკილიომ, ისე რომ არ განძრეულა. — თქვენ ვინ ხართ? — ჰკითხა მან.

— მე ერნანდო დე სან-მიგელი ვარ, მეფის სამსახურის კაპიტანი და გამომგზავნა გუბერნატორმა სენიორ ეპისკოპოსმა რამირესმა, რომ დაგითანხმოთ ზავზე, მაგრამ თუ თქვენ, თქვენი მეამბოხური მოქმედებით გაჯიუტდებით, უნდა გამოგიცხადოთ დაუნდობელი ომი.

— სენიორ კაპიტანო სან-მიგელ, — შეეპასუხა ენრიკილიო, — თუ ზავისთვის მოხვედით, რატომ ლაპარაკობთ ომზე?

— ზავისთვის მოვედი, სენიორ ენრიკილიო, — შერბილებული ტონით თქვა სან-მიგელმა, — და ღმერთი არ დაუშვებს, რომ თქვენთან ომი მომიხდეს.

— რა პირობებს მთავაზობთ, იარაღის დასაყრელად? — ჰკითხა ენრიკემ.

— მეგობარო, — ჯარისკაცური პირდაპირობით უპასუხა მოხუცმა. — სალაპარაკო ბევრია, მზე კი საცაა ტევინს აგვიდუღებს.

— გნებავთ თუ არა, ახლოს მივიდეთ ერთმანეთთან?

— რა თქმა უნდა, სწორედ ამისთვის ვარ მოსული.

— მაშინ, უკან გაგზავნეთ თქვენი ხალხი. ორივე მხარეს თითო მეთვალყურე დარჩეს, და აი, იმ ხის ჩრდილში შეგვიძლია მშვიდად მოვილაპარაკოთ.

— თანახმა ვარ, კასიკო, — უპასუხა სან-მიგელმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ენრიკილიო უკვე მთის ძირას იყო, იგი შუბზე დაყრდნობით გაბედულად გადახტა ნაკადზე, და ესპანელი მხედართმთავრის ახლოს აღმოჩნდა.

— ჩინებული ნახტომია, კასიკო, დიდ არს უფალი! — შეჰყვირა გაოცებულმა სან-მიგელმა.

— ჩემ ასაკში, ალბათ, უკეთესად ხტებოდით, კაპიტანო, — თავაზიანად უპასუხა ენრიკილიომ. — მე ვნახე ჭაბუკივით რომ ადიოდით და ჩამოდიოდით კბოდეებზე.

— მაინც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვერ ვიხსენებ, რომ ასეთი ნახტომი მენახოს, — შეედავა მოხუცი მებრძოლი. — მაშ, ვილაპარაკოთ საქმეზე.

მან პირდაპირ და გულღიად უამბო ენრიკილიოს გუბერნატორის

დავალების არსი. კასიკს წინადადება ეძლევა დაყაროს იარაღი, ამასთან ერთად, თვითონ პრელატი, ენრიკილიოს დიდი ღირსებების პატივისცემის გამო, რომელიც მან გამოიჩინა აჯანყების პერიოდში, გაუწევს მას უსაზღვრო დახმარებას და მხარდაჭერას, პირობას იძლევა შეუნარჩუნოს სრული კეთილდღეობა, ღირსებები და თავისუფლება მას და მთელ ინდიელებს, რომლებიც იბრძოდნენ და ცხოვრობდნენ მისი მეთაურობით.

გარდა ამისა, იგულისხმებოდა, რომ კასიკი დააბრუნებდა ოქროს, რომელიც გაიტაცეს ესპანეთის გემიდან და ბოლოს მოუღებდა ტამაიოს მძარცველობას.

ენრიკე, როგორც ყოველთვის, ცოტას, მაგრამ კარგად ლაპარაკობდა. მან თქვა, რომ არ სძულს ესპანელები, პირიქით, უყვარს ბევრი მათგანი და მადლობელია მათი. მაგრამ ბოროტი ადამიანები უფრო მეტია, ვიდრე კეთილები, და ისინი ძლიერნი არიან, ამიტომ თავისუფლებისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად იგი იძულებული იყო დანდობოდა იარაღის ძალას და სიერას მიუდგომლობას, სადაც ისეთი არაფერი ჩაუდენია, რაც სანანებლად გაუხდებოდა. დასძინა, რომ მზად არის დაეთანხმოს სენიორ ეპისკოპოსის წინადადებას, მან მხოლოდ დრო ითხოვა ყველა დაბრკოლების მოსაწესრიგებლად შეიარაღებისთვის, რაზედაც არასოდეს დათანხმდებოდა. დარწმუნებული თუ არ იქნებოდა, რომ მისთვის დაპირებულ სიკეთეს ყველა მისი თვისტომი გაინაწილებდა.

რაც შეეხება ტამაიოს მოთვინიერებას, კასიკმა პირობა მისცა გააკეთებდა ყველაფერს, რაც მასზე იყო დამოკიდებული. მატერიკიდან მოტანილი ოქრო და მარგალიტი მზადაა დაუბრუნოს დაუყოვნებლივ, თუ მისცემენ სიტყვას, რომ ბაორუკოს აღარ შეაწუხებენ ახალი შეიარაღებული თავდასხმებით. სან-მიგელი დათანხმდა ასეთ პირობებზე, და მათ მოილაპარაკეს, რომ მეორე დღეს მითითებულ ადგილზე ენრიკილიო სან-მიგელს გადასცემდა განძს, რომელმაც სიმშვიდე დაუკარგა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ დიდად არ აინტერესებდათ ბაორუკოელ ამბოხებულებს.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ენრიკილიო და სან-მიგელი მეგობრულად დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ორივე დაუბრუნდა თავის ჯარს. ამ დროს, გაისმა ზღვის ნიჟარების შორეული ნიშანი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ვასას მოჰყავდა მთებში მოგროვილი რაზმები. ენრიკილიომ სიფრთხილისთვის ყველა მებრძოლი თავისთან დაიტოვა.

მეორე დღეს, შეთანხმებულ დროსა და ადგილზე, მარტინ ალფაროსა და შეიარაღებულ ინდიელთა ბადრაგობით მიიტანეს ყბადაღებული განძი. ის ელაგა სქელ ჰილობზე, მწვანე ტოტების ჩარდახის

ქვეშ, უცნაურად გამოიყურებოდნენ ერთად დაყრილი ოქროს ზოდები და მოციმციმე თეთრი მარგალიტის გორა ამ უხეშ ქვეშსაფენზე. ირგვლივ ეწყო სხვა ჭილობები ანდა ტოტებისგან გაკეთებული ფარები, მათზე კი — უხვი საჭმელი კასტილიელი სტუმრების გასამასპინძლებლად.

ექსპედიციის წარმატებით კმაყოფილი სან-მიგელი მოვიდა თავისი ბრწყინვალე მებრძოლების თანხლებით, რომლებიც გაშლილი დროშებით, მარშით მოდიოდნენ, საყვირისა და დოლის საბრძოლო ხმებზე. გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ენრიკილიოს გულში, რომელიც კაპიტანს ჩარდახის ქვეშ ელოდებოდა, ეჭვებმა გაიღვიძა. როცა დაინახა საზეიმო სვლა და გემი, რომელიც ნაპირს უახლოვდებოდა აფრებგაშლილი, ლაშქრობის მონაწილეთა წასაყვანად და დაბრუნებული განძის წასაღებად, მიუნდობელმა კასიკმა ტყეს შეაფარა თავი, უეცარი შეუძლოდ გახდომის გამო. ჩვენ უფრო აზრიანად მიგვაჩნია, ენრიკილიოს ხასიათისა და საქმის ვითარების მიხედვით ეიფიქროთ, რომ ფრთხილმა კასიკმა, რომელსაც არ სურდა შეებოჭა თავი საბოლოო შეთანხმებით, უმჯობესად მიიჩნია საერთოდ არ გამოჩენილიყო, ზემოთ ხსენებული მიზეზის საშუალებით. ერნანდო დე სან-მიგელი, თუმცა შეწუხებული იყო ენრიკილიოს არყოფნით, პატივი სცა გამასპინძლებას და თავის თანამებრძოლ ამხანაგებთან ერთად დაბანაკდა სანტო-დომინგოში, არანაკლებ ამაყი, ვიდრე პავლე ემილიუსი იყო, რომელმაც რომში ჩაიტანა მთელი სიმდიდრე დამარცხებული მაკედონელის სამეფოსი. მაგრამ მოხუც კაპიტანს არ დახვდა ისეთი მიღება, როგორიც დაიმსახურა. ენრიკილიოს სინდისიერებაზე ლაპარაკობდნენ მთელ კუნძულზე, მისი სახელი ჭუხდა მთელ ესპანურ სამყაროში და მას თან სდევდა ქება და ლოცვა-კურთხევა. ასეთია ოქროს ძალა! ამასობაში ბედუკუღმართ სან-მიგელს მხოლოდ მწარე საყვედურები ესმოდა მის თითქოს უპკუო და თავდაუპერელ ზეიმზე, რითაც მოხუც მებრძოლს უნდოდა ედღესასწაულა ინდიელებთან მშვიდობიანი შეთანხმება. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ამ გულუბრყვილო საქციელმა ხელი შეუშალა კასიკის დამორჩილებას. ასეთია უმადურობის ძალა!

LI

ზავი

ენრიკილიოს არ გასძნელებია ისევ დაემორჩილებინა დაუკებელი ტამაიო. მასთან შიკრიკად გაგზავნა თავისი ძმისწული რომერო, და — რამდენადაც გულღრძო ინდიელი უკვე დაკმაყოფილდა სისხლიანი შურისძიებით, ბადილიო და ყველა ყოფილი ტირანები წა-

ვიდნენ ლა მაგუანიდან მისი ვეფხვის ნახტომივით უეცარი თარეშის შიშით, რომელიც აჩანაგებდა მათ ასიენდეებსა და ემუქრებოდა მათ სიცოცხლესაც, — ტამაიომ, რომელსაც სულითა და გულით უყვარდა ენრიკილიო და ისევ მასთან უნდოდა ყოფნა, გაიხარა, როცა წერილი მიიღო, რომელიც მას ბაორუკოში უხმობდა, სასწრაფოდ გაუდგა გზას თავის ხალხთან ერთად, სურსათის დიდი მარაგით, იარაღითა და სხვა ძვირფასეულობით დატვირთული, რაც წარმატებული თარეშების დროს მოიპოვა. მას შემდეგ არასოდეს მიუცია ენრიკილიოსთვის მასზე საყვედურის საბაბი და ყველაფერში ემორჩილებოდა მას, იძლეოდა გამგონიანობისა და თვინიერების მაგალითს.

თუმცა სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ტამაიოსა და დანარჩენ ამბოხებულთა სულში ჩაქრა მეომრული გრძნობა: პადრე რემიხიოს მისიამ და ხანმოკლე მშვიდობიანმა ლაშქრობამ სან-მიგელისა, ყოველად სასიამოვნო ხსოვნა დატოვა. ახლა ინდიელები ხშირად ჩამოდიოდნენ დაბლობში და თითქმის თავისუფლად იქცეოდნენ მახლობელ დასახლებათა მცხოვრებლებთან. ენრიკილიოს მომწიფებულმა აზროვნებამ გადაწყვიტა წასულიყო საბოლოო შეთანხმებაზე, რომელიც სრულ თავისუფლებას მოუტანდა ესპანიოლის ყველა ინდიელს — ეს იყო მისი კეთილშობილური მოლოდინის დიდი ხნის მიზანი, რომელიც მოევლინა დაღლილი წარმოსახვის გაურკვეველ ოცნებად. ყოველდღე მოსალოდნელი იყო მისი დაღუპვა: სიკვდილი ადრე თუ გვიან მაინც უხმობს მას. მაშინ რა ელის მას საღმერთებელ მეუღლეს? რითი დამთავრდება ბაორუკოში აჯანყება ლარიბ ინდიელთათვის? თუ მის მიწიერ სიცოცხლეში, იგი, ენრიკილიო, თავისი გმირობისა და კაცთმოყვარეობის წყალობით მოიპოვებს კასტილიის მეტროპოლიიდან თავისუფალ ადამიანთა უფლების საზეიმო აღიარებას, ესპანიოლის ყველა მკვიდრთათვის, მაშინ, განა შეიძლება, ისურვო უკეთესი ჯილდო და უკეთესი გვირგვინი მისი გოლიათური გმირობისათვის?

ასეთი იყო ბაორუკოს მრავალწლიანი აჯანყების დასასრული. ერთ მშვენიერ დღეს, ესპანიოლის დედაქალაქში ჩამოვიდა სახელოვანი კაპიტანი ფრანსისკო დე ბარიო-ნუევო. იგი გამოგზავნა სახელგანთქმულმა იმპერატორმა და მეფემ, თავისი იტალიის ლეგიონის ორას ძველ მებრძოლთან ერთად, სწორედ იმ გემით — „იმპერიალით", რომლითაც ძლევამოსილი მბრძანებელი ახლახან დაბრუნდა გერმანიის სამფლობელოებიდან ესპანეთში.

ბარიო-ნუევომ მონარქისაგან მიიღო გარდაუვალი განკარგულება დაეშოშმინებინა კუნძული და დაეყოლიებინა კასიკი ენრიკე სასიამტკბილო შეთანხმებაზე. დიდსულოვანმა კარლოს V-მ ინება ენრიკილიოსთვის გამოეგზავნა წყალობის სიგელი, რომელშიც გამოთქვა

პატივისცემა მისი დიდი პირადი ღირსებისადმი და საფუძვლიანად სცნო მიზეზები, რომლებმაც აჯანყება გამოიწვია. მეფე დაპირდა სრულ პატიებას და შეუზღუდავ თავისუფლებას კასიკს და მის თანამებრძოლებს; სთავაზობდა მიწას და საქონელს სამეფო სამფლობელოდან, კუნძულის იმ ნაწილში, რომელსაც დონ ენრიკე ისურვებდა. მისთვის და ყველა მისი ქვეშევრდომისთვის, რომელთა მმართველი იქნებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ენრიკესთვის ეს მოწონების შემცველი და საპატიო წერილი იმპერატორს ჩააგონეს ეპისკოპოს-გუბერნატორ რამირესის შეტყობინებამ, მოსამართლე ალონსო სუასომ და ესპანიოლის სხვა ხელისუფლებმა.

ბარიო-ნუევომ თავისი რწმუნებულება გამოუცხადა კუნძულის მოსამართლეებსა და მეფის მოხელეებს, რომელნიც შეიკრიბნენ განსვენებული დონ დიეგოს და დონია მარია დე ტოლედოს ვაჟიშვილის, ახალგაზრდა ადმირალის ლუის კოლუმბის თავმჯდომარეობით. ეპისკოპოსი რამირესი ამ დროისთვის დანიშნული იყო მექსიკაში, სადაც დაამტკიცა საყოველთაო დიდი აზრი თავის სათნოებასა და პოლიტიკურ ტალანტზე.

ზემოთხსენებულ შეკრებილობაზე დიდხანს იმსჯელეს, როგორ შეესრულებინა მონარქის ნება-სურვილი, რადგან ბარიო-ნუევოს არავისთვის არ უნდოდა დაეთმო მთებში, ენრიკილიოსთან საზავო მოლაპარაკებისთვის პირადად წასვლის სახიფათო პატივი. ღირსეულმა კაპიტანმა განახორციელა თავისი განზრახვა, მრავალი სიძნელე და საფრთხე გადაიტანა, რადგან ბაორუკოს ფრთხილი ბელადი დიდხანს გაურბოდა მეფის ელჩთან შებვედრას და ამაზე თანხმობა განაცხადა მხოლოდ ბარიო-ნუევოს მოთმინებითა და უშიშროებით ძლეულმა, რომელიც მასთან მივიდა სრულიად მარტო, სიკვდილისადმი ზიზღი გამოავლინა და ერჩივნა „მომკვდარიყო ინდიელთა ძებნაში, — როგორც უთხრა მან თავის დამფრთხალ თანამგზავრებს, — ვიდრე თავისი მოვალეობა ცგულებელეყო იმით, რომ არ შეესრულებინა განკარგულება მბრძანებლისა, ამ მხარის დაშოშმინების შესახებ".

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენთვის ცნობილი ყველა გარემოების მიხედვით, სრულიად მეგობრული იყო. ენრიკილიომ, მორჩილების ნიშნად, თავზე დაიდო იმპერატორის წერილი და გულთბილად გადაეხვია მამაც ელჩს, რომლის მიმართ კასიკის ყველა მოადგილემ გამოავლინა გულწრფელი მეგობრობის ასეთივე ნიშანი.

სამი დღე იყო სტუმრად ფრანსისკო დე ბარიო-ნუევო ენრიკილიოსთან და მის მეუღლესთან და წავიდა მათგან მას შემდეგ, როცა კასიკთან დადო საზეიმო შეთანხმება, რომელიც დამყარებული იყო მისი იმპერატორობითი და მეფური უდიდებულესობის მიერ მიცემულ დაპირებებსა და შეთანხმებებზე. წარმატებას მიაღწია დაშოშმინე-

ბელმა და ზღვით დაბრუნდა სანტო-დომინგოში. მის მიერ მოტანილმა ამბავმა მთელ კოლონიაში გამოიწვია ზეიმი. ენრიკილიოს და მენსიას დედაქალაქიდან გაუგზავნეს საჩუქრად განძეულობა, აბრეშუმი, წმინდანთა ქანდაკებები როგორც ბარიო-ნუევოსგან, ასევე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან.

პადრე ბარტოლომე ლას კასასი იზიარებდა ბედნიერ ამბავთან დაკავშირებულ საერთო სიხარულს. უზენაეს სასულიერო პირთაგან მიიღო ნებართვა და გაემგზავრა ბაორუკოში, სადაც ენრიკე, მენსია და სიერას ყველა მცხოვრები შეხვდა მას ქება-დიდებითა და სიმღერებით. როგორც ინდიელთა მფარველ ანგელოზს. ლას კასასმა ორი კვირა გაატარა მთებში, ატარებდა წირვას, კითხულობდა ქადაგებებს, ასრულებდა საიდუმლოებებს. გარდა ამისა, ლას კასასმა დაარწმუნა ენრიკილიო დაეგვირგვინებინა დაწყებული საქმე და გამოსულიყო თავშესაფარიდან, სრული ზავის დასადებად ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიდსულოვანი მონარქისა, რომელმაც თავისი გულმოწყალება და გულუხვობა დაამტკიცა. ბრმა ნდობამ, რასაც განიცდიდა ენრიკილიო ღირსეული მოძღვარისადმი, ხელი შეუწყო მას დაეძლია უკანასკნელი ეჭვები, და გადაწყვიტა თავის მფარველთან ერთად წასულიყო ასუაში, სადაც დიდი პატივით შეხვდნენ რეხიდორები და მთელი მოსახლეობა, რომლებიც ერთხმად ადიდებდნენ ბაორუკოს გმირის სიმამაცეს და სათნოებას.

ასუას ეკლესიაში მონათლა ტამაიო ლას კასასმა. მამაცი ინდიელი მოიქცა მას შემდეგ, როცა ერნანდო სან-მიგელისა და ფრანსისკო ბარიო-ნუევოს მაგალითზე ნახა, რომ ესპანელი საუკეთესო მეომრები კაცთმოყვარე და კეთილისმსურველნი ყოფილან, მაშინ კი როცა ენრიკილიოსთვის კარლოს V-ს მიერ გამოგზავნილი წერილის ამბავი გაიგო, დარწმუნდა, დიდი ქრისტიანი მეფეები ჰეშმარიტად დიდსულოვანნი არიანო. ასუაში ყოველი ნანახით დაკმაყოფილებული ენრიკე დაბრუნდა ბაორუკოში და შეუდგა კაპიტან ბარიო-ნუევოსთან შეთანხმების შესრულებას. ერთი დღე უძღვნა უკვდავ გუაროას საფლავზე ლოცვას. ამ საათებში ცოცხლის სული შეუერთდა განსვენებულის სულს! მერე კასიკმა შეკრიბა თავისი ხალხი და გაიყვანა ისინი სტუმართმოყვარე თავშესაფრიდან. როცა დიდებული მთები თითქმის მოეფარა თვალს, ენრიკე მიბრუნდა და უკანასკნელად შეაცქო თვალი მათ. „მშვიდობით“! — გაისმა ძლივს გასაგონად, და მსხვილი ცრემლები შეუმჩნევლად დაგორდნენ ბელადის ვაჟკაცურ სახეზე.

ასეთი იყო სახელგანთქმული აჯანყებები ენრიკილიოსი, რომელიც ცამეტ წელზე მეტხანს ძლევამოსილად ეწინააღმდეგებოდა იარაღის ძალას, ცბიერებასა და ცრუ დაპირებებს. დიდი მონარქის სამართლი-

ანობამ და გულმოწყალებამ, დამსახურებული მეომრის მოთმინებითმა უარის თქმამ ყველაფერზე, იპოვეს ერთადერთი გზა თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ, დატანჯული რასის მამაცური პროტესტის დასაკმაყოფილებლად. გაკვეთილი — რომელიც სასარგებლო არ აღმოჩნდა, მაგალითი — რომელმაც ცოტას ასწავლა. გამოცდილებით ნაკურთხმა, მისმა დიდმა ზნეობრივმა ძალამ აღიარება ჰპოვა მხოლოდ ჩვენ დროში, სამნახევარი საუკუნის შემდეგ.

დონ ენრიკესა და მისი მეუღლის სანტო-დომინგოში გადასვლა გადაიქცა განუწყვეტელ ზეიმად, რითაც ერთმანეთის დასწრებით გზად მდებარე ყოველი სოფლის მცხოვრებნი ცდილობდნენ პატივი ეცათ მათთვის. ქალაქში, ხელისუფლებამ, კრებულმა და მოქალაქეებმა მათ მდიდრული და აღფრთოვანებული მიღება გაუმართეს: ყველას უნდოდა დაენახა ბედნიერი ბელადი და მიეღოცა მისთვის.

ენრიკე და მენსია ბევრ ძველ მეგობარს შეხვდნენ, მათ შორის, მათ მუდამ მოსიყვარულე დონია ლეონორს და ელვირა პიმენტალს — ამჟამად მონანიებული ცოდვილის, ანდრეს დე ვალენსუელას ქვრივს.

ბაორუკოში პირობები მტკიცედ შეასრულა ესპანეთის ხელისუფლებამ და დონ ენრიკემ თავის რეზიდენციად აირჩია ლამაზი და ნაყოფიერი ადგილი სიბაოს მთის ძირას, სანტო-დომინგოსთან ახლოს. იქ მან დააარსა ქალაქი, რომელიც ამჟამადაც არსებობს, სანტა მარია დე ბოიას სახელწოდებით — კურთხეული თავშესაფარი, სადაც, როგორც იქნა, იგრძნეს მშვიდობა და თავისუფლება ჰაიტის უბედური ტომის ნარჩენებმა. ესპანეთის მთავრობის გონივრულმა პოლიტიკამ გაიმარჯვა კოლონიაში, და კარლოს V-ის ნება-სურვილმა სრულიად იზეიმა.

სიკვდილამდე დონ ენრიკე მართავდა ამ ქალაქს, რომელიც ოთხი ათას მცხოვრებს ითვლიდა (ასეთი იყო ესპანიოლის ინდიელთა გადარჩენილი მოსახლეობა). მაგრამ თავისი დიადი გამარჯვების შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია; ვერც თვისტომთა სიყვარულმა და თაყვანისცემამ, ვერც ესპანელების გულწრფელმა პატივისცემამ ვერ შეძლო იგი წაერთმიათ უმოწყალო სიკვდილისთვის.

გმირი დიდებულად დაასაფლავეს სანტო-დომინგოში. მისმა კეთილმა, მშვენიერმა მეგობარმა ღრმა მოხუცობამდე იცოცხლა და დიდი ხნის მანძილზე აღბეჭდა თავისი ცოლქმრული ერთგულება. ლამაზი ეკლესია ააშენა ბოიაში, რომელიც ენრიკილიოს ნეშტს ღირსეულ აკლდამად მოემსახურა.

ეს სახელი ცოცხლობს და იცოცხლებს საუკუნეების მანძილზე. მას გვაგონებს დიდი ტბა, რომელსაც სახელი კასიკის პატივისცემით დაერქვა. ბაორუკოს დიდებული მთები, რომელთაც ღრუბლებამდე აუტყორცნიათ თავიანთი მრისხანე მწვერვალები, მშვენიერი დუმილით, სამარადისოდ ადიდებენ ენრიკილიოს ჩაუქრობელ ხსოვნას.

კომენტარები

გვ. 8. **ფრანსისკო როლდანი** — კოლუმბის პირველი ზღვაოსნობის მონაწილე, ესპანიოლის ერთ-ერთი გაელენიანი კოლონისტთაგანი, ეკავა კუნძულის მთავარი მოსამართლის თანამდებობა. 1496 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც კოლუმბი დროებით წავიდა ესპანიოლიდან და თავის მესამე ექსპედიციაში გაემგზავრა, ოზაბელაში უკიდურესად გამწვავდა მდგომარეობა. ესპანელი კოლონისტები ციებ-ცხელებისგან იტანჯებოდნენ, ესპანეთიდან ჩამოტანილი მარაგი იწურებოდა; ქრისტეფორე კოლუმბის ძმამ ბარტოლომემ, რომელიც კუნძულის მმართველად იყო დატოვებული, კოლონიისთვის მდგომარეობის შემსუბუქების სურვილით, მიიღო ზომები, რომელმაც ახალმოსახლეთა გაღიზიანება გამოიწვია. როლდანი აშკარად გამოდიოდა ბარტოლომე კოლუმბის წინააღმდეგ. მეამბოხეთა ბანდამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დაარბია საწყობები, ხელთ იგდო არსენალი, დახოცა საქონელი და შემდეგ ვეგა-რეალის ველისკენ გაემართა, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხელში ჩაიგდებდნენ იქ ცოტა ხნის წინ აშენებულ ციხე-სიმაგრე კონსეფსიონს. ამ ცდის განხორციელება ვერ მოახერხეს, და როლდანი გაიქცა კუნძულის სამხრეთში, ხარაგუაში, სადაც ისა და მისი დამჭაშები საშინელ ბოროტმოქმედებებს სჩადიოდნენ — სწვაედნენ ინდიელთა სოფლებს, აუპატიურებდნენ ქალებს, მშვილდ-ისრით ცოცხალი სამიზნით სროლაში ვარჯიშობდნენ.

როცა კოლუმბი 1498 წლის 31 აგვისტოს დაბრუნდა ესპანიოლაში, სცადა მშვიდობიანად მოლაპარაკებოდა როლდანს. 1498 წლის ნოემბერში მასთან შეთანხმებაზე მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვით მის მომხრეთა უმრავლესობას დაპირდნენ კასტილიაში გაგზავნას სახელმწიფო ხარჯზე. გემი, რომელსაც 1499 წლის იანვარში როლდანის მომხრეები უნდა ჩაეყვანა ესპანეთში, ქარიშხალმა ნაფოტებად აქცია. მაშინ როლდანმა შეთანხმება გაუქმებულად გამოაცხადა. ამბოხება გრძელდებოდა, და მხოლოდ 1499 წლის სექტემბერში, სოფელ ასუაში, ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას, რომლის მიხედვით როლდანს - უნარჩუნებდნენ მთავარი მოსამართლის თანამდებობას; მისმა ას ორმა მომხრემ მიიღო მიწის დიდი ნაკვეთი ინდიელებთან ერთად, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ ამ ნაკვეთებზე, ეს რეპარტიმიენტო თავისი მასშტაბით აღემატებოდა 1496 და 1497 წლების განაწილებას, ამასთან ერთად „როლდანისტებმა" მიიღეს მიწები და ინდიელები კუნძულის სხვადასხვა ნაწილში.

გვ. 23. **დიეგო ველასკესი** (1465—1522) ესპანიოლაში ჩამოსვლამდე დაეგო ველასკესი ჩვიდმეტი წელი მსახურობდა კასტილიის არმიაში და მონაწილეობდა საფრანგეთთან და გრანადის მავრებთან ომებში. იგი ესპანიოლაში ნიკოლას ოვანდოს მარკვენა ხელი იყო. ჩაატარა რამდენიმე ლაშქრობა ხარაგუასა და კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ მხარეებში. 1511 წელს გაგზავნეს კუბაზე, დაიპყრო იგი, დააარსა ქალაქები სანტიაგო და ჰავანა და დაინიშნა ამ კუნძულის გუბერნატორად. ველასკესი იყო ერთ-ერთი სასტიკი კონკისტადორი და თავისი ლაშქრობების დროს მძვინვარედ უსწორდებოდა ინდიელებს, ლას კასასი, რომელიც მონაწილეობდა კუბის კამპანიაში, კიცხავდა ველასკესს სასასტიკისთვის და, კერძოდ, ამისთვის,

რომ იგი ცოცხლად წვაყდა ინდიელებს. როცა ველასკესმა, ვიდრე კახაკ ატუეის კოცონზე გაგზავნიდა, მას რწმენება დაუწყო მიეღო ქრისტიანობა, მან უპასუხა „არ მინდა ქრისტიანი ვიყო, რადგან მაშინ საიქიოში ისევ მომიხდება შეხვედრა ისეთ სასტიკ ადამიანებთან, როგორიც შენა ხარო.

გვ. 34. იგუანა — დიდი ხელია, რომელსაც ძალიან გრძელი კუდი აქვს. ბინადრობს ანტილის კუნძულებზე და სამხრეთ ამერიკაში. ინდიელები ესპანიოლებს სიამოვნებით ჰპმდნენ მის ხორცს.

გვ. 35. ლიცენციატი — სამეცნიერო ხარისხი, რომელიც უნივერსიტეტებში ლექციის წაკითხვის უფლებას იძლეოდა.

გვ. 42. კასკაია (ხალხთა კუნძულები) — ძველი, ესპანელებამდელი სახელი ესპანიოლისა. მისი მეორე, ჩვენ დროში ოფიციალურად მიღებული სახელია — ჰაიტი (ბორცვების ქვეყანა). კაონაბო — ტომთა კავშირის უფროსად (კასიკე) მყოფი გუანახა მხარეში. გუარიონექსი — ტომთა კავშირის კასიკი მაგეას მხარეში. მაიობანექსი და ატუეი — ინდიელთა ბელადები, რომლებმაც სხვენ გაითქვეს კონკისტადორებთან ბრძოლაში. ატუეი ესპანიოლიდან კუბაში გაიქცა და იქ აქტიურად ებრძოდა ველასკესის წინააღმდეგ. კლიო — ძველბერძნულ მითოლოგიაში — ისტორიის მუზა.

გვ. 44. დიეგო მენდესი — კოლუმბის მეოთხე, უკანასკნელი ზღვაოსნობის მონაწილე, დიდი ზღვაოსნის ერთგული მეგობარი, რომელმაც უბრუნველყო მთელი მისი ექსპედიციის ხსნა. ცენტრალური ამერიკის სანაპიროებიდან ევროპისკენ მომავალი კოლუმბი იძულებული გახდა შეჩერებულიყო იამაკაში, ამიტ დროს ექსპედიციის გემები ხმელეთზე გახდა ამოსათრევი — ზღვაოსნობის გამაგრძელებლად ისინი უეარგისნი აღმოჩნდნენ. დიეგო მენდესი და გენუელი ბართოლომეო ფრესკო, კოლუმბის დაქალებით, კანოეთი გაემგზავრნენ ესპანიოლაში: იქ დიეგო მენდესმა დაძლია წინააღმდეგობა ოვანდოსი, რომელსაც არ სურდა დამორჩილებოდა ინდოეთის ყოფილ მმართველს, იყიდა გემი, დატვირთა იგი საკვები მარაგით და გაემგზავრა იამაიკაში. კოლუმბმა მენდესის ნაყიდ გემით ესპანეთამდე მიაღწია. იამაიკაზე მან მთელი ერთი წელი დაყო. მენდესმა კოლუმბის შემდეგ დიდხანს იცოცხლა და თავის ანდერძში, რომელიც შედგენილია 1536 წელს, აღწერა მეოთხე ზღვაოსნობის ამბები.

გვ. 47. გრანადა — მაურიტანული სახელმწიფოს დედაქალაქი სამხრეთ ესპანეთში, რომელიც დაიპყრეს იზაბელამ და ფერდინანდმა 1492 წელს.

ისტორია ესპანეთის, უფრო ზუსტად „სანტიაგო დასერია ესპანეთის" („წმიდა იაკობი და ესპანეთის დაცვა") — რეკონკისტის მეომრული საბრძოლო შეძახილი; ამ შეძახილით საბრძოლველად მიდიოდნენ სიდ კომპეადორის მებრძოლები XI საუკუნეში.

გვ. 53. იგუეი — ესპანიოლის აღმოსავლეთ ნაწილის მხარე, იგი ათობეს მეგუანაზე, მაგუასა და ხარაგუაზე გავინ. კაციკი კოტუბანამა, რომელიც მმართველობდა ამ მხარის სამხრეთ ნაწილს, დაამარცხა თოასმა „ჯვრობრძოლა" ეკუელეძა 1504 წელს. კოტუბანამა დაიჭირეს, წაიყვანეს სანტო-დომინგოში და ჩამოახრჩვეს.

ამ, თავიდან უბრალო მოსახერხებელი ადგილი კუნძულის ბევრმა კასიკემა.

ანტონიო დე ესპინალი — 1512 წელს ესპინოლმა თავს იდვა მეტად უმსგავსო როლი. მან ესპანეთში გაემგზავრა კოლონისტების წარმომადგენლად, რომლებიც ინარჩუნებდნენ თავიანთ ეფლებას ინდოეთის მფლობელობაზე.

გვ. 55. ოვანდო მოქმედებდა სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც მისთვის მიეცემული ჰქონდა ახა მარტო ფერდინანდს, არამედ იზაბელასაც. მეფემ და დედოფალმა კოლუმბი გადაუწყვეტ ინდოეთის მეფის მოადგილის თანამდებობი-

დან და მერე გაგზავნეს მეოთხე მოგზაურობაში, რომელსაც შეიძლებოდა ბევრი ხიფათი მოჰყოლოდა. მათ არ სურდათ, რომ ადმირალს გზად შეეცდო ესპანიოლაზე, თუმცა სანტო-დომინგოს ნავსადგური იყო ერთადერთი ბაზა ახალ ქვეყანაში, სადაც შეიძლებოდა გემების შეკეთება და სურსათის მომარაგება. კოლუმბი მეფე-დედოფლისთვის იამაიკიდან გაგზავნილ წერილში პირდაპირ მიუთითებდა: „მე ნაბრძანები მქონდა მათი უდიდებულესობის სახელით ცსე იგი იზაბელას და ფერდინანდს) არ მივდგომოდი ესპანიოლას".

გვ 58. ... მან ინინასწარმეტყველა მოსალოდნელი მთვარის დაბნელება და იგი ახსნა როგორც ღვთის რისხვა... — კოლუმბმა „იწინასწარმეტყველა" მთვარის დაბნელების თარიღი, რომელიც მან წინასწარ იცოდა ასტრონომიული ცხრილის (ეფემერიდების) მიხედვით. დაბნელება ნოხდა 1504 წლის 29 თებერვალს და ადმირალის „წინასწარმეტყველურმა ნიშმა" ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ინდიელებზე, რომ ისინი მას შემდეგ ვერ ბედავდნენ მისთვის უარი ეთქვათ საკვები მარაგის მოტანაზე.

გვ. 58. ფერნანდო (ფერდინანდი) კოლუმბი (1488—1539) — კოლუმბის მეორე ვაჟიშვილი; მისი დედა ბეატრისა ენრიკესი არ იყო დაქორწინებული ქრისტეფორე კოლუმბზე, ამიტომ არ ითვლებოდა ადმირალის კანონიერ შვილად. თოთხმეტი წლის ასაკში ფერდინანდ კოლუმბი მამასთან ერთად გაემგზავრა მეოთხე მოგზაურობაში და თავისი სიმამაცითა და ენერგიით მეზღვაურთა საზოგადო სიყვარული დაიმსახურა. ფერდინანდ კოლუმბმა სეველიაში დააარსა ბიბლიოთეკა, სადაც მოაგროვა მამამისის ექსპედიციასთან დაკავშირებული მრავალი მასალა. მას მიაწერენ ნაშრომს „ადმირალის ცხოვრების ისტორიას" — ქრისტეფორე კოლუმბის დაწერილებით ბიოგრაფიას.

გვ. 59. ფრანსისკო პორასი — მეოთხე მოგზაურობის მონაწილე, გემის კაპიტანი. მან თავის ძმასთან, დიეგო პორასთან ერთად, რომელიც მეფის მოხელედ იყო ესკადრაში, იამაიკაში იძულებით გაჩერების დროს, ეკიპაჟის ნაწილი ჩაითარია შეთქმულებაში. რომლის შედეგად მოხდა აჯანყება, რომელმაც იფეთქა 1504 წლის იანვარში. ფრანსისკო პორასმა სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენა კოლუმბს, ადგილობრივი კანოეთი გაემგზავრა ესპანიოლის სანაპიროებისკენ, ყველაზე მამაც და ჭკვიან მეზღვაურებთან ერთად, ადმირალი მიატოვა ღვთის ანაბარად. ქარიშხალმა ხელი შეუშალა მას თავისი ზრახვების შესრულებაში და იძულებულ გახდა იამაიკაზე დაბრუნებულიყო.

1504 წლის მაისში ფრანსისკო პორასმა ისევ გაილაშქრა კოლუმბის წინააღმდეგ, და ამჯერად საქმე მიუიდა შეიარაღებულ შეტაკებამდე, რომლის დროსაც ადმირალის ძმა ბარტოლომე კოლუმბი დაიჭრა, რამდენიმე შეთქმული დაიღუპა. პორასი ტყვედ ჩაიგდეს და დაპატიმრეს. მაგრამ როცა კოლუმბი ჩაიიდა იამაიკაში, ოვანდომ გაანთავისუფლა ამბოხებულთა მეთაური, ამაევ დროს განაცხადა, რომ ესპანიოლის ტერიტორიაზე ძალაშია მხოლოდ მისი საკუთარი განკარგულებანი. მაგრამ, როცა პორასს ხელი დაეფარა და კოლუმბი დაადანაშაულა „ქრისტიანული სისხლის დალვრაში", ოვანდომ გადააწყვიტა მისთვის მიცემულ უფლებებს; ეშინოდა, რომ დედოფალი (მის ფარისეველურ ჩვეულებას კარგად იცნობდა ოვანდო) მხარს არ დაუჭერდა ღია პროცესს კოლუმბის წინააღმდეგ, ოვანდომ ბოლოს და ბოლოს თავი დაანება ადმირალის დევნას სასამართლო წესით.

გვ. 60. კოლუმბი ნამდვილად კიცხავდა ოვანდოს სისასტიკისთვის, რაც ჩაიდინა ინდიელების მიმართ, მაგრამ სამართლიანობისთვის, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დაწყული ლაშქრობები ესპანიოლის მკვიდრ მცხოვრებთა წინააღმდეგ და ინდიელების დარიგება კოლონისტებისთვის დაიწყო არა ოვანდოს დროს, არამედ მი

დროს, როცა ესპანიოლას მართავდა კოლუმბი და კასიკი კაონაბოს ხვედრი იყო არანაკლებ საშინელი ინკაონას ხვედრზე.

ბარტოლომე კოლუმბი (1445—1514) — ქრისტეფორე კოლუმბის ძმა, ადმირალის უახლოესი თანაშემწე იყო. 1496 წლის მარტიდან 1498 წლის სექტემბრის ჩათვლით, იმ დროს, როცა კოლუმბი იმყოფებოდა მესამე მოგზაურობაში, ბარტოლომე მისი სახელით მართავდა კუნძულს. ადელანტადოს ტიტული ენიჭებოდა ესპანეთის სამეფოს მიერ პირველ აღმოჩენებს, რომლებიც ექსპედიციას აწყობდნენ ახალ ქვეყანაში. ადელანტადოები სარგებლობდნენ დიდი უფლებებით ახალაღმოჩენილ ტერიტორიაზე და ასრულებდნენ მმართველის, მოსამართლისა და უმაღლესი მხედართმთავრის ფუნქციას. მაგრამ ხელისუფლება, მას შემდეგ, როცა ადელანტადო დაასრულებდა ახალი ქვეყნის აღმოჩენასა და დაპყრობას, რაიმე მიზეზით შესცვლიდა ხოლმე მას „საშუალო“ მოხელით.

აღსანიშნავია, რომ ბარტოლომე კოლუმბმა ადელანტადოს წოდება მიიღო არა მეფის ხელისუფლებისგან, არამედ თავისი ძმისგან, და იზაბელა განსაკუთრებულად უკმაყოფილო იყო ადმირალის ამ „თვითნებობით“. ბარტოლომე კოლუმბმა თანამდებობა დაკარგა 1500 წელს, მაგრამ საკვდილამდე ატარებდა ადელანტადოს ტიტულს. მან მონაწილეობა მიიღო მეოთხე ექსპედიციაში და ჩახშო პორასის აჯანყება იამაიკაზე.

გვ. 64. კვინტუს რუფიუსი (I ს. ჩვ. ე.) — რომაელი ისტორიკოსი. „ალექსანდრე დიდის ისტორიის“ ავტორი. ვალერიუს მაქსიმი (I ს. ჩვ. ე) — ავტორია მეტად პოპულარული ისტორიული ანეკდოტების კრებულისა, რომელშიც მოიპოვება ბევრი სრულიად სხვადასხვა ცნობა ბერძენ და რომაელ მოღვაწეთა შესახებ. ტიტუს ლივიუსი (59 წ. ჩვენ. ე-მდე — 17 ჩვ. ე.) — ერთ-ერთი მეტად გამოჩენილ რომაელ ისტორიკოსთაგანი, „რომის ისტორიის“ ავტორი, რომელიც ას ორმოცდაორი წიგნისგან შედგება.

გვ. 66. დიეგო კოლუმბი (1480—1526) — ქრისტეფორე კოლუმბის უფროსი ვაჟიშვილი, 1509-დან 1524 წლის ჩათვლით (ფაქტიურად 1509-დან 1514 და 1520-დან 1523 წლის ჩათვლით) იყო ინდოეთის ადმირალი და ესპანიოლის მმართველი.

დიეგო კოლუმბი აღიზარდა კასტილიის მეფის კარზე. მიიღო კარგი განათლება და XVI ს. ისტორიკოსების ცნობებით იყო კეთილშობილი და გულჩვილი, მაგრამ უნებისყოფო და ადვილად ხვდებოდა როგორც კარგი, ისე ცუდი გავლენის ქვეშ. მისმა დაქორწინებამ მარია დე ტოლედოზე იგი მოახვედრა კასტილიის უმაღლეს დიდებულთა წრეში და უზრუნველყო მისთვის მეფე ფერდინანდის ერთ-ერთი მეტად გავლენიანი წარჩინებული მოხელის, ტოლედოს საგვარეულოს უფროსის, პერო ალბას მხარდაჭერა.

იზაბელამ და ფერდინანდმა 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბს მისცეს უველა ახალაღმოჩენილი ქვეყნის მმართველობის მემკვიდრეობითი უფლება, და ამ ქვეყნების მეფის მოადგილისა და ადმირალის ტიტული. 1500 წელს გადააყენეს და ჩამოაშორეს უცხო ქვეყნების კოლონიების საქმეებში მონაწილეობას. ამავე დროს, მას ჩამოართვეს 1492 წლის შეთანხმებით პირობადებული ახალაღმოჩენილი ქვეყნებიდან მიღებული უველა შემოსავლის მეათედისა და ამ მიწებით ვაჭრობიდან მიღებული მერვედი ნაწილის მიღების უფლება.

ფორმალურად დიეგო კოლუმბს, როგორც კანონიერ მემკვიდრეს, უფლება ჰქონდა ტიტულზე, თანამდებობაზე და შემოსავალზეც, რომელიც მისი მამისთვის იყო ნაბოძები 1492 წელს. 1508 წელს მან დავა დაიწყო ხელისუფლებასთან.

ესპანეთში ფარისევლურად იცავდნენ იურიდიულ წესს და ამ დავას მსჯელობა მიეცა. მაგრამ სასამართლო განხილვის ტემპი აღმოჩნდა არც თუ მეტად „ჩქა-

ანი — ქრისტეფორე კოლუმბის მემკვიდრეობის პროცესი, საერთო სისრულით გაჭიანურდა ას ორმოცდათორმეტი წლის განმავლობაში. პირველ ეტაპზე ჰერაცოგის დახმარებით დიეგო კოლუმბმა წარმატებას მიაღწია. კასტილიის სამეფო საბჭომ, ფერდინანდის სურვილის წინააღმდეგ, დაამტკიცა დიეგო კოლუმბის უფლებები. 1509 წლის თებერვალში მეფე იძულებული იყო დაენიშნა იგი ადმირალად და მეფის მოადგილედ, მაგრამ ამ დროს ფერდინანდმა დასძინა, ეს დანიშვნა უალრესად დროებითიაო („ვიდრე ამისი მოწყალება და ნება მექნება“).

1511 წელს ფერდინანდმა მიიღო ზომები, რომლებმაც დიეგო კოლუმბის უფლებები და პრივილეგიები მტკნარ ფიქციად აქცია. ჯერ ერთი, ესპანეთში შეიქმნა ინდოეთის საქმეთა საბჭო, ორგანო, რომელსაც ამიერიდან ექვემდებარებოდა უცხო ქვეყნების ყველა თანამდებობის პირი მეფის მოადგილის ჩათვლით; მეორეც, დიეგო კოლუმბის გამგებლობაში დატოვებული იქნა მხოლოდ კუნძული ესპანიოლა, ამავე დროს, ამ კუნძულზე არსებულ გამაგრებულ პუნქტებში მას განკარგულების გაცემის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული; მესამეც — შეკვეცილი იყო მისი უფლებამოსილება. ესპანიოლაში დაარსებული იყო საპელაციო ტრიბუნალი და ამ ტრიბუნალის მოსამართლეებმა უფლება მიიღეს გადაეხედათ და გაეუქმებინათ დიეგოს გადაწყვეტილებანი, მეოთხეც—ინდოეთის საქმეთა საბჭოს მინიჭებული ჰქონდა ყველა უცხო ქვეყნის ნაცვალის რეზიდენციის რევიზიის უფლება.

1512 წლის თებერვალში დიეგო კოლუმბმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწია. უფრო მეტიც. ამჯერად მოსარჩლის სახით გამოვიდა ხელისუფლება.

საქმე ისაა, რომ 1492 წელს დადებული ხელშეკრულების იურიდიული ძალის გაუქმება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, შესაძლებელი რომ ყოფილიყო იმის დამტკიცება, თითქოს ახალი ქვეყანა აღმოჩენილი იყო არა კოლუმბის, არამედ ვინმე სხვა პირის მიერ. და სახელმწიფო შარისთავეებმა გაიხსენეს მარტინ ალონსო პინსონი, კოლუმბის პირველი ექსპედიციის ერთ-ერთი ხომალდის კაპიტანი. შედგენილ იქნა ანკეტა, რომელიც დაურიგეს ამ ნაოსნობის მონაწილეებს. ამ ანკეტის საკითხის პუნქტები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ ვინც მასზე პასუხს იძლეოდა, შეგნებულად შეიძლებოდა სცოდნოდა, რას მოითხოვდა მისგან მეფის ხელისუფლება, ხელისუფლებას კი სურდა დაემტკიცებინა პინსონის „პრიორიტეტი“. 1515 წლისთვის მოგროვდა უამრავი მასალა, რომლის ღირებულება მეტად საეჭვო აღმოჩნდა.

ერთი წლით ადრე დიეგო კოლუმბმა დაკარგა ენკომიენდების დარიგების უფლება. ფაქტურად ესპანიოლაში ხელისუფლება დაკარგა და გადაწყვეტა წასულიყო ესპანეთში, სადაც მის ყოფნას შეიძლებოდა შეეფუსტებინა მეფის იურისტების მგზნებარე აქტიურობა. ესპანეთში დაჰყო 1515-დან 1520 წლის ჩათვლით. მან დაიღვია ბრალდებანი, რომლებიც დამყარებული იყო „პინსონის“ ეშმაკურ ანკეტებზე. იმ დროს ესპანიოლაში ბატონობდნენ მამა იერონიმელი ბერები და რევიზორი როდრიგო დე ფიგეროა. მერე დიეგო კოლუმბი დაბრუნდა ესპანიოლაში, მაგრამ 1523 წელს ისევ იძულებული გახდა გამოცხადებულიყო მეფის კარზე, რადგან მეფის იურისტებმა მოაგროვეს მისი საწინააღმდეგო ახალი მასალები. 1524 წელს ესპანიოლის მმართველობა გადაეცა ოუდიენსიას, ტრიბუნალს, რომელიც ანბორციელებდა სასამართლო და ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც. დიეგო კოლუმბი გარდაიცვალა ესპანეთში (1526 წ.), მისმა ქვრივმა, მარია დე ტოლედომ ხვალინდელ ჭათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინა და ხელი მოაწერა კარლოს V-სთან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, თაეისი ვაჟის, ლუისის სახელით უარს აცხადებდა ქრისტეფორე კოლუმბის მემკვიდრეობის დაჩემებაზე. ამისთვის ლუის კოლუმბს ებოძა ჰერცოგ ვერაგუას ტიტული და სამემკვიდრეო რენტა. მაგრამ

კოლუმბის შემკვიდრეების დაჟა ამით არ დამთავრებულა; დიდი ზღვაოსნის შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და იმათი შვილების პრეტენზიები ესპანეთის სასამართლოებში განიხილებოდა 1680 წლამდე.

გვ. 67. მატერიკი (Tierra Firme) — სიტყვასიტყვით „ხმელეთი", „მყარი მიწა"; ასე ერქვა იმ დროს სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროს.

გვ. 72. ლეონის სამეფო (ლეონი — ესპანეთის ჩრდილოდასავლეთის მხარე) — კასტილიას შეუერთდა XIII საუკუნეში; სამეფოდ ეს მხარე იწოდებოდა შემდგომშიც.

გვ. 84. საგანგებო სასამართლო — სასამართლო ორგანო, რომელსაც უფლება ჰქონდა გაეუქმებინა მეფის მოადგილის გადაწყვეტილებანი. დაარსეს დიეგო კოლუმბის უფლებების შესაზღუდავად. მისი წევრები იწოდებოდნენ მოსამართლე რეზიდენტებად.

გვ. 86. რეზიდორები — ესპანელი კოლონისტები, რომლებსაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ეჭიროთ არჩევითი თანამდებობები.

გვ. 87. „დიდი კაპიტანი" გონსალო დე კორდოვა (1453—1515) — სახელგანთქმული ესპანელი მხედართმთავარი, 1492 წელს ათლო გრანადა, 1495—1496 და 1503—1504 წლებში თავი გამოიჩინა ფრანგებთან ბრძოლაში და დაამარცხა ისინი რამდენჯერმე სამხრეთ იტალიაში.

გვ. 88. ანტონიო ერერა დე ტორდესილასი (1559—1625) — ესპანელი ისტორიკოსი, ახალი ქვეყნის დამპყრობთა ისტორიის შესახებ მრავალტომიანი ნაშრომის ავტორი. ერერამ ფართოდ გამოიყენა ლას კასასის „ინდოეთის ისტორიის" ხელნაწერი და საარქივო მასალები.

გვ. 91. ერნან კორტესი (1485—1547) — დაბადებულია ესტრემადურას პროვინციის ქალაქ მედელინში. კასტილიის ამ „ჭიშკრიდან" გამოვიდა კონკისტის მრავალი რაინდი, რომლებმაც „სახელი გაითქვეს" ახალ ქვეყანაში თავიანთი სისხლიანი საქმეებით. კორტესი იყო ძველი, მაგრამ გაღატაკებული საგვარეულოს იდალგოს შვილი. იგი სალამანკის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ არ დაუმთავრებია; რამდენიმე წელი დაბეტიალობდა ესპანეთში და 1504 წელს წავიდა ესპანიოლაში. აქ მან ოვანდოსაგან მიიღო რეპარტიმიენტო ხარაგუას მხარეში და სოფელ ასუაში კი ნოტარიუსის ადგილი. მონაწილეობას ღებულობდა ველასკესის ლაშქრობებში და 1511 წელს ველასკესთან ერთად წავიდა კუბაზე, სადაც მიიღო მიწები და ინდიელები სანტიაგოს მიდამოებში. როცა 1518 წელს ახლადაღმოჩენილ იუკატანის სანაპიროებზე გაგზავნილმა ხუან გრიხალვამ კუბაზე ამბავი მიიტანა, ახალაღმოჩენილი ქვეყნის სიმდიდრის შესახებ, ველასკესმა ბრძანა ახალი ექსპედიციის მომზადება; ეშინოდა მას უფროსად გრიხალვას დანიშვნისა და არჩევანი კორტესზე შეაჩერა. კორტესმა რაზმი შეადგინა 508 კაცისაგან, სწრაფად მოამზადა ექსპედიცია, და როცა ველასკესი ეჭვობდა, რომ კორტესი ახალი ქვეყნების დაპყრობას ამაირებდა თავისთვის, და არა თავისი შეფისთვის, სცადა გადაეყენებინა კორტესი, მან კადნიერად განუცხადა უარი, დაუყოვნებლივ გაიყვანა გემები ზღვაში და მექსიკის სანაპიროებისაკენ გაემართა.

1519—1522 წლებში კორტესმა ისარგებლა ტომთა შინაომით, დაამყარა აცტეკების სახელმწიფო, აოხრა და გაძარცვა მისი დედაქალაქი ტენოჩტიტლანი და კონკისტადორების მიერ ფეხქვეშ გათელილი ქვეყანა მთლიანად ესპანეთის ხელისუფლებას.

გვ. 95. ხელმწიფის კონტადორი — თანამდებობის პირი, რომელიც განაგებდა ინდოეთში ყოველგვარ ფულად ანგარიშს.

გვ. 96. ხუან დე გრიხალვა (1490 — 1527 წლებში) — კორტესისგან განსხვავებით, იყო მოვალეობის გრძნობის მქონე ადამიანი და სწორედ

ამიტომ მისი ბედი წარიმართა წარუმატებლად. იგი ესპანიოლაში ჩავიდა ოვანდოს დროს, მონაწილეობდა ლაშქრობებში იამაიკაზე, ამასთანავე, არსად ჩირქი არ მოუცხია თავისი სახელისთვის ინდიელებთან სასტიკად გასწორების გამო. 1512 წლის მახლობლად გაემგზავრა კუბაზე და 1518 წელს ველასკესმა გაგზავნა იუკატანის სანაპიროების გამოსარკვევად, რომელიც ცოტა ხნით ადრე აღმოაჩინა ფრანსისკო ერნანდეს დე კორდოვამ.

გრიხალვას შეეძლო თავისი რისკით ლაშქრობა მოეწყო ქვეყნის შიგნითაც, რამაც ერთი წლის შემდეგ სახელი გაუთქვა კორტესს, მაგრამ სინდისიერად შეასრულა ველასკესის დავალება და დაბრუნდა კუბაში, გამოიკვლია იუკატანისა და ტაბასკოს სანაპიროები — მხარეები, რომლებიც მდებარეობდა ამ ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთით. ტაბასკოში მას შეხვდა აცტეკების უმაღლესი ბელადის, მონტესუმას მოციქულები, რომლებისგანაც ესპანელებმა მიიღეს ზუსტი ცნობები შიდა მექსიკის მხარეების სომდიდრის შესახებ.

ფაქტიურად მექსიკა აღმოაჩინეს კორდოვამ და გრიხალვამ. ველასკესი არ ენდობოდა გრიხალვას და, თავისდა საუბედუროდ, ახალი ექსპედიციის უფროსად კორტესი დანიშნა. შემდეგში გრიხალვა მონაწილეობას ღებულობდა ცენტრალური ამერიკის დაპყრობაში და დაიღუპა ნიკარაგუაში.

გვ. 99. ხუან პონსე დე ლეონი (1460—1521) — კონკისტის ერთერთი ვეტერანთაგანი (ესპანიოლაში იგი ჩავიდა კოლუმბის მეორე ექსპედიციის დროს). 1508 წ. შეუდგა კუნძულ პუერტო-რიკოს დაპყრობას, რომელიც კოლუმბმა 1493 წელს აღმოაჩინა, და 1510 წელს. პუერტო-რიკოს მმართველად იქნა დანიშნული, დიეგო კოლუმბის პრეროგატივის საზიანოდ. 1513 წელს გაემგზავრა ლეგენდარული ქვეყნის ბიმინის საძებნელად, სადაც თითქოს მიწიდან ამოდიოდა მარადიული ახალგაზრდობის წყარო, და აღმოაჩინა ფლორიდის ნახევარკუნძული. ფლორიდის დაპყრობის დროს დაიღუპა ჭრილობისგან, რომელიც ინდიელებთან ბრძოლაში მიიღო. ალონსო დე ოხედა (1465—1515 წლებში) — პონსე დე ლეონის მსგავსად მიეკუთვნება კონკისტადორების უხუცესთა რიცხვს. ეს იყო მაშაკი ავანტიურისტი, რომელსაც არაჩვეულებრივი თავგადასავლები ისე იზიდავდა, როგორც ოქრო. ის იყო ესპანიოლაში კონკისტის ფუძემდებელი, მონაწილეობას ღებულობდა ექსპედიციაში, რომელმაც 1499—1500 წწ. გამოიკვლია სამხრეთ ამერიკის სანაპირო, ის-ის იყო კოლუმბმა რომ აღმოაჩინა. 1508—1509 წწ. კოლონისტ დიეგო ნიკუესთან, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ესპანიოლაში, და ბაკალავრ მარტინ ენსისოსთან ერთად მოაწყო ექსპედიცია აღმოსაჩენად და დასახლებლად ახალი ანდალუსიის და ოქროს კასტილიისა — მხარეების, რომლებიც მდებარეობენ თანამედროვე კოლუმბიისა და პანამის ატლანტის სანაპიროებზე. ექსპედიციის სამზადისის დროს მისი მოწილეები დავალიანდნენ და ამ ვალების გადასახდელად ოხედამ, როცა დანიშნულ ადგილზე ჩავიდა, ინდიელკარიბებზე დაწყო ნადირობა, იმისთვის, რომ მოეწყო ესპანიოლასთვის მონების მიწოდება. კარიბებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს და დაჩაგრობელთა უშრავლესობა ამოწყლიტეს. ოხედამ დარიენის უურემდე მიაღწია და იქ საფუძველი ჩაუყარა ციხე-სიმაგრეს. დაწყებამდე ბაბში ამბოხება, ზოგი თავისი თანამებრძოლი სკვდილით დასჯა, ზოგს ენა, უურები და თითები მოაჭრა. მაგრამ დარიენის უურეში დაფუძნება ოხედამ ვერ მოახერხა. და დატოვა თავისი კოლონია, წავიდა ესპანიოლაში, სადაც მალე გარდაიცვალა.

გვ. 140. როდრიგო დე ბასტიდასი (1460—1526 წ.) — დაუღალავი მოგზაური, რომელმაც მოგების მიზნით მოაწყო რამდენიმე მოგზაურობა სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან. 1500—1502 წწ. გამოიკვლია სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროს მონაკვეთი. ესპანიოლაში გადმოსხდომის შემდეგ დაპა-

ტომრა ბომბადილიომ, რომელშიც ბასტიდას ბრალი დასდო ტენოხტიტლანში ყოფნის დროს ჩადენილ დანაშაულებში, ეზოში წელი იყრა ციხეში და გამართლებულ იქნა ოცნებაც ძალი.

1525 წელს კოლუმბიის ატლანტის სანაპიროზე დაარსა ქალაქი სანტა-მარტა. ლას კასასი აღნიშნავს, რომ ბასტიდასი კარგად ეცნობოდა ინდიელებს და კარგად მათ მჩაგვრელებს.

გვ. 144. სან-ხუანი — კოლუმბის მიერ შერქმეული სახელი პუერტო-რიკოსი. ეს სახელი ერქვა პონცე დე ლეონის მიერ დაპყრობილ ქვეყანას 1511 წელს პონცე დე ლეონი, როგორც უკვე აღინიშნა, დანიშნული იყო პუერტო-რიკოს მმართველად, დიეგო კოლუმბის წინააღმდეგ და ნაწილობრივ მთელ პასამონტესთან კავშირის წყალობით.

ხუან როდრიგეს დე ფონსეკა (1451—1524)—ოცდათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ახალი ქვეყნის ახლადაღმოჩენილი მიწების „მეკეტვაე" იყო და ძალიან დიდ როლს თამაშობდა ამერიკის სანაპიროების კონკისტაციის მოწყობასა და ინდოეთის მმართველობის საქმეებში. იგი იყო იზაბელას კაპელანი და სევილიის არქიდიაკონი. 1493 წელს მიღო განსაკუთრებული ეკლესიის ეფორის თანამდებობა, რომელსაც დაკავებული ჰქონდა კოლუმბის მიერ ექსპედიციის მოწყობა. ფონსეკამ ხელთ იგდო ახლადაღმოჩენილი ქვეყნების მართვის ყველა სადავე და არაჩვეულებრივი ენერგიით ატარებდა ცხოვრებაში მეფის პოლიტიკას. იგი თავგადასავალთა მაძიებლებს სიამოვნებით აძლევდა ახალი ქვეყნის აღმოჩენის უფლებას (განსაკუთრებით, თუ ასეთი ძიება არ მომდინარეობდა სახელმწიფო ხარჯზე) და ამ პირველ აღმომჩენებთან ხელს აწერდა „კაპიტულაციებს" (შეთანხმებებს), რომლებიც „გარანტიას აძლევდა მათ სხვადასხვა უფლებებისა და პრივილეგიებისთვის. არანაკლები სიამოვნებით ართმევდა ამ უფლებებს და მეფის სასარგებლოდ გაასხვისებდა მიწებს, აღმოჩენილია და დაპყრობილ ფხიანი კონკისტადორების მიერ, რომლებიც საბოლოოდ პირშიჩაგმობილები რჩებოდნენ, როგორც კოლუმბს დაემართა. ფონსეკა ცრუმორწმუნე იყო, და ლას კასასი წერდა, ეპისკოპოსი იქცეოდა არა როგორც ეპისკოპოსი, არამედ როგორც ვეკობრეთა საწარმოს ორგანიზატორი, რისი ლას კასასმა ერთხელ ეთხრა ფონსეკას, რომ მის სინდისზე იყო ინდიელების მიერ დაკრული ცრემლები, მან სიცილით ეპასუხა: „სწორია, სამაგიეროდ ეს ცრემლები ჩემ საფულეში ჩხრიალა ფულებად გადადნა".

გვ. 151. დარენი — პანამის ყელის ატლანტის სანაპირო.

გვ. 153. შესთავაზეთ ადმირალს დაპყრობა და კოლონიზაცია კუნძულ ხუანასი, ინდიელად კუბის,—ლას კასასი ნამდვილად 1510 წელს ველასკესთან ერთად გაემგზავრა კუბაში; იმ დროს იგი „ინდოეთის პოლიტიკისაგან" შორს იდგა, ასევე შორს იყო კუბის „მშვიდობიანი კოლონიზაციის" გეგმიდან. ველასკესს იგი საკმაოდ კარგად იცნობდა, რომ მას არ დაეშორებოდა ამ კუნძულზე მიწერილი სამოთხის პროექტის საქმეში.

გვ. 160. სამხრეთის ზღვა—ესე უწოდებდნენ წყნარ ოკეანეს XVI საუკუნეში.

გვ. 168. ფორმულებს „გისმენ (ანდა გეკუთვნებარები) და არ დაგემორჩილები" (acato y no cumplo; obedesco y no cumplo) უხმოდ ეკუთვნოდა მხარს ესპანეთის სამფლობელოებში ყოველი თანამდებობის პირი. მხოლოდ ამრიგად იშორებდნენ თავიდან შესრულების აუცილებლობას, შეუძლებელი განკარგულებებისა, რომლებიც ინდოეთის საქმეთა საბჭოს კანცელარიიდან შიოს მარანიით მიედინებოდა.

გვ. 170. მთავარი ალკალდები — მეფის მოადგილის მიერ დანიშნული მიდამოების მმართველები. სააპელაციო სასამართლო უშუალოდ აქვემდებარებოდა

ინდოეთის საქმეთა საბჭოს და ენიჭებოდა სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციები. ს. მოადგილის უფლებების შემზღუდავი ორგანო შეიქმნა 1524 წელს. პირველი საკასაციო სასამართლო დაარსდა სანტო-დომინგოში.

გვ. 176. ა ხ ა ლ ი მ ე ს ა — ლას კასასი იყო პირველი მღვდელმსახური, რომლის ხარისხიც კურთხევა მოხდა ესპანიოლაში. ამიტომ ეწოდა ამ პროცედურას პირველი მესა.

გვ. 180. კ ა ნ ა რ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი — ძველი რომაელებისთვის ბედნიერი კუნძულების სახელით ცნობილი, „დაიკარგა" შუასაუკუნეებში და მეორედ აღმოაჩინეს 1342 წელს. XV ს. მთელი ეს არქიპელაგი ესპანელებმა დაიპყრეს.

ს ე რ ტ ო რ ი უ ს ი (მოკლეს 72 წელს ჩვ. ერამდე.) — რომაელი სარდალი, რომელიც ამკანყდა დიქტატორ სულას წინააღმდეგ. სერტორიუსი რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით იბრძოდა ესპანეთში, რომაელთა ჯარის წინააღმდეგ და მოღალატურად მოჰკლეს რომის მიერ მოსყიდულმა შეთქმულებმა.

გვ. 180. დ ო მ ი ნ ი კ ე ლ თ ა ო რ დ ე ნ ი — დაარსებული იქნა XIII საუკუნეში ფანატიკოს და ერჯულ დომინიკე დე გუსმანის მიერ, მწვალებლებთან და ამ ორდენის ბერებთან საბრძოლველად, რომლებიც გაუგონარ სიმხეცეს სჩადიოდნენ სამხრეთ საფრანგეთში ალბიგოელი მწვალებლების დათრგუნვის დროს; მათ უწოდებდნენ „ღვთის ჭოფაკებს". ეს ორდენი მჭიდრო კავშირში იყო ინკვიზიციასთან. ესპანეთში დომინიკელები აწვდიდნენ ძირითად „კადრებს" ინკვიზიციის უველა ტრიბუნალს. დომინიკელი იყო დიდი ინკვიზიტორი ტორკვემადა, რომლის სახელთან დაკავშირებულია საოცარი სისასტიკე. მაგრამ დომინიკელთა თემი სანტო-დომინგოში წარმოდგენილ იყო ღირსეული ადამიანებით, რომლებმაც პირველებმა გაილაშქრეს ენკომიენდების მფლობელთა წინააღმდეგ და ამხილეს მათი სისხლიანი ბოროტმოქმედება. განსაკუთრებულ აქტიურ როლს თამაშობდა ბრძოლაში, რომელიც დაიწყო 1151 წელს, ანტონ მონტესინო, რომელსაც მხარს უჭერდა სანტო-დომინგოს დომინიკელთა მონასტრის წინამძღვარი პედრო დე კორდოვა.

გვ. 188. მ ო რ ი ს კ ე ბ ი — მონათლული მავრები; გრანადის აღების შემდეგ, ბევრი ზანგი ძალით იქნა მონათლული. მაგრამ ამან ვერ გადაარჩინა ისინი ინკვიზიციის დევნისა და ყოველნაირი შევიწროებისგან. მორისკებსა და მარანებს (მონათლულ ებრაელებს) უფლება არ ჰქონდათ დაეკავებინათ სახელმწიფოებრივი თანამდებობები, აკრძალული ჰქონდათ ანდოეთში შესვლა. მორისკებს მთელი XVI ს. დევნიდნენ, 1609 წელს კი განდევნეს ესპანეთიდან.

გვ. 205. პ ა ნ ფ ი ლ ო ნ ა რ ვ ა ე ს ი (1480—1528 წ.) — მკაცრი და გაბუდული კონკისტადორი, ახალ ქვეყანაში დამპყრობლური ომების ერთი ვეტერანთაგანი. ესპანიოლაში ჩავიდა 1498 წელს, მონაწილეობას ღებულობდა მრავალ დამსჯელ ლაშქრობაში 1511 და 1520 წლების ჩათვლით. მსახურობდა ველასკესის მეთაურობით კუბაში, სადაც გააფთრებულად უსწორდებოდა ინდიელებს. 1520 წელს ველასკესმა ნარვაესი გაგზავნა მექსიკაში კორტესთან ანგარიშის გასასწორებლად; მაგრამ კორტესთან ბრძოლის დროს ნარვაესი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

კორტესმა იგი მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაანთავისუფლა. 1528 წელს ნარვაესმა მოაწყო უღიმლო ლაშქრობა ფლორიდაში და, მექსიკისკენ მიმავალი, გზაში დაიღუპა.

გვ. 217. ფ რ ა ნ ს ი ს კ ო ვ ი რ ნ ა ნ დ ე ს დ ე კ ო რ დ ო ვ ა — 1517 წელს აღმოაჩინა იუკატანის სანაპირო; ეს ექსპედიცია გავიდა კუბის ნაპირებიდან და გამზადებული იყო მისი მონაწილეების მიერ, ველასკესის ნებართვით. კუბაში დაბრუნებული კორდოვა გარდაიცვალა იუკატანელ ინდიელებთან ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობით. მისი აღმოჩენის მთელი დიდება მითვისა ველასკესმა, რომელიც, თავის მხრივ, ორი წლის შემდეგ მოხერხებულად მოატყუა კორტესმა.

გვ. 217. კამპეჩე — იუკატანის ჩრდილოეთ სანაპიროს მიდამოები.

გვ. 223. ასიენდა — ესპანეთსა და ახალ ქვეყნებში ასე უწოდებდნენ დიდ მამულს.

გვ. 256. ქრისტეფორე კოლუმბის ცხედარი პირველად დაკრძალული იყო სევილიაში, სანტა-მარია დე ლას კუევასში, კარტეზიანულ მონასტერში, მერე კი გადაიტანეს სანტო-დომინგოს საკათედრო ტაძარში.

1796 წელს იმის გამო, რომ ესპანიოლის აღმოსავლეთ ნაწილი, სანტო-დომინგოსთან ერთად, გადაიცა საფრანგეთის მფლობელობაში, ადმირალის ნეშტი გადატანილი იქნა ჰავანაში. მაგრამ დადიოდა დაბეჯითებითი ხმები, ჰაეანაში გადაიტანეს არა დიდი ზღვაოსნის, არამედ მისი შვილის დიეგო კოლუმბის ნეშტიო.

გვ. 264. ფერდინანდის გარდაცვლების შემდეგ ესპანეთის მეფე გახდა მისი შვილი კარლოს ჰაბსბურგი (1500—1558). დედამისი ისაბელასი და ფერდინანდის ქალიშვილი იყო — შეშლილი ხუანა, მამა იყო ფილიპე ჰაბსბურგი, წმინდა რომის იმპერიის იმპერატორის მაქსიმილიანეს შვილი. დედის მხრიდან კარლოსმა მემკვიდრეობით მიიღო ესპანეთი თავისი მთელი საზღვარგარეთული სამფლობელოებით, მამის მხრიდან კი ნიდერლანდები, ლუქსემბურგი და ფრანშ-კონტე.

1519 წელს კარლოსი აირჩიეს წმინდა რომის იმპერიის იმპერატორად, და მის მფლობელობაში აღმოჩნდა გერმანიის მთელი მიწა-წყალი და ჩეხეთი. როგორც ესპანეთის მეფე, იგი იწოდებოდა კარლოს I-ად, როგორც იმპერატორი კარლოს V.

კარლოსი აბრდებოდა ფლანდრიაში და ესპანეთში მოვიდა თავისი ფლამანდიელი მრჩევლებიანად.

გვ. 272. აბენსერაჟები — გრანადის ემირატის დიდებულთა საგვარეულო, ამ სამეფოს დაცემის ეპოქაში უკანასკნელ მცხოვრებლებთან დაკავშირებულია უამრავი ლეგენდა და გადმოცემა.

გვ. 286. ლუკაის კუნძულები — XVI—XVII სს. ასე ერქვა ბაჰამის კუნძულებს.

გვ. 288. ალონსო სუასო — 1517 წელს დანიშნული იქნა ესპანიოლაში მოსამართლე-ხაზინადარად; ისიც იერონიმიტებივით უძლური აღმოჩნდა სუასო ბევრ რამეში უპირდა მზარს ლას კასასს, და მისი ჩანაწერები ესპანიოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ ზუსტ და ობიექტურ წარმოდგენას იძლევიან ენკომიენდეს მფლობელების პოზიციასა და ბრძოლის ხასიათზე. რომელსაც ისინი ეწეოდნენ რეფორმის მომხრეებთან.

გვ. 289. როგორც უკვე აღინიშნა, კარლოს I (V) ესპანეთში ჩამოვიდა თავისი ფლამანდიელი მრჩევლებიანად. ერთი სიტყვაც არ იცოდა კასტილიურად, ანგარიშს არ უწევდა ესპანელ დიდებულებს და საპასუხისგებლო თანამდებობაზე დანიშნა კანცლერი ხუან სალვაჯო, თავის პირველ მრჩევლებად კი თავისი ფაეორიტები ფლამანდიელი შევრი და დე შოლი.

ახალი მეფის კარზე დიდ როლს თამაშობდა ჰოლანდიელი ადრიან უტრეხტელი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ესპანეთში დიდი ინკვიზიტორი გახდა, 1522 წელს კი კარლოსის მზარდაჭერით პაპად აირჩიეს.

1520 წელს კი ესპანეთში იფეთქა ქალაქების აჯანყებამ, რომელმაც დიდხანით აარიდა მეფის კარის ყურადღება უცხო ქვეყნების საქმეებს.

გვ. 293. ლას კასასის დისპუტი კეკედოსთან, დარიენის ეპისკოპოსთან, ნამდვილად ბატარდი მეტად საზეიმო ვითარებაში და დამთავრდა ლას კასასის ბრწყინვალე გამარჯვებით. მაგრამ ამ დისპუტის შემდეგ ლას კასასი კეკედოს არ დაახლოებია, და უნდა ვიფიქროთ, რომ დარიენის ეპისკოპოსი არ განიცდიდა მონანიების გრძნობას სასიკვდილო სარეცელზე.

გვ. 295. პაველ მოციქული — გადმოცემის მიხედვით, მკვირმეტყველების ძალით, თავის სიმართლეში დარწმუნა რომის პროკონსული იუდეაში მარიკიუს პორციუს ფესტი, და ამით თავიდან აიცილა იუდეველი მეფის აგრიპიას სამსჯავრო.

1556 წელს კარლოს V-მ უარი თქვა ტახტზე და 1557 წ. წავიდა ესტრემადურის წმ. იუსტინეს მონასტერში. გაღუანი აიდეალებს კარლოს V-ს, მას აწერს პუმანური და გულისხმიერი მმართველის თვისებებს. კარლოს V-ს მთელმა მეფობამ ჩაიარა დაუსრულებელ ომებში, დიპლომატიურ ინტრიგებსა და „ერესთან" სასტიკ ბრძოლაში. კარლოს V-ს დროს კონკისტამ ახალ ქვეყანაში თავის აპოგეას მიაღწია, და ესპანური ამერიკის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა კოლონიური სისტემა, თავისი საშინელი მეთოდებით, ადგილობრივ მკვიდრთა ექსპლუატაციით.

გვ. 323. ...ინდიელები განწირულნი იყვნენ ერთი სიცოცხლის მანძილზე.—ენკომიენდები არ რიგდებოდა სამუდამოდ, არამედ გარკვეული ვადით. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული ენკომიენდე, რომელიც მისი მფლობელის სიცოცხლის პერიოდის ვადითაა მიცემული. ენკომიენდეთი სარგებლობის ვადაზე დავა კოლონისტებსა და სახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა ათობით წლების მანძილზე, და ენკომიენდების დარიგების წესები არაერთხელ შეცვლილა. ფაქტიურად, მაინც, ინდიელები უფრო ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდნენ მეპატრონის ხელში, როგორც ეს მოხდა ფრანსისკო ვალენსუელას ენკომიენდესთან დაკავშირებით.

გვ. 373. ვენესუელას სანაპიროზე, კუმანაში „მშვიდობიანი" კოლონიის შექმნა, რაც 1520—1521 წწ. სცადა ლას კასასმა, უიღბლოდ აღმოჩნდა, არა იმიტომ, რომ „მშვიდობიანი" კოლონისტები, რომლებიც ესპანიოლაზე შეარჩია ლას კასასმა, არ პასუხობდნენ თავიანთ დანიშნულებას. მანკიერი აღმოჩნდა თვით ფიქრი, ჯერ კიდევ დაუსახლებელი მიწების კოლონიზაცია ევროპიდან გადმოსახლებულთა და ინდიელების „თანამშრომლობით".

კოლონია სწრაფად დაუძლურდა, კოლონისტებმა თავიანთი ძარცვა-გლეჯითა და მძიმე გადასახადებით დაიმსახურეს კუმანელი თავისუფლებისმოყვარე ინდიელების სასტიკი სიძულვილი. და თავის კეთილ ზრახვებში მწარედ იმედგაცრუებული ლას კასასი ესპანიოლაში დაბრუნდა.

გვ. 375. ქალაქ ტოროში (1505) მიღებული კანონი არეგულირებდა ქონებრივ დამოკიდებულებას, კერძოდ მემკვიდრეობის უფლებას, ქონების გადაცემა პირისათვის, რომელიც სისხლით ნათესაური კავშირით არ არის დაკავშირებული, მოითხოვდა მძიმე ფორმალობას, და, აშკარაა, ველასკესმა ამიტომ თქვა უარი ვალენსუელას ნაჩუქარზე.

გვ. 376. პელაო (VIII ს.) — ესპანელი მეომარი, რომელმაც ასტურიის მთებში მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია მავრებს, მაშინ, როცა მათ დაიპყრეს მთელი პირინეის ნახევარკუნძული; 718-დან 737 წლის ჩათვლით მეფე იყო ასტურიისა, რომელიც მავრებს წაართვა ბრძოლით, რითაც საფუძველი ჩაუყარა რეკონკისტულ ომებს.

გვ. 394. ლუციუს ემილიუს პაველ (III—II სს. ჩვ. ე-მდე)—რომაელი სარდალი, 168 წ. ჩვ. ე-მდე. პინდესთან ბრძოლის დროს გაანადგურა მაკედონიის მეფე პირსე. 167 წ. დაიპყრო მაკედონია და რომში დაბრუნდა უთვალავი ნადავლით.